avtoris stili daculia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

ლაშა ცერცვაძე

დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას

(შედარებითსამართლებრივი ანალიზი აშშ-ის, უპირატესად დელავერის შტატის, ევროკავშირისა და ქართული სამართლის მაგალითზე)

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფ. ირაკლი ბურდული,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

თბილისი 2015

უნივერსიტეტის გამომცემლობა

სტრუქტურა

აბრევიატურები 5

I. შესავალი 7

II. ვინ შეიძლება იქნეს მიჩნეული დირექტორად 13

III. კორპორაციული მართვა ჩორპორატე ოვერნანცე 17

1. მნიშვნელობა და აქტუალურობა 17

2. კორპორაციული მართვის სისტემები 21

2.1. პრო-აქციონერისტული მოდელი (Shareholder Model) 21

2.2. Stakeholder Model 23

2.2.1. სტეიკჰოლდერის (Stakeholder) განსაზღვრისათვის 23

2.2.2. Stakeholder Model 24

2.2.2.1. პრინციპალის და აგენტის თეორია - Principle Agent Theory 25

2.2.2.2. Stewardship Theory 27

2.3. გერმანიის კორპორაციული მართვის მოდელი
The Two-Tier Stakeholde Model of Corporate Governance 27

2.4. ინგლისის კორპორაციული მართვის მოდელი როგორც პრო-აქციონერისტული მოდელის გაუმჯობესებული (მოდერნისტული) ვარიანტი – Enlightened Shareholder Model 33

2.4.1. დაემორჩილე ან განმარტე – Comply or Explain Rule 35

2.5. კორპორაციული მართვის სისტემა საქართველოში 37

2.6. დირექტორატის როლი კორპორაციული მართვის სისტემაში 41

2.6.1. კომპანიის მმართველი ორგანოები ქართულ კორპორაციულ მართვის სისტემაში 47

2.6.2. იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლება 53

2.6.3. დირექტორის ანაზღაურება 54

3. აქციონერები (წილის მფლობელები) კორპორაციული მართვის სისტემაში 56

3.1. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება 62

3.2. დირექტორატის არჩევის და გათავისუფლების უფლება 63

3.3. დივიდენდის მიღების უფლება 68

3.4. დერივაციული სარჩელი - Derivative Lawsuit 70

3.4.1. აქციონერთა მხრიდან დირექტორთა გადაწყვეტილების ავტორიზაცია/რატიფიკაცია და სარჩელის წარდგენაზე უარის თქმა 76

3.4.2. დერივაციული სარჩელის დანიშნულება, დადებითი და უარყოფითი მხარეები 80

3.5. კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა-
Piercing the Corporate Veil 82

4. კომპანიის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა - Corporate Compliance 87

5.კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა Corporate Social Responsibility. 92

IV. დირექტორატის (დირექტორის) მოვალეობები კომპანიის მართვისას .97

1. ზოგადი მიმოხილვა 97

2. ზრუნვის მოვალეობა - Duty of Care 102
2.1. ინფორმირებულობის მოვალეობა..... 108
2.2. ცოდნისა და უნარების ფლობის მოვალეობა 111
2.3. გაუფრთხილებლობის სტანდარტი
ზრუნვის მოვალეობის დარღვევისას 114
2.3.1. კაუზალურობა – Causation 118

3. ერთგულების მოვალეობა – Duty of Loyalty 119
3.1. ინტერესთა კონფლიქტი..... 125
3.1.1. უარი ინტერესთა კონფლიქტზე, უარი სარგებლის მიღებაზე "no conflict rule" / "no profit rule" 129
3.2. დაკავშირებული გარიგებანი (Related Party Transactions or Self-Dealing)..... 132
3.2.1. საკუთარ თავთან დადებული გარიგება.....133
3.2.2. სარგებლის მიღებაზე უარის თქმის ვალდებულება.....135
3.2.2.1. უარი ფარული მოგების (შემოსავლის) მიღებაზე.....136
3.2.3. პირადი დაინტერესების გამჟღავნების ვალდებულება..... 136
3.2.4. კონკურენციის აკრძალვა..... 138
3.3. კორპორაციის შესაძლებლობების ექსპლუატაცია..... 139
3.3.1. კომპანიის ქონების ექპლუატაცია..... 140
3.3.2. ინფორმაციის ექპლუატაცია.....141
3.3.3. ინსაიდერული ვაჭრობა Insider Trading..... 142
3.4. უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების მოვალეობა
(Ultra vires doctrine) 144

4. კეთილსინდისიერების მოვალეობა – Duty of Good Faith..... 145

5. განსხვავება ერთგულებისა და ზრუნვის მოვალეობას შორის 153
5.1. ფიდუციურ მოვალეობათა განმარტებისათვის 154
5.2. განსხვავების პრაქტიკული მნიშვნელობა..... 156

V. სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება
The Business Judgment Rule 161

1. The Business Judgment Rule..... 162
1.1. Business Judgment Rule-ის განმარტებისათვის 162
1.2. The Business Judgment Rule-ის მნიშვნელობა 164
1.3. Business Judgment Rule-ის გამოყენების გამორიცხვა..... 165

2. Business Judgment Rule –ის ინსტიტუტი მეწარმეთა შესახებ კანონში. 170

VI. დირექტორთა მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და
საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას 172

1. ევროდირექტივა..... 176

2. გერმანია 178
2.1. ზოგადი მომოხილვა 178
2.2. გადაწყვეტილება კომპანიის გაყიდვის ფორმაზე და ხელშეკრულება

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ (Confidentiality Agreement) 180

3. ინგლისი 183
3.1. ზოგადი მომოხილვა 183
3.2. შეთანხმება სატენდერო შეთავაზების მხარდაჭერის შესახებ
Best Endeavours Clauses 186
3.3. თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენების დაუშვებლობა 187

4. აშშ 189
4.1. ზოგადი მიმოხილვა 189
4.2. სატენდერო შეთავაზება 193
ა. აქციათა გამოსყიდვის უფლება *Shareholder Appraisal Rights* 195
4.3. თავდაცვითი ღინისძიების გამოყენების შესაძლებლობა 195
4.3.1. "საწამლავი აბები" (Poison Pills) და სხვა თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება დირექტორატის მიერ 199

5. საქართველო 207
5.1.ზოგადი მიმოხილვა 207
5.2. საწარმოს გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება) 208
5.3. შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) 212
5.4. გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა) 213
5.5. დირექტორატის როლი რეორგანიზაციის განხორციელების პროცესში 214

6. Business Judgment Rule- როგორც სტანდარტი, თავდაცვითი ღონისძიების ადექვატურობის შეფასებისას 217
6.1. სრული სამართლიანობის ტესტი The test of entire fairnes 220

VII. კრედიტორთა დაცვა 221

1. კრედიტორთა სტატუსი 221
1.1. ნდობის ფონდის დოქტრინა *The Trust Fund Doctrine* 223
1.2. დირექტორის მოვალეობა კრედიტორთა მიმართ 224

2. კრედიტორთა სტატუსი "მეწარმეთა შესახებ" კანონის თანახმად 228
2.1. კრედიტორთა დაცვა რეორგანიზაციის დროს 229

VIII. კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება 231

1. დირექტორის ერთობლივი და პირადი პასუხისმგებლობა 231
1.1. შიდა და გარე პასუხისმგებლობა 239
1.2. ზიანის ანაზღაურება 240
2. დირექტორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვა 242
2.1. დირექტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა 245

IX. დასკვნა 247

ბიბლიოგრაფია 252

აბრევიატურები

ქართულ ენაზე:

გვ· – გვერდი

იხ. – იხილე

იქვ.- იქვე

პარა.- პარაგრაფი

რედ. –რედაქტორი

სუს.- საქართველოს უზენაესი სასამართლო

სს.-სააქციო საზოგადოება

შპს.- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეად. –შეადარე

უცხოურ ენებზე

ALI. - American Law Institute

ARC.- Act Against Restraints of Competition

BJR. -Business Judgment Rule

CSR- Corporate Social Responsibility

Ch.- Chancery

CA.- Companies Act.

IFC.- International Finance Corporation

DGCL -Delaware General Corporation Law

Del. -Delaware

DD- Due Diligence

EUMR. -European Community Merger Control Regulation

Edit.- Editor

Ed.- Edition

M&A- Merers &Acqusition

NYSE- New York Stock Exchange

NASDAQ- National Association of Securities Dealers Automated Quotations

NYSE -The New York Stock Exchange

Para.- Paragraph

RMBCA -Revised Model Business Corporation Act

SEC-Securities and Exchange Commission

SE. -Societas Europaea

Sec.-Section

WBCSD - World Business Council for Sustainable Development

AG – Aktiengesellschaft

BGH- Der Bundesgerichtshof

GmbH- Gesellschaft Mit Beschränkter Haftung

I. შესავალი

"საკორპორაციო სამართალი სტატიკური არ არის, ის აუცილებლად უნდა ვითარდებოდეს და იცვლებოდეს თანამედროვე გამოწვევათა შესაბამისად;"

"Corporate law is not static. It must grow and develop in response to, indeed in anticipation of, evolving concepts and needs"[1]

მნიშვნელოვან ცვლილებათა შედეგად, რომელიც "მეწარმეთა შესახებ" კანონში 2008 წლის მარტში განხორციელდა, ქართული სამეწარმეო კანონმდებლობა მეტნაკლებად მოშორდა გერმანული სამართლის სივრცეს და საერთო სამართლის, უმეტესად აშშ-ს და ინგლისის სამართლისათვის მახასიათებელი რეგულაციებისაკენ გადაიხარა. თუმცა უნდა ითქვას, რომ დღეს საქართველოში მოქმედი კანონი არ წარმოადგენს ამერიკაში და ინგლისში მოქმედი შესაბამისი ნორმების კოპირებას, პირიქით, იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება მათგან და სწორედ ეს განსხვავებები ანიჭებს ორიგინალურობას და საინტერესოს ხდის მას.

როგორც ნაშრომის სათაურიდან ირკვევა, იგი შეეხება დირექტორთა მოვალეობებს კომპანიის მართვის პროცესში, ხოლო საკითხი განხილულია ევროკავშირის აშშ-ის და ქართული სამართლის მაგალითზე. ცხადია, ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის საკორპორაციო სამართლის განხილვა დისერტაციის ფორმატის გათვალისწინებით ვერ მოხერხდება. ვინაიდან სადაოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინგლისს და გერმანიას გააჩნია წარმატებული, პოპულარული და ამავდროულად მნიშვნელოვნად განსხვავებული კორპორაციული მართვის სისტემა, ამ ორ ქვეყანაში არსებული საკორპორაციო რეგულირების განხილვას ნათელ სურათის მოცემა შეუძლია, ვინაიდან შეიძლება ითქვას, რომ სხვა წევრი სახელმწიფოები ძირითადად გერმანიისა და ინგლისის საკორპორაციო სამართლის პრიცნიპებით საზრდოობენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული რეგულეციები განხილულ იქნება ინგლისის და გერმანიის მაგალითზე.

მეთოდოლოგიური პრინციპი კომპარატივისტიკისა სწორედ მის ფუნქციონალურობაში ვლინდება, რაც თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ უნდა მოხდეს, ისეთი ნორმების შედარება ერთმანეთთან, რომლებიც მსგავს ფუნქციებს ასრულებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში შედარებითი ანალიზი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. [2] აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანია შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით წარმოადგინოს ავტორის ხედვა დასმულ საკითხთან დაკავშირებით, მიუთითოს იმ დადებით თუ უარყოფით მხარეებზე რაც შესაძლოა არსებობდეს ქართული საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით და მოახდინოს მათი შედარება აშშ-ში, ინგლისსა და გერმანიაში მოქმედ ნორმებთან.

---

[1] *Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co.,* 493 A.2d 946 (Del. 1985) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/Unocal.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[2] *Zweigert, Kötz,* Introduction to comparative law, ''Clerendon press'', Oxford, 1998, 34.

სასამართლო პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი კულტურის განვითარებისათვის. იგი ძლიერ ზეგავლენას ახდენს კანონმდებლობაზე, ვინაიდან სწორედ მოსამართლე აწყდება ყველა იმ პრობლემას, რომელიც შესაძლოა კანონმდებლის მიერ ნორმის მიღებისას გათვალისწინებული ვერ იქნა, რადგან შეუძლებელია ყველა შემთხვევის წინასწარ განჭვრეტა და მათი დარეგულირება შესაბამისი ნორმების მეშვეობით.

სასამართლოს დანიშნულებას არ წარმოადგენს მხოლოდ არსებული ნორმების გამოყენება. მოსამართლეს უხდება ამ ნორმების მისადაგება არსებული შემთხვევების მიმართ და შესაბმისად დიდად არის მასზე დამოკიდებული თუ როგორ განმარტავს და რა სახით გააცოცხლებს მას. კორპორაციული მართვის სისტემის განვითარებას სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.[3] სწორედ ამიტომ ნაშრომში შეძლებისდაგვარად მრავლად იქნება გამოყენებული სასამართლო პრაქტიკა, რაც თავის მხრივ პრაქტიკულ მნიშვნელობას შესძენს მას. სამწუხაროდ, ქართული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მწირია, რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია.

კომპანიის მართვის პროცესში დირექტორატის მოვალეობების განხილვისას, შეუძლებელია გვერდი აურო საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკას და გამოცდილებას, ვინაიდან დირექტორთა მოვალეობების ტრიადა, ზრუნვის *(Duty of Care)* ერთგულებისა *(Duty of Loyalty)* და კეთილსინდისიერების *(Good Faith)* მოვალეობები სწორედ მათგან იღებს სათავეს.[4]

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დელავერის შტატში (აშშ) განვითარებულმა სამეწარმეო სამართალმა უდიდესი გავლენა იქონია ზოგადად სამართლის ამ დარგზე და ეს გავლენა აშშ-ს ფარგლებს გასცდა. უფრო მეტიც, აქ ჩამოყალიბდა შესანიშნავი პრაქტიკა დირექტორატის მოვალეობებთან დაკავშირებით, რომელმაც შემდგომში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჰპოვა ასახვა.

საწარმოთა შერწყმისა და საკონტროლო პაკეტის გასხვისების პროცესში დირექტორთა მოვალეობების გაანლიზება კორპორაციული მართვის პრინციპების განხილვის გარეშე შეუძლებელია. კორპორაციული მართვა და მასში შემავალი ცალკეული საკითხები თანამედროვე კერძო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა.

კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პრობლემები დანარჩენ მსოფლიოზე არანკლები სიმძაფრით უკვე საქართველოშიც იგრძნობა. საბანკო და სადაზღვევო ინფრასტრუქტურის განვითარება და მსხვილი უცხოური კაპიტალდაბანდებები ქართულ ბიზნესში დღის წესრიგში აყენებს კორპორაციების მენეჯმენტის საქმიანობის კონტროლის აუცილებლობას.

კორპორაციული მართვა- *Corporate Governance*, უნდა პასუხობდეს კითხვაზე ვინ წყვეტს, რას და რა პირობებში. უფრო კონკრეტულად, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში

---

[3] *Cox*, How Delaware Law Can Support Better Corporate Governance, (PP.335-350) in: Kieff, Scott. F. Paredes Troy.A. (Editors) Perspectives on Corporate Governance, Cambridge University Press, New York, 2010, 349-350.

[4] *Hamilton,* The law of corporations, Fifth Ed, St. Paul, 2000, 446.

მიღებული გადაწყვეტილების გამო.[5]

ვისაც უკეთესი კორპორაციული მართვის სისტემა აქვს, მთელი თავისი ფინანსური, ეკონომიკური და პოლიტიკურ-სოციალური შედეგებით, *ceteris paribus* (თანაბარ პირობებში) წარმატებას აღწევს რეგიონალურ, ევროპულ თუ გლობალურ კონკურენციაში.[6]

კორპორაციული მართვის ეფექტური მოდელის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა წარმატებული ბიზნესის შესაქმნელად. კორპორაციული მართვა კომპლექსური კატეგორიაა და კომპანიის მართვის სხვადასხვა (ფინანსური, იურიდიული, მარკეტინგული) ასპექტებს მოიცავს.

ცხადია, სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადი ყურადღება კორპორაციული მართვის სამართლებრივ ასპექტებზე გამახვილდება. კომპანიის საქმიანობის კეთილსინდისიერად და გულისხმიერად გაძღოლა, როგორც დირექტორების მოვალეობა, კორპორაციული მართვის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს.[7]

საქართველოში კორპორაციული მართვის კულტურა საკმაოდ დაბალია, სამწუხაროდ არც სათანადო სასამართლო პრაქტიკა არსებობს. შესაბამისად, შედარებითსამართლებრივი ანალიზი ამერიკისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე, ნათელს გახდის საქართველოში არსებულ პრობლემებს და ხელს შეუწყობს მათ აღმოფხვრას. ცოდნა იმისა თუ რაშია პრობლემა, პირველი გადადგმული ნაბიჯია მის აღმოსაფხვრელად.

კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას დირექტორთა პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მსგავსი ოპერაციების განხორციელებისას დირექტორატი *(board)* გადამწყვეტ როლს თამაშობს. დირექტორებს აქვთ რეალური შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ კომპანიისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებაზე.

მსგავსი სცენარი ქართულ რეალობაში ნაკლებად წარმოსადგენია, ვინაიდან ''მეწარმეთა შესახებ'' კანონის მე-9[1] და 54-ე მუხლების თანახმად, საკონტროლო პაკეტის გასხვისება ან სხვა კომპანიასთან შერწყმა პარტნიორების (აქციონერების) კომპეტენციაა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ რეალობაში ნელ-ნელა იკიდებს ფეხს აქციების მსხვილ საფონდო ბირჟებზე გატანის ტენდენცია, რაც მეწარმეთა კანონში შემდგომი ცვლილებების ბიძგი შეიძლება გახდეს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსხვილ საფონდო ბირჟებზე მოვაჭრე ინვესტორებს (ე.წ. "ინსტიტუციური ინვესტორები") არ შეუძლიათ აქციებთან დაკავშირებული მსხვილი ტრანზაქციების ისეთი ინტენსივობით გაკონტროლება, როგორც ეს ე.წ. დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებების შემთხვევაშია შესაძლებელი. დახურულ სააქციო საზოგადოებაში აქციონერთა როლი დიდია, ვინაიდან მათ აქვთ საკმარისი დრო და რესურსი კომპანიის მენეჯმენტის კონტროლისათვის,

---

[5] *Cox,* How Delaware Law Can Support Better Corporate Governance, (PP.335-350) in: Kieff, Scott. F. Paredes Troy.A. (Editors) Perspectives on Corporate Governance, Cambridge University Press, New York, 2010, 340-341.

[6] *Hopt,* Corporate Governance in Europa: neue regelungsaufgaben und Soft Law (in:P Doralt,S.kalss, Hrsg; Corparate Governance, Der Gesellschafter (GesRZ) Sonderheft, Wien (Linde) 2002,S. 4-13.

[7] *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ საქართველოს კომენტარი, 2002 წ.

რასაც ინსტიტუციურ ინვესტორები ვერ ახერხებენ. ისინი დაინტერესებულნი არიან არა იმდენად კომპანიის მათი "ძალაუფლების" ქვეშ ყოფნით, არამედ დივიდენდის სახით მეტი მოგების მიღებით. ასეთ დროს, ისინი მაქსიმალურად დამოკიდებულნი ხდებიან მენეჯმენტზე და მათგან მიღებულ ინფორამციაზე. ამიტომ არის რომ კორპორაციული მართვის ხარისხი და დონე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია, რის მიხედვითაც ინსტიტუციური ინვესტორები იღებენ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ კომპანიის აქციების შესყიდვის შესახებ.

ინსტიტუციური ინვესტორები ისეთი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას, როგორიცაა შერწყმა და საკონტროლო პაკეტის გასხვისება, მენეჯმენტთან სათანადო კონსულტაციების გარეშე ვერ შეძლებენ. გადაწყვეტილება ინფორმაციის საფუძველზე მიიღება და ამ ინფორამციის საუკეთესო წყარო დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან. შესაბამისად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეკითხვა, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომმა პასუხი უნდა გასცეს იქნება, რამდენად რეკომენდირებულია საქართველოში დირექტორთა გავლენის ზრდა და მათი გავლენის ლეგიტიმაცია კანონში ცვლილებების შეტანის გზით.

დირექტორები ხშირად ხდებიან თავდასხმის ობიექტი აქციონერთა მხრიდან, რაც თავის მხრივ აბრკოლებს მათ მიიღონ ეფექტური გადაწყვეტილება. შესაბამისად კარგი კანონმდებლობა და კორპორაციული მართვის მოდელი უნდა არეგულირებდეს ურთიერთობას აქციონერებსა და დირექტორებს შორის, უნდა არსებობდეს ბალანსი დირექტორთა პასუხისმგებლობასა და მათ უფლებას შორის, მიიღონ სარისკო და მოქნილი გადაწყვეტილება იმ რწმენით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სასარგებლოა კომპანიისათვის.[8]

დირექტორის უმთავრესი მოვალეობაა კეთილსინდისიერად მართოს საწარმო. საწარმოს ხელმძღვანელობა გულისხმობს კომპეტენტური მენეჯმენტის გონივრულ შექმნას, რომელიც შეიმუშავებს საწარმოს პოლიტიკას და ხელძღვანელობის უმაღლესი რგოლია[9]. შესაბამისად, ხელმძღვანელთა ნიჭსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული თუ რამდენად რენტაბელური იქნება კონკრეტული საწარმო.[10]

საწარმოს მართვის ორგანოთა სტრუქტურა, მათი შემადგენლობა და ფორმირების წესი დიდ გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე, ამიტომ მართვის ორგანოებმა (სადაც პირველ რიგში რა თქმა უნდა დირექტორატი მოიაზრება) უნდა უზრუნველყონ მაქსიმალური დემოკრატიზმი, პარტნიორთა ინტერესების დაცვა და მმართველობითი გადაწყვეტილებების განუხრელი შესრულების რეალიზაცია.[11]

სადისერტაციო ნაშრომში დირექტორატის მოვალეობები განხილულია სააქციო საზაგადაოების და შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების მაგალითზე. როგორც წესი, დირექტორები საკვანძო გადაწყვეტილების მიმღები პირები არიან როგორც დახურული, ასევე ღია ტიპის კომპანიებში. სადისერტაციო ნაშრომი სწორედ კაპიტალზე

[8] *Mitchel,* The Trouble With Board (PP.17-61) in: Kieff, Scott. F. Paredes Troy.A. (Editors) Perspectives on Corporate Governance, Cambridge University Press, New York, 2010, 59.

[9] *ქოქრაშვილი,* სამეწარმეო სამართალი, გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2005 103.

[10] *იქვე.* 103.

[11] *იქვე.* 101-102.

დაფუძნებული კომპანიის კორპორაციულ მართვას და დირექტორთა მოვალეობებს ეხება. დირექტორები წარმოადგენენ მთავარ, საკვანძო გადაწყვეტილების მიმღებებს და აღნიშნული ფაქტი სწორია როგორი სახის კომპანიასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, იქნება ეს ღია თუ დახურული ტიპის კომპანია.[12]

სააქციო საზოგადოება (სს) ძირითადად იქმნება დიდი ოდენობის კაპიტალის მართვის მიზნით და როგორც წესი, ახასიათებს აქციონერთა სიმრავლე. მაშინ, როდესაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) შედარებით მარტივ ფორმას წარმოადგნს. სს-ის მიმართ ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში შეადერბით უფრო რთული საკანონმდბელო მოთხოვნები არსებობს, რაც დაცული უნდა იქნეს, რათა მისი საქმიანობა კანონმდებლობასთან შესაბამსობაში მოვიდეს. ასევე დამატებითი მოთხოვნები წარმოიშობა თუკი კომპანიას სურს საფონდო ბირჟაზე განათავსოს აქციები საჯაროდ ვაჭრობისთვის. ასეთ შემთხვევაში, იმ კონკრეტული საფონდო ბირჟის (მაგალითად, ნიუ იორკის საფონდო ბირჟა, *The New York Stock Exchange - NYSE* თუკი აქ სურს აქციების განთავსება კომპანიას) მოთხოვნები უნდა იქნეს დამატებით დაცული, სადაც განიზრახავს ეს უკანასკნელი საკუთარი აქციების განთავსებას.

შპს-ს როგორც წესი ჰყავს პარტნიორების მცირე რაოდენაობა, რომლებიც გაცილებით მეტ როლს ასრულებენ კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, ვიდრე სს-ის აქციონერები. მისი აქციები საჯაროდ სავაჭროდ არ დაიშვება, თუკი შპს მოისურვებს უფრო გლობალური საქმიაობის განხორციელებას, დიდი ოდენობით ინვესტიციების მოზიდვას, თანხების განკარგვას და აქციების განთვასებას საფონდო ბირჟებზე, მაშინ მას მოუწევს შეიცვალოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და გახდეს სააქციო საზოგადოება. აღნიშნულის გათვალისწინებით, გერმანული შპს *(Gesellschaft Mit Beschrankter Hochachtung -GmbH)* შეიძლება შევადაროთ ამერიკულ დახურული ტიპის კორპორაციას *(Close Corporation)* [13] იგივე შეიძლება ითქვას ქართულ შპს-ზეც.

მიუხედავად ამ ორი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის კომპანიის მიერ საბაზრო ეკონომიკაში შესრულებული სხვადასხვა ფუნქციისა, მათ სავალდებულო ორგანოს წარმოადგენს დირექტორატი. ხოლო დირექტორთა მოვალეობანი ამ კომპანიებში მნიშვნელოვნად არ განხვავდება, (როგორც შპს-ის, ისე სს-ის დირექტორატს გააჩნიათ კომპანიაზე ზრუნვისა და ერთგულების ძირითადი მოვალეობანი) თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ სს-ის დირექტორებს მოთხოვნების უფრო მაღალი სტანდარტი წაეყენებათ ვიდრე შპს-ის დირექტორებს. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან, როგორც წესი, სს-ის დირექტორებს უფრო დიდ კაპიტალთან უხდებათ შეხება და უფრო რთულ გარიგებებში მონაწილეობენ, შპს-ს დირექტორებთან შედარებით.

კომპანია შექმნილია კანონმდებლობის შესაბამისად და არსებობს დამოუკიდებლად, გააჩნია საკუთარი უფლებანი და მოვალეობანი. კომპანია წარმოადგენს ხელოვნურად შექმნილ "პიროვნებას", *(Coporations*

[12] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 1.

[13] *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 2.

are artificial entities "invisible, intangible and existing only in contemplation of law [14] *.)* რომელიც თითქმის ისევე მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც ამას ფიზიკური პირი აკეთებს. რა თქმა უნდა, არსებობს განსაზღვრული საკითხები, რასაც კომპანია ვერასოდეს შესძლებს, [15] მაგრამ მას შეუძლია განახორციელოს კომერციულ აქტივობათაგან ყველაფერი ის, რისი გაკეთაბაც ფიზკურ პირს ხელეწიფება.[16]

კომპანიას ასევე არ გააჩნია სიცოცხლისათვის განსაზღვრული დრო, მას შეუძლია განაგრძოს არსებობა მისი თავდაპირველი დამფუძნებლების გარდაცვალების შემდეგაც, იგი შესაძლოა გასხვისებულ იქნეს და ა.შ. ეს ყველაფერი კი გამოწვეულია იმით, რომ კომპანიას დამოუკიდებელი იურიდიული პასუხისმგებლობა ახასიათებს. ამიტომ აქციონერთა პირად ქონებას კავშირი არ გააჩნია კომპანიასთან და ეს უკანასკნელი, არ ატარებს პასუხისმგებლობას მათ გამო წორმოშობილ ვალდებულებებზე.[17]

საკორპორაციო კანონმდებლობის შესაბისად შექმნილ კომპანიათა უმრავლესობას მთელ მსოფლიოში და შესაბამისად ევროპაში ამერიკასა თუ საქართველოში, ახასიათებს ხუთი ძირითადი ნიშანი. ესენია:

- სამართალსუბიექტურობა
- შეზღუდული პასუხისმგებლობა
- ქონებისა თუ წილის გასხვისებაუნარიანობა
- ცენტრალური მმართველობა დირექტორატის მიერ
- აქციების ინვესტორთა (აქციონერთა) საკუთრებაში არსებობა.[18]

აქციონერები არიან პირები, რომლებიც ფლობენ კომპანიას, ხოლო დირექტორები კი მართავენ მას. დირქტორები არინ აქციონერთა წარმომადგენლები კომპანიის მართვის პროცესში და როგორც წესი, მათ მიერ განხორციელებულ ინვესტიციას იყენებენ კომპანიის საკეთილდღეოდ.[19]

დირექტორები საქმიანობის პროცესში უამრავ ფუნქციას ასრულებენ. მათი არსებობის გარეშე კომპანიის მართვა ფაქტიურად შეუძლებელია. მსოფლიოში არ არსებობს კორპორაციული მართვის სისტემა ან საკორპორაციო კანონმდებლობა, რომელიც არ ითვალისწინებდეს დირექტორის ან/და დირექტორატის როგორც ორგანს არსებობას საწარმოს სისტემაში.

განურჩევლად იმისა, მონისტური (ერთ საფეხურიანი) თუ დუალისტური (ორ საფეხურიანი) მმართველობის სისტემა აქვს საწარმოს, დირექტორატი მაინც აუცილებელ ორგანოს წარმოადგენს. გადაჭარბების

---

[14] *Dartmouth College v. Woodward* 17 U.S. Supreme Court (4 Wheat.) 518 (1819) ხელმისაწვდომიაhttps://www.princeton.edu/~achaney/tmve/wiki100k/docs/Dartmouth_College_v._Woodward.html, (ბოლოს გამოხმობილია 07.05.2014)

[15] მაგალითად იგი ვერ დაქორწინდება, ვერასოდეს ჩაიდენს ისეთ დანაშაულს როგორიცაა გაუპატიურება, ვერ დატოვებს ანდერძს და ა..შ.

[16] *Grier,* UK Company Law, John Wily & Sons Ltd, West Sussex, 1998,1.

[17] *Grier,* UK Company Law, John Wily & Sons Ltd, West Sussex, 1998,1.

[18] *Kraakman, Hansmann,* What is a Corporation, in: The Anatomy of Corporate Law, Oxford University Press, New York, 2004, 5. იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ.215, ასევე საქართველს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24.

[19] *Grier,* UK Company Law, John Wily & Sons Ltd, West Sussex, 1998,P.338

გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დირექტორატის საშუალებით ახორციელებს კომპანია საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. შესაბამისად, დირექტორატი უზრუნველყოფს მისი სამართალსუბუექტრუობის რეალიზებას. ეს ორგანო ხელოვნურად შექმნილი "პიროვნების" მაცოცხლებელი ძალაა.

II. ვინ შეიძლება იქნეს მიჩნეული დირექტორად

კომპანიის მართვის პროცესში დირექტორთა ფუქცია-მოვალეობების განხილვამდე, მიზანშეწონილია განისაზღვროს ვინ არიან მიჩნეულნი დირექტორებად, ვის ეხება ან შეიძლება შეეხოს ის მოთხოვნები და რეგულაციები, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დადგინდეს პირთა წრე ვინც მოიაზრება სიტყვა "დირექტორის" ქვეშ. ვინაიდან პასუხისმგებლობა თუ უფლება-მოვალეობანი სწორედ აღნიშნულზეა დამოკიდებული.

დრექტორის პოზიციის დაკავებამდე პირს კარგად უნდა ესმოდეს რა უფლებები და ვალდებულებები გააჩნია მას. ვის მიმართ არის ვალდებული და რას გულისხმობს კონკრეტულად ეს ვალდებულება. ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს, რომ მკითხველმა ამ კითხვებზე პასუხის პოვნა შეძლოს მისი სრულად გაცნობის შემდეგ.

კომპანიათა შესახებ აქტის *(Companies Act. 2006)* 250-ე მუხლის თანახმად, "ნებისმიერი პირი, რომელიც იკავებს დირექტორის პოზციას, მოიაზრება სიტყვის "დირექტორი" ქვეშ, რა სახელითაც არ უნდა მოიხსენიებოდეს იგი".[20] *("Director" includes any person occupying the position of director, by whatever name called. CA 2006, Sec.250)* შესაბამისად, ცხადია, რომ საკორპორაციო კანონმდებლობისათვის მთავარი არ არის, რომ პირი დირექტორად იწოდებოდეს, არამედ განმსაზღვრელი ფაქტორია ასრულებს თუ არა იგი დირექტირის ფუნქციას კომპანიაში. [21]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოსათვის მნიშვნელოვანი არ არის იწოდება თუ არა პირი დირექტორად, არამედ იგი შეისწავლის ამ პირის მოქმედების სუბსტანციას, შინაარსს, რათა დაადგინოს იკავებს თუ არა პირი დირექტორის პოზიციას.[22]

სამწუხაროდ არ არსებობს სამართლებრივი განმარტება, თუ რას ნიშნავს "დირექტორის პოზციის ფლობა, დირექტორის ფუნქციის შესრულება[23]". აღნიშნული უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

ბრიტანეთის საკორპორაციო კანონმდებლობა [24] სამი სახის დირექტორს იცნობს:

---

[20] *CompaniesAct2006*,Para:250,ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :19.05.2014)

[21] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007, 4.

[22] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 54.

[23] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007, 4.

[24] *Companies Act. 2006*

- დე იურე *(De Jure)*
- დე ფაქტო *(De Facto)*
- ჩრდილში მდგომი*(Shadow)*

კომპანიას ასევე შეიძლება ჰყავდეს *ალტერნატიული დირექტორი, (Alternate Director)* რომელიც დროებით ასრულებს დირეტორის ფუნქციას სამსახურში არ მყოფი (ავადმყოფობის ან სხვა გადაუდებელ გარემობათა გამო) დირექტორის ნაცვლად. მას დელეგირებული აქვს ფუნქციები თავად ამ უკანასკნელის მიერ. ალტერნატიული დირექტორის დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამას კომპანიის წესდება პირდაპირ ითვალისწინებს.[25]

ალტერნატიულ დირექტორს გააჩანია ყველა ის უფლებამოსლება, რაც მის დასახელებულ პოზიციაზე წარმდგენს. იგი მონაწილეობს დირექტორატის გადწყვეტილებაში და ისევეა ვალდებული კომპანიის მიმართ, როგორც დირექტორი, ვისაც წარმოადგენს. იგი პირადად არის პასუხისმგებელი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის. ალტერნატიული დირექტორი არ არის უფლებამოსილი იმოქმედოს მისი წარმდგენი დირექტორის პარალელურად, მას უფლებამოსილება აქვს მხოლოდ წარმდგენი დირექტორის არყოფნისას. წარმდგენი დირექტორის სამსახურში დაბრუნების ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ალტერნატიული დირექტორის უფლებამოსილება ავტომატურად წყდება.[26]

თუკი ალტერნატიული დირექტორი დანიშნულია დირექტორის მიერ, *ნომინირებული დირექტორი (Nominee Director)* წარმოადგენს *დე იურე* დირექტორს, [27] რომლიც პოზიციაზე დანიშნულია აქციონერის ან შესაძლოა, ძირითადი კრედიტორის მიერ. [28] აქციონერს დირექტორის ნომინირების უფლება შეიძლება ქონდეს მის საკუთრებაში არსებული აქციების ოდენობის გათვალისწინებით, ან აქციონერთა შეთანხმების საფუძველზე. ნომინირებულ დირექტორს არ გააჩნია რაიმე სახის განსაკუთრებული ვალდბულება ნომინატორის მიმართ, მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ იგი ამ უკანასკნელის მიერ იქნა ნომინირებული პოზიციაზე. თუკი ნომინირებული დირექტორი იმოქმედებს ნომინატორის ინსტრუქციების და ინტერესების შესაბამისად, კომპანიის მიმართ არსებულ ვალდებულებათა დარღვევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.[29]

დე იურე (De Jure) დირექტორი არის პირი, რომლიც მოქმედი კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების შესაბამისად არჩეულია (დანიშნულია) დირექტორის პოზიციაზე.[30]

პირი დირექტორად მიიჩნევა და წარმოეშობა კანონმდებლობით დადგენილი ფიდუციური ვალდებულებები მიუხედავად იმისა, ეწოდება თუ არა მას დირექტორი, თუკი იგი იგივე ფუნქციებს ასრულებს რაც დირექტორს ევალება. მართალია კომპანიათა შესახებ აქტი არ იცნობს *დე ფაქტო* დირექტორის ცნებას, მაგრამ დიდი ბრიტანეთის

[25] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007, 5.
[26] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 64.
[27] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 P.5
[28] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 65.
[29] *იქვე.*65.
[30] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007,5.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ პირი, რომლიც ფაქტიურად დირექტორის ფუნქციებს ასრულებს, სამართლის მიერ მიჩნეულ იქნება როგორც კანონმდებლობის შესაბამიად დანიშნული დირექტორი და მას წარმოეშობა ფიდუციური ვალდებულებანი კომპანიის მიმართ.[31] *(De Facto Director)*[32]

ჩრდილში მდგომი დირექტორი *(Shadow Director)* არის პირი, რომლის მითითებისა და რეკომენდაციების მიხედვითაც, როგორც წესი, დირექტორები რეალურად მართავენ კომპანიას. [33] პირი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჩრდილში მდგომ დირექტორად, მხოლოდ იმის გამო, რომ კომპანიის ხელმძღვანელმა გდაწყვეტილება მიიღო მისი პროფესიული რჩევის შესაბამისად.[34]

დე ფაქტო და *ჩრდილში მდგომ* დირექტორს შორის განსხვავება არსებობს, კერძოდ, *დე ფაქტო* დირექტორი მოქმედებს როგორც დირექტორი და იგი აღიქმება მეამე პირებისა და თავად კომპანიის მიერაც როგორც დირექტორი, (იძლევა მითითებებს, მონაწილეობს ბორდის გადაწყვეილბის მიღებაში, საკუთარ თავს მოიხსენიებს დირექტორად[35]) მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის თანახმად ამ პოზიციაზე არასოდეს ყოფილა არჩეული. ხოლო *ჩრდილში მდგომი* დირექტორები კი ძირითადად *დე იურე* დირექტორების ზურგს უკან მოქმედებენ, ისინი ამოფარებულნი არიან კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული დირქტორების ზურგს და თავად არასოდეს მოქმედებენ და არც აღქმულნი არაინ როგორც დირექტორები. შესაბამისად, გაცილებით მარტივია *დე ფაქტო* დირქტორის გამოვლენა *ჩრდილში მდგომ* დირექტორთან შედარებით.

დე ფაქტო მმართველობის ორგანოს არსებობას იცნობს გერმანიის იურიდიული ლიტერატირა და სასამართლო პრაქტიკაც *(Faktischen Organen)* რომლის თანახმადაც, პირს რომელიც ფაქტიურად მოქმედებს როგორც მმართველობის ერთ-ერთი ორგანოს წევრი, თუმცა ამ პოზიციაზე დანიშნული არასოდეს ყოფუილა, გააჩნია იგივე ვალდბულება რაც კანონმდებლობის შესაბამისად ამ პოზიციაზე დანიშნულ პირს.[36]

დე ფაქტო დირექტორის ინსტიტუტს იცნობს ასევე აშშ-ის სამრთალიც, სადაც ასეთად მიჩნეულია პირი, რომელიც არ არის არჩეული პოზიციაზე დადგენილილი წესების შესაბამისად, ან მოხსენიებული არ არის როგორც დირექტორი.[37] ასეთი პირის მიმართ, ჩვეულებრივ, მოქმედებს დირექტორის მიმართ არსებული მოთხოვნები

---

[31] *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 90.

[32] *იხ. ასევე. Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 56.

[33] *CompaniesAct2006*,Para:251(1),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :02.05.2014)

[34] *CompaniesAct2006*,Para:251(2),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :02.05.2014)

[35] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 56.

[36] *Neville , Sorenson, (Edit)* Company Law and SMEs, Thomson Reuters Professional, Copenhagen, 2010, 146.

[37] *Neville , Sorenson, (Edit)* Company Law and SMEs, Thomson Reuters Professional, Copenhagen, 2010, 148.

ფიდუციურ ვალდებულებათა შესახებ.[38]

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, დირექტორად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც არსებობს დამოკიდებულება, როგორც დირექტორის მიმართ და იგი ფუნცქციურად დირექტორის მოვალეობებს ასრულებს, თუნდაც რომ კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესის დაცვით, ოფიციალურად არ იყოს დანიშნული ამ პოზიციაზე. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს ბრიტანეთის კომპანიათა შესახებ აქტის, გერმანიისა და აშშ საკორპორაციო სამართლის მარეგულირებლი ნორმებიდან და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინადიან ისეთი პირიც ხვდება საკანონმდებლო რეგულირების სფეროში, რომელიც *დე იურე* არასოდეს ყოფილა არჩეული დირექტორის პოზიციაზე და შესაძლოა ამ ფაქტის გამო გაუჩნდეს ილუზია, რომ თავს აარიდებს პასუსიხმგებლობას.

ცხადია ზემოაღნიშნულ რეგულრებას პრევენციული მნიშვნელობაც აქვს და იგი უდავოდ მოახდენს გავლენას გადაწყვეტილების მიმღებზე, პირზე, რომელიც არ არის დირექტორი, მაგრამ სრულად ხვდება პასუხისმგებლობათა იმ განზომილებაში რაც *დე იურე* ამ პოზიციის მფლობელზე ვრცელდება.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9.1. მუხლის თანახმად სს-ში და შპს-ში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს. ხელმძღვანელობა გულისხმობს კომპანიის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობა კომპანიის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობა გულისხმობს წარმომადგენლობასაც. [39] ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მმართველი ორგანოს წარმოადგენს დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნული დირექტორები ან/და სამეთვალყურეო საბჭო.[40]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ: "დირექტორი არის „მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო, ე.ი დადოს საწარმოს სახელით ხელშეკრულება."[41]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს დირექტორთა დაყოფას *დე იურე, დე ფაქტო* და *ჩრდილში მდგომ* დირექტორებად და მხოლოდ *დე იურე* დირექტორს აღიარებს. რის გამოც შესაძლოა გარკვეულ სირთულეები წარმოიშვას *დე ფაქტო* და *ჩრდილში მდგომი* დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით.

შესაბამისად, კარგი იქნება თუ მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის გზით დარეგულრიდება აღნიშნული, პრაქტიკული

---

[38] *Delaware Corporation law Annootated,* 2013-2014 Ed, As amended up to and including the 2013 Regular Session of the One Hundred Forty-Seventh General Assably, Lexis, Nexis, Delaware, 2013,48., Drob v. National.Mem.Park. Del.ch.254, 41, A.2d. 589 (1945)

[39] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მული: 9.2. 9.3.

[40] "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველო კანონი, მუხლი: 2.22

[41] სუს 2014 წლის 25 მარტის № ას-495-471-2013 გადაწყვეტილება/განჩინება

მნიშვნელობის მქონე, საკითხი. ხოლო ცვლილებების განხორციელებამდე რეკომენდირებულია ქართულმა სასამრთლომ დაადგინოს იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ფაქტიურად უძღვებოდნენ კომპანიას ან რომელთა მითითებების შესაბამისადაც ხდებოდა გადაწყვეტილებათა მიღება, თუკი ასეთ შემთხვევაში *დე იურე* დირექტორის პასუხისმგებლობა დადგებოდა. ამ გზით სასამართლოს ექნება საშუალება გახდეს მეტად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების ბიძგის მიმცემი.

III. კორპორაციული მართვა Corporate Governance

კორპორაციული მართვის კვანტიფიკაცია (რიცხვებში გამოხატვა) რთულია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს კონკურენტულ უპირატესობას. [42] ***სწორედ ამიტომ, ინვესტორები მზად არიან გადაიხადონ პრემიალური თანხა მასში.*** [43]

1. მნიშვნელობა და აქტუალურობა

საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიურად ზრდისა და განვითარების კვალდაკვალ, მაშინ, როდესაც აქციონერებს უმრავლეს შემთხვევაში ინსტიტუციური ინვესტორები წარმოადგენენ, შეუძლებელია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობა აქციონერებმა მართონ. აღიშნული, გარდა იმისა, რომ მოითხოვს დროს და სათანადო ცოდნას, ასევე დაკავშირებულია ფინანსებთანაც. ამიტომ აქციონერთა კრება ანიჭებს უფლებასმოილებას დირექტორატს მართოს საწარმო, ხოლო კორპორაციული მართვის სხვადასხვა მოდელები იმიტომ შეიქმნა, რომ ეს ურთიერთობები დაარეგულიროს.

კორპორაციული მართვის სტრუქტურა საშუალებას აძლევს კომპანიას უფრო ეფექტურად იყოს მართული მისი ყოველდღიური საქმიანობა. კორპორაციული მართვის ამ სისტემის უპირატესობა დავას არ იწვევს, თუმცა, მას აქვს ნაკლოვანებები და მთავარ მიზანს სწორედ ნაკლოვანებების აღმოიფხვრა ან შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე დაყვანა წარმოადგენს.

1992 წლის 1 დეკემბერს, ბრიტანეთში, გამოქვეყნებულ იქნა სერ ადრიან ქედბერის რეპორტი, (*Cadbury Report* [44]) რომლის თანახმადაც, კორპორაციული მართვა განმარტებულია როგორც "სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება კომპანიის მართვა და კონტროლი." [45] კორპორაციული მართვის ამ განმარტებამ გაუძლო დროის გამოცდას და

[42] *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 34.
[43] *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 35.
[44] რეპორტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია : http://www.jbs.cam.ac.uk/cadbury/report/ (ბოლოს გამოხმობილია:13.05.2014)
[45] *The Cadbury Report* on the Financial Aspects of Corporate Governance ხელმისაწვდომია: http://www.jbs.cam.ac.uk/cadbury/report/ (ბოლოს გამოხმობილია:13.05.2014)

იგი ყველაზე პოპულარული და ფართოდ გამოყენებადი განმარტებაა.[46]

მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციული მართვის ერთიანი უნიფიცირებული დეფინიცია არ არსებობს, ნათელია რომ მსოფლიოში ცნობილი განმარტებანი, სერ ადრიან ქედბერის მიერ 1992 წელს წარმოთქმული ზემოთმოყვანილი დეფინიციის დაზუსტებას წარმოადგენენ.

დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, კორპორაციული მართვა არის კომპანიის მართვისა და კონტროლის ერთიანი სისტემა. დირექტორატი პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე. აქციონერთა როლი კორპორაციულ მართვაში წარმოადგენს დირექტორებისა და აუდიტის წევრების დანიშვნას. დირექტორატი ვალდებულია უზრუნველყოს კომპანიის ეფექტური მართვა, ზედამხედველობა გაუწიოს დასახული ბიზნესგეგმების შესრულებას და საქმის გარემოების სრულყოფილად ცოდნის საფუძველზე, წარმოადგინოს სრული ინფორმაცია აქციონერთა კრებაზე.[47]

კორპორაციული მართვა შესაძლოა განიმარტოს როგორც იმ საშულებებისა და პროცესების ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც კომპანია ოპერირებს, რეგულირებულია მისი საქმიანობა და კონტროლი.[48]

კორპორაციული მართვის დეფინიციასთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, აშკარაა, რომ უკანასკნელ წლებში ის გახდა ინტენსიური განსჯის საგანი, როგორც პრაქტიკოს იურისტებში, ასევე აკადემიურ წრეებში და მიჩნეულია, რომ ქვეყანაში კორპორაციული მართვის სრულყოფილი მექანიზმების არსებობა, მნიშვნელოვნად ზრდის მის მიმზიდველობას პოტენციური ინვესტორებისათვის[49].

კომპანიის მიზნები დროთა განმავლობაში იცვლება გარემო-პირობების, შიდა ორგანზიაციის ცვლილების პარალელურად. შესაბამისად, იცვლება ის რისკებიც, რომლის წინაშეც კომპანია დგას. სწორედ ამიტომ, შიდა კორპორაციული კონტროლის საიმედო სისტემის შექმნა დამოკიდებულია კომპანიის საქმინობისა და იმ რისკების სრულყოფილ და ეფექტურ შესწავლაზე, რომლის წინაშეც კომპანია დგას. კომპანიის მოგება წარმოადგენს, "ჯილდოს" რისკების სწორად მართვისათვის. შიდა კონტროლის მიზანს წარმოადგენს რისკების ეფექტირი და სწორი მართვა და არა მათი სრულად გამორიცხვა მართვის პროცესიდან.[50]

კომპანია არ წარმოადგენს მხოლოდ აქციონერთა სიმდიდრის გაზრდის საშუალებას, არამედ ის არის საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, თავისი სოციალური მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით. სწორედ ამიტომ, დირექტორებს გააჩნიათ ვალდებულება არა მხოლოდ

---

[46] *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 2.

[47] www.frc.org.uk.-The UK Corporate Governance Code.

[48] *Berle, Means in:* "Modern Corporation and Private Property" მითითებულია: *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013,42. მიხედვით

[49] *Lazarev*, „On Cartain Issues of The Modern Corporate Governance Reform In Russia'' (2006)I.C.C.L.R vol, 17, #5 p 143, მითითებულია: *ჯანჯალია ბ.,* IFC/Intenacionale Finance Corporation, კორპორატიული მართვა, ყოველკვარტალური ბიულეტენი, №11 ოქტომბერი-დეკემბერი, 2007, 16-17.

[50] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 38.

აქციონერების არამედ ზოგადად კომპანიის მიმართ.[51]

კორპორაციული მართვის უმთავარეს ამოცანას წარმოადგენს დააბალანსოს უფლება-მოვალეობები რომლებიც წარმოიშობა კომპანიაში საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნის შედეგად. კერძოდ, კომპანიაში გამიჯნულია საკუთრება და მართვა (კონტროლი) ვინაიდან, როგორც წესი, მესაკუთრეები არ წარმოადგენენ დირექტორებს, ანუ მმართველ ორგანოს. მეასკუთრეთა მხრიდან კოპანიის მართვა "მინდობილია" დირექტორებზე. აღნიშნული გარემოება კი წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს "მინდობილ მესაკუთრესა" და "საკუთრების მიმნდობს" შორის, რასაც ეკონომისტები მოიხსენიებენ როგორც პრინციპალის და აგენტის პრობლემას. [52]*(Principle agency problem)*

თანამდროვე კომპანიებს შემუშავებული აქვთ (უნდა ქონდეთ) შიდა და გარე კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყონ გამართული კორპორაციული მართვა. შიდა ზედამხედველობა და კონტროლი, როგორც წესი, ხორციელდება დირექტორატის მიერ, ხოლო გარე კონტროლს კი დამოუკიდებელი აუდიტი ახორციელებს, რომლიც ახდენს დირექტორატის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, აქციონერთათვის და სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის მომზადებული ინფორმაციის სისწორის დადასტურებას.[53]

კორპორაციული მართვა, ფინასნურ ინდიკატორებთან ერთად წარმოადგენს ინვესტორისათვის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო უმნიშველოვანეს ფაქტორს. კარგი კორპორაციული მართვა, ინვესტირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას მამოძრავებელი ძალაა. [54] (*Corporate governance is in the heart of investment decision.)*

შესაძლოა გაჩნდეს კითხვა, ღირს თუ არა დროის დაკარგვა კორპორაციული მართვის პრინციპებზე მსჯელობაში და ახალი გზების ძიებაში და ასრულებენ თუ არა ეს პრინციპები რაიმე როლს კომპანიის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ათიდან შვიდ ინვესტორს სჯერა, რომ კარგი კორპორაციული მართვის სისტემა ფასს ზრდის, ხოლო ინსტიტუციურ ინვოსტორთა 30% კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტორი კონკურენტუნარიანობს მატებს კომპანიას. 40% კი მიიჩნევს, რომ კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს გაზრდილი შემოსავალი აქციონერთათვის.[55]

კორპორაციული მართვის სფეროში მომუშავე ავტორები პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად ასახელებენ დირექტორატის საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას. თუმცა, ამ მიმართულებით დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან, დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღება ცოცხალი პროცესია, სადაც შეუძლებელია ყველა ნიუანსი წინასწარ იყოს დაგეგმილი და სამართლებრივი გზით

---

[51] *Adelopo,* Auditor Independence-Auditing, Corporate Governance and Market Confidence-Corporate Social Responsibility Series, Gower Publisher Limited, Surrey, 2012,10.

[52] დეტალურად იხ. თავი 2.2.2.1.

[53] *Adelopo,* Auditor Independence-Auditing, Corporate Governance and Market Confidence-Corporate Social Responsibility Series, Gower Publisher Limited, Surrey, 2012, 1. ასევე იხ. *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა "სამართალი," თბ., 2006, 11-12.

[54] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013, 41.

[55] *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 34.

დარეგულირებული. შესაბამისად, დირექტორის შეზღუდვა გადაწყვეტილებებში და ყოველდღიურ საქმიანობაში სხვა ზემოდგომი ორგანოებისგან თანხმობის მიღების აუცილებლობა, შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს კომპანიისათვის.

გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია წარმატებისა. "დრო ფულია", შესაბამისად, თუ გადაწყვეტილება დროულად არ იქნა მიღებული, კომპანია შემოსავალს დაკარგავს, რაც პირდაპირ აისახება აქციონერთა (მესაკუთრეთა) მდგომარეობაზე. თავის მხრივ, დირექტორისათვის აბსოლუტური დამოუკიდებლობის მინიჭება რისკს შეიცავს. შესაბამისად, ცხადია, რომ კორპორაცილ მართვას ღირებულება ნამდვილად გააჩნია, ვინაიდან იგი წარმოდგენს რისკების მართვისა და კონტროლის ეფექტურ მექანიზმს და სწორედ ამიტომ, ინვესტორები გადაწყვეტილების მიღებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ სისტემის გამართულ მუშაობას.

ყოვლისმომცველი კორპორციული მართვა იზიდავს უცხოელ ინვესტოებს და ხელს უწყობს მათ მიერ ინვესტირების განხორციელბას ქვეყნის ეკონომიკაში.[56] ინვესტორთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ მზად არის გადაიხადოს პრემიალური თანხა კომპანიებისათვის, რომლებიც აჩვენებენ, რომ კარგი კორპორაციული მართვის სისტემა აქვთ. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში ინვესტირებისას.[57] შესაბამისად ცხადია, რომ კორპორაციული მართვის გამართული სისიტემის არსებობა მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შერწყმის თუ კომპანიის საკონტრლო პაკეტის დაუფლების პროცესში. სწორედ ამიტომ, ნაშრომის პირველი ნაწილი კორპორაციული მართვის საკითხებს დაეთმობა, მეორე ნაწილში კი კომპანიის მართვის პროცესში დირექტორთა პასუხისმგებლობაზე იქნება საუბარი, რაც ასევე მოიცავს შერწყმისა და საკონტროლო პაკეტის დაუფლების პროცესში დირექტორატის როლს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას.

როგორც აღინიშნა, აღმოსავლეთ ევროპაში ინვესტირებისას, ინსტიტუციური ინვესტორების მიერ, უდიდესი ყურადღება ეთმობა კორპორაციულ მართვასა და კანონმდებლობას, სწორედ ამიტომ, ვინაიდან საკორპორაციო კანონმდებლობის რეფორმირების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, საჭიროა ცვლილებების შედეგად მიღებულ იქნეს ისეთი კანონი, რომელიც იზიარებს თანამედროვე მოწინავე და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, რომლებზეც წინამდებარე ნაშრომში არის მითითებული და მის უმთავრეს დანიშნულებასაც სწორედ რეკომედაციების სახით ამ პროცესში მოკრძალებული წვლილის შეტანა წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კორპორაციული მართვა აქტუალური საკითხია, იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს კომპანიის მართვის სისტემას, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვის პროცესში წარმოშობილი, გარკვეული დაბრკოლებები და წინააღმდეგობები უნდა იქნეს გადალახული. კაცობრიობის ისტორია, სწორედ ინტერესთა დაპირისპირება და ჭიდილია. განსხვავებული ინტერესები და მათი დაპირისპირება არსებობდა, არსებობს და

[56] *Adelopo,* Auditor Independence-Auditing, Corporate Governance and Market Confidence-Corporate Social Responsibility Series, Gower Publisher Limited, Surrey, 2012, 10.
[57] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013, 41.

იარსებებს მანამ, სანამ კაცობრიობა იქნება დედამიწაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კორპორაციული მართვაც არ დაკარგავს თავის აქტულურობას. ილუზია, ცხადია, არავის აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რომ შექმნის სისტემას, რომელიც გადაჭრის ყველა იმ პრობლემას რისკებსა და ინტერესთა დაპირისპირებას რაც კომპანიის მართვის პროცესში წარმოიშობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის. კორპორაციული მართვის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს ზემოაღნიშნული რისკები და ამ გზით შეამციროს კომპანიის დანახარჯები.

2. კორპორაციული მართვის სისტემები

"კორპორაციული მართვის მიზანია შეინარჩუნოს ბალანსი ეკონომიკურ და სოციალურ, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. კორპორაციული მართვის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს რესურსების ეფექტური მართვა და ანგარიშვალდებულება მართვის პროცესში. შესაბამისად, კორპორაციული მართვის უმთავრესი მიზანია კერძო პირთა, კორპორაციათა და საზოგადოების ინტერესების ურთიერთანხვედრაში მოყვანა, მათი თანაბრად გათვალისწინება."[58] **(ამონარიდი სერ ადრიან ქედბერის[59] მიერ 2000 წელს წარმოთქმული სიტყვიდან)**

2.1. პრო-აქციონერისტული მოდელი (Shareholder Model)

მსოფლიოში ძირითადად გავრცელებულია კორპორაციული მართვის ორი მოდელი და მათი უამრავი ვარიაცია არსებობს. ესენია *Shareholder Model* და *Stakeholder Model.*[60]

Sshareholder Model- ძირითადად დომინირებს აშშ-ში და გარკვეულწილად სახეცვლილი სახით ანგლო-საქსურ ქვყნებში, განსაკუთრებით კი დიდ ბრიტანეთში. აღნიშნული მოდელი გამოხატავს ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორისა და ნობელის პრემიის ლაურიატის, მილტონ ფრიდმანის[61] შეხედულებას, რომლის თანახმადაც, კორპორაციის ერთადერთი ვალდებულება და დანიშნულებაა მოახდინოს კომპანიის აქციონერთა საკეთილდღეოდ მოგების მაქსიმიზაცია, იმ პირობით, რომ არ დაარღვიოს

---

[58] მითითებულია *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 3. მიხედვით.

[59] *Sir George Adrian Hayhurst Cadbury* კორპორააციული მართვის ფინანსური ასპექტების შესახებ დიდ ბრიტანეთში მოქმედი კომიტეტის თავმჯდომარე იყო, 1992 წელს ამ კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ რეპორტს ეწოდა *Cadbury Report* .უფრო ვრცლად ინფორმაცია სერ ადრიან ქედბერის შესახებ ხელმისაწვდომია: http://www.jbs.cam.ac.uk/cadbury/report/

[60] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013, 44.

[61] მითითებულია: *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013, 42. მიხედვით

იმ ქვეყნის კანონმდებლობა და რეგულაციები სადაც აწარმოებს ბიზნეს საქმიანობას. შესაბამისად, მას არ გააჩნია ვალდებულებები მესამე პირების, ე.წ. *სტეიკჰოლდერების* (*Stakeholders)* მიმართ.[62]

მისი მოსაზრებით, თუკი ყველა კომპანია იმოქმედებს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მოგების გაზრდის მიზნით, საბოლოო შედეგი ამ პროცესიდან მომგებიანი იქნება კომპანიასთან დაკავშირებული ყველა პირისათვის, დასაქმებულთათვის და განსაკუთრებით კი მომხმარებლებისათვის, რომლებიც ყოველთვის მოგებულნი რჩებიან კომპანიათა შორის ჯანსაღი კონკურენციის შედეგად.[63]

აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი აყალიბებს იდეას, რომ კორპორაციის მხრიდან დონაცია საქველმოქმედო მიზნებისათვის წარმოადგენს კორპორაციის მოგების "ქურდობას" და უმჯობესია იგი განაწილებულ იქნეს აქციონერბზე ან შენარჩუნდეს, დარჩეს კომპანიაში და გამოყენებულ იქნეს ამ უკანასკნელის ბიზენს საქმიანობისა და მიზნებისათვის.[64]

აშშ-ში ერთიანი ფედერალური საკორპორაციო კანონმდებლობა არ არსებობს, შესაბამისად, 50 შტატიდან თითოელ მათგანს თავისი საკოროპორაციო რეგულაცია გააჩნია. მათგან ყველაზე განვითარებული და პოპულარი დელარევის შტატის საკორპორაციო კანონმდებლობაა. აღნიშნულზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ აშშ-ში მოქმედი საჯარო სააქციო საზოგადებათაგან უმრავლესობა სწორედ დელავერის შტატში და მისი საკორპორაციო რეგულაციების შესაბამისად არის დაფუძნებული.[65]

დელავერის შტატი, სხვა შტატებს შორის, ყველაზე ლიბერალური საკორპორაციო კანონმდებლობით გამოირჩევა. ვინაიდან ამერიკული კანონდემბელობის თანახმად, კომპანიაზე ვრცელდება იმ შტატის სამართალი სადაც იგი დაფუნძდა, ამერიკულ დიდ კორპორაციათა უმრავლესობა სწორედ დელავერი შტატშია რეგისტრირებული.[66]

კომპანიათათვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს დელავერის საკორპორაციო დავების განმხილველი საკანცლერო [67] სასამართლო, რომელიც საკორპორაციო დავებს განიხილავს სამართლიანობის

---

[62] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013, 44.
[63] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013,44.
[64] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013,44.
[65] *kawamura, Anderson, (Edit) Emmerich, Niles, Kenny,* United States of America :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 442.
[66] *Hay,* Law of The United States, 3rd Edition, C.H.Beck, Bruylant,Brussels, 2010, 259.
[67] The Delaware Court of Chancery is over 200 years old and it was founded when most state courts in the new United States were divided into law courts (which handled claims for money damages) and equity courts (which handled claims for "equitable" relief like injunctions, rescissions, accounting). The equity courts were often called chancery courts because they originated with the Lord Chancellor of England, who was appointed by the King to handle claims by his subject for "equity." Many of the major cases in Delaware have involved mergers and acquisitions, which are often cases that involve a lot of money. In most of these cases, stockholders sue to enjoin the merger and claim that the directors negotiated a price that was too low and that the process that the directors followed was inadequate. Because the plaintiffs in these cases are typically seeking an injunction, these case are filled in the Delaware Court of Chancery. Over many years, the Court, which is comprised of a Chancellor and four vice chancellors, has built up a very solid reputation for knowledge and experience in Delaware, especially the duties of directors. *Notes, U.S. Corporate Law Lecture, at Tbilisi State University, Tbilisi, November 2014, Conducted by Professor Hanks, James, Partner of Venable LLP (law office)*

პრინციპებზე დაყრდნობით. *(Equity Law Principles)* [68] მოსამართლეთა საკორპორაციო სამართლებრივი სპეციალიზაციის გათვალისწინებით, საქმეთა გადაწყვეტა, სხვა შტატებთან შედარებით, უფრო ხარისხიანად და სწარაფად ხდება. დამატებით ფაქტორს წამოადგენს ის გარემოება, რომ დელავერის შტატი ძალიან მდიდარია პრეცედენტული საქმეებით, რაც წარმოშობილი დავის გადაწყვეტის გზებს მეტ-ნაკლებად პროგნოზირებადს ხდის. [69] აღნიშნულის გათვალსწინებით, სხვა შტატებთან შედარებით, კორპორაციის სარეგისტრაციო გადასახადები დელავერში გაცილებით მეტია.[70]

იმ უნიკალური პოზიციის წყალობით რომლიც დელავერის შტატს უჭირავს წლების განმავლობაში, დელავერის სასამართლოს მიერ შექმნილია უზღვავი მასალა საკორპორაციო იურისპრუდენციაში და შესაბამისად ამ შტატის საკორპორაციო კანონმდებლობას უდიდესი გავლენა აქვს აშშ-ის საკორპორაციო სამათლის განვითარებაზე.[71]

2.2. Stakeholder Model

2.2.1. სტეიკჰოლდერის (Stakeholder) განსაზღვრისათვის

მკითხველი, რომელიც შედარებითსამართლებრივი კვლევის საფუძველზე შექმნლი ნაშრომის საშუალებით ეცნობა მისთვის საინტერესო საკითხს, შეცდომაში არ უნდა იქნეს შეყვანილი. სწორედ ამიტომ შედარებითსამართლებრივი კვლევის პროცესში, ტერმინთა სათანადო გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან ტერმინი "*Stakeholder"* გამოყენება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ხშირად, პრაქტიკაში, სხვადასხვა კონტექსტში ხდება მისი გამოყენება, მიზანშეწონილია პასუხი გაეცეს კითხვაზე, ვინ არიან *სტეიკჰოლდერები* და ვის აერთიანებს (მოიცავს) ეს ტერმინი.

"ტერმინი, *სტეიკჰოლდერი* (*Stakeholder*) მოიცავს განხვავებულ ინტერესთა მთელ ჯგუფს, იგი აღნიშნავს ნებისმიერ ინდივიდუალს ან ჯგუფს, რომლებზეც კომპანიის საქმიანობამ შეიძლება იქონიოს გავლენა."[72]

არსებობს უფრო ფართო განმარტებაც, რომლის თანახმადაც, სტეიკჰოლდერები წარმოადგენენ პირებს ან პირთა ჯგუფს:

ა) რომლებზეც, გონივრულად სავარაუდოა, რომ გავლენას მოახდენს კომპანიის საქმიანობა, მის მიერ გამოშვებული პროდუქტები და სერვისები და
ბ) რომელთა მოქმედებამაც ასევე შესაძლოა მოახდინოს გავლენა კომპანიის შესაძლებლობაზე, მისი სტრატეგიის წარამტებულად

[68] *Hay,* Law of The United States, 3rd Ed, C.H.Beck, Bruylant,Brussels, 2010,259.
[69] *იქვე.*260.
[70] *იქვე.*
[71] *Bauman, Stevenson,* Corporations Law and Policy, Materials and Problems, 8th Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 32.
[72] *Mallin,* Corporate Governance, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2007, 49.

დაგეგმვასა და განხორციელებაზე. [73]

ფართო განმარტებიდან მომდინარეობს მოსაზრება, რომ *სტეიკჰოლდერები* არაინ დასაქმებულები, კრედიტორები, მიმწოდებლები, მომხმარებლები, საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები და, რა თქმა უნდა, უშუალოდ აქციონერები. ანუ ტერმინი *Stakeholder* გაცილებით უფრო ფართოა და მოიცვას მთელ რიგ დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის აქციონეებსაც, ხოლო *Shareholder* უშუალოდ და კონკრეტულად აქციონერს. შესაბამისდ მათი სინონიმების სახით გამოყენება, მართებული არ არის.

2.2.2. Stakeholder Model

ქვეყნების უმრავლესობაში კორპორაციული მართვის "*სტეიკჰოლდერული*" მოდელი არსებობს, რომლის თანახმადაც, კომპანიას გააჩნია ვალდებულებები, დაინტერესებულ პირთა (*Stakeholders*) მნიშვნელოვნად უფრო ფართო წრის მიმართ. კერძოდ დასაქმებულების, მიმწოდებლების, მომხმარებლების, სახელმწიფოს, საზოგადეობისა და, რა თქმა უნდა, აქციონერთა მიმართ.[74] აღნიშნული თეორიის თანახმად, კომპანია მართული უნდა იყოს იმგვარად, რომ მოახდინოს განსხავებულ უფლება-მოვალეობათა და ინტერესების კოორდინაცია, დაბალანსება, *სტეიკჰოლდერებს* შორის. [75] ასევე უამრავი ვარიაცია არსებიობს აღნიშნული მოდელისა. მაგალითად, გერმანიში, კომპანიის მართვის ორ საფეხურიანი სისტემა მოქმედებს, საფრანგეთში შერეულია ორსაფეხურიან და ერთსაფეხურიან სისტემას შორის არჩევანის საშულება, ისევე როგორც ეს საქართველოში მოქმედი მეწარმეთა შესახებ კანინის თანახმად არის დადგენილი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ *სტეიკჰოლდერებს* გააჩნიათ საფუძვლიანი ინტერესი კომპანიის მდგრადი განვითარების მიმართ. ***აქციონერებს*** სურთ მიაღწიონ მათ მიერ კომპანიში ინვესტირებულ თანხაზე მაქსიმალური მოგების მიღებას, არა მარტო დივიდენდის მიღების გზით, არამედ საკუთარი წილის გასხვისების შედეგადაც. ***დასაქმებულები*** დამოკიდებულნი არიან კომპანიაზე და მისი საშულებით ახდენენ საკუთარი ოჯახების უზრუნველყოფასა და მხარდაჭერას. ***კრედიტორებს*** განსაკუთრებული ინტერესი გააჩნიათ კომპანიის მდგრადი განვითრების მიმართ, სურთ რა, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად მიიღონ თანხა. თანხის დროულად მიღება კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გამსესხებელი კრედიტორისათვის, რათა მან შეძლოს საქმიანობის სტაბილურად გაგრძელება. ***მომხმარებლებს*** მოსწონთ კომპანიის მიერ ნაწარმოები კარგი პროდუქტი და კვლავაც სურთ გააგრძელონ ამ თვალსაზრისით "ვაჭრობა" კომპანიასთან. ***საზოგადოება,*** სადაც კომპანია ოპერირებს, ასევე დაინტერესებულია, ვინაიდან კომპანია უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების და სიმდიდრის

[73] *Du Plessis, Hargovan, Bagaric,* Principles of Contemporary Corporate Governance, 2nd Ed, Cambridge University Press, New York, 2011, 24.
[74] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013, 44.
[75] *Adelopo,* Auditor Independence-Auditing, Corporate Governance and Market Confidence-Corporate Social Responsibility Series, Gower Publisher Limited, Surrey, 2012, 111.

შექმნას, რაც საბოლოო ჯამში აუცილებლად იწვევს ცხვორების დონის ზრდასა და განვითარებას. ***ბუნება და გარემო*** გავლენას განიცდის საწარმოო პროცესის შედეგად, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია გარემოსადმი მეგობრულად განწყობილი კომპანიების არსებობა. ***სახელმწიფოსა და მთავრობას*** ასევე დიდი ინტერესი გააჩნია კომპნიის მდგრადი განვითარების მიმართ, არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს, ასევე ძირთადად მსხვილი კომპანიების მიერ გადახდილი გადასახადებით ხდება ბიუჯეტის შევსება, რაც აძლევს სახელმწიფოს საშუალებას მოახდინოს ამგვარად მიღებული თანხის რეინვესტირება. ეს ფაქტი კი დადებით გავლენას ახდენს მთლიანად ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე.[76]

კომპანიის მდგრადი განვითარების მიმართ ინტერესები გააჩნიათ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჯგუფებს. პრინციპალისა და აგენტის თეორიის თანახმად (*Principle Agent Theory)* ამ ჯგუფებს შორის წარმოიშობა ე.წ. *Agency Conflicts,* რაც თავის მხრივ იწვევს დანახარჯების გაზრდას *Agency Costs.* "კონფლიქტი" წარმოიშობა დირექტორებსა და აქციონერებს შორის, უმცირესობაში და უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს შორის, კომპანიას და მესამე პირებს *სტეიკჰოლდერებს* შორის. საკორპორაციო კანონმდებლობისა და კორპორაციული მართვის კოდექსების უმთავრეს მიზანს კი სწორედ ამ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა ეფექტური და მშვიდობიანი დარეგულირება წარმოადგენს.[77]

2.2.2.1. პრინციპალის და აგენტის თეორია - Principle Agent Theory

ეკონომისტები კომპანიის მესაკუთრეობისა და მასზე კონტროლის გამიჯვნისათვის იყენებენ პრინციპალის და აგენტის მოდელს, *(Principle-Agnent-Model)* რომლის თანახმადაც, აქციონერი არის პრინციპალი, ხოლო დირექტორი კი მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედი აგენტი. ხშირად პრინციპალის მხრიდან აგენტის კონტროლი ვერ ხერხდება, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში აქციონერის მიერ დირექტორატის ყოველდღიური საქმინობის კონტროლი მიზენშეწონილი არ არის, არც იურიდიული და არც ფინანსური თვალსაზრისით. შესაბამისად, დირექტორებს შესაძლოა გაუჩნდეთ ცდუნება გამოიყენონ მინიჭებული ძალაუფლება დაფარულად, მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის. ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ტერმინები "დაფარული სარგებლი" *(Hidden Gain)* და დაფარული მოქმედება *(Hidden Action),* რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად და გამოსახატად, რომ დირექტორმა დაარღვია ერთგულების ვალდებულება.[78]

პრინციპალის და აგენტის პრობლემა ყოველთვის დგას საწარმოს აქციონერთა წინაშე. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ იგი

---

[76] *Du Plessis, Hargovan, Bagaric,* Principles of Contemporary Corporate Governance, 2nd Ed, Cambridge University Press, New York, 2011, 35-36.

[77] *იქვე*.36.

[78] *Fleischer,* The Responsibility of the Management and of the Board and Its Enforcement, in: Reforming Company and takeover law in Europ, Oxford University Press, New York, 2004 , 379.

საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებს, ცდილობს რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს და კომფორტი შეუქმნას საკუთარ თავს.

პრინციპალის და აგენტის თეორიის მთავარი დილემა მდგომარეობს იმაში, რომ აგენტი *(Agent)* მოტივირებული იყოს იმოქმედოს პრინციპალის *(Pricipal)* ინტერესების სასარგებლოდ, წინა პლანზე წამოსწიოს მისი ინტერესი საკუთარ ინტერესთან შედარებით.[79]

აღნიშნული თეორიის თანახმად, კორპორაციული მართვის სისტემა უნდა არეგულირებდეს კომპანიის მართვის პროცესში არსებული, სამი ძირითადი პრობლემის ეფექტურად გადაჭრის გზას, კერძოდ: ***პირველი,*** საწარმოს მესაკუთრესა და დირექტორატს შორის არსებულ პრობლემას, რაც გამოწვეულია განსხვავებული ინტერესების არსებობით. [80] აქციონერის სურვილია შეამციროს საწარმოს მართვის ხარჯები და მეტი სარგებელი ნახოს. თავის მხრივ, დირექტორი ცდილობს რაც შეიძლება მეტი ანაზღაურება მიიღოს გაწეული სამუშაოსათვის და შეინარჩუნოს პოზიცია კომპანიაში. მიუხედავად არსებული პრობლემისა, ორივე მხარისათვის ნათელია, რომ ერთმანეთის გარეშე ვერც ერთი მათგანი ვერ იარსებებს. ***მეორე,*** თავად საწარმოს მესაკუთრეებს, აქციონერებს შორის განსხვავებული ინტერესების გამო წარმოშობილ პრობლემას. (პრინიპალის და აგენტის პრობლემა რომლიც წარმოიშობა უმრვლესობაში მყოფ აქციონერებსა და უმცირესობაში მყოფ აქციონერებს შორის.) [81] ***მესამე,*** პრინიპალის და აგენტის პრობლემა, რომლიც წარმოიშობა ე.წ. *სტეიკჰოლდერებს* (დასაქმებულები, კომპანიის კრედიტორები და ა.შ.) და თავად კომპანიას შორის.[82]

პრინციპალის და აგენტის თეორიის *(Principle Agent Theory or Agent Theory)* თანახმად, აღნიშნულ ურთიერთოებში მონაწილე მხარეს აქვს თავისი საკუთარი ინტერესები. შესაბამისად, მოსალოდნელია რომ ისინი ამ ინტერესების მიხედვით იმოქმედებენ, რის შედეგადაც კომპანია დაზარალდება. კორპორციული მართვის მიზანს სწორედ აღნიშნული კონფლიქტის მინიმალური დანახარჯებით დარეგულერება წარმოადგენს.

დირექტორთა ვალდებულებები, მაგალითად, როგორიცაა კომპანიის საუკეთესო ინტრესების შესაბამისად კეთლსინდისიერად მოქმედების ვალდებულება, წარმოადგენს კორპორაციული მართვის "ტექნიკას" პრინციპალსა და აგენტს (დირექტორატსა და აქციონერებს) შორის არსებული კონფლიქტის გასაკონტროლებლად.[83]

პრინციპალისა და აგენტის ურთიერთობა, როგორც წესი, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით რეგულირდება, თუმცა არსებობს ვალდებულებანი რომელიც დადგენილია სამართლის მიერ და მათი გამორიცხვა შეთანხმების საფუძველზე დაუშვებელია. ასეთ ვალდებულებებს განეკუთვნება ერთგულების *(Duty of Loyalty)* და

---

[79] *Kraakman, Davies, Hansmann, Hertig, Hopt, Kanda, Rock*, The Anatomy of Corporate Law, Oxford University Press, 2003, 21.

[80] *Kraakman, Davies, Hansmann, Hertig, Hopt, Kanda, Rock*, The Anatomy of Corporate Law, Oxford University Press, 2003, 21.

[81] *Hirt,* The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, European Academic Publishers, Bern 2004,26.

[82] *Hirt,* The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, European Academic Publishers, Bern 2004 , 26.

[83] *Hirt,* The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, European Academic Publishers, Bern 2004 ,26.

გონივრული ზრუნვის *(Duty of Reasonable Care)* ვალდებულებანი.[84]

ზემოაღნიშნული "პრობლემის" გადაჭრის კონკრეტული გზა არ არსებობს. ოქროს შუალედის მოძებნა აუცილებელი და ამავდროულად საკმაოდ რთულია. სწორედ ამიტომ ექცევა უდიდესი მნიშვნელობა იმას, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება დირექტორატის მიერ საწარმოს მართვისას. აღნიშნული ფაქტი კი თავის მხრივ დირექტორატის უმნიშვნელოვანეს როლზე მიუთითებს საწარმოს ყოველდღიური საქმიანობის თუ სტრატეგიული (მაგ. შერწყმა და საკონტროლო პაკეტის გასხვისება) გადაწყვეტილებების მიღებისას.

აღნიშნული თეორიის მოწინააღმდეგენი მიიჩნევენ, რომ დირექტორები, მათი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის განხორციელებისას არ მოქმედებენ როგორც კომპანიის აგენტები *(Agents).* მათი მოსაზრებით, ანალიტიკური ანომალია იქნებოდა დირექტორების მიჩნევა კომპანიის აგენტებად მაშინ, როდესაც ისინი მოქმედებენ როგორც აქციონერთა წარმომადგენელები *(Fiduciaries)* კომპანიის ბიზნეს საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესში.[85]

2.2.2.2.Stewardship Theory

ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრას ეხება ასევე *Stewardship Theory,* რომელიც *Agent Theory –საგან* მნიშვნელოვნად განსხვავდება და საპირისპირო დაშვებას აკეთებს. ამ თეორიის თანახმად ივარაუდება, რომ დირექტორები უფრო მეტად ორგანიზაციის ინტერესების მატარებლები არიან, ვიდრე პირადი ინტერესებისა. თეორიის თანხმად, არსებობს აქციონერთა და დირექტორთა ინტერესების თანხვედრა და მის მტკიცებით ეს თანხვედრა შესაძლოა მიღწეულ იქნას მხარეთა შორის ნდობის საფუძველზე და არა მაკონტროლებელი მექნიზმების შემუშავებით როგორც ამას *Agent Theory* გვთავაზობს. მნიშვნელოვანი განსხვავება რაც ამ ორ თეორიას შორის არსებობს არის ის, რომ თუკი *Agent Theory* პრინციპალსა და აგენტს შორის ურთიერთობის საფუძვლად იყენებს სიტყვას "კონტროლი", *Stewardship Theory* იგივე კონტექსტში იყენებს სიტყვას "ნდობა".[86]

2.3. გერმანიის კორპორაციული მართვის მოდელი
The Two-Tier Stakeholde Model of Corporate Governance

დირექტორატი უნდა მოქმედებდეს საწარმოს საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. კომპანიის საუკეთესო ინტერესები ლიტერატურაში

---

[84] *Hay,* Law of The United States, 3rd Ed, C.H.Beck, Bruylant,Brussels, 2010, 247.

[85] *Arnold v. Society for. Savs. Bancorp, 678 A.2d 533 (Del. 1996)* იხ. *Wolcott, Jr, Boswell,* Delaware Code Anotated, Michie, Delaware, 2011,P.854 იხ. ასევე: *Delaware Corporation law Annootated,* 2013-2014 Ed,As amended up to and including the 2013 Regular Session of the One Hundred Forty-Seventh General Assably, Lexis, Nexis, Delaware, 2013, 48.

[86] *Adelopo,* Auditor Independence-Auditing, Corporate Governance and Market Confidence-Corporate Social Responsibility Series, Gower Publisher Limited, Surrey, 2012, 115.

განმარტებულია, როგორც კომპანიაზე ზრუნვა იმგვარად, რომ მან გააგრძელოს არსებობა და იყოს მომგებიანი გრძელვადიან პერსპექტივაში. [87] გერამანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზერების თანახმად კი იგი წარმოადგენს იმ წესების ერთობლიობას, რომლებიც ეხმარებიან მმართველ ორგანოებს კომპანიის საუკეთესო ინტერესების აღსრულება-განხორციელებაში. [88] გერმანიის ფედერალური სასმართლო *(BGH- Der Bundesgerichtshof)* გადაწყვეტილებაში ტერმინის "კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით" [89] გამოყენებით მხარს უჭერს ე.წ. *Stakeholder Theory –ს* ანუ კორპორაციული მართვის მოდელს, რაც გულისხმობს კოპანიის მართვის პროცესში ისეთი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებას, როგორებიც არიან დასაქმებულები, კრედიტორები, მიმწოდებლები, ასევე საჯარო ინტერესი და ა.შ.

დირექტორთა ვალდებულება არ მოიცავს მხოლოდ აქციონერთა ინტერესების შესაბამის მოქმედებას. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, არსებობს *Shareholder Theory,* რომლის თანახმადაც დირექტორატი ვალდებულია მოქმედებდეს აქციონერთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. [90] აშშ *Shareholder Theory-ის* მიმდევარია, გერმანია *Stakeholder Theory-ს* ანიჭებს უპირატესობას, ხოლო ბრიტნეთი კი ცდილობს ოქროს შუალედის მიგნებას ამ ორ თეორიას შორის.[91]

გერმანიაში მოქმედი სისტემის თანახმად, აქციონერების მხირდან კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება დელეგირებულია დირექტორატზე, ხოლო მისი საქმიანობის კონტრლი კი - სამეთვალყურეო საბჭოზე. ფუნქციათა ამგვარი გადანაწილაბა ამ ორ ორგანოს შორის, რომელთა არსებობაც სავალდებულოა, ას წელზე მეტს ითვლის და არასოდეს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ გერმანიაში საკროპორციო სამართლის რეფორმირებისას.[92]

უფრო მეტიც, შედარებითსამართლებრივი პერსპექტივის თვალსაზრისით იგი შეიძლება განვიხილოთ განსაკუთრებულ და სპეციალურ რეგულირებად, ვინაიდან ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში, ასევე შვეიცარიასა და სხვა მრავალ ქვეყანაში, არსებობს მხოლოდ ერთი ორგანო, ბორდი, რომელიც ახორციელებს მართვასაც და კონტროლსაც. ასევე საყოველთაოდ ცნობილია, რომ გაცხარებული კამათი მიმდინარეობს მსოფლიოში ამ ორი მოდელის დადებით და უარყოფით მხარეებზე.[93]

ისევე როგორც ეს საქართველოშია, გერმანიაშიც ორი კაპიტალური ტიპის კომპანია არსებობს შეზღუდული პასუხისმგებლბის საზოგადოება,

---

[87] *Saenger,* Conflicts of Interest of Supervisory Board Members in a German Stock Corporation and the Demand for their Independence, in: The Corporate Governance Law Review, vol.1, number 2, Sandstone Academic Press, South Yarra Victoria, 2005, 155.

[88] *Saenger,* Conflicts of Interest of Supervisory Board Members in a German Stock Corporation and the Demand for their Independence, in: The Corporate Governance Law Review, vol.1, number 2, Sandstone Academic Press, South Yarra Victoria, 2005, 155.

[89] *იქვე.*155.

[90] *იქვე.*

[91] იხ.ქვეთავი 2.4.

[92] *Hopt, Wymeersch,(Edit.) Hopt,* Corporate Govrnance in Germany in:Capital Markets and Company Law, Oxford University Press, New Yourk, 2003, 292.

[93] *იქვე.*

(Gesellshaft mit beschrankter Haftung) რომლის აქციებიც საჯაროდ სავაჭროდ ვერ იქნება დაშვებული და სააქციო საზაოგადოება, *(Aktiengesellschaft)* რომლის აქციებიც შესაძლოა განთავსდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სავაჭროდ. გერმანული კომპანიების აქციები ძირითადად განთავსებულია ფრანკფურტის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე (საფონდო ბირჟაზე) სავაჭროდ[94].

გერმანული კორპორაციული მართვის მოდელი კლასუკურ *Steakholder* მოდელს განეკუთვნება. გერმანულ კომანიას გააჩნია ორ საფეხურიანი სისტემა, კერძოდ სამეთვალყურეო საბჭო (*Aufsichtsrat),* რომელსაც ირჩევს აქციონერთა კრება და დირექტორატი *(Vorstand),* რომლიც კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს და რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს. დირექტორატი არ არის აქციონერთა პირდაპირი გავლენისა და მითითებების ქვეშ, აქციონერები საკუთარ მოთხოვნებს სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენენ, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ დირექტორატს.[95]

გერმანიაში დირექტორატი ვალდებულია გაითვალისწინოს *სტეიკჰოლდერების* ინტერესები. კომპანიის მართვის უზენაეს პრინციპს არ წარმოდგენს მხოლოდ მოგების მიღება.[96]

შპს-სათვის ორსაფეხურიანი სისტემის არსებობა სავალდებულო არ არის, მაგრამ თუკი შპს-ში რეგულარულად დასაქმებულთა რაოდენობა 500-ზე მეტია, წარმოიშობა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის ვალდებულება. აღნიშნული განპირობებულია გემრანიაში მოქმედი წესით, რომლის თანახმადაც დასაქმებულთა კომპანიის მართვაში მონაწილება სავალდებულო ხდება (*Co-determination rule)* თუკი მათი რაოდენობა 500-ს აღემატება.[97]

ზემოაღნიშნული წესი წარმოადგენს გერმანული კორპორაციული მართვის მოდელის თავისებურებას. კერძოდ, გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, ისეთი კომპანიის სამეთვლაყურეო საბჭოში რომლესაც ჰყავს 500-ზე ან 2000 –ზე მეტი თანამშორმლი, წარმოდგენილნი უნდა იყვნენ დასაქმებულები, შესაბამისად, 1/3 და 1/2 ხმის უფლებით. ისეთ კომპანიაში, რომელსაც ჰყავს 2000-ზე მეტი თანამშრომელი (დასაქმებული) სამეთვალყურეო საბჭოში გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა გაყოფის შემთხვევაში სამეთვალაყურეო საბჭოს თავმჯომარის ხმა, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში არის აქციონერთა წარმომადგენელი, გადამწყვეტია. როგორც აქციონერთა წარმომადგენლები, ასევე დასაქმებულთა წარმომადგენლები სამეთვალყურეო საბჭოში, ვალდებულნი არიან იმოქმედონ კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.[98]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაო ძალა *(Workforce)* ზეგავლენას ახდენს კომპანიაში გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და მართვაზე, როგორც შიდაკორპორაციულ დონეზე, ასევე სამუშაო ძალის

---

[94] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013, 98.
[95] *იქვე.*
[96] *იქვე.*
[97] *Jausas, (Edit) Lachmann,* Germany, in: Company Formation, Globe Business Publishing, London, 2009, 337.
[98] *German Corporate Governance Code* (as amended on May 13, 2013 with proposals from the plenary meetingofMay13,2013)Foreword,ხელმისაწვდომია:http://www.thyssenkrupp.com/documents/investor/German_Corporate_Governance_Code_May_2013.pdf (ბოლოს გამოხმობილია:14:05.2014)

მეშვეობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, გერმანიაში მოქმედი კორპორაციული მართვის მოდელის თანახმად, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში დასაქმებულები არჩეულნი არიან სამეთვალყურეო საბჭოში და ამ გზით აქტიურად მონაწილეობენ კომპანიის მართვაში. ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში აღნიშნული პრინციპი მკაცრად არის აკრძალული და უარყოფილი.[99]

გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი უშვებს ერთსაფეხურიანი სისტემის არჩევის შესაძლებლობას ევროპული კომპანიებისათვის [100]. *(SE-Societes Europaea(lat.))* [101] აღნიშნული შესაძლებლობის დაშვებით, გერმანული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოდის ევროდირექტივასთან, რომლის თანახმადაც, ევროპულ კომპანიას შეუძლია გააკეთოს არჩევანი ერთსაფეხურიან და ორსაფეხურიან მართვის მოდელს შორის.[102]

საფრანგეთის კანონმდებლობა, რომლიც ისედაც ითვალისწინებს მსგავსი არჩევანის შესაძლებლობას, დამატებით ადგენს, რომ აქციონერებს, აქციონერთა კრებაზე, ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეცვალონ თავდაპირველი გადაწყვეტილება მმართველობის სისტემასთან დაკავშირებით. ევროდირექტივა[103] ასეთ პირდაპირ მითითებას არ შეიცავს, თუმცა არჩევანის უფლება გამომდინარეობს კომპანიის დაფუძნებისას თავისუფალი ნების გამოხატვის პრინციპიდან.[104]

გერმანიაში კორპორაციული მართვის სისტემურ ელემენტებს წარამოადგენენ:

- ბორდი (დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო)
- დასაქმებულთა კომპანიის მართვაში მონაწილების წესი *labour co-detemination and labour markets*
- ფინანსური შუამავლები *(financial intermediaries)*
- საფონდო ბირჟები და კაპიტალის ბაზარი *(Stock exchande and capital market)*

---

[99] *Hopt, Wymeersch,(Edit) Hopt,* Corporate Govrnance in Germany in:Capital Markets and Company Law, Oxford University Press, New Yourk, 2003, 292.

[100] *German Corporate Governance Code* (as amended on May 13, 2013 with proposals from the plenary meetingofMay13,2013)Foreword,ხელმისაწვდომია:http://www.thyssenkrupp.com/documents/investor/German_Corporate_Governance_Code_May_2013.pdf (ბოლოს გამოხმობილია:14:05.2014)

[101] ევროპული კომპანია (The European Company , International , ლათინურად: Societas Europaea , აბრევიატურა SE) წარმოადგენს კომპანიის იურიდიულ ფორმას ევროკავშირსა და ევროპის ეკონომიკურ სივრცეში, რომლიც შექმნილია ევროპული სამართლის შესაბამისად და მოქმედებს 2004 წლიდან. აღნიშული ფორმით კომპანის აფუძნებენ ძირითადად იმ მიზნით, რათა გასცდნენ ერთი კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს და ბიზნესი აწარმოონ მთელი ევროპის მასშტაბით, ხოლო კომპანია დაექვემდებაროს ევროკავშირის კანონმდებლობას, დირექტივებსა და რეგულაციებს. იხ. *Van Gervan, Paul (Edit)*, The European Company, Volume II, Cambridge University Press, New York, 2008, 3-4.

[102] *Van Gervan, Paul (Edit)*, The European Company, Volume II, Cambridge University Press, New York, 2008, 33.

[103] Council Regulation (EC) No2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European Company (SE) artic: 38(b) ხელმისაწვდომია: http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2001:294:0001:0021:en:PDF (ბოლოს გამოხმობილია: 16.05.2014)

[104] *Van Gervan, Paul (Edit)*, The European Company, Volume II, Cambridge University Press, New York, 2008, 134.

- კორპორაციული კონტროლის ბაზარი (შერწყმა დაუფლება) *market of corporate control e.i. take-over bids*
- ინფორმაციის გამჟღავნება და აუდიტი *(disclosure and auditing)*[105]

ინფორმაციის მიწოდება და აუდიტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც გერმანიაში ასევე საეთაშორისო მასშტაბით კორპორაციული მართვის სისტემაში. კომპანიათა მხრიდან ინფორმაციის გამჟღავნების *(Disclosure)* ვალდებულება, რომლებიც მრავალ ფომით არის გამოხატული, უტყუარი ინფორმაციის მიღების გარანტიას წარმოადგენს აღნიშნულ ბაზარზე მონაწილეთათვის, განსაკუთრებით კი აუდიტის შედეგად მიღებული ინფორმაციაა მნიშვნელოვანი.[106]

დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით *(UK Companies Act 2006),* გერმანიაში არ არის ერთი ჰომოგენური კანონი კომპანიების შესახებ. სს-ის მარეგულირებელ ნორმებს შეიცავს კანონი სააქციო საზოგადოების შესახებ, შპს-ს შესახებ კი კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შესახებ. კომპანია, რომლის აქციებიც საჯაროდ არის სავჭროდ დაშვებული, უნდა ჩამოყალიბდეს სს-ის ფორმით ან გამოიყენოს ევროპული საწარმოს *(Sociates Europea (SE))* იურიდიული ფორმა. გერმანული სააქციო საზოგადების შესახებ კანონის თანახმად, ორ საფეხურიანი კორპორაციული მართვის სისტემის არსებობა სავალდებულოა, კერძოდ სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. გერმანიაში სასამართლო პრაქტიკას არ აქვს გავლენა საწარმოს ორგანიზაციასა და სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ისე როგორც ეს დიდ ბრიტანეთშია.[107]

გემანული საკორპორაციო კანონმდებლბის თანახმად სს-ს მოეთხოვება ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო სულ ცოტა სამი წევრით მაინც. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, წევრების რაოდენობა სამზე გაყოფადი უნდა იყოს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობა შემდეგნაირად არის შეზღუდული:

- კომპანიას, რომელსაც აქვს 1.5. მილიონ ევრომდე ოდენობის საწესდებო კაპიტალი, უფლება აქვს ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 9 წევრის შემადგენლობით.
- 1.5 მილიონ ევროზე მეტი საწესდებო კაპიტალის მქონე კომპანიებს, უფლება აქვთ ჰყავდეთ სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 15 წევრის შემადგენლობით.
- ხოლო 10 მილიონ ევროს ზემოთ საწესდებო კაპიტალის მქონე კომპანიებს არაუმეტეს 21 წევრის შეამდგენლობით.[108]

---

[105] *Hopt, Wymeersch,(Edit) Hopt,* Corporate Govrnance in Germany in:Capital Markets and Company Law, Oxford University Press, New Yourk, 2003 P.291 იხ. ასევე: *ჰოპტი, კ.* , კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და რბილი სამართალი, , სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1, 2009 თარგმნი: *ბურდული.*

[106] *Hopt, Wymeersch,(Edit) Hopt,* Corporate Govrnance in Germany in:Capital Markets and Company Law, Oxford University Press, New Yourk, 2003, 295.

[107] *kawamura, Anderson, (Edit) Rodewald, Tielman,* Germany :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 97.

[108] *Jausas, (Edit Lachmann,* Germany, in: Company Formation, Globe Business Publishing, London,

შპს *(Gesellschaft mit beschrankter Haftung-GmbH)* იურიდიული პირის ყველაზე გავრცელებული ფორმაა გერმანიაში ვინადიან, ამ ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის კომპანიის მიმართ ნაკლები მოთხოვნებია დაწესებული კანონმდებლის მხირადან სს-*თან (Aktiengesellschaft -AG)* შედარებით. შებამისად, შპს-უფრო მოქნილ ფორმას წარმოადგეს შედარებით მცირე ბიზნესის წარმოებისას, ვინაიდან შპს-ში, ისევე როგორც სს-ში, აქციონერთა პასუხისმგებლობა შეზღუდულია. სს-საგან განსხვავებით აქციონერებს აქვთ მნიშვნელოვნად მეტი შესაძლებლობა ჩაერიონ კომპანიის მართვის პროცესში, უფრო მეტიც, მათ საშულება აქვთ მისცენ პირდაპირი ინსტრუქციები შპს-ს დირექტორებს. [109] მიუხედავად აქციონერთა მხრიდან პირდაპირი მითითების შესაძლებლობისა, დირექტორები ერთობლივად და ინდივიდუალურად არიან პასუხისმგებელნი კომპანიის მიმართ.[110] *(GmbH 43, sub.2)*

დირექტორატი ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს სრულყოფლი და ამომწურავი ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის, მისი პოლიტიკისა და ბიზნესის განვითარების შესახებ.[111]

გერმანული კორპორაციული მართვის მოდელი ნაკლებად ეფექტური და მოქნილია ამერიკულ მართვის მოდელთან შედარებით. გერმანიაში კომპანიები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ჰყავდეთ მრავალფეროვანი აქციონერები და, შესაბამისად, მიიღონ შენატანი მათგან. ბიზნესი არ განიცდის ეფექტს შერწყმა-დაუფლებათა შედეგად, რის გამოც, კომპანიამ, რომლიც ვერ მუშაობს ეფექტურად, შესაძლოა კვლავაც გააგრძელოს არაეფქტური საქმიანობა. ბანკების მხრიდან მნიშვნელოვანი გავლენა მენჯმენტზე აიძულებს მათ მოახდინონ ინვესტირება უსაფრთხო ოპერაციებში და თავი შეიკავონ სარისკო ინვესტირებისაგან, [112] რომელსაც, როგორც წესი, შესაძლოა მეტი სარგებელი ჰქონდეს.

მიუხედავად ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გერმანულ კომპანიებს, სხვა დასავლეთ ევროპულ კომპანიებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად შეეხოთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. გერმანულ კომპანიაში დასაქმებულები სარგებლობენ მნიშვნელოვნად უფრო მეტი შეღავათებით და უფლებებით, ვიდრე ამერიკაში. იგულისხმება ანაზღაურება, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, დაცულობა სამსახურიდან დათხოვნის წინააღმდეგ და სხვა ბენეფიტები.[113]

2009, 340.

[109] *Van Hulle, Gesell, (Edit)* European Corporate Law, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2006, 155.

[110] *იქვე.* 158.

[111] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013,98.

[112] *იქვე.*

[113] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013,98.

2.4. ინგლისის კორპორაციული მართვის მოდელი როგორც პრო-აქციონერისტული მოდელის გაუმჯობესებული (მოდერნისტული) ვარიანტი – Enlightened Shareholder Model

ინგლისის საკორპორაციო სამართალი ცდილობს მიაგნოს ოქროს შუალედს აქციონერთა მიმართ მეგობრულად განწყობლ *(Shareholder)* და სტეიკჰოლდერ *(Stakeholder)* მოდელებს შორის. კომპანიათა შესახებ აქტის თანახმად, კომპანიის უპირველესი მიზანია შექმნას მოგება აქციონერთათვის, მაგრამ იგი უფრო შორს მიდის და ადგენს, რომ ამით არ შემოიფარგლება კომანიის მიზანი, ფუნქცია და ვალდებულებები და რომ იგი ვალდებულია საწარმოში დასაქმებულ პირთა, მოხმარებელთა, კრედიტორების და ზოგადად საზოგადების ინტერესები გაითვალისწინოს. მიიჩნევა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორები, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე.[114]

აღნიშნული მოდელის სტრატეგიულ განმასხვავებელი ნიშანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ მოდელის თანახმად, დირექტორატის უპირველეს მიზანს წარმოდგენს აქციონერთათვის მოგების მოტანა, თუმცა ეს არ არის მისი ერთადერთი მიზანი. დირექტორატი ვალდებულია გაითვალისწინოს კომპანიის გრძელვადიანი და მოკლევადიანი ინტერესები, რაც თავისთავად გულისხმობს უმარვი სოციალური, ეთიკური, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და ზოგადად, საზოგადეობის ინტერესებისა და ფაქტორების გათვალისწინებას. [115] აღნიშნული მიდგომის თანახმად, დირექტორატი არ არის ვალდებული აქციონერთა ჯგუფისა თუ უმრავლესობაში მყოფ აქციონერთა მიმართ არამედ დირექტორი ვალდებულია კომპანიის როგორც მთლიანის წინაშე და აღნიშნული ვალდებულების გათვალისწიებით, კომპანიის მართვის ამ ორგანომ უნდა უზრუნველყოს მისი წარმატება და მომგებიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

ეს მოდელი პრო-აქციონერისტული მოდელის *(Shareholder Model)* საფუძველზეა აღმოცენებული და ემსახურება აქციონერთა შემოსავლის გაზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც ამ თეორიის თანახმად თავისთავად გულისხმობს, რომ კომპანიის წარმატება გრძელვადიან პერსპექტივაში მხოლოდ აქციონერთა ინტერესებს სცდება და მოიცავს სტეიკჰოლდერების ინტერესების გათვალისწინებასაც.[116]

ბრიტანული კანონმდებლობის მიერ აღნიშნულ მოდელზე არჩევანის გაკეთება იკვეთება კომპანიათა შესახებ აქტის 172-ე (1) მუხლის შინაარსიდან, რომლის თანახმადაც, დირექტორები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ კომპანიას წარმატების მიღწევაში, იმოქმედონ კეთილსიდისიერად *(Act in good faith)* იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება წარმატებას მოუტანს კომპანიას, აქციონერების, როგორც ერთი მთლიანი ჯგუფის, საკეთილდღეოდ. *(for the benefit of its members as a whole)* ამ განმარტებიდან ნათლად ჩნას, რომ დირექტორის მიერ ვალდებულების დარღვევას ექნება ადგილი, თუკი იგი იმოქედებს აქციონერთა რომელიმე ჯგუფის, თუნდაც უმრავლესოაბაში მყოფი აქციონერის, და არა

[114] *იქვე.*108
[115] *იქვე.*
[116] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 257.

აქციონერთა, როგორც ერთი მთლიანი ჯგუფის, საკეთილდღეოდ.[117]

ზემოაღნიშნული პრინციპი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბრიტანეთის კომპანიათა შესახებ აქტი *(Companies Act 2006)* აქციონერებს ანიჭებს პრიორიტეტს. დასახელებული აქტის 172-ე პარაგრაფი არ უნდა იქნეს წაკითხული იმგვარად, თითქოს იგი აღიარებს ფართო, *სტეიკჰოლდერულ* მოდელს, ვინაიდან დირექტორებს გააჩნიათ უფლებამოსილება განიხილონ მესამე პირთა ინტერესები, მხოლოდ იმ ოდენობით, რაც აუცილებელია აქციონერთა აქციების ღირებულების მაქსიმიზაციისათვის *(Maximizing Shareholder Value),* რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბრიტანეთის კორპორაციული მართვის მოდელი პრო-აქციონერისტულია. [118]

შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში არსებული კორპორაციული მართვის მოდელის პირობებში, აქციონერების მხრიდან კომპანიის მმართველობასა და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევა იშვიათად ან თითქმის საერთოდ არ ხდება, მაშინ, როდესაც გერმანიში მსგავსი ფატები საკმაოდ ხშირია. დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ინსტიტუციური ინვესტორები ჭარბობენ და, შესაბამისად, იშვიათია დიდი წილის მქონე აქციოენერების არსებობა. გერმანიაში ხშირია აქციათა დიდი წილის ფლობის ფაქტები, რაც აქციონერთა მხირადნ კომპანიის მართვის პროცესში ჩარევის შესაძლებლობას ზრდის და იწვევს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის არასათანადო დამოუკიდებლობას. მაშინ, როდესაც ინსტიტუციური ინვესტორი მრავალ კომპანიაში ახდენს კაპიტალდაბანდებას და იგი არ არის დაინტერესებული მოახდინოს კომპანიის მმართველობის სისტემის მოდელირება, იგი ამ პროცესებში არ ერევა და ურჩევნია გავიდეს არასასურველი კომპანიიდან აქციების გასხვისების გზით, ვიდრე მის მართვის სისტემის რეფომირებაზე დაკარგოს დრო.[119]

აქციონერთა მხრიდან პასიური როლის შესრულება კომპანიის მართვს პროცესში, დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც დირექტორატს, როგორც წესი, აქვს ბიზნესის მართვის შესაძლებლობა, ცოდნა, გამოცდილება და უნარი. მაშინ, როდესაც აქციონერი შესაძლოა არ იყოს გათვითცნობიერებული ამ პროცესებში და მისი მხრიდან ჩარევა უარყოფით გავლენას ახდენდეს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე.

თუმცა არსებობს მერე მხარეც, დირექტორებს შესაძლოა გაუჩნდეთ ცდუნება გამოიყენონ კომპანიაზე კონტროლი საკუთარი, და არა კომპანიის ინტერესებისათვის *(Agency Cost).* ასევე შეიძლება წარმოიშვას კომპანიის სახსრების მფლანგველობითი ხარჯვის პრობლემა, რაც, როგორც წესი, გამოიხატება ხოლმე არააუცილებელ ვიზიტებში, შეუსაბამოდ მაღალ ხელფასსა და ბონუსებში და სხვა მსგავსი სახის დანახარჯებში.[120]

---

[117] *იქვე*.257.

[118] *Bruner,* Corporate Governance in the Common-Law World, Cambridge University Press, New York, 2013,35.

[119] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&M1cmillan, New York, 2013,110.

[120] *იქვე*.

2.4.1. დაემორჩილე ან განმარტე[121] – Comply or Explain Rule

ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, პრინციპი *"დაემორჩილე ან განმარტე" (Comply or Explain Rule)* დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის სავაჭრო ნიშანია. კოდექსი არ წარმოდგენს მკაცრი დანაწესების ერთობლიობას და მიიჩნევა, რომ კარგი კორპორაციული მართვა შესაძლოა განხორციელდეს სხვაგვარადაც, ვიდრე ეს კოდექსითაა დადგენილი. შესაბამისად დირექტორატს მოეთხოვება იმოქმედოს კოდექსით დადგენილი წესების დაცვით, ან შეძლოს დადგენილი წესებისაგან გადახვევის აუცილებლობის სრულყოფილად და სარწმუნოდ დასაბუთება, ახნა იმისა, თუ რატომ მიიღო სხვაგვარი გადაწყვეტილება. აღნიშნული დანაწესი კოდექსის მოქნილობას უზრუნველყოფს და მოწონებას იმსახურებს, როგორც აქციონერების ასევე დირექტორთა მხრიდანაც.[122]

„დაემორჩილე ან განმარტე" – პრინციპი წარმატებით გამოიყენება ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრე კომპანიებისათვის. ამ ტიპის კომპანიის ვალდებულებას წარმოადგენს დაემორჩილოს „ლისტინგის" წესებს, ან დაასაბუთოს რა მიზეზით არ იცავს დადგენილ ნორმებს.[123]

კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, დირექტორთა რაოდენობა კომპანიში უნდა განისაზღვროს კომპანიის საქმინობის შესაბამისად, იმგვარად, რომ კომპანიამ ნორმალურად და ეფექტურად საქმიანობის განხორცილება შეძლოს. იგი არ უნდა იყოს შეუსაბამოდ შემცირებული ან გაზრდილი. [124] ამასთან ბორდის თავჯდომარისა *(Charimen)* და აღამასრულებლი დირექტორის *(Chief Executive)* ფუნქციები სხვადასხვა პიროვნების მიერ უნდა სრულდებოდეს და მათ შორის უფლებამოსილებები მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული.[125]

ბორდის თავმჯდომარისა და გენერალური აღმასრულებელი დირექტორის პოზციაზე ერთიდაიგივე პირის დანიშვნა არ არის რეკომენდირებული. აღნიშნული თანამდებობრივი ფუნქციები შესრულებულ უნდა იქნეს სხვადსხვა პიროვნებებს მიერ, ფუქციები ამ ორ პოზიცას შორის ნათლად, (წერილობითი დოკუმეტის სახით) უნდა იყოს გამიჯნული.[126]

კორპორაციული მართვის კოდექსი არ უშვებს ყოფილი აღმსრულებელი დირექტორის დანიშვნას ბორდის თვმჯდომარის პოზიციაზე თუკი აქციონერთა უმრავლესობის მხრიდან არ იქნება

---

[121] ზოგიერთ წყაროში ნათარგმნია როგორც "დაემორჩილე ან ახსენი"იხ. ევროგაერთიანება კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისათვის, ხელმისაწვდომია: http://www.elg.ge/?action=news&npid=28&lang=geo , ასევე: Green Paper The EU Corporate Governance Framework : http://www.elg.ge/cms/site_images/EU%20Green%20Paper.pdf

[122] *The UK Corporate Governance Code*, as amended on September 2012 , Comply or Explain, ხელმისაწვდომია: https://www.frc.org.uk/Our-Work/Publications/Corporate-Governance/UK-Corporate-Governance-Code-September-2012.pdf (ბოლოს გამოხმობილია 14.05.2014)

[123] ევროგაერთიანება კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისათვის, ხელმისაწვდომია: http://www.elg.ge/?action=news&npid=28&lang=geo

[124] *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Edition, Sweet&Maxwell, London, 2010, 58.

[125] *The UK Corporate Governance Code*, as amended on September 2012 , provision A.2.1, ხელმისაწვდომია: https://www.frc.org.uk/Our-Work/Publications/Corporate-Governance/UK-Corporate-Governance-Code-September-2012.pdf (ბოლოს გამოხმობილია 14.05.2014)

[126] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 65.

გაცემული თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით. ასეთ შემთვევაში კომპანიის აქციონერებს უნდა წარედგინოთ აქტი *"დაემორჩილე ან განმარტე"* (*comply or explain*), სადაც განმარტებული იქნება მსგავსი გადაწყვეტილების საფუძვლები და აუცილებლობა კომპანიისათვის.[127] აღნიშნული შეზღუდვა განპირობებულია იმ საშიშროების არსებობით, რომ აღმასრულებელი დირექტორი, მის მიერ მანამდე განხორციელებული საქმინობის სპეციფიკის გათვალისწიებით, ვერ შეძლებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. მარტივად რომ ითქვას, იგი კვლავაც ეცდება განახორციელოს აღმასრულებლი დირექტორის ფუნქციები ან დაფაროს აღმასრულებელ პოზიციაზე ყოფნის პერიოდში ჩადენილი გადაცდომები.

მიუხედავად ზემოთთქმულისა, არსებობს იმგვარი პრეცედენტებიც, როდესაც კომპნიის აღამასრულებლი დირექტორი ბორდის თავჯდომარედ დაინიშნა, მათ შორის *Barclays Bank* და *HSBC*, სადაც , შესაბამისად, მეთ ბარეტი *(Matt Barrett)* და სტეფან გრინი *(Stephen Green)* დანიშნულ იქნენ ბორდის თვამჯდომარის პოზიციაზე მას შემდეგ, რაც ისინი იკავებდნენ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას. ორივე კოპანიის მიერ წრდგენილ იქნა აქციონერთათვის წერილი *"დაემორჩილე ან განმარტე"* პრიციპების შესაბამისად.[128] კორპორაციული მართვის კოდექსი ასევე ითვალისწინებს დამოუკიდებელი დირექტორების აუცილებელ არსებობას ბორდის შემადგენლობაში.[129]

წესს *"დაემორჩილე ან განმარტე"* ითვალისწინებს გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსიც, რომლის თანახმადაც, ტექსტში გამოყენებული სიტვა "უნდა", თავის თავში გულისხმობს, რომ გერმანულმა კომპანიამ უნდა შეასრულოს აღნიშნული რეკომენდაცია ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახსნას, რატომ მიიღო სხვაგვარად მოქმედების გადაწყვეტილება. აღნიშნული წესი ხელს უწყობს კოდექსის მოქნილობას და ასევე საშულებას აძლევს კომპანიის მენეჯმენტს, საკუთარი წვლილი შეიტანოს კორპორაციული მართვის შემდგომ განვითარებაში.[130]

სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის 161-ე პარაგრაფის თანახმად, სააქციო საზოგადოება ვალდებულია საჯაროდ დაადასტუროს, რომ კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად ოპერირებს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულია ახსნას კოდექსის კონკრეტული რეკომენდაცი(ებ)ის შეუსრულებლობის მიზეზი და საფუძველი.[131]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ გერმანული კანონმდებლობის თანახმად, კორპორაციული მართვის კოდექსის პრიცნიპების ზედმიწევნით შესრულება სავალდებულო არ არის. თუმცა სააქციო საზაოგადოებათა შესახებ კანონის 161-ე პარაგრაფის თანახმად სავალდებულო წესით, საჯაროდ უნდა იქნეს გამჟღავნებული, კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპების შესაბამისად ხდება კომპანიის მართვა თუ არა.

---

[127] *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, P.60-61.

[128] *იქვე*.61.

[129] *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 63.

[130] *German Corporate Governance Code* (as amended on May 13, 2013 with proposals from the plenary meetingofMay13,2013)ხელმისაწვდომია:http://www.thyssenkrupp.com/documents/investor/German_Corporate_Governance_Code_May_2013.pdf (ბოლოს გამოხმობილია:14.05.2014)

[131] *kawamura, Anderson, (Edit) Rodewald, Tielman,* Germany :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London ,2013, 97.

მენეჯმენტის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდება კორპორაციული მართვის კოდექსთან კომპანიის მართვის შესაბამისობის შესახებ, თავისთავად და ცალსახად არ წარმოშობს მათ პასუხისმგებლობას, მაგრამ თუკი კოდექსთან შეუსაბამობასთან ერთად სახეზეა სამოქალაქო სამართლებრივი ან სისხლისსამართლებრივი გადაცდომა, მაშინ შესაძლოა დირექტორთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.[132]

კორპრაციული მართვის გამართულ სისტემას უამრავი დადებითი შედეგი მოაქვს როგორც თავდ კომპანიისათვის, ასევე ზოგადად იმ საზოგადებისათვის, სადაც კომპანია ახორციელბს საქმინობას. კორპორაციული მართვა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც რისკების ეფექტური მართვის მექანიზმი. იგი ასევე იძლევა "გარანტიას", რომ კომპანია არ აღმოჩნდება მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან დაწესებული ჯარიმებისა თუ სხვაგვარი საჯარიმო გადასახადების პირისპირ. შესაბამისად, თუკი კომპანიის კორპორაციული მართვა ამ ყველაფერს უზრუნველყოფს მიიჩნევა, რომ ფუნქცია შესრულებლია, ვინაიდან მის დანიშნულებას წარმოადგენს სწორედ კომპანიაში საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნის შედეგად წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტის ეფექტური რეგულირება და მართვა.

2.5. კორპორაციული მართვის სისტემა საქართველოში

ქართულ კანონმდებლობაში კორპორაციული მართვის ერთიანი განამარტება არ არსებობს[133], თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში იგი ისევე განიმარტება როგორც ზემოთ იქნა განხილული[134] და როგორც ამას აღიარებს თითქმის ყველა ქვეყნის კორპორაციული მართვის კოდექსი, კერძოდ კორპორაციული მართვა წარმოადგენს კორპორაციების ხელმძღვანელობისა და მართვის სისტემას.[135]

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის შექმნილი კორპორაციული მართვის კოდექსი განმარტავს, რომ კორპორაციული მართვა წარმოადგენს მართვისა და კონტროლის ერთიან სისტემას, რომელიც განსაზღვრავს უფლებებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას მმართველ ორგანოებს, აღმასრულებელ ორგანოებს, აქციონერებსა და კომპანიით დაინტერესებულ სხვა მხარეებს შორის. კორპორაციული მართვა ასევე მოიცავს გადაწყვეტილებისა და კომპანიის საქმიანობის განხორციელების ეფექტურობაზე მონიტორინგთან დაკავშირებულ წესებს და პროცედურებს.[136]

საქართველოში არ არის უნიფიცირებული საკანონმდებლო აქტი კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით და შესაბამისად რელევანტური ქცევის წესები დადგნეილია და განამრტებულია

---

[132] *იქვე.*

[133] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 504.

[134] იხ. თავი III

[135] *იხ. ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 11.

[136] კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, მხული 2 (ა) *IFC-International Financial Corporation*, თბილისი 2009.

სხვადასხვა საკანონმდებლო წყაროებში. კერძოდ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონი, ეროვნული ბანკის ბრძანებებთან ერთად, არეგულებს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კომერციულ ბანკებთან მიმართებაში, *IFC* [137] -ის მიერ, ბანკების ასოციაციასთან და საფონდო ბირჟასთან ერთად შემუშავებულ იქნა კორპორაციული მართვის კოდექსი რომელიც არ წარმოადგენს სავალდებულო დაკუმენტს და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.[138]

ფინანსური ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არაერთი ქართული კომპანიის კორპორაციული მართვის პროცესში. მაგალითად ბანკი როგორც კრედიტორი, საკერდიტო ხელშეკრულბიდან გამომდინარე ინარჩუნებს უფლებამოსილებას მონიტორინგი გაუწიოს მსესხებელი კომპანიის საქმიანობას. [139] ამ მხრივ, გერმანიაში არსებულ მდგომარეობასთან მსგავსება აშკარად იკვეთება.

ქართული კომპანიები ძირითადად დებიტორული ფინანსირებით სარგებლობენ რაც კომერციული ბანკების ძალაუფლებას ზრდის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კომერციულ ბანკებს საქართველოში არ აქვთ შესაძლებლობა დაეუფლონ კომპანიის საკოტროლო პაკეტს, ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე.

კომერციული ბანკების საქმინონის შესახებ საქართველოს კანონის მე-10(ა) მუხლის თანახმად, კომერციული ბანკი უფლებამოსილია ეროვნული ბანკის წინასწარი ნებართვის გარეშე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის წილის არაუმეტს 20 % ისა, თუ ბანკის წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპირალის 15 %-ს. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, კომერციული ბანკის მიერ სხვა იურიუდლი პირის საწესდებო კალპიტალის საკონტროლო პაკეტის ფლობის შესაძლებლობა გამორიცხული არ არის. კომერციულ ბანკს ამისათვის დასჭირდება ერვნული ბანკის თანხმობა. ეროვნული ბანკის თანხმობაა საჭირო ასევე, თუკი კომერციული ბანკის მიერ სხვა საწარმოში შეძენილი წილი აღემატება ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს.

მეწარმეთა შესაებ საქართველოს კანონი თავდაპირველად გერმანული კანონმდებლობის გავლენას განიცდიდა განსხვავებით ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონისაგან, რომელიც ამერიკული მოდელის მიხედვით იქნა შექმნილი.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში 2008 წლის 14 მარტს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, ძნელი სათქმელია, თუ საწარმოს მმართველობის რომელი ფორმა და სისტემა იქნა არჩეული. კარდინალურად შეიცვალა ქართული კორპორაციების რეგულირების სამართლებრივი რეჟიმი. კანონის მანამდე არსებული რედაქცია სააქციო

---

[137] IFC-International Finance Corporation, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, კორპორაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. http://www.ifc.org/wps/wcm/connect/corp_ext_content/ifc_external_corporate_site/home

[138] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 505.

[139] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 506.

საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობას სავალდებულოდ თვლიდა, შპს-ებისათვის ეს ორგანო ფაკულტატური იყო. ცვლილებების შემდეგ შპს-ის მომწესრიგებელი ნორმების მოცულობა მკვეთრად შემცირდა. კანონმდებელმა მეწარმე სუბიექტებს მისცა შესაბამისი საკითხების წესდებით რეგულირების ფართო უფლებამოსილება რის შედეგადაც სამეთვალყურეო საბჭოზე მითითება შპს-სთან მიმართებაში საერთოდ გაქრა. სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა ფაკულტატურია სააქციო საზოგადოებისათვისაც, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ცვლილებების შედეგად იმპერატიული ნორმები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში საგრძნობლად შემცირებულია შესაბამისად კანონმდებლის მიერ *default rule* ანუ დისპოზიციური მოწესრიგების რეჟიმი იქნა არჩეული[140]. საერთო კრების კომპეტენცია, ნაწილობრივ ან თუნდაც მთლიანად, შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატს გადეცეს. ასეთი დანაწესი უცხოა გერმანული სააქციო სამართლისათვის.[141]

საზოგადოების დაფუძნების მსურველს თავისუფლად შეუძლია წესდებაში შეტანის გზით დაარეგულიროს და გაითვალისწინოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. მაგალითად: „დივიდენდების ოდენობა და მისი მიღების წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით“ [142], „წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას“. [143] კანონის ძველი ვერსია, პრივილეგირებული და ჩვეულებრივი აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრის შესაძლებლობას, წესდებაში განსხვავებული წესის შეტანის გზით არ ითვალისწინებდა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კორპორაციული მართვის ქართული მოდელი სულ უფრო მეტად დაშორდა გერმნულს, მაგალითად: “წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები)“.[144] ამ ახალი ნორმის შესაბამისად გაუქმდა კიდევ ერთი იმპერატიული ნორმა, რომელსაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა : „სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საზოგადოების დირექტორი ან სხვა პასუხისმგებელი აღმასრულებელი პირი“. [145] აგრეთვე კანონის გაუქმებული რედაქციის თანახმად, დირექტორატის ფუნქციები არ შეიძლება გადასცემოდა სამეთვალყურეო საბჭოს. მოქმედი რედაქცია კი საპირისპიროს აწესებს და არაორაზროვნად განმარტავს, რომ დირექტორატის ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს,

---

[140] *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 98.

[141] *იქვე.*

[142]“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი, 52.1–ე მუხლი, 3-ე წინადადება.

[143]“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი, 52.1–ე მუხლი 4-ე წინადადება.

[144] “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი, 55–ე მუხლი 2-ე პუნქტი, მეორე წინადადება.

[145] “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი, 55.3 მუხლი, (გაუქმებული რედაქცია). გაუქმებულია საქართველოს კანონით «მეწარმეთა შესახებ » კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, დოკუმენტის №5913, 14.03.2008.

თუკი ეს წესდებით იქნება განსაზღვრული.

ქართული სამეწარმეო კანონმდებლობის რეფორმირების აუცილებლობაზე ამ სფეროში მოღვაწე ყველა იურისტი თანხმდება, თუმცა კამათსა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, კორპორაციული მართვის ერთ-საფეხურიანი (მონისტური) სისტემა უნდა იქნეს არჩეული, თუ ორ საფეხურიანი (დუალისტური). შესაბამისად, ამ სისტემებს ჰყავს თავისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც, რომლებიც ცდილობენ დაასაბუთონ საკუთარი პოზოციის მართებულობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მსოფლიოში არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ორივე მათგანს შეუძლია შექმნას წარმატებული მართვისა და ზედამხედველობის სისტემა, იფუნქციონიროს წარმატებულად.[146]

გერმანია ორსაფუხრიანი სისტემის მიმდევარია, მაშინ როდესაც აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში ერთსაფეხურიანი ბორდი წარმატებით ფუნქციონრებს. შესაბამისად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც იურისტების დავა ამ სისტემების დადებით თუ უარყოფით მხარეებზე არაფრის მომცემია (იმ თვალსაზრისით, რომ ორივე მათგანს აქვს დადებითი და უარყოფითი მხაეები). მთავარია არსებული ტრადიციებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით შეირჩეს ის სისტემა, რომლიც უფრო მისაღები და მოსახერხებელია ქართული რეალობისათვის, რომელიც შეძლებს უფრო წარმატებულად ფუნქციონირებას ჩვენს ქვეყანაში.

მეწარმეთა შესახებ კანონი კომპანიის დამფუძნებლებს ანიჭებს უფლებამოსილებას გააკეთონ არჩევანი კორპორაციული მართვის მონისტურ და დუალისტრურ სისტემებს შორის. აქციონერს/პარტნიორს თუ ექნება უფლება აირჩიოს კორპორაციული მართვის მოდელი, გააკეთოს არჩევანი ერთსაფეხურიან (მონისტურ) და ორსაფეხურიან (დუალისტურ) სისტემებს შორის, ამაში ცხადია ცუდი არაფერია. მეწარმეთა შესახებ კანონის ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ კანონის თანახმად ნათლად არ არის განსაზღვრული როგორ უნდა იქნეს მართული კომპანია არჩევანის გაკეთების შემდეგ. ამ მხრივ, კანონში ცვლილების განხორციელების აუცილებლობა აშკარად სახეზეა.

კანონით უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი დირექტორების არსებობის აუცილებლობა იმ შემთხვევაში, თუკი დამფუძნებელთა მიერ არჩეული იქნება ერთსაფეხურიანი სისტემა. ასევე არ უნდა იყოს დასაშვები დამოუკიდებელი დირექტორების და აღმასრულებელი დირექტორების ფუნქციათა აღრევა, ისევე როგორც ეს არ არის დასაშვები ამერიკულ და ინგლისურ ბორდში. დუალისტური სისტემის არჩევის შემთხვევაში, კანონი არ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად იყოს დირექტორატის წევრიც, სხვაგვარად ამ ორ ორგანოს შორის ფუნქციათა გამიჯვნა აზრს დაკარგავს. (გერმანული მოდელი)

ამგვარად, ქართული კორპორაციული მართვის მოდელი მიმზიდველი აღმოჩნდება როგორც ამერიკული, ასევე ბრიტანული თუ ევროპული კომპანიებისათვის, ვინაიდან მათ ექნებათ საშუალება აირჩიონ მათთვის ნაცნობი რეგულირება. ქართული კომპანიების მოქნილობის

---

[146] Recommendation on the role of (independent) non-executive or supervisory directors, Consultation document of the Services of the Internal Market Directorate General , EurpopeanCommission,Brussels,5May2004, ხელმისაწვდომია: http://ec.europa.eu/internal_market/company/docs/independence/2004-05-consultation_en.pdf
(ბოლოს გამოხმობილია: 24.04.2014)

თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ კანონით შესაძლებელი იყოს ერთხელ არჩეული კორპორაციული მართვის სისტემის შეცვლა, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების უფლება აქციონერთა უმრავლესობას უნდა ქონდეს. მსგავსი ნორმის არსებობა საშუალებას მისცემს კომპანიას ეძებოს ინვესტორი, ბიზნეს პარტნიორი თუ პოტენციური მყიდველი (მაგალითად შერწყმის მიზნით) როგორც ამერიკაში, ასევე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, ექნება რა მას საშუალება მოახდინოს კორპორაციული მართვის სისტემის ცვლილება მყიდველის ინტერესების შესაბამისად.

2.6. დირექტორატის როლი კორპორაციული მართვის სისტემაში

დირექტორატი, კორპორაციული მართვის სისტემაში ასრულებს, საიმედო დაცვის ფუნქციას კომპანიასა და კომპანიის მესაკუთრეებს (აქციონერებს) შორის, ხოლო მეორე მხრივ, უზუნველყოფს საკონტრაქტო ურთიერთობის დაცვას მენეჯმენტსა და კომპანიას შორის.[147]

აშშ-ის კორპორაციული მართვის მოდელში, დირექტორი ცენტრალურ როლს ასრულებს. დირექტორატს მიცემული აქვს ფართო უფლებამოსილება მიიღოს გადწყვეტილებანი კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. ამ კუთხით, იგი განსხვავდება იურისდიქციებისგან სადაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, (მაგალითად, დივიდენდის განაწილების პოლიტიკა, კომპანიისათვის საჭირო გარკვეული საგნების შეძენის საკითხი და ა.შ.) აქციონეთა კრება იღებს, ხოლო დირექტორატი კი მხოლოდ აღასრულებს მათ.[148]

ბორდი წარმოადგენს კორპორაციული მართვის ორგანოს, რომელსაც კომპანიის კაპიტალის მფლობელები აღიარებენ, როგორც უმთავრეს დაცვის საშულებას საზოგადოების ქონების მითვისებისა და აშკარად არასწორი მართვის წინააღმდეგ.[149] ეს დაცვის საშუალება ქართული მეწარმეთა კანონის თანახმად საგრძნობლად შესუსტებულია იმ ნორმით რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად იყოს დირექტორატის წევრიც. აღნიშნულ საკითხზე დეტულად ქვემოთ იქნება საუბარი.

კომპანიის ბიზნეს საქმიანობას უძღვება დირექტორატი *(Board of Directors)* თუკი კომპანიის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუკი კომპანიის წესდება არ ითვაისწინებს ბორდის არსებობას მაშინ იმ ორგონოს თუ პირს, რომელიც ასრულებს ბორდის

---

[147] მითითებულია: *Mantysaari,* Organising the Firm, Theories of Comercial Law, Corporate Governance and Corporate Law, Springer-Verlag, Berlin-Heidelberg, 2012, 97. მიხედვით

[148] *kawamura, Anderson, (Edit) Emmerich, Niles, Kenny,* United States of America :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 439.

[149] *Mantysaari,* Organising the Firm, Theories of Comercial Law, Corporate Governance and Corporate Law, Springer-Verlag, Berlin-Heidelberg, 2012, 97.

ფუნქციას აქვს იგივე უფლებები და მოვალეობები რაც ბორდს.[150]

აშშ ბორდი *(Board of Directors)* შეგება "შიდა"*(Inside)* და "გარე *(outside)* დირექტორებისაგან. [151] როგორც ცნობილია აშშ-ში ერთსაფეხურიანი მმართველობის სისტემაა ანუ ბორდი მართავს კომპანიას, თუმცა თავად ბორდი დაყოფილია. თუკი შევადარებთ ორსაფეხუარიან სისტემას მაგალითად როგორც ეს გერმანაიში და ნაწილობრივ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოშიც, გარე ანუ *outside* (ლიტერატურაში ასევე ხშირად მოიხსენიება როგორც დამოუკიდებელი *independent)* დირექტორები ასრულებენ სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს, ხოლო შიდა *Inside* დირექტორები ასრულებენ იგივე ფუნქციებს რასაც ქართული და გერმანული დირექტორატი. მათ ხშირად მოიხსენიებენ, როგორც კორპორაციის ოფიცრებს *corporate officers* ვინაიდან სწორედ ისინი უძღვებიან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას. აშშ-ში ბორდის წარმომადგენელი არ არის უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა დრექტორთა კრებაზე, იგი ვალდებულია უშუალოდ და პირადად დაესწროს შეხვედრას.[152]

დამოუკიდებელი დირექტორები არიან იურისტები, პროფესორები, დირექტორი სხვა კორპორაციაში და ა.შ. ისინი პოზიციაზე არჩეულნი არიან საკუთარი ცოდნისა და ბიზნეს გამოცდილების გამო[153] მსგავსად საქართველოში და გერმანიში მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა, რომლებიც როგორც წესი ასევ სხვადასხვა პროფესიის, ბიზნესში გამოცდილი ადამიანები არაინ.

გარადა ზედამხედველობისა და კოტროლის მნიშვნელოვანი როლისა დამოუკიდებელი, გარე დირექტორები წარმოადგენენ კომპანიისა და მესამე პირების (მაგ.მომხმარებლები, მომწოდებლები და ა.შ.) დამაკავშირებელ რგოლს. დამოუკიდებელ დირექტორების არსებობა ზრდის კომპანიის შესაძლებლობას გამოიყენოს ან/და აკონტროლოს კომპანიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნეოვანი რესურსები, ამ უკანსკნელთა მიერ კომპანიისათვის მოხმარებული ცოდნის, გამოცდილებისა და სოციალური კაპიტალის ხარჯზე. ისინი ასევე ზრდიან კომპანიისათვის საჭირო, პოტენციური და ახალი კავშირების წარმოშობის შესაძლებლობას.[154]

დირექტორატი უნდა შედგებოდეს ერთი ან მეტი ფიზიკური პორისაგან, ბორდის წევრების რაოდენობა შესაძლოა განისაზღვროს წესდებით. ასეთ შემთხვევაში, დირექტორთა ოდენობის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ წესდების შეცვლის შედეგად. არ არის სავალდებულო, რომ დირექტორები წარმოადგენდენ კომპანიის აქციონერებს თუკი წესდება ამგვარ რამეს არ ითვალისწინებს. წესდებით შესაძლოა დადგინდეს გარკვეული სახის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

---

[150] *Delaware General Coporation Law, para..141 (a) ob. Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 570.

[151] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013,625.

[152] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 625.

[153] *იქვე*.625.

[154] *Filatotchev, Wright , (Edit)* The Life Cycle of Corporate Governance, Corporate Governance in the New Global Economy, MPG Books Ltd, Cornwall, 2005, 39.

დირექტორებისათვის.[155]

კომპანია, რომლის აქციებიც განთავსებულია საჯაროდ, ვალდებულია გამოჯნოს კომპანიის სათავეში მდგომთა ფუქნციები. გამოჯნული უნდა იყოს ვალდებულებანი ბორდის საქმიანობის სწორად წარმათვასა და აღმასრულებლ დირექტორთა ვალდბულებას შორის. [156] ბორდის საქმიანობის სწორად წარმართვას უზუნველყოფს ბორდის თავმჯდომარე *(Chairman),* ხოლო კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას უძღვება აღმასრულებელი დირექტორი. *(Chief Executive Director)*[157]

ბორდის თავმჯდომარეს გააჩნია უფრო მეტი ვალდებულება, ვიდრე მხოლოდ დირექტორატის სხდომის ხელმძღვანელობაა. მას უნდა ჰქონდეს მაღალი კვალიფიკაცია, რისი საშულებითაც შეძლებს დაკისრებულ უფლება-მოვალეობათა განხორციელებას. იგი უძღვება დირექტორატის სხდომას, ვალდბულია უზრუნველყოს ამ ორგანოს ეფექტურობა. ვალდებულია უზუნველყოს შესაბამისი დღის წესრიგის განრიგის დადგენა და დარწმუნდეს იმაში, რომ განსახილველად საჭირო შესაბამისი დრო აქვს დათმობილი დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხს. უზრუნველყოს რომ დირექტორებმა მიიღონ ზუსტი, დროული და ნათელი ინფორმაცია, და ხელი შეუწყოს გულახდილი დებატების არსებობას, რათა ამ გზით მოხერხდეს თითოული დირექტორის მხრიდან ეფექტური როლის შეტანა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბორდის თავმჯდომარემ უნდა შეძლოს კონსტრუქციული გარემოს შექმნა და ამგვარი (კონსტრუქციული) დამოკიდებულების შენარჩუნება აღმასრულებელ და არა-აღმასრულებელ (დამოუკიდებელ) დირექტორებს შორის.[158]

თუკი დირქტორთა ხმები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გაიყო, მაშინ ბორდის თავმჯდომარის ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული წესი არ მოქმედებს თუ, წესდების თანახმად, კვორუმის ან ხმის მიცემის მიზნებისათვის მიიჩნევა, რომ თავმჯდომარე სხდომას არ ესწრება. [159]

დირექტორს შეუძლია გადადგეს ნებისმიერ დროს საკუთარი განცხადების საფუძველზე. განცხდება უნდა მიეწოდოს კომპანიას წერილობითი ფორმით ან ელექტრონული საშუალების გამოყენებით. გადადგომა ძალამოსილია მას შემდეგ, რაც ის ადრესატს მიუვა, თუკი თავად გადადგომის შესახებ განცხადება არ შიიცავს სხვა თარიღს ან მითითებას რაიმე სამომავლო მოვლენაზე.[160]

ბორდის სრული შემადგენლობის უმრავლესობა წარმოდგენს კვორუმს და უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუკი წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.[161]

წესდება შეიძლება ითვალისწინედეს გადაწყვეტილების მიღების

---

[155] *Delaware General Coporation Law, para..141 (b) იხ. Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 570.

[156] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 65.

[157] *იქვე.*65.

[158] *იქვე.*117.

[159] *იქვე.*118.

[160] *Delaware General Coporation Law, para..141 (b) იხ. Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Edition, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 570.

[161] *Delaware General Coporation Law, para..141 (b) იხ. Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 570.

შესაძლებლობას უბრალო უმრავლესობაზე უფრო მცირე ხმების ოდენობით, (კვორუმი) რაც, ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეიძლება იყოს ხმების 1/3 ზე ნაკლები.[162]

დირექტორატი უფლებამოსილია შექმნას ერთი ან მეტი კომიტეტი, თითოეულის შემადგენლობაში ერთი ან მეტი დირექტორის მონაწილეობით.[163]

თუკი დაფუძნების დოკუმენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წესდებით ან კომიტეტის დანიშვნის შესახებ დირექტორატის გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს ქვე კომიტეტის არსებობა, კომიტეტის ერთი ან რამდენიმე წევრის მონაწილეობით, რომლზეც მოხდება გარკვეულ უფლებამოსილებათა დელეგირება.[164]

დირექტორატის წევრები შესაძლოა დანიშნული იქნენ იმგვარად, რომ სრული შემადგენლობის 1/3 ამოეწუროს უფლებმოსილების ვადა დანიშვნიდან ერთ წელიწადში, 1/3 შემდეგ წელს, ხოლო დანარჩენ ერთ მესამედს კი შემდეგ წელს. ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ყოველწლიურ აქციონერთა კრებაზე არჩეულ იქნება იმავე კლასის დირექტორები, რომლებსაც ვადა ამოეწურათ. [165] (კლასიფიცირებული ბორდი).

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს I, II ან III კლასის დირექტრების არსებობას. პირველ კლასს უფლებამოსილების ვადა ეწურება ასეთი კლასიფიკაციის შემდეგ ჩატარებულ აქციონერთა პირველ ყოველწლიურ კრებაზე, მეორე კლასს ამ მომენტიდან ერთი წლის შემდეგ, ხოლო მესამე კლასს 2 წლის შემდეგ.

ნებისმიერი დირექტორი ან მთლიანად დირექტორატი შესაძლოა გათავისულებულ იქნეს დაკავებული პოზიციიდან რაიმე მიზეზით, ან მიზეზის გარეშე ხმის უფლების მქონე, უმრავლესობაში მყოფი აქციონერების მიერ, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც კომპანიის წესდება სხვაგვარად არეგულირებს ამ საკითხს. კერძოდ, თუკი წესდება ითვალისწინებს კლასიფიცირებული ბორდის არსებობას, ან თუკი კომპანიას აქვს კუმულატიური ხმის მიცემის სისტემა, მაშინ აქციონერები უფლებამოსილნი არიან დაითხოვონ ასეთი ბორდი მხოლოდ რაიმე საფუძვლით.[166]

ასევე, თუკი კომპანიას აქვს წესდებით გათვალისწინებული კუმულატიური ხმის მიცემის სისტემა და გადაყენებულ უნდა იქნეს არა მთლიანი ბორდი არამედ კონკრეტული დირექტორი, ასეთი დირექტორის დათხოვნა საფუძვლის გარეშე დაშვებული არ არის თუკი ხმები მისი გაშვების წინააღმდეგ საკმარისი იქნებოდა მის ასარჩევად, მთლიანი ბორდის არჩევისას კუმულატიური წესით ხმის მიცემის შედეგად, ან თუკი არსებობს დირექტორთა კლასები, იმ კლასისი დირექტორის

---

[162] *Delaware General Coporation Law, para..141 (b) იხ. Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 570.

[163] *Delaware General Coporation Law, para..141 (c) (2)იხ. Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 570.

[164] *Delaware General Coporation Law, para..141 (c) (3)იხ. Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 570.

[165] *Delaware General Coporation Law, para..141 (d) იხ. Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 572.

[166] *Delaware General Coporation Law, para..141 (k) (i) იხ. Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 573.

ასარჩევად რომელ კლასსაც იგი განეკუთვნება.[167]

ჩანაწერი, რომელიც დირექტორთა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დათხოვნას უშვებს, შეიძლება ემსახურებოდეს დირექტორატის პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას. თავისთავად ცხადია, როდესაც დირექტორისათვის ცნობილია, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს პოზიციიდან, იგი უფრო მეტი მონდომებით მოეკიდება საქმეს, ვინაიდან მის გასათავსუფლებლად საჭირო არ არის რაიმე საფუძველის არსებობა, მაგალითად ვალდებულბის დარღვევა და ა.შ. ამ პირობებში აქციონერი უფლებამოსილია გაუშვას დირექტორი დაკავებული პოზიციიდან უბრალოდ იმიტიომ, რომ მას ასე სურს. დაუშვათ მას მიაჩნია, რომ დირექტორის მიერ შესრულებული სამუშაო საშუალო ხარისხისაა და არ განეკუთვნება უმაღლეს პროფესიულ დონეს. ამ დანაწესის არარსებობის შემთხვევაში დირექტორის გათავისუფლება დაკავებული პოზიციიდან მისი ვადის ამოწურვამდე შესაძლებელი იქნება მხოლოდ უხეში გადაცდომისა თუ ვალდებულების დარღვევის გამო. უბრალოდ სამუშაოს არასათანადოდ შესრულება *(Mere underperformance)* ვერ გახდება გათავისუფლების მიზეზი.[168]

აქციონერთა უფლებამოსილება, გაათავისუფლონ დირექტორი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ქრება, თუკი დელავერში რეგისტრირებულ კომპანიას კლასიფიცირებული *(Classified or Staggered Board)* ბორდი ჰყავს.[169] როგორც მითითებული მუხლიდან გამომდინარეობს დელავერის საკორპორაციო კანონმდებლობის თანახმად, შესაძლებელია რომ აქციონერს არ ქონდეს უფლება ნებისმიერ დროს საკუთარი გადაწყვეტილებით გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული პოზიციიდან, თუკი წესდება ითვალისწინებს გათავისუფლებისათვის შესაბამისი საფუძვლის არსებობას. თუ რა შეიძლება ჩაითვალოს შესაბამის საფუძვლად, ეს სასამართლოს მსჯელობის საკითხი შეიძლება გახდეს. აღნიშნული მუხლი იცავს დირექტორებს უსაფუძვლოდ დათხოვნისგან, რაც მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს მათ საქმინობის განხორციელებისას და აქციონერებისაგან უფრო დამოუკიდბლად გრძნობენ თავს. აღნიშნული ფაქტი კი გამორიცხავს დირექტორის გადახრას უმრავლესობაში მყოფი აქციონერ(ებ)ის მიმართ. ასეთი სახის ჩანაწერს არ იცნობს არც ინგლისის, არც გერმანიის და არც საქართველოს საკორპორაციო კანონმბდებლობა, სადაც უმრავლესობაში მყოფი აქციონერ(ებ)ი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, გაათავასუფლოს დირექტორი დაკავებული პოზიციიდან.

ზემოაღნინშული ნორმა საშუალებას აძლევს აქციონერებს აწონ-დაწონონ და გააკეთონ არჩევანი იმასთან დაკავშირებით, თუ კომპანიის მართვის პროცესში ძალაუფლების გადანაწილების თვალსაზრისით

---

[167] *Delaware General Coporation Law, para..141 (k) (ii) იხ. Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 573. (*In the case of a corporation having cumulative voting, if less than the entire boards to be removed, no director may be removed without cause if the votes cast against such director's removal would be sufficient to elect such director if then cumulatively voted at an election of the entire board of directors, or, if there be classes of directors, at an election of the class of directors of which such director is a part.*)

[168] *Moore,* Corporate Governance in The Shadow of the State, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2013, 103.

[169] *იქვე.*103.

რომელია მათთვის მისაღები მოდელი. მოდელი, რომელიც დირექტორთა გაზრდილ პასუხისმგებლობას გულისხმობს აქციონეთა მიმართ (საფუძვლის გარეშე გათავისიფლების შესაძლებლობა), თუ ბორდის დამოუკიდებლობა, სტრატეგიული განგრძობადობა და აქციონერთა ჩარევისაგან ავტონომიურობის შენარჩუნებაა მათთვის მნიშვნელოვანი (გათავისფულების შესაძლებლობა მხოლოდ სათანადო საფუძვლით)[170]

ინგლისში მოქმედი კომოანიათა შესახებ აქტის მეათე თავი ეხება დირექტორთა დანიშვნისა და კომპანიის მიმართ მათი ვალდებულებების საკითხებს.

აქტის თანხმად, დიდ ბრიტანეთში ნებისმიერი კომპანია ვალდებულია ჰყავდეს დირექტორი. აუცილებელია, რომ დირექრტორატში ერთი ფიზიკური პირი მაინც იყოს, ხოლო მინიმალური ასაკი დირქტორად დასანიშნი პირისათვის არის 16 წელი.[171] აქტი ასევე განსაზღვრავს, რომ დირექტორთა არჩევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება აქციონერთა კრებამ უნდა მიიღოს ინდივიდუალურად თითოეულ მათგანთან მიმართებაში.[172] ე.წ. *Block Voting*[173] აქტის თანახმად დაშვებული არ არის.

არც მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს დირექტორათა ერთობლივად დანიშვნას, თითოეული მათგანის დანიშვნასთან დაკავშირებით ხდება გადწყვეტლიების მიღება. გადაწყვეტილება აქაც მიიღება აქციონერთა კრების მიერ იმ კომპანიებში, რომლებსაც, კანონის თანახმად, არ მოეთხოვებათ ჰყავდეთ სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო იმ კომპანიებში, სადაც სამეთვალყურეო საბჭო ფუნქციონირებს, ან საკუთარი სურვილით, ან კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, (მაგ. კომერციული ბანკები) გადაწყვეტილებას დირექტორთა დანიშვნის შესახებ იღებს სამეთვალყურეო საბჭო, თითოეულ მათგანთან დაკავშირებით ცალ-ცალკე და არა ერთობლივად.[174]

კომპანიათა შესახებ აქტის 162 (1) პარაგრაფის თანახმად, დირექტორთა შესახებ მონაცემები სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება. 168 (1) პარაგრაფის თანახმად დირექტორი შესაძლოა გათავისუფლებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან პარტნიორთა საერთო კრების მიერ სათანადოდ მიღებული გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილიების ვადის ამოწურვამდე და მის გათავისუფლებას არ შეიძლება ხელი შეუშალოს დირექტორსა და კომპანიას შორის გაფორმებულმა რაიმე სახის ხელშეკრულებამ.[175]

---

[170] *Moore,* Corporate Governance in The Shadow of the State, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2013, 103.

[171] *CompaniesAct2006*,Para:154,155,157,ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :29.04.2014)

[172] *CompaniesAct2006*,Para:160(1),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :29.04.2014)

[173] *Block Voting*- არის აქციონერთა კრებაზე ხმის მიცემის წესი, რომლის თანახმადაც თითეულ ხმის უფლების მქონე აქციონერს შესაძლებლობა აქვს ხმა მისცემს ერთზე მეტ კანდიდატს ხოლო საბოლოო ჯამში დირექტორის პოზიციაზე არჩეულად ითვლება ის ვინც მეტ ხმას მიიღებს, თუნდაც ამ უკანასკნელს არ ქონდეს მიღებული ხმის უფლების მქონე აქციონერთა ხმების ნახევარზე მეტი. (51%) http://www.electoral-reform.org.uk/block-vote

[174] "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი მუხლი 15 (1)

[175] *CompaniesAct2006*,Para:168(1),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs

აღნიშნულთან დაკავშირებით, დირექტორს უფლება აქვს თავი დაიცვას გათავისუფლების წინააღმდეგ და მოითხოვოს, რომ მოუსმინონ პარტნიორთა/აქციონერთა კრებაზე. მას ასევე შეუძლია წერილობით დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია და მოითხოვოს, რომ მისი მოხსენება წაიკითხონ კრებაზე. ამასთან მოხსენება გონივრული მოცულობის უნდა იყოს.[176]

ინგლისის კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას კოპანიის წესდებით განისაზღვროს დირექტორთა უფლება-მოვალეობი, თუმცა ამ დოკუმენტით კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები არ უნდა გაუფასურდეს ან შეიზღუდოს.[177]

ნებისმიერი დებულება, რომლიც გამორიცხავს დირექტორის პასუხისმგებლობას მისი მხრიდან კომპანიის მიმართ ჩადენილი დაუდევრობის, ვალდებულების არ შესრულების, კეთილსინდისიერებისა და ნდობის დარღვევის გამო, ბათილია.[178]

2.6.1. კომპანიის მმართველი ორგანოები ქართულ კორპორაციულ მართვის სისტემაში

სამეთვალყურეო საბჭო ქართული კომპანიებისათვის სავალდებულო ორგანოს აღარ წარმოდგენს. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 55.1 მხულით განისაზღვრება თუ როდის არის სვალდებულო სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. კერძოდ, სამთვალყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულოა იმ სააქციო საზოგადოებებისათვის, რომელიც "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, [179] რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება ასს.[180]

რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, რომლებიც როგორც ცნობილია სააქციო საზოგადოების ფორმით იქმნება, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის წესებს აქ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონი განსაზღვრავს. [181] დანარჩენ შემთხვევებში სამეთვალყურეო საბჭოს

/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :29.04.2014)

[176] *CompaniesAct2006*,Para:169ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :29.04.2014)

[177] *Hollington,* Hollington on Shareholder's Rights, 7th Ed, Sweet & Maxwell, London, 2013, 50. იხ. ასევე *Comp. Act. Sec.232*

[178] *იქვე*.55.

[179] ანგარიშვალდებულ საწარმოდ (საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტად) მიიჩნევა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები (გარდა სრულად დაფარული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა). "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი მუხლი 9.1.

[180]"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი მუხლი 55.1.

[181]"კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 14.

უფლებამოსილებანი შესაძლოა შესრულებულ იქნეს კომპანიის მართვის სხვა ორგანოს მიერ.

მეწარმეთა შესახებ კანონის 9.8 მუხლის თანახმად, იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. ასევე სამთველყურე საბჭოს სავალდებლება შესაძლოა განისაზღვროს წესდებით.[182]

მრავალფეროვანი ფუნქციები რაც სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია შესაძლებელია შეჯამდეს ძირითადი ტერმინის "დირექტორარტის კონტროლი" ქვეშ.[183]

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორებს, უფლებამოსილია გამოთხოვოს დირექტორატის საქმინობის შესახებ ინფორმაცია, შეისწავლოს დამოუკიდებლად ან გარე ექსპერტების დახმარებით კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, კომპანიის საქმიანობის განხორციელების პროცესი, აქტივები და პასივები. სამეთვალყურეო საბჭო ასევე ადასტურებს წლიურ და შუალდურ ანგარიშებს. [184] მეწარმეთა შესახებ კანონის 55-ე (8) მუხლის თანხმად, თუკი წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გარკვეული ოპერაციების განხორციელება მხოლოდ სამეთვალყრეოს საბჭოს კომპეტენციაში შედის.[185] ხოლო ამავე კანონის 55-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, "ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თანხმობის გაუცემლობის შესახებ ინფორმაცია, შეტანილი უნდა იქნეს

---

[182] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 54.6 (ე)

[183] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 508.

[184] "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 55.1.

[185] "მეწარმეთა შესახებ" კანონი, 55.8 თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

ა) საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;

ბ) ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;

გ) წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;

დ) ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;

ე) დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენა;

ვ) ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;

ზ) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

თ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;

ი) საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

კ) ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ლ) საზოგადოების ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;

მ) იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

სააქციო საზოგადოების წლიურ ანგარიშში, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.”

2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ დანაწესი, რომლითაც განისაზღვრება გარკვეულ ტრანზაქციებზე სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის აუცილებლობა (მაგ. მშკ 55.8), წარმოადგენს კორპორაციული მართვის ცალკეული ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნის მკაცრ რეგლამენტაციას, რომლითაც რეგულირდება საზოგადოების შიგნით მართვის ორგანოთა უფლება-ვალდებულებების საკითხი. ამდენად, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა წარმოადგენს ამ ორგანოს არა ვალდებულებას, არამედ უფლებას, რომელიც ემსახურება საზოგადოების კორპორაციულ მართვას.[186]

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დანაწესით საზოგადოების ხელმძღვანელის (დირექტორის) უფლებამოსილების შეზღუდვის მიუხედავად, ამ უკანასკნელის მიერ იმ გარიგების დადება, რომლის დადების უფლებამოსილება მას არ გააჩნდა, მესამე პირის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შეზღუდვის შესახებ იცოდა კონტრაჰენტმა ან, როცა საზოგადოების წარმომადგენელი და კონტრაჰენტი მოქმედებდნენ განზრახ (“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქციის) 9.5 მუხლი). აღნიშნული ნორმით დაცულია საზოგადოების ინტერესები და, როგორც აღინიშნა, ამ დაცვითი მექანიზმის ამოქმედებისათვის აუცილებელია არსებობდეს კონტრაჰენტის არაკეთილსინდისიერების ფაქტი.[187]

მეწარმეთა კანონის 55(9) მუხლის თანახმად, “სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობისათვის გამოიყენება ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი”. კანონის ეს ნორმა იმპერატიული ფორმით არის ჩამოყალიბებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დანაწესის წესდებით შეცვლა დაუშვებელია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააჩნიათ საწარმოს მიმართ დირექტორატის იდენტური ვალდებულებები, შესაბამისად, ნაშრომში ცალკე სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობები განხილული არ არის გარდა სპეციპფიკური შემთხვევებისა, რაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე შეიძლება გავრცელდეს.

როგორც აღინიშნა, დირექტორი დაკავებილი პოზიციიდან შესაძლოა გათავისუფლებულ იქნეს სამათვალყურეო საბჭოს მიერ, აღნიშნული მიდგომა საკითხისადმი გამოწვეულია დირექტორისათვის კომპანიის მართვის პროცესში მინიჭებული ძალაუფლების გამო წარმოშობილი რისკის დაბალანსების აუცილებლობით.[188]

არსებული საკორპორაციო კანონმდებლობა უშვებს დირექტორატის აღმასრულებელი ფუნქციის სამათველყურეო საბჭოს მიერ შესრულების შესაძლებლობას, წესდებით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში. თუმცა ნათლად განსაზღვრული არ არის თუ რა შეიძლება

---

[186] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-1234-1493-09, 10 ივნისი, 2010 წელი.

[187] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-1234-1493-09, 10 ივნისი, 2010 წელი.

[188] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 508. ასევე იხ. სუს გადაწყვეტილება №3კ/359-01, 712, 715, 30 მარტი, 2001 წელი

იგულისხმებოდეს "გამონაკლის შემთხვევებში", მაგალითად, შესაძლებელია თუ არა, რომ ეს იყოს გარდამავალი პერიოდი დირექტორის გადაყენებას და ახალი დირექტორის დანიშვნას შორის.[189]

სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციები სწორედ დირექტორატის საქმიანობაზე კონტროლში გამოიხატება. სამეთვალყურეო საბჭოს, ნებისმირ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საქმიანობის ანგარიში. ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს. როგორც პროფესორი ლადო ჭანტურია აღნიშნავს, დირექტორების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან არ ნიშნავს მხოლოდ საქმიანობის მართლზომიერებაზე ზედამხედველობას და კონტროლს, არამედ საქმიანობის მიზანშეწონილობისა და ყაირათიანობის გაკონტროლებას. [190] ამიტომ სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელი არაა მხოლოდ დირექტორატის მიერ მართლზომიერ განხორციელებაზე, არამედ მის ეფექტურობაზეც იმ პერსპექტივით, რომ საწარმომ რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს[191].

მეწარმეთა შესახებ კანონის 55-ე მუხლის მე-7[2] პუნქტის თანახმად, დირექტორის ფუნქცია წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. ასევე, ამავე მუხლის მეორე პუნქტის მეორე წინადადების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უფლებამოსილია იმავდროულად იყოს საწარმოს დირექტორი, რაც იმას გულისხმობს, რომ მაკონტროლებელი, იმავე დროს, არის პირი ვისზეც კონტროლი ხორციელდება.[192]

ისმის კითხვა, თუ საზოგადოების დირექტორი იმავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იქნება, ხომ არ გამოიწვევს ეს სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან დირექტორატზე კონტროლის შესუსტებას? აღნიშნული კონტროლის არარსებობა კი, თავის მხრივ, შეიძლება სავალალოდ აისახოს საზოგადოების მომავალზე. დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. დირექტორი, რომელიც იმავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს წევრიცაა, თავის თავს ვერ გააკონტროლებს ეფექტურად და ხარისხიანად, ხოლო კანონის დანაწესი, რომლის თანახმადაც დირექტორები არ შეიძლება უმრავლესობას წარმოადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოში, [193] მარტივად რომ ვთქვათ, სათანადო გარანტიებს ვერ იძლევა და ვერ პასუხობს კორპორაციული მართვის თანამედროვე სტანდარტებს, რაც ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს.

დირექტორების მონაწილეობით არსებული სამეთვალყურეო საბჭო სულ უფრო მეტად ემსგავსება ამერიკულ ბორდს *(The Board of Directors),* ვიდრე გერმანულ სამეთვალყურეო საბჭოს *(Aufsichtsrat)*. საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების თანახმად, ამერიკული ბორდი კორპორაციის

---

[189] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, P.508

[190] *Grunewald,* Geselschaftsrecht.2.Afl.1996, S. 254-255. მითითებულია: ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გამომცემლობა "სამართალი," 2002, 411.

[191] *ჭანტურია., ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გამომცემლობა "სამართალი," 2002, 411.

[192] *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 98.

[193] "მეწარმეთა შესახებ" კანონი 55-ე მუხლი, მეორე ნაწილი, ბოლო წინადადება

მართვის ერთადერთი სავალდებულო ორგანოა.[194] გარდა ამისა, ბორდს აქვს როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე გამგეობის (დირექტორატის) უფლებამოსილება, რაც მას აქცევს კორპორაციის ყველაზე ძლიერ და გავლენიან ორგანოდ.[195] სწორედ ასეთ ორგანოს შეიძლება წარმოადგენდეს ქართული სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც დირექტორი შედის. თუმცა მეწარმეთა შესახებ კანონს ნაკლოვანებები აქვს, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს იმ შეზღუდვებს და მოთხოვნებს რასაც კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკა იძლევა და რომლებიც ამერიკულ ბორდზე ვრცელდება.

კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკა იძლევა რეკომენდაციას, რომ კომპანიაში გენერალური აღმასრულებელი დირექტორისა და ბორდის თავმჯდომარის პოზიციებზე დანიშნულ იქნეს სხვადასხვა პიროვნებები. ვინაიდან, აღმასულებელი დირექტორის მიერ ბორდის თავმჯომარის პოზიციის შესრულებაც დიდ ძალაუფლბას ანიჭებს და ქმნის ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხეს.[196] ამ დროს, ფაქტიურად, მართვისა და კონტროლის ფუნქციები არეულია ერთმანეთში, ვინაიდან, ბორდის თავმჯდომარეს ევალება აკონტროლოს აღმასრულებელ დირექტოთა საქმიანობა. ცხადია, ზემოთ მოყვანილი გარემოების არსებობისას, კონტროლის მექანიზმი საგრძნობლად იქნება შესუსტებული, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის საქმიანობაზე.

კორპორაციული მართვის თვალსზრისით, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი გარე დირექტორების არსებობას, ვინაიდან ისინი ახორციელებენ მაკონტროლებელ ფუნქციას კომპანიის მართვის პროცესში. ***პირველი,*** მათ გააჩნიათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ხოლო თუკი აღმოჩნდება, რომ ისინი არაკომპეტენტურები არიან ამ, ეს გამოიწვევს მათთვის ეკონომიკური და რეპუტაციული სახის დანაკარგებს და ***მეორე,*** ვინაიდან ისინი არ არიან ჩართული კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, მოსალოდნელია, რომ მშვიდად, მიუკერძოებლად და კონსტრუქციულად განახორციელებენ დირექტორთა გადაწყვეტილებებზე დაკვირვებასა და კონტროლს.[197] ასევე აღიარებულია დამოუკიდებელი დირექტორების განსაკუთრებული როლი კომპანიათა შერწყმა-დაუფლებისას. ითვლება, რომ ისინი ხელს უწყობენ აქციონერთა პოზიციის დაცულობას ამ პროცესში.[198]

მეწარმეთა შესახებ კანონი სამთვალყურეო საბჭოს წევრების კვალიფიკაციის, მათ ფინანსურ და იურიდიულ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს არ არეგულებრს და ღიად ტოვებს, რამაც შესაძლოა პრაქტიკაში ამ ორგანოს არაეფექტური მუშაობა გამოიწვიოს. ქართული კანონმდებლობა ასევე არ იცნობს დამოუკიდებელი დირეტორების ინსტიტუტს და არ შეიცავს სავალდებულო დანაწესს მათი

---

[194] *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა "სამართალი," თბ., 2006, 112.

[195] *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა "სამართალი," თბ., 2006, 113.

[196] *Adelopo,* Auditor Independence-Auditing, Corporate Governance and Market Confidence-Corporate Social Responsibility Series, Gower Publisher Limited, Surrey, 2012, 14.

[197] *იქვე*33.

[198] *იქვე.*

კორპორაციული მართვის სისტემაში არსებობის შესახებ, რაც იმ პირობებში, როდესაც სამთვალყურეო საბჭოს წევრებს შეუძლიათ დირექტორატის ფუქციები შეასრულონ და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სამეთვლყურეო საბჭოში, როგრც წესი, უმრავლესობაში მყოფი აქციონერების წარმომადგენლები იკავებენ ადგილს, (ვინაიდან ეს ორგანო აქციონერთა მიერ აირჩევა) ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს.[199]

2.6.1.1. დირექტორატი

მეწარმეთა კანონში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, დირექტორატი უნდა იქნეს მიჩნეული იმ ძირითად ორგანოდ, რომელსაც გააჩნია კომპანიის საქმინობის მართვისა და კონტროლის უფლებამოსილება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს დირექტორატის წევრებთან ერთად კონტროლის ფუნქციის აუდიტის კომიტეტისათვის (არსებობის შემთხვევაში) გადაცემა.[200]

დირექტორი სამეწარმეო საზოგადოების მართვის აუცილებელი ორგანოა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების საქმიანობის სწორად წარმართვაში. [201] როგორც აღინიშნა, განხორციელებული ცვლილებების შემდეგ არ იქნა გათვალისწინებული დამოუკიდებელი დირექტორების არსებობა. ე.წ *"Non-management Directors "*. იმ პირობებში, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო სავალდებულო ორგანოს აღარ წარმოადგენს, მნიშვნელოვანია არსებობდეს კონტორილი დირექტორატის საქმიანობაზე.

აქციონერთა საერთო კრება ყოველდღიურ ბიზნესის წარმოებას ეფექტურ კონტორლს ვერ გაუწევს. ინვესტორისათვის, რომელიც აპირებს ფულის დაბანდებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება და ხორციელდება თუ არა კონტროლი დირექტორის საქმიანობაზე. მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლს, რა თქმა უნდა, თავად დირექტორატი ახორციელებს. ინვესტორისათვის საინტერესოა, როგორ იღებს ეს ორგანო გადაწყვეტილებას და არსებობს თუ არა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე ეფექტური კონტროლი.

დამოუკიდებელი დირექტორების არსებობა ბორდში, მნიშვნელოვანი სიგნალია ინვსტორებისათვის, ვინაიდან აღნიშნული ფაქტი ცხადყოფს, რომ დირექტორატი ყოველთვის მზადაა "შემოწმება" გაიაროს დამოუკიდებელი პროფესიონალების მხრიდან, მეორე დადებითი თვისება,

---

[199] იხ. *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 509.

[200] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 507.

[201] *ლაზარაშვილი,* თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან, პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში 309-342, გამომცემლობა "მერიდიან," 2009, 309.

რაც დამოუკიდებელი დირექტორების არსებობას შეიძლება ქონდეს, არის ის, რომ დირექტორები უფრო მეტად დაცულნი არიან აქციონერთა მიერ მათ წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელებისგან[202].

აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ განხორციელებული ცვლილებების შემდეგ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საწარმოს მართვის სისტემა არც თუ მიმზიდველია ინვესტორებისათვის. დირექტორატის უფლებები და ფუნქციები გაზრდილია, კოტროლი კი შესუსტებული.

საქართველოში კორპორაციული მართვის გამოცდილების და კულტურის სიმცირის გამო, დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აქცინერები "ხიდის" ერთ მხარეს არაინ, ხოლო საწარმოში დასაქმებული მუშაკები კი ამ ხიდის მეორე მხარეს. საქართველოში დამკვიდრებული მცდარი პრაქტიკის შესაბამისად, დირექტორი უნდა ასრულებდეს აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მითითებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამსხურს დაჰკარგავს.[203] აღნიშნული პრაქტიკა, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება მეწარმეთა შესახებ საქათველოს კანონის დანაწესს, რომლის თანახმადაც, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად.[204]

საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან სამთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წევრები, თუკი ისინი მეწარმისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებითა და გულმოდგინებით არ მოეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას.[205]

დირექტორი (მენეჯერი) უნდა იყოს კარგი მედიატორი და მოქმედებდეს როგორც აქციონერთა, ასევე კომპანიაში დასაქმებიულ თანამშრომელთა სასარგებლოდ. დირექტორი, რომლიც "ხიდის" ერთ მხარეს დგას, პირნათლად ვერ შეასრულებს კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მიუხედავად იმისა თუ ხიდის რომელ მხარეს დგას იგი.

2.6.2. იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლება

დირექტორატი საზოგადოების მართვის უმთავრესი რგოლია. მისი პროფესიონალიზმი და უნარიანობა მნიშვნლოვნად განსაზღვრავს საწარმოს წარმატებას, შესაბამისად დირექტორის უფლება - მიიღოს იურიდიული რჩევა, გაიაროს კონსულტაცია შესაბამის თანამშრომელთან

---

[202] *Clarke D. C.*, Three Concepts of the Independent Directors (PP 73-111) in: Delaware Corporate law Journal, Volume 32, Widener University School of Law, 2007, 106, http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/decor32&id=1&collection=journals&index=journals/decor>..

[203] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 26 ივნისის განჩინება (საქმე№ას 68-767-03) უზენაესმა სასამართლომ საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად, საქმე ეხებოდა დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებას, ხოლო გათავისუფლების მიზეზად დირექტორსა და აქციონერებს შორის არსებული უთანხმოება სახელდებოდა.

[204] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი 9.6 მუხლი..

[205] *ბურდული*, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2008, 94-95

ან თუნდაც კომიტეტთან, ძალზე მნიშვნელოვანია.

დელავერის კანონმდებლობა ამ უფლებას სასიცოხლო უფლებას უწოდებს. საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მსგავსი სახის დანაწესს არ იცნობს, თუმცა კანონის შესაბამისი მუხლების განმარტების საფუძველზე [206] შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ ქართული კომპანიის დირექტორს უფლება აქვს მოითხოვოს იურიდიული კონსულტაცია გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არსებულ მნიშვნელოვან საკითხებზე. უფრო მეტიც, თუ დირექტორი მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ინფორმაციის გარეშე, შესაძლებელია, რომ მას პასუხი მოეთხოვოს ზიანისათვის თუკი გადაწყვეტილებას მსგავსი შედეგი მოყვება[207].

დირექტორების მოვალეობაა, უფრო მეტიც, ისინი წახალისებულ უნდა იყვნენ იმისათვის, რომ მიიღონ სარისკო გადაწყვეტილებები, რათა გაზარდონ მოგება და შემოსავალი საწარმოსათვის და შესაბამისად აქციონერთათვის.[208]რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება გადაწყვეტილების ბრმად მიღება. სარისკო გადაწყვეტილება აუცილებლად სათანადო, სრულყოფილი ინფორმაციის საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული, რომ დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგეს.

2.6.3. დირექტორის ანაზღაურება

დირექტორის ანაზღაურება უნდა ასახავდეს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა სამართლიანობა და კეთილსინდისიერება [209] . ვინაიდან ანაზღაურების საკითხი შეიცავს ასევე მორალურ კომპონენტებს, როგორებიცაა სიძუნწე და საკუთარი ინტერესების ხარჯზე სხვათა უგულებელყოფა. შესაბამისად, საწამოს მოგების თანაბარი და სამართლიანი გადანაწილება არის ერთ-ერთი მაჩვენებელი ნამდვილად მოქმედებს თუ არა კომპანია სამართლიანობისა და მაღალი ეთიკური ნორმების დაცვით.[210]

დირექტორთა უმრავლესობის ანაზღაურება მჭიდროდ არის დამოკიდებული კომპანიის წარმატებაზე და ფორმულა, რომლის მიხედვითაც დირექტორი ანაზღაურებას იღებს, კავშირში უნდა იყოს იმასთან, თუ რამდენად მომგებიანია კომპანია. თუკი კომპანია მოგების მიღებას ვერ ახერხებს, ხოლო დირექტორი მაინც ცდილობს მიიღოს საარგებლი ბონუსის სახით, აღნიშნული ქმედება მას ჩაეთვლება საწარმოს მიმართ ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობის დარღვევად.[211]

სარბანეს ოქსლეის აქტის 304-ე მუხლის თანახმად, დირექტორები

---

[206]"მეწარმეთა შესახებ" საქართველო კანონი მე-9, 56-ე მუხლები,

[207] "მეწარმეთა შესახებ" საქართველო კანონი 56.4-ე მუხლი

[208]იქვე.

[209] *Rosamund,* Business Ethics in: Corporate Social Responsibility, Publisher, Kluwer Law International , Hague, 2005 , 32.

[210] *Rosamund,* Business Ethics, in: Corporate Social Responsibility, Publisher, Kluwer Law International , Hague, 2005 , 32.

[211] *Walsh, Lowry,* CSR and Corporate Governance, in: Corporate Social Responsibility, Publisher, Kluwer Law International , Hague, 2005, 51.

ვალდებულნი არიან დააბრუნონ ბონუსის სახით აღებული თანხა, თუკი გაირკვევა, რომ კომპანია კანონმდებლობის შესაბამისად არ აწარმოებდა ფინანსურ ანგარიშგებას და მას მოუხდება ახალი ანგარიშგების წარგენა.[212] აღნიშნული აქტი ასევე უკრძალავს საჯარო (ღია) სააქციო საზოგადოებებს სესხების გაცემას ბორდის წევრებზე, როგორც დამოუკიდებელ ასევე აღმასრულებელ დირექტორებზე.[213]

გერმანიაში, დირექტორის ანაზღაურებასთან დაკავშირებით კომპანიის სახელით აქციონერებთან მოლაპარაკებას აწარმოებს სამეთვალყურეო საბჭო. ანაზღაურება არ შეიძლება სადაო გახდეს აქციონერთა ან მარაეგულირებელი ორგანოების მხრიდან, მაგრამ შესაძლოა დადგეს სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლბის საკითხი, თუკი აღმოჩნდება, რომ ანაზღაურება შეუსაბამოდ დიდია.[214]

გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციის თანახმად, კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის გამო კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს ბოლო ორი წლის განმავლობაში მიღებულ ანაზღაურებას, დამატებითი ბენეფიტების ჩათვლით.[215]

პრეცედენტული სამართალის თანახმად, დირექტორი არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ანაზღაურებისა და კომპენსაციის შესახებ. აღნიშნული შეზღუდვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც ბოლო ხანებში დირექტორთა ანაზღაურების ზრდის კოლოსალური მაჩვენებლი დაფიქსირდა.[216]

აშშ-ში, როგორც წესი აღმასრულებელი დირექტორების ანაზღარუების საკითხს დამოუკიდებელი, გარე დირექტორები წყვეტენ. დირექტორატის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული დისნეის საქმეზე დელავერის სასამრთლოს მიერ. აღნიშნული საქმეს ასევე მნიშვნელობა აქვს *Business Judgement Rule*-თან მიმართებაშიც, იმდენად, რამდენდაც მიუხედავად საქმიდან გამომდინარე, კომპანიის პრეზიდენტისათვის მიცემული აშკარად გადამეტებული ანაზღაურებისა, დირექტორები მაინც აღმოჩნდნენ აღნიშნული ინსტიტუტის დაცვის ქვეშ.[217]

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ არ არეგულირებს დირექტორთა ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონში სიტყვა "ანაზღაურება" ამ კონტექსტში არც ერთხელ არ არის გამოყენებული. შესაბამისად, არსებული რეგულირების თანახმად, იგი მთლიანად მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. ცხადია მხარეთა შეთანხმება მნიშვნელოვანია ანაზღაურების განსაზღვრის პროცესში, მაგრამ, მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, კანონი უნდა იძლეოდეს ძირითად მიმართულებებს, ზოგად მითითებებს ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მაგალითად, აკეთებდეს ხაზგასმას

---

[212] *Walsh, Lowry,* CSR and Corporate Governance, in: Corporate Social Responsibility, Publisher, Kluwer Law International , Hague, 2005*,* 52.

[213] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 519.

[214] *kawamura, Anderson,(Edit) Rodewald, Tielman ,* Germany :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 101.

[215] *kawamura, Anderson, (Edit) Rodewald, Tielman,* Germany :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 101.

[216] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 518.

[217] დეტალურად დისნეის საქმესთან დაკავშირებით იხ. თავი IV. ქვეთავი მე-2.

ანაზღაურების სამართლიანობაზე, კომპანიის მომგებიანობასა და დირექტორატის ანაზღაურებას შორის ლოგიკურ კავშირზე. როგორც კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისათვის ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში, ე.წ. "მწვანე მოხსენებაშია" აღნიშნული, მმართველი ორგანოს ანაზღაურება კომპანიის საქმიანობას უნდა შეესაბამებოდეს.[218] აღნიშნული საკითხის დარეგულირება მნიშვნელოვანია რათა შეზღუდოს ამ კუთხით არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება კომპანიის მიმართ. მსგავსი შინაარსის ნორმას პრევენციული მნიშვნელობაც აქვს. იგი უბიძგებს დირექტორს უარი თქვას შეუსაბამოდ მაღალი ანაზრაურების მიღებაზე. დავის არსებობისას, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე სასამართლომ უნდა დაადგინოს, რა ჩაითვლება შეუსაბამოდ მაღალ ანაზღაურებად.

3. აქციონერები (წილის მფლობელები) კორპორაციული მართვის სისტემაში

კორპორციული მართვის მოდელების შექმნის ერთ-ერთ ძირითად მიზნს, აქციონერთა უფლებების დაცვა წარმოადგენს. განსაკუთრებით უმცირესობაში მყოფი აქციონერთა ჯგუფის ინტერესების დაცვაა საჭირო, ვინაიდან მათ კომპანიის საქმიანობის კონტროლის შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ. ბოლო ხანების რეფორმები ინგლისსა და ამერიკაში სწორედ ამ იდეით არის შთაგონებული. რაც განაპირობებს კიდეც იმ პირების პასუხისმგებლობას რომლებიც საწარმოს მართავენ. პასუხისმგებლობის დაწესების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სწორედ აქციონერთა უფლებების დაცვა წარმოადგენს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც აქციონერთა დაცვის თვალსაზრისით არსებობს, არის უტყუარი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და რეფორმები მიმართულია სწორედ იმისკენ, რომ გაიზარდოს აქციონერისათვის მიწოდებული ინფორმაციის ხარისხი და სისწორე.[219]

აქციონერები კომპანიის მესაკუთრეებს წარმოადგენენ. მათ შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდინონ ბიზნესის მართვაზე დირქტორთა დანიშვნის ან/და სწარმოს წესდებაში ცვლილებების შეტანის გზით, მაგრამ მათ არ გააჩნიათ უფლებამოსილება მიიღონ მმართველობითი გადაწყვეტილებანი კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ძალაუფლება დელეგირებულია დირექტორებზე.[220]

აქციონერებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ უფლებამოსილება მისცენ მითითებები დირექტორებს კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვის შესახებ. თუმცა არსებობს გარკვეული საკითხები, რაც აუცილებლად მოწონებული უნდა იქნეს აქციონერთა მხრიდან. მაგალითად, გადაწყვეტილება შერწყმასთან დაკავშირებით, კომპანიის

---

[218] Green Paper, The EU Corporate Governance Framework: http://www.elg.ge/cms/site_images/EU%20Green%20Paper.pdf

[219] *Walsh, Lowry,* CSR and Corporate Governance in: Corporate Social Responsibility, Publisher, Kluwer Law International , Hague, 2005, 54.

[220] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 514.

მთელი აქტივის ან აქტივის მნიშვნელოვანი ნაწილის (როგორც წესი განსაზღვრულია წესდებით) გასხვისების, ლიზინგით გაცემის ან გაქირავების შესახებ, ლიკვიდაციის შესახებ ნებაყოფლობით გადაწყვეტილების მიღება და ა.შ., თუმცა, ბიზნეს კორპორაციების შესახებ მოდალური აქტის თანახმად *(MBCA),* წინადადება აღნიშნულ კორპორციულ ქმედებებთან დაკავშირებით უნდა მოდიოდეს დირექტორატისგან.[221]

აქციონერისათვის ინფორმაციის მიწოდების გარეშე მისი მონაწილეობა კომპანიის მართვაში აქციონერთა მთავარ კრებამდე ან კრების ჩატარების პროცეში, ვერ იქნება ეფექტური. მას პერიოდულად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია დირექტორატისგან კომპანიაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით. შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრების დანიშვნის შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდება აუცილებელია იმისათვის, რათა აქციონერმა კრებაში აქტიური და სრულყოფილი მონაწილეობა შეძლოს.[222]

მოგების განაწილება, ძირითადად, დამოკიდებულია მენეჯმენტის გადაწყვეტილებაზე, კომპანიის ეკონომიკურ განვითრებასა და წინსვლაზე და კაპიტალური ბაზრის ზეწოლაზე. [223] აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ დირექტორატი იღებს გადაწყვეტილებას მოგების განაწილებასთან დაკავშირებით და წარადგენს შესაბამის წინადადებას აქციონერთა საერთო კრებაზე. აშშ-გან განსხვავებით, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილებას დივიდენდის განაწილების შესახებ აქციონერთა საერთო კრება იღებს.

კორპორაციული მართვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემეტია და ამიტომ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, აქვთ თუ არა აქციონერებს ერთგულების ვალდებულება საწარმოს და სხვა აქციონერთა მიმართ. მიჩნეული იყო, რომ ძირითადად უმრავლესობაში მყოფ აქციონერს თუ აქციონერთა ჯგუფს გააჩნდა ეს ვალდებულება საწარმოს მიმართ. თუმცა, გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, უმცირესობაში მყოფ აქციოენერებსაც წარმოეშობათ ერთგულების მოვლეობა თუკი მათ შეუძლიათ გავლენის მოხდენა (მაგ. თუკი მათ აქვთ გადაწყვტილების დაბლოკვის შესაძლებლობა *blocking shareholding* ან ვეტოს უფლება *veto right* და სხვა მსგავსი სახის შემთხვევებში) აქციონერთა გადაწყვეტილებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ერთგულების მოვალეობის სტანდარტი აქციონერთათვის აქციონერთა გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის პროპორციულია.[224]

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, აქციონერის მხრიდან ერთგულების ვალდებულება არსებობს არა მხოლოდ კომპანიასთან, არამედ სხვა აქციონერებთან მიმართაც, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ადგენს, რომ უმიცირესობაში მყოფ აქციონერებს არ გააჩნიათ ასეთი ვალდებულება.[225]

---

[221] *იქვე.* 514.

[222] *Siems,* Convergence in Shareholder Law , Cambridge university Press, New York, 2008, P 96

[223] *იქვე.* 97.

[224] *Neville , Sorenson, (Edit)* Company Law and SMEs, Thomson Reuters Professional, Copenhagen, 2010 ,130-131.

[225] *Neville , Sorenson, (Edit)* Company Law and SMEs, Thomson Reuters Professional, Copenhagen,

აქციონერთა ფიდუციური ვალდებულების არსებობამ კამათი გამოიწვია დიდ ბრიტანეთში. კერძოდ, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ფიდუციური ვალდებულება შეიძლება ჰქონდეს იმას, ვისაც სხვის აქტივებზე აქვს წვდომა და ჩაბარებული აქვს ეს აქტივი სამართავად. ასეთ პირებს წარმოადგენენ დირექტორები, რომლებსაც გააჩნიათ კიდეც ფიდუციური ვალდებულებანი საწამოს მიმართ, მაგრამ აქციონერები არ მართავენ კომპანიის აქტივს, შესაბამისად მათ არ უნდა ჰქონდეთ ფიდუციური ვალდებულება საწარმოს მიმართ. [226] თუმცა მიუხედავად ამისა, არსებობს გარემოებები როდესაც აქციონერებს გააჩნიათ ერთგულების ვალდებულება საწამოს მიმართ და ასეთ საქმეებს ბრიტანეთის პრეცედენტული სასამართლო პრაქტიკაც იცნობს.

მაგალითად, სასამართლო პრაქტიკა ადგენს, რომ საწამოს წესდების შეცვლისას უმრავლესეობაში მყოფ აქციონერს გააჩნია საწამოს, როგორც მთლაინის, მიმართ ფიდუციური ვალდებულება. თუმცა განსაკუთრებით რთულ ამოცანად რჩება კონკრეტულად ჩამოყალიბება იმისა, თუ როგორ მოქმედებას ავალდებულებს აღნიშნული ვალდებულება უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს.[227]

არსებობს ასევე მეორე მიდგომა შეზღუდვა სამართლიანობის საფუძველზე, *(eqitable restriction)* რომლის თანახმდაც, უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს გააჩნიათ კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება, იმგვარად, რომ გამოირიცხოს უმცირესობაში მყოფთა მიმართ მოტყუებითი, თაღლითური და უსამართლო დამოკიდებულების არსებობა. [228] უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი მეტ შეზღუდვებს ითვალისწინებს ვიდრე ერთგულების მოვალების არსებობა.[229]

აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა კიდევ უფრო შორს მიდის და ადგენს, რომ უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს გააჩნიათ მკაცრად დადგენილი ერთგულების ვალდებულება უმცირესობაში მყოფთა მიმართ, რაც უმრავლესობაში მყოფთ ართმევს უფლებას გამოიყენეონ მაკონტროლებელი პოზიცია და "გამოწურონ" ეკონომიკური სარგებელი კომპანიიდან უმცირესობაში მყოფთა ხარჯზე.[230]

აშშ-ში ასევე არსებობს მოსაზრება, რომ საწარმოს მიმართ ერთგულების ვალდებულება უნდა გააჩნდეთ ინსტიტუციურ ინვესტორებს და ე.წ. "აქტიურ აქციონერებს."[231]

გერმანიის საკორპორაციო კანონმდებლობის თანახმად, აქციონერი უფლებამოსილია გაეცნოს და შეიტანოს შესწორებანი დღის წესრიგში, მოითხოვოს სპეციალური აუდიტის ჩატარება. ნებისმიერ, თუნდაც ერთი აქციის მქონე, აქციონერს უფლება აქვს დასვას კითხვები კომპანიის მართვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, გაასჩივროს დირექტორატის გადაწყვეტილებანი თუკი მიიჩნევს, რომ ისინი არ არის შესაბამისობაში კანონმბდელობასთან. აქციონერს უფლება აქვს შესთავაზოს მენეჯმენტს საკუთარი, ალტერნატიული მოსაზრებები მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.[232]

2010, 131.

[226] *იქვე.*134.

[227] *იქვე.* 135.

[228] *იქვე.*136.

[229] *იქვე.*

[230] *იქვე.*

[231] *იქვე.* 139.

[232] *kawamura, Anderson (Edit) Rodewald, Tielman,* Germany :in Corporate Governance, Jurisdictional

ცხადია, აღნიშნული ქმედებანი გამოწვეული და ნაკარნახევი უნდა იყოს კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მიზნად არ უნდა ისახავდეს პირადი გავლენის გაზრდას მენეჯმენტზე ან რომელიმე კონკრეტული გადაწყვეტილების დაბლოკვას და ა.შ.

აქციონერის მხრიდან მსგავს ქმედებათა პრევენციას ემსახურება ის გარემოება, რომ ზოგადად დამკვიდრებული მოსაზრების შესაბამისდ, აქციონერსაც გააჩნია ერთგულების ვალდებულება საწარმოს მიმართ. შესაბამისად, თუკი იგი ბოროატად გამოიყენებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, მისი პასუხისმგებლბის საკითხიც შეიძლება დადგეს და მოუწიოს კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღარუება, თუკი, რა თქმა უნდა, მისი ქმედება სისხლისსამართლებრივ ნიშნებს არ შეიცავს.

აქციონერის ხმის უფლება *(Voting Right)* წარმოადგენს აქციონერთა უმინშვნელოვანეს უფლებას და ცენტრალურ წერტილს კორპორაციულ მართვაში. ვინაიდან სადავო არ არის ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი მექანიზმი, (სამართალწარმოების დაწყების გარდა, მაგ. დერივაციული სარჩელი) რაც აქციონერს უფლებათა აღსრულებაში ეხმარება სწორედ ხმის უფლბაა.[233]

აქციონერები უფლებამოსილნი არაინ აქციონერთა კრების სპეციალური გადაწყვეტილებით მიუთითონ დირექტორებს თავი შეიკავონ ან პირიქით, განახორციელონ კონკრეტული ქმედება. ასეთი გადაწყვეტილება ძალას არ უკარგავს დირექტორატის მიერ აქციონერთა მიერ დასახელებული გადწყვტილების მიღებამდე განხორციელებულ ქმედებებს. [234] ასეთ გადაწყვეტილებას არ გააჩნია რეტროსპექტიული ეფექტი დირექტორატის მიერ უკვე განხორციელებულ ქმედებებთან მიმართებაში.

აქციონერებს სს-ში და წილის მფლობელებს შპს-ში გააჩნიათ ერთგულების მოვალეობა საწარმოსთან თუ ერთამანეთთან ურთიერთობაში. ერთგულების მოვალებას გააჩნია ცენტრალი როლი აქციონერთა უფლა-მოვალეობათა განსაზღვრის თვალსაზრისით. როგორც კომპანიასთან მიმართებაში, ასევე ერთამნეთთან ურთიერდამოკიდებულების თვალსაზრისით. კერძოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიერ უმცირესობაში მყოფთა მიმართ ერთგულების ვალდებულების არსებოა, თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც მსგავსი ვალდებულბა გააჩნიათ უმცირესობაში მყოფ აქციოენრებსაც.[235]

თითოეულ აქციონერს გააჩნია განსაზღვრული ერთგულების ვალდებულება *(Treuepflicht)* კომპანიისა თუ ერთმანეთის მიმართ. აქციონერთა აღნიშნული სახის ვადლებულება დადგენილ და განმტკიცებულ იქნა სასამართლო გადაწყვეტილებათა შედეგად. ერთგულების ვალდებულება გარკვეულ შეზღუდვას აწესებს აქციონერთათვის არ იმოქმედონ თავკერძა გადაწყვეტილებების საფუზველზე.[236]

Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 99.

[233] *Reisberg,* Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007, 25.

[234] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 81.

[235] *Stengel, Volhard,(Edit)* German Limited Liability Company, Wiley&Sons, West Sussex, 1997, 61-62.

[236] *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H.

სად გადის ზღვარი აქციონერის ლეგიტიმურ უფლებას, იმოქმედოს საკუთარი ინტერესების შესაბამისად, და ამ უკანასკნელის მიერ ერთგულების ვალდებულების დარღვევას შორის, რთული დასადგენია. აღნიშნული საკითხის დადგენა და გამოვლენა სასამართლოზეა მინდობილი და ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, კონკრეტული საქმისათვის დამახასითებელი სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით.

თანასწორი მოპყრობის პრინციპი *(Pari Passu Principle)* დაკავშირებულია ერთგულების მოვალებასთან და იგი შექმნიალია სასამართლოს მიერ, რომლის თანახმადც ჩვეულებრივ ვითარებაში ყველა აქციონერი თანაბარი უფლებით უნდა სარგებლობდეს, რომ მათ გააჩნიათ თანაბარი უფლება-მოვალეობანი და უპირატესობის მინიჭება რომელიმე მათგანისათვის, თუკი კანონმდებლბით ან წესდებით არ არის დადგენილი რაიმე სახის პრივილეგია, დაშვებული არ არის.[237]

თანასწორი მოპყრობის პრინციპის გამოსახატავად, ასევე ხშირად გამოიყენება ფორმულირება *თანასწორობა არის სამართლიანობა (Equality is Equity),* რაც მნიშვნელოვანია აქციონერთა დასაცავად აქციონერთა კრებაზე მარტივი ან კვალიფიციური უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საპირისპიროდ. აღნიშნული პრინციპის დარღვევამ შესაძლოა წარმოშვას სპეციალური შესრულების მოთხოვნის უფლება უფლებადარღვეული აქციონერისათვის. მაგალითად, ზიანის ანაზღაურება, რათა გარანტირებული იყოს აქციონერთა კანონის ფარგლებში თანასწორობის პრინციპი.[238]

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ბათილია სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი მოვალეობის დაკისრება. (მშკ. 53.1) ერთიდაიგივე გარემოების არსებობისას, აქციოენერები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს [239] *(Pari Passu Principle)* რაც არ ართმევს კომპანიას შესაძლებლობას გამოუშვას პრივილეგირებული აქციები. აქციონერი უფლებამოსილია გამოიყენოს ხმები საკუთარი ინტერესებისათვის, თუკი საკითხი არ ეხება მასთან რაიმე სახის ტრანზაქციას. დომინანტი აქციონერი ვალდებულია აუნაზღაუროს ზიანი სხვა აქციონერებს, თუკი იგი განზრახულად იყენებს ხმებს კომპანიის საზიანოდ.[240] როგორც ირკვევა, აღნიშნული მუხლის მიზანი არ არის კომპანიისათვის ზიანის ანაზღაურება, არამედ იგი არეგულირებს მინორიტარი აქციონერისათვის მაჟორიტარის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას.[241]

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 3.10 მუხლის

Beck, Munchen, 2010, 78.

[237] *იქვე.*

[238] *იქვე.* 79

[239] “მეწარმეთა შესახებ” საქართველო კანონი მუხლი 52.1. ბოლოს წინა წინადადება

[240] “მეწარმეთა შესახებ” საქართველო კანონი მუხლი 3.8

[241] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 514.

თანახმად [242] , საზოგადოების პარტნიორს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ, მაგალითად წლიური ანგარიშის ასლი და ა.შ., ხოლო დასახელებული ინფორმაციის გაცემაზე ვალდებული პირი არის დირექტორატი, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი ორგანო. აღსანიშნავია რომ დირექტორატია ინფორმაციის გაცემაზე ვალდებული ორგანო და არა სამეთვალყურეო საბჭო.[243]

აქციონერების აშკარად დადგენილი ფიდუციური ვალდებულებანი კომპანიის მიმართ ან ერთმანეთთან ურთიერთობაში არ არსებობს. თუმცა მეორეს მხრივ აქციონერსა და კომპანიას შორის ჩვეულებრივ კორპორაციულ ურთიერთობაზე უფრო ინტენსიურმა და მჭიდრო კავშირმა, შესაძლებელია გამოიწვიოს ფიდუციური ურთიერთობების არსებობა. აღნიშნული მტკიცება სამოქალაქო კოდექსის პრინციპებს ეფუძნება[244], რომლის თანახმადაც ნებისმიერ უფლება განხორიელებულ უდა იქნეს კეთილსიდისიერად.[245]

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა მეწარმეთა შესახებ კანონის 3.5[1] მუხლი, რომელიც გადაწყვეტილების დაბლოკვის საშუალებას აძლევს აქციონერს "თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს" ადგენს რა რომ "აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი." ანუ დასახელებული ცვლილებების განხორციელებისას აქციონერს ფაქტიურად ვეტოს უფლება აქვს (*veto right)*. მართალია მეწარმეთა შესახებ კანონი პირდაპირ მითითებას არ აკეთებს აქციონერის/პარტნიორის ერთგულების ვალდებულებაზე, მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ ქართული სასამართლოების მიერ ასეთი დავის განხილვის შემთხვევაში დასახელებული ნორმა ფართოდ იქნეს განმარტებული და საკითხი განხილულ და გადაწყვეტილ იქნეს აქციონერის/პარტნიორის ერთგულების მოვალეობის კონტექსტში, ხოლო ერთგულების მოვალეობის სტანდარტი განისაზღვროს აქციონერის მიერ აქციონერთა გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის პროპორციულად.

---

[242]"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3.10

[243] *ბურდული,* მცირე აქციონერის უფლებათა ბოროტად გამოყენება/ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაკტიკული საკითხები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა "მერიდიან" 2009, 276.

[244] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 8.3, 5.2, 361, მუხლები

[245] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 514.

3.1. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება

როგორც წესი, აქციონერს უფლება აქვს გაასხვისოს აქციები, თუმცა შესაძლოა არსებულ აქციონერებს სურდეთ შეზღუდონ აქციების გასხვისება ისეთ პირზე, ვინც აქციონერი არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლოა მოხდეს აქციონერთა შეთანხმება, რათა გამოირიცხოს არასასურველი პირის მიერ აქციების შეძენა.[246] ბიზნეს კორპორაციების შესახებ მოდელური აქტის 6.27 მუხლის თანახმად *(Revised Model Business Corporation Act, (RMBCA),* ამგვარი შეზღუდვის ორი მეთოდია გათვალისწინებული. კერძოდ, უპირატესი შესყიდვის უფლება სხვა აქციონრებისათვის, რაც გულისხმობს იმას, რომ აქციონერი ვალდებულია აქციების შესყიდვა შესთავაზოს შეთანხმების მონაწილე დანარჩენ აქციონრებს, სანამ გაყიდიდეს მას მესამე პირზე. თუკი აქციონერები არ გამოიყენებენ ამ უფლებას, მაშინ უკვე გამყიდველი აქციონერი თავისუფალია და შეუძლია გაასხვისოს აქციები. აღნიშნული უფლება, შეთანხმების თანახმად, შესაძლებლია ასევე მიენიჭოს თავად კომპანიას. [247] *(Right of First Refusal.)* ასევე შესაძლოა არსებობდეს შეთანხმება, რომლის თანახმადაც, აქციონერი ვალდებულია გაყიდოს აქციები დანარჩენ აქციონერებზე ან თავად კომპანიაზე დადგენილ ფასად. [248] *(Buy-and-sell-agreement)* ფასის დადგენა ხდება სპეციალური ფორმულის მიხედვით, რომელიც, სხვა ფაქტორებს შორის, ითვალისწინებს იმას, თუ რამდენად მომგებიანია კომპანია.[249]

კომპანიის წესდება შესაძლოა ანიჭებდეს აქციონერებს კომპანიის მიერ გამოშვებული ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებას *(Preemtive Rights).* აღნიშნული უფლება არსებულ აქციონერს ანიჭებს უფლებამოსილებას, უპირატესი შესყიდვის უფლებით, შეიძინოს კომპანიის მიერ გამოშვებული ახალი აქციები მის საკუთრებაში არსებული აქციების პროპორციულად, რათა არ მოხდეს კომპანიაში მისი წილის გაუფასურება. [250] *RMBCA* 6.30 მუხლის თანახმად, აქციონერს შეუძლია უპირატესი შესყიდვის უფლება გამოიყენოს აქციათა გამოშვებიდან 30 დღის განმავლობაში, სანამ გაკეთდებოდეს აქციათა საჯაროდ შეთავაზება. თუკი აქციონერი დადგენილ ვადაში არ იყენებს ამ უფლებას, აქციები შესაძლოა გაყიდულ იქნეს ნებისმიერ პირზე.[251]

საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, აქციონერი თუ წილის მფლობელი კომპანიაში მიიჩნევს, რომ ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია გაასხვისოს წილი თუ აქციები და მათგან ძალიან მცირე ნაწილს თუ ესმის, რომ ეს ოპერაცია გარკვეულ შეზღუდვებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

იბადება მარტივი კითხვა, რატომ უნდა არსებობდეს შეზღუდვა საკუთრების გასხვისებაზე? აქციების თუ წილის გასხვისებაუნარიანობა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია და აღიარებულია საქართველოს

---

[246] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 621.

[247] *Revised Model Business Corporation Act,* (RMBCA) section 6.27

[248] *Revised Model Business Corporation Act,* (RMBCA) section 6.27

[249] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 621.

[250] *იქვე.* 620.

[251] *იქვე.*

კანონმდებლბით. კომპანიაში წილის მფლობელს უნდა ჰქონდეს უფლება გაწყვიტოს ურთიერთობა კომპანიასთან წილის გასხვისების გზით, თუკი მას აღარ სურს, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამ კომპანიაში წილს ფლობდეს. მაგრამ მთავარია ერთი მნიშველოვანი გარემობის გათვალისიწინება, კერძოდ ის, რომ აქციათა/წილის გასხვისება შესაძლოა მტკივნეულად აისახოს თავად კომპანიაზე. სწორედ ამიტომ, პარტნიორებმა წესდებით უნდა დაარეგულირონ აღნიშნული საკითხი, ვინაიდან მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით არ არის დადგენილი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. მიზანშეწონილია, კანონი ადგენდეს მინიმალურ სტანდარტს კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით იმ შემთხვევისათვის, თუკი შპს-ს პარტნიორებს წესდების შედგენისას გამორჩათ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის დარეგულირება.

დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებაში აქცია და შპს-ს წილი ერთი შეხედვით ძალინ ჰგავს ერთმანეთს. ორივე მათგანი გამოხატავს მესაკუთრის უფლებას საზოგადოების მიმართ და ისინი თავისუფლად გასხვისებაუნარიანნი არიან, თუკი წესდება რაიმე სახის შეზღუდვას არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამ მსგავსებისა, შპს-ს წილი მაინც არ განეკუთვნება ფასიანი ქაღალდის კატეგორიას.[252]

რაც შეეხება ღია სააქციო საზოგადოებას, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აქციათა გასხვისების გამარტივება სპეკულაციის საშულებას იძლევა, რაც დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ, გარკვეული შეზღუდვების დაწესება საკანონმდებლო დონეზე აქციების გასხვისებასთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია და დღემდე აქტუალურ თემად რჩება.[253]

3.2. დირექტორატის არჩევის და გათავისუფლების უფლება

როგორც წესი, აქციონერთა კრებაზე კენჭისყრა პირდაპირი ხმის მიცემის წესით ხდება, *(Straight (Noncumulative) Voting)* რომლის თანახმადაც, ერთი აქცია ერთ ხმას უდრის და ამგვარად, უმრავლესობაში მყოფ აქციონერს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს დირექტორატის ყველა წევრი.[254] თუმცა უმცირესობაში მყოფ აქციონერთა დაცვის მიზნით შესაძლოა, რომ კომპანიის წესდება ითვალისწინებდეს ხმის მიცემის კუმულაციურ წესს, *(Cumulative Voting)*[255] რაც უმცირესობაში მყოფ აქციონერებს აძლევთ საშუალებას მოახერხონ დირექტორის

---

[252] იხ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, გვ.266.

[253] *Siems,* Convergence in Shareholder Law , Cambridge university Press, New York, 2008, 78.

[254] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 620.

[255] კანდიდატთა კუმულაციური წესით არჩევისას, (Cumulative voting) თითოეულ აქციონერის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობა მრავლდება კანდიდატთა რაოდენობაზე და მიღებული რიცხვი(ხმები), აქციონერს შეუძლია გადაანაწიოლოს ასარჩევ კანდიდატების რაოდენობაზე შეხედულებისამებრ, ან მთლიანად ერთ კანდიდატს დაუჭიროს მხარი. მაგალითად თუკი ა-ს აქვს 100 აქცია ხოლო ასარჩევია 3 დირექტორი, ა-ს შეუძლია გადაამრავლოს აქციების რაოდენობა (100) კანდიდატების რაოდენობაზე(3) და მიღებული 300 ხმით მთლიანად ერთ კანდიდატს დაუჭიროს მხარი, ან გადაანაწილოს იგი სასურველ კანდიდარებზე საკუთარი შეხედულებისამებრ.

პოზიციაზე სასურველი კანდიდატის არჩევა.[256] ხმის მიცემის კუმულაციური მეთოდის გამოყენება საშუალებას აძლევს უმცირესობაში მყოფ აქციონერებს, მიაღწიონ იმაზე უფრო მეტი სასურველი კანდიდატის დანიშვნას, ვიდრე მათ ამის საშულებას საკუთრებაში არსებული აქციების ოდენობა აძლევს. ასეთ შემთხვევაში აქციების ოდენობა და პოზიციაზე დამტკიცებული დირექტორების ოდენობა პროპრციულ მიმართებაში არ არის ერთმანეთთან.[257]

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, შპს-ს უნდა ჰყავდეს ერთი ან მეტი დირექტორი, რომელთა არჩევა ხდება აქციონერთა კრებაზე, უბრალო უმრავლესობის მიერ, თუკი წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.[258] წესდება შესაძლოა ითვალისწინებდეს უბრალო უმრავლესობაზე უფრო მეტი ხმების საჭიროებას დირექტორის ასარჩევად.[259] ხოლო, თუკი კომპანიას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ დირექტოთა დანიშვნის ექსკლუზიური უფლებამოსილება ამ ორგანოს გააჩნია.[260]

შეზღუდული პასუხმგებლობის საზოგადოების შესახებ გერმანიის კანონის თანხმად, აქციონერები უფლებამოსილნი არიან უბრალო უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლონ დირექტორი. მათ ამის უფლებამოსილება გააჩნიათ რაიმე საფუძვლით ან ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. კომპანიის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში დირექტორის უსაფუძვლოდ გათავისუფლების აკრძალვას, თუმცა, არ შეიძლება აკრძალულ იქნეს დირექტორის გათავისუფლება საფუძვლის არსებობის შემთხვევაში და ასეთი ჩანაწერი ნებისმიერ შემთხვევაში ბათილია.[261]

თუკი კომპანიას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ ამ ორგანოს გააჩნია დირექტორთა გათავისუფლების ექსკლუზიური უფლებამოსილება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აქციონერებს რჩებათ დირექტოთა გათავისუფლების უფლებამოსილება, თუკი სამეთვალყრეო საბჭო ვერ ან არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.[262]

დირექტორი მომსახურებას ახორციელებს მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, რომლიც შეიძლება იყოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, ასეთი ხელშეკრულებები წერილობითი ფორმით იდება. ეს ხელშეკრულება რეგულირდება სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი წესების შესაბამისად, კონკრეტულად კი - მომსახურების

---

[256] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 620.

[257] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 24.

[258] *Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung* (GmbHG)&45 (2) ხელმისაწვდომია: http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/gmbhg/gesamt.pdf(ბოლოს გამოხმობილია: 26.05.2014)

[259] *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 50.

[260] *იქვე.* 50.

[261] *იქვე.* 51.

[262] *იქვე,* იხ. ასევე: Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung (GmbHG)&38(2)ხელმისაწვდომია:http://www.gesetzeiminternet.de/bundesrecht/gmbhg/gesamt.pdf(ბოლოს გამოხმობილია: 26.05.2014)

ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით. [263] *(Dienstvertrage)* დირექტორი არ წარმოდგენს ჩვეულებრივ დასაქმებულ პირს და შესაბამისად, შრომის კანონმდებლობით დასაქმებულთა დაცვის მიზნით დადგენილი ნორმები, დირექტორის მიმათ არ მოქმედებს.[264]

როგორც წესი, საბოლოო გადაწყვეტილებას დირექტორად დანიშვნის შესახებ შპს-ში აქციონერთა კრება იღებს, თუმცა გერამნული კანონმდებლბის თანახმად დირექტორმა უნდა მოახდინოს საკუთარი თანხმობის დეკლარირება ამ პოზიციაზე დანიშვნასთან დაკავშირებით.[265]

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იქნა დადგენილი აშშ-ს სასამართლო პრაქტიკის მიერ, რომ დირეტორის გათავისუფლება კოპორაციის არსებობის და საქმიანობის ჩვეული დამახასიათებელი თვისებაა.[266] ასევე დამკვიდრებული წესის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია გაათავსუფლოს დირექტორი დაკავებული პოზიციიდან თუკი მის მიერ ჩადენილ იქნა სამართალდარღვევა და შესაბამისად, დარღვეულ იქნა ვალდებულება.[267]

დირექტორის გათავისუფლება დაკავებული პოზიციიდან, სათანადო საფუძვლის არსებობის გარეშე, როგორც წესი, დაშვებული არ არის, თუკი კანონმდებლობით ან/და კომპანიის წესდებით ასეთი რამ პირდაპირ გათვალისწინებული არ არის. [268] *MBCA* ანიჭებს უფლებამოსილებას აქციონრებს გაათავისუფლონ დირექტორი რაიმე საფუძვლით ან ასეთი საფუძვლის გარეშეც.[269]

ბრიტანეთის სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან, (მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია) *(Company Directors Discvalification Act 1986. Sec. 6*) თუკი დარწმუნდება იმაში, რომ პროფესიული საქმიანობის პროცესში კომპანიის დირექტორის მიერ განხორცილებული ქმედება, შეუსაბამოს ხდის მას, იყოს დაკავშირებული კომპანიის მართვასთან. [270] კავშირი ზრუნვის მოვალების დარღვევასა და კომპანიის მართვასთან შეუსაბამოდ მიჩნევას შორის ცალსახა და ნათელი არ არის. დირქტორთა დისკვალიფიკაციის შესახებ აქტის თანახმად, მენეჯმენტისათვის შეუფერებლობა შეიძლება გამოიწვიოს დირეტორის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ ან ნებისმიერი ფიდუციური თუ სხვა სახის ვალდებულების დარღვევამ. მოცემულობა ძალიან ზოგადია და შესაბამისად, დირქტორის კომპანიის მართვასთან კავშირის შეუსაბამობის საკითხი სასამართლოს ფართო დისკრეციას მიეკუთვნება და უნდა გადაწყდეს ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე.[271]

თუკი დადგინდება, რომ დირექტორის ცოდნა და უნარები შეუსაბამოა

---

[263] *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 52.

[264] *იქვე.*52.

[265] *Jausas, (Edit) Lachmann,* Germany, in: Company Formation, Globe Business Publishing, London, 2009 , 332-333.

[266] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 105.

[267] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 107.

[268] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014,517.

[269] *იქვე.*

[270] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 43.

[271] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 43.

კომპანიისათვის, სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია.[272] სარჩელი დირექტორის დისკვალიფიკაციის შესახებ შესაძლოა აღძრულ იქნეს დაინტერესებული პირის მიერ. მაგ., უმცირესობაში მყოფი აქციონერი ან აქციონერთა ჯგუფი, რომლებსაც არ აქვთ სხვაგვარად დირექტორის სამსახურიდან დათხოვნის საშუალება. მათ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთონ, რომ დირექტორის ცოდნა და უნარები აშკარად შეუსაბამოა კონკრეტული კომპანიის საქმიანობის გაძღოლისათვის.

ბატონი ბურტი,. *(Mr. Burt)* რომელიც იყო ბანკის გენერალური დირექტორი, ჩართულ იქნა ბანკსა და ერთ-ერთ კომპანიას შორის *(Continental Assurance of London plc (CAL))* სესხის გაცემასთან დაკავშირებით მოლაპრაკებაში, ამ პროცესში იგი დანიშნულ იქნა კომპანიის *(CAL)* არააღმასრულებელი (დამოუკიდებელი) *(Non-executive director)* დირექტორის პოზიციაზე. სასამართლო გადაწყვეტილება შემდეგს ადგენს:

"სასამართლო განხილვისას არ დადგენილა, რომ ბატონმა ბურტმა იცოდა რაც ხდებოდა. თუმცა დადგინდა, რომ ნებისმიერ კომპეტენტურ დირექტორს მის ადგილზე ეცოდინებოდა სესხთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების შესახებ. ხოლო, ამ მხრივ, ინფორმაციის უქონლობა მეტყველებს მის *(Mr. Burt)* ღრმა არაკომპეტენტურობაზე ან გაუფრთხილებლობაზე *CAL* –ის საქმიანობასთან მიმართებაში.[273]"

ბრიტანეთში სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული პოზიციიდან, თუკი გარემოებები აჩვენებენ, რომ იგი ამ პოზიციისათვის შეუსაბამოა. გათავისუფლების მიზანს არ წარმოადგენს დირექტორის დასჯა, არამედ იგი ემსახურება საჯარო ინტერესების დაცვას, და მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებლი მომავალში გადაცდომა ასეთი დირექტორის მიერ. მსგავს შემთხვევებში, დირექტორის მიერ ვალდებულების დარღვევა არ წამოადგენს აუცილებელ გარემოებას დაკავებული პოზიციიდან მისი გათავისუფლებისათვის. სასამრთლო, როგორც წესი, აფასებს მის წარსულ საქმიანობას და ადგენს მინიმალურ სტანდარტს და ამის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას დირექტორის გათავისუფლების შესახებ. [274]

მეწარმეთა შესახებ კანონი ნათლად არ მიუთითებს იმასთან დაკავშირებით, თუ რის საფუძველზე წარმოიშობა ურთიერთობა კომპანიასა და დირექტორს შორის. მეწარმეთა კანონის 9.7 მუხლის თანახმად: ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.[275] მთავარ შეკითხვას, რაც პრაქტიკოს იურისტს საქმიანობის

---

[272] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 170.

[273] *Continental Assurance of London plc (CAL))(1997) 1BBCLC 48 ხელმისაწვდომია: http://web2.westlaw.com იხ. Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 172.

[274] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006, 304.

[275] „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი მულხლი 9.7 (24.06.2011. 4946 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)

განხორციელებისას წარმოეშობა წარმოადგენს ის, თუ რა სახის და შინაარსის ხელშეკრულება იდება საწარმოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან.

დირექტორთან სამართლებრივი ურთიერთობა მყარდება ორი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, დანიშვნის ბრძანებით და სასამსახურო ხელშეკრულებით, [276] თუმცა საწარმოს მიმართ ვალდებულებების წარმოშობისათვის დანიშვნის ბრძანება საკმარისია.

დირექტორის დანიშვნის აქტი გამოიცემა პარტნიორთა გადაწყვეტილებით, ხოლო თუკი არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ ასეთი აქტის გამომცემ კომპეტენტურ ორგანოს სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს.[277] კომპეტენტური ორგანოს მიერ დირექტორის დანიშვნა არ განიხილება ვალდებულებით-სამართლებრივ ჭრილში, არამედ იგი მოხსენიებულია როგორც "საკორპორაციო სამართლებრივი აქტი". [278] დანიშვნის აქტის საფუძველზე დირექტორი თავად იქცევა კომპანიის აღმასრულებელ ორგანოდ, რომელიც შრომით ურთიერთობაში შედის სხვა თანამშრომლებთან, ამგვარად იგი განსხვავდება შრომის სამართალში არსებული ურთიერთობებისგან, მაგალითად, სამუშაოზე მიღება და ა.შ.. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ დირექტორის დაქირავებასთან მიმართებაში არ გამოიყენება შრომის კოდექსი, რაზეც საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ჯერ კიდევ საკანონმდებლო ცვლილებებამდე მიუთითებდა. კერძოდ, უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, დირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკონპენსაციოდ, პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ დირექტორი და ასეთ შემთხვევებზე, შრომის კანონთა მოთხოვნები არ შეიძლება გავრცელდეს. [279] განხორციელებული ცვლილების შედეგად, მეწარმეთა შესახებ კანონში აისახა კიდეც სასამართლო პრაქტიკით დადგენილი წესები, თუმცა უმჯობესი იქნება თუკი კანონში ცალსახად დაფიქსირდება, რომ დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება, რომლითაც უნდა განისაზღვროს მისი ანაზღაურება და სხვა ბენეფიტები, და რომ ამ ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს საქმოქალაქო კოდექსის ნორმები ხელშეკრულების შესახებ. ასეთი ჩანაწერი გამორიცხვას გაუგებრობას, რასაც იწვევს მეწარმეთა შესახებ კანონი, განსაკუთრებით კი 9.7^2 მუხლი, რომლის თანახმადაც პასუხისმგებელი პირები (საწარმოს ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი) ვალდებული არიან მარეგისტრირებელი

---

[276] *მიგრიაული,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და დასრულება (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან) ყოველკვარტალური ჟურნალი, ნოტარიატი, სანოტარო და კერძო სამართლის მიმოხილვა, პრაქტიკა, თბილისი, 2003, 31.

[277] *მიგრიაული,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და დასრულება (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან) ყოველკვარტალური ჟურნალი, ნოტარიატი, სანოტარო და კერძო სამართლის მიმოხილვა, პრაქტიკა, თბილისი, 2003, 31.

[278] *მიგრიაული,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და დასრულება (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან) ყოველკვარტალური ჟურნალი, ნოტარიატი, სანოტარო და კერძო სამართლის მიმოხილვა, პრაქტიკა, თბილისი, 2003, 31. იხ. ასევე, *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 303.

[279] სუს, 30.03.2001 წლის განჩინება №3კ/350-01, ხელმისაწვდომია : http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

ორგანოსათვის რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენამდე, გააგზავნონ შეტობინება საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი წესით. ამ წესის დაცვის გარეშე რეგისტრაციის შეწყვეტის შემთხვევაში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.[280]

მიზანშეწონილია, ამერკაში დამკვდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ქართული კანონმდებლობაც უშვებდეს იმის შესაძლებლობას, რომ წესდებით განისაზღვროს დირექტორის გათავისუფლების საფუძველი, კერძოდ, გათავისუფლების შესაძლებლობა გაუფრთხილებლობის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო და წესდებაში ასეთი ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, დირექტორის უსაფუძვლოდ, ნებისმიერ დროს გათავისუფლება არ უნდა იყოს შესაძლებელი.

3.3. დივიდენდის მიღების უფლება

აქციონერთა უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს მიიღონ მოგება, კაპიტალის გაზრდის ან დივიდენდის განაწილების ან კიდევ ორივე მათგანის საშუალებით.[281] ბიზნეს კორპორაციების შესახებ აქტის თანახმად, დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დირექტორატის დსიკრეციას წარმოადგენს. *(RMBCA* მუხლის 6.40) დირექტორატია პასუხისმგებელი მიიღოს გადაწყვეტილება და დაადგინოს: როდის, სად, როგორ და რამდენი იქნება გადახდილი აქციონერთათვის დივიდენდის სახით. დირქტორატს შეუძლია გააკეთოს არჩევანი არ გაანაწილოს იგი და გამოიყენოს კორპორაციის მიზნებისათვის. აქტის თანახმად, აღნიშნული უფლების დელეგირება სხვა ორგანოზე ან რიმელიმე კომიტეტზე დაშვებული არ არის.[282]

მოგების დივიდენდის სახით განაწილებასთან დაკავშირებით კომპანია ადგენს თარიღს, *(record date)* როგორც წესი, გადახდამდე რამდენიმე კვირით ადრე. პირი, ვინც არის აქციონერი ამ თარიღისათვის უფლებამოსილია მიიღოს დივიდენდი, თუნდაც რომ უშულოდ გადახდის მომენტისათვის იგი აქციონერი აღარ იყოს. თუკი კომპანიამ განაცხადა დივიდენდის განაწილების შესახებ, მისი გამოხმობა და გაუქმება დაუშვებელია. აქციონერი უფლებამოსილია წარადგინოს სარჩელი, განცხადებული, მაგრამ გადაუხდელი დივიდენდის ანაზღაურების შესახებ.[283]

როგორც აღინიშნა, აშშ-ში დივიდენდის დეკლარირება დირექტორატის სამეწარმეო გადაწყვეტილების დისკერიცას მიეკუთვნება, რაც წარმოშობს საშიშროებას, რომ მათ მიერ არ მოხდეს დივიდენდის განაწილება და არც საწარმოს ხაზინა შეივსოს მიღებული მოგებით. არამედ თანხები დაიხარჯოს შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურებისა და

---

[280] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 9.7[2] (24.06.2011. 4946 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)

[281] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 620.

[282] *იქვე.*622.

[283] *იქვე.*

დირექტორატისათვის ბონუსების გადახდის გზით. მიუხედავად აღნიშნული რისკისა, ამერიკული კანონმდებლბის თანახმად, მტკიცების ტვირთი, რომ დირქტორატის მიერ საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილება ბოროტად იქნა გამოყენებული, აქციონერთა მხარესაა.[284]

დივიდენდის მიღების უფლებასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აქციოენრებს გააჩნიათ ვალდებულება სრულდ დაუბრუნონ კომპანიას კანონმდებლობის დარღვევით განაწილებული დივიდენდი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი დივიდენდის მიმღები კეთილსინდისიერად მოქმედებდა, მის მიერ სავალდებულოდ დასაბრუნებული თანხა შეზღუდულია იმ ოდენობით, რაც საჭიროა კრედიტორის დასაკმაყოფილებლად.[285]

უკანონოდ განაწილებული დივიდენდი ექვემდებარება კომპანიის მიერ მოთხოვნას, ამ მოთხოვნის წარმოშობიდან 5 წლის განმავლობაში. ხოლო, თუკი დივიდენდის მიმღები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, გამოიყენება ხანდაზმულობის ვადის ზოგადი ნორმები.[286]

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ადგენს, რომ გადწყვეტილებას დივიდენდის გადანაწილების შესახებ აქციონერები იღებენ. ამავე კანონის 52.1. მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, "დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია." მიზანშეწონილია, რომ მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული იქნეს რა მოხდება მაშინ, თუკი დივიდენდი უკანონოდ იყო განაწილებული, ვინ იქნება უფლებამოსილი მოითხოვოს მისი დაბრუნება. მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმებიდან გამომდინარე დირექტორატია სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილი ორგანო. სარჩელი შესაძლოა წარდგენილ იქნეს ასევე იმ აქციონერის მიერაც, რომელმაც ხმა მისცა დივიდენდის განაწილების წინააღმდეგ და არც ფაქტიურად მიუღია იგი.

ვინაიდან დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას პარტნიორები იღებენ, გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა დივიდენდის განაწილების შესახებ პარტნიორთა კრების ოქმის შედგენიდან 2 თვე იქნება, ხოლო თუკი კრება მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონით დადგენილი წესების უხეში დარღვევით, მაშინ გასაჩივრების ვადა იქნება ოქმის შედგენიდან ერთი წელი. რა შეიძლება ჩაითვალოს კანონით დადგენილი წესების უხეს დარღვევად სასამართლოს მიერ უნდა იქნეს შეფასებული, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

უმჯობესია თუ კანონში შევა ცვლილება რომლის თანახმადაც გადწყვეტილებას დივიდენდის განაწილებაზე მიიღებენ დირექტორები. დირექტორატის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორების გამო, კერძოდ: ***პირველი,*** როგორც წესი დირექტორი უფრო კარგად იცნობს (უნდა იცნობდეს) კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებს, მდგომარეობას ბაზარზე და, აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურია მიიღოს გადაწყვეტილება განაწილდება დივიდენდი თუ დარჩება იგი კომპანიაში შემდგომი

---

[284] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 547.

[285] *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 43.

[286] *იქვე.*

რეინვსტირებისათვის, ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და წარმატების მისაღწევად. ***მეორე,*** დირექტორატი ვალდებულია გაითვალისწინოს თითოეული აქციონერისა და კომპანიის ინტერესები, მაშინ როდესაც უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, შესაძლებელია დასახელებულ პირთა ინტერესების უგულვებელყოფას ქონდეს ადგილი. ***მესამე,*** რა თქმა უნდა, დირექტორის მხრიდანაც შესაძლოა ქონდეს ადგილი გადაცდომას, თუმცა აქ პრევენციულ ფუნქციას იმ ვალდებულებათა არსებობა ასრულებს, რომლებიც ქართული კანონმდებლბის თანახმად დირექტორებს გააჩნიათ კომპანიის მიმართ, მაშინ როდესაც აქციონერთა ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საკითხი ნათლად არ არის რეგულირებული და ბუნდოვანია.

ასევე შესაძლებელია, რომ კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ კვლავაც დარჩეს აქციონერთა (პარტნიორთა) კრება, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია განისაზღვროს პარტნიორთა პასუხისმგებლობის საკითხი, თუკი ისინი ყურად არ იღებენ დირექტორატის რჩევას და მაინც გაანაწილებენ დივიდენდს. კანონს უნდა დაემატოს უმცირესობაში მყოფი აქციონერებისა და კომპანიის ინტერესების დამცავი ნორმები, რათა უმრავლესობაში მყოფ აქციონერს არ ქონდეს კანონიერი შესაძლებლობა "გამოწუროს" სარგებელი კომპანიას და მოუკლას გრძელვადიანი პერსპექტივა, რაც არსებული რეგულირების პირობებში შესაძლებელია.

თუ გავითვალისწინებთ იმ მანკიერ წესსაც, რაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ მოქმედებს საქართველოში, რომლის თანახმადაც დირექტორატი ძირითადად უმრავლესობაში მყოფი აქციონერის ინტერესებს ემსახურება, ცხადი გახდება, რომ ეს ორგანო არასოდეს წარადგენს სარჩელს უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიმართ უმცირესობაში მყოფთა და კომპანიის ინტერსების დასაცავად. უმცირესობაში მყოფ აქციონერს (პარტნიორს) საკუთარი უფლებების დასაცავად მხოლოდ სასარჩელო წარმოება არ უნდა რჩებოდეს, კანონი უნდა ასრულებდეს პრევენციულ ფუნქციას და იცავდეს მას.

3.4. დერივაციული სარჩელი - Derivative Lawsuit

აქციონერები, როგორც წესი, არ არიან უფლებამოსილნი აღასრულონ კომპანიის უფლებები. მაგალითად, თუკი კომპანიის დირექტორმა, დაარღვია საკუთარი ვალდებულება და კომპანიის ხარჯზე დააგროვა ერთი მილიონი დოლარი, აქციონერს არ აქვს უფლება წარადგინოს მის წინააღმდეგ სარჩელი და მოითხოვოს იმ დანაკარგის პროპორციულად ანაზღაურება რაც მან განიცადა. აღნიშნული წესი მოქმედებს იმიტომ, რომ კომპანია წარმოადგნს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რომელიც განცალკევებულია კონკრეტული აქციონერისაგან. მოცემულ შემთვევაში, აქციონერი უფლებამოსილია წარადგინოს სარჩელი როგორც კომპანიის წრმომადგენელმა, კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ.

კომპანიათა შესახებ მოდელური აქტის თანახმად *(RMBCA),*

აქციონერმა რომ სარჩელი წარადგინოს კომპანიის სახელით ორი წინაპირობას უნდა აკმაყოფილებდეს: ***პირველი,*** იგი უნდა ფლობდეს აქციებს დირექტორის მიერ გადაცდომის ჩადენის მომენტისათვის და ***მეორე,*** თუ აქციონერმა მიმართა კომპანიას აღნიშნული სარჩელის წარდგენის მოთხოვნით, მაგრამ დირექტორატმა უარი განაცხადა სარჩელის წარდგენაზე, ან თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დირექტორატის მხრიდან სარჩელის შეტანისაგან თავის შეკავება. თუ აქციონერის სარჩელი წარმატებული აღმოჩნდება, ამ უკანასკნელის მიერ მოგებული თანხა ჩაირიცხება კომოპანიის ხაზინაში. შესაძლოა მას აუნაზღაურდეს სარჩელის წარდგენისათვის გაწეული ხარჯები.[287]

დირექტორები წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს და სწორედ ამ უკანასკნელის მიმართ გააჩნიათ ვალდებულებანი. შესაბამისად, მათ მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ისინი პოტენციურად პირდაპირ ზიანს აყენებენ სწორედ კომპანიას, ხოლო არაპირდაპირ ზიანს კომპანიასთან დაკავშირებულ სხვა პირებს, აქციონერებს, კომპანიაში დასაქმებულებს, კრედიტორებს. შეაბამისად, პირველ რიგში კომპანიაა უფლებამოსილი წარადგინოს სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ, მის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო. თუმცა საქმე ისაა, რომ ხშირად სწორედ დირექტორთა კონტროლის ქვეშ არის კომპანია და ეს უკანასკნელნი საკუთარი თავის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებით ცხადია არ მიიღებენ გადაწყვეტილებას. ითვალისწინებს რა ასეთი შესაძლებლობის არსებობას, საკორპორაციო კანონმდებლობა აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს ანიჭებს უფლებამოსილებას წარადგინოს სარჩელი დამრღვევ დირექტორთა წინააღმდეგ კორპორაციის ნაცვლად.[288]

თუკი კომპანიას მიადგა ზიანი მესამე პირთა მხრიდან, დირექტორატია ის უფლებამოსილი ორგანო, ვინც უნდა წარადგინოს სარჩელი ასეთი პირების წინააღმდეგ კომპანიის სახელით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მაგრამ, თუკი კომპანია არ წარადგენს სარჩელს, აქციონერია უფლებამოსილი წარადგინოს სარჩელი კომპანიის სახელით და მის ნაცვლად.[289] აღნიშნულ სარჩელს ეწოდება დერივაციული, ანუ ნაწარმოები სარჩელი, ვინაიდან იგი ნაწარმოები და წარმოშობილია კომპანიის უფლებისგან. აქციონერს შეუძლია წარადგინოს დერივაციული სარჩელი თუკი იგი:

- ზიანის მიყენების მომენტისათვის აქციონერი იყო;
- სარჩელის წარდგენა წარმოადგენს კომპანიის საუკეთესო ინტერესს;
- მან წერილობით მოითხოვა კომპანიისგან ასეთი სარჩელის წარდგენა, მაგრამ მისი მოთხოვნის მიუხედავად სარჩელი არ წარდგენილა და მოთხოვნიდან გასულია 90 დღე[290];

[287] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 550.
[288] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006 ,103.
[289] *RMBCA sec. 7.40*
[290] *RMBCA sec. 7.40*

როგორც წესი, აქციონერმა წერილობით უნდა მოითხოვოს დირექტორთა მხრიდან სარჩელის წარდგენა ზიანის მიმყენებლის მიმართ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხშირად ზიანის მიმყენებელს თავად დირექტორები წარმოადგენენ. ასეთ შემთხვევაში აქციონერი არ არის ვალდებული წერილობითი მოთოხოვნა წარუდგინოს ჯერ დირექტორებს და მხოლოდ 90 დღის უშედეგოდ გასვლის შემდეგ წარადგინოს დერივაციული სარჩელი.[291]

სასამართლო უარს იტყვის დერივაციული სარჩელის განხილვაზე, თუკი დამოუკიდებელი დირექტორების უმრავლესობის ან სასმართლოს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ პირთა მიერ წარმოდგენილ იქნება დასკვნა, რომ დერივაციული სარჩელი არ ემსახურება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს. ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერად, საქმის სათანადოდ, გონივრულად შესწავლისა და გამოძიების საფუძველზე.[292]

თუკი აქციონერის მიერ წარდგენილი დერივაციული სარჩელი წარმატებული აღმოჩნდება, წარმატების შედეგად მიღებული ნებისმიერი სახის ანაზღაურებას მიიღებს კომპანიის ხაზინა. აქციონერი უფლებამოსილია აინაზღაუროს სარჩელის წარდგენისათვის გაწეული გონივრული ხარჯები, მაგალითად, ხარჯები ადვოკატის, იურისტის მომსახურებისათვის და ა.შ..[293]

ინგლისში კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედება შესაძლოა ასევე თვის თავში გულისხმობდეს ინფორმაციის მიწოდებას დირქტორის მხრიდან თავად ამ უკანსკნელის ან სხვა დირქტორის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან დაკავშირებით.[294] სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ამ ვალდებულების მოთხოვნები, იმის დასადგენად, შესაძლებლი იქნება თუ არა დერივაციული სარჩელის წარდგენა.[295]

ვინაიდან დირექტორებს ვალდებულება გააჩნიათ საწარმოს მიმართ, ამ ვალებულებათა დარღვევის გამო "დამნაშავე" დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის წარგენის უფლება სწორედ კომპანიას გააჩნია. ხოლო თუკი კომპანიას არ შეუძლია, ან არ გამოთქვამს სურვილს უჩივლოს "დამნაშავე" დირექტორს (რაც ძირითად მაშინ ხდება როდესაც ეს უკანასკნელი აკონტროლებს კომპანიას), ასეთ შემთხვევებში აქციონერები, წილის მფლობელები არიან ის პირები, ვისაც უფლება აქვთ წარადგინონ დერივაციული სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ საკუთარი სახელით, მაგრამ კომპანიის ნაცვლად.[296]

კომპანიათა შესახებ აქტის 261-ე პარაგრაფის თანახმად, აქციონერმა, რომლსაც დერივაციული სარჩელის წარდგენა სურს, ამასთან დაკავშირებით თანხმობა სასმართლოსგან უნდა მიიღოს. სასმართლო იღებს გადაწყვეტილებას დაუშვას დერივაციული სარჩელი თუ არა. მოსარჩელეს მოუწევს წარადგინოს სათანდო მტკიცებულებანი

---

[291] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 622.

[292] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 622.

[293] *იქვე.* 622.

[294] *GHLM Trading Ltd v. Maroo (2012)EWHC 61 (Ch)* at (168) ხელმისაწვდომია: http://www.bailii.org/ew/cases/EWHC/Ch/2012/61.html (ბოლოს გამოხმობილია:09.05.2014)

[295] *Hollington,* Hollington on Shareholder's Rights, 7th Ed, Sweet & Maxwell, London, 2013, 67.

[296] *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th Ed, Jordan Published Limited, Bristol, 2008, 301.

აღნიშნული უფლების მოსაპოვებლად, ხოლო თუკი ამას ვერ შეძლებს, სასამართლო უარს ეტყვის მას დერივაციული სარჩელის წარდგენაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით სასმართლო უფლებამოსლია გამოსცეს შესაბამისი ბრძანება, *(consequential order)* თუკი ამას იგი საჭიროდ მიიჩნევს.[297]

ინგლისური კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ თავად კომპანიაა უფლებამოსილი უჩივლოს სასამართლოში მის ყოფილ ან არსებულ დირექტორს ვალდბულებათა დარღვევის გამო. ფაქტიურად, დირექტორების უფლებამოსილებაა ასეთ შემთხვევაში სარჩელის წარდგენა, ვინაიდან კომპანია ხელვნურად შექმნილი სუბიექტია და მას არ შეუძლია იფუნქციონიროს დირექტორატის გარეშე. დირექტორატის მხრიდან სარჩელის წარდგენის შემთხვევებს ადგილი აქვს ხოლმე ძირითადად ერთი კომპანიის მიერ მეორის დაუფლების შემდეგ. ასევე კომპანიის ლიკვიდატორი ან ადმინისტრატორი არის უფლებამოსილი პირი წარადგინოს სარჩელი.[298]

სასამართლოს მინიჭებული აქვს ძალაუფლება, ნება დართოს ინდივიდუალურ აქციონერს, რათა ამ უკანასკნელმა, დერივაციული სარჩელის გამოყენებით, წარადგინოს მოთხოვნა ვალდებულების დამრღვევი დირექტორის წინააღმდეგ, კომპანიის სახელით და მის ნაცვლად.[299]

გერმანიის სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფის შესაბამისად, ზიანის მოთხოვნის უფლება აქვს საზოგადოებას დირექტორატის მეშვეობით და არა ცალკეულ აქციონერს. თავად აქციონერს დამოუკიდებლად არ აქვს უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაუყენოს ზიანის მიმყენებელს, ამისთვის მან თავდაპირველად უნდა მიმართოს საზოგადეოების დირექტორატს, როგორც ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ორგანოს. [300] ვინაიდან გერმანიას ორსაფეხურანი მართვის სისტემა აქვს, სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია ვალდებულება (და არა დისკრეცია) წარადგინოს სარჩელიდ დირექტორის წინააღდეგ, რათა თავიდან აიშოროს საკუთარი პასუხისმგებლობა კომპანიის მიმართ.[301]

მშკ-ის 53.5-ე მუხლი სს-ის პარტნიორს დერივაციული სარჩელის აღძრის უფლებას 2008 წლის მარტში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ აძლევს, თუმცა სამწუხაროდ მსგავს შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებდა შპს-ს პარტნიორებისათვის, რის გამოც საკორპორაციო სამართლის სფეროში დასაქმებულ იურისტებს ერთადერთ იმედად 53.5 მუხლის ანალოგიის წესით გამოყენების შესალებლობა რჩებოდა, თუმცა ეს მხოლოდ თეორიული მსჯელობა იყო და რამდენად გაიზიარებდა სასამართლო ამ მოსაზრებას ცხადია არავინ იცოდა. 2014 წლის 31 ოქტომბერს მეწარმეთა კანონში შევიდა ცვლილება, კერძოდ კანონის 46-ე

---

[297] *CompaniesAct2006*,Para:261(1,2),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :12.05.2014)

[298] *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 90.

[299] *იქვე.* 90.

[300] *ბურდული,* მცირე აქციონერის უფლებათა ბოროტად გამოყენება/ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაკტიკული საკითხები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა "მერიდიანი," 2009, 270-271.

[301] *Loos, (Edit)* Germany in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006,289.

მუხლს დაემატა მე-5 ნაწილი[302], რომლითაც შპს-ის პარტნიორს მიენიჭა დერივაციული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა. აღნიშნული ცვლილება ცხადია დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა სამწუხაროდ ისიც უნდა ითქვას, რომ მეწარმეთა კანონის 46.5 და 53.5 მუხლები დაზუსტებას საჭიროებენ.

კანონის დასახელებული ნორმები ორ ალტერნატივას უტოვებს კომპანიას, ვინაიდან კომპანიას წარმოადგენენ დირექტორები, შესაბამისად დირექტორატს აქვს ორი ალტერნატივა, ***პირველი,*** აღძრას დერივაციული სარჩელი დამრღვევის მიმართ ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის ვადაში და ***მეორე,*** ამავე ვადაში დაასაბუთოს, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება კომპანიის ინტერესებს.

უმთავრესი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა შემდეგია: ვის წინაშე უნდა მოხდეს იმის დასაბუთება რომ სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს? საკითხი განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს პარტნიორთა/აქციონერთა კრებაზე და კრებამ მიიღოს გადაწყვეტილება ხმების უბრალო უმრავლესობით. (დეტალურად იხ.ქვეთავი 3.4.1.)

თუკი 90 დღეში საზოგადოება არ დააყენებს სარჩელს, რომლის აღძვრასაც პარტნიორი/აქციონერი ითხოვს და არც კრების მიერ იქნება სათანადო გადაწყვეტილება მიღებული, მაშინ უკვე სასამართლომ უნდა იმსჯელოს წინასწარ ჯერ იმის თაობაზე, რამდენად მიზანშეწონილია სარჩელის აღძვრა კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, მოუსმინოს ორივე მხარეს და მხარეთა მოსმენის და ფაქტების შეფასების შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება დაიწყებს არსებით განიხილვას თუ არა. [303]

მეწარმეთა კანონის შესაბამისი ნორმები არ ითვალისწინებენ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ თუკი დამრღვევი აკონტროლებს კომპანიას, მაშინ კანონი უნდა იძლეოდეს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას დაუყოვნებლივ და 90 დღე მოცდა აღარ უნდა იყოს საჭირო, ვინაიდან არსებობს რეალური საფრთხე, რომ ამ ხნის განმავლობაში შესაძლოა საერთოდაც აზრი დაეკარგოს სარჩელს

---

[302] მეწარმეთა შესახებ კანონის 46-ე მუხლს დაემატა მეხუთე ნაწილ, რომელიც ითვალისწინებს დერივაციული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას შპს-ს პარტნიორის მიერ, ცვლილების თანახმად: თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ პარტნიორის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს პარტნიორს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზოგადოებისათვის საზიანო აღმოჩნდა. თუ პარტნიორი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, პარტნიორს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, რომლებიც წარმოიშვა პარტნიორის მოთხოვნასთან დაკავშირებით. პარტნიორის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს მას სასამართლო ხარჯების ანაზღაურება. (31.10.2014)

[303] დეტალურად იხ. თავი, 3.4.1.

დამრღვევის მხრიდან განხორციელებულ ქმედებათა გამო და მეორე, თუკი დამრღვევი აკონტროლებს კომპანიას, (მაგ.წარმოადგენს დირექტორს ამ კომპანიაში) ცხადია, იგი არ მიიღებს გადაწყვეტილებას საკუთარი თავის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის შესახებ, შესაბამისად 90 დღიანი მოლოდინის რეჟიმიც აბსოლუტურად უადგილოა ასეთ შემთხვევებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ კანონში ცვლილების განხორციელებამდე სასამართლოები გამოასწორებენ ამ ხარვეზს დერივაციული სარჩელის განხილვისას.

დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლება უნდა ქონდეს ასევე საწარმოს კრედიტოსაც, იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია გაკოტრების პირასაა. შესაბამისად, კანონში გამოყენებულ ფორმულირებას, "***პარტნიორს*** შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი მოთხოვნის განსახორციელებლად" (მშკ. მუხლი 46.5, 53.5) უნდა დაემატოს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრის უფლება აქვს კრედიტორსაც, თუკი კომპანია გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის პირასაა. "მეწარმეთა შესახებ" კანონის ნორმების ფართო განმარტების საფუძველზე, ასეთი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია, მაგრამ უმჯობესია კანონი არაორაზროვნად ადგენდეს ამ უფლებას, რათა სასამართლოს ინტერპრეტაციაზე არ იყოს დამოკიდებული კრედიტორის ბედი.[304]

ასევე ცალსახად უნდა ითქვას, რომ "მესამე პირს" კანონის 46.5 და 53.5 მუხლებიდან გამომდინარე წარმოადგენს ნებისმიერი პირი, ვის მიმართაც კომპანიას შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნა, მათ შორის დირექტორებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და იგი შესაძლოა შეზღუდულ იქნეს. კერძოდ, საკორპორაციო სამართალი იცნობს აქციონერთა მხრიდან დირექტორატის ქმედების ავტორიზაციას და რატიფიკაციას. ანუ აქციონეთა კრებას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ მიუხედავად ჩადენილი გადაცდომისა არ წარადგინოს სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ. როგორც წესი, ასეთი გადაწყვეტილების მიღება უბრალო უმრავლესობის მიერ ხდება.

ვინაიდან მეწარმეთა შესახებ კანონი დეტალურად და ნათლად არ არეგულირებს დირექტორთა გადაწყვეტილების რატიფიკაციასა და ავტორიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, მიზანშეწონილია ქართული სასამართლოს მიერ დერივაციული სარჩელის განხილვის შემთხვევაში, გათვლისწინებულ იქნეს ამერიკული და ევროპული გამოცდილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რასაც დეტალურად შემდეგ თავში შევეხებით.

[304] იხ. თავი VII

3.4.1. აქციონერთა მხრიდან დირექტორთა გადაწყვეტილების ავტორიზაცია/რატიფიკაცია და სარჩელის წარდგენაზე უარის თქმა

ბრიტანული საკორპორაციო კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას კომპანიის აქციონერთა მხრიდან თანხმობის შემთხვევაში არ ჩაითვალოს კომპანიის მიმართ ვალდებულების დარღვევად დირქტორის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც სხვაგვარად ვალდებულების დარღვევა იქნებოდა. აქციონერები უფლებამოსილნი არიან აქციონერთა კრებაზე მოახდინონ დირექტორთა ქმედების ავტორიზაცია ან რატიფიკაცია. მათ შორის გარდა იმ განსხვავებისა, რომ ავტორიზაციას კონკრეტულ ტრანზაქციის განხორციელებამდე აქვს ადგილი, ხოლო რატიფიკაციას კი მას შემდეგ, რაც ტრანზაქცია უკვე განხორციელდა. ასევე არსებობს პროცედურული შინაარსის განსხვავებაც, რასაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ავტორიზაციის შემთხვევაში დირექტორი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიტი საკითხთან დაკაშირებით, უფლებამოსილია, მას შემდეგ რაც მოახდენს ტრანზაქციასთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტის გულწრფელ გამჟღავნება-დეკლალირებას, მონაწილეობა მიიღოს სხდომის მიმდინარეობაში და კენჭისყრაში, თუკი იგი ამავდროულად აქციონერიც არის. ხოლო რატიფიკაციის შემთხვევაში, ვინაიდან ამ დროს ვალდებულება უკვე დარღვეულია და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მისი დადასტურება ანუ რატიფიკაცია აქციონერთა მიერ, დირექტორი, რომლის მხრიდანაც ვალდებულების დარღვევას ჰქონდა ადგილი, თუკი იგი იმავდროულად არის აქციონერიც არ არის უფლებამოსილი მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა კრებაში და რატიფიკაციასთან დაკავშიერბით ხმის მიცემის პროცესში. უფრო მეტიც, ხმის მიცემის უფლება არ უნდა მიეცეთ ასევე გადაცდომის ჩამდენ დირექტორთან დაახლოებულ აქციონერებს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუკი მოხდა დირქტორის ქმედების ავტორიზაცია/რატიფიკაცია აქციონერბს აღარ აქვთ უფლება ავტორიზებულ ან რატიფიცირებულ საკითხთან დაკავშირებით აღძრან დერივაციული სარჩელი.[305]

დირექტორთა მხრიდან გადაცდომასთან დაკავშირებული ფაქტების სრულად გამჟღავნების *(Disclosure)* შემდეგ, ვალდებულების დარღვევის მთელ რიგი შემთხვევებში, შესაძლოა მათი რატიფიკაცია მოხდეს აქციონერთა მხრიდან, თუკი კომპანია კვლავაც ჩვეულებრივ განაგრძობს საქმიანობას. რატიფიკაციას ექვემდებარება ისეთი დარღვევები როგორებიცაა:

- კომპანიის წესდების შესაბამისად მოქმედების ვალდებულების დარღვევა;
- კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად და სათანადო მიზნის მისაღწევად მოქმედების ვალდებულების დარღვევა;
- ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდების ვალდებულების დარღვევა;

[305] *Morrtimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 236.

- დირექტორის პოზიციაზე ყოფნის გამოყენება, პირადი სარგებელის მისაღებად;
- კომპანიაზე ზრუნვისა და სათანადო უნარების ქონის ვალდებულების დარღვევა.[306]

რატიფიკაციის მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან გადაწყვეტილების რატიფიკაციის უფლება დირექტორატის საქმიანობას უფრო მოქნილს ხდის.[307]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორთა მიერ კომპანიის ქონების მითვისების ან არაკეთილსინდისიერი, თაღლითური მოქმედების არსებობის შემთხვევაში, რატიფიკაცია არ არის შესაძლებელი.[308]

გადაწყვეტილება რატიფიკაციის შესახებ მიღებულ იუნდა იქნეს აქციონერთა სართო კრებაზე. თუკი გადაწყვეტილება რატიფიაციის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად ასეთ გადაწყვეტილება შემდგომში სადაო აღარ შეიძლება გახდეს.[309] დავას წარმოშობს შემთხვევები, როდესაც დირექტორთა ქმედების რატიფიკაცია ხდება უმრავლესობაში მყოფ აქციონერთა მიერ, წარმოიშობა უმცირესობაში მყოფთა უფლების დაცვის პრობლემა.

Foss v Harbottle[310] მნიშვნელოვანი და ცნობილი პრეცედენტული საქმე ინგლისში საკორპორაციო სამართლის ისტორიაში, რომლის თანახმადაც ქმედების, რომელმაც გამოიწვია გადაცდომა კომპანიის მიმართ და შეაბამისად დააზარალა იგი, გასაჩივრების უფლება აქვს პირველ რიგში თავად კომპანიას და იგი წარმოადგენს სათანადო მოსარჩელეს. აღნიშნული ცნობილია როგორც *Foss v Harbottle* წესი , და სხვაგვარი შეხედულებანი, რომლებიც შემდგომში განვითარდა, წარმოადგენენ გამონაკლისს *Foss v Harbottle* წესიდან. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს დერივაციული სარჩელი, რომელიც საშუალებას აძლევს უმცირესობაში მყოფ აქციონერებს წარადგინონ სარჩელი კომპანიის სახელით. აღნიშნული უფლება განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც სამართალდამრღვევი აკონტროლებს კომპანიას.

დასახელებული გადაწყვეტიება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ორი მნიშვნელოვანი პრინციპი იქნა დადგენილი ამ გადაწყვეტილებით. ***პირველი,*** თუკი გადაცდომა ჩადენილია კომპაანიის მიმართ და ზიანიც ამ უკანასკნელმა განიცადა, მხოლოდ კომპანიაა უფლებამოსილი წარადგინოს სარჩელი და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება *(Proper Plaintiff Rule).* ***მეორე,*** თუკი გადაცდომა, რომელიც

---

[306] *Hirt,* The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, European Academic Publishers, Bern 2004 ,91.

[307] *იქვე*.90.

[308] *Hirt,* The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, European Academic Publishers, Bern 2004,91.

[309] *CompaniesAct2006*,Para:261(1,6),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :12.05.2014)

[310] შეად: *Foss v Harbottle*[310] (1843) 67 ER 189 *Boyle A. J.,* The rule in Foss v. Harbottle, excerpt : Minority Shareholders' Remedies, Cambridge UniversityPress,ხელმისაწვდომია:http://assets.cambridge.org/97805217/91069/excerpt/9780521791069_excerpt.pdf (ბოლოს გამოხმობილია:12.05.2014)

ჩადენილია დირექტორის მიერ, ექვემდებარება აქციონერთა უბრალო უმრავლესობის მიერ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით რატიფიკაციას, მაშინ სასამართლო არ ჩაერევა და არ განიხილავს ასეთ დავას*(Majority Rule Principle)*. [311]

მოგვიანებით მიჩნეულ იქნა, რომ *Foss v Harbottle* გადაწყვეტილება უსამართლო იყო უმცირესობაში მყოფ აქციონერთა მიმართ და ოთხი ძირითადი გამონაკლისი დადგინდა ამ წესიდან. კერძოდ, იგი არ ვრცელდება:

- დირექტორთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებისა *(Ultra Vires)* და უკანონო ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში;
- თუკი დირექტორი არ მოქმედებდა დადგენილი პროცედურის მიხედვით;
- დარღვეულ იქნა აქციონერის პერსონალური, პირადი უფლებები;
- ადგილი აქვს თაღლითობას უმრავლესობაში მყოფი აქციონერების მხრიდან უმცირესობაში მყოფთა მიმართ;[312]

შესაბამისად, უმცირესობაში მყოფმა აქციონერმა დერივაციული სარჩელის წარდგენისათვის უნდა დაადასტუროს, რომ დირექტორატის მხრიდან ჩადენილია "სამართალდარღვევა", რომელიც არ ექვემდებარება აქციონერთა მხრიდან რატიფიკაციას ან/და რომ სამართალდამრღვევს აქვს იურიდიული კონტროლი კომპანიაზე.[313]

განსხვავება არსებობს დირექტორთა ქმედების რატიფიცირებასა და სასამართლოში მათ წინააღმდეგ სარჩელის არ წარდგენასთან დაკავშირებით, აქციონერთა გადაწყვეტილებას შორის. რატიფიცირების შემთხვევაში კომპანია კარგავს შესაძლებლობას წარადგინოს სარჩელი დირექტორატის წინააღმდეგ მომავალში. ხოლო გადაწყვეტილება,

---

311 *Foss v Harbottle* [311] (1843) 67 ER 189 case brief ხელმისაწვდომია: http://www.studymode.com/essays/Case-Laws-For-Commercial-Laws-897897.html (ბოლოს გამოხმობილია: 12.05.2014)
ფოსი(foss) და ტურტონი (Turton) იყვნენ უმცირესობაში მყოფი აქციოენერები, ხოლო ჰარბოტი (Harbotte) და მასთან ასოცირებული პირები კი დირექტორები და აქციონერები იმავე კომპანიაში. ჰარბოტმა და მასთან ასოცირებულმა პირებმა კომპანის მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი არარეალურ, გაზრდილ ფასად. ფოსმა და სხვა უმცირეოსბაში მყოფმა აქციოენრებმა წარადგინეს სარჩელი ჰარბოტისა და მასთან ასოცირებული პირების (დირექტორების) მიმართ. სარჩელში განმარტეს, რომ კომპანია მოტყუებულ იქნა ამ ტრანზაციის შედეგად, ვინაიდან მიწა შეძენილია რეალურ ღირებულებაზე მეტ ფასად. შესაბამისად ზიანი სახეზეა. ჰარბოტის განმარტებით დირეტორატი იყო უფლებამოსილი განესაზღვრა თუ რა ფასად მოხდებოდა მიწის შეძენა. ხოლო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ქმედების შედეგად ზიანი მიადგა კომპანის და სწორედ ეს უკანაკნელი იქნა მოტყუებული და დაზარალებულ და არა პერსონალურად ფოსი და სხვა უმცირესობაში მყოფი აქციონერები. სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან კომპანიას გააჩნია განცალკევებული იურიდიული იდენტობა, სამართალსუბიექტურობა, ამიტომ სწორედ იგია უფლებამოსილი წარადგინოს ასეთ შემთხვევაში სარჩელი და არა მისი აქციონერები. იხ. *Grier,* UK Company Law, John Wily & Sons Ltd, West Sussex, 1998, 314-315.

312 *Grier,* UK Company Law, John Wily & Sons Ltd, West Sussex, 1998, 314.

313 *Boyle,* The rule in Foss v. Harbottle, Excerpt : Minority Shareholders' Remedies, Cambridge UniversityPress, ხელმისაწვდომია:http://assets.cambridge.org/97805217/91069/excerpt/9780521791069_excerpt.pdf (ბოლოს გამოხმობილია:12.05.2014)

რომლის თანხმადაც აქციონერები უარს აცხადებენ უჩივლონ დირექტორებს, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ამ უფლების შეჩერება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მომავალში აქციონერებმა გადაიფიქრონ და წარადგინონ სარჩელი, ან ახალმა აქციონერმა ან კიდევ გაკოტრების მმართველმა აღძრას იგი. რა თქმა უნდა, სარჩელის წარდგენისათვის არსებული ხანდაზმულობის ვადის დაცვით.[314]

უმცირესობაში მყოფი აქციონერების დაცვის მიზნით შესაძლებელია დადგინდეს ფართო წრე დირექტორთა მხრიდან ჩადენილი ისეთი გადაცდომებისა, რომლებიც არ ექვემდებარებიან რატიფიკაციას მაშინ, როდესაც გადაცდომის ჩამდენი დირექტორი არ აკონტროლებს კომპანიას, ვინაიდან თუკი გადაცდომის ჩამდენი აკონტროლებს კომპანიას, იგი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ტრანზაქციის რატიფიკაციის შესახებ.[315]

გარდა დერივაციული სარჩელისა, ამერიკული კანონმდებლობის თანახმად აქციონერი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუკი კომპანიის არასწორად მართვამ ამ უკანასკნელის დაშლა და გაკოტრება გამოიწვია. აქციონერი ასევე უფლებამოსილია სასამართლოს გზით მოითხოვოს დირექტორის შეცვლა, თუკი მას აქვს სათანადო მტკიცებულება იფიქროს, რომ კომპანია პრიცნციპულად არასწორად არის მართული.[316] *(Mismanagement of the company)*

კონტრაქტის დარღვევის ან დელიქტის გამო სასამართლო დაცვის საშუალების უმთავრესი ფუნქცია შესაძლოა შემდეგნაირად განიმარტოს: კომპენსაცია, რესტიტუცია, დასჯა, პოზიტიურ ვალდებულებათა მყარი შესრულება, გადაცდომის პრევენცია, უფლებათა დეკლარირება.[317]

Compensatory Damages-საკომპენსაციო ზიანის ანაზღაურების მიზანს წარმოადგენს ჩააყენოს მოსარჩელე იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა დელიქტს (ან ხელშეკრულების დარღვევას) ადგილი რომ არ ჰქონოდა.[318]

გადაცდომისაგან თავის შეკავების უზრუნველყოფა ძირითადად გადაცდომის ჩამდენისათვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების დაკისრებით ხორციელდება *(Compensatory Damages)* და მიიჩნევა, რომ ეს ადექვატური მექანიზმია გადაცდომის პრევენციისათვის. რაც *ex ante* მუშაობს, როგორც ზიანის მიყენებისაგან შემაკავებელი მექანიზმი და ამ გზით დანახარჯების ოპტიმიზაციის საშულებას აძლევს კომპანიებს, ვინაიდან დირექტორი ინფორმირებულია *ex post* ვალდებულების წარმოშობის შესახებ და სულ მცირე ღრმად დაფიქრდება მაინც ჩაიდინოს თუ არა გადაცდომა.[319]

---

[314] *Hirt,* The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, European Academic Publishers, Bern 2004 ,93.

[315] *CompaniesAct2006*,Para:239(4),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :12.05.2014)

[316] *Loos, (Ed) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006,103.

[317] *Burrows,* Remedies for Torts and Breach of Contract, 3rd Ed, Oxford University Press, New York,2009, 9.

[318] *იქვე*.33.

[319] *Reisberg,* Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007, 65.

3.4.2. დერივაციული სარჩელის დანიშნულება, დადებითი და უარყოფითი მხარეები

მათთვის, ვისაც მიაჩნია რომ დერივაციული სარჩელი წარმოადგენს სამართალწარმოების ერთ-ერთ ფორმას, უნდა ითქვას, რომ ეს ასე არ არის. მაშინ, როდესაც დირექტორთა მხრიდან ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევის საფრთხე ან ეჭვი არსებობს, დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. [320]

მართალია იგი კონტროლის სრულყოფილი და უნაკლო მექანიზმი არ არის, მაგრამ ეს ნაკლოვანებად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან სრულყოფილი კორპორაციული მართვისა და კონტროლის მექანიზმი ბუნებაში არ არსებობს და ვერც იარსებებს, იმ მარტივის მიზეზის გამო, რომ თავად ადამინი არ არის სრულყოფილი, ხოლო ეს მექანიზმები კი სწორედ ადამიანთა მიერ იქმნება.

დერივაციული სარჩელის გამოყენება უზურნველყოფს, რომ სამართალდარღვევით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის მიერ.[321]

დერივაციული სარჩელი დაკავშირებულია კონტროლთან, მარტივად რომ ვთქვათ, იგი იმ დისბალანსის მაკონტროლებელ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც წარმოიშობა დირექტორებს, როგორც კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მმართველებს, და აქციონერებს შორის. [322] რადგანაც ისინი, ვინც ფლობენ დიდ კორპორაციებს ვერ აკონტროლებენ მას, და პირიქით, ვინც აკონტროლებს ასეთ კორპორაციას, არ გააჩნია მნიშვნელოვანი მესაკუთრული ინტერესები მასთან.[323]

დერივაციული სარჩელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მენეჯმენტისა და აქციონერთა ინტერესების თანხვედრაში მოყვანა. ვინაიდან იგი წარმოადგენს ერთგვარ პრევენციას დირექტორის მხრიდან გადაცდომის წინააღმდეგ, იცის რა მან, რომ აქციონერი უფლებამოსილია დირექტორატის გვერდის ავლით დამოუკიდებლად აღძრას დერივაციული სრჩელი და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მეორე მხრივ დერივაციული სარჩელი ხელს უწყობს ე.წ. აგენტის დანახარჯების *(Agency Costs)*[324] შემცირებას. კერძოდ, აქციონერთა მხრიდან მენეჯმენტის საქმიანობის მონიტრინგთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას.[325]

დერივაციულ სარჩელს ნაკლოვანებებიც აქვს და მან შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე სხვადახვა მიზეზთა გამო. კერძოდ: ***პირველი,*** სარჩელის აღძვრის შედეგად საჯარო ხდება ინფორმაცია, რომელიც კომპანიის იმიჯზე უარყოფითად აისახება. აღნიშნული ფაქტი კი კომპანიის მიერ ინვესტიციების მოზიდვას

---

[320] *Reisberg,* Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007,5.

[321] *Reisberg,* Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007,19.

[322] *Reisberg,* Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007, 20.

[323] *Berle, Means,* The Modern Corporation and Private Property, New York, 1932,5. ხელმისაწვდომია: http://www.unz.org/Pub/BerleAdolf193200001?View=PDF
(ბოლოს გამოხმობილია: 04.06.2014)

[324] დაწვრილებით, იხ. თავი 2.2.2.1.

[325] *Reisberg,* Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007, 24.

აფერხებს. საერთო ჯამში შესაძლოა სამართალწორმოება არც ღირდეს იმ დანაკარგად, რასაც კომპანია განიცდის. ***მეორე,*** უცნობია როგორ დამთავრდება სამართალწარმოება (სასამართლოს დარწმუნება დირექტორის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტის არსებობაში საკმაოდ რთულია სხვადასხვა გარემობათა გამო) და გამოვა თუ არა გამარჯვებული კომპანია ამ პროცესიდან. არადა ზემოაღნიშნული უარყოფითი შედეგები ამის მიუხედავად უკვე ცალსახად სახეზე იქნება. ***მესამე,*** სასამართლო პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც კი შესაძლებელია, რომ მოპასუხე დირექტორს უბრალოდ არ ჰქონდეს შესაძლებლობა (ფინანსური რესურსი) აანაზღაუროს ზიანი რაც კომპანიას მიადგა მისი ქმედების გამო. შედეგად სახეზეა გადაწყვეტილება, რომელიც ვერ აღსრულდება, კომპანია ვერ იღებს თანხას და ამის პარალელურად ის უარყოფითი შედეგები რაც სასამართლო განხილვას ახლავს თან, სახეზეა. ***მეოთხე,*** დირექტორთა წინააღმდეგ სამართალწარმოების შესაძლებლობის გაზრდილმა რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს ამ პოზიციის დაკავებისაგან თავის შეკავების სურვილი, რაც კომპანიის ხარჯებს გაზრდის, ვინაიდან ვინც დაეთანხმება დაიკავოს დირექტორის პოზიცია, მოითხოვს დიდ ანაზღაურებას დიდი რისკების პროპორციულად. ***მეხუთე,*** როგორც აღინიშნა, უმცირესობაში მყოფ აქციონერს აქვს უფლება აღძრას დერივაციული სარჩელი, რაც ქმნის საშიშროებას, რომ ამ უკანასკნელმა სულაც არ გაითვალისწინოს მთლიანად კომპანიის ინტერესები გრძელვადიან პერსპექტივაში, იმის გამო, რომ მისი წილი არც თუ ისე დიდია. ***მეექვსე*** მნიშვნელოვან არგუმენტს დერივაციული სარჩელის წინააღმდეგ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამგვარი სარჩელის შესაძლებლობა დირექტორს უკლავს სურვილს გამოიჩინოს ინიციატივა და მიიღოს სარისკო გადაწყვეტილება კომპანიის მართვის პროცესში მაშინ, როდესაც ბიზნეს საქმიანობაში რისკი და მოგების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ხშირად პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. ***მეშვიდე,*** ცალსახად უნდა ითქვას, რომ სამართალწარმოება არ წარმოადგენს დირექტორატის გადაწყვეტლებისა და საქმიანობის შეფასების ეფექტურ მექანიზმს. ***მერვე,*** პირადი პასუხისმგებობის გამორიცხვის მიზნით, შესაძლოა დირქტორთა მიერ დაქირავებულ იქნეს ექსპერტთა უფრო ფართო წრე, მეტი თანამშრომელი და მეტი დრო მოანდომოს მან გადაწყვეტილების მიღებას, რაც ცხადია გაზრდის კომპანიის ხარჯებს და აისახება მისი საქმიანობის ეფექტურობაზე.[326]

დერივაციული სარჩელის სიხშირემ შესაძლოა გამოიწვიოს კვალიფიციური კადრების გადინება კომპანიიდან. ამიტომ ასეთი სარჩელის აღძვრამდე კარგად დაფიქრებაა საჭირო იმ აქციონერის მიერ, ვისაც მართლაც ადარდებს კომპანიის ბედი. თუმცა კანონმდებლობა მხოლოდ აქციოენერბის კეთილსინდისერების იმედად არ ტოვებს კომპანიას და სწორედ ამიტომ არსებობს აშშ , ბრიტანეთის და გერმანიის კანონმდებლობაში ზემოთდასახელებული შემზუდველი ფაქტორები, რაც დერივაციული სარჩელის აღძვრის მსურველმა უნდა გადალახოს, სანამ დაიწყებოდეს ძირითადი სამართალწარმოება.

ამერიკის სამართლის ინსტიტუტის *(American Law Institute-ALI)* მიერ

---

[326] *Reisberg,* Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007, 48-49-50.

აღიარებულია, რომ დერივაციული სარჩელის დანიშნულება უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში აქციონერთა ინტერესის დაცვაა, ვიდრე კონკრეტულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მიღება, ვინაიდან იგი დირექტორებს უბიძგებს თავი შეიკავონ გადაცდომისაგან. ხოლო კონკრეტულ შემთხვაში კი შესაძლოა სასამართლო ხარჯები აღემატებოდეს კიდეც ზიანის ანაზღაურების სახით მიღებულ თანხას.[327] *ALI-ის* განმარტებით, დერივაციულ სარჩელს ასევე შეუძლია სოციალური საჯარო სარგებელის მოტანა, ვინაიდან იგი მომავლი სამართალდარღვევისაგან თავის შეკავებისაკენ არის მიმართული.[328] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ *ALI-ის* დერივაციული სარჩელის უმთავრეს დანიშნულებად მისი გადაცდომის წინააღმდეგ შემაკავებელი ფუნქცია მიაჩნია, ვიდრე მისი საშუალებით კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა.

3.5. კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა- Piercing the Corporate Veil [329]

კომპანიის აქციონერთა თუ პარტნიორთა პასუხისმგებლობა კომპანიის კრედიტორთა წინაშე შეზღუდულია. ისინი პასუხს აგებენ მხოლოდ იმ წილით, რაც კომპანიაში გააჩნიათ. როგორც წესი, აქციონერთა პირადი პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებათა გამო არ დგება. მიუხედავად ამისა, თუკი აქციონერი ან აქციონერთა ჯგუფი დომინანტია კომპანიაში და ისინი აღნიშნულ მდგომარეობას გამოიყენებენ კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ, სასამართლო უფლებამოსილია უგულვებელჰყოს კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის ხასიათი და დაადგინოს აქციონერთა პირადი პასუხისმგებლობა. აღნიშნულ დოქტრინას ეწოდება *Piercing The Corporate Veil*. მას ხშირად მიმართავენ კომპანიის კრედიტორები, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ იმ დავალიანების აქციონერთაგან ანაზღაურება, რომელიც მათ მიმართ კომპანიას გააჩნია.

სასამართლო დაადგენს აქციონერის პასუხისმგებლობას, თუკი საქმის გარემოებების გათვალისწინებით კომპანია შეიძლება მიჩნეულ იქნეს

---

[327] *Reisberg,* Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007,55.

[328] *Reisberg,* Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007,55.

[329] სიტყვასიტყვით თარგმანში, კორპორაციის პირბადის (სახის) გახვრეტა, თუმცა ასეთ შემთხვევებში სიტყვასიტყვითი თარგმანის გამოყენება არასწორი იქნება ვინაიდან იგი არ გადმოსცემს იმ შინაარსს რაც ამ ინსტიტუტს ახასიათებს, ამიტომ უმჯობესია შინაარსობრივი თარგმანის გამოყენება, რათა ჩანდეს ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა და მკითხველი შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი და/ან რომ არ გამოიწვიოს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებათა წარმოშობა. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე თარგმნილია როგორც "კორპორაციული საფარველის გაჭოლვა"; "გამჭოლი პასუხისმგებლობა" იხ. *ბურდული, ი.* საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, გვ. 236-259. *გულაშვილი, ნ.* კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ. ბურდული, ი. თბილისი, 2011, გვ.69-108.

როგორც აქციონერის მეორე მე. (*alter ago)* სასამართლო, დასახელებულ საკითხს განიხილავს ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, გარემოების გათვალისწინებით *case- by –case.*[330]

პირველი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელმაც საფუძველი დაუდო *alter ago* დოქტრინას, მიღებულ იქნა 1921 წელს კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს მიერ *Minifie v. Rowley* [331] საქმეზე, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ კოპანიის დამოუკიდებელი, აქციონერისაგან განცალკევებული პასუხისმგებლობის არსებობა საკანონმდებლო პრივილეგიას წარმოადგენს, შესაბამისად იგი გამოყენებული უნდა იქნეს ლეგიტიმური ბიზნეს მიზნებისათვის და არავის უნდა ჰქონდეს საშუალება შეზღუდული პასუხისმგებლობა ბოროტად გამოიყენოს.[332]

ორი ძირითადი წინაპირობის არსებობა იწვევს შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფას, კერძოდ, ***პირველი,*** თუკი არსებობს კომპანიისა და აქციონერთა საერთო ინტერესები და არსებითად საერთო საკუთრება, იმგვარად, რომ აქციონერისა და კომპანიის სეპარატული იდენტობა ფაქტიურად წაშლილია და აღარ არსებობს(*alter ago doctrine*), (მაგალითად როდესაც მშობელი კომპანია სრულად აკონტროლებს შვილობილი კომპანიის საქმიანობას[333]) ***მეორე,*** თუკი გარემოებათა გათვალისწინებით შეზღუდული პასუხისმგებლბის გამოყენება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც თაღლითობის სანქცირება ან უსამართლობის წახალისება.[334]

აქციონერ(ებ)ის პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებათა გამო შესაძლოა წარმოიშვას, თუკი კოპანიის და აქციონერის აქტივები ერთმანეთშია არეული და აღნიშული ფაქტი შენიღბულია არასწორი საბუღალტრო წარმოებით ან სხვა მსგავსი საშუალებებით, რაც არასასურველ მდგომარეობაში აყენებს კომპანიის კრედიტორს.[335]

კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის უგულებელყოფა ასევე შეიძლება მოხდეს არასაკმარისი კაპიტალიზაციის შემთხვევაში, თუკი კომპანიის კაპიტალი აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდება უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური საჭიროებანი.[336]

როგორც 2001 წელს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განმარტა, იმისათვის, რომ ისარგებლონ კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის ხასიათით, აქციონერებმა არ უნდა გამოაცალონ კომპანიას აქტივი, რაც მას სჭირდება, რომ შეძლოს საკუთარი ვალდებულებების შესრულება კრედიტორთა მიმართ. [337] ხოლო თუკი

---

[330] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013 ,623.

[331] *Minifie v. Rowley 87 Cal. 481, 202. 673.*მითითებულია: *Hagan,* The Alter-Ago Doctrine Exception in California Corporate Law მიხედვით.

[332] *Hagan,* The Alter-Ago Doctrine Exception in California Corporate Law, ხელმისაწვდომია: http://www.surfs-up.net/Downloads/Alter%20Ego%20Piercing%20the%20Corporate%20Veil.pdf

[333] იხ:*Fletcher v. Atex, Inc.,* 68 F. 3d1451 (1995) http://scholar.google.com/scholar_case?case=16439332799546168049&hl=en&as_sdt=2&as_vis=1&oi=scholarr

[334] *Hagan,* The Alter-Ago Doctrine Exception in California Corporate Law, ხელმისაწვდომია: http://www.surfs-up.net/Downloads/Alter%20Ego%20Piercing%20the%20Corporate%20Veil.pdf

[335] *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 47.

[336] *იქვე.*47.

[337] *Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen*, April 28, 2008, BGHZ, 176, 204, Oktober 12,

აქციონერების მიერ დარღვეულ იქნება ეს ვალდებულება, ჩაითვლება, რომ მათ ბოროტად გამოიყენეს კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა.[338]

თავდაპირველად გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ აქციოენერის მიერ აღნიშნული სახის დარღვევის შემთხვევაში, კომპანიის კრედიტორებს წარმოეშობოდათ უფლება პირდაპირ წარედგინათ სარჩელი დამრღვევი აქციონერის მიმართ.[339] თუმცა, შემდგომ ფედერალური სასამართლოს მიერ მოხდა შეზღუდული პასუხისმგებლობის კონცეფტის გადახედვა და 2007 წელს სასამართლომ დაადგინა, აქციონერთა პასუხისმგებლობა კომპანიის მიმართ, მათ მიერ ჩადენილი თაღლითური ქმედების გამო, დელიქტური სამართლის წესების შესაბამისად.[340]

კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა იშვიათ მოვლენას წარმოადგენს გერმანული სამართლის რეალობაში, რომელიც ცდილობს დაიცვას კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს გარემოებები რამაც შესაძლოა აქციონერთა პირადი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს. [341]

კერძოდ, აქციონერის სახით მოქმდებისას, კომპანიის მიმართ დელიქტის ჩადენამ შეიძლება დააყენოს მისი პირადი ვალდებულების საკითხი. აღნიშნულ ფაქტს ადგილი ექნება ისეთი ქმედების შემთხვევაში, რომელმაც შესაძლოა კომპანიის არსებობას შეუქმნას საფრთხე. [342] *(Existenzvernichtender Eingriff)* ასეთ შემთხვევაში აქციონერი ვალდებულია დააბრუნოს უკანონოდ, კომპანიის კაპიტალისა და ლიკვიდურობის დაცვასთან დაკავშირებით დადგენილი ნორმების დარღვევით მიღებული თანხა.

კომპანიის შეზღუდულმა პასუხისმგებლობამ, შესაძლოა გავლენა იქონიოს კრედიტორებზე, ვიდრე აქციონერებზე, ვინაიდან ისინი ატარებენ ბიზნესის წარუმატებლობით გამოწვეული დანახარჯების რისკს. ხოლო *piercing* ამ რისკს კვლავ უკან, აქციონერებთან ამისამართებს. [343] სახელმწიფო, როგორც წესი, აქციონერებს ანიჭებს უფლებამოსილებას მოახდინონ პასუხისმგებლობის შეზღუდვა, თუმცა გამოანაკლისები არსებობს და ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, სასამართლო წყვეტს უნდა მოხდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის გამოყენება, თუ უგულვებელყოფილი უნდა იქნეს იგი.[344]

2007, BGHZ, 175,12 მითითებულია: *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 48. მიხედვით

[338] *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 48.

[339] *Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen* , June 24, 2002, BGHZ 151, 181 მითითებულია: *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Edition, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 48. მიხედვით

[340] *Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen ,* July 16, 2007, BGHZ 173,246, *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 48. მიხედვით

[341] *Van Hulle, Gesell, (Edit)* European Corporate Law, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2006,158.

[342] *იქვე.*158-159.

[343] *Bauman, Stevenson.,* Corporations Law and Policy, Materials and Problems, 8th Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 297.

[344] *იქვე.* 297.

კომპანიის პრინციპულ უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ როგორც წესი, კრედიტორები შეზღუდლუნი არიან კომპანიის ქონებით. ისინი მხოლოდ კომპანიის აქტივის იმედზე უნდა იყვენენ, საკუთარ მოთხოვნათა დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ისინი არ არიან უფლებამოსილნი მიიღონ დაკმაყოფილება აქციონერთა პირადი ქონებიდან, თუკი ეს ქონება არ წარმოადგენდა კონკრეტული ტრანზაქციის, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალებას ან სხვაგვარად არ იყო ჩართული ამ ტრანზაქციაში.[345]

თუმცა "გარკვეული" გარემოებების არსებობისას სასამართლო საშუალებას აძლევს კერედიტორებს უგულვებელყონ კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობა და მიიღონ დაკმაყოფილება უშუალოდ აქციონერისგან. აღნიშნულ პროცესს ეწოდება, სწორედ, კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის უკუგდება.[346]

სასამართლო ხშირად იყენებს სხვადასხვა ფრაზებს აღნიშნული მოვლენების გამოსახატად, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ მხოლოდ ინსტრუქციული მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან კორპორაციული სტრუქტურა არასოდეს ადგენს, თუ როდის შეიძლება მოხდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა. *Piercing* წარმოადგენს სასამართლოს მიერ შექმნილ სამართლიან ანაზღაურებას მიყენებული ზიანისათვის.[347]

სასამართლოში საკმაოდ ხშირად განსახილველ საკითხს წარმოადგენს: უნდა მოხდეს თუ არა შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა, ვინაიდან ერთი, ყველასათვის მოსაწონი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფის საკითხი, ძირითადად წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას არ გააჩნია საკმარისი აქტივი კრედიტორ(ებ)ის დასაკმაყოფილებლად, ან როდესაც მოსარჩელე წარადგენს სარჩელს აქციონერის წინააღმდეგ ტაქტიკური მოსაზრებით, კერძოდ იმ მიზნით, რომ საქმე განხილულ იქნეს იმ იურისდიქციის მიერ, სადაც მოსარჩელეს ეს უფრო ხელსაყრელად მიაჩნია, ან როდესაც მოსარჩელეს სურს დაადასტუროს, რომ აქციონერი საკმაოდ დიდი აქტივს ფლობს, რათა გაზარდოს ე.წ. სადამსჯელო ზიანის *(Punitive Damages)* ანაზღაურების შესაძლებლობა.[348]

შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფის გამოყენებას აზრი აქვს მაშინ, როდესაც სახეზეა დელიქტური ზიანი და იგი არ შეიძლება გავრცელდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის შედეგად წარმოშობილ ზიანზე, ვინაიდან სახელშეკრულებო ურთიერთობისას ხელშეკრულების თითოეული მხარე იცნობს ერთმანეთს და მათთვის ასევე ცნობილია (უნდა იყოს) კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის ხასიათი. შესაბამისად, მათ შეუძლიათ თავი დაიზღვიონ და მოითხოვონ აქციონერისგან გარანტია ან სხვა კანონმდებლობით დასაშვები უზრუნველყოფა, რასაც ვერ ვიტყვით ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, როდესაც სახეზეა დელიქტური ზიანი. დელიქტის შედეგად წარმოშობილ კრედიტორებს თავდაცვის

---

[345] *Bauman, Stevenson, Jr.,* Corporations Law and Policy, Materials and Problems, 8th Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 296.
[346] *იქვე.* 296.
[347] *იქვე.*297.
[348] *იქვე.*

ზემოაღნიშნული საშუალებანი არ გააჩნიათ. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება გაჩნდეს მოლოდინი, რომ სასამართლო უფრო მარტივად მიიღებს კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის უგულვებელყოფის შესახებ გადაწყვეტილებას დელიქტური ზიანის არსებობისას, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანისაგან განსხვავებით.[349] თუმცა, პროფესორ რობერტ ტომპსონის კვლევები საპირისპიროს ამტკიცებს, რომლის შესაბამისადაც სასამართლო უფრო ხშირად აკმაყოფილებს შეზღუდული პასუხისიმგებლობის ფორმის უგულვებელყოფის შესახებ მოთხოვნას სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობისას (42%) დელიქტურ ზიანთან შედარებით (31%) *(Robert, B. Thompson , Piercing the Corporate Veil: An Empirical Study)*[350]

მეწარმეთა შესახებ საქრთველოს კანონი უშვებს კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფის შესაძლებლობას.[351] ძირითადად ეს ისეთ შემთხვევებშია დასაშვები, როდესაც აქციონერის მიერ კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის ხასიათის ბოროტად გამოყენება ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.[352] იგი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც რომ აქამდე მსგავსი სახის გადწყვეტილება არ არსებობდა.[353]

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.6 მუხლი კომპანიის კრედიტორების წინაშე კომპანიის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავისთავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორატიული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.[354]

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული

---

[349] *Bauman, Stevenson, Jr.,* Corporations Law and Policy, Materials and Problems, 8th Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 305.

[350] *იქვე*.305.

[351] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3.6

[352] სუს გადაწყვეტილება საქმე № ას-1307-1245-2014

[353] იხ. *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 514.

[354] სუს გადაწყვეტილება საქმე № ას-1307-1245-2014

პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით.[355]

სასამართლოს განმარტებით კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.[356]

სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება მისასალმებელია, თუმცა ვერ დავეთანხმებით იმ ნაწილში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სხვა დანარჩენთან ერთად გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის *მარტოოდენ* სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით. ვინაიდან აღნიშნული განმარტება გარკვეულწილად გადმოსცემს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით დადგენილ შინაარსს, რომლის თანახმადაც "დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას". არადა განსახილველ შემთხვევაში დამრღვევს არ ამოძრავებს ის სურვილი რომ ზიანი მიაყენოს სხვას, არამედ იგი ცდილობს თავი აარიდოს მატერიალურ პასუხისმგებლობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განხილული გადაწყვეტილება იზიარებს მოწინავე საკორპორაციო რეგულაციების მქონე ქვეყნების (აშშ. ინგლისი, გერმანია) გამოცდილებას, რაც ცალსახად დადებით შეფასებას იმსახურებს.

4. კომპანიის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა- Corporate Compliance

ნებისმიერი კომპანია ვალდებულია მოქმედებდეს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მუშაობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს დირექტორატის მიერ. აღნიშნული ფაქტი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ დირექტორი პირადად ასრულებდეს ყველა ფუნქციას რაც კანონმდებლობის შესაბამისად მუშაობისთვისაა საჭირო. ვინაიდან დირექტორატი არის კომპანიის პოლიტიკის განმსაზღვრელი, ამ ორგანოს ვალია შექმნას იმგვარი მმართველობის სისტემა, რომ კომპანიის მიერ განხორციელებული ნებისმიერ ქმედება კანონმდებლობასთან იყოს შესაბამისობაში.

კომპლაიენს ოფიცერის დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს, როგორც კომპანიის ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისგან ასევე თავად დირექტორატისგანაც, რათა მან შეძლოს საკუთარი

[355] სუს გადაწყვეტილება საქმე № ას-1307-1245-2014

[356] სუს გადაწყვეტილება საქმე № ას-1307-1245-2014

მოვალეობის, როგორც კანონისა და წესრგის მცველის, შესრულება. აღნიშნულის მისაღწევად ასევე შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს მისი დაცულობა, სამსახურიდან დათხოვნის თვალსაზრისით.[357]

აშშ-ში არსებობს სპეციალური გაიდლაინები კომპანიის საქმიანობის შესაბამისობის *(Compliance)* ფუნქციასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, კომპლაიენს ფუქციისთან დაკავშირებით დანაწესებს შეიცავს პასუხისგებაში მიცემის შესახებ გაიდლაინებიც *U.S. Sentencing Guidelines Manual*,[358] რომლის განახლებაც ხდება ყოველწლიურად. აღნიშნული გაიდლაინები წარმოადგენს რეკომენდაციას ამერიკული სასამართლოსათვის კონკრეტული დამნაშავის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემასთან დაკავშირებით. მოცემული გაიდლაინების მერვე თავი ეხება კომპანიათა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. აქვეა ნორმები და რეკომენდაციები კომპანიებისათვის, რათა მათ ჰქონდეთ სათანადო შესაბამისობის და ეთიკის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ. კერძოდ, აშშ-ის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გაიდლაინების §8B2.1a მუხლი ეხება ეფექტური ეთიკისა და კულტურის დანერგვას კომპანიაში, რომლის თანახმადაც :

"კომპანიამ უნდა გამოიჩინოს სათანადო წინდახედულება და ზრუნვა, რათა მოახდინოს დანაშაულის ჩადენის პრევენცია და დროული აღმოჩენა, კომპანიამ უნდა წაახალისოს კანონთან შესაბისობაში მყოფი და ეთიკური საქციელი, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს კომპანიის მოქმედების კანონმდებლობასთან შესაბამისობას".[359]

ამავე გაიდლაინების თანხამად, კომპანიის მმართველი ორგანო გათვითცნობიერებული უნდა იყოს შესაბამისობის პროგრამის ფუნქციონირებაში და უნდა გამოიჩინოს სათანადო უნარი და ცოდნა, რათა ზედამხედველობა გაუწიოს პროგრამის თანმიმდევრულ შესრულებას. მმართველობის ზედა საფეხურზე მდგომ კონკრეტულ პიროვნებას უნდა დაევალოს კომპანიის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლი და შესაბამისად მისი უზრუნველყოფის ვალდებულებაც.[360]

პიროვნებას, ვისაც დევალება კომპანიის შიგნით აღნიშნული ვადლებულების შესრულება, უნდა მიეცეს სათანადო უფლებები და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა საშუალებით, რაც საჭიროა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად და კეთილსინდისიერად შესასრულებლად. ეს პიროვნება ვალდებულია დადგენილი პერიოდულობით მიაწოდოს ინფორმაცია მმართველობის უმაღლეს საფეხურზე მდგარ პერსონებს.[361] (დირექტორებს)

---

[357] *Du Plessis, Grossfeld,Lutterman, Seanger, Sandrock, Casper,* German Corporate Governance in Intrnational and European Contexr, 2nd Ed, Springer-Verlag, Berlin-Haidelberg, 2012, 382-283.

[358] http://www.ussc.gov/Guidelines/2013_Guidelines/Manual_PDF/Chapter_8.pdf

[359] U.S. Sentencing Guidelines Manual, §8B2.1 a, ხელმისაწვდომია: http://www.ussc.gov/Guidelines/2013_Guidelines/Manual_PDF/Chapter_8.pdf (ბოლოს გამოხმობულია 16.04.2014)

[360] U.S. Sentencing Guidelines Manual, §8B2.1 b, ხელმისაწვდომია: http://www.ussc.gov/Guidelines/2013_Guidelines/Manual_PDF/Chapter_8.pdf (ბოლოს გამოხმობულია 16.04.2014)

[361] U.S. Sentencing Guidelines Manual, §8B2.1 b, ხელმისაწვდომია: http://www.ussc.gov/Guidelines/2013_Guidelines/Manual_PDF/Chapter_8.pdf (ბოლოს გამოხმობულია 16.04.2014)

ამ პიროვნებას ნებისმიერ დროს უნდა ქონდეს საშუალება უშუალოდ შეხვდეს და მიაწოდოს ინფორმაცია დირექტორატს მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დანაშაულებრივი ქმედების აღმოჩენის შემთხვევაში კომპანიამ უნდა მოახდინოს სწრაფი რეაგირება, დაადგინოს გამომწვევი მიზეზები და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს შესაბამისობის პოლიტიკა.

გარდა აღნიშნულისა, კმპანიის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში შედის ასევე ყოველგვარი დანაშაულის ჩადენის პრევენცია და აღმოჩენა. მაგალითად, *Foreign Corrupt Practice Act* აშშ-ში უკრძალავს კომპანიას ან მის წარმომადგენელს გადაუხადოს თანხა უცხო სახელმწიფოს მთავრობას კონკრეტულ სახელმწიფოში ბიზნესის "წარმატებულად ფუქციონირებისათვის". დასახელებული აქტის თანახმად, ასევე აკრძალულია თანხის მესამე პირისათვის გადახდა, თუკი ნათელია, რომ შემდგომში ეს პირი უკანონოდ გადახდილ თანხას შესაბამის მთავრობას მიაწვდის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა დადგინდეს იცოდა თუ არა კომპანიამ, რომ მესამე პირი თანხას არაოფიციალურად გადასცემდა მთავრობას.[362]

იცოდა თუ არ კომპანიამ ამ ფაქტის შესახებ, კონკრეტული გარემოებების შესწავლის შედეგად უნდა დადგინდეს. მაგალითად ისეთი აშკარა ნიშნების არსებობისას *(read flags)* როგორებიცაა თანხის მიღება ხელზე და არა გადარიცხვით, ან თანხის გადარიცხვა მოგონილი სახელით, რაც ცხადს ხდის, რომ გადარიცხვის მონაწილეებისათვის ცნობილი იყო თანხის არალეგალურად, კორუფციული მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობა.[363] ამგვარ გაუგებრობაში მოხვედრის, დანაშაულის პრევენციისა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, მისი დროულად დადგენის მიზნით, კომპანიამ უნდა დანერგოს შესაბამისობის კონტროლის სათანადო პოლიტიკა და სისტემა.[364]

მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისობის პოლიტიკა და პროცედურა წერილობით ჩამოყალიბდეს და უზრუნველყოფილი იყოს მისი გაცნობა კომპანიის თანამშრომლებისათვის.

ამერიკული სასამართლო პრაქტიკა, დირექტორების მხრიდან შესაბამისობისა და ეთიკის პოლიტიკის ზედამხედველობის პროცესში დარღვევას, ფიდუციური ვალდებულების დარღვევად მიიჩნევს. *Caremark Intern. Inc. Derivative Litigation* საქმეზე მსჯელობისას სასმართლომ აღნიშნა, რომ დირექტორატს აქვს ვალდებულება ზედამხედველობა გაუწიოს კომპანიის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობას.[365] *(Oversee a corporation's legal compliance)*

გადაწყვეტილების თანახმად, ზედამხედველობის ვალდებულება მოიცავს ასევე დირექტორატის ვალდებულებას, გამოიჩინოს კეთილსინდისიერება და ყველა ღონე იხმაროს, რათა კომპანიას ჰქონდეს რეპორტინგისა და ინფორმაციის მიწოდების ადექვატური

---

[362] *McGreal,* Corporate Compliance Survey, in :The Business lawyer, Section of Business Law, American Bar Association, Val:67, Num.1, Chicago, Il,2011/2012 , 242.

[363] *McGreal,* Corporate Compliance Survey, in :The Business lawyer, Section of Business Law, American Bar Association, Val:67, Num.1, Chicago, Il,2011/2012, 242.

[364] *McGreal,* Corporate Compliance Survey, in :The Business lawyer, Section of Business Law, American Bar Association, Val:67, Num.1, Chicago, Il,2011/2012, 242.

[365] *Caremark Intern. Inc. Derivative Litigation* 698 A.2d 959Del.Ch.,1996, ხელმისაწვდომია http://web2.westlaw.com, (ბოლოს გამოხმობილია: 16.04.2014)

სისტემა, [366] რაც ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

დელავერის საკანცლერო სასამრთლომ, ზემოთმოყვანილ საქმესთან დაკავშირებით განმარტა, რომ *Caremark*-ის დირექტორებისათვის არ იყო ცნობილი სამართალდარვევების შესახებ და არც მტკიცებულებები ყოფილა წარმოდგენილი, რომლებიც დაადასტურებდა, რომ ისინი ფლობდნენ ინფორმაციას სამართალდარღვევაზე. საქმეში ასევე არ არსებობს დასტური იმასთან დაკავშირებით, რომ დირექტორები "დამნაშავენი" იყვენენ და არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ საწარმოს საქმიანობის ზედამხედველობის ვალდებულებას. პირიქით, დადგენილია, რომ საწარმოში ინფორმაციის მიწოდებისა და რეპორტინგის სისტემა კეთილსინდისიერად იყო დანერგილი, შესაბამისად დირექტორები გულწრფელად ცდილობდენ ინფორმირებულები ყოფილიყვნენ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ხოლო ის ფაქტი, რომ მათ არ იცოდნენ სპეციფიური და კონკრეტული საკითხები კომპანიის მიერ განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველი ვერ გახდებოდა.[367]

მოსამართლემ განმარტა, რომ ტექნოლოგიების, ტექნიკის და უზღვავი ინფორმაციის ყოველდღიურად მოწოდების ერაში, შეუძლებლია, და უსამართლოც იქნება, დირექტორებს მოვთხოვოთ ფლობდნენ ინფორმაციას ყოველი ტრანზაქციის კონკრეტულ და სპეციფიურ საკითხებზე.[368]

ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, არ დასტურდებოდა, რომ დირექტორები მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად და არ ახორციელებდნენ ზედამხედველობის ფუნცქიას. არც ის დადასტურებულა, რომ შეგნებულად დაუშვეს სამართალდარღვევა კომპანიის მხრიდან. შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ მათ წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი სუსტია.

აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ გადწყვეტილებით დადგინდა სტანდარტი, დირექტორატის ვალდებულბა *Caremark Duty* – რომლის თანხმადაც, მხოლოდ მძიმე დარღვევის დროს ითვლება *Caremark Duty*- დარღვეულად. მაგალითად, როდესაც დირექტორატი არ მოახდენს რეაგირებას აშკარა, მოსალოდნელ ან მომხდარ სამართალდარღვევაზე. დროულად არ მოხდება ისეთ აშკარა ფაქტებზე რეაგირება, რომლებიც ცალსახად და ერთი შეხედვითაც ნათელია რომ დარღვევას წარმოადგენს. [369] დელავერის სასამართლო აქტიურად იყენებს *Caremark*-ის სტანდარტს დირექტორთა წინააღმდეგ სარჩელების განხილვისას და მოსარჩელეს ევალება დაადასტუროს, რომ ეს სტანდარტია დარღვეული. მხოლოდ უმნიშვნელო ინფორმაციის არქონის გამო, მაშინ როდესაც დირექტორატი კეთილსინდისიერად მოქმედებდა, ამ ორგანოს პასუხსმგებლობის საკითხი არ დგება.

---

[366] *Caremark Intern. Inc. Derivative Litigation* 698 A.2d 959Del.Ch.,1996, ხელმისაწვდომია http://web2.westlaw.com, (ბოლოს გამოხმობილია: 16.04.2014)

[367] *Caremark Intern. Inc. Derivative Litigation* 698 A.2d 959Del.Ch.,1996, ხელმისაწვდომია http://web2.westlaw.com, (ბოლოს გამოხმობილია: 16.04.2014)

[368] *Caremark Intern. Inc. Derivative Litigation* 698 A.2d 959Del.Ch.,1996, ხელმისაწვდომია http://web2.westlaw.com, (ბოლოს გამოხმობილია: 16.04.2014)

[369] *McGreal,* Corporate Compliance Survey, in :The Business lawyer, Section of Business Law, American Bar Association, Val:67, Num.1, Chicago, Il,2011/2012 , 236.

დირექტორებმა სულ ცოტა წელიწადში ერთხელ უნდა მოახდინონ შიდა კონტროლის სისტემათა ჯგუფის ეფექტურად მუშაობის გადამოწმება და აცნობონ ამის შესახებ აქციონერებს. გადამოწმება უნდა შეეხოს ყველა სახის კოტროლს, მათ შორის ფინანსურ, ოპერაციულ, რისკების მართვისა და კომპანიის საქმინობის კანონმდებლობასთან და არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობის საკითხებს.[370]

ისეთი დიდი კორპორაციების ფინანსურმა კოლაფსმა, როგორებიც იყო ენრონი (Enron) და ვორლდკომი (Worldcom), კორპორაციის მენეჯერთა პასუხისმგებლობის გაზრდისა და კონტროლის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. სარბანეს ოქსლეის აქტი *(Sarbanes-Oxley Act)* სწორედ ამ საჭიროების გამოძახილია ამერიკულ საკორპორაციო კანონმდებლობაში, რომელიც მოითხოვს ფინანსური ინფორმაციის სრულყოფილ და კეთილსინდისიერ გამჟღავნებას კომპანიისაგან და შესაბამისი კომპანიის გენერალურ დირექტორს და ფინანსურ დირექტორს აკისრებს მათ სისწორეზე პასუხისმგებლობას.[371]

სარბანეს ოქსლეის აქტის 906-ე მუხლის თანახმად, იმ კომპანიის გენერალური დირექტორი და ფინანსური დირექტორი, რომელიც განათავსებს აქციებს საჯაროდ ვაჭრობისათვის, ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ აქტით *(Securities Exchange Act 1934)* დადგენილი, კომპანიის პერიოდული ფინანსური რეპორტების სისწორე[372].

აქტი ასევე იცავს იმ პირებს, რომლებიც გადაცდომის შესახებ ინფორმაციას აწვდიან შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. კანონმდებელი მათ უწოდებს *„განგაშის ამტეხებს“ (Whistleblower)* და ვინაიდან ასეთი პირი ხშირად სამსახურის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას, აქტი ადგენს იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც მოქმედებენ *„განგაში ამტეხის“* საზიანოდ, რომელიც პატიოსნად და გულწრფელად აწვდის ინფორმაციას სამართლის აღმასრულებელ ოფიცერს, ჩადენილი ან მოსალოდნელი შესაძლო გადაცდომისა თუ დანაშაულის შესახებ.[373]

საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის დანერგილი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც კომპანიას ეყოლება შესაბამისობის დეპარტამენტი *(Compliance Department),* რომელიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობას, [374] ამიტომ ეს ფუნქციები, როგორც წესი გადანაწილებულია სხვადასხვა

---

[370] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 114.

[371] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 434.

[372] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 565.

[373] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 434-435.

[374] რამდენიმე ქართული კომპანიის სტრუქტურისა და მუშაობის სტილის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არც ერთ მათგანს არ ქონდა წერილობით ჩამოყალიბებული შესაბამისობის სტრატეგია *(Compliance Strategy)* და არ ყავდა შესაბამისობის დეპარტამენტი *(Compliance Department)* ხოლო შესაბამისობის ფუნქციის შესრულება გაბნეული და გადანაწილებული იყო სხვადასხვა სამსახურებზე, ყოველგვარი გააზრებისა და სისტემური განაწილები გარეშე. ცხადია გასაგები მიზეზების გამო, ამ კომპანიების დასახელება არ მოხდება. ონკრეტული კომპანიის დასახელებას არ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, მთავარია ფაქტები, რომლებიც პრობლემის არსებობაზე მიუთითებენ.

განყოფილებებსა თუ დეპარტამენტებზე. შესაბამისობის *(Compliance)* ფუნქციის ამგვარად არაორგანიზებულად და გაბნეულად არსებობა საფრთხის შემცველია, ვინაიდან გადაცდომის (თუნდაც შეცდომის შედეგად) ალბათობა დიდია. უფრო მეტიც, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართულ კომპანიაში სრულდება გარკვეული სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაბამისობის ფუნქციები, ისე, რომ პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა არც კი იციან ამის შესახებ. მათ გაცნობიერებული არ აქვთ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ეს მათი საქმიანობის ყოველდღიურობაა, რაც ზრდის რისკს გადავიდეს კომპანია კანონთან შესაბამისობის რელსებიდან, არა წინასწარ განზრახულად, არამედ გაუცნობიერებლად, კონკრეტული თანამშრომლის მიერ ყოველდღიური სამუშაოს უხარისხოდ შესრულების შედეგად.

ამგვარი გადაცდომის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია არსებობდეს ერთი კონკრეტული სამსახური (დეპარტამენტი, განყოფილება), რომლიც კომპანიის საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისად ოპერირებაზე იქნება პასუხისმგებელი, როგორც ეს, მაგალითად, აშშ-ში და ევროპის ქვეყნებშია.

დირექტორები ვალდებულნი არიან შექმნან ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა. აღნიშული წინადადება მარტვია, მაგრამ უამრავ კითხვას შეიძლება ბადებდეს დირექტორის პოზიციაზე მყოფთათვის. კერძოდ, რას ნიშნავს ეფექტური მართვის სისტემა და როგორ უნდა მოხდეს იმის შეფასება, თუ რა ჩაითვლება ეფექტურად და რა არა. უნდა ითქვას, რომ მართვის სისტემის ეფექტურობა ყოველი კონკრეტული კომპანიის საქმინობის მიხევით უნდა შეფასდეს. შიდა კონტროლის სისტემის არსებობა იმისთვის არის საჭირო და აუცილებელიც, რომ მოხდეს იმ რისკების მინიმუმამდე დაყვანა, რომლის წინაშეც კომპანია ყოველდღიურად დგას. ეფექტური კონტროლი ვერ უზრუნველყოფს რისკების აღმოფხვრას, მისი მიზანია მაქსიმალურად შეამციროს ისინი. მინიმუმადე დაყვანილი რისკების კვალდაკვალ, კომპანიის შემოსავლიანობის პროცენტი იზრდება, შესაბამისად, ეფექტური შიდა კონტროლი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია კომპანიის მომგებიანობასთან და სწორედ ეს უკანასკნელი უნდა წარმოადგენდეს შიდა კონტროლის ეფექტურობის მთავარ საზომს, ისევე როგორც ის არის, ზოგადად, კომპანიის საქმიანობის, წარმატების თუ წარუმატებლობის საზომი.

ზემოაღნიშნულდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დირექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ შიდა კონტროლი ეფექტურია სწორედ რისკებთან მიმართებაში, რაც გულისხმობს რიკების აღმოჩენისა და პრიორიტეტულობის განსაზღვრას და რისკების მართვის მიმართ სწორი დამოკიდებულების დანერგვას კომპანიის კორპორაციულ კულტურაში და ყოველდღიურ ბიზნეს საქმიანობაში.[375]

5. კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა, (21-ე საუკუნის კორპორაციული მართვა) Corporate Social Responsibility (CSR)

[375] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 116.

"Corporate Social Responsibility is the continuing commitment by business to contribute to economic development while improving the quality of life of the workforce and their families as well as of the community and society at large."[376]

ბიზნეს ეთიკა შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც ბიზნეს საქმიანობისა და პრაქტიკის განახლებული ხედვა, რომელიც მართავს ბიზნეს კორპორაციების ქცევას და იდეალებს. 21-ე საუკუნეში, ეთიკა, როგორც პოლიტიკურ, ასევე ბიზნეს საქმიანობაში წინ არის წამოწეული, როგორც მორალის მამოძრავებელი ძრავა, რომლის გამოყენებითაც ხდება კომპანიის თუ სახელმწიფოს მართვა.[377]

სოციალური პასუხისმგებლობა, გულისხმობს კომპანიის დამოუკიდებელ და ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას, პატივი სცეს და დაიცვას საზოგადოება, ხელი შეუწყოს ჯანსაღი გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას და ამ გზით შეასრულოს სოცილური ვალდებულება.[378] კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა, ეს არის ბიზნესის ნებაყოფლობითი თვითდავალდებულება საკუთარი როლის შესრულებას მოეკიდოს პასუხისმგებლობით[379] *(International chember of commerce).*

კომპანიას უნდა გააჩნდეს ეთიკა, მორალი და ღირებულებები, აღნიშნული დამოკიდებულება განასკუთრებით პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც აღიარებულ იქნა, რომ კომპანიას გააჩნია სოციალური ვალდებულებანი.[380] კომპანია ხელოვნური ქმნილებაა და როგორც სავინი აღნიშნავს,[381] წარმოადგენს სამართლის ფიქციას. შესაბამისად ცხადია, რომ ეთიკურ ქცევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის დანერგვა, დირექტორატის უფლება-მოვალეობათა სფეროა.[382]

ეთიკური ქცევა დირექტორატის მხრიდან წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დედაბოძს კარგი კორპორაციული მართვის შექმნის გზაზე, ვინაიდან ამგვარი ქცევით, დირექტორი იძლევა მაგალითს და მიმართულებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ემსახურება იმ იდეას, რომ კომპანია ეთიკური ქცევების ერთგული დარჩეს.[383]

კორპორაციათა კოლაფსი, სხვადასხვა მიზეზთა გამო ხდება, თუმცა დადასტურებულად შეძლება ითქვას, რომ ამაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებს არაეთიკური ქცევა.[384]

---

[376] WBCSD - World Business Council for Sustainable Development ,Deffinition of corporate social responsibility ხელმისაწვდომია : http://www.wbcsd.org/work-program/business-role/previous-work/corporate-social-responsibility.aspx (ბოლოს გამოხმობილია: 07.05.2014) (კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა ეს არის ბიზნესის განგრძობადი ვალდებულება, იმოქმედოს აქტიურად ეკონომიკური განვითარებისათვის, ხელი შეუწყოს სამუშაო ძალის, დასაქმებულთა და მათი ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლებას და კეთილდღეობას, აგრეთვე გაითვალისწინოს ზოგადად საზოგადოების ინტერესები.)

[377] *Mullerat, (Edit)*Corporate Social Responsibility, The Corporate Governance of 21st Century, 2nd Ed, Kluwer Law International , Alphen aan den Rijin, 2011 , 34.

[378] *Mullerat, (Edit)*The Global Responsibility of Business, in: Corporate Social Responsibility, Publisher, Kluwer Law International , Hague, 2005 , 3.

[379] *Mullerat, (Edit)* The Global Responsibility of Business, in: Corporate Social Responsibility, Publisher, Kluwer Law International , Hague, 2005 , 3.

[380] *Du Plessis, Hargovan, Bagaric,* Principles of Contemporary Corporate Governance, 2nd Ed, Cambridge University Press, New York, 2011, 125.

[381] *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 224.

[382] *Du Plessis, Hargovan, Bagaric,* Principles of Contemporary Corporate Governance, 2nd Ed, Cambridge University Press, New York, 2011, 125.

[383] *იქვე.* 125.

[384] *იქვე.* 126.

ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია აუცილებელს ხდის დადგინდეს ერთიანი საფუძველი, განიმარტოს თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული კორპორაციათა მხრიდან "ეთიკურ ქცევად" და მოხდეს მისი დანერგვა, როგორც კარგი კორპორაციული მართვის მამოძრავებელი ძალისა.[385]

სადავოა კომპანიის სოციალური პასუხიმგებლობის სავალდებულობის საკითხი. გულისხმობს იგი ვალდებულებას, რომელიც განმტკიცებულია კანონმდებლობით და მისი დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დადგება, თუ მხოლოდ მორალის და ბიზნეს ეთიკის ნაწილია და მისი უგულვებელყოფა არ იწვევს რაიმე სახის სავალდებულო სანქციებს?! ავტორთა და საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა გახდეს სავალდებულო, ხოლო მეორე ნაწილი კი, განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციები, თვლიან, რომ მნიშვნელოვანი ვალდებულებები, რაც სოციალურ კომანიას აქვს, ვერ იქნება ეფექტურად დანერგილი თუ არ მოხდება მათი საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება.[386]

დადასტურებულია, რომ საზოგადოებასთან ინტეგრირებული საწარმო, მის მიერ შესრულებული სოციალური როლის გამო, თვითონაც პოულობს სარგებელს, კერძოდ:

- კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი მოგება ინვესტიციებზე;
- გაუმჯობესებულია კორპორაციული მართვა, განსაკუთრებით რისკების მართვა;
- კომპანია მუშაობს არსებული რეგულაციების შესაბამისად *(Compliance)*;
- დაცულია ბრენდის რეპუტაცია;
- ჩამოყალიბებულია ნდობა საწარმოს მიმართ;
- განვითარებულია რესურსი, ეფექტურობა და არსებულ კაპიტალთან წვდომა;
- წახალისებულია სიახლეები *(thinking out of the box);*
- ხდება სამომავლო საბაზრო შესაძლებლობების მშენებლობა.[387]

მხოლოდ იმის კეთება, რაც დაუყოვნებლივ მოგების მომტანია და ხელსაყრელია აღარ არის საკმარისი, კომპანიის პოლიტიკა და კონკრეტული მოქმედება ასევე სწორად უნდა დაიგეგმოს, იმ თვალსაზრისით, რომ მისი სარწმუნოდ დაცვა იყოს შესაძლებელი კეთილგონიერი ადამიანების წინაშე.[388]

---

[385] *იქვე.* 127.

[386] *Mullerat, (Edit)* The Global Responsibility of Business in: Corporate Social Responsibility, Publisher, Kluwer Law International , Hague, 2005 , 4.

[387] *Hu li,* Findig Sustainable Profitability : The U.S. Financial Services Industry's Pursuet of Corporate Social Responsibility, in : The Corporate Law Review, Val.2, number 1, Standston academic press, South Yarra, Victoria, 2006, 348.

[388] Quoted in Business Survival and Social Change: A practical guide to responsibility and partnership, *John Hargreaves and Jan Dauman,* Associated Business Programmes 1975, p7 მითითებულია: *Milward-Oliver,* The Soul of the Corporation, in: Corporate Social Responsibility, Publisher, Kluwer Law International , Hague, 2005 , P 61 მიხედვით. *(It is no longer enough for a company to do what is immediately profitable, expendent or useal; a policy or particular action must also be right, in the sense*

დიდ ბრიტანეთში მოქმედი კომპანიათა შესახებ აქტის 172 (1) პარაგრაფის თანახმად, დირექტორები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ კომპანიას წარმატების მიღწევაში, იმოქმედონ კეთილსინდისიერად იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება წარმატებას მოუტანს კომპანიას, მისი (კომპანიის) წევრების საკეთილდღეოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა საკითხებთან ერთად, დირექტორმა უნდა გაითვალისწინოს კომპანიის საქმიანობის გავლენა და ზემოქმედება საზოგადოებასა და გარემოზე. *(CA. sec.172 (1)(d)* [389]

აღნიშნული მუხლი ცხადყოფს, რომ დიდ ბრიტანეთში მოქმედი კომპანიის დირექტორი ვალდებულია მხედველობაში ჰქონდეს კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა და ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებდეს მას.

ამერიკაში მოქმედებს კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის უფრო ვიწრო განმარტება. აშშ-ში დამკვიდრებული განმარტების თანახმად, კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა არის კომპანიის მოგების ნაწილის უანგაროდ გაცემა საქველმოქმედო მიზნებისათვის, შესაძლო საპასუხო შესრულების მოლოდინის გარეშე.[390]

ევროკავშირის განმარტების თანხმად, კომპანიათა სოცილაური პასუხისმგებლობა არის კონცეპტი, რომლის თანახმადაც კომპანიები ახდენენ სოციალურ და გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირებას საკუთარი ბიზნესის ოპერირების პროცესში და მათი ურთიერთქმედება სტეიკჰოლდერებთან, ნებაყოფლობის საფუძველზე.[391]

General Motors- ის ბორდის წევრის, *Leon H.Sullivan* –ის მიერ კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშიებით ჩამოყალიბებულ იქნა პრინციპები, რომლებიც სალივანის პრინციპების სახელით არის ცნობილი. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიათა საქმიანობაში და საპატიო ადგილს იკავებს ამ სფეროში არსებულ გაიდლაინებს შორის. [392] სალივანის პრიცნიპები ითვალისწინებს დასაქმებულთა დაცვასა და ნებისმიერი სახის დისკრიმინაციული დამოკიდებულების დაუშვებლობას, ღირსეული სამუშაო პირობების შექმნას და სათანადო ანაზღაურების მიცემას დასაქმებულთათვის; სახელმწიფოსთან მუშაობას გარემოსა და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.[393]

მნიშვნელოვანია ასევე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ევროკავშირის წესები, რომელიც ათი პრინციპის სახელით არის ცნობილი და ოთხი ნაწილისგან შედგება, ესენია:

I. ადამიანის უფლებები

1. ბიზნესმა პატივი უნდა სცეს და დაიცვას საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ადამიანის უფლებები და

---

that it can be convincingly defended before reasonable men.)

[389] *CompaniesAct2006*,Para:172(1)(d)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :29.04.2014)

[390] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&M1cmillan, New York, 2013, 114.

[391]ხელმისაწვდომია: http://publications.europa.eu/index_en.htm (COM(2001)366, final Green Paper Promoting a European framework for Corporate Social Responsibility) – ბოლოს გამოხმობილია:07.05.2014

[392] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013 P.116

[393] სალივანის წესები დეტალურად იხ. http://www1.umn.edu/humanrts/links/sullivanprinciples.html

2. დარწმუნდეს, რომ იგი არ არის ამ უფლებების დარღვევის თანამონაწილე

II. სამუშაო ძალა, დასაქმებულები

3. ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს გაერთანებისა და კოლექტიური ვაჭრობის ეფექტიურ აღიარებას და მხარდაჭერას,
4. ხელი შეუწყოს იძულებითი შრომის ყველა ფორმის აღმოფხვრას,
5. ბავშთა შრომის აღმოფხვრას,
6. დასაქმებულთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრას.

III. გარემო

7. სიფრთხილით მოეკიდოს გარმოს დაცვასთან დაკავშირებულ ცვლილებებს,
8. თავის თავზე აიღოს ინიციატივა და ხელი შეუწყოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს,
9. ხელი შეუწყოს გარემოსადმი მეგობრული ტექნოლოგიების განვითარებასა და პოპულარიზაცია-გავრცელებას.

IV. ანტიკორუფციული ქმედებები

10. ბიზნესი უნდა მუშაობდეს კორუფციის ნებისმიერი ფორმის, მათ შორის გამოძალვისა და ქრთამის აღმოსაფხვრელად.[394]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუკი საქართველოში მოქმედი დიდი კორპორაციები დაიწყებენ ამ პრინციპების დანერგვასა და განვითარებას, რითაც ბიძგს მისცემენ მეტად მნიშვნელოვანი პროცესის დაწყებას.

ეთიკა, მორალი და მაღალი ღირებულებები, თანდათან უფრო მნიშვნელოვანი გახდება კომპანიებისათვის, ვინაიდან დადასტურებულია, რომ კარგი კორპორაციული მართვა ჭეშმარიტად მატებს ფასს კომპანიას, ხოლო კარგი კორპორაციული მართვის სისტემის შექმნა კი ეთიკის, მორალისა და ღირებულების გარეშე წარმოუდგენელია. კომპანია, რომლის სტრატეგიაც მოიცავს სოციალური ვალდებულების გათავისებას, მეტად არის ინტეგრირებული საზოგადოებაში და განიცდის ინტეგრაციის დადებით ზეგავლენას. ეს ორმხრივი პროცესია, რომლის შედეგადაც მოგებული რჩება როგორც კომპანია, ასევე საზოგადოება.

ცხადია, სანამ ჩამოყალიბდებოდეს სოცულაური პასუხისმგებლობის მქონე საწარმოდ, ყველა კონკრეტულმა კომპანიამ უნდა გაიაროს განვითარების ეტაპები. შეუძლებელია საქართველოში არსებული საწამოთა კორპორაციული ქცევის სწრაფი, მყისიერი ცვლილება რაოდენ სასურველიც არ უნდა იყოს ეს. მთავარია ქართულ კომპანიათა მენეჯმენტმა გაითავისოს, რომ ამ თვალსაზისით დახარჯული დრო და რესურსი (როგორც ფულადი ასევე ადამიანური), უკვალოდ არ ჩაივლის და საბოლოო ჯამში დადებითად აისახება როგორც თავად კომპანიაზე, ასევე იმ საზოგადოებაზე, სადაც კომპანია ოპერირებს. ნებისმიერი

[394]The UN Global Compact's ten principles in the areas of human rights, labour, the environment and anti-corruption https://www.unglobalcompact.org/abouttheGc/TheTenprinciples/index.html

მენეჯერი უნდა ცდილობდეს, რომ კომპანია, რომელსაც ის მართავს "პატიოსანი მოქალაქე" იყოს. იყოს მოქალაქე, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე, არამედ მიზნების მიღწევის გზაზე ითვალისწინებს და არ ლახავს სხვათა ინტერესებსა და უფლებებს.

IV.დირექტორატის (დირექტორის) მოვალეობები კომპანიის მართვისას

ფიდუციური მოვალეობა იცავას არა მარტო აქციონერებს, არამედ ხელს უწყობს სამართლიან კონკურენციასა და ბაზრის ფუნქციონირებას.
Fiduciary duty not only protects shareholders but aslo the fair competition and the functionnig of the markets.[395]

კომპანია რომ გადარჩეს, უნდა უზრუნველყოს მოგების გენერირება გრძელვადიან პერსპექტივაში. მომგებიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს მნიშვნელოვან და საბოლოო მიზანს. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა ინვესტიცია, ოპერაციული ეფექტურობა და წარმოშობილი რისკების სათანადო მართვა.[396] ბიზნესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება რაციონალური უნდა იყოს. რაციონალური გადაწყვეტილება არის სათანდო ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება.[397] თავისთავად ცხადია, რომ თავად კომპანიას არ გააჩნია გონება, რომ რაციონალური გადაწყვეტილება მიიღოს, ამიტომ ასეთი გადწყვტილების მიღების მოვალეობა აქვს იმ ორგანოს, (დირექტორატს) რომელიც გონების და ტვინის ფუნქციას ასრულებს კომპანიაში.

1. ზოგადი მიმოხილვა

დირექტორებს გააჩნიათ ძალაუფლება მართონ და უხელმძღვანელონ კომპანიის საქმიანობას. მათ შეუძლიათ განახორციელონ ნებისმიერი

---

[395] *Clark,* Corporate law, მითითებულია : *Hopt,* Trusteeship and Conflicts of Interest in Corporate, Banking and Agency Law: Toward Common legal Principles for Intermediaries in the Modern Service-Oriented Soceity, in: Reforming Company and takeover law in Europ, Oxford University Press, New York, 2004 , P. 54,მიხედვით

[396] *Mantysaari,* Organising the Firm, Theories of Comercial Law, Corporate Governance and Corporate Law, Springer-Verlag, Berlin-Heidelberg, 2012,P.44-45

[397] *Mantysaari,* Organising the Firm, Theories of Comercial Law, Corporate Governance and Corporate Law, Springer-Verlag, Berlin-Heidelberg, 2012,P.46

კანონიერი ქმედება კომპანიის მიზნების მისაღწევად უფლებამოსილების ფარგლებში. დირექტორის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია კომპანიას ეკუთვნის. [398] ძალაუფლების განხორციელებისას, რა თქმა უნდა, გარკვეული ვალდებულებებიც წარმოიშობა, კერძოდ დირექტორატი ვალდებულია განსაზღვროს პოლიტიკა, რომელიც კორპორაციის მიზნების მისაღწევად არის საჭირო, შეარჩიოს და დანიშნოს აღნიშნული პოლიტიკის განმახორციელებელი პირები *(Executives)* და უხელმძღვანელოს მათ, რათა უზრუნველყოს მათ მიერ დანერგილი პოლიტიკის შესაბამისად მუშაობა.[399]

ერთგულების ვალდებულება ასახავს დირექტორის ვალდებულებას, იმოქმედოს უპირატესად კომპანიის ინტერესების შესაბამისად.

”დირექტორთა მოვალეობა”- ძალიან ფართო ცნებაა. უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორები წარმოადგენენ აუცილებელ (შეიძლება ითქვას სავალდებულო) პერსონებს კომპანიათა მართვისა და მათი მესამე პირებთან წარმომადგენლობის პროცესში. [400] მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მხულის პირველი ნაწილის თანახმად, საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს. როგორც პროფესორი ლადო ჭანტურია აღნიშნავს, დირექტორატის მოვალეობები და ფუნქციები იმდენად სპეციფიურია, რომ არ შეიძლება ისინი გადაცემულ იქნეს კომპანიის სხვა ნებისმიერ ორგანოზე. [401] აღნიშნული მოსაზრება სრულად იზიარებს სამეწარმეო სამართლის განვითარების თანამედროვე მიმართულებას, რომლის თანახმადაც დირექტორები წარმოადგენენ იმ პერსონებს, რომელსაც ეკისრებათ საწარმოს მართვის ვალდებულება, ის რომ სწორედ მათ და არა აქციონერებს აქვთ ძალაუფლება კომპანიის მართვისას, წარმოშობს დირექტორთა ვალდებულებებს, როგორც აქციონერების ასევე თავად საწარმოს მიმართ.[402] სამწუხაროდ ქართული საკორპორაციო სამართალი არ გამოირჩევა დირექტორთა მოვალეობების ზუსტი ფორმულირებით და განსაზღვრადობით.

ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე, *Smith vs Van Gorkom,* [403] დელავერის უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ დირექტორთა მოვალეობები საწარმოს მიმართ მოიცავს ზრუნვის *(Duty of Care)* და ერთგულების *(Duty of Loyalty)* ვალდებულებას [404], მსგავს ცალსახა მითითებას ქართულ სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს, თუმცა დირექტორს რომ გააჩნია მოვალეობები საწარმოს მიმართ ეს სადავო საკითხს არ წარმოადგენს.

---

[398] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 432.

[399] *იქვე.* 432.

[400] *ჭანტურია, ნინოძე,* მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი 2002, 119.

[401] იქვე.

[402] *Smith, Morreale*, Global Climate Change and U.S. Law, Ed 2007, 498.

[403] *Supreme Court of Delaware ,Smith v Van Gorkom,* 488A.2d 858 Delaware1985, <http://international.westlaw.com/find/default.wl?sp=intbucrs-000&rp=%2ffind%2fdefault.wl&sv=Split&rs=WLIN11.04&cite=488A.2d+858+&fn=_top&mt=314&vr=2.0&findjuris=00001>.

[404] *Welch E. P., Turezyn A. J.*, Folk on the Delaware General Corporation Law, Fundaments, 2005 edition ”aspen publisher” 2005, 82.

დირექტორები ვალდებულნი არიან მართონ საწარმო კეთილსინდისიერად *(Act in good faith)* და გულწრფელი რწმენით, რომ მიღებული გადაწყვეტილება უპირველესად კომპანიის ინტერესებს ემსახურება და მიმართულია იმისკენ, რომ გაზარდოს აქციონერთა შემოსავლები.[405]

დელავერის საკორპორაციო სამართლისა (DGCL) და ბიზნეს კორპორაციების შესახებ მოდელური აქტის *(MBCA)* თანახმად, დირექტორთა ვალდებულებები საწარმოს მიმართ, განხილულია ინდივიდუალურად, თითოეულ დირექტორთან მიმართებაში და არა დირექტორატის, როგორც ორგანოს მიმართ. დირექტორს განსხვავებულ ვითარებაში შესაძლოა სხვადასხვა მოვალეობა გააჩნდეს. დირექტორის ვალდებულება კომპანიის მიმართ არსებობს უცვლელად, მუდმივად, მაგრამ თუ რა სახის ვალდებულება გააჩნდა მას საქმიდან გამომდინარე, სწორედ ამ კონკრეტული საკითხის განხილვის შედეგად უნდა გაირკვეს. მაგალითად, დირექტორის ვალდებულება საწარმოსთან მიმართებაში, რომელიც ფინანსური პრობლემების წინაშე დგას და დირექტორის ვალდებულება ისეთი საწრმოს მიმართ, რომლის გაყიდვაც არის განსაზღვრული, განსხვავებული იქნება და თითეული გარემოების დამოუკიდებლად განხილვის შედეგად უნდა დადგინდეს.

ამერიკული კანონმდებლობის თანახმად, დირექტორებს გააჩნიათ ფართო უფლებამოსილება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვასთან დაკავშირებით, თუმცა მათი უფლებამოსილება შეუზღუდავი არ არის, დირექტორატის გადაწყვეტილებებები და მოქმედებანი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს უნდა პასუხობდეს.

ინგლისში, კომპანიათა შესახებ აქტი დირექტორის შვიდ ძირითად ვალდებულებას ადგენს:

1. იმოქმედოს უფლებამოსილების ფარგლებში *(CA. sec.171);*
2. ხელი შეუწყოს კომპანიის წარმატებას *(CA. sec.172);*
3. მიიღოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება *(CA. sec.173);*
4. გამოიჩინოს გონივრული ზრუნვა, უნარები და გულმოდგინება*(CA. sec.174);*
5. თავი აარიდოს ინტერესთა კონფლიქტს *(CA. sec.175);*
6. უარი თქვას მესამე პირებისაგან რაიმე სარგებლის მიღებაზე (იგულისხმეა სარგებლის მიღება დირექტორის პოზიციაზე ყოფნის გამო) *(CA. sec.176);*
7. მოახდინოს კონკრეტულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით პირადი დაინტერსების კანონმდებლობის შესაბამისად გამჟღავნება-დეკლარირება *(CA. sec.177)*[406]

კომპანიის ხელმძღვანელობასა და მართვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს დირექტორი უნდა მოეკიდეოს მოწესრიგებული

[405]*Hamilton R. W.*,The Law of Corporations, Fifth Ed, West Group, St. Paul, 2000, 497.
[406] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 222.

ბიზნესმენის გულმოდგინებით. აღნიშნული ზოგადი ვალდებულება, რასაც გერმანიის შპს-ს შესახებ კანონი ადგენს, თავის თავში აერთიანებს ვალდებულებათა მთელ რიგს, კერძოდ : დირექტორის ვალდებულება გამოიყენოს მთელი ძალისხმევა კომპანიის საუკეთესო ინტერესების მისაღწევად, უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან და მოთხოვნებთან, უზრუნველყოს სათანადო ფინანსური და ბუღალტრული ჩანაწერების არსებობა, არ გადაიხადოს ან არ დაეთანხმოს არამიზნობრივად თანხის გადახდას, არ ჩადგეს კომპანიასთან კონკურენტულ მდგომარეობაში და არ მიითვისოს მისი ბიზნეს შანსები. საიდუმლოდ შეინახოს და არ გაამჟღავნოს კომპანიის კუთვნილი კონფიდენციალური ინფორმაცია.[407]

მოწესრიგებული და გონიერი ბიზნესმენის გულმოდგინებით საქმისადმი დამოკიდებულების აუცილებლობა ასევე ავალდებულებს დირექტორს, თავიდან აირიდოს ნებისმიერი სახის რისკი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კომპანიის არსებობას. სს-ის დირექტორატი ვალდებულია შექმნას და პრაქტიკაში დანერგოს რისკების მართვის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს მას წინასწარ დაადგინოს და თავიდან აირიდოს მოვლენათა იმგვარი განვითარება, რამაც შეიძლება კომპანიის არსებობას შეუქმნას საფრთხე. მიუხედავად იმისა, რომ შპს-ის დირქტორთა მიმართ მსგავსი პირდაპირი საკანონმდებლო მოთხოვნა არ არსებობს, შეიძლება ითქვას, რომ გონიერი ბიზნესმენის გულმოდგინებით საწარმოს საქმინობის გაძღოლის მოვალეობა ამ ვალდებულებასაც მოიცავს.[408]

დირექტორატი ვალდებულია:

1. იმოქმედოს მინიჭებული ძალაუფლების ფარგლებში, კომპანიის ინტერესების შესაბამისად და არა რომელიმე კონკრეტული აქციონერის ინტერესების საკეთილდღეოდ. თანაბარად გაითვალისწინოს ყველა აქციონერის ინტერესები და არ მიანიჭოს უპირატესობა რომელიმე მათგანს.
2. გამოიჩინოს სათანადო გულმოდგინება და მზრუნველობა კომპანიის საქმიანობასთან მიმართებაში.
3. მოქმედებდეს კეთილსინდისიერად იმ რწმენით, რომ საწარმოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს. [409]
4. არ გამოიყენოს კომპანიის საკუთრება როგორც საკუთარი.
5. არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის კომერციული შესაძლებლობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დირექტორის უფლებამოსილების განხორციელებისას.
6. ნებისმიერი გარიგება დადოს კომპანიის სათანადო მიზნების მისაღწევად და არა პირადი გამორჩენის მიზნით.[410]

---

[407] *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 55.

[408] *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 55.

[409] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Edition, McGraw-Hill Education, New York, 2014, 520.

[410] *Grier,* UK Company Law, John Wily & Sons Ltd, West Sussex, 1998, 388.

“მეწარმეთა შესახებ” კანონის 9.6; 56.4 და “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” კანონის 16.1. მუხლები განსაზღვრავენ დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ვალდებულებებს.

“მეწარმეთა შესახებ”კანონის 9.6 მუხლის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორები: საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

დასახელებული მუხლებიდან გამომდინარე, დირექტორებს მოეთხოვებათ შეასრულონ სამი ძირთადი წინაპირობა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას თუკი სურთ, რომ თავიდან აირიდონ პასუხისმგებლობა. ***პირველი,*** გადწყვეტილების მიღებისას უნდა მოქმედებნენ კეთილსინდისიერად (საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; *(act in good faith).* ***მეორე,*** გამოიჩინონ სათანადო მზრუნველობა კომპანიის მიმართ, რაც გულისხმობს ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი *(duty of care)* და ***მესამე,*** მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კომპანიისათვის *(duty of loyalty)*[411]

შესაბამისად, თუკი დირექტორი ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მოქმედებენ ზემოაღნიშნული სამი ძირითადი სტანდარტის დაცვით, მათ ვალდებულება არ წარმოეშობათ კომპანიის მიერ განცდილი დანაკარგის გამო. [412] თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.[413]

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი მოიცავს ნციის აკრძალვას, კორპორაციული შესაძლებელბის გამოყენების აკრძალვას, კორპორაციის ინფორმაციის პირადი მიზნებისათვის გამოყენების დაუშვებლობას შეასაბამისი თანხმობის გარეშე და ადგენს, რომ ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იწვევს დირექტორთა პირად პასუხისმგებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩამოთვლილი მოვალეობები, ცნობილი ტრიადის ქვეშ ერთიანდება. ესენია კეთილსინდისიერების *(duty of good faith)* ზრუნვის, *(duty of care)* და ერთგულების *(duty of loyalty)* მოვალეობები.

ზრუნვის მოვალეობა მოიცავს გონივრული ზრუნვისა, უნარებისა და გულმოდგინების გამოჩენის ვალდებულებას. ერთგულების და კეთილსინდისიერების მოვალეობის ქვეშ მოისაზრება უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება, კომპანიის წარმატებისათვის ხელშეწყობა,

---

411 “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”, საქართველოს კანონი მუხლი. 16.1. (ა,ბ,გ,) “მეწარმეთა შესახებ”საქართველოს კანონი, მუხლი. 9.6

412 *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 510.

413 “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 9.6., იხ. ასევე: იხ. სუსგ№ას-899-1185-09, 26 მარტი, 2010

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება, ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული სამი ძირითადი მოვალეობის გამოყოფა საკორპორაციო სამართალში პირობითი ხასიათისაა, ვინაიდან ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული და გადაჯაჭვული ერთმანეთთან.

2. ზრუნვის მოვალეობა - Duty of Care

ზრუნვის მოვალეობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობას, იმ მოვალეობათაგან, რომელიც დირექტორს კომპანიის მიმართ გააჩნია.[414]

ზრუნვის მოვალება მოითხოვს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე, დირექტორთა მხრიდან სათანადოდ იყოს შესწავლილი და გამოძიებული საკითხი. ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, ცხადია დირექტორისათვის ყველაფრის ცოდნის მოთხოვნა არაგონივრულია, შესაბამისად ზრუნვის სტანდარტი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ დირექტორი გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს მესამე პირთა, დამოუკიდებელ ექსპერთა თუ იურსტთა რჩევებს, თუკი ამ რჩევაზე დაყრდნობა არსებულ ვითარებაში მიზანშეწონილია.[415]

ზრუნვისა და გულისხმიერების ვალდებულება გარკვეულწილად ადგენს წინდახედული და კეთილგონიერი ბიზნესმენის სტანდარტს. ხოლო ამ ვალდებულბის დარღვევა კი იწვევს პასუხისმგებლობას. ძირითადად საკორპორციო კანონმდებლობა ავალდებულებს დირექტორს გამოიჩინოს სათანადო გულისხმიერება და ზრუნვა, ისე როგორც წინდახედული და კეთილგონიერი ბიზნესმენი გამოიჩენდა იგივე სიტუაციაში.[416]

მოსამართლე ტინდალის *(Judge Tindal)* მიერ 1837 წელს *Vaughan v. Menlove* საქმის განხილვისას პირველად იქნა გამოყენებული და დადგენილი გონიერი ადამინის სტანდარტი, როგორც მოქმედების შეფასების ობიექტური კრიტერიუმი. იგი დღემდე პოპულარულია და გამოიყენება სასამართლო გადაწყვეტილებებსა თუ საკანონმდებლო რეგულირების დონეზე. სტანდარტი გულისხმობს საწარმოს მიმართ ზრუნვასა და გულმოდგინებას ისე, როგორც ამას ელოდებიან ჩვეულებრივ ფრთხილი და წინდახედული დირექტორისაგან მსგავს სიტუაციაში.[417]

დირექტორის ზრუნვის ვალდებულება მოიცავს ძალიან განსხვავებულ ზრუნვის სტანდარტს, ვინაიდან ბიზნესი ბუნება და სამეწარმეო საქმიანობა, გულისხმობს რისკის გაწევას და ზოგ შემთხვევაში გადამეტებული რისკიც კი შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს. არც მოსამართლეს და არც ნაფიც მსაჯულებს გააჩნიათ უნარი შეაფასონ

---

[414] *Hollington,* Hollington on Shareholder's Rights, 7th Ed, Sweet & Maxwell, London, 2013, 66.

[415] *იქვე.*521.

[416] *იქვე.*520-521.

[417] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 251.

იყო თუ არა დაუშვებლად დიდი რისკი გაწეული ბიზნეს საქმინობისას. სწორედ ამიტომ, დირექტორის მიმართ მოქმედება "გონივრულობის" სტანდარტმა, განსხვავებული განვითარების გზა გაიარა.[418]

ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის თანახმად *(Securities Act 1933),* იმის დასადგენად თუ რას გულისხმობს საკითხის სათანადო გამოკვლევა და რაციონალური საფუძველი გადაწყვეტილების მისაღებად, გამოყენებულ უნდა იქნეს გონივრულობის სტანდარტი, რომელიც წაეყენება ჩვეულებრივ კეთილგონიერ ადამიანს საკუთარი ქონების მართვის პროცესში.[419]

ზრუნვის მოვალეობა დირექტორს ავალდებულებს გადაწყვეტილება მიიღოს ინფორმირებულობის საფუძველზე, ყველა შესაძლო ინფორმაცია კონკრეტულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერად უნდა იქნეს მოპოვებული და გადაწყვეტილება კარგად მოფიქრებული. კერძოდ: ***პირველი,*** დირექტორები უნდა მოქმედებნენ კეთლსინდისიერად და ***მეორე,*** მათ გულწრფელად უნდა სჯეროდეთ, რომ გადაწყვეტილება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება. რწმენა უნდა იყოს საკითხთან დაკავშიერბით არსებულ ყველა შესაძლო ინფორმაციის სრულყოფლად შესწავლისა და გამოძიების შედეგი.[420]

სასამართლო იყენებს *Business Judgement Rule*-ს რათა დაადგინოს დარღვეულ იქნა თუ არა დირექტროთა მხრიდან ზრუნვის ვალდებულება. *Business Judgement Rule*-ის თანახმად, თუკი დირექტორი მოქმედებდა კეთილსინდისიერად, როგორც ჩვეულებრივ გონიერი ადამიანი იმოქმედებდა მის ადგილზე, იგი არ შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის ქვეშ, მხოლოდ იმ არასასურველი შედეგის გამო, რაც გადაწყვეტლებას მოჰყვა[421].

იმის დასადგენად, მოქმდებდა თუ არა დირქტორი აღნიშნული ვალდებულების შესაბამისად, სუბიექტური და ობიექტური ტესტის გავლაა საჭირო. ობიექტური შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მისი ქმედება განხილულ იქნეს იმის მიხედვით თუ როგორ იმოქმედებდა მის ადგილზე მყოფი ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე, გონიერი ადამიანი. თუმცა ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით დადებითი შეფასება სულაც არ ნიშნავს, რომ დირექტორის მიერ ვალდებულების დარღვევას ადგილი არ აქვს, ვინაიდან არსებობს ასევე სუბიექტური კრიტერიუმიც, რომლის თანხმადაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტული დირექტორის ცოდნა, უნარები და გამოცდილება. თუკი დირექტორს მეტი ცოდნა, უნარები და გამოცდილება აქვს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მის ადგილზე მყოფი გონიერი ადამიანისგან არის მოსალოდნელი, მაშინ მას მოუწევს უფრო მაღალი სტანდარტის დაკმაყოფილება. თუკი იგი ამას ვერ შეძლებს, ვალდებულება დარღვეულად ჩაითვლება.[422]

დირექტორთა ფუნქციების ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც ზრუნვის ვალდებულება ვრცელდება, ცხადია არ არსებობს და არც

---

[418] *იქვე.* 251-252.

[419] *იქვე.* 252.

[420] *Aronson v. Lewis,* 473 A.2d 805, 812 (Del. 1984).

[421] დეტალურად იხ. თავი V.

[422] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 297.

შეიძლება არსებობდეს. ბიზნეს კომპანიათა შესახებ მოდელური აქტის თანახმად, ზრუნვის მოვალეობა გულისხმობს, დირექტორის მიერ სათანადო მზრუნველობის გამოჩენას კომპანიის სახელით გადაწყვეტილების მიღებისას.[423] აღნიშნული ვალდებულება დირექტორმა უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერად. იზრუნოს ისე, როგორც, ჩვეულებრივ, გონიერი ადამიანი იზრუნებდა მსგავს ვითარებაში.[424]

დირექტორი, რომელიც არღვევს ზრუნვის მოვალეობას პირადად არის პასუხისმგებელი კომპანიისა და აქციონერთა წინაშე ზიანისათვის, რაც ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია.[425]

ვალდებულების დარღვევა ხშირად ხდება დირექტორთა მხრიდან *გაუფრთხილებლობის გამო*, კერძოდ ვალდებულება დარღვეულად შეიძლება ჩაითვალოს თუ დირექტორმა:

- არ განახორციელა საკითხის სათანადო და გონივრული შესწავლა *(Failure to Inquire);*
- არ ესწრებოდა დირექტორატის სხდომებს რეგულარულად;
- ვერ განახორციელა სათანადო და სრულყოფილი ზედამხედველობა დაქვემდებარებულ პირზე, ვისმა მოქმედებამაც ზიანი მიაყენა კომპანიას;
- არ იყო ადექვატურად ინფორმირებული კომპანიის საქმაინობასთან დაკავშირებით *(Keep adequately informed about corporate affairs);*[426]
- არ ფლობდა სათანადო ცოდნასა და უნარებს.

სასამართლო, ვალდებულების დარღვევის არსებობას განიხილავს და ადგენს ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე (*case-by-case)* გარემოებების გათვალისწინებით.[427]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზრუნვის მოვალეობის დარღვევას წარმოადგენს, დირექტორის მხრიდან არაინფორმირებულ მდგომარეობაში თავის ჩაყენება *(Failure to keep informed),* საკითხის არასათანადოდ გამოკვლევა[428] *(Failure to Inquire)*

ზრუნვის მოვალეობასთან დაკავშირებით ორი მნიშვნლოვანი და ყველაზე ხშირად ციტირებადი სასმართლო გადწყვეტილება არსებობს აშშ-ში, კერძოდ კი დელავერის შტატში. ესენია: დისნეის საქმე (*Disney case)* და სმიტ ვან გორკომის საქმე *(Van Gorkom case).*

დისნეის ბორდის თავმჯდომარემ და აღმასრულებელმა დირექტორმა მიხაელ ეისნერმა დაიქირავა მიხაელ ოვიცი კომპანიის პრეზიდენტის

---

[423] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 625.
[424] *RMBCA sec.8.30 (a), 8.42 (a)*
[425] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 629.
[426] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 629.
[427] *იქვე.*
[428] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 268.

პოზიციაზე. 15 თვის შემდეგ დისნეიმ შეწყვიტა ოვიცთან ხელშეკრულება. ხელშკერულების გაწყვეტის გამო, მიხაელ ოვიცს კომპანიამ გადაუხადა 140 მილიონი აშშ დოლარი. ასეთი დიდი თანხის გადახა, მხოლოდ 15 თვიანი მუშაობის შემდეგ, არაბუნებრივად მიიჩნიეს დისნეის აქციონერებმა და წარადგინეს დერივაციული სარჩელი. სასარჩელო მოთხოვნის თანახმად, მიხელ ეისნერს, მიხეილ ოვიცს და სხვა დირექტორებს კომპანიის ხაზინაში უნდა დაებრუნებინათ 140 მილიონი დოლარი და 60 მილიონი დოლარი დამატებით, როგორც პროცენტი.

კეთილსინდისიერების ვალდებულების დაზუსტებისა და განმარტების შემდეგ, დელავერის სასამართლომ დაასკვნა, რომ მიხეილ ეისნერს და სხვა დირექტორებს, მართალია არ უჩვენებიათ სამაგალითო კორპორციული საქციელი, მაგრამ მათ მიერ მიხეილ ოვიცის დაქირავება არ წამოადგენდა არაკეთილსინდისიერ საქციელს ან ზრუნვის მოვალეობის დარღვევას. სასამართლო მსჯელობის თანახმად, პოტენციული დანახარჯებისა და ალტერნატიული შესაძლებლობების აწონდაწონის შემდეგ, ბატონი ეისნერის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რაც მას მიაჩნდა რომ დისნეის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის მოქმედებდა კეთილსინდისიერად. როგორც სასამართლომ განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენ დირექტორებს არ ქონიათ სათანადო ინფორმაცია, ადგილი არ აქვს მათ მიერ დაკისრებული ვალდებულების განზრახ იგნორირებას, არამედ ისინი მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად. ზრუნვის მოვალეობის დარღვევა "დანაშაულებრივ" ხასიათს ატარებს, ხოლო დისნეის დირექტროთა ქმედებას არ მიუღწევია ასეთი დონისათვის.[429] გადაწყვეტილების მიღების პროცესში დირექტორი უნდა მოქმედებდეს დინჯად, ინფორმირებულობის საფუძველზე. უხეში გაუფრთხილებლობა კი წარმოადგენს სტანდარტს, რათა დადგინდეს დარღვეული იყო თუ არა მისი მხრიდან ზრუნვის მოვალეობა.[430]

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ აღნიშნული საქმე განსხვავდება *Van Gorkom* [431] *-ის საქმისგან*, სადაც სასამართლომ დაადგინა რომ ზრუნვის მოვალება დარღვეული იყო დირექტორთა მიერ, ვინაიდან დირექტორატმა კომპანიის გაყიდვასთან დაკავშირებით საკითხი განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო 2 საათზე ნაკლებ დროში, ისე რომ არ ჰქონდა სათანადო და სრულყოფილი ინფორმაცია ტრანზაქციასთან დაკავშირებით, დაეყრდნო რა ორი აღმასრულებლი ოფიცრის მიერ მცდარი ინფორმაციის საფუძველზე გაკეთებულ პრეზენტაციას. წარმოდგენილი არ ყოფილა დამოუკიდებელი და სამართლიანი მოსაზრება საკითხის შესახებ.

სხვაგვარად იყო საქმე დისნეისთან დაკავშირებით. მართალია მიხეილ ოვიცის დაქირავება და შემდგომ მისი გათავისუფლება საკმაოდ დიდი თანხა დაუჯდა კომპანიას, მაგრამ დისნეის ზომების გათვალისწინებით, იგი აბსოლუტურად განსხვავდება გადაწყვეტილებისგან, რომელმაც შესაძლოა კომპანიის არსებობის შეწყვეტა გამოიწვიოს, როგორც ეს ვან გორკომის საქმის შემთხვევაში იყო.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი ადგენს, დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ვალდებულებას, მართონ საწარმო

---

[429] *Walt Disney Co. Derivative Litigation, 906 A.2d 27, 53 (Del. Ch. 2006).*
[430] *Walt Disney Co. Derivative Litigation, 906 A.2d 27, 53 (Del. Ch. 2006).*
[431] *Smith v. Van Gorkom, 488 A.2d (Del.1985)*

კეთილსინდისიერად და ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საწამოსათვის[432]. მითითებული ნორმა ძალიან ზოგადია. კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, თუ ვინ მიიჩნევა "მსგავს სიტუაციაში და თანამდებობაზე მყოფ ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე პირად" და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი. ქართული სასამართლო პრაქტიკის მიერ ჯერჯერობით მკაფიოდ დადგენილი და დაზუსტებული არ არის მოცემული ნორმა. დელავერის საკორპორაციო სამართლის თანახმად, დირექტორი ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს სრული ინფორმაცია და ითვალისწინებდეს ყველა შესაძლო შედეგს. დელავერის საკორპორაციო სამართლის ეს დანაწესი, შესაძლოა, კარგი მაგალითი იყოს ქართული სამართლისათვის და სასამართლო პრაქტიკისათვის დირექტორთა ზრუნვის ვალდებულებაზე საუბრისას. მართალია არც ეს უკანასკნელი იძლევა აბსოლუტური სიზუსტით დირექტორის მოქმედების შეფასების შესაძლებლობას, მაგრამ აქ მეტი სიცხადეა შეტანილი, მეტად არის დაკონკრეტებული თუ რა მოეთხოვება დირექტორს საწარმოს მართვისას და ზოგადად გადაწყვეტილების მიღებისას.

დირექტორის პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს თუკი დადგინდება, რომ მიღებულ იქნა დაუფიქრებელი და გაუაზრებელი გადაწყვეტილება, ან თუკი გაირკვევა, რომ არაფერი იქნა გაკეთებული შესაძლო დანაკარგის თავიდან ასაცილებლად.[433] უფრო მეტიც, თუნდაც ისეთი სუბიექტური გარემოებები, როგორებიცაა: დირექტორის ავადმყოფობა, ასაკი და ა.შ., ვერ გახდება მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. ვინაიდან, კომპანიის მენეჯმენტის წევრობა სულ ცოტა ერთ ვალდებულებას მაინც აკისრებს დირექტორს- გადადგეს დაკავებული პოზიციიდან, თუკი იგი გრძნობს, რომ ვერ ასრულებს იმ მოთხოვნებს და ვალდებულებებს, რაც საკორპორაციო კანონმდებლობით და კომპანიის წესდებით არის დადგენილი.

დირექტორი ვერ იქნება თავისუფალი თავის ვალდებულებებისაგან მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ვალდებულებები მისთვის მძიმე შესასრულებელია[434]. დასახელებული პრინციპები შესაძლოა საერთოდ ვერ გამორიცხავს დირექტორთა პასუხისმგებლობას ვალდებულების დარღვევის გამო, მაგრამ მნიშვნელოვნად ამცირებს რისკს[435], ვინაიდან მინიმალური სტანდარტი მაინც უნდა არსებობდეს. ეს მხოლოდ დაეხმარებათ დირექტორებს და მათ იურისტებს, რათა მათთვის ცნობილი იყოს, რა მინიმალური ვალდებულება ეკისრება დირექტორს საწარმოს მიმართ.

დელავერის საკანცლერო სასამართლოს *(Court of Chancery* [436] *)* განმარტების თანახმად, თუკი დირექტორისათვის ცნობილი იყო საკითხი რომელზეც დირექტორატმა გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ მსჯელობისას მას თავის პოზიცია არ დაუფუქსირებია, ითვლება, რომ

---

[432]"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი მე-9 მუხლი, მე-6 პუნქტი.

[433]*Smith , Morreale.*, Global Climate Change and U.S. Law, edition 2007, 498.

[434]*Hamilton,* The Law of Corporations, Fifth Ed, West Group, St. Paul , 2000, 451-452.

[435]იქვე, 453.

[436]http://courts.delaware.gov/chancery/

იგი მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგია. მსგავსი მიდგომა ეხმარება სასამართლოს და თავად კომპანიებს, განსაზღვრონ დაარღვია თუ არა დირექტორმა ზრუნვის ვალდებულება საწარმოს მიმართ, როდესაც მისი პოზიცია კონკრეტულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით ნათელი არ არის.[437]

დირექტორი ვალდებულია მართავდეს და აკონტროლებდეს საწარმოს.[438] დირექტორი ვადლებულია გადაწყვეტილება მიიღოს და ენდობოდეს მხოლოდ სრულყოფილ და გადამოწმებულ ინფორმაციას. თუმცა მისი პასუხისმგებლობა არ ვრცელდება ინფორმაციის ხარისხზე, რომელიც მან დაქვემდებარებულ პასუხისმგებელ პირთაგან მიიღო.

ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს, რომ დირექტორი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც მას ხელთ აქვს და არ ეხება ინფორმაციის წარმომავლობას, წყაროს. შესაბამისად, დირექტორების მხრიდან ზრუნვის ვალდებულება დარღვეულად არ ითვლება, როდესაც ისინი გადაწყვეტილებას იღებენ უფლებამოსილ პირთაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.[439]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აუცილებელია დადგენილ იქნეს მინიმალური სტანდარტი დირექტორის მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან მიმართებაში. დირექტორი ვალდებულია გააანალიზოს ყველა შესაძლო ალტერნატიული გადაწყვეტილება კონკრეტულ კორპორაციულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით, სადაც ასევე მის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს ტრანზაქციის მნიშვნელობა კომპანიისათვის, მისი ღირებულება და ა.შ.

მაგალითად, როდესაც გადწყვეტილება ეხება კომპანიის გასხვისებას ან რეკაპიტალიზაციას, რასაც შესაძლოა მოჰყვეს კომპანიაზე კონტროლის ცვლილება, ტრანზაქციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დირექტორს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. მან უნდა შეძლოს იმის დადასტურება, რომ გადაწყვეტილება შესაბამისი, სრულყოფილი ინფორმაციის საფუძველზე იქნა მიღებული.[440]

უნდა ითქვას, რომ კეთილსინდისიერება ინფორმაციის მოპოვებისას და შეფასებისას წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით.[441] როგორც ერთ-ერთი ცნობილი საქმის *Smith v Van Gorkom* განხილვისას გაირკვა, ფუნანსური ინტერესის არმქონე დირექტორიც კი შეიძლება იყოს პერსონალურად პასუხისმგებელი ბიზნეს გადაწყვეტილების გამო, თუკი მის მიერ დარღვეულ იქნა ზრუნვის ვალდებულების აუცილებელი სტანდარტი.[442] შესაბამისად, დირექტორის მხრიდან ტრანზაქციის მიმართ ფინანსური ინტერესის არ ქონა, არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად კეთილსინდისიერად იღებდა გადაწყვეტილებას.

---

[437]*Welch., Turezyn*, Folk on the Delaware General Corporation Law, Fundaments, 2005 Ed "aspen publisher" 2005, 119.

[438]*Welch , Turezyn,* Folk on the Delaware General Corporation Law, Fundaments, 2005 Ed "aspen publisher" 2005, 79.

[439]იქვე, 104.

[440]*Welch., Turezyn*, Folk on the Delaware General Corporation Law, Fundaments, 2000 Ed"aspen publisher" 2005, 82.

[441]იქვე.

[442]*Allen., Kraakman., Subramanian.,* Commentary and Cases on The Law of Business Organization, Second Ed, Aspen publishers, New-York, 2007, 257.

ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული კორპორაციული მართვის პრინციპების თანახმად, დირექტორი, რომელიც იღებს ბიზნეს გადაწყვეტილებას, მოქმედებს საკუთარი ვალდებულების შესაბამისად თუკი მას:

- არ გააჩნია პირადი დაინტრესება;
- ფლობს სათანადო ინფორმაციას, იმ მოცულობით, რაც მისი გონივრული რწმენის შესაბამისად აუცილებელია კონკრეტული გდაწყვეტილების მისაღებად;
- რაციონალურად სჯერა, რომ ბიზნეს გადაწყვეტილება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება.[443]

მტკიცების ტვირთი, რომ დირექტორის მიერ დარღვეულ იქნა ზრუნვის ვალდებულება, ეკისრება მოსარჩელეს. ხოლო თუკი დავა ეხება ზიანს, მაშინ მოსარჩელეა ვალდებული დაადასტუროს, რომ ზიანი ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია.[444]

2.1. ინფორმირებულობის მოვალეობა

დირექტორიები არ მოქმედებენ მეცნიერების, იურისტების და არქიტექორების მსგავსად. მათი ვალდებულება ძირითადად გულისხმობს ბიზნესის ზედამხედველობას, კორპორაციული პოლიტიკის განსაზღვრას და გადაწყვეტილების მიღებას, იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ბიზნეს ტრანზაქცია იქნება უფრო მომგებიანი საწარმოსათვის. [445] შესაბამისად, დირეტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას სრული ინფორმაციის ფლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

დირექტორებს გააჩნიათ განგრძობადი ვალდებულება, იყვნენ ინფორმირებულნი კომპანიის საქმიანობის შესახებ. მათ უფლება არ აქვთ თვალები დახუჭონ კორპორაციულ გადაცდომაზე და შემდეგ ამ საფუძვლით განაცხადონ, რომ რადგან არ დაუნახავთ გადაცდომა, არც პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ამ პოზიციაზე მყოფ "მძინარე დირექტორს" ვერაფერი სიკეთე მოაქვს კომპანიისათვის. მენეჯმენტს, არ მოეთხოვება კომპანიის ყოველდღიური აქტივობების დეტალური შემოწმება, მაგრამ იგი ვალდებეულია აკონტროლოს კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხები და პოლიტიკა.[446]

---

[443] American Law Institute, Principles of Corporate Governance: Analysis and Recommendations, Para.4.01 (c) იხ. *Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 1363.

[444] American Law Institute, Principles of Corporate Governance: Analysis and Recommendations, Para.4.01 (d) იხ. *Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 1363.

[445] *Hanks*, Evaluating Recent State Legislation on director and Officer Liability Limitation and Indemnification in: Reprinted from The Business Lawyer vol. 43, No.4, August 1988, a Publication of the Section of Business Law (Formerly section Section of Corporation, Banking and Business Law) American Bar Association. Copyright 1988 American Bar Association, 1232.

[446] *Francis v. United Jersey Bank, 432 A. 2.d 814, 822 (N.J. 1981)* მითითებულია: *Branson,*

Smith v. Van Gorkom საქმის განხილვისას, დელავერის სასამართლომ ხაზი გაუსვა ინფორმირებულობის ვალდებულების მნიშვნელობას და განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა ავალდებულებს დირექტორს, გადაწყვეტილების მიღებამდე გაეცნოს ნებისმიერი სახის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც გონივრულობის ფარგლებში მისთვის ხელმისაწვდომია.[447]

დირექტორებს შეუძლიათ იყვენენ ინფორმირებულნი სხვადასვა მექანიზმების გამოყენებით. დირექტორატის სხდომაზე დასწრება ერთ-ერთ გზას წარმოადგენს, ვინაიდან კოლეგებთან საუბარის შედეგად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი.

რეპორტების გაცნობა დირექტორს აწვდის ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ. მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვება-გაცნობა საქმიანობის იმ სფეროს შესახებ, სადაც მის დაქვემდებარებაში მყოფი კომპანია ოპერირებს.[448]

რა თქმა უნდა, არ არსებობს ამომწურავი ჩამონათვალი და არც დეფინიცია, თუ რა იგულისხმება ინფორმირებულებაში, ან რას უნდა აკეთებდეს დორექტორი, რომ იგი ვალდებულების დამრღვევი არ აღმოჩნდეს. საკითხი სასამართლოს მიერ უნდა დადგინდეს ყოველი საქმის განხილვის შედეგად, კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით. ბიზნეს საქმიანობა მრავალფეროვანია, შესაბამისად სხვადასხვა პირობებში ერთმანეთის მსგავსმა ქმედებამ შესაძლოა განსხვავებული შედეგები წარმოშვას.

როგორც ცნობილია, დირექტორატის მიერ ხშირად ხდება უფლებამოსილებათა დელეგირება კომიტეტებზე თუ სხვა თანამშრომლებზე. ეს ბუნებრივი მოვლენაა და კომპანიის მართვა უფლებამოსილებათა დელეგირების გარეშე, ფაქტიურად წარმოუდგენელია, საშულო სიდიდის კომპანიაშიც კი, დიდ კორპორაციებზე რომ არაფერი ვთქვათ.

დირექტორი ვალდებულია გამოიკვლიოს საკითხი, თუკი მისთვის ცნობილი გახდა, ან გონიერი დირექტორისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ მის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების არასათანადო და არასწორი გამოყენება ხდება.[449]

თუკი საკითხის გამოკვლევას დირექტორის მხრიდან ადგილი ჰქონდა, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, იყო თუ არა იგი სათანადოდ განხორციელებული. ამ მხრივ შეფასებისას ყველაზე უფრო ხშირად გამოყენაბდი სიტყვებია - გარემოებანი *(circumstances)* და ეჭვი *(suspicion)*.

დირექტორი ვალდებულია განახორციელოს საქმის სათანადო გამოკვლევა, როდესაც არსებობს აშკარა ნიშნები *(red flags)*, რომლებიც დარღვევას მიანიშნებენ, როდესაც გარემოთა გათვალისწინებით, გონივრულობის ფარგლებში, დირექტორს ეჭვი უნდა გაუჩნდეს.[450]

მაგალითად, ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით *(Harman v. Willbern)* სასამართლომ მიიჩნია, რომ დირექტორის მხრიდან ადგილი ჰქონდა ვალდებულების დარღვევას, ვინაიდან იგი ცხრა თვის განმავლობაში ეკითხებოდა დაქვემდებარებაში მყოფ პირებს კომპანიის საქმინობის

Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, P.269-270 მიხედვით

[447] *Smith v. Van Gorkom, 488 A.2d 858,872 (Del. 1985)*

[448] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 270.

[449] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 270.

[450] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 273.

შესახებ, ხოლო მათგან იღებდა მოკლე პასუხს: "კომპანიის გაყიდვები იზრდება და ვითარდება". როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ხნის განმავლობაში კომპანია "იძარცვებოდა". მიუხედავად იმისა, რომ როგორც სასამართლო განხილვისას დადგინდა, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ მარეგულირებელ კომისიასაც *(SEC)* კი გაუჭირდა იმ სქემის გახსნა, რომლის გამოყენებითაც კომპანია იძარცვებოდა, დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი მაინც დადგა.[451]

სასამართლომ განმარტა, რომ დირექტორს უნდა გაეკეთებინა უფრო მეტი, ვიდრე პერიოდული კითხვის დასმაა. აღნიშნული კითხვები მხოლოდ ფორმალური ხასიათის იყო, ხოლო რეალურად, როგორც აღმოჩნდა, იგი ვერ აკონტროლებდა პირებს, ვისზეც უფლებამოსილება ჰქონდა დელეგირებული.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, რაიმე სპეციალურ დანაწესს მითითებულ უფლებასთან დაკავშირებით არ იცნობს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ უფლების რეალიზაციის გარეშე, დირექტორი (დირექტორატი) ვერ შეძლებს თავის ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას.

შესაბამისი ინფორმაციის ფლობის გარეშე გადაწყვეტილების მიღება, ყოველგვარი გონიერების ფარგლებს ცდება. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი დირექტორებს ავალდებულებს გამოიჩინონ წინდახედულება და გადაწყვეტილების მიღებისას მოიქცნენ ისე, როგორც გონიერი ადამიანი მოიქცეოდა მსგავს სიტუაციაში. [452]

დელავერის შტატში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დირექტორს აქვს უფლება ფლობდეს სრულ ინფორაციას ბორდის მიერ განსახორციელებელ ოპერაციებთან დაკავშირებით, თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა აქციონერს შესაძლებლობა აქვს არ დაუშვას დირექტორი გარკვეული სახის ინფორმაციასთან. გარდა ასეთი გამონაკლისისა, დირექტორი ყველა შემთხვევაში უფლებამოსილია ფლობდეს სრულ ინფორმაციას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით.[453]

მმართველობის კოლეგიური ორგანოს წევრი ვალდებულია დანარჩენ წევრებს გააცნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების ან ზედამხედველობის განსახორციელებლად.[454]

ინფორმირებულობის მოვალეობა არ გულისხმობს დირექტორის მხრიდან ყველა საკითხთან დაკავშირებით ამომწურავი ცოდნის ვალდებულებას. მას შეუძლია დაეყრდნოს თანამშრომელთა მიერ მიწოდებულ ცნობებსა და მოხსენებებს, ბორდის კომიტეტის დასკვნებს, იურისიტის, საგადასახადო მრჩევლის ან სხვა ექსპერტის რეკომენდაციებს. გადაწყვეტილებების მიღებისას იგი ასევე უფლებამოსილია კომიტეტის ან თანამდებობის პირთა მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესრულების შედეგები

---

[451] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 273.

[452] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი 9.6 მუხლი.

[453] *Welch*., *Turezyn* , Folk on the Delaware General Corporation Law, Fundaments, 2000 Ed "aspen publisher," 2005, 94.

[454] *ჯ.ჯელი.*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამომცემლობა „სიესტა," თბილისი, 2010, 165.

გაითვალისწინოს. [455] სწორედ ამიტომ, დელავერის საკორპორაციო სამართლი ადგენს დირექტორის აბსოლუტურ დაცულობას *(Director should be fully protected),* თუკი იგი გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა კეთილსინდისიერად, დაქვემდებარებული მენეჯერების ან დაქირავებული ექსპერტის მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.[456]

2.2. ცოდნისა და უნარების ფლობის მოვალეობა

დირექტორი ვალდებულია გამოავლნოს გონივრული ზრუნვა, უნარები და გულისხმიერება საწარმოს საკეთილდღეოდ. აღნიშნული გულისხმობს ცოდნას და გამოცდილებას, რომელსაც გონივრულად ელოდებიან დირექტორის პოზიციაზე მყოფი ადამიანისგან. [457] ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ცოდნა და უნარები *(Skill and knowledge)* ზრუნვის მოვალეობის ინგრედიენტებს წარმოადგენენ. თუმცა ამერიკულ საკორპორციო კანონმდებლობაში ასეთი ცალსახა მინიშნება არ არსებობს.

თუკი დირექტორს გააჩნია ცოდნა და უნარები, რა თქმა უნდა, იგი ვალდებულია გამოიყენოს ისინი საქმიანობის პროცესში. მაგრამ იბადება კითხვა, ზრუნვის მოვალეობიდან გამომდინარე ვალდებულია თუ არა დირექტორი ფლობდეს გარკვეული სახის ცოდნას და გააჩნდეს უნარები?

დირექტორის ფუნქციის შესასრულებლად არ არის საჭირო რაიმე სახის ცოდნა და გამოცდილება, თუმცა ზოგადად დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, დირექტორი ვალდებულია გარკვეული იყოს კომპანიის საქმინობის ფუნდამენტურ საკითხებში. ხოლო თუკი იგი გრძნობს, რომ არ გააჩნია ცოდნა და უნარები, რაც მას კვალიფიკაციას მიანიჭებდა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, ვალდებულია შეიძინოს საჭირო ცოდნა საკითხის სათანადო გამოკვლევის საფუძველზე ან უარი თქვას მოქმედებაზე.[458]

ზრუნვა გულისხმობს მზრუნველობას, უნარები - უნარიანობას, გულმოდგინება შესაძლოა განმარტებულ იქნეს, როგორც დირექტორის ვალდებულება, იმოქმედოს კეთილსინდისიერად კომპანიის ინტერესების შესაბამისად.[459]

აღნიშნული დანაწესის ერთ-ერთ მთავარი მიზანია ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ დირექტორები არ არიან პასუხისმგებელნი და

---

[455] იქვე, 166.

[456] *Delaware General Corporate Law,* Section 141(e)od provides that members of the board of directors or committees of the board shall, in the performance of their duties, be "fully protected " in relying in good faith upon the records of the corporation and upon such information, opinions, reports, or statements presented to the corporation by any of the corporation's officers or employees or committees of the board or by reasonably selected outside experts or consultants. See also: *Drexler D. A., Black L. S., Sparks, Gilchrist, A.* Delaware corporation law and practice, ''bender,'' New –York, 2010, 15-45.

[457] *CA. Sec. 174 (1, 2)*

[458] *Francis v. United Jersey Bank, 432 A. 2.d 814, 822 (N.J. 1981)* ციტირებულია: *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 264 მიხედვით

[459] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 298

ვალდებულნი მხოლოდ იმის გამო, რაც რეალურად მათ იციან, არამედ იმისთვისაც, რაც გონივრულობის ფარგლებში მათგან მოსალოდნელია, რომ იცოდნენ.[460]

რის ცოდნა შეიძლება იყოს გონივრულობის ფარგლებში დირექტორისაგან მოსალოდნელი, ყოველი კონკრეტული საქმის განხილვის შედეგად უნდა დადგინდეს. აღნიშნული ვალდებულება პრევენციული ხასიათისაა, დირეტორის პოზიციის დაკავებმადე პირი აუცილებლად უნდა დაფიქრდეს, აქვს თუ არა მას ის ცოდნა და უნარები რასაც კონკრეტული კომპანიის დირექტორისგან შესაძლოა გონივრულობის ფარგლებში მოელოდნენ.

როგორც წესი, საკორპორაციო კანონმდებლობა არ ადგენს პროფესიათა ჩამონათვალს, თუ ვინ შეიძლება დაიკავოს დირექტორის პოზიცია, ამიტომ მითითებული ნორმა დადებით როლს ასრულებს პრაქტიკაში, ვინაიდან მან შესაძლოა დირექტორის პოზიიცის დაკავებისაგან თავშკავებისაკენ უბიძგოს მას, ვინც დარწმუნებული არ არის საკუთარ შესაძლებლობებში.

დირექტორი ვალდებულია შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, ცოდნა და გამოცდილება და ამის შემდეგ გადაწყვიტოს დაიკავებს თუ არა პოზიციას და აქვს თუ არა მას ის უნარები, რასაც კონკრეტული კომპანიის დირექტორისგან ელოდებიან.

ნორმა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც არაკვალიფიციური დირექტორის დანიშვნის შესაძლებლობას ამცირებს. ასევე მოცემული ნორმა იძლევა შესაძლებლობას წარდგენილ იქნეს პრეტენზია დირქტორის წინააღმდეგ, თუკი იგი არაკვალიფიციური და ამ თვალსაზრისით დაკავებული პოზიციისათვის შეუფერებელი აღმოჩნდება.

ქართული კანონი მსგავსი სახის ჩანაწერს არ ინცობს. შესაბამისად, იგი იძლევა საშუალებას ნებისმიერი პიროვნება დაინიშნოს კომპანიის დირექტორად, როგორც ეს სამწუხაროდ ხშირად ხდება ხოლმე, პირადი ნაცნობობის და არა ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით. (აქ არ იგულისხმება კომერციული ბანკები, რომელთა დირექტორებსაც წაეყენებათ გარკვეული მოთხოვნები, რაც კონტროლდება ეროვნული ბანკის მხრიდან).[461] აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მეწარმეთა შესახებ კანონიც შეიცავდეს მსგავს პრევენციული მნიშვნელობის ნორმას, რაც პირადი პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობის გამო, უბიძგებდა არაკვალიფიციურ პირებს, უარი ეთქვათ დირექტორის საპასუხისმგებლო პოზიციის დაკავებაზე.

დირექტორთა ვალდებულებები კუმულატიური ხასიათისაა, შესაბამისად, საჭიროა ყველა მათგანის შესრულება.[462]

კომპანია ატარებს დირექტორის მიერ ვალდებულების დარღვევის რისკს.[463] დირექტორებს გააჩიათ ვალდებულებანი კომპანიის მიმართ. თუმცა აღნიშნული ვალდებულებები განსხვავდება ყოველი ინდივიდუალური საქმის მიხედვით და დამოკიდებულია კომპანიის მიერ

---

[460] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 170

[461] "კომერციული ბანკების საქმიანოის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი, 15. კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №50/04 2014 წლის 17 ივნისი ქ.თბილისი

[462] *Hollington,* Hollington on Shareholder's Rights, 7th Ed, Sweet & Maxwell, London, 2013, P.58

[463] *Stengel, Volhard,(Edit)* German Limited Liability Company, Wiley&Sons, West Sussex, 1997, 140.

წარმოებული ბიზნესის ტიპზე, მოცულობაზე და კონკრეტულ გარემოებებზე.[464]

კომპანია წარმოადგენს გადასახადის გადამხდელს, შესაბამისად დირექტორი ვალდებულია აწარმოოს საჭირო ანგარიშგებები. დირექტორი ასევე ვალდებულია წარმოადგინოს წლიური თუ კვარტალური ანგარიშები.[465]

ზემოაღნიშნული ვალდებულებები არ გულისხმობს იმას, რომ დირექტორმა ეს ყველაფერი პირადად უნდა აკეთოს. მას ევალება შექმნას სათანადო სისტემა და აკონტროლოს ამ სისტემის გამართული მუშაობა. მაგალითად, შექმნას კომიტეტები ანგარიშგებ(ებ)ის საწარმოებლად ან თუ კომპანიის სიდიდის გათვალისწინებით მთელი კომიტეტის არსებობა ამ ფუნქციის გამართულად შესრულების მიზნით საჭირო არ არის, დაიქირაოს სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტი.


ზრუნვის მოვალეობა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, განვითარების გზას ადგას საქართველოში. ძირითადი პრიცნიპები და სტანდარტები დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით დადგენილი არ არის სასამართლო პრაქტიკის მიერ. შესაბამისად, ზრუნვის მოვალეობასთან დაკავშირებით გერმანიის, ინგლისისა და დელავერის საკორპორაციო სამართლისა და მდიდარი სასამართლო პრაქტიკის გამოცდილება, შესაძლოა გახდეს მაგალითი და დამხმარე საშუალება ქართული საკორპორაციო სამართლისათვის.

მიზანშეწონილია "მეწარმეთა შესახებ" კანონში ჩამოყალიბებული იყოს ზრუნვის მოვალეობასთან დაკავშირებული ძირითადი ვალდებულებანი, რაც კომპანიის ხელმძღვანელ პირს წაეყენება. კერძოდ, რომ ზრუნვის მოვალეობა ავალდებულებს დირექტორს, ფლობდეს ცოდნასა და უნარებს, რასაც გონივრულად ელოდებიან ასეთ პოზიციაზე მყოფი პირისგან, რომ იგი ვალდებულია სათანადოდ გამოიკვლიოს საკითხი გადაწყვეტილების მიღებამდე და შექმნას რეპორტინგის სისტემა, რაც მის ინფორმირებულობას უზრუნველყოფს.

<u>სქემატური გამოსახულება №1:</u>

[464] *იქვე.* 152.

[465] *იქვე.* 153.



2.3. გაუფრთხილებლობის სტანდარტი ზრუნვის მოვალეობის დარღვევისას

ზრუნვის მოვალეობის დარღვევის გამო რომ შეედაოს დირექტორს, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს უფრო მეტი, ვიდრე დირექტორის მიერ ჩადენილი უბრალო გაუფრთხილებლობა.[466]

ინგლისის საკორპორაციო კანონმდებლობა ამერიკული მიდგომისაგან განსხვავებულ განმარტებას აკეთებს, რომლის თანახმადაც: "ლოგიკურად ძალიან ძნელია მიიჩნიო, რომ დირექტორი მოქმედებდა გონივრულად, მაშინ როდესაც იგი გაუფრთხილებლობისათვის არის პასუხისმგებელი".[467]

დელავერის კანონმდებლობა დირექტორებს აკისრებს ზრუნვის ვალდებულებას იმ მოცულებით, რაც ჩვეულებრივ ფრთხილი და კეთილგონიერი პირისგან არის მოსალოდნელი არსებითად მსგავსი გარემოებების არსებობისას.[468]

ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული კორპორაციული მართვის პრინციპების თანხმად, დირექტორი ვალდებულია გამოიჩინოს "მზრუნველობა, როგორც მსგავს პოზიციაზე მყოფი კეთილგონიერი ადამიანისაგან ელოდებიან, არსებითად ანალოგიური გარემოებების არსებობისას".[469] მოდელური აქტი ბიზნეს კორპორაციების შესახებ ადგენს, რომ დირექტორი ვალდებულია გამოიჩინოს მზრუნველობა იმგვარად, როგორც ამას გონივრული რწმენის საფუძველზე გამოიჩენდა იგივე პოზიციაზე მყოფი პირი, არსებითად

[466] *Delaware Corporation law Annootated,* 2013-2014 Ed,As amended up to and including the 2013 Regular Session of the One Hundred Forty-Seventh General Assably, Lexis, Nexis, Delaware, 2013, 47. *Werner v. Miller* 831 A.2d. 318, (Del.ch.2003)

[467] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, P.170 The Company Law Review

[468] *Graham v. Allis-Chalmers Mfg. Co. 188 A.2d (Del.1963) ob. Bainbridge,* Corporate Law, 2nd Edition, Faundation Press, New York, 2009, P.125

[469] ALI-Principles Rule 4.01 (a)

მსგავსი გარემოებების არსებობისას.[470] როგორც ჩანს, განსაზღვრება "ჩვეულებრივ კეთილგონიერი ადამიანი" *(Ordinarily Prudent Person)* მოდელურ აქტში არ გვხდება და მის ადგილს იკავებს განსაღვრება "მსგავს პოზიციაზე მყოფი პირი" *(A person in a like position).* აღნიშნულის გათვალისწინებით გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა ის, თუ რა მიაჩნია კონკრეტულ დირექტორს სათანადო მზრუნველობად (სუბიექტური კრიტერიუმი), არამედ ის, თუ რას მიიჩნევდა შესაბამის მზრუნველობად მსგავს პოზიციაზე მყოფი და არსებითად მსგავს გარემოებაში მოქმედი პირი მის ადგილზე (ობიექტური სტანდარტი). ხოლო თავად პორცესი კი, რომლის საშუალებითაც დირექტორმა ინფორმაცია მიიღო, შესაძლოა განსხვავებული იყოს.[471] აღნიშნული განმარტება ასევე ხაზგასმას აკეთებს, რომ ყოველ კონკრეტულ გარემოებას აქვს მნიშვნელობა. ჩანაწერი, "არსებითად მსგავსი გარემოებების არსებობისას" სწორედ ამაზე მიანიშნებს.[472]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დირექტორთა ვალდებულების ფარგლები და ბუნება ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირად განხილვადი საკითხია დელავერის პრეცედენტულ სამართალში და დოქტრინაში.

მოსაზრებები განსხვავებულია იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოთხოვნა უნდა წაეყენოს დირექტორს. ჩაითვლება დირქტორის მხრიდან გაუფრთხილებლობა *(negligent)* და არაკეთილგონიერება *(imprudent)* ვალდებულბის დარღვევად თუ მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობის *(gross negligent)* დროს უნდა დადგეს პასუხისმგებლობა.[473]

შეუძლებელია პრაქტიკოსმა იურისტმა გვერდი აუაროს ზრუნვის ვალდებულების სტანდარტზე საუბარს, დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემისას, სწორედ ამიტომ დელავერის სააპელაციო სასამართლო ცდილობს გააკეთოს მნიშვნელოვანი განმარტებანი, შეიმუშაოს ე.წ. გაიდლაინები, დირექტორის ზრუნვის მოვალეობასთან დაკავშირებით.[474]

დასახელებული განმარტებანი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათ მიერ დადგენილი სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ დირექტორი გაუფრთხილებლად მოქმედებდა, ხოლო აშშ-ის გარკვეულ ნაწილი "გაუფრთხილებლობას" *(Negligence*) მიიჩნევს რელევანტურ სტანდარტად ზრუნვის მოვალეობის დარღვევასთან დაკავშირებით საქმეთა განხილვისათვის,[475] რაც იმას გულისხმობს, რომ გაუფრთხილებლობის შემთხვევაში დირექტორს ვეღარ დაიცავს *Business Judgment Rule* და სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა შედგება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გაუფრთხილებლობის ფაქტის არსებობა მტკიცების ტვირთის დირექტორზე გადატანაზე მიანიშნებს, ხოლო ამ უკანასკნელს, რა თქმა უნდა, შანსი აქვს თავი იმართლოს. აღნიშნულის საპირისპიროდ დელავერის შტატის სასამართლოს მიერ

---

[470] see. Comments. *Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 696.

[471] *იქვე.* 811.

[472] *იქვე.* 813.

[473]*Drexler, Black,* Sparks, Gilchrist, A. Delaware corporation law and practice, ''bender,'' New –York, 2010, 15-40.

[474]*Drexler,. Black* , Sparks, Gilchrist, A. Delaware corporation law and practice, ''bender,'' New –York ,2010, 15-41.

[475] *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 125.

რელევანტურ სტანდარტად დადგენილ იქნა უხეში გაუფრთხილებლობა *(Gross Negligence)* [476]

უხეშ გაუფრთხილებლობად მიიჩნევა დირექტორის გულგრილი დამოკიდებულება განსახორციელებელი, მნიშვნელოვანი ტრანზაქციის მიმართ ან წინასწარ განზრახულად აქციონერთა და საწარმოს ინტერესებისა უსაფუძვლო იგნორირება.[477]

უხეში გაუფრთხილებლობა სასამართლოს მიერ განიმარტა, როგორც უგნური (განუსჯელი) ინდიფერენტულობა *(Reckless Indifference),* ან/და აქციონერთა და კომპანიის ინტერესების განზრახული უგულვებელყოფა *(Deliberate disregard of the stockholders..), ან* ქმედება, რომელიც გონიერების ფარგლებს ცდება[478] *(conduct outside the bounds of reason).*

მეწარმეთა შესახებ კანონი და სასამართლო პრაქტიკა არ მიჯნავს დირექტორის მხრიდან გაუფრთხილებლობით ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილ გადაცდომას და შესაბამისად, არც განსხვავებული სახის სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს მას. ზოგადად, გაუფრთხილებლობის ან უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალური განმარტება ქართულ კანონმდებლობაში და სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს, რაც სირთულეს ქმნის ზრუნვის მოვალეობის დარღვევის გამო პასუხისმგებლობის დაკისრებისა თუ გამორიცხვის თვალსაზრისით. აღნიშნულის ნათლად განსაზღვრას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, გაუფრთხილებლობით ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი გადაცდომის დროს, (გააჩნია რა პოზიციას არიჩევს კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკა) *Business Judgement Rule-ის* გამოყენება აღარ ხდება, რაც არ გულისხმობს იმთავითვე დირექტორის მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტის არსებობას და მხოლოდ მტკიცების ტვირთის ამ უკანასკნელზე გადატანას მიანიშნებს.

ინგლისის და გერმანიის კანონმდებლობას გაუფრთხულებლობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი დირექტორზე გადააქვს და აღარ აძლევს მას საშუალებას ისარგებლოს *Business Judgement Rule-ის* დაცვით. იგივე სტანდარტი არსებობს აშშ-ის თითქმის ყველა შტატში. დელავერის შტატის საკორპორაციო კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის თანახმად, *Business Judgement Rule-ის* გამოყენებას გამორიცხავს უხეში გაუფრთხილებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწილია გაზიარებულ იქნეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში არსებული პრაქტიკა და ქართული სასმართლოს მიერ დადგენილ იქნეს ერთიანი პრაქტიკა. კერძოდ ნათელი უნდა იყოს რა შემთხვევაში ვერ მოახერხებს საქართველოში მოქმედი კომპანიის დირექტორი ისარგებლოს *Business Judgement Rule*-ის დაცვით. *Business Judgement Rule*-ის გადასალახად იქნება საკმარისი იმის მტკიცება რომ სახეზეა გაუფრთხილებლობა თუ მოსარჩელმ უნდა დაადასტუროს უხეში გაუფრთხილებლობის არსებობა.

ასევე მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ განიმარტოს, თუ რა

---

[476] *McMullin v. Beran, 765 A. 2d 910 (Del.2000) (Director liability for breaching the duty of care is predicated upen concepts of gross negligence) Smith v. Van Gorkom, 488 A.2d (Del.1985) (gross negligence is the proper standard for determining whether a business judgment was an informed one)*

[477] *Smith , Morreale.*, Global Climate Change and U.S. Law, Ed, 2007, 500.

[478] იხ..*Rabkin v. Philip A.Hunt Chemical Corp.547 A.2d (Del.ch.1986) იხ. Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 125.

იქნება მიჩნეული გაუფრთხილებლობად და რა უხეშ გაუფრთხილებლობად.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არ არის სათანადოდ განვითარებული საკორპორაციო სამართლებრივი ინსტიტუტები და არც კორპორაციული მართვის ისეთი მაღალი სტრანდარტი და კულტურა არსებობს, როგორც ეს დელავერის შტატშია, მიზანშეწონილია განისაზღვროს, რომ გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი გადაინაცვლებს დირექტორზე და მას ვერ დაიცავს *Business Judgement Rule*. ხოლო გაუფრთხილებლობად მიჩნეულ უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღება წინდაუხედავად, სათანადო ინფორმაციის მიღების გარეშე, რაც ვერ პასუხობს კეთილგონიერებისა და რაციონალურობის სტანდარტს.

პროცესი, რომლის საშუალებითაც დირექტორმა ინფორმაცია მიიღო, შესაძლოა განსხვავდებოდეს ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე. რაც მთვარია გაუფრთხილებლობის დადგენისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არა სუბიექტურ სტანდარტს, ანუ რა მიაჩნდა დირექტორს სათანადო მზრუნველობად და რა სწამდა გულწრფელად, არამედ ობიექტურ სტანდარტს. დირექტორები უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი.[479] მეწარმეთა შესახებ კანონის ეს ნორმა, სწორედ ობიექტურ სტანდარტს ადგენს.

გაუფრთხილებლობა წარმოადგენს ვალდებულების არაგანზრახულ დარღვევას, რამაც ზიანი გამოიწვია. იმისათვის რომ მიიღოს ზიანის ანაზღაურება, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს რომ:

1. მოპასუხეს გააჩნდა ვალდებულება არ მიეყენებინა ზიანი მოსარჩელისათვის;
2. მოპასუხემ დაარღვია აღნიშნული ვალდებულება;
3. მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია ზიანი. არსებობს კავშირი ვალდებულების დარღვევასა და დამდგარ შედეგს (ზიანს) შორის.[480]

გაუფრთხილებლბის შეფასების ობიექტურ კრიტერიუმს წარმოდგენს ის, რომ პირი უნდა მოქმედებდეს გონივრულად, როგორც ჩვეულებრივ მის ადგილზე იმოქმედებდა გონიერი, წინდახედული ადამიანი. "გონიერი ადამიანი" *(reasonable person)* წარმოადგენს ჰიპოთეტურ დანაწესს და მიუთითებს ზოგადად ადამიანზე, რომელიც ყოველთვის წინდახედული და ფრთხილია და არაგონივრული ქმედებით ზიანს არ აყენებს სხვებს.[481]

არსებობს თუ არა მხარეებს შორის ურთიერთობა, რომელიც განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მათ შორის, დგინდება სასამართლს მიერ, შეისწავლის რა მხარეთა „ურთიერთობის" საფუძველს.[482]

---

[479] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი 9.6 მუხლი.

[480] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 120

[481] *იქვე*.120.

[482] *იქვე*.120.

თავისთავად ცხადია, დირექტორსა და სწარმოს შორის არსებობს ურთიერთობა, რომლიც დიექტორს გარკვეულ მოვალეობებს აკისრებს საწარმოს მიმართ და ამ ფაქტის დადგენა სასამართლოსათვის სირთულეს არ წარმოადგენს. სირთულეა დაგინდეს განსხვავება უხეშ გაუფრთხილებლობას და გაუფრთხილებლობას შორის, ვინაიდან ხშირად სწორედ ამ ფაქტზეა დამოკიდებული დადგება თუ არა დირექტრის პასუხისმგებლობა.

2.3.1. კაუზალურობა – Causation

როგორიც არ უნდა იყოს ზრუნვის ვალდებულების დარღვევის სტანდარტი, იქნება ეს გაუფრთხილებლობა თუ უხეში გაუფრთხილებლობა, მოსარჩელე ვალდებულია დაადასტუროს ყველა იმ გარმოების არსებობა, რაც დელიქტურ სამართალშია მიღებული. კერძოდ, დელიქტური სამართლის თანახმად, გაუფრთხილებლობის გამო ვალდებულების დაკისრება მოითხოვს არა მხოლოდ იმის ჩვენებას, რომ ვალდებულების დარღვევას აქვს ადგილი, არამედ აუცილებელია ზიანის არსებობაც და კავშირი (კაუზა) დამდგარ ზიანს და ქმედებას შორის.[483]

Barnes v. Andrews საქმის განხილვისას სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს არა მხოლოდ ზრუნვის ვალდებულების დარღვევა დირექტორის მხრიდან, არამედ ის, რომ ვალდებულებათა შესრულების შედეგად ზიანის, ანუ კომპანიის მიერ განცდილი დანაკარგის თავიდან აცილება იყო შესაძლებელი.[484]

მოსარჩელე ვალდებულია დაადასტუროს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის კავშირის არსებობა.[485] *(Plaintiff must prove causation)* ზემოთდასხელებული საქმე ყველაზე უფრო ხშირად ციტირებადია, რომელიც ცალსახად მიუთითებს, რომ დირექტორის მხრიდან გაუფრთხილებლობით ჩადენილმა გადაცდომამ, შესაძლოა არ გამოიწვიოს პასუხისმგებლობა, თუკი მოსარჩელე ვერ შეძლებს დაადასტუროს, რომ სწორედ გაუფრთხილებლობამ გამოიწვია ზიანი.[486]

მეწარმეთა შესახებ კანონის 56.4. მუხლის თანახმად, "თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. თუ დადგენილია ზიანის ფაქტი, მაშინ დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი საქმეს უძღვებოდნენ ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია." არსებულ ვითარებაში,

---

[483] *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 126.

[484] *Barnes v. Andrews 298 F.614 (S.D.N.Y. 1924) იხ. Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 126

[485] *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, P.126

[486] Clark, Robert C. Corporate law, 1986, P.126 მითითებულია: *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, P.127 მიხედვით

ზემოაღნიშნული ნორმა იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ თუკი არსებობს ზიანის ფაქტი, დირექტორს აღარ დაიცავს სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება *(Business Judgment Rule)* და მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა თავი იმართლოს და დაადასტუროს, რომ არ არღვევდა კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ხოლო თუკი დირექტორის მოქმედების უშუალო შედეგი არ არის ზიანი, იგი არ აგებს პასუხს, თუნდაც მისი მხრიდან ვალდებულების დარღვევას ჰქონდეს ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს რომ:

- მოპასუხეს ჰქონდა ზრუნვის ვალდებულება;
- მოპასუხის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) ვერ პასუხობს ობიექტურ სტანტარტს –დარღვეულია ვალდებულება;
- მოსარჩელემ განიცადა ზიანი;
- არსებობს კავშირი ვალდებულების დარღვევასა და ზიანს შორის.

3. ერთგულების მოვალეობა – Duty of Loyalty

ერთგულების მოვალეობის სამი კატეგორია არსებობს: სახელშეკრულებო, კორპორაციული და პროფესიული.[487] დირექტორის მოვალეობა სამივე მათგანს მოიცავს.

დირექტორი ვალდებულია არ ჩაიყენოს თავი ისეთ მდგომარეობაში რომელიც შეიცავს ან შესაძლოა გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი მის პირად ინტერესებსა და ფიდუციურ მოვალეობას შორის, ანუ საკუთარ ინტერესებსა და კომპანიის ინტერესებს შორის. არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობა, ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით დგინდება, კერძოდ შეძლებდა თუ არა ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე გონიერი ადამიანი ეფიქრა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის შესახებ. საუბარია რეალურ ხელშესახებ ფაქტებზე, რაც მას შეეძლო გაეთვალისწინებინა კონკრეტული მომენტისათვის.[488]

ერთგულების მოვალეობა ორი მიზნის მიღწევას ემსახურება: *Ex ante* ის მუშაობს როგორც აუცილებელი შემაკავებელი ძალა მმართველობის პროცესში გადაცდომის გამოსარიცხად, *Ex post* ის იძლევა დირექტორის წინააღმდეგ ზომების გატარებისა და მათი აღსრულების საშუალებას.[489]

ერთგულების მოვალეობა გულისხმობს კეთილსინდისიერად

---

[487] *Hopt,* Trusteeship and Conflicts of Interest in Corporate, Banking and Agency Law: Toward Common legal Principles for Intermediaries in the Modern Service-Oriented Soceity, in: Reforming Company and takeover law in Europ, Oxford University Press, New York, 2004, 60.

[488] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 317.

[489] *Fleischer,* The Responsibility of the Management and of the Board and Its Enforcement, in: Reforming Company and takeover law in Europ, Oxford University Press, New York, 2004 , 380.

მოქმედებას საწარმოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული ვალდებულება აქტუალური ხდება, როდესაც დირექტორი არჩევანის წინაშე დგას: იმოქმედოს კომპანიის საუკეთესო ინტერების გათვალისწინებით, თუ პირად, მეგობრების და ოჯახის წევრების ინტრესებს მიანიჭოს უპირატესობა. ამგვარ კონფლიქტურ სიტუაციებთან დაკავშირებით, თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა არაორაზროვნად, იმპერატიულად უთითებს, რომ დირექტორმა უნდა იმოქმედოს კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. [490] თუმცა "პრობლემას" წარმოადგენს სწორედ ის, რომ საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული არ არის რას გულისხმობს "კომპანიის საუკეთესო ინტერესების" შესაბამისად მოქმედება.[491]

ერთგულების მოვალეობა დირექტორს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას კომპანიის ინტერესები და ასევე თავი შეიკავოს იმგვარი მოქმედებისაგან, რაც ზიანს მიაყენებს კომპანიას და მის აქციონერებს.[492] დირექტორებმა თავი უნდა აარიდონ დაკისრებულ ვალდებულებასა და პირად ინტერესებს შორის კონფლიქტის არსებობას, კორპორაციული შესაძლებლობების ბოროტად გამოყენებას და კომპანიის ხარჯზე საკუთარ თავთან გარიგების დადებას.

დირექტორი, რომელიც ერთგულების მოვალეობას არღვევს ვერ იქნება *Business Judgement Rule*-ის დაცვის ობიექტი, ვინაიდან მოტყუება, არაკეთილსინდისიერება და კომპანიის ხარჯზე საკუთარი ინტერესების წინ დაყენება, ახდენს *Business Judgement Rule*- ის მიერ დადგენილი, პრეზუმციის ანულირებას.[493]

ერთგულების მოვალეობა დირექტორს ავალდებულებს იმოქმედოს საწარმოს, და არა პირადი ან მეასმე პირთა, საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. თუკი დირექტორს პირადი დაინტერესება გააჩნია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მან სრულყოფილად უნდა გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია. ასევე მას არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობაში ან კენჭისყრაში. ხოლო, აშშ-ში კომპანიები, რომელთა აქციებიც საჯაროდ სავაჭროდ არის დაშვებული ბირჟაზე, როგორებიცაა მაგ. *New York Stock Exchange (NYSE) ან NASDAQ,* [494] ვალდებულნი არიან შეიმუშაონ და საჯაროდ ცნობილი გახადონ კორპორაციული ეთიკისა და ქცევის კოდექსი, რამელიც ასევე შეიცავს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას.[495]

ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, როდესაც დირექტორატი აქციონერს უსპობს შესაძლებლობას გამოიყენოს საკუთარი უფლებამოსილება და აქციონერთა კრებაზე ბორდის სურვილის საწინააღმდეგოდ მისცეს ხმა.[496]

ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტი, რასაც ერთგულების მოვალეობა ეხება, ეს არის ***პირველი,*** *დაკავშირებული გარიგებანი*

---

[490] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 395.

[491] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 395.

[492] *Ivanhoe Partners v. Newmont Mining Corp*., 535 A.2d 1334, 1345 (Del. 1987)

[493] *Cede & Co. v. Technicolor, Inc*., 634 A.2d 345, 360 (Del. 1994)

[494] National Association of Securities Dealers Automated Quotations

[495] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006, 99.

[496] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014 , 523.

(Related Party Transaction or Self-dealing), რაც გულისხმობს ტრანზაქციას კომპანიასა და დირექტორს შორის. მოიცავს პირდაპირ ან ირიბად დირექტორის ჩართულობას. მაგალითად, როცა დირექტორი არის იმ კომპანიის მაჟორიტარი აქციონერი, ან მთავარი პარტნიორი რომელთანაც მისთვის სამართავად ჩაბარებული კომპანია ტრანზაქციას ახორციელებს და ***მეორე,*** *კორპორაციული შესაძლებლობების ექსპლოატაცია,* რაც გულისხმობს ისეთი ინფორმაციის პირადი ინტერესებისათვის გამოყენებას, რაც კომპანიას ეკუთვნის. სხვა დანარჩენ ვალდებულებებს, რაც ასევე გამომდინარეობს ერთგულების მოვალეობიდან ამ ორ ძირითად მოვალეობასთან აქვს კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ისინი ცალკე იყვენენ რეგულირებული სხვადასხვა კანონმდებლობაში. ასეთი ვალდებულების მაგალითებს წარმოდგენს: კომპანიასთან კონკურენციის აკრძალვა, მესამე პირებისაგან სარგებელის მიღებაზე უარის თქმა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა და ა.შ.[497]

დირექტორები არ იმყოფებიან კომპანიის მიმართ მხოლოდ ვალდებულებით ურთიერთობაში, არამედ მათ საკუთარი ძალაუფლების გამოყენების პროცესში გააჩნიათ ფიდუციური მოვალეობებიც. აღნიშნული ვადლებულების ფუნდამენტს წარმოადგენს კომპანიის მიმართ განუყოფელი ერთგულების მოვალეობის არსებობა.[498] (*Undivided loyalty to the company*)

დირექტორებს, რომლებიც მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენენ საწარმოში, შესაძლოა ჰქონდეთ პირადი ბიზნეს ინტერესებიც. შესაბამისად, ვალდებულებისათვის გვერდის ავლის რისკი, იმ მიზნით, რომ მიიღოს პირადი სარგებელი, რა თქმა უნდა, არსებობს და ყოველთვის იარსებებს. დირექტორის ვალდებულება თავი აარიდოს მსგავს საშიშროებას, ერთგულების მოვალეობის ქვეშ ხვდება.[499]

ნებისმიერი კორპორაცია უფლებამოსილია გაასესხოს ფული, მოახდინოს ვალდებულების უზრუნველყოფა ან სხვაგვარი დახმარება გაუწიოს საკუთარ თანამშრომელს, მათ შორის დირექტორს, როდესაც დირექტორთა გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნება, რომ სესხის (როგორც პროცენტიანი ასევე უპროცენტო) გაცემა დასაქმებულზე, დასაქმებულის ვალდებულების უზრუნველყოფა ან სხვაგვარი დახმარების გაწევა მისთვის, სასარგებლო შეიძლება იყოს კორპორაციისათვის,[500] რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი გარიგება იმთავითვე ბათილი არ არის.

ერთგულების მოვალეობა ავალდებულებს დირექტორს გამორიცხოს კონკურეცია კომპანიასთან პირადი დაინტერესების გამო. დირექტორი ვალდებულია მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, რათა წვლილი შეიტანოს კომპანიის წარმატებაში. პირადი გამორჩენის მიზნით, მან არ უნდა გამოიყენოს კომპანიის კუთვნილი რესურსები და შესაძლებლობები.[501]

---

[497] *Birkmose,Neville, Sorensen,(Edit)* Boards of Directors in European Companies,Kluver law Internacional, Alphen aan den Rijin, 2013, 25.

[498] *Hollington,* Hollington on Shareholder's Rights, 7th Ed, Sweet & Maxwell, London, 2013, 51.

[499] *Smith, Morreale* , Global Climate Change and U.S. Law, Ed, 2007, 504.

[500] *Delaware General Coporation Law, para..143 ob. Bauman, (Edit)* Corporations and Other Business Associations, Statutes, Rules and Formes, 2011 Ed, West Publishing Co.,Eagan, MN, 2011, 380.

[501] *Allen, Kraakman, Subramanian,* Commentary and Cases on The Law of Business Organization, Second

დირექტორი ვალდებულია არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც საქმიანობის განხორციელებისას მიიღო. ასევე მას ეკრძალება გამოიყენოს ეს ინფორმაცია საკუთარი მიზნებისათვის.[502] იგივე დანაწესს შეიცავს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.6 პუნქტიც,[503] რაც ცალსახად დადებითი მოვლენაა.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საწარმოს დირექტორის სახელით საკუთარ თავთან დადებულ გარიგებებს. დირექტორს ასეთი გარიგების დადება არ ეკრძალება, თუმცა მას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეეძლოს დამტკიცება, რომ ეს გარიგება საწარმოსათვის აბსოლუტურად მომგებიანი და სამართლიანი იყო,[504] რომ მსგავს ვითარებაში სხვა პირთანაც იგივე პირობებით დაიდებოდა გარიგება.

საკუთარ თავთან დადებულ გარიგებას ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი, რომლის მოქმედებაც ასევე ვრცელდება საკორპორაციო სამართალზეც.[505] ასეთი სახის ტრანზაქციებზე დეტალურად ქვემოთ იქნება მსჯელობა.[506]

დირექტორი, რომელსაც გარიგებისადმი პირადი ფინანსური ინტერესი აქვს, შეიძლება მიკერძოებული აღმოჩნდეს. შესაბამისად, ხელმძღვანელების ინტერესთა კონფლიქტი კორპორაციისათვის ზიანის მომტანად შეიძლება იქცეს. მეორე მხრივ, მხარეთა ურთიერთობიდან გამომდინარე, საწარმოსთვის ასეთი გარიგებები ხშირად უფრო ხელსაყრელია, ვდრე მესამე პირთან სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა.[507]

საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია მისთვის ცნობილი სამეწარმეო შანსების (კორპორაციული შესაძლებლობები) შესახებ თავდაპირველად კორპორაციას აცნობოს. ხოლო კომპანიის მხრიდან მათზე უარის თქმის შემთხვევაში, შეუძლია სამეწარმეო შესაძლებლობით თავად ისარგებლოს.[508]

კორპორაციული შესაძლებლობების გამოყენებასთან დაკავშირებით დირექტრს შეუძლია წინასწარ გამოითხოვოს თანხმობა მათ გამოყენებაზე, რითაც თავიდან აირიდებს პასუხისმგებლობას. დირექტორის პასუხისმგებლობა ასევე არ დადგება, თუკი განხორციელებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით იგი დაასაბუთებს, რომ პირველ რიგში, საწარმოს ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა.

ანალოგიურ ჩანაწერს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი არ იცნობს, თუმცა შესაძლებელია ამ კანონის 9.5, 9.6 პუნქტების ფართო

Ed, Aspen publishers, New-York, 2007, 241.

[502] *Kleinberger.*, Agency, Partnerships and LLCs,Second Ed, Aspen Publishers, New York, 2003, 119.

[503]საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ 9.6 მუხლი, მეორე აბზაცი.

[504]*Kraakman, Davies., Hansmann, Hertig., Hopt, Kanda., Rock,* The Anatomy of Corporate Law, Oxford University Press, 2003, 24.

[505] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 114, იხ. ასევე, *ჭანტურია,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999, 300

[506] იხ. ქვეთავი 4.2.1. საკუთარ თავთან დადებული გარიგება.

[507] *Enriques., Hertig, Kanda,*Related-Party Transactions, The Anatomy of Corporate Law, ed. by Kraakman, Hopt, J. *et al.,* 2. ed., 2009, 154-155,მითითება:*ჯულელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამომცემლობა „სიესტა“ 2010, თბ., 169 მიხედვით.

[508] *ჯულელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2010, 171.

განმარტების საფუძველზე იგივე დასკვნის გაკეთება, მაგრამ ცხადია ეს არ არის გამოსავალი. რა დასკვნამდე მივა სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვის შედეგად, არავინ იცის. ამიტომ, ვინაიდან მოსალოდნელ რისკებსა და სარგებელს შორის წონასწორობის გამოძებნა უფრო გამართლებულია, ვიდრე ამგვარ სარისკო გარიგებათა საცილოდ ან ბათილად გამოცხადება, [509] უმჯობესია საკითხი, საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაწყვეტილებას გარიგების დასაშვებობის შესახებ, დამოუკიდებელი დირექტორებისგან შემდგარი ბორდი იღებს.[510]

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მსგავსი სახის გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულო აღარ არის, შესაბამისად, საწარმოში, რომელსაც ეს ორგანო არ ჰყავს, დირექტორის გადაწყვეტილება კონტროლის გარეშე რჩება, ვინაიდან შეუძლებელია აქციონერთა საერთო კრებამ ყოველდღიური საქმიანობის კონტროლი განახორციელოს.

ნებისმიერი სახის ქმედება, რომელმაც შესაძლოა მოგება მოუტანოს დირექტორს და ამის საპირისპიროდ დანაკარგი განიცადოს კომპანიამ, განხილულ უნდა იქნეს დირექტორის მხრიდან ერთგულების მოვალეობის დარღვევად[511].

დაცული რომ იქნეს დირექტორის მხრიდან ერთგულების მოვალეობა, იგი ვალდებულია გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რათა თავიდან აირიდოს დანაკარგი ან თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რამაც შეიძლება ნეგატიური შედეგები მოუტანოს კომპანიას. დირექტორი ვალდებულია პირად ინტერესებზე მაღლა საწარმოს ინტერესი დააყენოს და განსაკუთრებული წინდახედულებისა და ზრუნვის საფუძველზე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.[512]

ზემოაღნიშნული იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ დირექტორი მუდმივად ზედამხედველობის ქვეშაა და მისი თითოეული გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით გადის კონტროლს. პირიქით, დელავერის სააპელაციო სასამართლომ მსოფლიოში ცნობილ პარამაუნთის საქმის (*Paramaunt Case*) განხილვისას განმარტა, რომ "ჩვეულებრივ ვითარებაში, არც სასამართლოს და არც თვით აქციონერებს აქვთ უფლება, ჩაერიონ დირექტორატის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში."[513]

ზემოთ დასახელებული კრიტერიუმებით დირექტორის გადაწყვეტილების შეფასება მხოლოდ მაშინ ხდება, თუკი მოსარჩელე მხარე დაადასტურებს, რომ დირექტორის მიერ არაკეთილსინდისიერად იქნა გადაწყვეტილება მიღებული. დელავერის სააპელაციო

---

[509] იქვე, 169.

[510] იქვე.

[511] *Welch , Turezyn.*, Folk on the Delaware General Corporation Law, Fundaments, 2005 Ed "aspen publisher" 2005, 83.

[512] *იქვე.* 83.

[513] *Paramount Communications, Inc. v. QVC Network,* 637 A.2d 34,February 04, 1994, ხელმისაწვდომია:http://international.westlaw.com/find/default.wl?sp=intbucrs000&rp=%2ffind%2fdefault.wl&sv=Split&rs=WLIN11.04&cite=637+A.2d+34&fn=_top&mt=114&vr=2.0&findjuris=00001.

სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება კარგი მაგალითი შეიძლება იყოს როგორც ქართული სასამართლოსათვის, ასევე მოქმედი ბიზნესმენებისათვის თუ კომპანიის აქციონერებისათვის, ვინაიდან საქართველოში დამკვიდრებული სამწუხარო პრაქტიკის გამო, დირექტორის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხშირია უხეში ჩარევები, ძირითადად სწორედ აქციონერთა მხრიდან.

ერთგულების მოვალეობის ლეგალური დეფინიციას მეწარმეთა შესახებ კანონი არ იცნობს, თუმცა ქართული საკორპორაციო კანონმდელობა, აშშ-ის და ინგლისს მსგავსად, აღიარებს კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულებას. კერძოდ, კანონის 9.6 მუხლის თანახმად, დირექტორი ვალდებულია მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. იგივეს ადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონიც ანგარიშვალდებული საწარმოს ხელმძღვანელთა მიმართ.[514]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ საზოგადოების ყველა ორგანო და ყოველი წევრი ვალდებულია, ხელი შეუწყოს საზოგადოებას და მისი ინტერესების განხორციელებას.[515] ხოლო დირექტორები ხმის მიცემისას უნდა გამოდიოდნენ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.[516]

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, "მეწარმეთა შესახებ"კანონი უნდა იძლეოდეს ვალდებულებათა ნათელ სტრუქტურას, რაც გამომდინარეობს ერთგულების მოვალეობიდან. კანონის არსებული რედაქცია, სადაც დირექტორის მოვალეობები ჩამოყალიბებულია ძირითადად მე-9 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში და 56-ე მუხლში, ამ მხრივ კრიტიკას ვერ უძლებს.

მიზანშეწონილია ერთგულების მოვალეობას დაეთმოს ცალკე მუხლები, სადაც ნათლად გამოჩნდება ამ მოვალეობიდან გამომდინარე ვალდებულებათა სტრუქტურა, კერძოდ ერთგულების მოვალეობა აერთიანებს ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებებს, რომლებიც ორ ძირითად ნაწილად შეიძლება დაიყოს, დაკავშირებული გარიგებანი და კომპანიის შესაძლებლობების ექსპლუატაცია. ხოლო თავის მხრივ, ამ ჯგუფებში ერთიანდება ერთგულების მოვალეობასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებანი.


<u>სქემატური გამოსახულება №2:</u>

---

[514] "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი მუხლი:16.1(გ) მმართველი ორგანოს წევრები თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა: მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე უკეთესია საწარმოსა და მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ინტერესებისათვის.

[515] სუს 2002 წლის 8 ნოემბრის №3კ-1154-02 განჩინება

[516] სუს 2002 წლის 8 ნოემბრის №3კ-1154-02 განჩინება



3.1. ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტი გულისხმობს ინტერესთა და ვალდებულებათა კონფლიქტს და კონფლიქტს ვალდბულებათა შორის.[517]

საკორპორაციო სამართლის განვითარების საწყის ეტაპზე მიჩნეული იყო, რომ დირექტორები მოქმდებენ მინდობილი პირების მსგავსად, თუმცა დღესდღეობით ამგვარი დამოკიდებულება უარყოფილია და აღიარებულია, რომ დირექტორები არ არიან უბრალოდ მიდნობილი პირის პოზიციაში, მათ გააჩნიათ კომპანიაზე ზრუნვის პირდაპირი და მჭიდრო ვალდებულება. შესაბამისად, დირექტორებს ევალებათ იმოქმედონ კეთილსინდისიერად *(act bona fide),* საწარმოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. დირექტორმა არ უნდა გამოიყენოს მინიჭებული უფლებამოსილება მცდარი და შეუფერებელი მიზნებისათვის. უფრო მეტიც, იგი ვალდებულია არ ჩაიყენოს თავი კომპანიის ინტერესების მიმართ კონკურენტულ ვითარებაში. [518]

დირექტორმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ისეთი საკითხის განხილვაში, სადაც მას ინტერესთა კონფლიქტი აქვს ან შეიძლება ჰქოდეს. აღნიშნული შეზღუდვის მიზანია უზრუნველყოს სხვა არადაინტერესებულ დირექტორთა მხრიდან ყოველგვარი ზეწოლისა და მიკერძოების გარეშე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, კონფქლიქტის მქონე დირექტორი არ განიხილება სხდომის კვორუმის მიზნებისათვის დამსწრედ და ასევე, მას არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ხმის

[517] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 236.

[518] *Fleischer,* The Responsibility of the Management and of the Board and Its Enforcement, in: Reforming Company and takeover law in Europ, Oxford University Press, New York, 2004 , 375.

მიცემის პროცესში. თუკი კამათს იწვევს, შეუძლია თუ არა კონფლიქტის მქონე დირექტორს, მიიღოს მონაწილეობა ხმის მიცემის პროცესში, მაშინ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ბორდის თავმჯდომარის მიერ *(Chairman).* მისი გადაწყვეტილება სავალდებულო და საბოლოოა.[519]

კომპანიათა შესახებ აქტის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის სამი ძირითადი სახე შეიძლება გამოიყოს:

ა) დირექტორი ვალდებულია თავი აარიდოს ინტერესთა კონფლიქტს, თუმცა საკითხი შესაძლოა ავტორიზებულ იქნეს ბორდის მიერ *(CA .sec.175)*;
ბ) დირექტორი ვალდებულია მოახდინოს შემოთავაზებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით პირადი ინტერესის წინასწარ დეკლარირება *(CA .sec.177);*
გ) დირექტორი ვალდებულია მოახდინოს არსებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით პირადი ინტერესისა და შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირება. *(CA .sec.182)* [520]

თუკი დირექტორი, მიუხედავად ინტერესთა კონფლიქტისა, უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა ხმის მიცემის პროცესში, მაშინ იგი ვალდებულია იმოქმედოს კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად და მხარი დაუჭიროს ან უარყოს საკითხი იმის მიხედვით, თუ რა მიაჩნია მას გულწრფელად და კეთილსინდისიერად, კომპანიის საუკეთესო ინტერესებისათვის სასარგებლოდ.[521]

კომპანიის წესდება ხშირად უშვებს დაინტერესებული დირექტორის მიერ დირექტორატის სხდომაზე მონიწილეობისა და ხმის მიცემის უფლებას იმ პირობით, რომ იგი წინასწარ მოახდენს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის კეთილსინდისიერად გამჟღავნებას.[522] აღნიშნული ფაქტი გამართლებულია იმ მოსაზრებით, რომ თუკი დირექტორი არ იმოქმედებს კომპანიის ინტერესების შესაბამისად და პირად ინტერესს მიანიჭებს უპირატესობას, წარმოიშობა დერივაციული სარჩელის აღძვრის სამართლებრივი შესაძლებლობა, რის შესახებაც ამ უკანასკნელმა, რა თქმა უნდა, ხმის მიცემამდე კარგად იცის.

უნდა აღინიშნოს, რომ უკეთესი კორპორაციული მართვის მიზნებისათვის უმჯობესია, თუკი დაინტერესებული დირექტორი არ მიიღებს საკითხის განხილვაში მონაწილეობას და გადაწყვეტილება მიღებულ იქნება მხოლოდ მიუკერძოებელ და პირადი დაინტერესების არმქონე დირექტორთა მიერ.[523]

ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდების ვალდებულება არ გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა დირექტორსა და კომპანიას შორის ტრანზაქცია ან გარიგება. ასეთ შემთხვევაში პირადი ინტერესის გამჟღავნებისა და დეკლარირების ვალდებულება მოქმედებს.[524]

---

[519] *იქვე.* 118-119.
[520] *იქვე.* 119.
[521] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 120.
[522] *იქვე.* 120-121.
[523] *იქვე.* 121.
[524] *იქვე.* 230.

დირექტორმა თავი არ უნდა ჩაიყენოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც კომპანიასთან ინტერესთა კონფლიქტს გამოიწვევს, ან შესაძლოა გამოიწვიოს ასეთი კონფლიქტი.[525]

აღნიშნული ვადლებულება არ ითვლება დარღვეულად, თუკი სიტუაცია გონიერების ფარგლებში არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობას, ან თუ საკითხი ავტორიზებული იყო უფლებამოსილი ორგანოს მიერ.[526]

დირექტორატი უფლებამოსილია დაეთანხმოს კონკრეტული მოქმედების განხორციელებას, მოახდინოს მისი ავტორიზაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოწვეულ კრებაზე. საჯარო კომპანიის შემთხვევაში, ამგვარ შესაძლებლობას უნდა ითვალისწინებდეს წესდება.[527]

გადაწყვეტილება კანონიერია, თუკი იგი მიღებულ იქნა დაინტერესებულ დირექტორთა მიერ ხმის მიცემის გარეშე, ან თუკი მათი ხმების გათვალისწინების მიუხედავად, გადაწყვეტილება მაინც იქნებოდა მიღებული.[528]

თუკი ტრანზაქცია კანონმდებლობის თანახმად დირექტორების მიერ იქნა ავტორიზებული ან რატიფიცირებული, იგი არ ექვემდებარება შემდგომ გაუქმებას მხოლოდ იმის გამო, რომ საერთო სამართლის წესებისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად, ასეთი გარიგება აქციონერთა მხირადნ რატიფიკაციას მოითხოვდა. თავის მხრივ, დირექტორის მიერ კომპანიის მიმართ ძირითადი ვალდებულებების შესაბამისად მოქმედება არ ათავისუფლებს მას ვალდებულებათაგან, რომელიც კომპანიის მიმართ გააჩია, საერთო სამართლის წესებისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე.

თუკი კონკრეტული ტრანზაქცია ასევე ხვდება ისეთ ტრანზაქციათა რიცხვში, რომელიც ავტორიზებული/რატიფიცირებული უნდა იქნეს აქციონერთა მიერ, ან თუკი თანხმობა უკვე მიცემულია აქციონეთა მიერ, მაშინ დირექტორატის მიერ ტრანზაქციის ავტორიზაცია/რატიფიკაცია, საჭირო აღარ არის.[529]

კომპანიის მიმართ ვალდებულებანი ასევე ვრცელდება ყოფილ დირექტორებზეც. მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდების ვალდებულება, რომელიც ეხება კომპანიის ქონების, ინფორმაციის ან შანსების ექსპლოატაციას, რაც ყოფილი დირექტორისათვის ცნობილი გახდა მისი დირექტორად ყოფნის პერიოდში. ასევე აღნიშნული ეხება ვალდბუელებას არ მიიღოს სარგებელი მესამე პირთაგან, თუკი სარგებლის მიღება დაკავშირებულია მის მიერ დირექტორის პოზციაზე ყოფნის პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებთან ან ქმედებებთან.[530]

---

[525] *CompaniesAct2006*,Para:175,(1)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[526] *CompaniesAct2006*,Para:175,(4)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[527] *CompaniesAct2006*,Para:175,(5)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[528] *CompaniesAct2006*,Para:175,(6)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[529] *Morrtimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 236.

[530] *იქვე.* 230-231.

ვალდებულება დარღვეულად არ ითვლება, თუკი ინტერესთა და ვალდებულებათა კონფლიქტის შემცველი ტრანზაქცია ავტორიზებულ იყო აქციონერთა მიერ კანონმდებლობის შესაბამისად.[531]

დირექტორს მოეთხოვება როგორც კონკრეტული ინტერესის არქონა, *(disinterested)* ასევე დამოუკიდებლობა *(Independent)* გადაწყვეტილების მიღების დროს. ინტერესის არ ქონა გულისხმობს, რომ იგი არ უნდა ელოდეს რაიმე სახის პერსონალურ სარგებელს გარიგებიდან, ხოლო დამოუკიდებლობა კი იმას, რომ მას არ უნდა ჰქონდეს პირადი ან სხვა იმგვარი ურთიერთობა დაინტერესებულ დირექტორთან (დირექტორთან, რომელიც მხარეს წარმოადგენს კომპანიასთან ურთიერთობაში), რაც წარმოშობს გონივრულ შესაძლებლობას, რომ გავლენას იქონიებს მის დამოუკიდებლობაზე.[532]

დირექტორს არ უნდა გააჩნდეს მატერიალური ინტერესი. მატერიალური ინტერესი მოიცავს ტრანზქციის შედეგად მიღებულ სარგებელს ან ასეთი სარგებლის მღების პოტენციურ შესაძლებლობას (პოტენციური სარგებელი).[533]

მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, დირექტორებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უფლება არ აქვთ, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. [534] კანონი ამ ნორმას ინტერესთა კონფლიქტს უწოდებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ თავისი შინაარსით აღნიშნული მუხლი კონკურენციის აკრძალვას უფრო ეხება და განხილულია შესაბამის თავში.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის 16^1 მუხლი ინტერესთა კონფლიქტს და ინფორმაციის განცხადებას ეხება. მუხლის მოქმედება ვრცელდება ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრზე ანდა ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელ აქციონერზე. [535] 16^1.2 მუხლის თანახმად, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ანდა ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელი აქციონერი დაინტერესებულ პირად მიიჩნევა, თუ იგი:

ა) არის გარიგების მეორე მხარე;

ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ იურიდიული პირის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ს ან მეტს, რომელიც გარიგების მეორე მხარეა;

გ) არის გარიგების მეორე მხარის მმართველი ორგანოს წევრი;

დ) დანიშნულია/არჩეულია ამ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრად გარიგების მეორე მხარის ანდა გარიგების

---

[531] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 236.

[532] *Eisenberg (Edit)* Corporatins and Other Business Organizations, 2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013, 696.

[533] *იქვე.* 696.

[534] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 9.5

[535] "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", საქართველოს კანონი მუხლი. 16^1.1.

მეორე მხარის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელის (მფლობელების) წარდგინებით;

ე) გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წილის ფლობასთან ან მმართველი ორგანოს წევრობასთან;

ვ) ასეთად განისაზღვრება ანგარიშვალდებული საწარმოს წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მოახდინოს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ტრანზაქციის ავტორიზაცია, თუკი ხელშეკრულების ღირებულება აღწევს სულ ცოტა კომპანიის აქტივის 10% ს, მაგრამ თუკი კონტრაქტის ღირებულება კომპანიის აქტივის 50% უტოლდება ან მეტია მასზე, მაშინ ტრანზაქცია შესაძლოა ავტორიზებულ იქნეს მხოლოდ აქციონერთა მიერ.[536]

ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს მიღებული შემოსავლის დაბრუნების და მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება დამრღვევისათვის, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ინტერსთა კონფლიქტი ნეგატიურად არ ასახულა კომპანიაზე. მოთხოვნა შესაძლოა წარდგენილ იქნეს როგორც თავად კომპანიის მიერ, ასევე კომპანიის სახელით, ნებისმიერი აქციონერის მიერ.[537]

ვინაიდან "მეწარემეთა შესახებ" კანონში ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ნორმები ნაკლოვანია, მიზანშეწონილია "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონში არსებული ჩანაწერის მსგავსი ჩანაწერი მშკ-იც გაჩნდეს, შესაბამისად სტანდარტი ერთი და იგივე უნდა იყოს, როგორც ანგარიშვალდებული ასევე არაანგარიშვალდებული საწარმოს მიმართ.

მნიშვნელოვანია, რომ ინტერესთა კონფლიქტის შემცველ ტრანზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაინტერესებულმა დირექტორმა მონაწილეობა არ მიიღოს. ამ მხრივ, ყველაზე ხშირად ნომინირებულ დირექტორებს წარმოეშობათ ხოლმე პრობლემა, როდესაც დირექტორატზე განიხილება მათი ნომინატორი აქციონერის მიერ ინიცირებული საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ნომინირებულ დირექტორს დამატებითი სახის ვალდებულება ნომინატორის მიმართ არ გააჩნია და იგი ვალდებულია მიიღოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება. თუმცა ასეთი ტრანზაქციის განხორციელებისას ყველაზე ხშირად ისინი დგებიან კითხვის ნიშნის ქვეშ. ასეთ შემთხვევაში მთავარია მათ შეძლონ დადასტურება, რომ არ იმყოფებოდნენ რაიმე სახის გავლენის ქვეშ.[538]

3.1.1. უარი ინტერესთა კონფლიქტზე, უარი სარგებლის მიღებაზე "no conflict rule" / "no profit rule"

[536] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 513.

[537] *იქვე.* 513.

[538] იხ. თავი II

სასამართლო პრაქტიკის მიერ აღიარებულა, რომ დირექტორის ვალდებულება ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდების შესახებ ორ მნიშვნელოვან ფაქტორს აერთიანებს. კერძოდ, *უარი ინტერესთა კონფლიქტზე "No conflict rule" და უარი სარგებლის მიღებაზე "No profit rule",* რომლებიც განხილულ და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცალ-ცალკე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.[539]

"*No conflict rule"* დარღვევის შემთხვევაში, დირექტორი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას ის სარგებელი რაც მან მიიღო ისეთი ტრანზაქციისაგან, რომელიც ინტერსთა კონფლიქტის შემცველია და წარმოადგენს პირად ინტერესს და ფიდუციურ ვალდებულებას შორის კონფლიქტის შედეგს. ეს მკაცრი წესი დადგენილ იქნა იმ მიზნით, რომ მოახდინოს პრევენციული გავლენა დირექტორებზე. აღნიშნული წესი არ გამოიყენება, თუკი კომპანიის მიერ ინფორმირებულობის საფუძველზე გაცემული იქნა თანხმობა ინტერესთა კონფლიქტის შემცველ ტრანზაქციასთან დაკავშირებით და დაინტერესებულ დირექტორს არ მიუღია მონაწილეობა თანხმობის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში.[540]

"No profit rule" თანახმად, დირექტორი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას ნებისმიერი სახის სარგებელი რაც მან მიიღო საკუთარი პოზიციის გამო, კომერციული შანსებისა და ინფორმაციის გამოყენების შედეგად, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას და მას კომპანიისგან არ მიუღია წინასწარი თანხმობა მათ გამოყენებაზე. წესის მიზანია მოახდინოს პრევენციული გავლენა დირექტორზე, რათა ამ უკანასკნელმა თავი აარიდოს მდგომარეობის არასწორად გამოყენებას, კერძოდ კი დირექტორის პოზიციის გამოყენებას პირადი მინზებისათვის.[541]

Regall (Hastings) Ltd c. Gulliver [542] , წარმოადგენს *no profit rule*-თან დაკავშირებულ საქმეს. კომპანიამ დააფუძნა შვილობილი საწარმო, რათა მისი საშუალებით შეეძინა კინოთეატრები. კომპანია შვილობილი საწარმოს 5000 აქციიდან 2000-ის მფლობელი გახდა, ხოლო დანარჩენი 3000 დირექტორების და სხვა მესამე პირების ხელში აღმოჩნდა. განსაზღვრული გეგმის და წესის შესაბამისად, შვილობილი საწარმო სარფიანად იქნა გაყიდული, ხოლო მშობელი კომპანიის მიერ წარდგენილ იქნა სარჩელი დირექტორებისაგან შვილობილი საწარმოს გაყიდვის შედეგად მიღებული მოგების დაბრუნების მოთხოვნით.

საქმის განხილვისას დადგინდა, რომ აქციათა შეძენის პროცესში დირექტორები მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და საწარმოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. შესაბამისად, *"no conflict rule"*-ის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, თუმცა დირექტორთა მოქმედება *"no profit rule"*- ის მოქმედების ქვეშ მოხვდა, რომლის თანახმადაც შესაძლოა დირექტორს დაეკისროს მიღებული სარგებელის კომპანიისათვის დაბრუნების ვალდებულება, თუკი მან სარგებელი მიიღო

---

[539] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, P.312-313.

[540] *იქვე.* 313.

[541] *იქვე.*

[542] *Regall (Hastings) Ltd c. Gulliver (1941) (1967) 2AC 13n.Hl* მითითებულია: *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 325. მიხედვით

ფიდუციურ ურთიერთობაში ყოფნის გამო, ამ ვალდებულების განხორციელების პროცესში.

სასამართლოს მიერ განამარტებულ იქნა, რომ დირექტორის ვალდებულება, დაუბრუნოს კომპანიას სარგებელი, არ არის დამოკიდებული მისი მხრიდან თაღლითობაზე ან არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე, ან მიადგა თუ არა ზიანი კომპანიას, ან სხვაგვარად მიიღებდა თუ არა ამ მოგებას კომპანია, ან იყო თუ არა დირექტორი ვალდებული შემოსავლის წყარო კომპანიისათვის შეენარჩუნებინა. ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ დირექტორმა სარგებელი ნახა საკუთარი პოზიციის "წყალობით".

დირექტორების პირდაპირი მოვალეობა იყო, რომ კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ემოქმედათ. აღნიშნულის საპირისპიროდ მათ წინ დააყენეს პირადი ინტერესები, და მიიღეს კიდეც სარგებელი აქციათა გასხვისების შედეგად.

მათ შეეძლოთ თავიდან აერიდებინათ მოგების დაბრუნების ვალდებულება, თუკი კომპანიას მიაწოდებდნენ სრულყოფილ ინფორმაციას აქციათა გადანაწილების შესახებ და მიიღებდნენ თანხმობას მისგან.

"*no conflict rule"* (უარი ინტერესთა კონფლიქტზე) *თუ "no profit rule"* (უარი სარგებლის მიღებაზე) გამოიყენება კონკრეტული საქმის მიმართ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით. ვინაიდან თუკი ხდება "*no conflict rule"* გამოყენება, მაშინ კომპანიას შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია ან დირექტორის მიერ მიღებული მოგების გადაცემა კომპანიისათვის, ხოლო თუკი *"no profit rule"*ის დარღვევას აქვს ადგილი, მაშინ შესაძლებელია მხოლოდ მიღებული მოგების კომპანიისათვის გადაცემის მოთხოვნა და სხვა სახის ანაზღაურება კომპენსაციის სახით ვერ იქნება მოთხოვნილი. ხოლო თუკი მოგება საერთოდ არ ყოფილა გამომუშავებული, კომპანია ვერაფერს მოითხოვს.[543]

ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდების ვალდებულება მოქმედებს როგორც არსებულ დირექტორებზე, ასევე ყოფილ, ჩრდილში მდგომ და დე ფაქტო დირექტორებზე, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით.[544]

ინტერსთა კონფლიქტისათვის თავის არიდების ვალდებულება ასევე გამოიყენება კორპორაციული შანსების ექსპლოატაციასთან დაკავშირებით. კორპორაციული შანსების პირადი მიზნებისათვის გამოყენება ისევეა დარეგულირებული როგორც კომპანიის ქონების ექსპლუატაციის შემთხვევები.[545]

"*no conflict rule"* გამოყენებისათვის არ არის აუცილებელი კომპანიას ჰქონდეს მესაკუთრული ინტერესები კორპორაციული შანსებისადმი, სასამართლომ უნდა დაადგინოს არის თუ არა შანსები იმდენად მნიშვნელოვნად ახლო დამოკიდებულებაში კომპანიასთან, რომ იგი

---

[543] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 323.

[544] *იქვე.* 316.

[545] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 321.

შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კომპანიის შანსები.[546]

ინტერსთა კონფლიქტის შემცველი ნებისმიერი გარიგების დადებამდე, კანონმდემბლობის შესაბამისად დაგენილი თანხმობის მიღება წარმოადგენს დირექტორისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველს.[547]

Coor v. Deeks საქმე ეხება კომპანიის შანსების ექსპლოატაციას, კერძოდ დერივაციული სარჩელი იქნა აღძრული სამშენებლო კომპანიის დირექტორის მიმართ, რომლიც აწარმოებდა ძვირადღირებულ კონტრაქტთან დაკავშირებით მოლაპარაკებას სარკინიგზო კომპანიასთან. სამშენებლო კომპანიის დირექტორმა გადაწყვიტა დაეფუძნებინა ახალი კომპანია და ამ კომპანიის სახელით დაუფლებოდა ძვირადღირებულ კონტრაქტს. აღნიშნული სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც კომპანიას ცალსახად შეეძლო ამ შანსების გამოყენება და მისგან სოლიდური სარგებელის მიღება. ლორდმა ბუკმასტერმა *(Lord Buckmaster)* განმარტა, რომ დირექტორს არ აქვს მინიჭებული თავისუფლება, შესწიროს კომპანიის ინტერესები, პირად ინტერესებს, და პირადი მიზებისათვის გამოიყენოს შესაძლებლობა რომელიც კომპანიას ეკუთვნის.[548] *(No conflict rule)*

3.2. დაკავშირებული გარიგებანი (Related Party Transactions or self-dealing)

უშუალოდ დაკავშირებული გარიგებების განხილვამდე, მიზანშეწონილია დაკავშირებულ გარიგებებთან მიმართებაში ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მცირე ტერმინოლოგიური უზუსტობის გამოსწორება. კერძოდ, ტერმინი *"Self-Dealing"*, ხშირად თარგმნილი და გამოყენებულია როგორც საკუთარ თავთან დადებული გარიგება, რაც არ არის მართებული და სრულყოფილად არ გადმოსცემს ამ გარიგების შინაარსს.

საკუთარ თავთან დადებული გარიგება წამოადგენს დაკაშირებული გარიგების ანუ *self-dealing* ის ერთ-ერთ სახეს ისევე, როგორც ასეთ გარიგების სახეობებს წარმოადგენენ კორპორაციული შესაძლებლობების უზურპაცია და მითვისება. დაკავშირებული გარიგების *self-dealing* დროს, დირექტორი იყენებს რა მისთვის, როგორც დირექტორისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და პოზიციას, მოქმედებს საკუთარი და არა კომპანიის ინტერესების შესაბამისად. ცხადია რომ დაკავშირბული გარიგების კვალიფიკაციისათვის აუცილებელი არ არის გარიგების ორივე მხარეს დირექტორი იდგეს, მთავარი მაკვალიფიცირებელი გარემოება აქ ის გახლავთ რომ გარიგება უკავშირდება დირექტორის ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მას ასეთი ქმედების განხორციელება შეუძლია როგორც საკუთარ თავთან გარიგების დადების დროს, ასევე სხვა შემთხვევებშიც. შესაბამისად, *self-*

---

[546] *იქვე.* 322.

[547] *იქვე.*

[548] *Coor v. Deeks (1916) 1 AC 554* მითითებულია: *Mortimore, (Ed)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 323. მიხედვით

dealing თარგმნა, როგორც საკუთარ თავთან დადებული გარიგება უფრო ავიწროვებს ამ გარიგების შინაარსს.[549]

3.2.1. საკუთარ თავთან დადებული გარიგება

დირექტორსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება ან განხორციელებული ტრანზაქცია ექვემდებარება კომპანიის მხირდან მის გაუქმებას, თუკი იგი არ არის მისაღები და სამართლიანი კომპანიის ინტერესებისათვის.[550]

ხელშეკრულება კომპანიასა და დირექტორს შორის, რომლის თანახმადაც, დირექტორი ყიდულობს ან პირიქით მიჰყიდის კომპანიას ქონებას, ასევე კომპანიის მიერ სესხის მიცემა დირქტორისავის, წარმოადგენს დასახელებული შინაარსის გარიგებას, რაც შესაძლოა კომპანიის მიერ გაუქმებულ იქნეს. თუმცა დირექტორს ასეთი ხელშეკრულების დადებამდე შეუძლია მიიღოს თანხმობა დამოუკიდებელ დირექტორთაგან ან აქციონერებისაგან, რაც ხელშეკრულებას კანონიერად აქცევს.[551]

საკუთარ თავთან გარიგაბაში მოიაზრება ისეთი შემთხვევა, როდესაც კომპანიის დირექტორი დგას კონკრეტული ხელშეკრულებისა თუ ტრანზაქციის ორივე მხარეს, ერთი მხრივ, როგორც საკუთარ პირადი ინტერესების გამტარებელი და მეორე მხრივ, როგორც კომპანიის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც მას ფიდუციური ვალდებულება გააჩნია.[552]

თავდაპირველად საერთო სამართლის ქვეყნებში (მაგ.აშშ) ასეთი გარიგება გაბათილებას ექვემდებარებოდა იმის მიუხედავად, სამართლიანი და სასარგებლო იყო თუ არა იგი კომპანიის ინტერესებისათვის. თუმცა შემდგომ დამოკიდებულება შეიცვალა და დღესდღეობით იგი არ ექვემდებარება ავტომატურად გაბათილებას და არ ნიშნავს, რომ ასეთი გარგების დადებით დირექტორმა დაარღვია ერთგულების ვალდებულება კომპანიის მიმართ. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ასეთ გარიგებას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა აქვე აწესებს გარკვეულ მოთხოვნებს, რაც დაცული და შესრულებული უნდა იქნეს დირქტორის მიერ თუკი კომპანიასთან ასეთ სახელშეკრულებო ურთიერთობაში აპირებს შესვლას.

თავდაპირველად სასამართლოები მიიჩნევდნენ, რომ ასეთი გარიგება წარმოადგენდა საცილო გარიგებას და შესაძლებელი იყო მისი გაუქმება კომპანიის მიერ შეცილების შემთხვევაში, მაგრამ დღესდღეობით დამკვიდრებული პრაქტიკის თანხმად, საკუთარ თავთან დადებული გარიგება საცილოა მხოლოდ მაშინ, თუკი იგი კომპანიისათვის

---

[549] იხ. *Pacces,* Rethinking Corporate Governance: The Law and Economics of Control Powers, New York,2012p.234, ხელმისაწვდომია:https://books.google.ge

[550] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013 630. იხ.ასევე: *RMBCA sec.8.31*

[551] *იქვე.* 630.

[552] *Fleischer,* The Responsibility of the Management and of the Board and Its Enforcement, in: Reforming Company and takeover law in Europ, Oxford University Press, New York, 2004 , 382.

უსამართლო პირობებს ადგენს.[553] თუმცა დირექტორი კომპანიასთან საკონტრაქტო ურთიერთობაში შესვლამდე ვალდებულია მოახდინოს საკუთარი ინტერესების სრულად გამჟღავნება, რაც გულისხმობს დირექტორის მიერ გარიგებასთან დაკავშირებით ყველა მნიშვნელოვანი ფაქტისა და გარემოების, მათ შორის საკუთარი დაინტერესების, სრულყოფილად გამჟღავნებას.[554]

ტრანზაქციასთან დაკავშირებით ფაქტების სრულად გამჟღავნების შემდეგ დირექტორმა შესაძლოა თანხმობა მიიღოს უფლებამოსილი ორგანოსაგან (დამოუკიდებელი დირექტორები, აქციონერები, სამეთვალყურეო საბჭო), თუმცა აღნიშნული თანხმობა არ ათავისუფლებს მას ვალდებულებისაგან იყოს სამართლიანი საწარმოს მიმართ. თანხმობის შემდეგ ხდება მტკიცების ტვირთის გადატანა, თუკი თახმობის გარეშე დირექტორს გააჩნია ვალდებულება ამტკიცოს, რომ ტრანზაქცია სამართლიანი იყო კომპანიისათვის, თანხმობის გაცემის შემდეგ მტკიცების ტვირთი კომპანიაზე ინაცვლებს და ახლა უკვე ამ უკანასკნელს მოუწევს, (თუკი ამის საჭიროება დადგება) დაადასტუროს, რომ ტრანზაქცია უსამართლო იყოს კომპანიისათვის.[555]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი, საკუთარ თავთან დადებულ გარიგებას მერყევად ბათილად მიიჩნევს, დამოკიდებულს ხდის რა მას წარმოდგენილი პირის მიერ წინასწარ გაცემულ თანხმობაზე ან შემდგომ მოწონებაზე. მართალია ნორმა პირდაპირ არ მიუთითებს, რომ შემდგომი მოწონება დასაშვებია, მაგრამ ეს დასკვნა ნორმის მიზნებიდან და ფართო განმარტებიდან გამომდინარეობს. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ მისი გერმანული ანალოგი ასეთ გარიგებას მერყევად ბათილად მიიჩნევს.[556] აღნიშნული მუხლის მოქმედება ასევე ვრცელდება სამეწარმეო სამართალზეც.[557] სამოქალაქო კოდექსი ასეთ გარიგებას საკუთარ თავთან დადებულ გარიგებას უწოდებს, პროფ. დავით კერესელიძე მოიხსენიებს როგორც ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებას,[558] ხოლო "მეწარმეთა შესახებ" კანონის 9.5. მხულის პრიველი აბზაცის თანახმად "დირექტორებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (ინტერესთა კონფლიქტი). უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ნორმა ვერ გადმოსცემს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგების შინაარსს, შესაბამისად იგი აუცილებლად საჭიროებს კანონში ცვლილების შეტანის გზით გამოსწორებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარე

---

[553] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 524.

[554] *იქვე.* 524.

[555] *იქვე.* 524.

[556] *კერესელიძე,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 413.

[557] *ჭანტურია,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999, გვ.300, აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ასევე: კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 412.

[558] იხ. *კერესელიძე,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 412.

აკრძალული გარიგებანი ინტერსთა კონფლიქტის შემცველია, ხოლო შემდეგ კი მათი დაზუსტება ხდება იმის დასადგენად, თუ კონკრეტულად რა სახის დარღვევას აქვს ადგილი. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსი სწორად უწოდებს მას საკუთარ თავთან დადებულ გარიგებას, ვინაიდან საკუთარ თავთან დადებული გარიგება ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მეწარმეთა შესახებ კანონი ნათელ განმარტებებს იძლეოდეს, ცალკე მუხლ(ებ)ი ეთმობოდეს ერთგულების ვალდებულებას და მასში შემავალ ვალდებულებებს. კანონში ასევე აუცილებლად უნდა აისახოს, რომ დირექტორის მხრიდან ვალდებულების დარღვევას არ აქვს ადგილი და მისი პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს, თუკი საკუთარ თავთან დადებულ გარიგებას კომპანიისათვის მხოლოდ სარგებელი მოაქვს.

3.2.2. სარგებლის მიღებაზე უარის თქმის ვალდებულება

დირექტორს ეკრძალება გამოიყენოს საკუთარი პოზიცია პირადი სარგებლის მიღების მიზნით. აღნიშნული არ მოიცავს დირექტორის მიერ საკუთარი მომსახურების სანაცვლოდ კომპანიისაგან მიღებულ შემოსავალს და სარგებელს. სარგებლის მიღება აკრძალულია მხოლოდ მაშინ, თუკი მისი მიღება ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. აღნიშნული განსხვადება კომპანიის ქონების, ინფორმაციის თუ შანსების ექსპლოატაციისაგან იმით, რომ ამ შემთხვევაში დირექტორი სარგებელს იღებს მესამე პირისგან.[559]

პოზიციის პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოყენება, როგორც წესი, დაკავშირებულია ფარული საკომისიოს ან ქრთამის მიღებასთან. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დადგინდეს "საკომისიო" ემსახურება თუ არა კორუფციულ მიზნებს. მთავრი პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიისათვის ცნობილი არ არის ამის შესახებ.[560] *"The Real evil is not the payment of the money, but the secrecy attending it "*.[561] ნებისმიერი სახის საიდუმლო გარიგება დირექტორსა და მესამე პირს შორის, კომპანიის სახელით და მის ზურგს უკან, წარმოადგენს თაღლითობას კომპანიის მიმართ და სამართლისა და ზნეობის პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებას.[562]

მესამე პირის მიერ აგენტისათვის მიცემული საჩუქარი, რომელიც მას იმისთვის მიეცა, რომ ხელი შეუწყოს დამსაჩუქრებელსა და პრინციპალს შორის ტრანზაქციის განხორციელებას, სამართლის მიერ განიხილება

---

[559] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 338.

[560] *იქვე.*

[561] *Hansard, HL Grand Committee col.330 (9 Fabruary 2006)* მოთითებულია: *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 338. მიხედვით

[562] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 339.

ქრთამად, თუკი ამის შესახებ პრინციპალისათვის ცნობილი არ ყოფილა.[563]

ქრთამის მიცემა არა მარტო მის მიმღებს, არამედ მის მიმცემსაც კორუმპირებულს ხდის. ქრთამის აღების გამო შესაძლოა დირექტორის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგეს.[564] მესამე პირად განიხილება ნებისმიერი პირი, რომლიც არ არის თავად კომპანია ან მასთან დაკავშირებული პირი. ხოლო რაც შეეხება "სარგებელს", იგი მოიცავს ნებისმიერი სახის სარგებელს რაც შეიძლება ამ სიტყვის ქვეშ მოიაზრებოდეს, მათ შორის არაფულად სარგებელსაც.[565]

3.2.2.1. უარი ფარული მოგების (შემოსავლის) მიღებაზე

ერთგულების მოვალების შესაბამისად დირექტორი ვალდებულია არ მიიღოს ფარული სარგებელი კომპანიის ზურგს უკან. მაგალითად, აიღოს დამატებითი სარგებელი კონტრაქტორი კომპანიისგან იმის გამო, რომ მასთან გააფორმა კონტრაქტი. კომპანია უფლებამოსილია წარადგინოს სარჩელი და მოითხოვოს დირექტორისგან ასეთი ანაზღაურების კომპანიისათვის გადაცემა.[566]

აგენტის პირადი ინტერესები არასოდეს უნდა დადგეს პრინციპალის ინტერესებზე უფრო მაღლა, როდესაც ისინი ერთმანეთთან კონფლიქტს ქმნიან.[567] აღნიშნული წესი გამოიყენება დირექტორის, როგორც აგენტის მიმართ.

დირექტორი ვალდებულია უარი თქვას, მესამე პირისაგან ნებისმიერი სახის ისეთ სარგებელის მიღებაზე, რომელსაც მას სთავაზობენ მხოლოდ იმიტომ, რომ იკავებს დირექტორის პოზიციას, ან იმიტომ, რომ შეასრულოს (ან არ შეასრულოს) რაიმე სახის მოქმედება, როგორც დირექტორმა.[568]

აღნიშნული ვალდებულება არ ითვლება დარღვეულად, თუკი გონივრულობის ფარგლებში არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ სარგებლის მიღება ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.[569]

3.2.3. პირადი დაინტერესების გამჟღავნების ვალდებულება

დირექტორი ვალდებულია განაცხადოს დირექტორატის წინაშე

---

[563] *Hovenden&Sons v. Milboff (1900) 83 LT 41, 43 CA)* მითითებულია: *Mortimore, (Ed)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 339. მიხედვით

[564] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 339.

[565] *იქვე.* 340.

[566] *იქვე.* 631.

[567] *Hopt,* Trusteeship and Conflicts of Interest in Corporate, Banking and Agency Law: Toward Common legal Principles for Intermediaries in the Modern Service-Oriented Soceity, in: Reforming Company and takeover law in Europ, Oxford University Press, New York, 2004 , 77.

[568] *CompaniesAct2006*,Para:176,(1)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[569] *CompaniesAct2006*,Para:176,(4)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

შემოთავაზებულ გარიგებასთან დაკავშირებით საკუთარი ინტერესის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განმარტოს, თუ რაში გამოიხატება ეს დაინტერესება.[570]

მას შეუძლია აღნიშნული განცხადება გააკეთოს დირექტორთა კრებაზე ან წერილობით მიაწოდოს მათ ეს ინფორმაცია.[571] თუკი მომავალში აღმოჩნდება, რომ მიწოდებული ინფორმაცია არასრულყოფილი იყო, ან ეს ინფორმაცია პროცესების შედეგად შემდგომში გახდა არასრული, დამატებითი ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა.[572]

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ მიწოდებულ უნდა იქნეს მანამ, სანამ კომპანია დადებდეს კონკრეტულ გარიგებას ან განახორციელებდეს ტრანზაქციას.[573]

ინფორმაციის მიწოდება არ მოითხოვება, თუკი დირექტორმა არაფერი იცოდა გარიგების შესახებ. ჩაითვლება, რომ მან იცოდა გარიგების შესახებ, თუკი მოცემული ინფორმაცია მას ჩვეულებრივ უნდა სცოდნოდა.[574]

დირექტორს არ მოეთხოვება ინფორმაციის დეკლარირება, თუკი გონივრულობის ფარგლებში შეუძლებელი იყო ეფიქრა, ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობის შესახებ, ან თუკი სხვა დირექტორებისათვის უკვე ცნობილი იყო ამის შესახებ, ან თუკი აღნიშნული საკითხი განხილულ იყო ან დაგეგმილია მისი განხილვა დირექტორთა კრებაზე.[575]

აღნიშნული ძირითადი ვალდებულებების საკანონმდებლო დონეზე რეგულირება, არ ათავისუფლებს დირექტორებს პასუხისმგებლობისგან რაც წარმოიშობა საერთო სამართლის პრაქტიკისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად დადგენილი ვალდებულებების დარღვევის გამო.[576] უნდა აღინიშნოს, რომ თუკი კანონით არის დარეგულირებული კონკრეტული საკითხი, ამ საკითხისადმი საერთო სამართლის პრაქტიკისა და სამართლიანობის პრინციპების გამოყენება მეტ-ნაკლებად შეზღუდულია.[577]

ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება დირექტორებს გააჩნიათ როგორც ზრუნვის, ასევე ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარე.[578]

---

[570] *CompaniesAct2006*,Para:177,(1)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[571] *CompaniesAct2006*,Para:177,(2)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[572] *CompaniesAct2006*,Para:177,(3)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[573] *CompaniesAct2006*,Para:177,(4)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[574] *CompaniesAct2006*,Para:177,(5)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[575] *CompaniesAct2006*,Para:177,(6)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

[576] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed Oxford University Press, Oxford, 2013, 222.

[577] *იქვე.* 225.

[578] *Wolcott, Boswell,* Delaware Code Anotated, Michie, Delaware, 2011,790.

ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების უგულვებელყოფა იწვევს ზრუნვის ვალდებულების დარღვევას, მაშინ როდესაც ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებიც წარმოადგენენ მოთხოვნის საფუძველს მიუთითებენ იმაზე, რომ ვალდებულების დარღვევა ჩადენილ იქნა კეთილსინდისიერად, მაგრამ ამავდროულად დირექტორის მიერ მიღებულ იქნა მცდარი გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით თუ რა მოცულობით უნდა მომხდარიყო ინფორმაციის გამჟღავნება. ხოლო თუკი ფაქტები მიუთითებენ იმაზე, რომ გამჟღავნების ვალდებულება დარღვეულ იქნა არაკეთილსინდისიერად, შეგნებულად ან/და წინასწარ განზრახულად, მაშინ სახეზეა ერთგულების ვალდებულების დარღვევა.[579]

3.2.4. კონკურენციის აკრძალვა

კომპანიის მიმართ ერთგულების მოვალება ავალდებულებს დირექტორს არ დაკავდეს ისეთი საქმიანობით, რაც მის კომპანიასთან კონკურენტულ მდგომარეობაში ჩააყენებს, არ გაუწიოს კომპანიას კონკურენცია, ხოლო ასეთის არსებობსის შემთხვევაში იგი ვალდებულია კეთილსინდისიერად მიაწოდოს ინფორმაცია და მიიღოს თანხმობა უფლებამოსილი ორგანოსგან (დამოუკიდებელი დირექტორები, აქციონერები, სამეთვალყურეო საბჭო) რათა თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა.[580]

როგორც ზემოთ აღინიშნა, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9.5-ე მუხლის პირველი აბზაცი, ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგების შინაარსს ვერ გადმოსცემს და იგი უფრო კონკურენციის აკრძალვას ეხება ვიდრე ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული მუხლის თანახმად "დირექტორებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.[581]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტორს უფლება აქვს ამავდროულად სხვა კონკურენტ საწარმოშიც იკავებდეს იგივე პოზიციას, თუმცა მას ამისათვის ესაჭიროება უფლებამოსილი ორგანოს მიერ სათანადო წესით გაცემული თანხმობა.[582]

პასუხისმგებლობის გამორიცხვის მიზნით თანხმობა წინასწარ უნდა იქნეს მიღებული იმ უფლებამოსილი ორგანოსგან, რომელიც

---

[579] *O'Reilly v. Transworld Healthcare, Inc. 745 A. 2d 902 (Del.Ch.1999)* იხ. *Wolcott, Jr, Boswell,* Delaware Code Anotated, Michie, Delaware, 2011,790.

[580] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 631.

[581] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 9.5. პირველი წინადადება. ეს ნორმა კანონში მოიხსენიება როგორც ინტერესთა კონფლიქტი. მიმაჩნია რომ ნორმა ვერ გადმოსცემს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებისათვის მახასიათებელ შეინაარსს რაზეც ზემოთ უკვე იყო მსჯელობა. იხ. თავი 3.2.1., საკუთარ თავთან დადებული გარიგება.

[582] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 9.5

დირექტორებს ნიშნავს, ხოლო ასეთი საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.[583]

კონკურენციის აკრძალვის ნორმების დარღვევას ცხადია შესაბამისი შედეგები მოსდევს, თუ კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიადგა ზიანი, დამრღვევი ვალდებულია დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და აანაზღაუროს ზიანი. ამ პირების მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს.[584]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტორი არ არის უფლებამოსილი იკავებდეს კონკურენტ საწარმოებში იგივე პოზიციას, თუკი მას ორივე საწარმოსგან არ აქვს მიღებული სათანადო თანხმობა.[585]

3.3. კორპორაციის შესაძლებლობების ექსპლუატაცია

დირექტორებს არ აქვთ უფლება მოახდინონ კორპორაციული შესაძლებლობებისა და შანსების უზურპაცია. უზურპაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბიზნეს შესაძლებლობა დირექტორების ხელში ხვდება მათ მიერ დირქტორის უფლებამოსილების შესრულების პროცესში. თუკი კომპანიას არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა გამოიყენოს ბიზნეს შანსები, მაშინ დირექტორს შეუძლია ისარგებლოს ამ შანსით.[586]

კორპორაციული შესაძლებლობების უზურპაცია, მითვისება დირექტორთა მიერ წრმოადგენს ერთგულების მოვალების დარღვევას. თუკი ამგვარი ფაქტი დადასტურდა, კომპანის შეუძლია დაეუფლოს უზურპირებულ შესაძლებლობას და დაიბრუნოს დირექტორისგან ნებისიერი სახის მოგება თუ შემოსავალი, რომელიც მან მიიღო. [587] კომპანიის შესაძლებლობების მითვისებას აქვს ადგილი თუკი :

- შესაძლებლობა წარმოიშვა ვალდებულების შესრულების ფარგლებში;
- შესაძლებლობა დაკავშირებულია კომპანის საქმიანობასთან;

---

[583] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 9.5. მესამე წინადადება.

[584] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 9.5. მეორე აბზაცი

[585] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 318-319.

[586] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 525.

[587] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 630.

- კომპანიას აქვს ფინანსური საშუალება მიიღოს სარგებელი ამ ოპერაციისგან;
- კომპანიის დირექტორმა აღნიშნილი შესაძლებლობა საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენა.[588]

ზემოაღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაშიც შეუძლია დირქტორს თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა, თუკი დაადასტურებს, რომ კომპანიამ უარი განაცხადა აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენებაზე. შესაბამისად, თუკი მან შესთავაზა კომპანიას კორპორაციული შანსების გამოყენება, მიაწოდა მას სრულყოფილი ინფორმაცია და უფლებამოსილი ორგანოს მიერ (მაგ. სამეთვალყურეო საბჭო, დამოუკიდებელი დირექტორები, აქციონერები) მიღებული გადაწყვეტილებით კომპანიამ უარი თქვა მის გამოყენებაზე, მაშინ დირექტორს შეუძლია ისარგებლოს ამ შანსებით. სასამართლო ასევე უფლებამოსილია მიიჩნიოს, რომ კომპანიამ უარი განაცხადა შესაძლებლობის გამოყენებაზე თუკი ამ შესაძლებლობის შესახებ ინფორმციის მიღებიდან, კომპანია დროულად არ იმოქმედებს მის გამოსაყენებლად.[589]

უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორს სრული უფლება აქვს გამოიყენოს კორპორაციული შესაძლებლობა პირადი ინტერესებისათვის, თუკი მან თავდაპირველად ამ შესაძლებლობის შესახებ კეთილსინდისიერად მიაწოდა კომპანიას ინფორმაცია, ხოლო ამ უკანასკნელმა კი უარი განაცხადა შესაძლებლობის გამოყენებაზე.[590]

3.3.1. კომპანიის ქონების ექსპლუატაცია

ინტერესთა კონფლიქტისათვის ან შესაძლო კონფლიქტისათვის თავის არიდების ვალდებულება, გამოიყენება პრაქტიკულად ნებისმიერი სახის ქონების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, რომლისგანაც კომპანიას შეეძლო სარგებელი ენახა და უპირტეს მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. ცხადია, კომპანიის ქონების უკანონოდ მითვისება, უყურადღებოდ მიტოვება ან ექსპლუატაცია გამოწვევს დირექტორის პასუხისმგებლობას.

Ball v. Eden Project Ltd საქმეში, კომპანია ნერგავდა ახალ პროექტს სახელწოდებით "სამოთხის პროექტი" *(Eden Project).* დირექტორმა აღნიშნული პროექტის სავაჭრო ნიშანი საკუთარ სახელზე დაარეგისტრირა. სასამართლოს მიერ დადგეილ იქნა, რომ სახელწოდება წარმოადგენდა კომპანიის გუდვილის შემადგენელ ნაწილს, *(Name was part of the goodwill of the company)* ხოლო სავაჭრო ნიშნის საკუთარ სახელზე დარეგისტრირებით მან კომპანია ჩააყენა არასასურველ მდგორმარეობაში, ვინაიდან ნებისმიერ დროს შეეძლო მოეთხოვა კომპანიისათვის

[588] *იქვე.* 630.

[589] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 525.

[590] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 630.

გარკვეული ანაზღაურების გადახდა, რასაც ის საჭიროდ ჩათვლიდა აღნიშნულ პროექტზე მუშაობისა და მისი შემდგომი განვითარების პროცესში. შესასამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტორმა საკუთარი თავი, მის პირად ინტერესებსა და ფიდუციურ ვალდებულებათა შორის ინტერესთა კონფლიქტის შემცველ სიტუაციაში ჩააყენა და დაავალა მას სავაჭრო ნიშანი კომპანიისათვის უსასყიდლოდ გადაეცა.[591]

3.3.2. ინფორმაციის ექპლუატაცია

ბრიტანეთის საკორპორაციო კანონმდებლობა ისევე ცდილობს დაარეგულიროს ინფორმაციის ექპლუატაციის საკითხი როგორც, ეს ქონების მიმართ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია არ წარმოადგენს რაიმე სახის ქონებას. როგორც ლორდი აფჯონი *(Lord Upjohn)* აღნიშნავს, "ზოგადად, ინფორმაცია სულაც არ წარმოადგენს საკუთრებას, ვინაიდან იგი ღიაა ყველასათვის, ვისაც აქვს თვალები და შეუძლია წაიკითხოს და აქვს ყურები და შეუძლია მოუსმინოს". შესაბამისად დაარღვია თუ არა დირექტორმა ვალდებულება და გამოიყენა თუ არა კომპანიის კუთვნილი ინფორმაცია საკუთარი ინტერესებისათვის, ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს.[592]

სასამართლომ უნდა დაადგინოს, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც დირექტორმა ინფორმაცია მიიღო, ჰქონდა თუ არა მას ვალდებულება საწარმოს მიმართ. მხოლოდ მაშინ ექნება ვალდებულების დარღვევას ადგილი, თუკი დირექტორი, ინფორმაციის მოპოვებისას იმგვარ ვითარებაში იყო, რომ მას გააჩნდა კომპანიის მიმართ ფიდუციური ვალდებულება.[593]

ზემოაღნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ითქვას, რომ არ არის აუცილებელი დირექტორის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას ჰქონდეს ადგილი, რომ მითითებული ვალდებულება დარღვეულად ჩაითვალოს[594]

მიუხედავად იმისა კონფიდენციალურია თუ არა ინფორმაცია თუკი მისი მოპოვებისა და გამოყენების გამო დირექტორი ინტერსთა კონფლიქტის წინაშე აღმოჩნდება, მაშინ ის არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს იგი.[595] თავისთავად ცხადია, კონფიდენციალური ინფორმაციის პირადი ინტერესებისათვის გამოყენება, ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს და დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება ამ ინფორმაციის გამოყენებისათვის.[596]

---

[591] *Ball v. Eden Project Ltd* High Court of Justice Chancery Division 11 April 2001, No. HC0004486, ხელმისაწვდომია: http://web2.westlaw.com/ (ბოლოს გამოხმობილია: 11.06.2014)

[592] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 320.

[593] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 320.

[594] *იქვე.* 320.

[595] *იქვე.* 321.

[596] *იქვე.*

აღნიშნულის საპირისპიროდ, თუკი დირექტორმა სამუშაოს შესრულების პროცესში, ინფორმაცია გამოცდილებისა და განათლების ხარჯზე მიიღო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი ინფორმაციის პირადი მიზნებისათვის გამოყენება ვალდებულების დარღვევად ჩაითვალოს.[597]

3.3.3. ინსაიდერული ვაჭრობა Insider Trading

ინსაიდერული ვაჭრობის რეგულირების აუცილებლობა გამოწვეულია იმ საჭიროებით, რომ როგორც აშშ-ის სააპელაციო სასამრლომ *SEC v. Texas Gulf Sulphur Co*[598] საქმის განხილვისას აღნიშნა, ნებისმიერ ინვესტორს, რიმელიც ეწევა აქციებით ვაჭრობას, უნდა ჰქონდეს არსებითად თანაბარი წვდომა მნიშვნელოვან და რელევანტურ ინფორმაციასთან და იმყოფებოდეს იდენტური საბაზრო რისკის ქვეშ.[599]

კომპანიის დირექტორებმა, კომპანიის აქციებით ვაჭრობისას, შესაძლოა დაარღვიონ ფიდუციური ვალდებულება, ვინაიდან ინფორმაციას, რაც მათთვის საკუთარი პოზიციის წყალობით გახდა ცნობილი, შესაძლოა ძლიერი გავლნა ჰქონდეს აქციების ფასზე.

თანამედროვე სასამართლო ტენდენციები სულ უფრო მეტ მოთხოვნას აწესებენ აქციათა ყიდვა-გაყიდვის პროცესში გამყიდველისა და მყიდველის მიმართ, გაამჟღავნონ სრულყოფილად მათ ხელთ არსებული ინფორმაცია. სწორედ ამიტომ, ფასიანი ქაღალდების შესახებ ფედერალური კანონი უკრძალავს ინსაიდერებს, მათ ვისაც გააჩნიათ კონფიდენციალური ინფორმაცია კომპანიასთან დაკავშირებით, ივაჭრონ კომპანიის აქციებით, გაყდონ ან იყიდონ იგი.[600]

პირები, რომლებსაც ხელთ აქვთ კომპანიასთან დაკავშირებული არასაჯარო ინფორმაცია, ვალდებულნი არიან, გაამჟღავნონ კომპანიის წინაშე ამ ინფორმციის გამოყენების შესახებ, მანამ სანამ გამოიყენებდნენ მას. თუ დირექტორი გარკვეულ გარემოებათა გამო ვერ ახერხებს ასეთი ინფორმაციის გამჟღავნებას, მაშინ იგი ვალდებულია თავი შეიკავოს ამ ინფორმაციით ვაჭრობისაგან. აღნიშნულ ვალდებულებას ასევე ეწოდება *თავი შეიკავე ან გაამჟღავნე*[601] *(Obstain or Disclose)*

პირები, ვისაც წარმოეშობათ *თავის შეკავების ან გამჟღავნების* ვალდებულება, არიან ე.წ. ტრადიციული ინსაიდერები, დირექტორები და კომპანიის აქციონერები. მათ გააჩნიათ საერთო სამართლის მიერ დადგენილი ფიდუციური ვალდებულება, არ გამოიყენონ კორპორაციის კუთვნილი კონფიდენციალური ინფორმაცია პირადი სარგებლის

---

[597] *იქვე.*

[598] *SEC v. Texas Gulf Sulphur Co, 401 F.2d 833 US (1968) იხ. Bainbridge,(Edit)* Research Handbook on Insaider Traiding, Edward Elgar Publishing Limited,Cheltenham, 2013, 80.

[599] *Bainbridge,(Edit)* Research Handbook on Insaider Traiding, Edward Elgar Publishing Limited,Cheltenham, 2013, 80.

[600] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 526.

[601] *Stamp, Jaggers, (Edit) Greence,* United States of America, in: International Insider Dealing, City& Financial Publishing, Westmister, 2005, 8.

მისაღებად. აღნიშნული პრინციპის მიზნებისათვის მეუღლე და ოჯახის სხვა წევრებიც ინსაიდერებად მიიჩნევიან.[602]

ინსაიდერულ ვაჭრობას, რაც მკაცრად აკრძალულია, ადგილი აქვს მაშინ, როდესაც კომპანიის დირექტორს, ან სხვა დასაქმებულს, აქვს მნიშვნელოვანი ინფორმაცია კომპანიის მიერ გამოსაშვები აქციების სამომავლო ღირებულებასთან დაკავშირებით, ან ფლობს ისეთ ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფასზე, იყენებს ამ ცოდნას და პირადი სარგებლის მიღების მიზნით ვაჭრობს კომპანიის აქციებით.[603]

ფიდუციური ურთიერთობის შესაბამისად, დირექტორს გააჩნია მოვალეობა არ გაამჟღავნოს საუდუმლო ინფორმაცია და არ გამოიყენოს იგი პირადი მიზნებისათვის. სამართლიანობის გათვალისწინებით, როდესაც ადგილი აქვს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას, დირექტორის წინააღმდეგ მოთხოვნის წარსადგენად არ არის აუცილებელი სახეზე იყოს ზიანი. საჯარო წესრიგი ვერ დაუშვებს, რომ დასაქმებულმა, რომელიც ანხორციელებს ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას კომპანიასთან, ბოროტად ისარგებლოს ნდობით და გამოიყენოს იგი პირადი სარგებლის მისაღებად, მიუხედავად იმისა, მისი დამსაქმებელი განიცდის თუ არა ზიანს ამის გამო.[604]

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონიც კრძალავს ინსაიდერულ ვაჭრობას, კერძოდ, კანონის 9.6 მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, დირექტორებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ასეთის არსებობისას, პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არ აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. როგორც კანონიდან ირკვევა, თანხმობის გაცემა ასეთ შემთხვევაში მხოლოდ აქციონერთა კომპეტენციას განეკუთვნება და სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვავაშიც კი ვერ გასცემს ეს ორგანო თანხმობას ინსაიდერულ ვაჭრობაზე. დირექტორებთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დადებული ხელშეკრულებით შეიძლება აღნიშნული ვალდებულება ძალაში დარჩეს ამ პირთა თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს 3 წლის ვადით. შესაძლებელია ამ ვალდებულებისათვის გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით.[605]

ინსაიდერულ ინფორმაციას და მის ბოროტად გამოყენებას ეხება "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლი. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ ნორმაში გაცილებით უფრო სრულყოფილად არის გადმოცემული თუ რა ითვლება ინსაიდერულ ინფორმაციად და ასევე ვინ ჩაითვლება ინსაიდერად. "ინსაიდერული ინფორმაცია ნიშნავს არასაჯარო, არსებით ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე ანგარიშვალდებულ საწარმოსთან ან მათ საჯარო ფასიან ქაღალდებთან.[606] " მეწარმეთა

---

[602] *იქვე.*10.

[603] *Hay,* Law of The United States, 3rd Ed, C.H.Beck, Bruylant,Brussels, 2010, 264-265.

[604] *Guth v. Loft, A.2d 503 (Del. ch. 1939)*

[605] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 9.6. ბოლო აბზაცი.

[606] "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 45.1

კანონთან შედარებით, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის თანახმად ინსაიდერად მიჩნეულია პირთა გაცილებით უფრო ფართო წრე, კერძოდ 45.2 მხულის თანახმად "ინსაიდერად ჩაითვლება პირი, რომელსაც თავისი წევრობით ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველ ორგანოში, მისი მონაწილეობით ასეთი საწარმოს კაპიტალში (მეწილეობით) ან საქმიანობით, პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით ხელი მიუწვდება ინსაიდერულ ინფორმაციაზე. ინსაიდერად ჩაითვლებიან აგრეთვე სხვა პირები, რომლებმაც მიიღეს ინსაიდერული ინფორმაცია და, ჩანს, რომ ამ ინფორმაციის წყაროა ინსაიდერი." [607] კანონის თანახმად ინსაიდერად მიჩნეულ პირებს ეკრძალებათ ინსაიდერული ინფორმაციის არასათანადო გამოყენება, ამ ინფორმაციის მიწოდება ან მასზე დაყრდნობით რჩევების მიცამე მესამე პირებისათვის.

ინსაიდერულ ვაჭრობას და ბაზრის ბოროტად გამოყენებას არეგულირებს, ევროპის პარლამენტის 2003 წლის დირექტივა,[608] რომელიც კიდევ უფრო აფართოვებს ინსაიდერული ინფორმაციის შინაარსს. დირექტივის მიზნებისათვის ინსაიდერულია განსაზღვრული ბუნების ინფორმაცია რომელიც საჯაროდ გამჟღავნებული არ ყოფილა, დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან [609] და საჯაროდ რომ განცხადებულიყო იქონიებდა გავლენას ამ ფინანსური ინსტრუმენტების ფასზე. როგორც გამოჩნდა "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის განმარტება უფრო ახლოს დგას ევროდირექტივასთან, შესაბამისად კარგი იქნება თუ მეწარმეთა შესახებ კანონშიც იქნება ნორმა, რომელიც პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს.

3.4. უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების მოვალეობა (Ultra vires doctrine)

მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების მოვალეობა მოიცავს: ა) დირექტორის ვალდებულებას იმოქმედოს კომპანიის წესდების შესაბამისად, რაც თავის თავში აერთიანებს, გარდა კონკრეტულად წესდების დებულებებისა, ასევე აქციონერთა მიერ მიღებულ სპეციალურ გადაწყვეტილებებს, და ამ მხრივ ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. ბ) დირქტორის მიერ ძალაუფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რა მიზნისთვისაც მას იგი მიენიჭა. აღნიშნული მოვალეობათა დარღვევა განიხილება როგორც დირექტორის მოქმედება მინიჭებული უფლებამოსილების მიღმა. (*ultra*

---

[607] "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 45.2

[608] Directive 2003/6/EC of the European Parliament and of the Council of 28 January 2003 on insider dealing and market manipulation (market abuse) ხელმისაწვდომია: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32003L0006

[609] ფინანსური ინსტრუმენტებია, მაგალიტად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდები, აქციები, სამომავლო საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებით წინასწარი შეთანხმებები და ა.შ. იხ. Directive 2003/6/EC of the European Parliament and of the Council of 28 January 2003 on insider dealing and market manipulation (market abuse) ხელმისაწვდომია: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32003L0006

vires)

ტრანზაქცია, რომელიც კომპანიის შესაძლებლობების და მიზნების მიღმაა, ან ცდება დირექტორატის უფლებამოსილების ფარგლებს, ითვლება უფლებამოსილების მიღმა განხორციელებულად (*ultra vires transaction*).[610] თუკი დირექტორის მოქმედებამ გამოიწვია კომპანიის ჩართვა ისეთ საქმიანობაში, რაც არ წარმოადგენს მის მიზანს აღნიშნულის გამო გამოწვეული ზიანისთვის შესაძლოა დორექტორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც აქციონერებიც კი არ არიან უფლებამოსილნი მოახდინონ დირექტორატის გადაწყვეტილების რატიფიკაცია.[611]

ტრანზაქცია, რომელიც უფლებამოსილების მიღმაა და კომპანიას არ აქვს უფლება კანონიერად განახორციელოს იგი, ასევე წარმოშობს დირექტორის ვალდებულების საკითხს. ასეთ ტრანზაქციას განეკუთვნება, მაგალითად, დივიდენდის უკანონო განაწილება კომპანიის კაპიტალის ხარჯზე, სააქციო კაპიტალზე პროცენტის გადახდა მაშინ როდესაც მოგებას ადგილი არ ჰქონია ან კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა უკანონო ფინანსური მხარდაჭერის შედეგად.[612]

კომპანიის, წესდების დარღვევამ საკუთრების არასწორი გამოყენება-გაფლანგვა, აქციების გამოშვება არა კომპანიის კაპიტალის გაზრდის მიზნით, არამედ საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ან უფლებამოსილების სხვაგვარად არამიზნობრივად გამოყენება განიხილება, როგორც დირექტორის მოქმედება მინიჭებული უფლებამოსილებათა მიღმა.[613]

თუკი დირექტორი გადააჭარბებს მინიჭებულ უფლებამოსილებას, შესაძლოა მისი პასუხიმგებლბის საკითხი დადგეს და წარმოეშვას ვალდებულება კომპანიის მიმართ. თუმცა, თუკი ისინი განახორციელებენ *ultra vires* მოქმედებას, გონივრული და გამართლებაუნარიანი რწმენით, რომ მოქმედებნენ კომპანიის საკეთილდღეოდ და საქმიანობის ფარგლებში, მაშინ მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება. რაც უფრო მაღალი კვალიფიკაცია გააჩნია დირექტორს, მით უფრო დიდი მოთხოვნები და წინდახედულობის სტანდარტი მოქმედებს მის მიმართ.[614]

4. კეთილსინდისიერების მოვალეობა – Duty of Good Faith

სინდისი ათასი მოწმეა
Conscientia mille testes
(Quintilianus, Inst.orat.,7,3,4) [615]

---

[610] *იქვე. Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 243-244.

[611] *იქვე.* 244.

[612] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 245.

[613] *იქვე.* 250-251.

[614] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 520.

[615] *იხ.ბარბაქაძე,* სინდისის ფენომენი ძველბერძნულ ლიტერატურაში, ქუთაისი, 2014. 12.

"დირექტორებმა უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად, იმის მიხედვით, თუ რა მიაჩნიათ მათ, და არა სასამართლოს, საწარმოს საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, და არა საკუთარი უზრუნველყოფის მიზნით"
"Directors must exercise their decision bona fide in what they consider –not what a court may consider- is in the best interest of a company, and not for any collateral purpose. [616] " Lord Greene MR.[617]

საკორპორაციო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და სასამართლოების მიერ განხილული ბოლოდროინდელი საქმეები ადიარებს, რომ დირექტორს ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობასთან ერთად გააჩნია კეთილსინდისიერების მოვალეობაც. [618] პროფესორ ეიზენბერგის ეს მოსაზრება გაზიარებული და აღიარებული არ არის. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კეთილსინდისიერების მოვალეობა წარმოადგენს ერთგულების მოვალეობის შემადგენელ ნაწილს.[619] ალბათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს მიეკუთვნება ეს მოვალეობა ერთგულების მოვალეობას, თუ დამოუკიდებელ მოვალეობას წარმოადგენს, მთავარია მან პრაქტიკაში კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეასრულოს თავისი როლი.

კეთილსიდისიერად მოქმედების მოვალეობა, გულისხმობს დირექტორის ვალდებულებას იმოქმედოს კომპანიის საუკეთესო ინტრესების გათვალისწინებით. დირექტორის კეთილსიდისიერება სწორედ კომპანიის მიმართ მისი დამოკიდებულებით უნდა შეფასდეს.

აღიარებულია, რომ დირექტორებს გააჩნიათ აბსოლუტური ერთგულებისა და უსაზღვრო კეთილსინდისიერების ვალდებულება კომპანიის მიმართ. შესაბამისად, დირექტორს მოეთხოვება მეტი, ვიდრე უბრალოდ კეთლსინდისიერება. დირექტორი შესაძლოა მოქმედებდეს გულწრფელად და კეთილსინდისიერად, მაგრამ მის მიერ მაინც დარღვეულ იქნეს ვალდებულება.[620] შესაძლოა დირექტორი მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ კომპანიის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება, თუმცა უფლებამოსილება და ძალაუფლება გამოიყენოს არადანიშნულებისამებრ, არა იმ მიზნის მისაღწევად რისთვისაც მიენიჭა იგი. ამ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს არაკეთილსინდისიერება *(Bad Faith)* მაგრამ მიუხედევად

(დისერტაცია)ხელმისაწვდომია:http://www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_barbakadze.pdf

[616] *Smith v. Fawcett Ltd,* (1942) Ch. 304, 306, მითითებულია: *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 217. მიხედვით.

[617] ლორდი გრინი იყო ცნობილი ადვოკატი და მოსამართლე დიდ ბრიტანეთში, მისი გადაწყვეტილებების ციტირება დღემდე ხდება სასმართლოების მიერ. Wilfred Arthur Greene, 1st Baron Greene MC, OBE, KC, PC (30 December 1883 – 16 April 1952) was a British lawyer and judge, noted for creating two crucial principles of administrative law, the Wednesbury doctrine and the Carltona doctrine. ინფორმაცია ლორდ გრინის შესახებ ხელმისაწვდომია: http://www.oxforddnb.com/view/printable/33538, (ბოლოს გამოხმობილია: 02.05.2014)

[618] *Eisenberg,* The Duty of Good Faith in Corporate Law, 31 Del. J. Corp. L. 1 (2006), 4. ხელმისაწვდომია:http://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1736&context=facpubs (An important development in corporate law is the explicit Recognition in recent cases that corporate managers- directors and Officers-owe a duty of good faith in addition to their duties of care and Loyalty)

[619] *Jeffrey, Morreale,* Global Climate Change and U.S. Law, 2007 Ed, 504.

[620] *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th Ed, Jordan Published Limited, Bristol, 2008, 247.

ამისა ვალდებულება მაინც დარღვეულია, (ობიექტური ტესტი.) [621] ობიექტური კრიტერიუმის დარღვევის მაგალითია, როდესაც დირექტორატი აქციებს უშვებს არა კაპიტალის გაზრდის მიზნით, არამედ მოსალოდნელი დაუფლების წინადადების ჩასაშლელად, კომპანიაზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით.[622]

დირექტორი მოქმედებს კეთილსინდისიერად, თუკი იგი ჭეშმარიტად გულწრფელად ფიქრობს, რომ კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს (სუბიექტური ტესტი). [623] რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, თუ შეუძლებელი არა, იმის დადგენა რას ფიქრობდა დირექტორი და რა სწამდა მას გულწრფელად.

დირექტორის ვალდებულება, იმოქმედოს კეთილსინდისიერად კომპანიის, როგორც მთლიანის და დამოუკიდებელი იურიდიული პირის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოიცავს, რომ მან გაითვალისწინოს კომპანიაში დასაქმებულთა, კრედიტორთა და ა.შ. უფლებები. ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, დირექტომა შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის ცალკეულ აქციონერთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მაგალითად როდესაც დირექტორს აქვს ვალდებულება იმოქმედოს როგროც აქციონერის აგენტმა ამ უკანასკნელის მიერ აქციათა გაყიდვის პროცესში. [624] *Coleman v. Myers (1977) 2NZLR 225* საქმეზე მოსამართლემ განმარტა, რომ "კომპანიის დირექტორი ვერ იქნება გათავისუფლებული ფიდუციური ვალდებულებისგან მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ იგი დირექტორია, თუკი სხვა შემთხვევაში მას ექნებოდა ფიდუციური ვალდებულება ამავე კომპანიის აქციონერის მიმართ.[625]

დამკვიდრებული წესის თანახმად, [626] დირექტორებს ვალდებულება გააჩნიათ კომპანიის და არა მისი აქციონერებისა და კრედიტორთა წინაშე [627] დირექტორი ხშირად დგას გადაწყვეტილების წინაშე, გაანაწილოს მოგება დივიდენდის სახით თუ შეინარჩუნოს იგი კომპანიაში შემდგომი საქმიანობისათვის. ამ დროს გადწყვეტილების მიღება განსაკუთრებით რთულია, მაშინ როდესაც იგი ინფორმირებულია, რომ კეთილისიდისიერად მოქმედების ვალდებულება კომპანიის მიმართ აქვს. ასეთ შემთხვევაში დირექტორს მოუწევს, და ვალდებულიც არის, მიიღოს გადაწყვეტილება იმგვარად, რომ მიაღწიოს ბალანსს ამ ორ ლეგიტიმურ, მაგრამ კონკურენტულ, მოთხოვნას შორის.[628]

---

[621] *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th Ed, Jordan Published Limited, Bristol, 2008, 246.

[622] *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th Ed, Jordan Published Limited, Bristol, 2008, 246.

[623] *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th Ed, Jordan Published Limited, Bristol, 2008, 246.

[624] *Sheikh, Saleem,* A Practical Approach to Corporate Governance, Lexis Nexis Uk, Edinburg, 2003 4

[625] *Sheikh, Saleem,* A Practical Approach to Corporate Governance, Lexis Nexis Uk, Edinburg, 2003 P.4-5 ("It is not the law that anyone holding the office as a director of a limited liability company is for that reason alone to be released from what would otherwise be regarded as fiduciary responsibility owed to those in a position of shareholders of the same company")

[626] *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th adition, Jordan Published Limited, Bristol, 2008, 238.

[627] *Percival v. Wright* 1902 WL 12676Chancery Division 23 June 1902 (Approx. 5 pages), Case Analyses ხელმისაწვდომია:http://web2.westlaw.com/result/ (ბოლოს გამოხმობილია 30.06.2014)

[628] *იქვე.* 241.

როგორც *Smith v. Fawcett ltd.* საქმის განხილვისას ლორდმა გრინმა[629] აღნიშნა, "დირექტორებმა უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად, იმის მიხედვით, თუ რა მიაჩნიათ მათ და არა სასამართლოს- საწარმოს საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, და არა საკუთარი უზრუნველყოფის მიზნით",[630] ხოლო *Hogg v. Crampharn ltd*[631] საქმეზე მოსამართლემ ლორდ გრინის ციტირება მოახდინა და განმარტა, რომ დირექტორები არღვევენ მოვალეობას თუკი ისინი:

- არ მოქმედებენ კეთილსინდისიერად, საწარმოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით (სუბიექტური ტესტი);
- მოქმედებენ არასათანადო მიზნების მისაღწევად, არა იმ მიზნის მისაღწევად, რისთვისაც მათ უფლებამოსილება მიენიჭათ. თუნდაც რომ მათ გულწრფელად სწამდეთ, რომ საწარმოს საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებნენ. (ობიექტური ტესტი)

რომელი კონკრეტული მოქმედება წაიყვანს კომპანიას წარმატებისაკენ კეთილსინდისიერი განსჯისა და გადაწყვეტილების საგანია, რაც უზრუნველყოფს დირექტორის თავისუფლებას განსაზღვროს კომპანიის პოლიტიკა, სტრატეგია და ტაქტიკა. აღნიშნული საკითხები სასამართლოს განსახილველი არ არის, არამედ წამოადგენს კეთილსინდისიერების ფარგლებში დირექტორის დისკრეციული მოქმედების შესაძლებლობას.

კომპანიათა შესახებ აქტის 172 (1) პარაგრაფის თანახმად, დირექტორები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ კომპანიას წარმატების მიღწევაში, იმოქმედონ კეთილსინდისიერად *(Act in good faith)* იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება წარმატებას მოუტანს კომპანიას, აქციონერთა, როგორც ერთი მთლიანი ჯგუფის, საკეთილდღეოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტორმა უნდა გაითვალისწინოს:

- გადაწყვეტილების შესაძლო შედეგები გრძელვადიან პერსპექტივაში;
- კომპანიაში დასაქმებულ პირთა ინტერესები;
- პარტნიორებთან, მიმწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა მესამე პირებთან, კომპანიის ბიზნეს ურთიერთობის ხელშეწყობის აუცილებლობა;
- კომპანიის საქმიანობის გავლენა და ზემოქმედება საზოგადოებასა და გარემოზე;
- კომპანიის რეპუტაციის შენარჩუნების საჭიროება;
- კომპანიის აქციონერთა შორის სამართლიანად მოქცევის ვალდებულება.[632]

---

[629] ლორდი გრინის შესახებ იხ. სქოლიო 609, გვ. 143.

[630] *Smith v. Fawcett ltd (1942) ch.304,306* ციტირებულია: *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th adition, Jordan Published Limited, Bristol, 2008, P.246 მიხედვით.

[631] *Hogg v. Crampharn ltd (1967) ch.254* ციტირებულია: *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th adition, Jordan Published Limited, Bristol, 2008, P.246 მიხედვით.

[632] *CompaniesAct2006*,Para:172,(1,2)ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :30.04.2014)

თუ რა გამოიწვევს კომპანიის წარმატებულ საქმიანობას დირექტორთა კეთილსინდისიერ გადწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მთავარია მას გულწრფელად სწამდეს, რომ იგი კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებდეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სუბიექტური შეფასების კრიტერიუმია და ძალიან რთული დასადგენია სასამართლოსათვის გულწრფელად სწამდა თუ არა დირექტორს გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის, ამიტომ გარდა ამ კრიტერიუმისა, არსებობს ასევე რაციონალური გადაწყვეტილების კრიტერიუმი, რაც გადაწყვეტილების რაციონალურობის ფარგლებში მიღებას გულისხმობს. რაციონალური გადაწყვეტილება არის სათანადო ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება. თუკი გადაწყვეტილება რაციონალურობის მინიმალურ სტანდარტს ვერ პასუხობს, დირექტორის მხრიდან ვალდებულება დარღვეულად ითვლება.[633]

როგორც ერთ-ერთი საქმის განხილვისას სასამართლომ აღნიშნა: კეთილსინდისიერება არ შეიძლება განხილულ იქნეს კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედების შესაფასებელ ერთადერთ ტესტად, ვინაიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კომპანიის საქმიანობის უგუნურ გაძღოლას და შესაბამისად ფულის ფლანგვას, კეთილსინდისიერად, მაგრამ ამავდროულად აბსოლუტურად არარაციონალურად.[634]

იგივე წესები გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რას ნიშნავს წარმატება კომპანიისათვის *(what is success).* კანონმდებლობა არ იძლევა ამ ფრაზის რაიმე სახის დეფინიციას, გადაწყვეტილება, თუ რა ჩაითვლება წარმატებად კომპანიისათვის, დირექტორთა და აქციონერთა მიერ კეთილსინდისიერი განსჯის საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული.[635]

ლორდ გოლდსმიტის მიერ ნათლად იქნა განმარტებული თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული წარმატებად: "საწყისი ეტაპისათვის აქციონერთა მიერ განსაზღვრულ უნდა იქნეს მიზანი რისი მიღწვაც მათ სურთ. წარმატება არის ის, რაც აქციონერებს ერთობლივად სურთ რომ მიაღწიოს კომპანიამ. კომერციული მიზნებისათვის შექმნილი კომპანიისათვის, ცხადია, ეს იქნება კომპანიის ღირებულების ზრდა გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, დირექტორთა მოვალეობას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებამდე გიათვალისწინონ კომპანიის წესდება და აქციონერთა სპეციალური მითითებანი. ეს დაეხმარება მათ უფრო კარგად გააცნობიერონ რა მიიჩნევა კონკრეტული კომპანიისათვის წარმატებად და რა მიზანს ისახავს იგი. ხოლო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს აქციონერთა როგორც ერთი მთლიანის, და არა რომელიმე ჯგუფის ან უმრავლესობაში მყოფი აქციონერების, საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით."[636]

---

[633] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 260.

[634] *Hutton v. West Cork Railway Co* (1883) May 29, LR 23 Ch D654 ხელმისაწვდომია: http://web2.westlaw.com (ბოლოს გამოხმობილია: 10.06.2014)

[635] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 262.

[636] ციტირებულია *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 262. მიხედვით

ვალდებულება, ხელი შეუწყოს კომპანიის წარმატებას, მოითხოვს დირექტორისგან გააკეთოს რეპორტი სკუთარი ან სხვა, კოლეგა დირექტორების მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ. *British Midland Tool Ltd v. Midland Internacional* საქმის განხილვისას მოსამართლემ განმარტა: კომპანიისათვის წარმატების მოსატანად მოქმედების ვალდებულება, მოიცავს დირექტორის მხრიდან ისეთ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლებმაც შესაძლოა კომპანიის ინტერესები დააზარალოს. [637] აღნიშნული ვალდებულება არსებითად კეთილსინდისიერების მოვალეობიდან მომდინარეობს.

კეთილსინდისიერების მოვალეობა, ავალდებულებს დირექტორს მიიღოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება. ვალდებულების დარღვევის საფრთხე გარდაუვლად არსებობს როდესაც იგი ისეთ დამოკიდებულებაშია მესამე მხარესთან, რომ მას წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, შესაბამისად აღნიშნული მოვალეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერსთა კონფლიქტის შემცველ გარიგებებთან.[638]

დირექტორი დაარღვევს ვალდებულებას მიიღოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება, თუკი იგი იმოქმედებს ისე, როგორც ამას მას უკარნახებს დირექტოთა უმრავლესობა, ან ამ ორგანოს დომინანტი პერსონები, ან თუკი დაუფიქრებლად დაეთანხმება იმ პირთა მოთხოვნებს, რომლებიც კომპანიას აკონტროლებენ.[639]

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დირექტორი ვალდებულია "ბრმად" არ ენდოს რჩევას. რა თქმა უნდა, მას რჩევების მიღების უფლება აქვს და, ზოგ შემთხვევებში, ვალდებულიც არის მიმართოს შესაბამის სპეციალისტს, მაგრამ იგი ამასთან ერთად ვალდებულია კარგად გააანალიზოს მოპოვებული ინფორმაცია და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.[640]

ერთგულების მოვალეობა განსაზღვრავს თუ რის მიღწევას უნდა ცდილობდეს დირექტორი მოვალეობათა განხორციელებისას, ხოლო ზრუნვის მოვალეობა კი ადგენს, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული იგი; ერთგულების მოვალეობა ავალდებულებს დირექტორს, რომ გადაწყვეტილება შთაგონებული იყოს კომპანიის და სტეიკჰოლდერების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას ინფორმირებულობის და სათანადო განსჯის საფუძველზე, კეთილგონიერების გამოჩენას ზედამხედველობის (მონიტორინგის) ფუნქციების განხორციელებისას.[641]

კეთილსინდისიერების მოვალეობა ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობებისაგან განსახავებით, არ განსაზღვრავს არც მიზანს, რომლის მიმართაც უნდა იყოს მიმართული დირექტორთა ქმედება, და არც გზას ამ მიზნის მისაღწევად. ერთგულების და ზრუნვის

---

[637] *British Midland Tool Ltd v. Midland Internacional (2003) March 26* EWHC 954 (Ch) ხელმისაწვდომია: http://web2.westlaw.com (ბოლოს გამოხმობილია: 10.06.2014)

[638] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 287.

[639] *იქვე*.287.

[640] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 293.

[641] *Furlow,* Good Faith, Fiduciary Duties and The Business Judgment Rule in Delaware , Utah law Review, #3, 2009, 1069.

მოვალეობები განსაზღვრავენ დირექტორთა ქცევას. კეთილსინდისიერების მოვალეობა არ განსაზღვრავს დირექტორთა ქცევას, არამედ დირექტორის შინაგან დამოკიდებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კეთილსინდისიერება წარმოადგენს დირექტორის შინაგან დამოკიდებულებას რომელიც მოიცავს :

- მიზნის მიმართ გულწრფელობას;
- მოვალეობების მიმართ ერთგულებას;
- სამეწრამეო საქმიანობის განხორციელების პროცესში სამართლიანი დამოკიდებულების სტანდარტის დაცვას;
- კომპანიისგან სარგებლის გამოწურვის და პოზიციის ბოროტად გამოყენების განზრახვის არარსებობას.

შესაბამისად იგი წარმოადგენს, გულწრფელობის, სამართლიანობისა და პატიოსნების საფუძველზე მოქმედებას იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება მიზანშეწონილია კომპანიის საუკეთესო ინტერესებისათვის.[642]

ერთგულების მოვალეობის თანახმად, დირექტორის მიზანი უნდა იყოს მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიისა და სტეიკჰოლდერების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. მაგარამ აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება მომავალს, ხოლო არავინ იცის რა მოხდება მომავალში და როგორი გადაწყვეტილება მოხვდება იმ კონტურებში, რომელიც კომპანიის საუკთესო ინტერესებს შემოფარგლავს. ამიტომ დირექტორს უწევს გარკვეული სახის პროგნოზის გაკეთება, თუმცა ცხადია, იგი ვერ იქნება დარწმუნებული, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით განვითარდება. ვინაიდან წარმოუდგენელია დირექტორს მოთხოვო იმის ცოდნა, თუ რა მოხდება მომავალში, მათ აქვთ საშუალება მიიღონ გადაწყვეტილება კეთილსინდისიერი რწმენით და სწორედ ასეთი რწმენის საფუძველზე იხელმძღვანელონ. შესასბამისად ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარე დირექტორს გულწრფელად და კეთილსინდისიერად უნდა სწამდეს, რომ მოქმედებათა გეგმა კომპანიიის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება. ხოლო აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კეთილსინდისიერება გამოხატავს დირექტორის დამოკიდებულებას საქმისადმი, რომელიც წარმოადგენს ერთგულების მოვალეობის განმსაზღვრელს[643]. უნდა აღინიშნოს, რომ დელავერის შტატში არსებობს გადაწყვეტილებანი, სადაც კეთილსინდისირების მოვალეობა განხილულია როგორც ერთგულების მოვალეობისაგან დამოუკიდებელი მოვალეობა.[644]

"მეწარმეთა შესახებ" კანონის 9.6 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად. ***კერძოდ,*** ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი,

---

[642] *Furlow,* Good Faith, Fiduciary Duties and The Business Judgment Rule in Delaware , Utah law Review, #3, 2009, 1069.

[643] *Furlow,* Good Faith, Fiduciary Duties and The Business Judgment Rule in Delaware , Utah law Review, #3, 2009, 1070.

[644] იხ. *Cede & Co. v. Technicolor, Inc*., 634 A.2d 345, 360 (Del. 1994)

(ზრუნვის მოვალება) და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის (ერთგულების მოვალეობა). აღნიშნული ნორმა უთითებს კეთილსინდისიერებაზე, თუმცა მისი ფორმულირებიდან გამომდინარეობს, რომ ზრუნვის და ერთგულების მოვალეობა კეთილსინდისიერების შემადგენელი კომპონენტებია, რაც ცალსახად არ არის სწორი. კანონის ტექსტში სიტყვა "კერძოდ" გამოყენება აბსოლულუტურად უადგილოა.

გაცილებით უფრო სრულყოფილ ფორმულირებას იძლევა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის 16.1. მუხლი, რომელიც ანგარიშვალდებული საწარმოს დირექტორთა ვალდებულებებს ეხება. დასახელებული მუხლის პირველი პინქტის თანახმად: ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა:

ა) მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად;
ბ) ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი;
გ) მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე უკეთესია საწარმოსა და მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ინტერესებისათვის.

მოცემული ნორმა დირექტორთა სამ ძირითად მოვალეობას გამოყოფს: კეთილსინდისიერების, ზრუნვის და ერთგულების მოვალეობებს, თუმცა ამ ნორმის მოქმედება გავრცელდება ანგარიშვალდებულ საწარმოზე.

კეთილსინდისიერება წარმოადგენს იმ ფუნდამენტს, რომელზეც დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები. ამ ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრეზუმცია მოქმედებს. საწანააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ყველა კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი, ხოლო 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ქართული კანონმდებლობა კეთილსინდისიერების სტანდარტს იცნობს და მასზე აგებს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს. ანალოგიური კეთილსინდისიერების მოვალეობა უნდა მოქმედებდეს კომპანიის ხელმძღვანელ პირთა მიმართაც, ვინაიდან ივარაუდება რომ დირექტორი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალებას სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. კეთილსინდისიერების პრეზუმციის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელი იქნებოდა კომპანიის ჩვეულებრივი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელება და დირექტორის მოვალეობათა შესრულება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში დირექტორი უნდა იყოს მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ, რაც აშკარად ეწინააღმდეგება კორპორაციული მართვის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

კეთილსინდისიერების მოვალეობის საკანონმდებლო დონეზე განმტკიცების პარალელურად, შეუძლებელია არსებობდეს მისი

ლეგალური დეფინიცია, ვინაიდან კეთილსინდისიერება დაკისრებული მოვალეობისადმი დირექტორის შინაგან დამოკიდებულებას გამოხატავს. აღნიშნული გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დირექტორის კეთილსისნდისიერბა ანუ მისი შინაგანი დამოკიდებულება მნივნელოვანია როგორც ზრუნვის ასევე ერთულების მოვალეობის შესრულებისას. შესაბამისად, კეთილსინდისიერება წარმოადგენს იმ ინგრედიენტს, რომელიც აუცილებელია, რათა დადგინდეს დარღვეულია თუ არა ზრუნვის ან/და ერთგულების მოვალეობა. იგი წარმოადგენს სუბიექტური შეფასების კრიტერიუმს, ამგვარად ის ცალკე დამოუკიდებლად არსებობს არა როგორც დამოუკიდებელი მოვალეობა, არამედ როგორც ორი ძირითადი მოვალეობის ერთგულების და ზრუნვის მოვალეობის დამაზუსტებელი და გამაერთიანებელი საშუალება.

შესაძლებელია იყო კეთილსინდისიერი და ამავდროულად არღვევდე ზრუნვის მოვალეობას, ხოლო თუ ხარ კეთილსინდისიერი ერთგულების მოვალეობას ვერ დაარღვევ, ვინაიდან ერთგულების მოვალების დარღვევის წინაპირობა არაკეთილსინდისიერებაა. თუმცა აქვე უნდა ითქვას რომ არაკეთილსინდისიერი მოქმედებით ზრუნვის მოვალობის დარღვევაც შესაძლებელია. მაგალითად, თუკი დირექტორი არაკეთლსინდისიერად მოეკიდება საკითხს, არ შეისწავლის ყველა საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას საწარმოს შერწყმის შესახებ, დაარღვევს ზრუნვის მოვალეობას, ვინაიდან იგი არაკეთილსინდისიერი იყო კომპანიის მიმართ, არ შეისწავლა საკთხი და თავი ჩაიყენა არაინფორმირებულ მდგომრეობაში. არაინფორმირებულობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება კი, როგორც ზემოთ აღინიშნა ზრუნვის მოვალეობის დარღვევას წარმოადგენს.

5. განსხვავება ერთგულებისა და ზრუნვის მოვალეობას შორის

ერთგულებისა და ზრუნვის მოვალეობები წარმოადგენენ იმ ფუნდამენტურ მოვალეობებს, რომლებიც დირექტორებს გააჩნიათ საწარმოს მიმართ. მათი დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას, თუმცა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დადგინდეს, თუ რომელი მოვალეობა იქნა დარღვეული. დელავერის შტატში სასამართლო აუცილებლად მიჯნავს ამ მოვალეობებს ერთმანეთისგან და გადაწყვეტილებაში უთითებს, თუ რომელი მათგანი დაარღვია დირექტორმა, ვინაიდან სხვადასხვა კრიტერიუმით ხდება იმის შეფასება თუ რომელი ვალდებულების დარღვევას ქონდა ადგილი. შესაბამისად, თუკი მათ შორის განსხვავება მკაფიოდ არ არის დადგენილი, სწორი გადაწყვეტილების მიღება მარტივად რომ ითქვას გართულდება.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი ნათლად არ მიჯნავს ზრუნვის, ერთგულებისა და კეთილსინდისიერების მოვალეობებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიჯნის გავლება სასამართლო პრაქტიკის საქმეა, თუმცა სამწუხაროდ ქართულ სასამართლო გადაწყვეტილებებში მსგავსი სახის გამიჯვნას ვერ შეხვდებით. აღნიშნულის

გათვალისწინებით მიზანშეწონილია განიმარტოს რა განსხვავება არსებობს მათ შორის და რა წინაპირობების მიხედვით ხდება დადგენა, თუ რომელი მათგანის დარღვევასთან გვაქვს საქმე.

აღნიშნულ განსხვავებაზე თუ მსგავსებაზე მსჯელობას არ აქვს მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა, არამედ იგი პრაქტიკისათვის არის მეტად საინტერესო.

5.1. ფიდუციურ მოვალეობათა განმარტებისათვის

დირექტორთა იმ მრავალრიცხოვანი ვალდებულებების გადმოსაცემად, რაც მათ კომპანიის მიმართ გააჩნიათ, საქართველოში ხშირად იყენებენ ფორმულირებას: "ფიდუციური მოვალეობანი" და მასში მოიაზრებენ ყველა ვალდებულებას რაც კი დირექტორატს შეიძლება ჰქონდეს.

ინგლისელი იურისტი როდესაც საუბრობს ფიდუციურ ვალდებულებებზე, არ მოიაზრებს დირექტორთა ყველა იმ ვალდებულებას, რაც მათ გააჩნიათ კომპანიის მიმართ. შესაბამისად, მიზანშეწონილია ტერმინთა ზუსტი გამოყენება შემდგომი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით. კომპარატივისტული კვლევების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მკითხველისათვის უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გაცნობა და შედარება ეროვნულ კანონმდებლობასთან. ასეთი კვლევების მიზანია გაუადვილოს პროფესიული ურთიერთობა იურისტებს სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმის მქონე ქვეყნებთან, მიაწოდოს ინფორმაცია ეროვნულ დონეზე და ამ გზით ხელი შეუწყოს სამართლის ამა თუ იმ დარგის განვითარებას.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისოდ დამკვიდრებული ტერმინების შინაარსის გააზრებას და გამოყენებას. სწორედ ასეთ ტერმინს წარმოადგენს დირექტორთა "ფიდუციური მოვალეობანი" *(Fiduciary Duties).*

ბრიტანულ იურიდიულ ლიტერატურაში კანონით განმტკიცებული ძირითადი ვალდებულებანი და ფიდუციური ვალდებულებანი ერთმანეთისაგან განსხვავდება და შესაბამისად, შედეგებსაც განსხვავებულს იწვევს, ვინაიდან "ფიდუციარის" მიერ ნებისმიერი სახის ვალდებულების დარღვევა არ ნიშნავს ფიდუციური ვალდებულების დარღვევას.[645]

როგორც ლორდმა გოლდსმიტმა თავის სიტყვაში აღნიშნა: საკანონმდებლო ფორმულირება "ძირითადი ვალდებულებანი" არ გულისხმობს, რომ დირექტორატის ვალდებულებათა ჩამონათვალი ამომწურავი და ყოვლისმომცველია. მას დასახელებულ ძირითად ვალდებულებათა გარდა უამრავი ვალდებულებანი გააჩნიათ კომპანიის მიმართ და მხოლოდ ის ფაქტი, რომ კანონი ძირითად ვალდებულებებს აწესებს, დიერექტორს არ აძლევს საშუალებას გაექცეს სხვა სახის ვალდებულებებს, რაც მათ გააჩნიათ.[646] მისივე განმარტებით, ძირითად

---

[645] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 223.

[646] *Lord Goldsmith, Lords Grand Committee,* 6 Fabruary 2006, ტექსტი ხელმისაწვდომია :

ვალდებულებათა საკანონმდებლო რეგულირების მიზანს დირექტორთათვის სათანადო ინფორმაციის და ცოდნის მიწოდება წარმოადგენს და იგი მიზნად არ ისახავს მხოლოდ პასუხისმგებლობის დაკისრებას მათთვის.[647]

Bristol and West Building Society v. Mothew საქმის განხილვისას მოსამართლემ განმარტა რომ "ფიდუციარი, ანუ მინდობილი პირი, არის პირი რომელმაც იკისრა ვალდებულება იმოქმედოს მესამე პირის სასარგებლოდ ან მისი სახელით იმგვარად, რომ მათ შორის წარმოიშვა ნდობითი ურთიერთობა. მინდობილი პირის განმასხვავებელ ვალდებულებას წარმოადგენს ერთგულების ვალდებულება. მან უნდა გამოიჩინოს მიზანმიმართული ერთგულება მიმნდობის მიმართ. ხოლო ამ ძირითად ვალდებულბას გააჩნია რამდენიმე ასპექტი: მინდობილი პირი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, არ უნდა მიიღოს სარგებელი ნდობის გამო, არ უნდა ჩაიყენოს თავი ისეთ მდგომარეობაში, სადაც შესაძლოა მისი ვალდებულებისა და პირადი ინტერესების კონფლიქტი, არ უნდა იმოქმდოს საკუთარი ან მესამე პირის სასარგებლოდ, მიმნდობი პირისაგან სათანადო ინფორმირებულობის საფუძველზე გაცემული თანხმობის გარეშე.

ზემოაღნიშნული ჩამონათვალი სრულყოფილი არ არის, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ განისაზღვროს ფიდუციური მოვალეობის ბუნება".[648] აღნიშნულდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის გაკეთება, რომ ფიდუციური მოვალეობა ერთგულების და კეთილსინდისიერების მოვალეობებს გულისხმობს.[649]

Extrasure Travel insurance Ltd v. Scattergood საქმის განხილვისას, მოსამართლემ ჯონათან ქროუმ *(Jonathan Crow)* აღნიშნა, რომ "ფიდუციური მოვალეობა დაკავშირებულია კეთილსინდისიერებისა და ერთგულების ვალდებულების კონცეპტთან, და არა კომპეტენტურობასთან. ნათელი განსხვავება არსებობს ფიდუციურ ვალდებულებასა და სხვა ვალდებულებებს შორის, რომელიც ფიდუციურ ურთიერთობაში მყოფ პირს შეიძლება ჰქონდეს. ამ პოზიციაში მყოფ პირს შესაძლოა წარმოეშვას დელიქტური ან სახელშეკრულებო ვალდებულებანი და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ფიდუციურ ვალდებულებებს წარმოადგენენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ღრმა არაკომპეტენტურობა შესაძლოა გახდეს მოთხოვნის საფუძველი და განხილულ იქნეს როგორც ზრუნვის მოვალეობის ან სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, მაგრამ არა როგორც ფიდუციური ვალდებულების დარღვევა. შესაბამისად, თუკი გავითვალისწინებთ ყველა გარემოებას დავინახავთ, რომ დირექტორს გულწრფელად სწამდა, რომ საწარმოს საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა და მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც განხილვისას გამოჩნდა, მისი ეს რწმენა არაგონივრული იყო, ან თუკი

---

http://www.publications.parliament.uk/pa/ld200506/ldhansrd/vo060206/index/60206-x.htm, (ბოლოს გამოხმობილია: 06.06.2014)

[647] *Lord Goldsmith, Lords Grand Committee,* 6 Fabruary 2006, ტექსტი ხელმისაწვდომია : http://www.publications.parliament.uk/pa/ld200506/ldhansrd/vo060206/index/60206-x.htm, (ბოლოს გამოხმობილია: 06.06.2014)

[648] *Bristol and West Building Society v. Mothew 1996 Ch 1, 18A* ხელმისაწვდომია: http://www.bailii.org/ew/cases/EWCA/Civ/1996/533.html (ბოლოს გამოხმობილია:06.06.2014)

[649] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 224.

მისმა ქმდებამ ზიანი მიაყენა კომპანიას, არ მიუთითებს ფიდუციური ვალდებულების დარღვევაზე."[650]

ზემოთმოყვანილი განსხვავების არსებობა ფიდუციურ და ძირითად ვალდებულებებს შორის არ უნდა იქნეს ისე გაგებული, რომ მათ შრის ურთერთკავშირი არ არსებობს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ დირექტორთა მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ერთზე მეტი ვალდებულების დარღვევას, ნათელი გახდება მათი განსხვავებულობის მაგრამ იმავდროულად, თანაარსებობის მნიშვნელობა და შესაძლებლობა.[651]

ზემოაღშნულის გათვალისწინებით, ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, დირექტორს კომპანიის მიმართ გააჩნია ფიდუციური ვალდებულებანი და ვალდებულება გამოიჩინოს გონივრული ზრუნვა, ფლობდეს საჭირო უნარებს *(Duty of care and skill)*.[652]

შესაბამისად, ფიდუციური მოვალეობა მოიცავს ერთგულების და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კეთილსინდისიერების მოვალეობას, მაგრამ არა ზრუნვის მოვალეობას. სასურველია, რომ საქმის განხილვისას სასამრთლომ ნათლად გამიჯნოს ფიდუციური ვალდებულებაა დარღვეული თუ ზრუნვის ვალდებულება, ვინაიდან როგორც წესი, მათი დარღვევის გამო სხვადასხვა შედეგები დგება. მაგალითად, შესაძლებელია წესდებით გათვალისწინებულ იქნეს ზრუნვის ვალდებულების დარღვევის გამო დირექტორის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ფიდუციურ ვალდებულებათა (ერთგულების და კეთილსინდისიერების ვალდებულება) დარღვევის შემთხვევაში დირექტორის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობას არ იცნობს აშშ-ის, ინგლისის, გერმანიისა და საქართველოს კანონმდებლობა.

5.2. განსხვავების პრაქტიკული მნიშვნელობა

ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობას შორის განსხვავების არსებობას, ფესვები ინგლისურ პრეცენდენტულ სამართალში აქვს.[653] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ კანონმდებლობაში იშვიათად შეხვდებით მითითებას ერთგულების მოვალეობაზე და ტერმინის

---

[650] *Extrasure Travel insurance Ltd v. Scattergood (2003) 1 BCLC 598,* xelmisawvdomia: http://web2.westlaw.com/find/default.wl?mt=WestlawUK09&db=4902&rs=WLW14.04&findtype=g&tc=1&rp=%2ffind%2fdefault.wl&spa=intmpg000&ordoc=2002734656&serialnum=2002734656&vr=2.0&fn=_top&sv=Split&tf=-1&pbc=23608274&utid=2 (ბოლოს გამოხმობილია:06.06.2014)

[651] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 224.

[652] *იქვე*.228.

[653] *Drygala, Tim*, Directors Liability in the Member States of the European Union, in: *Lutter , Marcus (Edit)* Legal Capital in Europ, 2006.p.232-248, მითითებულია: *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 147. მიხედვით.

“ერთგულების მოვალეობა” გამოყენებას. ინგლისელი იურისტების ძირითადი მსჯელობის საგანს წარმოდგენს განსხვავების არსებობა ფიდუციურ მოვალეობას და იმ მოვალეობას შორის, რომელსაც ისინი “ზრუნვისა და უნარების” *(Duty of care and skill)* მოვალეობას უწოდებენ.[654] კომპანიათა შესახებ აქტშიც არ არსებობს კონკრეტული მითითება ერთგულების მოვალეობასთან დაკავშირებით.[655]

კომპანიათა შესახებ აქტში აღნიშნულია, რომ დირეტორს გააჩნა საწარმოზე გონივრული ზრუნვის და უნარების ფლობის მოვალეობა, შესაბამისად პრაქტიკული შეკითხვა რაც შეიძლება არსებობდეს, შემდგომში მდგომარეობს: კომპარატივისტულ ლიტერატურაში გამოყენებული გულმოდგინების მოვალეობა *(duty of diligence)*[656] მოიცავს თუ არა იგივე საზღვრებს, რასაც ინგლისურ ლიტერატურაში გამოყენებული ზრუნვის მოვალეობა *(duty of care).* პროფესორი კლაუს ჰოფტი, აღნიშნავს რომ გულმოდგინების მოვალეობა წარმოადგენს ზოგად ფორმულას უფრო სპეციფიკური ვალდებულებებისათვის, რომლებიც დაკონკრეტებულ იქნა სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის მიერ.[657] (*“The duty of duligence is just a general formula for more specific duties which have been concretized by case law and legal literature. One of these is the duty to act within the limits of the law*”)

აშშ-ში ტერმინი “ფიდუციური მოვალეობა” დირექტორთა ვალდებულებას გამოხატავს და ძირითადად მოიცავს ზრუნვისა და ერთგულების ვალდებულებას, ასევე კეთილსინდისიერების ვალდებულებას, თუკი მას ცალკე ვალდებულებად განვიხილავთ. კომპანიათა შესახებ აქტი[658] ცალსახად აღნიშნავს, რომ ფიდუციური ვალდებულება, კანონში კონკრეტულ ვალდებულებათა გარდა ასევე, არსებითად დირექტორის ნებისმიერი სახის ვალდებულებას მოიცავს კომპანიის მიმართ.[659]

მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ტერმინის კონტექსტუალურ გამოყენებასაც, ვინაიდან იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო დირექტორთა, არამედ აქციონერთა და ზოგ შემთხვევებში კრედიტორთა მიმართაც, რადგანაც მათაც გააჩნიათ ფიდუციური ვალდებულებანი საწარმოს მიმართ.

გერმანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის 43-ე პარაგრაფი *(GmbHG, &43)* წარმოადგენს საკვანძო მუხლს გერმანულ შპს-ში დირექტორთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. რადგანაც საკვანძო მუხლს წარმოადგენს მის განმარტებასა და ინტერპრეტაციას მნიშვენელოვანი ადგილი ეთმობა გერმანულ

---

[654] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 147.

[655] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 147.

[656] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში duty of diligence გადათარგმნილია როგორც გულმოდგინე ხელმძღვანელის მოვალეობა, იგი ასევე გამოიყენება როგორც ზრუნვის მოვალეობის (duty of care) სინონიმი.იხ. *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა “სამართალი,” თბ., 2006, 199.

[657] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 148.

[658] *Companies Act, sec.178 (2)*

[659] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 150.

იურიდიულ ლიტერატურაში, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ინგლისელი იურისტისათვის, რბილად რომ ვთქვათ, აღნიშნული მუხლი ბუნდოვანია.[660]

გერმანული სტანდარტის თანახმად, სავსებით ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო რეგულაციამ თავისი კონტურები მეცნიერთა ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებების შესაბამისად შეიძინოს. [661] გერმანელი იურისტისათვის ნათელია, რომ *GmbHG, &43* ადგენს ძირითად წესებს და კონკრეტულად არ აყალიბებს ნორმებს დირექტორთა ვალდებულების შესახებ. მაგალითად, აღნიშნული პარაგრაფის მეორე ნაწილი ძალზე ზოგადია, რომლის თანახმადაც: "დირექტორები, საწარმოს მიმართ დარღვეული ვალდებულების გამო პასუხს აგებენ სოლიდარულად, ცალ-ცალკე და ერთობლივად." [662] შესაბამისად, როგორც ჩანს 43(2) პარაგრაფი დირექტორთა ვალდებულებებზე საუბრობს ყოველგვარი კონკრეტიზაციის გარეშე, (აქ დაკონკრეტებული არ არის თუ რა ვალდებულებებზეა საუბარი) მაგრამ აღნიშნული ნორმიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ არსებობს მთელი რიგი ვალდებულებებისა, რომლებიც დირქტორებს გააჩნიათ და რომელთა დარღვევაც მათ პასუხისმგებლობას გამოიწვევს.[663]

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ შპს-ს შესახებ გერემანული კანონი არც ადგენს და არც გამორიცხავს ერთგულებისა და სხვა ფიდუციურ ვალდებულებებს. [664] დღესდღეობით არც შპს-ს შესახებ კანონი *GmbHG,* და არც სს-ის შესახებ კანონი (*Aktiengesetz (AktG))* არ საუბრობს ერთგულების მოვალეობაზე *(Treupflicht,/ - Duty of loyalty)* და აღნიშნული კონცეფტი კომპარატივისტული დოგმატური ნაშრომების ინოვაციას წარმოადგენს.[665]

შპს-ს შესახებ 43-ე პარაგრაფი საკმაოდ მოქნილია და კომფორტულ გარემოს ქმნის სასამართლოსათვის მისი განმარტების თვალსაზრისით.[666]

გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, მოპასუხე დირექტორმა შეიტყო ახალი ტექნოლოგიის შესახებ, რომლის კომპანიის პროდუქტის გაუმჯობესებისათვის გამოყენება იყო შესაძლებელი. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გამოეყენებინა ახალი ტექნოლოგია კომპანიის ინტერესებისათვის, იგი გადადგა დირექტორის პოზიციიდან, ხოლო ცოტა ხანში თვითონ შექმნა ყოფილი კომპანიის კონკურენტული ბიზნესი. ფედერალურმა სასამართლომ თავდაპირველად განმარტა, რომ დირექტორს გააჩნია ვალდებულება არ იყოს

---

[660] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 153.

[661] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 153-154.

[662] Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung (GmbHG)&43 (2) ხელმისაწვდომია: http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/gmbhg/gesamt.pdf(ბოლოს გამოხმობილია: 17:05.2014)

[663] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 154.

[664] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 155.

[665] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 155.

[666] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 155.

კონკურენციაში საკუთარ კომპანიასთან, თუმცა აღნიშნული მუხლი ეხება დირექტორის პოზიციაზე მყოფ პირს და მისი გავრცელება, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხე დირექტორის მიმართ ვერ მოხერხდა, ვინაიდან კომპანიასთან კონკურენციას ადგილი ჰქონდა დირექტორის პოზიციიდან წასვლის შემდეგ, აღნიშნული ნორმა კი დირექტორს უკრძალავს კომპანიასთან კონკურენციას. ამის ნაცვლად, მოსამართლემ უფრო ზოგად და მნიშვნელოვან ვალდებულებაზე გააკეთა ხაზგასმა და განმარტა, რომ დირექტორი ვალდებულია დაიცვას კომპანიის ინტერესები და პირად ინტერესებზე უფრო მაღლა დააყენოს ისინი. შესაბამისად, ფედერალურმა სასმართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში დირექტორი ჯერ კიდევ არ იყო წასული სამსახურიდან, იგი ასრულებდა თავის მოვალებას, როდესაც ახალი ტექნოლოგიების შესახებ შეიტყო, ამიტომ მან დაარღვია საწარმოს მიმართ ერთგულების მოვალება, როდესაც სათანადო გულმოდგინება არ გამოიჩინა და საწარმოსათვის ახალი ტექნოლოგიის შეძენა არ უზრუნველყო. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ დირექტორის სათანადო გულმოდგინების *(Gebotene Sorgfalt / Due Diligence)* მოვალეობა ოთხჯერ არის ნახსენები, ხოლო ერთგულების მოვალეობა *(Treupflicht, / Duty of loyalty)* მხოლოდ ერთხელ გამოიყენება, ისიც გულმოდგინების მოვალეობასთან კომბინაციაში. *Sorgfalt-und Treupflicht / Duty of diligence and loyalty.* გადაწყვეტილების საკანონმდებლო საფუძვლად სასამართლო უთითებს შპს-ს შესახებ კანონის 43-ე პარაგრაფის პირველ ნაწილზე, რომელიც ძალიან ზოგადია და ადგენს დირექტორის მოვალეობას მართოს კომპანია მოწესრიგებული ბიზნესმენის გულმოდგინებით.[667] აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ერთგულების მოვალეობა კონცეპტუალიზირებულია როგორც უფრო ფართო გულმოდგინების მოვალეობის ერთ-ერთო ასპექტი.[668]

მეწარმეთა შესახებ კანონის ტექსტში მხოლოდ ერთხელ არის "გულმოდგინება" გამოყენებული სს-ის დირექტორთა მოვალეობასთან კავშირში. კერძოდ, 56.4 მხულის პირველი წინადადების თანახმად, დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის თანხმად თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით შესაძლებელია თუ არა დასკვნის გაკეთება, რომ ქართული კანონმდებლობაც იცნობს გულმოდგინების მოვალეობას სწორედ ისეთ სტანდარტს, როგორც ეს გერმანული კანონმდებლბით არის დადგენილი? რას მოიცავს ქართული კანონმდებლბით დადგენილი გულმოდგინების მოვალეობა არის ის ისეთივე ფართო და ზოგადი ცნება როგორც პროფესორი ჰოპტი აღნიშნავს და აქაც წარმოადგენს ზოგად ფორმულას უფრო სპეციფიკური ვალდებულებებისათვის, რომლებიც დაკონკრეტებულ უნდა იქნეს სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის მიერ? დასახლებეული ნორმების ანალიზის საფუძველზე ანალოგიური დასკვნის გაკეთება შესაძლებელია. თუმცა კიდევ ერთხელ იგრძნობა

---

[667] *GmbHG &43 (1)*

[668] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 156.

მეწარმეთა შესახებ კანონის არასისტემურობა და არათანმიმდევრულობა, ვინაიდან კანონის მე-9 მუხლი არ იყენებს დირექტორათა მოვალეობების მიმართ სიტყვას "გულმოდგინება", აქ აქცენტი გაკეთებულია კეთილსინდისიერებაზე.

სადავოა არის კეთილსინდისიერების ვალდებულება ერთგულების მოვალეობის შემადგენელი ნაწილი, თუ იგი ცალკე მოვალეობას წარმოადგენს. ზრუნვის მოვალეობის დამოუკიდებლად არსებობა უდავოა და ეჭვს არ იწვევს. აღნიშნულის გათვალისწინებით კანონის მიერ არჩეული უნდა იქნეს განვითარების რა გზას დაადგება, აირჩევს გერმანულ მოდელს სადაც გულმოდგინების მოვალეობა მოიცავს არებითად ყველა მოვალეობას და ამ მოვალეობის განმარტების საფუძველზე უნდა მოხდეს დრექტორის მოვალეობათა დაკონკრეტება თუ აირჩევს მოდელს, რომლის თანახმადაც ზრუნვისა, ერთგულებისა და კეთილსინდისიერების მოვალეობის ზოგადი დეფინიცია მოცემულია კანონში. ისინი განსხვავებულია ერთმანეთისგან და შესაბამისად, მათი დარღვევაც განსხვავებულ შედეგებს იწვევს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სათანადოდ არ არის განვითარებული სამართლის ეს დარგი და სასამართლო პარქტიკა, შემდგომი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესია საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ძირითად მოვალებათა განსაზღვრა. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ რომ 2006 წლის რეფორმის შედეგად, დირექტორის მოვალეობათა საკანონმდებლო დონეზე დეტალურ მოწესრიგებას მიანიჭა პრიორიტეტი პრეცედენტული სამართლის მიმდევარმა ქვეყანამ, ინგლისმა.

პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ გერმანული კანონმდებლობა დირექტორის მოვალეობასთან დაკავშირებით, უფრო მეტად ეყრდნობა "დაუწერელ ნორმებს", ვიდრე ინგლისის კანონმდებლობა კომპანიათა შესახებ აქტის *(Companies Act. 2006)* მიღების შემდეგ.[669]

ინგლისელი იურისტი საწარმოზე გონივრული ზრუნვის, გულმოდგინების და უნარების ქონის მოვალეობას აღიქვამს, როგორც ერთ ვალდებულებას დირექტორთა მთელ რიგ ვალდებულებებს შორის, რაც განსხვავდება ფიდუციური ვალდებულებისაგან, რადგან ისინი არ ეყრდნობიან ზრუნვისა და გულმოდგინების სტანდარტს.[670]

აღნიშნულის საპირისპიროდ, გერმანეილი იურისტი დირექტორთა მოვალეობის ძირითად პრინციპად გულმოდგინების მოვალეობას აღიქვამს და მის ქვეშ აერთიანებს ყველა სხვა მოვალეობას, რაც დირექტორს გააჩნია, მათ შორის ერთგულების მოვალეობასაც.[671] თუმცა აღნიშნული ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ გერმანული კომპანიის დირექტორი ადვილად დააღწევს თავს პასუხისმგებლობას. თუკი ვალდებულების დარღვევამ კომპანიას ზიანი მიაყენა ითვლება, რომ დირექტორი არ მოქმედებდა სათანადო გულმოდგინების ფარგლებში, ხოლო საპირისპიროს დადასტურების ვალდებულება დირექტორს აკისრია.[672]

დირექტორს შეუძლია თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა, თუკი მის მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დამოუკიდებელი პროფესიონალური

---

[669] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 156.

[670] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 157.

[671] *იქვე.* 157.

[672] *იქვე.* 158.

რჩევის საფუძველზე, ან თუკი იგი დაეყრდნო კანონის პრაქტიკაში გაბატონებულ ინტერპრეტაციას.[673]

ვალდებულებისაგან გათავისუფლების აღნიშნული საფუძვლები გამოიყენება ერთგულების მოვალეობის დარღვევის მიმართ, ისევე როგორც მისი გამოყენება შეიძლება მოხდეს სხვა ვალდებულებათა დარღვევისას.[674]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რატომ უწოდებს, ზოგადად გერმანული იურიდიული პრაქტიკა დირექტორთა მხრიდან ვალდებულების დარღვევას გულმოდგინების მოვალეობის დარღვევას, მაშინ, როდესაც ინგლისში მას ფიდუციური მოვალეობის დარღვევას უწოდებენ.[675] *(Breach of Fiduciary Duty)*

V. სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება The Business Judgment Rule

***Business Judgment Rule* არ უზრუნველყოფს დირექტორის გადაწყვეტილების უპირობო დაცვას გასაჩივრებისაგან**

Business Judgment Rule does not irrevocably shield decisions of corporate directors from challenge[676]

---

[673] *იქვე.*

[674] *იქვე.*

[675] *იქვე.*

[676] *Gimbel v. Signal Cos, 316 A.2d 619 (Del. 1974)* ხელმისაწვდომია: https://casetext.com/case/gimbel-v-signal-companies-inc-2#.U6g3z42SxAs (ბოლოს გამოხმობილია:23.06.2014) იხ. ასევე. *Wolcott, Jr, Boswell,* Delaware Code Anotated, Michie, Delaware, 2011,P.857 იხ.ასევე. *Delaware Corporation law Annootated,* 2013-2014 Ed,As amended up

"The Business Judgment Rule – არის დირექტორატის მმართველობითი ფუნქციის პრეროგატივის აღიარება, დელავერის საკორპორაციო სამართლის 141 (a) მუხლის თანახმად, იგი წარმოადგენს პრეზუმციას, რომლის თანახმადაც იგულისხმება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას დირექტორატი მოქმედებდა ინფორმირებულობის საფუძველზე, კეთილსინდისიერად და გულწრფელი რწმენით, რომ განხორციელებული მოქმედება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს ემსახურებოდა. ხოლო პრეზუმციის გადალახვის ვალდებულება იმ მხარეს აქვს, ვინც დირექტორის მოქმედებას ეჭვქვეშ აყენებს."[677]

1. The Business Judgment Rule

1.1. Business Judgment Rule-ის განმარტებისათვის

კომპარატივისტულ კვლევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტერმინთა სწორად გამოყენებას. ასეთი კვლევისას ტერმინის თარგმნის მცდელობის შემთხვევაში სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რათა სიტყვასიტყვითი თარგმანის გამო არ დაიკარგოს ინსტიტუტის შინაარსი და შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი მკითხველი. ზოგ შემთხვევაში, ტერმინთა ზუსტი თარგმნა ვერ ხერხდება და არც არის მიზანშეწონილი. ასეთ დროს უმჯობესია ტერმინი დარჩეს იმავე ენაზე და მხოლოდ განიმარტოს მისი შინაარსი. დავის საგანს არ წარმოადგენს ის, რომ ამოსავალ წერტილად მიჩნეულ უნდა იქნეს შინაარსი, მიზანი, და არა სიტყვასიტყვითი თარგმანი.

Business Judgment Rule-გარკვეულწილად წარმოადგენს დამაბალანსებელ მექანიზმს, რომლის თანახმადაც დირექტორებს მინიჭებული აქვთ მნიშვნელოვანი და არსებითი დისკრეციის უფლება გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, მაგრამ ამავდროულად არ არიან უფლებამოსილნი საკუთარი პირადი ინტერესი დააყენონ აქციონერთა და კომპანიის ინტერესებზე ზემოთ.[678] აღნიშნული ბალანსი გამოიხატება უამრავ წინაპირობებში, რომელიც დირექტორის მიერ დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს, რომ მოხვდეს ბიზნეს ჯაჯმენტ რულის დაცის ქვეშ.[679]

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ დავეთანხმებით *Business Judgment Rule*-ის თარგმნას როგორც სამეწარმეო განსჯის წესი[680] და ამგვარად ამ ტერმინის დამკვიდრების მცდელობას ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, ვინაიდან აღნიშნული თარგმანი უფრო სიტყვა-სიტყვითია ვიდრე შინაარსობრივი და ამ ინსტიტუტის დანიშნულებისა და შინაარსის გამომხატველი, რაც თავისთავად ცხადია, მკითხველს, შეცდომაში შეიყვანს და მცდარ შეხედულებას ჩამოუყალიბებს ამრეკული სამართლის ამ მართლაც შესანიშნავ

---

to and including the 2013 Regular Session of the One Hundred Forty-Seventh General Assably, Lexis, Nexis, Delaware, 2013, 54.

[677] *Aronson vs. Lewis,* 473 A.2d 805, 811 (Del.1984)

[678] *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 110.

[679] *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 110.

[680] იხ. *მაისურაძე.*, "სამეწარმეო განსჯის წესის" განმარტებისათვის, 108-126, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1-2, 2010

ქმნილებაზე.

Business Judgment Rule-ს მისი ბუნების და შინაარსის გათვალისწინებით არ შეიძლება წესი ეწოდოს. პირიქით, აღნიშნული ინსტიტუტი სწორედაც ამტკიცებს, რომ არ არსებობს სამეწამეო გადაწყვეტილების მიღების უნიფიცირებული წესები. ბინზესის განვითარებისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით ეს შეუძლებლია. სწორედ ამიტომ *Business Judgment Rule-* მოდელირებულია იმისათვის, რათა დაიცვას ისეთი დირექტორები, რომლებიც წესებს არ ექვემდებარებიან, იღებენ სარისკო გადაწყვეტილებებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დირექტორი ხშირ შემთხვევაში "იძულებულია" მიიღოს სარისკო გადაწყვეტილება. ასეთ დირექტორს კი დაცვა სჭირდება და იმსახურებს კიდეც ამას. მთავარია რისკის აღებისას არ არღვევდეს იმ ფუნდამენტურ ვალდებულებებს, რაც საწარმოს მიმართ გააჩნია.

Business Judgment Rule არ ადგენს მოქმედების სტანდარტს, წესს, რომელიც დაცული უნდა იქნეს დირექტორთა მიერ, არამედ მისი გამოყენება ხდება სასამართლოს მიერ ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, ამ საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით. [681] სწორედ ამიტომ იგი არ წარმოადგენს ქცევის წესს დირექტორებისათვის, არამედ არის ვარაუდი, პრეზუმცია, დაშვება იმისა, რომ დირქტორი მოქმედებს კეთილსინდისიერად საწარმოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო აღნიშნული ვარაუდი მართალია მანამ, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება სასამართლოს მიერ.

საკმაოდ ხშირად არასწორად გაგებული და განმარტებული *Business Judgement Rule-* საერთოდ არ წამოადგენს რამე სახის წესს ან წესებს. მას არ აქვს სავალდებულო ხასიათის შინაარსი, ის არ შეიცავს არსებით აკრძალვებს ან ქმედების დასაშვებობას დირექტორებისათვის, არამედ წარმოადგენს დირექტორის გადაწყვეტილებაზე სასმართლოს კონტროლის სტანდარტს. სხვაგვარად მას შეიძლება დირექტორის გადაწყვეტილებაში სასამართლოს ჩაურევლობის სტანდარტი ეწოდოს.[682]

როგორც ნათლად ჩანს *Business Judgment Rule-* სულაც არ წარმოადგენს რაიმე სახის წესებს დირექტორებისათვის, არამედ იგი გამოიყენება სასამართლოს, მოსამართლის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების შესაფასებლად, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ ინსტიტუტის მნიშვნელობის სიტყვასიტყვითი თარგმანი მიზანშეწონილი არ არის.

*Business Judgment Rule-*ოპერირებს როგორც სასამართლო ეკონომიის წესი, როგორც პრეზუმცია, და როგორც "უსაფრთხო ნავსადგომი" *(Safe Harbor),* თუმცა იგი არ წარმოადგენს ქცევის წესს, რომელ ფუნქციასაც ზრუნვის მოვალეობა ასრულებს. [683] სწორედ ამიტომ, იგი კანონმდებლის მიერ დირექტორისათვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება უფროა, ვიდრე რაიმე სახის წესი და სწორედ ეს თავისუფლებაა ამ ინსტიტუტის

---

[681] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, P.224

[682] *Branson,* The rule that is not a rule- The Business Judgement Rule, ხელმისაწვდომია : http://heinonline.org, (ბოლოს გამოხმობილია: 05.05.2014)

[683] *Branson,* Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 334. (The Business Judgement Rule operates as a rule of judicial economy, as a presumtion, or as a safe harbor, The Business Judgement Rule, however, is not a rule of conduct, which remains the duty of care)

უმთავრესი ღირსება.

1.2. The Business Judgment Rule-ის მნიშვნელობა

The Business Judgment Rule- არ მიეკუთვნება სამართლის ნორმათა იმ კატეგორიას რომლის მოქმედების სფერო, გამოყენების ფარგლები ცალსახად დადგენილი და აღიარებულია იურიდიულ ლიტერატურაში თუ პრაქტიკაში. ეს ინსტიტუტი დიდი დისკუსიის საგანია, ვინაიდან გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ ბუნდოვანია მისი გამოყენების სფერო და შინაარსი. ერთი შეხედვით მარტივი, საკაორპორაციო სამართლის სფეროში მომუშავე იურისტისათვის ცნობილი ამ ინსტიტუტის სასამართლოს მიერ გამოყენება, არც თუ ისე ნათლად არის დარეგულირებული. მაგალითად, ამერიკის, კერძოდ დელავერის შტატის პრეცედენტულ სამართალში არის საქმეები, სადაც სასამართლოს მიერ არსებიათად სხვადასხვაგვარი განმარტება მიეცა ამ ინსტიტუტს და შესაბამისად, შედეგებიც განსხვავებული დადგა.[684]

The Business Judgment Rule-ის ტრადიციულ "გამართლებას" წარმოადგენს მითითება, რომ სასამართლოები არ წარმოადგენენ ბიზნეს ექსპერტებს, თუმცა ეს ვერაფერი არგუმენტია, ვინაიდან მხოლოდ ბიზნეს სამართალი არ მიეკუთვნება იმ კომპლექსურ და ბუნდოვან საქმეთა რიცხვს, რომლის გარკვევა და გადაწყვეტაც სასამართლოს უწევს. აღნიშნული ინსტიტუტის სასარგებლოდ კიდევ ერთი არგუმენტი არის ის, რომ იგი ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მასტიმულირებელ ფუნქციას.[685] როგორც აშშ-ი უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ჯექსონმა 1953 წლის გადაწყვეტილებაში შესანიშნავად აღნიშნა:

"ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოო იმის გამო არაა რომ ჩვენ უშეცდომონი ვართ, მაგრამ ჩვენ ვართ უშეცდომონი სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოოა"[686] (*"We are not final because we are infallible, but we are infallible only because we are final"*)

არც დირექტორატი და არც სასამართლო არ არის უშეცდომო, მაგრამ ვინმეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საბოლოო სიტყვა, ვინაიდან სხვა შემთხვევაში მივიღებთ საქმის გასაჩივრების და განხილვის დაუსრულებელ პროცესს. აღნიშნულიდან გამომდინარე კითხვა მარტივად ჟღერს: ვის უფრო შეეფერება გაეხვიოს "შეუცდომლის მანტიაში" და ამ მიზეზით მიეკუთვნოს საბოლოო გადაწყვეტილების უფლება, დირექტორებს თუ მოსამართლეებს.?[687]

---

[684] იხ. *Brehm v. Eisner, 746 A.2d 244 (Del.2000); McMullin v. Beran, 765 A. 2d 910 (Del.2000)* მითითებულია: *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 103. მიხედვით

[685] *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 104.

[686] *Brown v. Allen, 344 U.S. 443, 540 (1953) (Jackson, J.) იხ. Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 104.

[687] *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 104.

ერთი მხრივ რაციონალურად მოაზროვნე აქციონერისათვის შესაძლოა მენეჯმენტის მხრიდან კომპანიის მართვის პროცესში დაშვებული შეცდომა უფრო მისაღებია, ვიდრე სასამრთლოს მიერ საქმის შეცდომით განხილვა და გადაწყვეტა. მაგრამ, აღნიშნული პოზიტიური განწყობა დაშვებული შეცდომის მიმართ არსებობს მხლოდ მაშინ, თუკი დირექტორის გადწყვეტლება მოტივირებული იყო აქციონერთა სიმდიდრის გაზრდის საჭიროებით. რა მოტივები ამოძრავებდა დირექტორს გადაწყვეტულების მიღებსისას მოქდებდა თუ არა იგი სხვა საფუძლითაც, გარდა აქციონერთა შემოსვლის გაზრდისა, ადგილი ქონდა თუ არა ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებას *(self-dealing)* და ცდილობდა თუ არა იგი აქციონერთა მოტყუებას, უკვე ცდება გულწრფელად და კეთილსიდისიერად დაშვებული შეცდომის ფარგლებს და განზრახული სამართალდარღვევის *(Intentional Misconduct)* კატეგორიას განეკუთვნება. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში რაციონალურად მოაზროვნე აქციონერს ურჩევნია სასამრთლომ განიხილოს საქმე.[688]

The Business Judgment Rule - ის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის იმის აღიარება, რომ არსებულ რეალობაში დირექტორი "იძულებულია" გარკვეული რისკი გასწიოს. შესაბამისად, აღნიშნული წესი ხელს უწყობს ეფექტური კორპორაციული პოლიტიკის განვითარებას და იცავს დირექტორს, აძლევს საშუალებას მას თავი აარიდოს პირად პასუხიმგებლობას და ასევე დაიცვას თავი ე.წ. "მომჩივანი" აქციონერებისაგან.[689]

1.3. Business Judgment Rule-ის გამოყენების გამორიცხვა

Business Judgment Rule გამოიყენება, როდესაც დირექტორის მიერ ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებას აქვს ადგილი. გადაწყვეტილება მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ, ასევე ხვდება მისი მოქმედების სფეროში, მაგრამ იგი არ მოქმედებს, თუკი დირექტორის მიერ საერთოდ არ არის გადაწყვეტილება მიღებული. ნაცვლად *Business Judgment Rule-ის* გამოყენებისა, უმოქმედობის გამო დამდგარი შედეგები, ზრუნვის მოვალეობის მიმართ არსებული წინაპირობების შესაბამისად განიხილება[690].

---

[688] *იქვე.* 105.
[689] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 220.
[690] *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 110.

ა. გადაწყვეტილების მიღება პირადი ინტერესების არმქონე და დამოუკიდებელი დირექტორების მიერ

Business Judgment Rule- ის თანახმად ივარაუდება, რომ დირექტორს გადაწყვეტილების მიღებისას არ გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი. დირექტორი დაინტერესებულია, თუკი გადაწყვეტილებას მასზე მატერიალური გავლენა აქვს (ან შეიძლება ქონდეს) იმგვარად, რომ ის არ იქნება გაზიარებული კომპანიის ან/და აქციოერთა მიერ.[691]

მატერიალური გავლენის ქვეშ იგულისხმება როგორც რაიმე სარგებლის მიღება, ასევე პირიქით დანაკარგის განცდაც. დირექტორს გააჩნია პირადი დაინტერესება თუკი იგი ყიდულობს ან პირიქით მიჰყიდის რამეს კომპანიას, ან თუკი კომპანიასთან აფორმებს კონტრაქტს გარკვეული სახის მომსახურების გაწევის შესახებ (გარდა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებისა), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორი შეძლება იყოს დაინტერესებული იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი არ არის კომპანისათან გაფორმებული კონტრაქტის მხარე.[692]

გარდა აღნიშნულისა, დირექტორი ასევე დამოუკდებელი უნდა იყოს, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ კომპანიის ინტერესების და მიზნების გათვალისწინებით და არა გარე, უცხო ფაქტორების გავლენით და ზემოქმედების შედეგად.[693] აღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტორი რომლიც არის დაინტერესებული მხარის მიმართ გარკვეული ვალდებულების ან მისი გავლენის ქვეშ, ვერ აკმაყოფილებს დამოუკიდებელი დირექტორისათვის საჭირო მოთხოვნებს.[694]

ბ. თაღლითობისა და უკანონობის არარსებობა *(Absence of Fraud or Illegality)*

Business Judgment Rule გამორიცხავს სასამართლოს მიერ დირექტორატის ისეთი გადაწყვეტილების განხილვას და შეფასებას, რომელიც თაღლითურად და კანონმდებლობის დარღვევით არის მიღებული. არსებითი მნიშვნელობისაა, ზოგადად აქვს თუ არა დირექტორატს ვალდებულება იმოქმედოს კანონიერად. რა თქმა უნდა, ბორდი არ არ არის უფლებამოსილი დაარღვიოს კანონი, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა სთანადო პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.[695]

---

[691] *იქვე*..110.

[692] *იქვე*..111.

[693] *Seminaris v. Landa, 662 A.2d 1350, 1354(Del.1995)* იხ. *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 111.

[694] *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Ed, Faundation Press, New York, 2009, 111.

[695] *იქვე.* 112-113.

გ. ქონების განიავება

Business Judgment Rule ვერ დაიცავს დირექტორებს, თუკი მათი მხრიდან კომპანიის ქონების განიავებას აქვს ადგილი. აქტივის განიავება მოითხოვს მტიცებულებას, რომ მიღებული ანაზღაურება არაადექვატურია იმ სარგებელთან, რასაც კომპანია კონკრეტული ტრანზაქციიდან იღებს. სასამართლო უარს იტყვის აქტივის განიავების საფუძვლით საქმის განხილვაზე, თუკი ნებისმიერ გონიერ ადამიანს შეუძლია დაასკვნას, რომ ასეთ გარიგებას კომპანიისათვის აზრი ჰქონდა. სასამართლოს მიერ სავსებით მართებულად მიჩნეულია, რომ *აქტივის განიავების დოქტრინა* საქმის განხილვის ძალიან მკაცრ სტანდარტს წარმოადგენს, წარმატებული სარჩელები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ იშვიათია.[696]

დ. რაციონალურობა

Brehm v. Eisner საქმის განხილვისას დელავერის სასმართლომ აღნიშნა, რომ *Business Judgment Rule* არ გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა დირექტორატის მხრიდან იმგვარი მოქმედება, რომ შეუძლებელია მისი განხილვა როგორც რაციონალური, ბინზეს მიზნებისათვის მისაღწევად განხორციელებული ქმედებისა.[697] სხვაგვარად, გადაწყვეტილება იმდენად არაგონივრული და არამიზანშეწონილია, რომ არ იმსახურებს მოხვდეს *Business Judgment Rule*-ის დაცვის ქვეშ. როგორც დელავერის სასამრთლომ *Galiardi v. Trifoods Int'l, Inc.* საქმის განხილვისას აღნიშნა, დირექტორატის ზოგიერთი გადაწყვეტილება ისეთი შეუწყნარებელი, უტყვი და არაგონივრულია, რომ *Business Judgment Rule* ვერ დაიცავს მათ სასამართლოს ჩარევისაგან.[698]

ე. გადაწყვეტილების მიღება ინფორმირებულობის საფუძველზე (Process Due Care)

Business Judgment Rule-ის თანახმად, დირექტორის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს შეცდომის დაშვება, თუკი იგი სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღებისას გულწრფელი და პატიოსანი იყო.[699] აღნიშნული პრინციპი ისევე ძველია როგორც თავად ეს წესი. კერძოდ, 1829 წელს , *Percy v. Millaudon* საქმის განხილვისას მოსამართლემ აღნიშნა:

"უსამართლობა იქნება დირექტორებს მოვთხოვოთ სრულყოფილი ცოდნა, რადგან შეუმცარი არავინაა. ადამიანის ბუნება შეცდომებისკენაა

---

[696] *იქვე*. 114.

[697] *Brehm v. Eisner, 746 A.2d 244 (Del.2000)*

[698] *Galiardi v. Trifoods Int'l, Inc 683 A.2d 1049,1051-1052 (Del.ch.1996) "There is a theoretical exception... that holds, that some decisions may be so "egregious" that liability for losses the cause may follow even in the absence of proof of conflict of interest or improper motivation. The exception, however, has resulted in no awards of money judgments.."*

[699] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 221.

მიდრეკილი, შესაბამისად არავინ ისურვებს გასწიოს სამსახური ამგვარი მაკაცრი პირობებით."[700]

იმისათვის, რომ თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა და მოხვდეს *Business Judgment Rule*-ის დაცვის ქვეშ, დირექტორი ვალდებულია გადწყვეტილების მიღებისას დაიცვას შემდეგი სტანდარტი:

1. გადაწყვეტილება მიიღოს ინფორმირებულობის საფუძველზე;
2. გამორიცხოს ინტერესთა კონფლიქტი;
3. არსებობდეს გადაწყვეტილების მიღების რაციონალური საფუძველი[701]

დირექტორმა უნდა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება. როგორც აღინიშნა, ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი უფლებამოსილია დაეყრდნოს შესაბამის რჩევებს. ***გადაწყვეტილება*** ინტერესთა კონფლიქტისგან თავისუფალი უნდა იყოს, ინტერესთა კონფლქტის შემცველი გარიგების *(Self-Dealing)* არსებობა დირექტორებს უსპობს *Business Judgment Rule*-ის მიერ დადგენილი დაცვის მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობას. ***დირექტორს*** უნდა ჰქონდეს რაციონალური საფუძველი რწმენისათვის, რომ გადაწყვეტილება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება. აღნიშნული ძირითადად გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება აშკარად არაგონივრული *(Manifestly Unreasonable)* არ უნდა იყოს[702].

სასამართლოს მიერ არაერთხელ იქნა დადგენილი, რომ დირექტორატის გადაწყვეტილებას არ გააჩნია რაციონალური საფუძველი, თუკი მისი მოქმედება უხეშ გაუფრთხილებლობას შეიცავს.[703]

აშშ-ში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად *Business Judgment Rule*-ი არის პრეზემცია, რომელიც გულისხმობს, გადაწყვტილების მიღებისას :

1) დირექტორის დამოუკიდებლობას;
2) პირადი დაინტერესების არ ქონას;
3) კეთილსინდისიერებას;
4) ჯეროვანი და სათანადო მზრუნველობის გამოჩენას[704].

ამასთან სულ ცოტა ორი წინაპირობა უნდა არსებობდეს, რომ მოხდეს *Business Judgment Rule*-ის გამოყენება სასამართლოს მიერ. ***პირველი,*** იგი გულისხმობს, რომ დირექტორმა მიიღო შეგნებული და გაანალიზებული

---

[700] *Percy v. Millaudon* 68, 78 (La.1829) მითითებულია: *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 221. მიხედვით.

[701] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014,521.

[702] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014,521.

[703] *იქვე.* 521.

[704] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 225.

ბიზნეს გადაწყვეტილება. (გამოიყენება მხოლოდ დირექტორის მოქმედების შესაფასებლად და მისი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი როდესაც დირექტორებმა უარი განაცხადეს, საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე ან სახეზე არ არის გააზრებული, შეგნებული გააწყვეტილება, დირექტორმა უბრალოდ არ იმოქმედა.[705] *"Technically Speaking, the rule has no role where the directors have either abdicated their functions, or absent a conscious decision, failed to act*[706] *")* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის შეგნებული გადაწყვეტიელბა, მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ-დირექტორთა მხრიდან უმოქმედობისაგან განსხვავებით- *Business Judgment Rule* –ის დაცვის ქვეშ ხვდება.[707] ვინაიდან შეგნებული გადაწყვეტილება, რომ კონკრეტულ საკითხზე გადაწყვტილება არ იქნეს მიღებული, ასევე გადაწყვეტილებაა.[708] ***მეორე,*** *Business Judgment Rule* გამოიყენება მხოლოდ უფლაბამოსილების ფარგლებში *intra vires* განხორციელებულ კორპორაციულ მოქმედებათა მიმართ. ასევეა დიდ ბრიტანეთშიც, დირექტორებმა არ უნდა იმოქმედონ კანონდარღვევით ან უფლებამოსილებათა მიღმა *ultra vires.* გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც აქციონეთა მიერ, გაცემულია ნებართვა სათანადო წესით.[709]

თუკი დირექტორის მიერ მიღებული ბიზნეს გადაწყვეტილება არღვევს ზემოთ დასახელებულთგან რომლიმე ვალდებულებას მაინც, იგი ვერ ისარგებლებს *Business Judgment Rule*-ის მიერ დადგენილი დაცვის მექანიზმებით.[710]

ლორდთა პალატამ უარი განაცხადა დირექტორის პასუხისმგებლობაზე იმის გამო, რომ იგი ენდო სათანადო ოფიცერს და მის მიერ წარმოდგენილი ბალანსის საფიძველზე დივიდენდი გაანაწილა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ბალანსი არასწორი იყო და შესაბამისად დივიდენდიც უკანონოდ განაწილებული. პალატამ აღნიშნა რომ:

"ბიზნეს საქმიანობა ვერ გაგრძელდება, თუკი მენეჯერები არ ენდნენ პირს, რომლის პოზიციაც იმგვარია, რომ როგორც წესი, ნდობის საფუძველზე ხორციელდება მასთან ურთიერთობა."

ასეთ შემთხვევებში, სწორედ *Business Judgment Rule*-ი წარმოადგენს იმ ინსტიტუტს, რომლის გამოყენებითაც დირექტორი უსაფუძვლო პასუხისმგებლობისაგან დაცულია.[711]

კომპანიათა შესახებ აქტის შესაბამისად და დიდ ბრიტანეთში

---

[705] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 225.
[706] *Aronson v. Lewis,* 473 A.2d 805, 812 (Del. 1984).
[707] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 225.
[708] *Branson,* The rule that is not a rule- The Business Judgement Rule, ხელმისაწვდომია : http://heinonline.org, (ბოლოს გამოხმობილია: 05.05.2014)
[709] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 225.
[710] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 521.
[711] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006, 282.

დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლო მხოლოდ მაშინ ჩაერევა ბიზნეს გადაწყვეტილების განხილვაში, თუკი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დირექტორი მოქმედებდა გაუფრთხილებლად *(negligent),* ანუ თუკი მან გაუფრთხილებლობის გამო დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობანი, ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდების ვალდებულება და მესამე პირთაგან სარგებლის მიღებაზე უარის თქმის ვალდებულება.[712]

Business Judgement Rule- ის გერმანული განმარტება მნიშვნელოვნად არის ინსპირირებული ანგლო-ამერიკული მოდელის გავლენით.[713] შესაბამისად ზრუნვის ვალდებულება არ ითვლება დარღვეულად თუკი დირექტორის მიერ გადწყვეტილების მიღებისას დაცულია გარკვეული მოთხოვნები: 1. გადაწყვეტილება არის ბიზნეს გადაწყვეტილება (განსხვავებით გადწყვეტილებისგან რომლიც დადგენილია კანონის შესაბამისად, სადაც მენჯმენტის არჩევანს წარმოადგენს მხოლოდ ის, შეასრულოს კანონის მოთხოვნა თუ არა.) 2. დირექტორატის თითოეული წევრის გადაწყვეტილება თავისუფალი რაიმე სახის ინტერესისაგან. 3. გადაწყვეტილება კომპანიისათვის სასარგებლოა, 3) გადაწყვეტილება ეფუძნება სათანადო ინფორმაციას. 4. გადაწყვეტილების მიღებისას დირექტორები მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად.[714]

Business Judgment Rule – უშვებს, რომ (მოპასუხე) დირექტორი მოქმედებდა დაკისრებული მოვალეობების ფარგლებში. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი იმ მხარეზეა (მოსარჩელე), ვინც დირექტორის ქმედებას ეჭქვეშ აყენებს. მოსარჩელეს ევალება სწორედ პრეზუმციის გადალახვა (*Overcome Business Judgment Rule*). მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს, რომ დირექტორის მიერ დარღვეულია ერთ-ერთი მოვალეობა მაინც მოვალეობათა ცნობილი ტრიადიდან, კეთილსინდისიერების მოვალეობა, *(Good Faith)* ერთგულების მოვალეობა, *(Duty of Loyalty)* ზრუნვის მოვალეობა[715] *(Duty of care).*

2. Business Judgment Rule –ის ინსტიტუტი მეწარმეთა შესახებ კანონში

აშშ-სგან განსხვავებით, სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისულფლებას მეწარმეთა შესახებ კანონი არ იცნობს როგორც პრეზუმციას, რომელიც იცავს დერექტორატის წევრებს. ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავის წარმოშობის შემთხვევაში თუკი ზიანის ფაქტი დადგენილია, მაშინ დირექტორები არიან ვალდებულნი დაადასტურონ, რომ მოქმედებდნენ "მეწარემთა შესახებ" კანონით დადგენილი ძირითდი სტანდარტების დაცვით.[716]

---

[712] *Smerdon,* A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 117.
[713] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 3.
[714] *იქვე.* 4.
[715] *Cede & Co. v. Technicolor, Inc*., 634 A.2d 345, 360 (Del. 1994)
[716] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations

Business Judgment Rule –ის ინსტიტუტი ამერიკული სასამართლო პრაქტიკის პირმშოა და დღესდღეობით იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს თითქმის ყველა ქვეყნის საკორპორაციო სამართალში. თავისი შინაარსიდან გამომდინარე მას შესაძლებელია დირექტორის ქმედებების მიმართ მოქმედი, "უდანაშოლობის პრეზუმცია" ეწოდოს. ვინაიდან დირექტორი დაცულია პასუხისმგებლობისგან, თუკი მისი მოქმედება გონივრულობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.[717]

Business Judgment Rule-ს ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში საწარმოს ხელმძღვანელთა დაცვის პრეზუმციის ხასიათი აქვს, რომლის "გადალახვაც" მოსარჩელეს მოეთხოვება. მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს დირექტორის მხრიდან ვალდებულებების დარღვევის ფაქტი. სასამართლო მხლოდ ამის შემდეგ დაიწყებს საქმის არსებით განხილვას. თუ სასამართლო არსებით განხილვაზე გადავა მტკიცების ტვირთი დირექტორზე გადადის და უკვე იგი ხდება ვალდებული დაასაბუთოს, რომ საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

Business Judgment Rule-ის ერთ-ერთი დადებითი მახასიათებელია დირექტორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა წარუმატებელი გადაწყვეტილების მიღების გამო, თუკი დადასტურდება, რომ იგი გადაწყვეტილების მიღებისას კეთილსინდისიერად, უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმიანობას უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.[718]

თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.[719]

ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს *Business Judgment Rule* –ის მსგავს დანაწესს, თუმცა მითითებული ნორმების ანალიზის საუძველზე ცხადი ხდება, რომ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ გდაწყვეტილების მიღებისას გარკვეულ სტანდარტს ადგენს და დირექტორს არ სთხოვს აბსოლუტურად შეუმცდარი გადაწყვეტილებების მიღებას. მთავარია ამ უკანასკნელის მიერ კეთილსინდისერად გონიერების ფარგლებში იყოს გადაწყვეტილება მიღებული.

ამ ინსტიტუტის კრიტიკას იწვევს ის, რომ არ არის დადგენილი სად გადის გონიერების ზღვარი, არ არსებობს კონკრეტული პრინციპები

---

in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 510 იხ. ასევე: სუსგ №959-1161-08, 24 თებერვალი, 2009

[717] *ჯ.ულელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამომცემლობა „სიესტა," თბ., 2010, 185.

[718] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი 9.6 მუხლი.

[719] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი 9.6 მუხლი.

რომელიც უნდა დაიცვას დირექტორმა გადაწყვეტილების მიღებისას, რომ ამ წესის დაცვის ქვეშ აღმოჩნდეს. სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა დამოუკიდებლად უნდა განიხილოს და შეაფასოს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში განხორციელებული ცვლილების შედეგად დირექტორის როლი გაზრდილია, აუცილებელი ხდება, რომ იგი დაცულად გრძნობდეს თავს, ჰქონდეს განცდა, რომ არ "დაისჯება" წარუმატებელი გადაწყვეტილების გამო, თუკი ეს გადაწყვეტილება კეთილსინდისერად, ფაქტების შეფასებისა და საწარმოსათვის საუკეთესო გადაწყვეტილების რწმენის საფუძველზე იქნება მიღებული.

ამ შემთხვევაში დავის არსებობისას ქართულმა სასმართლომ უნდა გაითვალისწონოს დელავერის შტატში არსებული გამოცდილება და პრაქტიკა და მოსარჩელეს დააკისროს *Business Judgment Rule*-ის გადალახვის ტვირთი. ვინაიდან დირექტორი საქმეს უძღვება საკუთარი პასუხისმგებლობისა და სამეწარმეო გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე[720], ხოლო ამ წესის დარღვევა კი შეამცირებს დირექტორის სურვილს თავის თავზე აიღოს გარკვეული რისკი საწარმოსათვის წარმატების მოსატანად.

VI. დირექტორთა მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას

დამბები შენდება იმ მიზნით, რომ მდინარეს მიმართულება მისცეს და აამუშაოს ჰიდროელექტროსადგური. გამოიმუშაოს ელექტროენერგია, მორწყას სასოფლო სამეურნეო მიწები ან გამოყენებულ იქნეს სხვა დანიშნულებით, რაც საბოლოო ჯამში სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას. დანიშნულებისამებრ გამოყენების შემდეგ წყალი თავისუფლად მიედინება დინების მიმართულებით. აღნიშნულის მსგავსად, დელავერში რეგისტრირებულ სამიზნე კომპანიების დირექტორებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ თავდაცვითი ღონისძიებები, რათა გადაიყვანონ მტრული დაუფლების მცდელობა, მოლაპარაკებების შედეგად, დაუფლების პროცესში, რაც აძლევს მათ მეტ ძლაუფლებას მოლაპარაკების წარმოებისას, ხოლო საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს აქციონერთა შემოსავლის გაზრდას.[721]

---

[720] *ლაზარაშვილი,* თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან, პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში 309-342, გამომცემლობა "მერიდიან," 2009, 339.

[721] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-

საწარმოთა შერწყმა და დაუფლება საკმაოდ ხშირი მოვლენაა. საბაზრო ეკონომიკის განვითარება დღის წესრიგში აყენებს კომპანიათა შერწყმის საკითხს, რათა მათ თავისუფალ ბაზარზე არსებობა არ შეწყვიტონ. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც სამიზნე კორპორაციას შერწყმა არ სურს ამ შემთხვევაში შემძენი კომპანია *(Acquirer)* ცდილობს შესაძენ ანუ, როგორც მას უწოდებენ სამიზნე *(Target)* კომპანიას დაეუფლოს ამ უკანასკნელის თანხმობის მიუხედავად. ამგვარი შეძენის რამოდენიმე სახე არსებობს.

როდესაც შეძენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მოწონებული და დადასტურებულია სამიზნე კომპანიის დირექტორატის მიერ, ასეთ დაუფლებას მეგობრული დაუფლება ეწოდება. ამიტომ მეგობრულ დაუფლებას მოლაპრაკებათა შედეგად მიღწეულ დაუფლებასაც უწოდებენ *(negotiated takeover transaction).* ხოლო თუკი სამიზნე კომპანიის დაუფლებასთან დაკავშირებით შემძენი მოლაპრაკებას აწარმოებს სამიზნე კომპანიის დირექტორატის გვერდის ავლით პირდაპირ აქციონერთან, ასეთ დაუფლებას მტრული დაუფლება *(Hostile Takeover)* ეწოდება. ამ შემთხვევაში დირექტორატი *(Board)* შერწყმის წინააღმდეგია და შესაბამისად, არც მცირე აქციონერთა უფლებების დაცვაა გარანტირებული. [722] ბორდი იწყებს ალტერნატიული შემთავაზებლის ძიებას *(white knight)* რომელთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკებათა წარმოება მტრული დაუფლების თავიდან ასაცილებლად.[723]

მტრული დაუფლება, რომელიც სამიზნე საწარმოს ბორდის გვერდის ავლით მის დაუფლებას გულისხმობს, თავდაპირველად მიჩნეული იყო ბიზნეს ეთიკის დარღვევად და ხშირად არ გამოიყენებოდა.[724] მართალია დღესდღეობით მსგავსი ტრანზაქცია აბსოლუტურად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, არსებული გამოცდილების შესაბამისად დადგენილია მთელი რიგი ნორმებისა, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს ამ ტრანზაქციაში მონაწილე საწარმოთა აქციონერებისა და დირექტორთა მხრიდან. შესაბამისად, საინტერესოა თუ როგორ უნდა მოექცეს დაუფლებასთან დაკაშირებით კომპანიათა ბრძოლა საკანონმდებლო ჩარჩოებში და როგორ ხდება ამ ურთიერთობათა რეგულირება.

ერთმანეთისგან განსხვავდება დაუფლება *(Acquisition)* და დაუფლება, რომელსაც შერწყმა *(Merger)* მოსდევს თან.

კომპანიის დაუფლება შესაძლებელია მოხდეს სამიზნე კომპანიის მიერ სავაჭროდ დაშვებული აქციების უმრავლესობის შეძენით (საკონტროლო პაკეტის შეძენა/*share deal*). შემძენი კომპანია ხდება სამიზნე კომპანიის მაჟორიტარი აქციონერი (დაუფლება/*Acquisition*).

შესაძლებელია სამიზნე და შემძენი კომპანიების შერწყმა, რის შემდეგაც შემძენი კომპანიის „A“ აქციონერი, შერწყმის შედეგად

American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 117.

[722] *Gevurtz A.F.,* Corporation Law, West Group, St.Paul, Minn, 2000, 673.


[723] *მახარობლიშვილი.*, სამიზნე საზოგადოების შეძენა კაპიტალის ორგანიზაციულ ბაზარზე-დაუფლება სატენდერო შეთავაზებით და მისი სახეები, 139-178, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1, 2013

[724] *Gevurtz A.F.,* Corporation Law, West Group, St.Paul, Minn, 2000, 673.

მიღებული კომპანიის მაჟორიტარ აქციონერად გვევლინება და ამ გზით შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამგვარად „A“ მიიერთებს „B“-ს. სამიზნე კომპანია „B“ არსებობას წყვეტს. დაუფლება/ *acqusition* რომელსაც შერწყმა/*Merger* მოსდევს.

შერწყმა და დაუფლება მიერთების გზით/merger & acqusition


<u>სქემატური გამოსახულება №3:</u>



თუ ორი კომპანია „A“ და „B“ თანხმდება მეგობრულ შერწყმაზე, სახეზეა შერწყმა გაერთიანების შედეგად. ამ დროს შერწყმის შემდეგ წარმოიშობა ახალი კომპანია „C“, ხოლო კომპანიები რომლებიც ერთმანეთს შეერწყნენ („A“ „B“) წყვეტენ არსებობას. შერწყმის შესახებ შეთანხმება, რომელსაც, როგორც წესი, კომპანიების დირექტორები ამზადებენ, ითვალისწინებს აქციონერთა წილების გადანაწილებას შერწყმის შედეგად შექმნილ კომპანიაში.

შერწყმა მეგობრული გაერთიანების გზით


<u>სქემატური გამოსახულება №4:</u>



დაუფლებას ყოველთივის შერწყმა შესაძლოა არ მოსდევდეს თან. შესაძლებელია შემძენის მიზანი შერწყმა კი არა უბრალოდ სამინზე კომპანიის დაუფლება იყოს, ანუ ერთი კომპანია „A“ (შემძენი) შეიძენს მეორე (სამიზნე) კომპანიის „B“ საკონტროლო პაკეტს, სამიზნე კომპანია „B“ ჩვეულებრივ აგრძელებს საქმიანობას, საწარმოს კონტროლი კი შემძენის ხელშია.

დაუფლება/acqusition

<u>სქემატური გამოსახულება №5:</u>



ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შერწყმა *(Merger)* შესაძლოა დაუფლებას *(Acquisition)* მოიცავდეს, და დაუფლებისას არ იგულისხმება, რომ აუცილებლად შერწყმას ექნება ადგილი.

კომპანიის დაუფლება ასევე შესაძლოა მოხდეს მთელი მისი აქტივის შესყიდვის *(Assets Deal)* შედეგად.

ცხადია, როდესაც კომპანიები თანხმდებიან შერწყმაზე, პრობლემები ნაკლებია. ასეთ დროს დირექტორატს აქვს ჩვეულებრივ საყოველთაოდ აღიარებული ფიდუციური ვალდებულებები საწარმოს მიმართ. იგი ვალდებულია ერთგულად ემსახუროს საწრმოს, მოქმედებდეს კეთილსინდისიერად და ზრუნავდეს მასზე. ორივე კომპანიის დირექტორატი ვალდებულია საწრმოს საუკეთესო ინტრესების გათვალისწინებით იმოქმედოს. შესაბამისად, მეტ ინტერესს იწვევს ისეთი შემთხვევა, როდესაც მმართველობის ამ ორგანოს და აქციონერთა ინტერესები არ ემთხვევა ერთმანეთს.

შერწყმასთან ან დაუფლებასთან დაკავშირებით წინადადება უმრავლეს შემთხვევაში დირექტორატის მიერ უნდა იყოს მოწონებული. ითვლება, რომ სამიზნე კომპანიის დირექტორატს აქვს უფლება გამოიყენოს თავდაცვითი ღონისძიებები თუკი მიიჩნევს, რომ შერწყმა, ან საკონტროლო პაკეტის გასხვისება, კომპანიის აქციონერთა ინტერესების საწინააღმდეგოა. სამეწარმეო კანონმდებლობის თანამედროვე განვითარების ტენდენციები აჩვენებს, რომ დირექტორატი ვალდებულია მხედველობაში მიიღოს არა მარტო აქციონერთა, არამედ თავად კომპანიის, კომპანიაში დასაქმებულთა და ზოგადად იმ საზოგადოების ინტერესები, სადაც ეს კომპანია ოპერირებს.[725]

უფრო მეტიც, მთელ რიგ შემთხვევებში დირექტორატი უფლებამოსილია არ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც, მხოლოდ აქციონერთა ინტერესებშია, თუკი იგი საჭიროების შემთხვევაში შეძლებს დაადასტუროს, რომ გადაწყვეტილება ზოგადი საზოგადორებრივი

[725] *Murray.,* Choose Your Own Master:Social Enterprise, Certifications,And Benefit Corporations , American University Business Law Review, 2012 (http://heinonline.org/HOL/Print?collection=journals&handle=hein.journals/aubulrw2&id=95)

ინტერესებით იყო ნაკარნახევი და ეს ინტერესი აქციონერის ინტერესზე უფრო მაღალი დაცვის ღირსი ინტერესია.[726]

ქართული კანონმდებლობის თანახმად, სწარმოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება პარტნიორთა მიერ მიიღება, მაშინ როდესაც ამერიკული კანონმდებლობა ამ პროცესში დირექტორატის აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს. მთელ რიგ შემთხვევებში, დირექტორატის მიერ მოწონების შემდეგ ხდება შერწყმის ტრანზაქციის განხორციელება.

მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას პარტნიორები (აქციონერები) იღებენ. კანონი არ ადგენს დირექტორთა განსაკუთრებულ ჩართულობას ან პასუხისმგებლობის სტანდარტს ამ პროცესში.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით აღინიშნება ქართული სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის სიმცირე. შესაბამისად, სასმართლო პრაქტიკასა და დოქტრინაზე დამყარებული შედარებითსამართლებრივი კვლევა, ისეთი ახალგაზრდა და გამოუცდელი ქვეყნის კანონმდებლობისათვის როგორიც საქართველოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

1. ევროდირექტივა

2005 წლის ევროდირექტივა, არეგულირებს კომპანიათა ტრანსნაციონალურ შერწყმასთან დაკავშრებულ საკითხებს.[727] აღნიშნული დირექტივა ძირითადად სამი სახის შერწყმას იცნობს, კერძოდ:

ა) შერწყმა დაუფლების შედეგად, რომლის დროსაც ერთი ან მეტი კომპანიის დაუფლება ხდება სხვა (შემძენი) კომპანიის მიერ, ხოლო სამიზნე კომპანიების აქტივები და პასივები გადადის შემძენი კომპანიის საკუთრებაში, ხდება აქციათა გამოშვება შემძენი კომპანიის მიერ და სამიზნე კომპანიის აქციონერები შემძენი კომპანიის აქციონერებად გვევლინებიან.
ბ) შერწყმა ახალი კომპანიის ჩამოყალიბების შედეგად, რომლის დროსაც ხდება ორი ან მეტი კომპანიის დაუფლება ან დაშლა მათი ლიკვიდაციის გარეშე და ისინი მთელ აქტივებს გადასცემენ იმ ახალ კომპანიას, რომელსაც შერწყმის შედეგად ქმნიან.
გ) ე.წ. "გამარტივებული შერწყმა", რომლის დროსაც სამიზნე კომპანია

[726] *Murray.,* Choose Your Own Master:Social Enterprise, Certifications,And Benefit Corporations , American University Business Law Review, 2012 (http://heinonline.org/HOL/Print?collection=journals&handle=hein.journals/aubulrw2&id=95)
[727] DIRECTIVE 2005/56/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 October 2005 on cross-border mergers of limited liability companies(Text with EEA relevance) ხელმისაწვდომია:http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2005:310:0001:0009:en:PDF (ბოლოს გამოხმობილია:27.05.2014)

მთელ მის აქტივებს და პასივებს გადასცემს კომპანიას, რომელიც სამიზნე კომპანიის აქციების 100% ფლობს (შემძენი კომპანია). ამ დროს აქციების გამოშვება არ ხდება. ასევე გამარტივებული შერწყმა შეიძლება ეწოდოს შვილობილი კომპანიის შერწყმას მშობელ კომპანიასთან, თუკი ეს უკანასკნელი ფლობს შვილბული კომპანიის აქციების არანაკლებ 90%-ს. ვინაიდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ასეთ შემთხვევაზეც გაავრცელონ გამარტივებული შერწყმისათვის დადგენილი წესები.[728]

ორივე სახის გამარტივებული შერწყმა, ფაქტიურად, წარმოადგენს შერწყმას დაუფლების შედეგად იმ განსხვავებით, რომ გამარტივებული შერწყმის წესები გამოიყენება მაშინ, როდესაც შემძენი კომპანია ფლობს სამიზნე, შვილობილი კომპანიის აქციებს სრულად ან თითქმის სრულად.[729]

კომპანია, რომელიც განიზრახავს გასცდეს ქვეყნის საზღვრებს, ვალდებულია დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რასაც კომპანიის ადგილსამყოფელი ქვეყანა ადგენს შერწყმისათვის, ხოლო შემდეგ ეტაპზე, ხდება დირექტივის გამოყენება. ამასთან წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან არ დააწესონ უფრო მკაცრი წესები საერთაშორისო შერწყმის მიმართ, ვიდრე ეს ნაციონალური შერწყმის დროს არის გათვალისწინებული.[730]

კომპანიების დირექტორები, იგულისხმება როგორც შემძენი, ასევე სამიზნე კომპანია, ვალდებულნი არიან მოამზადონ შერწყმასთან დაკავშირებით ერთობლივი წინადადების პროექტი. აღნიშნული პროექტის მომზადებას სამი ძირითადი დანიშნულება აქვს:

- მოახდინოს კომპანიათა მმართველ ორგნოებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებათა პროცესის და შედეგების კრისტალიზება;
- მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია აქციონერებს;
- დირექტორატის და დამოუკიდებელ აუდიტთა მიერ მომზადებული რეპორტი გამოყენებულ იქნეს აქციონერთა კრებაზე, როგორც გადაწყვეტილების მიღების ძირითადი საფუძველი.[731]

თითოეული კომპანიის დირექტორატი, ვალდებულია წარმოადგინოს რეპორტი აქციონერთათვის. დირექტორატი ვალდებულია აღნიშნულ რეპორტში დაასაბუთოს და ანალიზი გაუკეთოს ინტერნაციონალური შერწმის სამართლებრივ და ეკონომიკურ ასპექტებს. მიუთითოს მისი გავლენა აქციონერებზე, კრედიტორებსა და დასაქმებულებზე. ასევე წარმოდგენილ უნდა იქნეს შერწმის შედეგები გრძელვადიან

[728] *Vermeylen, Vande Velde, (Edit)* European Cross-Border Mergers And Reorganizations, Oxford University Press, New York, 2012, 5.

[729] *Vermeylen, Vande Velde, (Edit)* European Cross-Border Mergers And Reorganizations, Oxford University Press, New York, 2012, P.5

[730] *Vermeylen, Vande Velde, (Edit)* European Cross-Border Mergers And Reorganizations, Oxford University Press, New York, 2012, 12.

[731] *Vermeylen, Vande Velde, (Edit)* European Cross-Border Mergers And Reorganizations, Oxford University Press,* New York, 2012, 12.

პერსპექტივაში.[732]

დირექტორატის დასახელებული რეპორტის მიზანს წარმოადგენს აქციონერთა და დასაქმებულთა ინფორმირება. რეპორტი უნდა მოიცავდეს დასკვნას, თუ რა გავლენას იქონიებს განზრახული შერწყმა კრედიტორებზე, თუმცა მათ ეს დასკვანა არ წარედგინებათ.[733]

დირექტივის თანახმად, დირექტორატი ვალდებულია დასკვნა მოამზადოს ნებისმიერ შემთხვევაში ზემოთჩამოთვლილთაგან, როგორი სახის შერწყმასაც არ უნდა ქონდეს ადგილი. აქციონერებს არ აქვთ უფლება, თუნდაც ერთხმად, მიიღონ გადაწყვეტილება, რომლითაც უარს იტყვიან იმ ერთთვიან პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც დირექტორატი ვალდებულია მოამზადოს რეპორტი, დასკვნა მოსალოდნელი შერწმის შესახებ. აღნიშნული ნორმა არსებობს იმიტომ, რომ რეპორტის მეშვეობით ხდება რა მარტო აქციონერთა, არამედ დასაქმებულთა ინფორმირებაც.[734]

დირექტივის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილებას შერწმასთან დაკავშირებით აქციონერთა კრება იღებს და არა დირექტორატი.[735]

2. გერმანია

2.1. ზოგადი მომოხილვა

ევროდირექტივის მსგავსად[736], გერმანული კანონმდებლობა ადგენს იმ კომპანიების დირეტორატების მიერ შერწმის პროექტის ერთობლივად მომზადების ვალდებულებას, რომლებიც შერწყმას განიზრახავენ. აღნიშნული დოკუმენტი ექვემდებარება ნოტარული წესით დამოწმებას.[737]

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, დირექტორატი ან/და სამეთვალყურეო საბჭო, ვალდებულია მოამზადოს რეპორტი, სადაც დეტალურად იქნება განმარტებული შერწყმის სამართლებრივი და ფინანსური შედეგები. აქციათა გაცვლის პროპროციები და ა.შ. [738]

---

[732] *Vermeylen, Vande Velde, (Edit)* European Cross-Border Mergers And Reorganizations, Oxford University Press, New York, 2012, 16. იხ.ასევე DIRECTIVE 2005/56/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 October 2005 on cross-border mergers of limited liability companies(Text with EEA relevance) ხელმისაწვდომია:http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2005:310:0001:0009:en:PDF (ბოლოს გამოხმობილია:27.05.2014)

[733] *Vermeylen, Vande Velde, (Edit)* European Cross-Border Mergers And Reorganizations, Oxford University Press, New York, 2012, 16.

[734] *Vermeylen, Vande Velde, (Edit)* European Cross-Border Mergers And Reorganizations, Oxford University Press, New York, 2012, 21.

[735] DIRECTIVE 2005/56/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 October 2005 on cross-border mergers of limited liability companies(Text with EEA relevance) ხელმისაწვდომია:http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2005:310:0001:0009:en:PDF (ბოლოს გამოხმობილია:27.05.2014)

[736] DIRECTIVE 2005/56/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 October 2005 on cross-border mergers of limited liability companies(Text with EEA relevance) ხელმისაწვდომია:http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2005:310:0001:0009:en:PDF (ბოლოს გამოხმობილია:27.05.2014)

[737] *იქვე*323.

[738] *იქვე*325.

დირექტორატის რეპორტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს აქციონერთათვის და დასაქმებულთათვის ან მათი წარმომადგენლისავის.[739]

გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი სახის გარიგება, რამაც შეიძლება კომპანიაში ფუნდამენტური და მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს, საჭიროებს აქციონერთა მხრიდან წინასწარ თანხმობას.[740]

გერმანიის დაუფლების შესახებ აქტის *(German Takeover Act)* მე-3 პრაგრაფი, შემდეგ პრინციპებს ადგენს:

- ყველა აქციონერი თანაბარი უფლებების ქვეშ, ოფერტი გაკეთებულ უნდა იქნეს ყველა აქციონერის მიმართ;
- გამჭირვალობა- რაც გულისმობს ოფერენტის ვალდებულებას დაუყოვნებლივ განაცხადოს ოფერტის შესახებ და მიაწოდოს ყველა რელევანტური ინფორმაცია აქციონერებს;
- სამიზნე კომპანიის დირექტორატის ვალდებულებაა სრულყოფილად შეისწავლოს და დააკვირდეს პროცესს, იმოქმედოს კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესებამისად;
- ოფერტთან დაკავშირებული პროცედურების სწრაფი აღსრულება- პროცესების მოკლე თაიმლაინი მხარეთათვის;
- საბზარო და საყოველთაოდ დამკვიდრებული წესების "გამრუდება" მკაცრად აკრძალულია;[741]

გერმანიაში, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთში, გადაწყვეტილებას სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით აქციონერთა კრება იღებს. აქციონერები იღებენ ამ შემთხვევაში სტრატეგიულ გადაწყვეტილებას გაყიდონ კომანია თუ შეინარჩუნონ იგი. მხოლოდ ამ გადაწყვტილების განხორციელებისა და აღსრულების პროცესში ერთვება გერმანული დირექტორატი და ამ პროცესში, რა თქმა უნდა, მას გააჩნია ვალდებულება საწარმოს მიმართ. მაგალითად, დირექტორატს ევალება შეიმუშაოს გეგმა თუ როგორ მოხდება კომპანიის გაყიდვა, განხორციელდება იგი კომპანიის მიერ კონტროლირებად აუქციონზე თუ ერთ კონკრეტულ მყიდველთან მოლაპარაკების შედეგად.[742]

გეგმის და სტრატეგიის შემუშავების პროცესში დირექტორს გააჩნია ყველა ის ვალდებულება, რაც კანონმდებლობით არის დადგენილი. კერძოდ, მან კეთილსისდისიერად, საწარმოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილებამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიის გასაყიდ ფასზე. [743] აღნიშნული

[739] *Vermeylen, Vande Velde, (Edit)* European Cross-Border Mergers And Reorganizations, Oxford University Press, New York, 2012, P.325

[740] *Jausas, (Edit) Lachmann,* Germany, in: Company Formation, Globe Business Publishing, London, 2009, 334.

[741] *kawamura, Anderson, (Edit) Rodewald, Tielman,* Germany :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 103.

[742] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 3.

[743] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 3.

გადწყვეტილების მიმართ მოქმედებს *Business Judgement Rule* , და მის მიერ დაგენილი წესების შესაბამისად ექვემდებარება გადახედვას. *Business Judgement Rule* – ის გამოყენება ხდება იმის მიუხედავად წარმოადგენს გამყიდველი კომპანია სააქციო საზოგადეობას *(AG–Aktiengesellschaft),* თუ იგი ოპერირებს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება[744] *(GmbH- Gesellschaft mit beschränkter Haftung).*

დირექტორთა მიერ კომპანიის მიმართ არსებული სათანდო ზრუნვის ვალდებულება განმტკიცებულია გერმნიის საქციო საზოგადოების შესახებ კანონის 93-ე მხულში, *(AktG- Aktiengesetz sec.93, para. 1)* და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის 43-ე მუხლში *(GmbHG-. Gesetz betreffed die Gesellschaften mit beschrankter Haftung-Sec.43.para.1.).*

ტრანზაქციის სისწრაფე, კონფიდენციალურობა, მენეჯმენტის ჩართულობა პროცესში, პოტენციურ მყიდველთა შორის კონკურენცია, აქციათა გადაცემა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული დირექტორატის მხრიდან გადწყვტილების მიღებისას. გერმანიში საკმაოდ ხშირია საინვესტიციო ბანკის მოწვევა მისგან რჩევის მისაღებად, აქციათა ბაზარზე არსებულ მიმდინარე მდგომარეობასთან დაკავშირით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტრანზაქცია ძვირადღირებულია. თუმცა უნდა ითქვას, რომ საინვესტიციო ბანკის მოწვევა და მისგან რეკომენდაციის თუ რჩევის მიღება არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას კანონმდებლობის თანახმად და დირექტორთა დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, რომლის შეფასებაც ჩვეულებრივ *Business Judgement Rule-* ის წესების გათვალისწინებით ხდება.[745]

თავდაპირველად მიჩნეული იყო, რომ გერმანული კანონმდებლობა არ უშვებდა ტრანსნაციონალურ შერწყმას, ვინაიდან რეორგანიზაციის შესახებ კანონის თანახმად, მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ კომპანიებზე, რომლებსაც ადგილსამყოფელი გერმანიაში აქვთ. თუმცა შემდგომ დადგინდა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ადგენს ლიმიტს თავად კანონის მოქმედებისათვის და არ კრძალავს იტერნაციონალური შერწყმის განხორციელებას. ინტერნაციონალური შერწყმის რეგულირება ამ კანონით ვერ მოხდება.[746]

2.2. გადაწყვეტილება კომპანიის გაყიდვის ფორმაზე და ხელშეკრულება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ (Confidentiality Agreement)

გადაწყვეტილება, კომპანიის გასაყიდად არჩეულ იქნეს კონტროლირებადი აუცქიონი თუ გაიყიდოს იგი კონკრეტულ მყიდველთან მოლაპარაკების შედეგად, ხშირად დამოკიდებულია კომპანიის მიმზიდველობაზე და გაყიდვის მომენტისათვის სააქციო

[744] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 3.
[745] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 4.
[746] *Vermeylen, Vande Velde, (Edit)* European Cross-Border Mergers And Reorganizations, Oxford University Press, New York, 2012, 22.

ბაზრის მდგომარეობაზე.[747]

კონტროლირებადი აუქციონი რამდენიმე ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპს წარმოადგენს შიდა მომზადების ფაზა, რომლის დროსაც, როგორც წესი, გამყიდველი კომპანია უკავშირდება საინვესტიციო ბანკს და მას სთხოვს დახმარებას მყიდველის მოძიებაში. თუკი პოტენციური მყიდველის ძიება წარმატებით დასრულდა, საინვესტიციო ბანკი ამზადებს საინფორმაციო მემორანდუმს, რომელიც სამიზნე კომპანიის შესახებ ინფორმაციის, ფინანსური მაჩვენებლებისა და მომავალი პერსპექტივების მოკლე აღწერას შეიცავს. შემდეგ ხდება სამიზნე კომპანიის მხირდან ე.წ. ფაქტების წიგნის შედგენა, რომელიც ინფორმაციას შეიცავს სამიზნე კომპანიის შესახებ და გამოიყენება მყიდველთა მისაზიდად.

უშუალოდ აუქციონამდე ფორმდება ხელშეკრულება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ *(Confidentiality Agreement),* ვინაიდან გარიგების არსიდან გამომდინარე, შესაძლოა მყიდველს მიეწოდოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რათა წახალისებულ იქნეს იგი კომპანიის საყიდლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორატი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემისას. მათ უნდა შეაფასონ ინფორმაციის გაცემით მეტ სარგებელს მოუტანენ კომპანიას თუ მისი მყიდველის მერ გამჟღავნების შემთხვევაში შესაძლოა უფრო მეტი ზიანი დადგეს. სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 93-ე მუხლი დირექტორებს ავალდებულებს, არ გასცენ რაიმე სახის ინფორმაცია მესამე პირებზე, თუკი ასეთი ინფორმაციის გაცემამ შესაძლოა ზიანი გამოიწვიოს კომპანიისათვის.[748] შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების დარღვევა შესაძლოა დირექტორთა პასუხისმგებლობის საგანი გახდეს.

მითითებული გარემოების არსებობისას, ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც გერმანული კომპანიის დირექტორატი დგას, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების საშიშროებაა. ერთი მხრივ, მან უნდა შეძლოს მყიდველთა წახალისება და მეორეს მხრივ, არ უნდა გასცეს საიდუმლო ინფორმაცია, რომლის გამჟღვანებამაც შესაძლოა უარყოფითი შედეგები მოუტანოს კომპანიას.

ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა იყოს კომპანიის აშკარა თუ დაფარული ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი, არ უნდა გახდეს საჯაროდ ცნობილი. იგი მიიჩნევა საიდუმლო ინფორმაციად. კონფიდენციალურობის შესახებ ვალდებულება აბსოლუტური არ არის, არამედ იგი განისაზღვრება კომპანიის უმთავრესი მიზნებისა და ინტერესების გათვალისწინებით.[749]

დირექტორმა უნდა მიაგნოს ოქროს შუალედს და შეძლოს მყიდველის მოზიდვა იმგვარად, რომ არ დაარღვიოს ვალდებულება კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შესახებ. არსებითად მან უნდა შეძლოს მიიყვანოს პროცესი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ შესაბამისი შეთანხმების გაფორმებამდე, იმგვარად, რომ ვალდებულების დარღვევა არ "მოუწიოს".

კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ვალდებულების

---

[747] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 4.

[748] *AktG- Aktiengesetz para.93,* ხელმისაწვდომია: http://www.gesetze-im-internet.de/aktg/, (ბოლოს გამოხმობილია :09.05.2014)

[749] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 4.

დარღვევამ, შესაძლოა დირექტორის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი გამოიწვიოს.[750] შესაბამისად, თუკი რთულია დადგინდეს, საიდუმლო ინფორმაციის გაცემა მეტ სარგებელს მოიტანს თუ მისი საიდუმლოდ შენახვა, დირექტორატმა ინფორმაცია უნდა გასცეს აქციონეთა კრების წინასწარი თანხმობის საფუძველზე,[751] რათა შეძლოს პასუხისმგებლობის გამორიცხვა.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ხელშეკრულება კონფიდენციალურობის შესახებ, *(Confidentiality Agreement)* აუცილებლად უნდა შეიცავდეს ნათელ განმარტებას, თუ რას ნიშნავს "კონფიდენციალური ინფორმაცია" და რა კონკრეტული ინფორმაციის გამჟღავნება ეკრძალებათ მხარეებს მესამე პირებისათვის.[752]

შესაძლო მყიდველების დადგენის შემდეგ, მათ ეძლევათ საშუალება (სპეციალურ ელექტრონულ ვებ-გვერდზე წვდომის ჩართვის შედეგად), მონაწილეობა მიიღონ აუქციონში.[753] დირექტორატს ევალება წარმართოს ეს პროცესი კეთილსინდისიერად, ერთგულებისა და სათანადო ზრუნვის საფუძველზე.

ხოლო, როდესაც კონკრეტულ მყიდველზე იგეგმება კომპანიის გასხვისება, მხარეები ხშირად აფორმებენ ურთიერთგაგების შესხებ მემორანდუმს *(Memorandum of understanding)* ან განზრახულობათა შესახებ აქტს *(Letter of intent).* აღნიშნულ დოკუმენტებს არ გააჩნიათ სავალდებულო ხასიათი, და არ ავალდებულებს მხარეებს საბოლოოდ გააფორმონ ხელშეკრულება შერწყმისა თუ დაუფლების შესახებ. ისინი გამოხატავენ ორივე მხარის სერიოზულ განწყობას ტრანზაქციასთან დაკავშირებით. როგორ წესი, ასეთი მემორანდუმი შეიცავს სავალდებულო მუხლს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ და აშკარად არის მითითებული თავად ამ მემორანდუმში.[754]

ზოგჯერ დასახელებული აქტი ასევე შეიცავს მუხლს, რომლის თანახმადაც, მხარე რომლიც ჩაშლის მოლაპრაკებებს, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მოლაპრაკებათა პროცესში გაწეული ხარჯები.[755]

კომპანიათა შერწყმასთან დაკავშირებით საკითხის განხილვისას, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (მაგალითად გერმანიაში), დიდი ადგილი უჭირავს ანტიმონოპოლიური და კონკურეციის შეზღუდვის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო რეგულაციებს. შესაძლოა კომპანიებს უარი ეთქვათ ნებაყოფლობით შერწყმაზე, თუკი ეს იწვევს კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ მიმართული ნორმების დარღვევას, როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე ევროკავშირის მასშტაბით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სხვადასხვა დონეზე ამ ტრანზაქციათა კონტროლი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების მიხედვით ხდება.

გერმანიაში, როგოც ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, გერმანული

---

[750] *Munchener Kommentar zum Aktiengesetz,* 3rd Ed 2008, sec 93 no 120, მითითებულია: *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, P.8 მიხდვით

[751] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 8.

[752] *Stilton,* Sale of Shares and Business, Law, Practice and Agreements, 3rd Ed, Sweet&Maxwell, London, 2011, 127.

[753] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 4.

[754] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 7.

[755] *Louven, (Edit)* Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011, 4.

კანონმდებლობის პარალელურად მოქმედებს, ჯანსაღი კონკურენციის შესახებ ევროკავშირის რეგულაციები. კონკურეციის შეზღუდვის წინააღმდეგ *(Act against Restraints of Competition (ARC))* გერმანული აქტის გამოყენება შეზღუდულია იმ შემთხვევაში, როდესაც უნდა მოხდეს ექსკლუზიურად ევროკავშირში მოქმედი შერწყმის კონტროლის რეგულაცის გამოყენება *(European Community Merger Control Regulation (EUMR)),* ხოლო ევროკაშირის რეგულაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შერწყმას შესაძლოა მოჰყვეს იმგვარი სტრუქტურული ცვლილებები, რომლის შედეგებიც ცდება ნებისმიერი წევრი ქვეყნის ეროვნულ საზღვრებს.[756]

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში არსებული ორი მილიონი კომპანიიდან მხოლოდ 4600 არის სააქციო საზოგადოება, ხოლო მათგან 825 კომპანიის აქციებია დაშვებული საჯაროდ ვაჭრობისათვის, რაც იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ გერმანიის ფასიანი ქაღალდების ბაზარი სათანადოდ განვითარებული არ არის. [757] შესაბამისად, მტრული დაუფლება იშვიათ მოვლენას წარმოადგენს გერმანიაში. ხოლო *Krupp vs. Thyssen* (1997) და *Vodafone vs. Mannesmann* (1999/2000) საქმეები იშვიათ და ერთეულ მოვლენას წარმოადგენენ.[758]

3. ინგლისი

3.1. ზოგადი მომოხილვა

ამერიკული ბორდის ძალაუფლებისა და უფლებამოსილებისგან მკვეთრად განსხვავებული უფლებები აქვთ დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებულ კომპანიათა დირექტორებს. შერწყმა-დაუფლების [759] შესახებ აქტის მე-2(a) მუხლის თანახმად, იგი შექმნილია რათა უზრუნველყოს აქციონერთა უფლების გამოყენება მიიღონ გადაწყვეტილება შერწყმასთან თუ შეძენის წინადადებასთან დაკავშირებით, რომ სამიზნე (წინადადების მიმღები) კომპანიის ყველა აქციონერი სამართლიანად, თანაბარ პირობებში იყოს გადაწყვეტილების მიღებისას.[760]

ინგლისში დირექტორატი ვალდებულია დაუფლებასთან და შერწყმასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდოს დაუფლების შესახებ კომისიას *(Takeover Panel),* და მისგან მიიღოს თანხმობა და განმარტება, თუკი ეს საჭიროა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. კოდექსის ეს ნორმა ანიჭებს კომისიას (პანელს) უფლებამოსილებას და იურისდიქციას

---

[756] *Berg, Werner,* Germany (Federal Repablic of Germany) in: Merger Control Worldwide, Second Adition, val. 1, Cambridge University Press , New York, 2012, 556.

[757] *Girasa,* Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013, 98.

[758] *Hopt, Wymeersch-,(Edit) Hopt,* Corporate Govrnance in Germany in:Capital Markets and Company Law, Oxford University Press, New Yourk, 2003, 295.

[759] The City Code on Takeovers and Mergers, or The Takeover Code or The Code

[760] The City Code on Takeovers and Mergers, Rule 2 (a) ხელმისაწვდომია: http://www.thetakeoverpanel.org.uk/wpcontent/uploads/2008/11/code.pdf(ბოლოსგამოხმობილია:22.04.2014)

გააკონტროლოს თითქმის ყველა ასპექტი სატენდერო შეთავაზებასა და შერწყმასთან დაკავშირებით.[761]

აღმასრულებელ კომისიასთან დაკავშირება და თანხმობის მიღება არაფორმალურ ხასიათს ატარებს და უმრავლეს შემთხვევაში სატელეფონო საუბრით ხდება შეთანხმება. მაგრამ თუკი მხარეები არ ეთანხმებიან პანელის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებას, მათ უფლება აქვთ მოითხოვონ საქმის წარმოება კომისიის საქმის განხილვების კომიტეტის წინაშე, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სადავო საკითხთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს და სასამართლოს განსჯის საგანი გახდეს. უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში, სასამართლოები პანელის საქმის განხილვების კომიტეტის განმარტებისგან განსხვავებულ გადაწყვეტილებას იღებენ ხოლმე.[762]

პრინციპული და მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც შერწყმისა და დაუფლების პროცესში აშშ-ის, ბრიტანეთის და გერმანიის ბორდის უფლებამოსილებათა შორის არსებობს, არის ის, რომ ამერიკულ ბორდს უფლება აქვს უარი თქვას მტრული შესყიდვის შესახებ შეთავაზებაზე და გამოიყენოს თავდაცვითი ღონისძიებები, მაშინ, როდესაც ინგლისსა და გერმანიაში დირექტორატს უფლება არ აქვს მსგავსი გადაწყვეტილება მიიღოს. ეს უკანასკნელი ვალდებულია აქციონერებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია და დასაბუთებული პოზიცია ტრანზაქციასთან დაკავშირებით.

კომპანიათა შესახებ აქტის თანახმად, დირექტორებს ვალდებულება გააჩნიათ კომპანიის მიმართ. [763] სატენდერო შეთავაზების მიღების შემთხვევაში, ისინი ვალდებულნი არაინ მიაწოდონ ინფორმაცია აქციონერებს, რათა არ მოუსპონ მათ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნეს თუნდაც, რომ არსებობდეს უტყუარი საფუძველი დასკვნისათვის, რომ სატენდერო შეთავაზება არ არის კომპანიის ინტერესების საკეთილდღეო გრძელვადიან პერსპექტივაში. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არსებულ ვითარებაში, საუკეთესო ფასი იყოს შემოთავაზებული აქციათა შესასყიდად. დირექტორატს შეუძლია აქტიურად შეეწინააღმდეგოს ასეთ წინადადებას საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, იგი არ არის ვალდებული ნებისმიერ შემთხვევაში დაუჭიროს მხარი შემოთავაზებას.[764]

დელავერის საკორპორაციო კანონმდებლობის მსგავსად, დიდი ბრიტანეთის *Companies Act* –ის 905-ე მუხლი ადგენს, რომ შერწყმასთან დაკავშირებით წინადადების პროექტი მომზადებულ უნდა იქნეს იმ კომპანიათა დირექტორატის მიერ, რომლებიც ერთმანეთს ერწყმიან.

ტრანზაქციის განხორციელებას მხარი უნდა დაუჭიროს აქციონერთა 75%-მა. დაუფლბის შესახებ აქტის 25.2 *(Takeover Code)* მუხლის თანახმად

---

[761] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P126

[762] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P127

[763] *CompaniesAct2006*,Para:170(1),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :29.04.2014)

[764] *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th adition, Jordan Published Limited, Bristol, 2008, P.241

კი ისევე, როგორც ეს დელავერის შტატშია, დირექტორატი ვალდებულია მიაწოდოს საკუთარი მოსაზრება აქციონერებს ტრანზაქციის მიზანშეწონილობის შესახებ. დირექტორატმა უნდა დაასაბუთოს, თუ რის საფუძველზე იქნა მიღებული რეკომენდაცია: შეთავაზებაზე დათანხმებისა, თუ მისი უარყოფის შესახებ. [765] ორივე ქვეყნის კანონმდებლობა ითხოვს დირექტორატისგან განმარტოს ტრანზაქციაზე დათანხმების ან მასზე უარის თქმის მიზეზები.

დირექტორებს, ინდივიდუალურად და ერთობლივად გააჩნიათ ვალდებულება იმოქმედონ *bona fide* კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.[766]

City Code ადგენს დამატებით მნიშვნელოვან ვალდებულებას დიდ ბრიტანეთში მოქმედ კომპანიათა დირექტორთათვის, კერძოდ, კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის თანხამად *(General Principal 7),* დირექტორი მოკლებულია შესაძლებლობას ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დაუფლების წინააღმდეგ თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუკი მას საფუძველი ექნება იფიქროს, რომ მოსალოდნელია დაუფლების შესახებ წინადადების მიღება. ასეთ შემთხვევაში თავდაცვითი ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ აქციონერთა კრების შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც სამიზნე კომპანიის აქციონერებს ანიჭებს უმნიშვნელოვანეს უფლებას, მიიღონ გადწყვეტილება დაეთანხმონ თუ არა მტრული დაუფლების წინადადებას.[767]

აღნიშნული შეზღუდვის საპირისპიროდ, აშშ-ში სამიზნე კომპანიის დირექტორატი ასრულებს გადამწყვეტ როლს საპასუხო, აგრესიული და პრიორიტეტული თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენებისას, რომელთაგან უმრავლესობა (მაგალითად საწამლავი აბები), შესაძლოა გამოყენებულ იქნეს აქციონერთა წინასწარი თანხმობის გარეშე.[768]

დიდი ბრიტანეთის სამიზნე კომპანიის აქციონერები იღებენ საბოლოო გადწყვეტილებას წარამატებული იქნება თუ არა მტრული დაუფლების შესახებ წინადადება და დირექტორებს არ გააჩნიათ ბერკეტი განახორციელონ პრევენციული ზომები აქციონერთა გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მიზნით, ისეთი დონით, როგორც ეს აშშ-შია შესაძლებელი.

ბრიტანეთის საერთო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს, რომ დირექტორებს არ აქვთ უფლებამოსილება, მოუსპონ უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს, კონსტიტუციით დადგენილი უფლება, მიიღონ გადაწყვეტილება დაუფლების შესახებ წინადადებაზე დათანხმების ან მისი უარყოფის შესახებ. განსხვავებით აშშ-სგან, სადაც დაუფლების შესახებ წინადადებაზე პასუხის გაცემის უფლებამოსილება უპირველესად სწორედ სამიზნე კომპანიის დირექტორატს აქვს.

---

[765] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P130

[766] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, P.693

[767] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, P.693

[768] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 694.

აქციონერთა შესაძლებლობა, მიიღონ სარგებელი შერწყმა-დაუფლების ოპერაციის შედეგად, თავდაცვითი ტაქტიკის შემუშავების პროცესში დირექტორატის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.[769]

3.2. შეთანხმება სატენდერო შეთავაზების მხარდაჭერის შესახებ Best Endeavours Clauses

City Code უმთავრესი პრინციპების თანხამდ (*Principle 9),* დირექტორს ევალება გულდასმით შეისწავლოს საკითხი, სანამ იმგვარ ვალდებულებაში აღმოჩნდებოდეს, რომელიც გავლენას მოახდენს მისი მხრიდან აქციონერთათვის გულწრფელი და კვალიფიციური რჩევების მიწოდებაზე.[770]

დასახელებული პრიცნიპი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარ ვალდებულებაში შესვლამ შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტი ან/და დირექტორთა მხრიდან ფიდუციური ვალდებულების დარღვევა გამოიწვიოს. პრობლემა წაროიშობა მაშინ, როდესაც მყიდველის წახალისების მიზნით, (რომ ამ უკანასკნელმა შეიძინოს კომპანია განსაზღვრული პირობებით) სამიზნე კომპანიის დირექტორატი, საკონტრაქტო ურთიერთობაში შედის პოტენციურ მყიდველთან და კონტრაქტით ივალდებულებს თავს, რომ რეკომენდაციას გაუწევს მის წინადადებას აქციოენერთა წინაშე, ან არ დააკლებს მცელობას (*Best Endeavours)* რათა უზრუნველყოს აქციონერთა მხრიდან საჭირო თანხმობის მიღება. შეთანხმება ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ სამიზნე კომპანიის დირექტორატი არ ითანამშრომლებს სხვა მყიდველთან. პრობლემას და დავის საგანს წარმოადგენს საკითხი, შეუძლია თუ არა დირექტორატს გამოიხმოს კონტრაქტით ნაკისრი ვადლებულებები და არ შეასრულოს იგი, თუკი კომპანიის მიმართ არსებული ფიდუციური ვალდებულება ამას მოითხოვს.[771]

კონფლიქტი, რომლიც წარმოიშობა საკონტრაქტო ვალდებულებასა და დირექტორის ფიდუციურ ვალდებულებას შორის არაერთხელ გახდა განხილვის საგანი აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სასამართლოებში.

Dawson International PLC vs. Coats Patons PLC[772] საქმეზე დაყენებულ იქნა პრეტენზია, რომ სამიზნე კომპანიის დირექტორატმა დაარღვია ვალდებულება, რომლის თანახმადაც მას მოსარჩელის სატენდერო შეთავაზებისათვის უნდა გაეწია რეკომენდაცია და არ უნდა ეთანამშრომლა შესაძლო კონკურენტ მხარესთან, ამ უკანასკნელის მიერ

---

[769] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 694.

[770] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 694.

[771] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 699.

[772] *Dawson International PLC vs. Coats Patons PLC (1988) 4 BCC 305* მითითებულია: *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 699-700. მიხედვით

სატენდერო შეთავაზების გაკეთების შემთხვევაში.

სამიზნე კომპანიის დირექტორატმა გამოიხმო საკუთარი რეკომენდაცია და მხარი დაუჭირა სხვა, მომდევნო სატენდერო შეთავაზებას.

სასამართლოს მიერ მოწონებული და რეკომენდირებული იქნა მოსაზრება, რომლის თანახმადაც დრექტორატი თავისუფალია საკუთარი ვალდებულების განხორციელებისას. დირექტორატს, გააჩნია ვალდებულება მიაწოდოს ინფორმაცია აქციონერებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიაჩნიათ მათ კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. ინფორმაცია მიწოდებული უნდა იყოს კეთილსინდისიერად და აქციონერთა დეზინფორმირებულობას არ უნდა ისახავდეს მიზნად. უფრო მეტიც, სასამართლომ განმარტა რომ, თუკი გარემოებები შეიცვლება, დირექტორი უფლებამოსილია, შეასრულოს განგრძობადი ფიდუციური მოვალეობა და უარი თქვას კონტრაქტით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებაზე.[773]

შესაბამისად, სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით აქციონერთათვის რჩევის მიცემისას, დირექტორს მოეთხოვება იყოს სამართლიანი და კეთილსინდისიერი საწარმოს მიმართ. დირექტორი უნდა მოქმედებდეს კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ხელშეკრულება, რომელიც მას სატენდერო შეთავაზების მხარდასაჭერად ყველა შესაძლებლობის (*best endeavours)* გამოყენებას ავალდებულებს.[774]

3.3. თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენების დაუშვებლობა

ინგლისში თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება ბორდის მხრიდან აკრძალულია. დელავერის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, კომპანიათა შერწყმა-დაუფლების შესახებ კოდექსი *(Takeover Code)* თავდაცვითი მექანიზმების გამოყენებას კრძალავს. უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსის მიღებამდე დაშვებული იყო თავდაცვითი ღონისძების გამოყენება. სასამართლო ამოწმებდა დირექტორატის მიერ გადწყვეტილების მიღების საფუძველს და მიზანს. თუმცა კომპანიათა დაუფლების შესახებ კოდექსის მიღების შედეგად აღნიშნული წესი გაუქმდა და დირექტორატს აეკრძალა თავდაცვითი ღონისძიების გამოყენება. [775]

დირექტორატი ვალდებულია იმოქმედოს კომპანიის, როგორც სრულად ორგანიზაციის ინტერესების გათვალისწინებით და არ უნდა მოუსპოს აქციონერებს შესაძლებლობა მიიღონ გადაწყვეტილება შესყიდვის ოფერტზე დათანხმების თუ მისი უარყოფის შესახებ.[776] კოდექსის 21.1 (a)

---

[773] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 700.

[774] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 699.

[775] *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P141

[776] *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P.141

მუხლის თანახმად, დირექტორატს ეკრძალება ნებისმიერი სახის ქმედება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ოფერტის ან შესაძლო, მოსალოდნელი ოფერტის უარყოფა, იმგვარად, რომ აქციონერებს არ მიეცეთ საშუალება მიიღონ გადაწყვეტილება წარმოდგენილი ან მოსალოდნელი ოფერტის საფუძვლიანობისა და მიზანშეწონილობის შესახებ. [777]

ბრიტანეთში დირექტორატი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს სპეციალურ კომისიასთან *(Takeover Panel)* კონკრეტულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით და მისგან მიიღოს რეკომენდაცია შესაბამისობაში იქნება თუ არა თავდაცვითი ღონისძიების გამოყენება დირქტორატისათვის დაკისრებულ ვალდებულებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება კოდექსის თანხმად ბრიტანეთში დაშვებული არ არის. რის შედეგადაც ოფერტის შეფასების და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების, (უარყოფის ან დათანხმების) ძალაუფლება დირექტორატისგან აქციონერთა მხარეს ინაცვლებს. სწორედ აქციონერები არიან უფლებამოსილნი მიიღონ გადაწყვეტილება შემოთავაზებულ სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებით.[778]

კოდექსი შეიცავს დაუშვებელი თავდაცვითი ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლებშიც საწამლავი აბები შედის *(Poison Pill)*.[779]

აშშ-ის კანონმდებლობა დირექტორებს ანიჭებს უფლებამოსილებას საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით გამოიყენონ თავდაცვითი ღონსძიებები. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დირექტორს აქვს შესაძლებლობა ყოველ ტრანზაქციასთან დაკავშირებით კონკრეტულად ამ ტრანზაქციის სპეციფიკდან გამომდინარე იმოქმედოს და გამოიყენოს თადაცვითი მექანიზმები, რაც საშუალებას აძლევს მას ჰქონდეს სრული კონტროლი და ძალაუფლება მოლაპარაკების პროცესში. აღნიშნული ფაქტი კი, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს კომპანიის ღირებულების გაზრდას.

რაც შეეხება ინგლისს, აქ დირექტორატს არ აქვს მოქმედების თავისუფლება, თავდაცვითი მექანიზმების გამოყენების თვალსაზრისით. პირიქით, ნაცვლად დირექტორატისა, გადაწყვეტილებას სატენდერო შეთავაზებაზე უარის თქმისა თუ მასზე დათანხმების შესახებ აქციონერთა კრება იღებს. ამ ნორმით საგრძნობლად არის შემცირებული დირექტორატის ძალაუფლება შერწყმა-დაუფლების შესახებ მოლაპარაკებების წარმოების პროცესში.

ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენების უფლება, კომპანიის დირექტორატს აძლევს შესაძლებლობას მიაღწიონ შეთანხმებას, კომპანიის უფრო ხელსაყრელ ფასად გაყიდვასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული მოდელი უპირატესია ბრიტანულთან და გერმანულ მოდელთან შედარებით, ვინაიდან იგი აძლევს საშუალებას დირექტორატს

---

[777] *The Takeover Code*, Rule, 21.1.(a) ხელმისაწვდომია: http://www.thetakeoverpanel.org.uk/wp-content/uploads/2008/11/code.pdf (ბოლოს გამოხმობილია 23.04.2014)

[778] *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P.141

[779] *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P.141

სატენდერო შეთავაზება გადაზარდოს მოლაპარაკებათა პროცესში, რაც საბოლოო ჯამში იწვევს დამატებითი მოგების გენერირებას აქციონერთათვის.[780]

4. აშშ

4.1. ზოგადი მიმოხილვა

აშშ-ში კომპანიის დირექტორატი უფლებამოსილია გამოიყენოს თავდაცვითი ღონისძიებები, იმ მიზნით, რომ მტრული დაუფლების პროცესი გადაიყვანოს მოლაპარაკებების შედეგად შეძენის პროცესში. *(Divert hostile offers in to negotiated acquisition process)* რაც მეტ ძალაუფლებას ანიჭებს მას მოლაპარაკების წარმოებისას და საბოლოო ჯამში საშუალებას აძლევს გაზარდოს აქციონერთა შემოსავალი შერწყმის ტრანზაქციის შედეგად[781] *(maximize shareholder value in M&A transactions).*

ამერიკული კომპანიის ბორდი ასევე უფლებამოსილია შერწყმის ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს და შეიტანოს ე.წ. გარიგების დამცველი მექანიზმები *(Deal protection devises),* რომლებიც საბოლოო ჯამში ემსახურებიან სამიზნე კომპანიის ფასის გაზრდას, შესაბამისად მეტი შემოსავლის მიღებას აქციონერებისათვის.[782]

დალევერის შტატის საკორპორაციო კანონმდებლობა სწორედ დირექტორატს და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს აძლევს უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება. ინგლისში დირექტორატს არ აქვს უფლებამოსილება დაუფლების შესახებ წინადადება გადაიყვანოს მოლაპარაკების პროცესში. პირიქით, თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება აქ მკაცრად არის აკრძალული. დაუფლების შესხებ 2011 წლის აქტი უკრძალავს დირექტორატს გამოიყენოს ე.წ. გარიგების დამცავი თავდაცვითი მექანიზმები. ამგვარი აკრძალვების დაწესებით, ინგლისში მოქმედ კომპანიათა დირექტორატის გავლენა და ძალაუფლება მოლაპარაკებათა პროცესზე, შემცირებულია.[783] ინგლისში შერწყმასთან დაკავშირებით მოლაპარაკებათა წარმოების უფლებამოსილება აქციონერებს აქვთ, რაც დირექტორებს ართმევს უფლებას მიიღონ მონაწილეობა მსაგვსი სახის ტრანზაქციებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისა თუ მოლაპარაკების

---

[780] *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 161.

[781] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 115.

[782] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 115.

[783] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P115

წარმოების პროცესში.[784]

აშშ-ში არსებულ უდიდეს კომპანიათაგან (დია საქციო საზოგადოებათა 50%-ზე მეტი და საუკეთესო 500 კომპანიათაგან 63%-ი) უმრავლესობა დელავერის შტატშია რეგისტრირებული. ამ მიზეზის გამო დელავერის საკორპორაციო კანონმდებლობის მიხედვით ხდება შერწყმასა თუ დაუფლების ტრანზაქციებთან დაკავშირებით უამრავი გადაწყვეტილების მიღება.

ფასიანი ქაღალდების კომისია (*The Securities and Exchange Commition*[785]) არეგულირებს დაუფლებასთან დაკავშირებით სატენდერო შეთავაზებას და შერწყმასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული რეგულაციები ფოკუსირებულია კომპანიათა მხირდან ინფორმაციის გამჟღავნების საკითხებზე *(Disclosure)* და შესაძლოა არ ეხებოდეს დირექტორთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.[786]

სწორედ ამიტომ, სამიზნე კომპანიათა დირექტორების მიერ შერწყმისა და დაუფლების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტორლი და რეგულაცია მომდინარეობს დელავერის სასამართლოთა გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც მიიღება დერივაციული სარჩელებიდან გამომდინარე.[787]

დელავერის საკორპორაციო კანონის *(Delaware General Corporation Law, DGCL)* 141 (a) მუხლის თანახმად, კომპანიის საქმიანობას უძღვება დირექტორატი. სწორედ ამიტომ, დელავერის კანონმდებლობა დირექტორატს აკისრებს ვალდებულებებს კომპანიისა და აქციონერთა წინაშე. შესაბამისად დირექტორებს აქვთ ზრუნვისა, ერთგულებისა და კეთილსინდისიერების მოვალეობა აქციონერთა მიმართ, კომპანიის შერწყმისა თუ საკონტროლო პაკეტის გაყიდვის პროცესში.[788]

დელავერის კანონმდებლობა აქციონერს ანიჭებს უფლებამოსილებას გაასაჩივროს დირექტორატის გადაწყვეტილება. აღძრას დირექტორთა წინააღმდეგ დერივაციული სარჩელი, კომპანიის სახელით და ნაცვლად. აღნიშნული სარჩელით აქციონერმა უნდა ამტკიცოს, რომ დირექტორთა მხრიდან არასოწორი მართვისა და დაუდევრობის შედეგად კომპანიამ ზიანი განიცადა.[789] სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს დელავერის საკანცლერო სასამართლოში, ხოლო ამ უკანასკნელის გადწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს

---

[784] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P115

[785] ფასიანი ქაღალდების შესახებ კომისია, შეიქმნა 1934 წელს კონგრესის აქტის საფუძველზე აშშ-ში, საფონდო ბირჟებზე კრახის დავითან აცილების მიზნით. იხ: http://www.sec.gov/about.shtml , (ბოლოს გამოხმობილია 22.04.2014)

[786] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P.118

[787] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 118.

[788] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 119.

[789] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 119.

დელავერის უზენაესი სასამართლო.[790]

დელავერის საკანცლერო სასამართლო უდიდეს როლს ასრულებს კანონმდებლობის განვითარებასა და სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. იგი თავის გადაწყვეტილებებში ხშირად აკრიტიკებს დირექტორებს, იმათაც კი რომლებსაც არ დაურღვევიათ ვალდებულება. კრიტიკის მიზანს წარმოადგენს შესთავაზოს გაიდლაინები, სახელმძღვანელო, არასავლდებულო მითითებები და დაადგინოს საუკეთესო პრაქტიკა სამომავლოდ, რათა მომავალში დირექტორებმა შეძლონ მათ მიხედვით მოქმედება გადაწყვეტილებათა მიღებისას.[791]

სასამართლოს მხრიდან ამგვარი ინსტრუქციული დამოკიდებულება სასარგებლოა და დადებითად აისახება კომპანიათა საქმიანობაზე, რადგან დირექტორს საშუალება აქვს გაეცნოს სარეკომენდაციო ხასიათის გაიდლაინებს მნიშვნელოვანი და რთული გადაწყვეტილების მიღებამდე.[792]

დელავერის საკორპორაციო კანონის თანახმად, *DGCL section 251*[793] დირექტორატმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სადაც მიუთითებს, რომ ეთანხმება შერწყმის/დაუფლების შესახებ შეთანხმებას. დირექტორატმა აქვე უნდა განმარტოს ტრანზაქციის მიზანშეწონილობა. ასევე უნდა მიეთითოს, რომ ტრანზაქცია აქციონერთა უმრავლესობის მიერ მოწონებული იქნა.[794]

დელავერის საკორპორაციო კანონმდებლობის თანახმად, ბორდის წევრები ასევე ვალდებულნი არიან მიაწოდონ აქციონერებს სრული ინფორმაცია ტრანზაქციის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. რა ნაბიჯები იქნა გადადგმული მათი მხრიდან ტრანზაქციის მიმდინარეობისას კომპანიის ღირებულების გაზრდის მიზნით. რის საფუძველზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება ტრანზაქციის განხორციელების შესახებ. აქციონერთათვის მიწოდებული ინფორმაცია ყოვლისმომცველი და სრულყოფილი უნდა იყოს.[795]

კომპანიამ შერწყმის ტრანზაქციასთან დაკავშირებით ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ასევე ფასიანი ქაღალდების კომისიას *(SEC)* არსებულ რეგულაციების შესაბამისად.[796]

---

[790] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 119. იხ. ასევე თავი 3.4.2. დერივაციული სარჩელი

[791] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 120.

[792] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 120.

[793] *Delaware General Corporation law,* ხელმისაწვდომია : http://delcode.delaware.gov/title8/c001/sc09/index.shtml, (ბოლოს გამოხმობილია: 22.04.2014)

[794] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P129

[795] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P129

[796] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University

1934 წლის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ აქტის მოთხოვნათა თანახმად, დელავერის შტატში რეგისტრირებული კომპანიის დირექტორატი ვალდებულია სატენდერო შეთავაზებიდან 10 დღეში მიაწოდოს შეთავაზების შესახებ ინფორმაცია აქციონერებს და ასევე წარმოადგინოს რეკომენდაცია სატენდერო წინადადებაზე დათანხმების ან მისი უარყოფის შესახებ.[797]

ბიზნეს კორპორაციათა შესახებ მოდელური აქტის თანახმად, შერწყმა ხორციელდება, როდესაც ერთი კომპანია დაუფლება მეორეს, შემძენი კომპანიას განაგრძობს არსებობას, ხოლო ეს უკანასკნელი კი არსებობას წყვეტს[798] შერწყმის შედეგად შემძენი კომოანია ეუფლება ნებისმიერი სახის ქონებასა თუ სიკეთეს, რაც სამიზნე კომპანის გააჩნდა და ასევე იგი არის პასუხისმგებელი სამიზნე კომპანიის ვალდებულებებზე. სამიზნე კომპანიის აქციონერები იღებენ აქციებს შერწყმის შედეგად მიღებულ *(Surviving Corporation)* კომპანიაში ან მათი წილის ანაზღაურება ხდება სხვაგვარად.[799] (იხ. სქემატური გამოსახულება №3, გვ.175)

დაუფლება შესაძლოა განხორციელდეს აქციათა გაცვლით *(Share Exchange),* რომლის დროსაც ერთი კომპანია იძენს მეორე კომპანიის აქციებს აქციათა სრულად გაცვლის შედეგად. აქციათა გაცვლის დროს ორივე კომპანია ინარჩუნებს იურიდიულ იდენტობას და აგრძელებს არსებობას. გაცვლის შედეგად მშობელ კომპანიას *(Parent Corporation)* საკუთრებაში აქვს შვილობილი კომპანიის *(Subsidiary Corporation)* ყველა აქცია. *(RMBCA sec.11.02)*[800] ამგვარი დაუფლების შედეგად, შვილობილი კომპანიის აქციონერი, ხდება მშობელი კომპანიის აქციონერი ხოლო მშობელი კომპანია, ხდება შვილობილი კომპანიის ერთპიროვნული აქციონერი. მსაგვსი სახის ტრანზაქცია, როგორც წესი, ხორციელდება ჰოლდინგური კომპანიის შექმნის მიზნით. [801] (იხ. სქემატური გამოსახულება №5, გვ.176)

მითითებული ტრანზაქციის შესახებ, გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა, თითოეული კომპანიის დირექტორთა რეკომენდაცია შერწყმასთან დაკავშირებით და რეკომენდაციის საფუძველზე აქციონერთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. კომპანიის წესდება შესაძლოა ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას აქციონერთა კვალიფიციური უმრავლესობით *(მაგ.80%).*[802]

თუკი მშობელი კომპანია ფლობს შვილობილი კომპანიის 90%-ს ან მეტ აქციას, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გამარტივებული შერწყმის (*Short-form merger*) განხორციელება. ასეთი შერწყმა გაცილებით უფრო

School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P129

[797] "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, P130

[798] *RMBCA sec.11.01*

[799] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013 P.642

[800] *იქვე.* 643.

[801] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 643.

[802] *იქვე..*643. იხ ასევე *RMBCA sec.11.03*

მარტივია, ვიდრე ჩვეულებრივ სტანდარტულ შემთხვევაში, ვინაიდან ამ დროს არ არის საჭირო არც ერთი კომპანიის აქციონერთა თანხმობა და არც შვილობილი კომპანიის დირექტორთა თანხმობაა აუცილებელი. ასეთი ოპერაციისათვის საკმარისია მხოლოდ მშობელი კომპანიის დირექტორთა გადაწყვეტილება შერწყმასთან დაკავშირებით.[803]

ინფორმაცია შერწყმის შესახებ კანონით დადგენილი ფორმით უნდა მიეწოდოს იმ შტატის უფლებამოსილ პირს, *(Secretary of state)* სადაც მდებარეობს შერწყმის შედეგად მიღებული კომპანია. აღნიშნული პირი გამოსცემს შერწყმისა თუ აქციათა გაცვლის შესახებ სერთიფიკატს, ყველა ფორმალობის შემოწმებისა და საჭირო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. შერწყმა ითვლება დასრულებულად.[804]

ერთი კომპანიის მიერ მეორის დაუფლება საკმაოდ გავრცელებულ ტრანზაქციას წარმოადგენს თანამედროვე კორპორაციულ კომბინაციებში. შემძენი კომპანია აღნიშნულს ახორციელებს ოფიციალური სატენდერო შეთავაზების შედეგად, რომლის თანახმადაც იგი სთავაზობს სამიზნე კომპანიას, რომ შეისყიდის მის აქციებს დადგენილ ფასად. ვინაიდან დაუფლების მცდელობა სამიზნე კომპანიის აქციების ფასზე აისახება, კერძოდ კი იწვევს მისი ღირებულების ზრდას, დაინტერესებულმა კომპანიამ შეიძლება სცადოს დაეუფლოს სამიზნე კომპანიის აქციათა სოლიდურ ოდენობას, მათი შესყიდვის გზით. თუმცა აქციათა მნიშვნელოვანი ოდენობის შესყიდვის შესახებ, დიდი ხნით დუმილს ვერ შეინარჩუნებს, ვინაიდან ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ აქტის *(Securities Exchange Act 1934)* თანახმად, პირი რომელიც შეიძენს ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ს ან მეტს, ვალდებულია მოახდინოს აღნიშნული ფაქტის დეკლალირება შეძენიდან 10 (ათი) დღეში.[805]

4.2. სატენდერო შეთავაზება

1968 წელს კონგრესის მიერ მიღებულ იქნა აქტი, რომელიც უილიამსის აქტის სახელით არის ცნობილი (*Williams Act*.). იგი მიღებული იქნა როგორც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ აქტის დამატება *(Securities Exchange Act 1934.)* და არეგულირებს სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებულ საკითხებს.[806] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *SEA 1934*-ის მუხლი 10 (b)(5), რომელიც წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების კომისიის მიერ (*SEC*) ინსაიდერულ ვაჭრობასთან დაკაშირებით გამოძიების დაწყების საფუძველს.

სატენდერო შეთავაზებით სამიზნე საზოგადოებაზე კონტროლის მოპოვება სწრაფი დაუფლების მეტად პოპულარული და შესაბამისად

---

[803] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013,643. იხ. ასევე: *RMBCA sec.11.05*

[804] *იქვე.* იხ. ასევე: *RMBCA sec.11.05*

[805] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 435.

[806] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013,646.

აპრობირებული საშუალებაა და შეიძლება განხორციელდეს კანონით განსაზღვრული საკონტროლო ზღვრის მიღწევამდე.[807] ზღვრის მიღწევის შემდეგ, სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შესახებ წესები მოდის მოქმედებაში.

აქციათა საკონტროლო პაკეტის მოპოვება კერძო მოლაპარაკებების გზით ან ხმის უფლების მქონე აქციათა შესყიდვის შესახებ სავალდებულო სატენდერო შეთავაზებით არის შესაძლებელი.[808] სატენდერო შეთავაზების ოფერტის ადრესატებს აქციონერები წარმოადგენენ.

დაუფლება არის შემთავაზებლის მცდელობა, მოიპოვოს სუბიექტ კომპანიაზე კონტროლი, მისი განთავსებული აქციების სრულად ან ნაწილობრივ შეძენის გზით.[809]

აქტი ადგენს სატენდერო შეთავაზების მიმართ მოქმედ წესებს, რომლის თანახმადაც, სატენდერო შეთავაზება:

- არ შეიძლება დაიხუროს შეთავაზებიდან 20 სამუშაო დღის განამავლობაში;
- ვადა უნდა გაიზარდოს 10 სამუშაო დღით, თუკი შემთავაზებელი შეცვლის აქციათა რაოდენობას, რომელთა შეძენასაც აპირებს ან შეცვლის შეთავაზებულ ფასს თითოეული აქციისათვის;
- სამართლიანი ფასის წესის *(fair price rule)* თანახმად, გაზრდილი ფასი უნდა შესთავაზონ ყველა აქციონერს, მათ შორის მათაც, ვინც მანამდე უკვე განათავსა აქციები სატენდერო შეთავაზებაზე;
- აქციები შეძენილ უნდა იქნეს პროპორციულობის საფუძველზე (*pro rate basis)* იმ შემთხვევაში თუ არ ხდება ყველა განთავსებული აქციის შეძენა.

ქციონერს, რომელმაც განათავსა საკუთარი აქციები, აქვს აბსოლუტური უფლება, სანტენდერო შეთავაზების დახურვის თარიღამდე, ნებისმიერ დროს, გამოიხმოს აქციები უკან და უარი განაცხადოს მათ გასხვისებაზე.[810]

უილიამსის აქტის თანახმად, აკრძალულია სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით თაღლითური, ტყუილის შემცველი და მანიპულაციური ქმედებების განხორციელება. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს როგორც სამოქალაქოსამართლებრივი,

---

[807] *მახარობლშვილი.*, სამიზნე საზოგადოების შეძენა კაპიტალის ორგანიზაციულ ბაზარზე-დაუფლება სატენდერო შეთავაზებით და მისი სახეები, 139-178, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1, 2013

[808] *მახარობლშვილი.*, სამიზნე საზოგადოების შეძენა კაპიტალის ორგანიზაციულ ბაზარზე-დაუფლება სატენდერო შეთავაზებით და მისი სახეები, 139-178, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1, 2013

[809] *მახარობლშვილი.*, სამიზნე საზოგადოების შეძენა კაპიტალის ორგანიზაციულ ბაზარზე-დაუფლება სატენდერო შეთავაზებით და მისი სახეები, 139-178, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1, 2013

[810] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013, 646.

ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აქციონერი, რომელიც დაზარალდა ზემოაღნიშნული ქმედების გამო, უფლებამოსილია უჩივლოს სამართალდამრღვევს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მისგან.[811]

ა. აქციათა გამოსყიდვის უფლება *Shareholder Appraisal Rights*

ხშირ შემთხვევაში, აქციონერთა ნაწილი შერწყმის წინააღმდეგია, თუმცა იმის გამო, რომ მათ ხმების სათანადო რაოდენობა არ გააჩნიათ, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, წინ აღუდგნენ ტრანზაქციას. ასეთ აქციონერებს, კანონმდებლობის თანახმად, შეუძლიათ მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება მათ საკუთრებაში არსებული აქციების სანაცვლოდ *Appraisal Rights.* [812] აქციონერებს ასეთ შემთხვევაში არ გააჩნიათ სხვა რაიმე სახის უფლება გარდა აქციათა სამართლიან ფასად გამოსყიდვისა, თუკი თავად გარიგება უკანონო და თაღლითური არ იყო.[813] იმისათვის, რომ შეინარჩუნოს გამოსყიდვის უფლება, აქციონერმა ხმის მიცემამდე, წერილობით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კრებას, რომ იყენებს აქციათა სამართლიან ფასად გამოსყიდვის უფლებას და არ უნდა დაუჭიროს მხარი კრებაზე შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებას. თუკი არ შეასრულებს ამ მოთხოვნათაგან რომელიმეს, იგი მითითებულ უფლებას კარგავს.[814]

4.3. თავდაცვითი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა

Delaware Antitakeover Statute

დაუფლების წინააღმდეგ სამართლის ნორმები ემსახურება იმ მიზანს, რომ მოახდინოს დელავერის შტატთან დაკავშირებული კომპანიის დაუფლების წინააღმდეგ პრევენცია, გაართულოს იგი. აღნიშნული პროცესის გართულების მთავარი მიზეზი ის არის, რომ დაუფლების შედეგად არ მოხდეს ბიზნესის გადატანა ან სხვა მსგავსი ქმედება შემძენის მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება როგორც დასაქმებულებზე, ასევე შტატის ბიუჯეტში გადასახდელ თანხაზეც. ძირითადად დაუფლების საწინააღმდეგო სტატუტის გამოყენება ხდება იმ კომპანიათა მიმართ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან დელავერის შტატში ან თუკი აქციონერი რომლიც კომპანიის აქციათა 10% ან მეტს ფლობს შტატის რეზიდენტია. სხვა შტატებს შორის დელავერის შტატს აქვს გამორჩეულად კარგი და ძლიერი დაუფლების საწინააღმდეგო სტატუტი.[815]

სტატუტი ადგენს, რომ კომპანია, რომელიც დაეუფლება დელავერში რეგისტრიებულ კომპანიას ვერ შეძლებს მასთან შერწყმის დასრულებას აქციათა შეძენიდან სამი წლის განმავლობაში, თუკი იგი შეიძენს

---

[811] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013 P.646 see. *(Williams Act – 1968 sec. 14 (e))*

[812] *RMBCA sec.13.02*

[813] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013 p.644

[814] *იქვე.*

[815] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013 P.648

აქციათა 15% -ს ან მეტს. აღნიშნული შეზღუდვას შესაძლოა რომ თავიდან იქნეს არიდებული თუკი:

ა) დელავერში რეგისტრირებული სამიზნე კომპანიის დირექტორატი წინასწარ დაეთანხმება დაუფლების შესახებ წინადადებას;
ბ) შემძენი, შეიძნს სამიზნე კომპანიის აქციათა 85%-ს ან მეტს;
გ) შემძენი , აქციათა 15%-ის ან მეტის შეძენით მოიპოვებს სამიზნე კომპანიის დამოუკიდებელ (ინტერესის არ მქონე) აქციათა ხმების 2/3-ს.

აღნიშნული შეზღუდვების დაწესებით, დელავერის საკორპორაციო სამართალი ფაქტიურად შეუძლებელს ხდის კომპანიის დაუფლებას სამიზნე კომპანიის დირექტორთა თანხმობის მოპოვების გარეშე.[816]

დელავერის საკანცლერო სასამართლომ *Air Products vs. Airgas* საქმესთან დაკავშირებით განმარტა, რომ დელავერის საკორპორაციო კანონმდებლობის თანხმად არასასურველი მტრული დაუფლების მოგერიების ძალაუფლება მინიჭებული აქვთ კომპანიის დირექტორებს,[817] აღნიშნული განმარტება გაკეთდა დელავერის საკორპორაციო კანონის *(DGCL)* მნიშვნელოვანი ნორმის შესაბამისად, რომლის თანახმადაც დირექტორები და არა აქციონრები, მართავენ და უძღვებიან კომპანიის ბიზნეს საქმიანობას.[818]

აღნიშნულიდან გამომდინარე, აქციონერთა მიერ ხმის მიცემის ეტაპამდე, ანუ სანამ მიმართავდეს აქციონერთა კრებას საკითხზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით *(prior to reaching a shareholder vote)* დელავერის საკორპორაციო კანონმდებლობის თანხმად, დირექტორატს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს თავდაცვით ღონისძიებათა სხვადასვა საშულება, საკუთარი შეხედულებისამებრ, რათა მოიგერიოს არაადექვატური და კომპანიისათვის მიუღებელი შეთავაზება შესყიდვასთან დაკავშირებით.[819]

დელავერის კანონმდებლობისგან ფუნდამეტურად განსხვავებული რეგულაცია არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით დიდ ბრიტანეთში, სადაც სამიზნე კომპანიის დირექტორატს ვალდებულება აქვს იმოქმედოს კომპანიის, როგორც მთლიანი ოგანიზაციის, ინტერესების შესაბამისად, და არ უნდა მოუსპოს აქციონერებს შესაძლებლობა, მიიღონ გდაწყვეტილება შემოთავაზებულ წინადადებასთან დაკავშირებით.[820]

---

[816] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013, 648.

[817] *Air Products and Chemicals Inc v Airgas Inc,* C.A. Nos. 5249, 5256 (Del. Ch. Feb. 15,2011).ხელმისაწვდომია:http://courts.delaware.gov/opinions/download.aspx?ID=150850, (ბოლოს ფამოხმობილია: 23.04.2014)

[818] *Aronson vs. Lewis,* 473 A.2d 805, 811 (Del.1984) ციტირებულია: "*Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 135. მიხედვით.

[819] *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 135.

[820] *The Takeover Code*, General principle 3, B1, ციტირებულია: *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-

მართალია დელავერის კანონმდებლობა დირექტორებს ანიჭებს უფლებამოსილებას გამოიყენონ თავდაცვითი ღონისძიებები არასასურველი სატენდერო წინადადების მოგერიების თვალსაზრისით, მაგრამ სასმართლო პრაქტიკამ დაადგინა გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც დირექტორატმა თავდაცვითი ღონისძიება კი არ უნდა გამოიყენოს არამედ უნდა მოაწყოს "აუქციონი" რათა საუკეთესო ფასად მოხდეს კომპანიის გასხვისება. ეს ის შემთხვევაა როდესაც აშკარაა რომ კომპანიის გაყიდვა გარდაუვალია.(*იხ.ქვემო: Revlon rule)*

Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co. დელავერის უზენაესმა სასამართლომ დააგინა ზრუნვის მოვალეობის სტანდარტი *(Duty of Care)*, მტრული დაუფლების წინააღმდეგ თავდაცვითი ღონისძიების გამოყენების პროცესში. სასამართლომ განმარტა: არსებული მოსაზრების გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც თავდაცვითი ღონისძიების გამოყენებისას დირექტორატი შეიძლება მოქმედებდეს უპირატესად საკუთარი და არა კომპანიისა და აქციონერთა ინტერესების სასარგებლოდ. თავდაცვითი ღონისძიების გამოყენებისას მნიშვნელოვანია, რომ ზრუნვის ვალდებულება ღრმა და ყოვლისმომცველი იყოს. ამ დროს დირექტორატის გადაწვეტილება მყარად დასაბუთებული უნდა იყოს და პასუხობდეს არა მხოლოდ "რაციონალური გადაწყვეტილების" სტანდარტს, არამედ უფრო მაღალ სტანდარტს.[821]

დირექტორატი ვალდებულია დაადგინოს, კომპანიის აქციების შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ოფერტი, არის თუ არა კომპანიისა და აქციონერთა საუკეთესო ინტერესების შესატყვისი.[822] თუკი ოფერტზე აქცეპტი კომპანიის ინტერესებს შეესაბამება და მიუხედავად ამისა, დირექტორატი მაინც იყენებს თავდაცვით მექანიზმებს, მაშინ ადგილი აქვს ზრუნვის *(Duty of Care)* მოვალეობის დარღვევას.[823]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, *Unocal* ტესტის შესაბამისდ დრექტორატმა ორი რამის დამტკიცება უნდა შეძლოს: ***პირველი,*** რომ შემოთავაზებული წინადადება შესყიდვასთან დაკავშირებით საფრთხეს უქმნის "კომპანიის კორპორაციულ პოლიტიკას და მის ეფექტურობას"[824] *(Threat to Corporate policy and effectivness*) და ***მეორე,*** "გამოყენებული თავდაცვითი ღონისძიება გონივრული და საფრთხის ადექვატურია."[825] *(Takeover defense was reasonable in relation to the threat posed)*

თუკი სასმართლო დაადგენს, რომ დირექტორატის მიერ გამოყენებული თავდაცვითი ღონისძიებები არ არის არც უკანონო და არც არაგონივრული და რომ დირექტორატი ამ გადაწყვეტილების

13, 135. მიხედვით.

[821] *Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co.,* 493 A.2d 946 (Del. 1985) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/Unocal.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[822] *Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co.,* 493 A.2d 946 (Del. 1985) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/Unocal.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[823] *Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co.,* 493 A.2d 946 (Del. 1985) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/Unocal.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[824] *Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co.,* 493 A.2d 946 (Del. 1985) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/Unocal.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[825] *Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co.,* 493 A.2d 946 (Del. 1985) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/Unocal.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

მიღებისას კეთილსინდისიერად მოქმედებდა და ბოროტად არ იყენებდა მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, [826] ამოქმედდება სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების წესი და დირექტორის პასუხისმგებლობა არ დადგება.[827]

Revlon, Inc, v. MacAndrews & Forbes Holdings Inc. საქმესთან დაკავშირებით დელავერის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაუფლების წინააღმდეგ თავდაცვითი ღონისძიების გამოყენება ყოველთვის არ არის ნებადართული.

სასამართლომ განმარტა, რომ გარკვეულ სიტუაციაში დირექტორატის ვალდებულება დაიცვას სამიზნე კომპანია როგორც ორგანიზაცია, იცვლება და კონვერტირდება ვალდებულებაში გაზარდოს კომპანიის ღირებულება და უზრუნველყოს მისი შეძლებისდაგვარად მაღალ ფასად გაყიდვა და შესაბამისად მაღალი შემოსავალი აქციონერთათვის. [828] (*Revlon rule)*

დელავერის სასამართლოს განმარტებით აღნიშნულ ფაქტთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც დირექტორატი დგას რამდენიმე შემოთავაზების პირისპირ და ამ შემოთავაზებათაგან ყველა მათგანი ადექვატური და სამართლიანი კომპანიისა და აქციონერთა ინტერესებისათვის.[829] სწორედ იმ გარემოების გამო, რომ ოფერტი გონივრული და სამართლიანია, *Unocal* ტესტის გამოყენაბა აღარ ხდება და ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულება აღარ ეკისრება დირექტორატს, ვინაიდან ოფერტის სამართლიანობის გათვალისწინებით, ცხადია კომპანიას საფრთხე აღარ ემუქრება.

სწორედ ამიტომ როდესაც სახეზეა ე.წ. რევლონის წესი, (*Revlon rule*) დირექტორატი დგას რამდენიმე ადექვატური და სამართლიანი ოფერტის წინაშე და მიუხედავად ამისა, მაინც იქნება გამოყენებული თავდაცვითი ღონისძიება (მაგალითად როგორიცაა საწამლავი აბები *Poison Pills)* დირექტორატი *Business Judgmemt Rule* –ის დაცვით ვეღარ ისარგებლებს, რამაც საბოლოო ჯამში შეიძლება ზრუნვის მოვალეობის დარღვევის გამო პასუხისმგებლობა გამოიწვიოს.[830]

უნდა აღინიშნოს, რომ რევლონის წესი *Revlon rule (or standartd)* გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც დირექტორატი რამდენიმე სამართლიანი და ადექვატური ოფერტის წინაშე დგას. თუკი არსებობს მხოლოდ ერთი სატენდერო შეთავზება, კმპანიის შესყიდვასთან დაკავშირებით, გამოყენება უნოკალის წესი *Unocal rule (or standartd)* და დირექტორატი უფლებამოსილია მიმართოს თავდაცვით ღონისძიებებს, თუნდაც შემოთავაზებული ღირებულება საბაზრო ფასზე უფრო მაღალი

---

[826] *Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co.,* 493 A.2d 946 (Del. 1985) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/Unocal.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[827] *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 137.

[828] *Revlon, Inc, v. MacAndrews & Forbes Holdings Inc* 506 A.2d 173 (Del.,1986) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/revlon.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[829] *Revlon, Inc, v. MacAndrews & Forbes Holdings Inc* 506 A.2d 173 (Del.,1986) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/revlon.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[830] *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 139.

იყოს. ამ შემთხვევაში უნოკალის სტანდარტის შესაბამისად, დირექტორატს აქვს ვალდებულება დაადასტუროს, რომ შემოთავაზება საფრთხეს უქმნიდა კომპანიას და არ იყო აქციონერთა საუკეთესო ინტერესების შესაბამისი.[831]

Revlon rule გამოიყენება მაშინ როდესაც გადაწვეტილია კომპანიის გასხვისება, თუკი თავად კომპანიამ გააკეთა განცხადება გაყიდვასთან დაკავშირებით, ან თუ მოსალოდნელია კომპანიის გაკოტრება ან ლიკვიდაცია *(dissolution, break-up).* ასეთ შემთხვევაში დირექტორატმა თავდაცვითი ღონისძიება არ უნდა გამოიყენოს, არამედ უნდა უზრუნველყოს კომპანიის მაქსიმალურ ფასად გაყიდვა. [832] თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაიზარდოს კომპანიის ღირებულება, გამძაფრდეს კონკურენცია შესყიდვის მსურველთა შორის.

შეუძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდეს მოქედების წესები, *(ე.წ. Blueprints)* რომელთა მიხედვითაც უნდა იმოქმედონ დირექტორებმა, რათა შეასრულონ მოვალეობები საწარმოსა და აქციონერთა მიმართ.[833] მათ ამ მოვალეობათა შესრულება მარტივად შეძლიათ, თუ სათანადოდ შეისწავლიან სატენდერო წინადადებას და მხოლოდ სრულად ინფორმირებულობის საფუძველზე, კეთილსინდისიერად მიიღებენ გადაწყვეტილებას.[834]

4.3.1. "საწამლავი აბები" (Poison Pills) და სხვა თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება დირექტორატის მიერ

აშშ-ში, კერძოდ დელავერის შტატში, დირექტორატი უფლებამოსილია გამოიყენოს თავდაცვითი ღონისძიებები მტრული დაუფლების წინააღმდეგ. თუ რა სახის ღონისძიებას გამოიყენებს ეს მისი გადასაწყვეტია და ამ შემთხვევში იგი მოქმედებს მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში. აშშ-ში არასოდეს ყოფილა იმგვარი რეგულაციები, რომლებიც დირექტორატს თავდაცვითი მექანიზმების გამოყენებას აუკრძალავდა. [835] შერწყმისა და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას დირექტორთა ვალდებულებების განხილვის პროცესში სასმართლო ფოკუსირებას ახდენს დირექტორთა მხირადნ გადაწყვეტულების მიღების პროცესზე.

---

[831] *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 140.

[832] *Revlon, Inc, v. MacAndrews & Forbes Holdings Inc* 506 A.2d 173 (Del.,1986) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/revlon.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[833] *Revlon, Inc, v. MacAndrews & Forbes Holdings Inc* 506 A.2d 173 (Del.,1986) ხელმისაწვდომია: http://www.law.illinois.edu/aviram/revlon.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[834] *Chip" Saulsbury, IV,* The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13, 140.

[835] *Stokka* , Defence Tactics in Hostile Takeovers-An Analysis of The Rule Imposed on the Pursued Target, 2013, 23. (http://home.heinonline.org/)

სამიზნე კომპანიის დირექტორატს საშულება აქვს დაიცვას თავი მტრული დაუფლებისაგან. თავდაცვის უამრავი საშულება არსებობს რომელსაც დირექტორატმა შეიძლება მიმართოს.

აქციონერთა დარწმუნება- Persuasion of Shareholders - დირექტორატი ხშირად იყენებს მედია საშუალებებს და აწარმოებს მედია კამპანიას რათა დაარწმუნოს აქციონერები, რომ სატენდერო შეთავაზება არ არის მათი საუკეთესო ინტერესების შესაბამისი.[836]

დამაბრკოლებელი სარჩელის წარდგენა სასამართლოში- Delaying Lawsuits – სარჩელი შეიძლება იქნეს წარდგენილი, რომ სატენდერო შეთავაზება არღვევს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ კანონს, მონოპოლურ კანამდბოლობას ან სხვა რეგულაციებს. აღნიშნული ტაქტიკის გამოყენებით დირექტორატი იგებს დროს, რაც აძლევს მას საშუალებას შეიმუშაოს თავდაცვით ღონისძიებათა ეფექტური საშულებები და ტაქტიკა.[837] თავდაცვის ეს საშულება წარმატებული აღმოჩნდება თუკი სასამართლო დაადგენს, რომ შერწყმის შედეგად შემძენი კომპანია მოიპოვებს დიდი ძლაუფლებას და გავლენას ბაზარზე.[838]

White knight merger – წარმოადგენს შერწყმას მეგობრულ კომპანიებს შორის, რომლი დროსაც შემძენი კომპანიას იძლევა გარანტიას რომ არ შეეხება სამიზნე კომპანიას ან/და მის დირექტორატს.[839]

Flip – over and Flip-in rights plan- აღნიშნული წესი ანიჭებს სამიზნე კომპანიის აქციონერს უფლებამოსილებას გადაცვალოს მის საკუთრებაში არსებული აქციები შემძენი კომპანიის უფრო მეტ აქციაზე (მაგ. ორჯერ მეტი) *Flip – over rights plan* ან სამიზნე კომპანიის სავალო ფასიან ქაღალდებში *Flip-in rights plan.* იგი ამოქმედდება თუკი შემძენი კომპანია სამიზნე კომპანიის აქციათა გარკვეულ რაოდენობას (მაგ. 20%-ს) დაეუფლება. ეს წესი გაცილებით უფრო რთულს და ძვირს ხდის სამიზნე კომპანიის დაუფლებას.[840]

Creating Employee stock ownership plan- კომპანიას შეუძლია შეიმუშაოს დასაქმებულთა მიერ აქციების ფლობის გეგმა და განათავსოს აქციების გარკვეული რაოდენობა ამ გეგმის ფარგლებში (მაგ. 15 %) ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ დასაქმებულები საკუთარ ხმებს გამოიყენებენ სატენდერო შეთავაზების საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ბენეფიციარებს (დასაქმებულებს) აქვთ მნიშვნელოვანი დაინტერესება

---

[836] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013, 646.
[837] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013, 646.
[838] *Clarkson ., Miller.,Cross*, Bunisess Law, Text and Cases , 12th Ed., 2012, 802.
[839] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013, 647.
[840] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013, 47.

შეინარჩუნონ კომპანია ხელუხლებლად.[841]

Greenmail and standstill agreements- იშვიათად ისეც ხდება, რომ შემძენი კომპანია თანახმაა უარი განაცხადოს სატენდერო შეთავაზებაზე და აღარ შეიძინოს სამიზნე კომპანიის აქციები, თუკი ეს უკანასკნელი დათანხმდება, რომ გამოისყიდოს შეძენილი აქციები უკან და გადაიხადოს მათში საბაზრო ფასზე გაცილებით მეტი თანხა. აღნიშნულ გადახდას ეწოდება *Greenmail- მწვანე ფოსტა,* ხოლო შეთანხმებას რომლის თანახმადაც შემძენი კომპანია თანახმაა უარი თქვას სატენდერო შეთავაზებაზე და აღარ შეიძინოს სამიზნე კომპანიის აქციები ეწოდება *standstill agreement.- შეთანხმება უმოქმედობის შესახებ.*[842]

Management buy-out"(MBO) რაც, კომპანიის მტრული დაუფლების ხელშეშლის მიზნით, მენეჯმენტის მხრიდან სავაჭროდ დაშვებული აქციების შესყიდვას გულისხმობს.[843]

თავდაცვის მექანიზმების უამრავი ხერხი არსებობს, რომლებზეც უფრო დეტალურად წინამდებარე ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე ვერ შევჩერდებით, ვინაიდან მის მიზანს არ წარმოადგენს შერწყმა-დაუფლების პროცესისა და ამ პროცესში გამოყენებული თავდაცვითი ღონისძიებების დახასიათება, არამედ ნაშრომი ამ პროცესში დირექტორთა მოვალეობებზე აკეთებს ფოკუსირებას. სწორედ ამიტომ დირექტორთა მოვალეობები განხილულ იქნება ისეთი მნიშვნელოვან და აშშ-ში არაეთი სასამართლო განხილვის საგნად ქცეულ თავდაცვით ღონისიებაზე როგორიცაა "საწამლავი აბაბი".[844]

ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე *Unocal Corpo vs Mesa Petrolium*[845] დელავერის სასმართლომ დააგინა, რომ სამიზნე კომპანიის დირექტორატი უფლებამოსილია შეიმუშაოს თავდაცვითი ტაქტიკა, შემძენი კომპანიის მიერ განხორციელებული ქმედებების პროპორციულად, თუკი მას ექნება საფუძველი იფიქროს, რომ თავდაცვითი საშულებების გამოუყენებლობის გამო, დაზიანდება სამიზნე კომპანიის ლეგიტიმური ინტერესი. ამასთან, კონკრეტული თავდაცვითი მექანიზმის გამოყენების გონივრულობისა და მიზანშეწონილობის მტკიცების ტვირთი სამიზნე კომპანიის დირექტორატზე გადადის.[846]როგორც ზემოთაც აღინიშნა, დირექტორატის ქმედების შეფასების ამ წესმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ამერიკულ საკორპორაციო სამართალში და იგი ცნობილია, "უნოკალის ტესტის"

---

[841] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013, 647.

[842] *Cheesemen,* Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed., Pearson Education, New Jersey, 2013, 647.

[843] *Gevurtz ,* Corporation Law, West Group, St.Paul, Minn, 2000, 675.

[844] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე გადათარგმნილია როგორც "მომწამლავი აბი" იხ. *მახარობლიშვილი,* კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში, ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, შედარებითსამართლებრივი ანალიზი, დისერტაცია, 145.

[845] *Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co., 493 A.2d 946 (Del. 1985)* http://www.law.illinois.edu/aviram/Unocal.pdf

[846] *Stokka*, Difence Tactics in Hostile Takeovers-An Analysis of The Rule Imposed on The Pursued Target, 2013, 24. (http://home.heinonline.org/)

(Unocal Test) სახელით.

Unocal Test მნიშვნელოვანია ისეთი თავდაცვითი საშუალების გამოყენებისას როგორიცაა "საწამლავი აბები" *(Poison Pills).* შეიძლება ითქვას, რომ იგი ითვლება თავდაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად და შესაბამისად საკმაოდ ხშირად ხდება მისი გამოყენებაც.[847]

Poison Pills- წარმოადგენს კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებს, რომელსაც კომპანია უშვებს მისი აქციონერების სახელზე როგრც დივიდენდს. ეს აქციები შესაძლოა არ წარმოშობდეს ხმის და დივიდენდის მიღების უფლებას, ეს არ არის მისი ძირითადი მახასიათებელი ნიშანი. ის რაც ამ აქციებს აქცევს ე.წ. საწამლავ აბებად არის მისი კონვერტაციის უფლება.[848]

იმ შემთხვევაში თუ შემძენი კომპანია, იყიდის სამიზნე კომპანიის სავაჭროდ განთავსებული აქციების გარკვეულ ოდენობას (დგინდება წესდებით) და შემდეგ შეერწყმება სამიზნე კომპანიას, ზემოაღნიშნული პრივილეგირებული აქციების მფლობელებს უფლება აქვთ, მოახდინონ ამ აქციების სარფიანი კონვერტირება (გადაცვლა) შემძენის აქციებზე, რაც გულისხმობს მაგალითად, სამიზნე კომპანიის ერთ პრივილეგირებულ აქციაში, შემძენი კომპანიის ორი აქციის გადაცვლას (შესაძლოა დადგენილ იყო კონვერტაციის სხვა წესი). ამ გზით შემძენი კომპანია კარგავს ხმების რაოდენობას შერწყმის შედეგად წარმოშობილ კომპანიაში და მას საშულება აღარ ეძლევა მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, გაათავისუფლოს დირექტორატი და ა.შ. ცხადია ამგვარი მექანიზმის გამოყენება დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს შემძენი კომპანიისათვის, აფერხებს მის მიერ მტრული დაუფლების განხორციელებას.[849] ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ის სამიზნე კომპანიის ბორდსა და შემძენი კომპანიის ბორდს შორის შეთანხმების მიღწევას უწყობს ხელს.[850]

"საწამლავი აბების" ტაქტიკის საპასუხოდ, შესაძლოა მტრული დაულფების მსურველი კომპანიის აქციონერი დაუკავშირდეს სამიზნე კომპანიის, შერწყმისადმი ლოალურად განწყობილ აქციონერს და დაარწმუნოს იგი შეცვალოს არსებული დირექტორატი სასურველი კანდიდატებით, რაც საშულებას მისცემს მტრული დაუფლების მსურველს გამორიცხოს საწამლავი აბების გამოყენება. თუმცა ეს არც თუ ისე იოლი საქმეა, მაშინ როდესაც "საწამლავი აბების" დებულებასთან ერთად არსებობს როტაციის პრინციპით შედგენილი დირექტორატი. *(Staggered Board Provision)*[851]

---

[847] *Gevurtz,* Corporation Law, West Group, St.Paul, Minn, 2000, 675.

[848] *Gevurtz ,* Corporation Law, West Group, St.Paul, Minn, 2000, 675.

[849] არსებობს "საწამლავი აბების" (*Poison Pills)* მექანიზმის გამოყენების სხვადასხვა სახე, რომლებსაც ეწოდებათ *Flip-over, Flip-in, Back-end,* და ა.შ. მოცემულ შემთხვევში განხულულია თუ როგორ გამოიყენება *Poison Pills ე.წ.* Flip-over დებულების არებობის დროს. დეტალურად იხ. *მახარობლიშვილი.*, სამიზნე საზოგადოების შეძენა კაპიტალის ორგანიზაციულ ბაზარზე-დაუფლება სატენდერო შეთავაზებით და მისი სახეები, 139-178, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1, 2013

[850] *მახარობლიშვილი.*, სამიზნე საზოგადოების შეძენა კაპიტალის ორგანიზაციულ ბაზარზე-დაუფლება სატენდერო შეთავაზებით და მისი სახეები, 139-178, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1, 2013

[851] *Stokka*, Defence Tactics in Hostile Takeovers-An Analysis of The Rule Imposed on The Pursued Target, 2013, 24. (http://home.heinonline.org/)

Staggered Board Provision გულისხმობს, რომ თუნდაც მოხერხდეს აქციონერის დარწმუნება, დირექტორები იმგვარად არიან არჩეულნი, რომ მათ პოზიციაზე ყოფნის ვადა სხვადასხვა დროს გასდით. ამ შემთხვევაში დირექტორატის ერთი წლის განმავლობაში გაშვება ვერ მოხერხდება, ვინაიდან თითოეულ მათგანს უფლებამოსილების ვადა გაუვა ერთი წლის დაგვიანებით, (ზოგ შემთხვევაში ხდება დირექტორატის 1/3 ის არჩევა ამ წესით, ანუ ყოველ კონკრეტულ თარიღში უფლებამოსილების ვადა ეწურება დირექტორატის 1/3-ს და არა მთელ დირექტორატს[852]) ამასთან წესდება ითვალისწინებს, რომ დირექტორის გათავისუფლება საფუძვლის გარეშე *(Without Cause)* არ დაიშვება. შესაბამისად დირექტორატის სრულად შეცვლას მინიმუმ სამი წელი დაჭირდება. შერწყმის ამხელა ვადით გადადება კი ცხადია შემძენი კომპანიის ინტერესებში არ შედის.

აირგაზის საქმის განხილვისას [853] დელავერის სასმართლომ დაადასტურა რომ "საწამლევი აბების" გამოყენება დელავერში რეგისტრირებული კომპანიების მიერ შესაძლებელია. სასამართლომ ამ საქმის განხილვისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ე.წ. *Unocal Test* მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ დაცული უნდა იქნეს დასახელებული ტესტის მოთხოვნები.[854]

მიუხედავად ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებისა "საწამლავი აბების" როგორც თავდაცვითი საშუალების მიმართ სკეპტიკურად განწყობილთა რიცხვი იზრდება. სტატისტიკა აჩვენებს, რომ დელავერში რეგისტრირებულ საწარმოთაგან თავდაცვის ამ საშუალების გამოყენების ფაქტები მცირდება. ხოლო დიდ ბრიტანეთში და ევროკავშირში [855] თავდაცვის ამ ხერხის გამოყენება აკრძალულია.[856]

როგორ დარეგულირდება მტრულ დაუფლებასთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის დაბალანსებული ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც აქციონერსა და დირექტორატს შორის შეიძლება არსებობდეს. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა აქციონერთა მიმართ მეგობრულად განწყობილად ითვლება *(Shareholder-friendly)* რადგანაც აქ დირექტორატს არ აქვს უფლება შეეწინააღმდეგოს შერწყმის წინადადებას, თუკი აქციონერი მზაობას გამოთქვამს ამისათვის.[857] შესაბამისად მოქმედებს დირექტორატის ნეიტრალიტეტის წესი. (*Board Neutrality Rule)*

აქციონერისადმი მეგობრულად განწყობილი, რომელიც დირექტორატს უკრძალავს იმოქმედოს შერწყმის წინააღმდეგ წინასწარი თანხმობის გარეშე, (*Board Neutrality Rule)* თუ დირექტორატისადმი მეგობრულად განწყობილი მიდგომაა უკეთესი ამასთან დაკავშირებით კამათი

---

[852] *Zwecker ,* The EU Takeover Directive:Eight Years Later, Implementation But Still No Harmonization Amang Member States on Acceptable Takeover Defenses , 2012, 239.

[853] *Air Products and Chemicals Inc v Airgas Inc, C.A. Nos. 5249, 5256* (Del. Ch. Feb. 15, 2011). (http://courts.delaware.gov/opinions/download.aspx?ID=150850)

[854] *Stokka*,Defence Tactics in Hostile Takeovers-An Analysis of The Rule Imposed on The Pursued Target, 2013, 25. (http://home.heinonline.org/)

[855] Directive 2004/25/EC of The Europian Parliament and of the Counsil of 21 April 2004 on takeover bids , (http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2004:142:0012:0012:EN:PDF)

[856] *Stokka*, Defence Tactics in Hostile Takeovers-An Analysis of The Rule Imposed on The Pursued Target, 2013, 25. (http://home.heinonline.org/)

[857] *Stokka*, Defence Tactics in Hostile Takeovers-An Analysis of The Rule Imposed on The Pursued Target, 2013, 25. (http://home.heinonline.org/)

მიმდინარეობს და ცალსახა პასუხი არ არსებობს.

თუ ჩავთვლით, რომ სამიზნე კომპანიის დირექტორატის როლი, შერწყმის შედეგად მხოლოდ აქციონერთა სიმდიდრის გაზრდაა მაშინ პასიური დირექტორატი უფრო მისაღებია. ხოლო თუკი მივიჩნევთ, რომ დირექტორატმა ასევე უნდ გაითვალისწინოს კომპანიასთან დაკავშირებულ სხვა პირთა (სტეიკჰოლდერთა) ინტერესები, ცხადაია ამ შემთხვევაში აქტიური დირექტორატი უფრო მისაღები იქნება.[858]

დირექტორატის ნეიტრალიტეტის წესის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ დირექტორისათვის მოქმედების თავისუფლების მიცემა სახიფათოა, ვინაიდან როგორც წესი, შერწყმის შემდეგ დირექტორატის გადაყენება ხდება და შესაბამისად შესაძლოა ამ ორგანომ იმოქმედოს არა აქციონერთა და კომპანიის, არამედ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და წინ აღუდგეს შერწყმის წინადადებას, თუმდაც იგი ხელსაყრელი იყოს კომპანიისათვის.

მეორეს მხრივ, დირექტორი მართავს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას და მან უკეთ იცის რა არის კარგი საწარმოსთვის და რა არა. ამიტომ აქციონერი შესაძლოა იოლად შეცდეს, ვინაიდან მას არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია და არც არის ვალდებული იცოდეს ყველაფერი საწარმოს ბიზნესსაქმიანობის შესახებ. შესაბამისად უკეთესი იქნება თუკი დირექტორატს ექნება საშუალება წინ აღუდგეს შერწყმის წინადადებას, აქციონერის წინასწარი თანხმობის გარეშე.

კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მინორიტარი აქციონერის დაცვის გარანტიები, იმ შემთხვევაში თუკი გადაწყვეტილება მხოლოდ მაჟორიტარი აქციონერი მიიღებს. დირექტორატი ვალდებულია თანაბრად დაიცვას ყველა აქციონერის უფლებები, მაშინ როდესაც აქციონერს უფლება აქვს გაყიდოს მისი კუთვნილი აქციები მისაღებ ფასად და ამასთან იგი არ არის ვალდებული იზრუნოს სხვა აქციონერზეც და მასაც დაეხმაროს აქციათა გასხვისებაში.[859]

თუკი დირექტორატს ეკრძალება თავდაცვითი მექანიზმების გამოყენება შემძენი ადვილად მიაღწევს წარმატებას. კომპანიათა გაერთიანება კი თავის მხრივ ხელს უწყობს მათ გაძლიერებას და ზრდის შესაძლებლობას მეტი წვლილი შეიტანონ ზოგადად საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. ეს არგუმენტი თითქოს დირექტორატის ნეიტრალიტეტის მომხრეთა სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, მტრული დაუფლების პირობებში თავდაცვითი მექანიზმების გამოყენება ზრდის სამიზნე კომპანიის ღირებულებას, რაც საბოლო ჯამში სამიზნე კომპნიის აქციონერებზე დადებითად აისახება. დელავერის შტატის გამოცდილება აჩვენებს, რომ დირექტორატისათვის თავისუფლების მინიჭება გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე დირექტორატის ნეიტრალიტეტის წესის არსებობა.[860]

საწამლავი აბები ყველაზე გავრცელებული და ცნობილი თავდაცვითი საშუალებაა მტრული დაუფლების წინააღმდეგ, რომელსაც სამიზნე კომპანის დირექტორატი იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება დელავერის კანონმდებლობის თანახმად დაშვებულია, არსებობს გამონაკლისებიც როდესაც არ შეიძლება მათი

---

[858] *Palmiter,* Corporations, 5th Ed.,, Aspen Publishers, New Yourk, 2006, 652-653.
[859] *Gevurtz ,* Corporation Law, West Group, St.Paul, Minn, 2000, 631.
[860] *Stokka*, Defence Tactics in Hostile Takeovers-An Analysis of The Rule Imposed on The Pursued Target, 2013, 26. (http://home.heinonline.org/)

გამოყენება.

ის ფაქტი, რომ საწამლავი აბები *(Poison Pill)* წარმოადგენს თავდაცვით საშულებას მტრული დაუფლების წინააღმდეგ კარგად არის ცნობილი, თუმცა გარკვეულწლად სიახლეს წარმოდგენს, დელავერის სასამართლოს მიერ ბოლო ხანებში მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელთა თანახმადაც საწამლავი აბების გამოყენება ნებადართული და შესაძლებელია არა მხოლოდ მტრული დაუფლების წინააღმდეგ, არამედ კომპანიის აქტივის (საკუთრების) დაცვისა და გადარჩენის მიზნით. შესაბამისად საწამლავი აბები ასევე გამოიყენება მტრული დაუფლებისაგან განსხვავებულ სიტუაციებშიც.[861]

თუკი თავდაცვითი ღონისძიების გამოყენებისას მთლიანად კომპანიას ემუქრება საფრთხე, ამ შემთხვევაში კომპანიის რაიმე კონკრეტულ აქტივს, საკუთრებას შეიძლება ემუქრებოდეს იგი. დელავერში რეგისტრებული კომპანიის დირექტორატი უფლებაოსილია ასეთ შემთხვევაშიც გამოიყენოს საწამლავი აბები ქონების გადარჩენის მიზნით. ამ გადაწყვეტილების შესაფასებლადაც გამოიყენება ე.წ. უნოკალის წესი.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში დელავერის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საწამლავი აბების გამოყენება შესაძლებელია როდესაც კონკურენტი ცდილობს წინასწარგანზრახულად ზიანი მიაყენოს კომპანიის აქტივსა და საკუთრებას.[862]

დელავერის სასამართლო დირექტორატს აძლევს უფლებას გამოიყენოს საწამლავი აბები მტრული დაუფლებისაგან თავდაცვის მიზნით, დაუფლების წინააღმდეგ მიმართულ სხვა საშუალებებთან ერთად კომბინირებულად, რაც კიდევ უფრო ზრდის საწამლავი აბების ბრძოლისუნარიანობასა და მისი გამოყენების შედეგიანობას.[863]

ყველაზე ხშირად ხდება საწამლავი აბების გამოყენება როტაციის პრინციპით შედგენილ დირექტორატთან *(კვალიფიციური ბორდი)* კომბინაციაში.

კითხვას ბადებდა, თუ როგორ მომხდარიყო საწამლავი აბებისა და კვალიფიციური ბორდის კომბინირებულად (ერთდროულად) გამოყენების შეფასება უნოკალის ტესტის მიხედვით. უნდა განხილულიყო ისინი ერთობლივ კონტექსტში და ამის მიხედვით გაეკლო დასახებული ტესტს ორი ეტაპი თუ ცალ ცალკე უნდა მომხდარიყო თოთოეული მათგანის გამოყენების ადექვატურობა.? ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში *Versata Enterprises Inc. v. Selectica, Inc* დელავერის უზენაესმ სასამართლომ განმარტება გააკეთა რომლითაც პასუხი გაეცა დასმულ კითხვას. *“მხოლოდ ის ფაქტი, რომ დასახელებულ თავდაცვით ღონისძიებათა კომბინირებულად გამოყენება ართულებს კონტროლის მოპოვებას კომპანიაზე, არ ნიშნავს რომ თავდაცვითი ღონისძიება გადამეტებულია*

---

[861] *Greico*, The Ever-Evolving Poison Pill:The Pill in Asset Protection and Closely-Held Corporation Cases in Delaware Journal of Corporate Law , Val:36, #2, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2011,2, 627

[862] *Versata Enterprises Inc. v. Selectica, Inc.*, No. 193, 2010 (Del. Oct. 4, 2010) ხელმისაწვდომია : http://courts.delaware.gov/opinions/download.aspx?ID=144650 (ბოლოს გამოხმობილია: 23.04.2014)

[863] *Greico*, The Ever-Evolving Poison Pill:The Pill in Asset Protection and Closely-Held Corporation Cases in Delaware Journal of Corporate Law , Val:36, #2, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2011,2, 634.

და ვერ პასუხობს უნოკალის ტესტის მოთხოვნებს.”[864]

უნოკალის სტანდარტის შესაბამისად სასამრთლო პირველ რიგში ამოწმებს არის თუ არა დირექტორატის მოქმედება უნოკალის ტესტთან შესაბამისობაში და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი დირექტორტა მხირადან *Business Judgment Rule* გამოყენება. თუკი დირექტორატი წარმატებით ვერ გაივლის უნოკალის ტესტს, მაშინ მიიჩნევა რომ ამ უკანასკნელის მიერ დარღვეულია ზრუნვის მოვალეობა.

ვინაიდან უნოკალის ტესტი გამოიყენება მაშინ როდესაც კომპანიას, მისი განვითარების პოლიტიკასა და აქტივს ემუქრება საფრთხე, დელავერი საკანცლერო სასამართლომ *Stroud v. Grace* საქმეზე განმარტა, რომ ამ ტესტის გამოყენება არ მოხდება ისეთ შემთხვევებში როდესაც აქციონერები არიან იმავე დროს დირექტორატის წევრები. ვინაიდან ტესტის გამოყენების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს სწორედ საწარმოზე კონტოლის შეუძლებლობა ბორდის მხირადან *(lack of control)*[865] დელავერის უზენაესი სასამართლო დაეთანხმა საკანცლერო სასამართლოს მსჯელობას:

“სასამართლოს სურს აღნიშნოს, რომ დირექტორატი აკონტროლებდა კომპანიას როგორც *დე ფაქტო* ასევე *დე იურე,* აღნიშნული ფაქტი კი გამოროცხავს უნოკალის ტესტის გამოყენაბს, შესაბამისად *Busienss Judment Rule* არის შესაფერისი სტანდარტი ამ კონკრეტულ შემთხვევაში დირექტორატის გადაწყვეტილების შესაფასებლად”[866]

მაშინ როდესაც დირექტორატი ფლობს სავაჭროდ დაშვებულ აქციათა უმრავლესობას, დირექტორთა არჩევის წესის შეცვლა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავდაცვით ღონისძიებად. იქ სადაც დირექტორები ფლობენ კომპანიის საკონტროლო პაკეტს, უნოკალის ტესტის გამოყენება არ არის შესაძლებელი და მათი მოქმედება უნდა შეფასდეს *Busienss Judment Rule* –ის შესაბამისად. [867]

როგორც ზემოთ აღინიშნა უნოკალი ტესტის გამოყენება ხდება მაშინ როდესაც კომპანიას ემუქრება საფრთხე და დირექტორატი ვერ აკონტროლებს ამ პროცესს, ისეთ შემთხვევაში კი როდესაც დირექტორები ფლობენ საკონტროლო პაკეტს არ არსებობს დასახელებული საფრთხე და არც ტესტის გამოყენების წინაპირობა. *Stroud v. Grace* საქმეზე დირექტორი ფლობდა კომპანიის 50% -ზე მეტ აქციას, სწორედ ამიტომ არ მოხდა უნოკალის ტესტის გამოყენება.

უნოკალის ტესტი შეიქმნა დელავერის სასამრთლოების მიერ იმისთვის, რათა შეფასდეს ისეთი თავდაცვითი ღონისძიების გამოყენება როგორიცაა საწამლავი აბები.[868]

საწამლავი აბების ღირებულება სამიზნე კომპანიისა და

---

[864] *Greico*, The Ever-Evolving Poison Pill:The Pill in Asset Protection and Closely-Held Corporation Cases in Delaware Journal of Corporate Law , Val:36, #2, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2011,2, 635

[865] *Greico*, The Ever-Evolving Poison Pill:The Pill in Asset Protection and Closely-Held Corporation Cases in Delaware Journal of Corporate Law , Val:36, #2, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2011,2, 635.

[866] *Stroud v. Grace, 606 A.2d 75, 84 (Del. 1992).*

[867] *Stroud v. Grace*

[868] *Greico*, The Ever-Evolving Poison Pill:The Pill in Asset Protection and Closely-Held Corporation Cases in Delaware Journal of Corporate Law , Val:36, #2, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2011,2, P. 635

მენეჯმენტისათვის მის ფაქტიურ გამოყენებაში კი არ არის, არამედ პრევენციულ ეფექტში, რომელიც უბიძგებს დაუფლების მსურველს (*raider)* თავი შეიკავოს სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით პროცედირების დაწყებისაგან თუკი არ აქვს მენეჯმეტისაგან საჭირო თანხმობა.[869] "საწამლავი აბები" "აიძულებს" დაუფლების მსურველს აწარმოოს მოლაპრაკება დირექტორატთან აბების შემდგომში გაუქმებასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი მიერ შეძენილი აქციების გაუფასურება, რაც საბოლოო ჯამში დაუფლებას ფინანსურად არახელსაყრელს გახდის.

როდესაც კომპანიას ყავს კლასიფიცირებული ბორდი და იყენებს საწამლავი აბების ტაქტიკას, მისი დაუფლება ფაქტიურად განუხორციელებლი ან მატერიალური თვალსზრისით არაეფექტურია.[870]

5. საქართველო

5.1.ზოგადი მიმოხილვა

დირექტორატის მოვალეობები, კომპანიის მართვის პროცესში განუზომლად დიდია, განსაკუთრებით საინტერესოა თუ რა როლი აკისრია დირექტორატს ისეთი მნიშვნელოვანი ოპერაციის განხორციელების პროცესში, როგორიცაა საწარმოს რეორგანიზაცია ანუ საწარმოს გარდაქმნა, შერწყმა და გაყოფა. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი ტრანზაქციაა საკონტროლო პაკეტის გასხვისება. ქართული იურიდიული ლიტერატურა ამ საკითხებთან დაკავშირებით ძალიან მწირია, რაც იძლვა საფუძველს დასკვნისათვის, რომ იგი სათანადოდ შესწავლილი არ არის.[871]

საქართველოში, სამიზნე კომპანიის მიერ განსახორციელებელ თავდაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებით არ არსებობს საკანონმდებლო რეგულირება, ვერც პრაქტიკაში და ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებებში შეხვდებით მსგავს საკითხებზე მსჯელობას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის საბაზრო ეკონომიკა ისეთ დონეზე განვითარებული, როგორც ეს აშშ-ში, ინგლსსა და გერმანიაშია.

ბოლო 30 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, იშვიათად თუ განხორციელებულა ქართულ საწარმოთა შერწყმა, მისი კლასიკური გაგებით, მტრულ დაუფლებაზე და დირექტორატის მხრიდან თავდაცვითი მექანიზმების გამოყენებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ერთადერთი მეთოდი, რისი გამოყენების შესაძლებლობაც აქვს საქართველოში დირექტორატს შესაძლო რეორგანიზაციის წინააღმდეგ არის დარწმუნება, ანუ იგი უნდა

---

[869] *Moore,* Corporate Governance in The Shadow of the State, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2013, P.116

[870]*Moore,* Corporate Governance in The Shadow of the State, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2013, P.116

[871] "მეწარმეთა შესახებ" კანონში 2008 წელს განხორციელებული ცვლილების შემდეგ განსახილველ საკითხზე იურიდიული ლიტერატურის მოძიება საკმაოდ რთული საქმეა. აღნიშნული ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საკითხი შესწავლილი არ არის და შესაბამისად მისი ნაშრომის კონტექსტში განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია.

შეეცადოს დაარწმუნოს საწარმოს პარტნიორები, რომ შერწყმა არ არის საუკეთესო გამოსავალი. თუკი დირექტორატი შეძლებს პარტნიორთა დარწმუნებას შერწყმა აღარ განხორციელდება, მაგრამ თუ პარტნიორები მაინც არ შეიცვლიან აზრს, დირექტორატს სამართლებრივი ბერკეტი არ გააჩია წინ აღუდგეს ამ პროცესს.

საწარმოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა მიზეზთა გამო შეიძლება მოხდეს. მაგალითად, საწარმოები შეიძლება გაერთიანდნენ რათა ბაზარზე, კონკურენტულ გარემოში უფრო ეფექტური და წარმატებული ოპერირება შეძლონ (შერწყმა), ან შესაძლოა ბიზნესის მიზნების გათვალისწინებით მოხდეს ერთი სახის სამართლებრივი ფორმის გარადქმნა სხვა სამართლებრივ ფორმად და ა.შ. ამ პროცესში, ამერიკული საკორპორაციო კანონმდებლობის თანახმად, დირექტორატი *(Board of Directors)* გადამწყვეტ როლს თამაშობს, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ კანონმდებლობზე.

ნებისმიერი კომპანია ცდილობს მიაღწიოს მიზანს სტრატეგიულ, ოპერაციულ და ტრანზაქციულ დონეზე.[872] რაც საბოლოო ჯამში, კომპანიის წარმატების წინაპირობაა. კომპანიის ბიზნეს ფორმისა და კორპორაციული სტრუქტურის არჩევა, მხოლოდ წმინდა სამართლებრივ საკითხებთან არ არის დაკავშირებული. აღნიშნული ფაქტი ასევე გავლენას ახდენს კომპანიის ადმინისტრაციულ ხარჯებზე და საგადასახადო ტვირთზე, ოპერციული და ფინანსური რისკების მართვაზე.[873] კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვან და ძირითად მიზანს კი რისკების ეფექტური მარვის შედეგად კონკურენტულ გარემოში გადარჩენა წარმოადგენს.[874]

5.2. საწარმოს გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება)

საწარმოს დაფუძნებისას, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით ხდება, თუმცა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა დინამიურად ვითარდება და შესაძლებელია წარსულში დამფუძნებელთა მიერ კონკრეტული ბიზნესისთვის შესაფერისად მიჩნეული ფორმა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ვეღარ პასუხობდეს საჭიროებებს. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მეწარმეებს უზრუნველყოფილი აქვთ საწარმოთა ფორმის თავისუფალი არჩევა, რაც მხოლოდ საწარმოს დაფუძნების დროს არ გამოიყენება და მოიცავს მეწარმეთა შესაძლებლობას საქმიანობის პროცესში, თავისუფლად შეცვალონ ერთხელ არჩეული ფორმა სხვა ფორმით.[875]

---

[872] *Mantysaari,* Organising the Firm, Theories of Comercial Law, Corporate Governance and Corporate Law, Springer-Verlag, Berlin-Heidelberg, 2012,P.47

[873] *Mantysaari,* Organising the Firm, Theories of Comercial Law, Corporate Governance and Corporate Law, Springer-Verlag, Berlin-Heidelberg, 2012,P.48

[874] *Mantysaari,* Organising the Firm, Theories of Comercial Law, Corporate Governance and Corporate Law, Springer-Verlag, Berlin-Heidelberg, 2012,P.92

[875] *ჭანტურია, ნინოძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, თბილისი., 2002, 185.

მეწარმეთა შესახებ კანონის 14[4].2. მუხლის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ ერთი სამართლებრივი ფორმის საწარმო გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოდ. როგორც სამეწარმეო საზოგადოებებს, ასევე ინდივიდუალურ მეწარმეს, აქვს გარდაქმნის შესაძლებლობა, ვინაიდან კანონი რაიმე სახის შეზღუდვას, ამ მხრივ, არ აწესებს. გარდაქმნის შემთხვევაში პარტნიორები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ გადანაწილდეს მათი უფლება-მოვალეობები გარდაქმნის შედეგად მიღებულ საწარმოში. რაც მთავარია, პარტნიორთა მიერ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის შეზღუდვები, რასაც მეწარმეთა შესახებ კანონი გარდაქმნის შედეგად მიღებულ იურიდიულ პირს უწესებს.

როგორც მეწარმეთა შესახებ კანონიდან ირკვევა, შპს-ის სს-ად გარდაქმნა ან პირიქით, საჭიროებს დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა 75%-ის (სს –ის შემთხვევაში 75%+1) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.[876] კანონის ეს ნორმა ბუნდოვანია და განმარტებას საჭიროებს, კერძოდ საინტერესოა რა იგულისხმება „დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორ“ში (პარტნიორებ“ში)“. მაგალითად, თუკი პარტნიორთა კრებას ესწრება 45% ხმის უფლების მქონე პარტნიორი და იგი მხარს დაუჭერს შპს-ის სს-ად გარდაქმნას, გადაწყვეტილება მიღებულად უნდა ჩაითვალოს? კანონი ხომ დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა 75%-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მიიჩნევს ლეგიტიმურად. ჩვენ კონკრეტულ მაგალითში მივიღებთ, რომ დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა 100%-მა დაუჭირა მხარი გადაწყვეტილებას.

მეწარმეთა შესახებ კანონის 9[1].2. მუხლის თანახმად, „კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე ხმების უმრავლესობით“. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „კ“ პუნქტის თანახმად, საწრმოს რეორგანიზაციასთან და ლიკვიდაციათან დაკავშირებით გადაწყვეტილებას პარტნიორთა კრება იღებს. მეწარმეთა შესახებ კანონის 9[1].7 მუხლის თანახმად, „ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებულ კრების გადაწყვეტილებას“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: მიეკუთვნება თუ არა საწარმოს რეორგანიზაცია ჩვეულებრივ საქმიანობას? ცალსახად უნდა ითქვას, რომ საწარმოს რეორგანიზაცია არ განეკუთვნება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, შესაბამისად რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ყველა პარტნიორის მონაწილებით ჩატარებულ პარტნიორთა კრებაზე. კანონის ეს ნორმა კი, თავის მხრივ, პასუხს იძლევა შეკითხვაზე. 45%-ის მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერ იქნება კანონის შესაბამისი, ვინაიდან მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების არსებობას.

[876] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14[4].3.

შპს-ის გარდაქმნასთან დაკავშირებით კრებას უნდა ესწრებოდეს ხმების უფლების მქონე ყველა პარტნიორი (პარტნიორები) და დამსწრეთაგან 75%-მა უნდა დაუჭიროს მხარი შპს-ის გარდაქმნას სს-ად, რომ გადაწყვეტილება კანონიერად ჩაითვალოს. რაც შეეხება სს-ის შპს-ად გარდაქმნას, საჭიროა პარტნიორთა ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა.[877]

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა ან პირიქით, სს-ის შპს-ად გარდაქმნა, მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად გამარტივებულია და მსგავსი გადაწყვეტილება მოითხოვს დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%.[878] (სს-ის შემთხვევაში როგორც გავარკვიეთ საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) 75%+1 ხმა). თუმცა შესაძლებელია, რომ წესდებით ამგვარი გადაწყვეტილების მიღება სხვაგვარად იყოს დარეგულირებული. „თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი“,[879] კანონის ეს ჩანაწერი ორგვარად შეიძლება განიმარტოს:

პირველი: რომ დასაშვებია წესდება ითვალისწინებდეს მსგავსი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით უფრო მაღალ სტანდარტს. კანონმდებელი ადგენს იმ მინიმალურ მოთხოვნას, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული. თუ გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა 75%-მა, ეს გადაწყვეტილება ვერ იქნება ლეგიტიმური, თუნდაც წესდება ითვალისწინებდეს მსგავსი გადაწყვეტილების მისაღებად უფრო დაბალ სტანდარტს.

მეორე: შესაძლოა კანონის ზემოაღნიშნული ნორმის იმგვარად გაგება, რომ თუ წესდება საერთოდ დუმს და არაფერს ამბობს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, მაშინ გამოყენებული იქნება კანონის ნორმები, რომელთა თანახმადაც: კრებას უნდა ესწრებოდეს ყველა პარტნიორი (მშკ, მუხლი 9[1]7), ხოლო კრება გადაწყვეტილებას მიიღებს დამსწრეთა ხმების 75% (სს შემთხვევაში 75%+1) ხმით.[880] ხოლო წესდებით კი შესაძლებელია კანონის მიერ დადგენილი სტანდარტის შეცვლა, მისი, როგორც გაზრდა, ასევე შემცირება. თუმცა შემცირების შემთხვევაში ლოგიკურია, რომ 50%+1 ხმაზე დაბლა ამ სტანდარტის ჩამოწევა ვერ იქნება ლეგიტიმურად მიჩნეული, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი ჩვეულებრივ საქმიანობის განხორციელებისას კრებას ლეგიტიმურად მიიჩნევს, თუკი მას ესწრება 50%+1 ხმის უფლების მქონე პარტნიორ(ებ)ი[881].

შესაბამისად, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, როგორიცაა საწარმოს რეორგანიზაცია, ცხადია არ უნდა იქნეს მიღებული ხმათა იმაზე უფრო მცირე ოდენობით, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებათა მიღების დროს ხდება.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ ქვედა ზღვარის განსაზღვრა აუცილებელია. ისეთი ლიბერალური საკორპორაციო კანონმდებლობაც

---

[877] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 54.6. (ბ), 54.7.

[878] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 14[4].3 მუხლი.

[879] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები: 14[4]3, 54.7.

[880] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები 14[4]3, 54.7.

[881] “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 9[1]2.

კი, როგორიც არის საყოველთაოდ ცნობილი დელავერის შტატის საკორპორაციო კანონი, ადგენს ქვედა ზღვარის აუცილებლობას. კერძოდ, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას უბრალო უმრავლესობაზე უფრო მცირე ხმების ოდენობით, (კვორუმი) რაც ნებისმიერ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ხმების 1/3 ზე ნაკლები.[882]

კონკრეტული საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია, როგორ განმარტავს დასახელებულ ნორმას სასამართლო. სამართლიანობის, საწარმოს პარტნიორთა და კრედიტორთა დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, მეორე განმარტება უფრო მისაღებია, ვინაიდან პარტნიორთა 50%+1 ხმაზე ნაკლები ხმების მქონეთა მიერ გადაწყვეტილების მიღება ვერ უზრუნველყოფს პარტნიორების სათანადო დაცვას რეორგანიზაციის პროცესში.

„ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მიღებულ უნდა იქნეს ერთხმად“. [883] კანონის ეს ნორმა გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება სპს-ის და კს-ის კაპიტალურ საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ყველა 100% ის მფლობელი პარტნიორის (პარტნიორების) მიერ ერთხმად. თუ ერთი პარტნიორი მაინც, გარდაქმნის წინააღმდეგია, მაშინ გადაწყვეტილება მიღებულად არ ჩაითვლება.[884]

კანონის მიერ შპს-ისა და სააქციო საზოგადოებისათვის უფრო დაბალი სტანდარტის დაწესება განპირობებულია იმით, რომ ეს ორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა მეტ-ნაკლებად მსგავსი უფლება-მოვალეობებით სარგებლობს. ორივე მათგანი არის კაპიტალური ტიპის საზოგადოება და ამგვარი გარდაქმნა მნიშვნელოვან ორგანიზაციულ ცვლილებას არ საჭიროებს. უფრო მეტიც, მეწარმეთა შესახებ კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ შპს-ის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა და პირიქით, სს-ის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნა არ მიიჩნევა კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარის შემცირებად, [885] და ამ შემთხვევაში კრედიტორებს არ აქვთ უფლება მოსთხოვონ საწამორს ნაკისრი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება.

რაც შეეხება სპეციალური ლიცენზიის საფუძველზე მოქმედ იურიდიულ პირებს (მაგალითად, კომერციული ბანკები), მათი რეორგანიზაციის შემთხვევაში, საჭიროა ლიცენზიის გამცემი ორგანოს (ეროვნული ბანკი) თანხმობა.[886]

---

[882] *Delaware General Coporation Law, para. 141 (b*), იხ. *Eisenberg M.A. (ed.),* Corporatins and other Business Organizations, 2013 ed., West Academic Publishing, St.Paul, 2013, 570.

[883] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 14^4.3 მუხლი.

[884] *ჭანტურია, ნინოძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2002, 187.

[885] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი $14^4$6

[886] ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 2.(გ) „კომერციული ბანკების სამიანობის შესახებ“ კანონი, მუხლი 1 (ზ, კ).

5.3. შერწყმა (გაერთიანება, მიერთება)

საწარმოთა შერწყმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს მათთვის. მძაფრი კონკურენციის პირობებში, ხშირად გადარჩენის ერთადერთი შანსი საწარმოსათვის სხვა საწარმოსთან გაერთიანება ან მიერთებაა. რაც უფრო დიდია კონკურენცია, მით უფრო მცირდება მცირე საწარმოთა გადარჩენის შანსი და შესაბამისად, იზრდება საწარმოთა შერწყმის შესაძლებლობა.[887]

საწარმოთა შერწყმა სამეწარმეო საქმიანობაში აბსოლუტურად ბუნებრივი მოვლენაა, სწორედ ამიტომ მეწარმეთა შესახებ კანონი უშვებს საწარმოთა შერწყმის შესაძლებლობას. საწარმოს გარდაქმნის მსგავსად, აქაც კანონი განსაზღვრავს შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს და მეწარმე სუბიექტებს უტოვებს შესაძლებლობას წესდებით დაადგინონ კანონისგან განსხვავებული სტანდარტი. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შპს-ს და კოოპერატივის შერწყმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75% -ის მხარდაჭერა, სს-ის შემთხვევაში კი დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%-ზე მეტი. ყველა სხვა შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. [888] მეწარმეთა შესახებ კანონი, შერწყმის შემთხვევაში არსებითად იგივე მოთხოვნებს აწესებს, რაც გარდაქმნის შემთხვევაშია დადგენილი.[889]

მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს: ერთი საწარმო უერთდება მეორეს (მიერთება), თუ ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ (გაერთიანება). მიუხედავად კანონის ტექსტის ამაგვარი ფორმულირებისა, ცალსახად უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია როგორც გაერთიანება, ასევე მიერთება ორზე მეტი საწარმოს მონაწილეობით განხორციელდეს[890] და შესაბამისად, კანონის ტექსტი იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ის კრძალავს ორი ან მეტი საწარმოს გაერთიანებას ან მიერთებას.

როგორც გაირკვა, შერწყმა გაერთიანების ან მიერთების გზით ხორციელდება. საინტერესოა რა განსხვავება არსებობს მათ შორის. გაერთიანებაზე საუბრობენ მაშინ, როდესაც ორი ან მეტი საწარმო ერთ საწარმოდ ერთიანდება. მიერთება კი ერთი ან რამდენიმე საწარმოს უკვე არსებული სხვა საწარმოსადმი მიერთებას ნიშნავს. [891] საწარმოთა შერწყმა ხორციელდება გასაერთიანებელ საწარმოთა შორის შერწყმის ხელშეკრულების დადებით, რომელსაც ხელს აწერენ გასაერთაინებელ

---

[887] *ჭანტურია, ნინიძე,* "მეწარმეთა შესახებ" კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2002, 193.

[888] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 14[4-4]

[889] იხ.ქვეთავი 4.1.

[890] *ჯუღელი, ნადარაია,* საწარმოთა რეორგანიზაციის ფორმები "მეწარმეთა შესახებ" კანონის მიხედვით, სსიპ, საქართველოს ადვოკათთა ასოციაციის ჟურნალი "პროფესია იურისტი", №2, 2007, 36-56.

[891] *ჯუღელი, ნადარაია,* საწარმოთა რეორგანიზაციის ფორმები მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით, სსიპ, საქართველოს ადვოკათთა ასოციაციის ჟურნალი "პროფესია იურისტი", №2, 2007, 36-56.

საწარმოთა ხელმძღვანელები, შპს-ის და სს-ის შემთხვევაში დირექტორები, მას შემდეგ, რაც ამასთან დაკავშირებით კანონმდებლობის შესაბამისად, პარტნიორთა მიერ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, დირექტორთა ვალდებულება საწარმოს მიმართ მხოლოდ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით არ შემოიფარგლება. დირექტორატს ამ პროცესში უდიდესი როლი და პასუხსმგებლობა აკისრია.

შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა განისაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი. თუკი ხელშეკრულებაში არაფერი იქნება ნათქვამი პარტნიორთა უფლება-მოვალეობებზე, ეს საკითხი მეწარემთა შესახებ კანონის თანახმად დარეგულირდება და იმოქმედებს კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპი. ანუ მათი უფლება - მოვალეობები კაპიტალში წილის მიხედვით გადანაწილდება.

სამწუხაროდ მეწარმეთა შესახებ კანონში ნათლად არ არის დადგენილი დირექტორთა უფლება-მოვალეობები შერწყმისა თუ საკონტროლო პაკეტის გასხვისების პროცესში, რაც აუცილებლად საჭიროებს საკონონმდებლო დონეზე გამოსწორებას. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

5.4. გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა)

საწარმოთა რეორგანიზაციის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საწარმოთა გაყოფა. მეწარმეთა შესახებ კანონის 14.[4].5 მუხლის თანახმად, საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა. გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია ითვალისწინებდეს გაყოფის შედეგად წარმოქმნილ სუბიექტებში ადრინდელი პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის შეცვლას. თუკი შეთანხმებაში წილების ცვლილებასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი, ის უცვლელი დარჩება გაყოფის შედეგად წარმოქმნილ ახალ საწამო(ებ)ში.

განსხვავება არსებობს დაყოფასა და გამოყოფას შორის. დაყოფის დროს კომპანია იყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ სუბიექტად,(საწარმოდ) მისი აქტივებისა და პასივების ბაზაზე ფუძნდება ახალი კომპანია, ხოლო პირველი (დაყოფილი) კომპანია უქმდება. გამოყოფის დროს კი პირველი საწარმო არ წყვეტს არსებობას და მას გამოეყოფა ერთი ან რამდენიმე საწარმო.[892]

შესაძლებელია განხორციელდეს საწარმოთა შერწყმა გამოყოფა-მიერთების გზით, ანუ გამოყოფილი საწარმო შესაძლოა მიუერთდეს ან გაერთიანდეს სხვა საწარმოსთან.

ვინაიდან საწარმოს დაყოფას შედეგად მოჰყვება არსებული საწარმოს ლიკვიდაცია, გადაწყვეტილება რეორგანიზაციის ამ ფორმის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს საწარმოთა ლიკვიდაციისათვის გათვალისწინებული ხმების უმრავლესობით.[893]

თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შპს-ის და

---

[892] *ქოქრაშვილი*, სამეწარმეო სამართალი, თბილისი, 2005, 165.

[893] *ჭანტურია, ნინიძე*, "მეწარმეთა შესახებ" კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2002, 199.

კოოპერატივის შემთხვევაში ეს გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებულ კრებაზე, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუკი მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა. სს-ის შემთხვევაში ასეთ გადაწყვეტილებას დასჭირდება დამსწრე ხმების 75%-ზე მეტის მხარდაჭერა. ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში (იგულისხმება კს და სპს) გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ერთხმად, რაც გულისხმობს ყველა (100%) პარტნიორის (პარტნიორების) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.[894]

5.5. დირექტორატის როლი რეორგანიზაციის განხორციელების პროცესში.

პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს რეორგანიზაციის შესახებ, უნდა დარეგისტრირდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, შემოსავლების სამსახურს, რომელიც ინფორმაციის მიღებიდან 10 დღეში აწვდის ინფორმაციას მარეგისტრირებელ ორგანოს, სუბიექტის საგადასახადო ვალდებულებების შესახებ. თუკი მარეგისტრირებელი ორგანო შეტყობინებიდან 10 დღეში არ მიიღებს ინფორმაციას სუბიექტის საგადასახადო დავალიანების შესახებ, ითვლება, რომ ეს სუბიექტი საგადასახდო დავალიანების არმქონეა. შემოსავლების სამსახური ათი დღის ვადაში უგზავნის ინფორმაციას მარეგისტრილებელ ორგანოს შესაძლო დავალიანების შესახებ და ასევე უთითებს სუბიექტის სათანადო შემოწმებისათვის საჭირო ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს რეორგანიზაციის დაწყებიდან 90 დღეს. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელება, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა.[895]

თუკი სამართლებრივი ფორმის ცვლილება არ იწვევს საწარმოს უნარის შემცირებას დააკმაყოფილოს კრედიტორები, ან თუ საწარმოს მიუერთდა მისი 100%-იანი შვილობილი საწარმო, „მეწამეთა შესახებ“ კანონის 14.3-14.4. მუხლებით გათვალისწინებული წესები არ ვრცელდება. ხოლო კრედიტორებს არ წარმოეშობათ მეწარემთა შესახებ კანონის 14.[4].8 პუნქტით გათვალისწინებული უფლება მოსთხოვონ საწარმოს ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება.

ვალდებულებების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი ან არსებობს კრედიტორის თანხმობა რეორგანიზაციაზე.[896] სახელმწიფოს მიმართ დავალიანების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი არ არის, თუ მოთხოვნილია სახელმწიფოს 50%-ზე მეტი

[894]აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა მეწარმეთ შესახებ კანონის 2.3, ,9[1].2., 9.[1]5 (კ), 9[1]7,14.1, 14[4]5,54.6(ბ), 54.7,63.2 მუხლების ანალიზი. ასვე იხ. ქვეთავი 4.2.1.

[895]„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 14.3. მულხლი

[896] „მეწარემთ შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14[4].7

წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს რეორგანიზაცია.[897]

შპს-ს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა ან პირიქით, სს-ის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნა არ ითვლება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარის შემცირებად.[898]

იმ საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც მონაწილეობენ რეორგანიზაციაში, ვალდებულნი არიან განახორციელონ ზემოთ აღნიშნული მოქმედებები. კანონი ამასთან დაკავშირებით პირდაპირ მითითებას არ აკეთებს, მაგრამ ცხადია საზოგადოების პარტნიორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ უნდა შესრულდეს და გაკონტროლდეს.

ერთი შეხედვით, ქართული კანონმდებლობის თანახმად, დირექტორატი მხოლოდ ტექნიკურ დანიშნულებას ასრულებს, აგზავნის შესაბამის შეტყობინებას, იწვევს პარტნიორთა კრებას და ა.შ.

მართალია აქციონერები იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს რეორგანიზაციის შესახებ, მაგრამ ცხადია, მათ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწვეტილების მისაღებად უნდა ჰქონდეთ სრული და უტყუარი ინფორმაცია, რათა შეცდომა არ იქნეს დაშვებული გადაწყვეტილების მიღებისას.

ინფორმაცია და ასევე შერწყმის თუ გაყოფის შესახებ პროექტი დირექტორატის მიერ უნდა იქნეს მომზადებული. ამ შემთხვევაში დირექტორთა მიმართ გავრცელდება მეწარმეთა შესახებ კანონის 9.6 მუხლი, რომლის თანახმადაც დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი საღად მოაზროვნე პირი. საწარმოს ხელმძღვანელები უნდა მოქმედებნენ იმ რწმენით, რომ მათი მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუკი დირექტორები დაარღვევენ ამ მოვალეობას, ისინი საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

რამდენად სამართლიანია დირექტორთა მიმართ მსგავსი პასუხისმგებლობის დაწესება, მაშინ როდესაც მათ არ აქვთ საშუალება წინ აღუდგნენ შერწყმის წინადადებას? კერძოდ, საინტერესოა, უნდა დადგეს თუ არა დირექტორატის პასუხისმგებლობის საკითხი, თუკი იგი ცდილობდა პარტნიორთა გადარწმუნებას, მაგრამ ვერ შეძლო. როგორც ზემოთ აღინიშნა, დირექტორატი ასრულებს აქციონერთა გადწყვეტილებას, ხელს აწერს შერწყმის შესახებ ხელშეკრულებას და ა.შ., როგორ უნდა მოიქცეს ქართული კომპანიის დირექტორატი, თუკი იგი რეორგანიზაციის წინააღმდეგია? აქვს თუ არა რეალური ბერკეტი მას, რომ წინ აღუდგეს ამგვარ ტრანზაქციას? ან დადგება თუ არა მისი პასუხისმგებლობის საკითხი მეწარმეთა შესახებ კანონის 9.6 მუხლის იმ დანაწესის თანახმად, რომელიც არ ათავისუფლებს დირექტორს პასუხისმგებლობისგან, თუნდაც რომ იგი პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად მოქმედებდეს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ასევე გასათვალისწინებელია ის

---

[897]„მეწარემთ შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14^4.7

[898]„მეწარემთ შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14^4.6, ბოლო წინადადება

გარემოება, რომ დირექტორი შესაძლოა დადგეს დერივაციული სარჩელის წინაშე, რასაც ითვალისწინებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 46.5 და 53.5 მუხლები.[899]

დასმულ კითხვებზე ცალსახა და ამომწურავი პასუხი მეწარმეთა შესახებ კანონში არ არის, რაც იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ქართული საკორპორაციო სამართალი განიცდის იმ ეფექტური მექანიზმების არარსებობას, რომლებიც ხელს უწყობენ ბიზნესის ყოველდღიურ ცხოვრებაში კანონის ნორმების სწარაფ და ეფექტურ გამოყენებას.

სამწუხაროდ ვერც სასამართლო პრაქტიკის მიერ ხდება ამ ხარვეზის ეფექტური გამოსწორება, მაშინ, როდესაც სასამართლოები დელავერის შტატში, ინგლისსა თუ გერმანიაში წარმოადგენენ მნიშვნელოვან ინსტიტუტებს, რომლებიც ხელს უწყობენ საკორპორაციო სამართლის ნორმების აღსრულებას და კორპორაციული მართვის ახალი, თანამედროვე რეგულაციების დადგენასა და განვითარებას.

მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ კანონი ხარვეზიანია და შეცვლას საჭიროებს, დირექტორთათვის შვების მომტანი ვერ იქნება. ბუნებრივია მათთვის მნიშვნელოვანია როგორ მოიქცენ არსებული კანონმდებლობის პირობებში, რომ პასუხისმგებლობა აირიდონ თავიდან. ერთადერთი გამოსავალი, რაც შეიძლება დირექტორს ჰქონდეს არის ის, რომ მან დირექტორატზე საკითხის განხილვისას ტრანზაქციის წინააღმდეგ მისცეს ხმა და წერილობით დასაბუთებული უარი თქვას ამ ტრანზაქციაში მონაწილეობაზე. მაგრამ საქართველოში არსებული სამწუხარო რეალობის გამო, ამგვარი მოქმედება სამსახურის ფასად შეიძლება დაუჯდეს.

მას მოუწევს არჩევანის გაკეთება გადადგამს ამგვარ ნაბიჯს, თუ შინაგანი რწმენის მიუხედავად, ჩართულ იქნება შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებაში, რამაც შესაძლოა მოგვიანებით მისი პირადი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს. შესაბამისად, ამგვარი დავის განხილვის, დირექტორის პასუხისმგებლობის დადგენის პროცესში, სასამართლომ აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება დაუჭირა თუ არა მხარი დირექტორმა ტრანზაქციას. თუკი მან დირექტორატის სხდომაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას, რაც ასახულია სხდომის ოქმში, პასუხისმგებლობაც არ უნდა დადგეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საკორპორაციო კანონმდებლობის განხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პარტნიორთა კრებასთან შედარებით, კეთილსინდისიერად მოქმედი დირექტორატი უფრო კომპეტენტურია, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის წინადადებაზე დათანხმების თუ მისი უარყოფის შესახებ.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი, საწარმოთა შერწყმასთან დაკავშირებით ქმედებათა განხორციელებისას, ერთი მხრივ არ გამორიცხავს დირექტორის პასუხისმგებლობას აქციონერთა გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედების შემთხვევაში, მეორეს მხრივ კი მას არ ანიჭებს უფლებამოსილებას, რაიმე სახის გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე. კანონი ნათლად არ განსაზღვრავს დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებს ამ პროცესში, რაც ცალსახად მოითხოვს

[899] იხ. თავი 3.4. დერივაციული სარჩელი

გამოსწორებას შესაბამისი შესწორებების შეტანის გზით, რომელთა თანახმადაც, გერმანიის, ინგლისისა და ევროდირექტივის მსგავსად, ნათლად იქნება გაწერილი ის მოვალეობები, რაც დირექტორს აქვს შერწყმისა თუ საკონტორლო პაკეტის გასხვისების პროცესში. კანონში აუცილებლად უნდა იყოს მითითება ძირითად პრინციპებზე, რაც დაცული უნდა იქნეს დირექტორატის მხრიდან. რა თქმა უნდა, ამგვარი რეგულირება მიზნად არ ისახავს დირექტორთა დასჯას, არამედ იგი ემსახურება მათ ინფორმირებულობას, რაც თავის მხრივ, პრევენციულ ხასიათს ატარებს და ამცირებს პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობას. უდავოა, რომ გაურკვევლობა მეტ რისკს შეიცავს და ართულებს კანონთან შესაბამისობაში მოქმედებას, ხოლო კანონით ნათლად დადგენილი პრიციპების შესრულება კი, გაცილებით მარტივია.

თუკი კანონმდებლობის მიერ დაშვებული იქნება თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება, გათვალისწინებულ უნდა იქნეს უნოკალის პრინციპი, რომლის თანახმადაც, მტკიცების ტვირთი თავდაცვითი მექანიზმების გამოყენების პროპორციულობის შესახებ დირექტორატზეა. ასევე ცალსახა და არაორაზროვანი მითითება უნდა გაკეთდეს იმასთან დაკავშირებით, რომ დირექტორათა გადაწყვეტილებების მიმართ მოქმედებს სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება *(Business Judgment Rule),* მაგრამ თუ იგი დაარღვევს საწარმოსადმი ერთგულების *(Duty of Loyalty),* მზრუნველობის *(Duty of Care)* და კეთილსინდისიერად მოპყრობის *(Duty of Good Faith)* მოვალეობას პერსონალურად აგებს პასუხს დამდგარი ზიანისათვის და ვეღარ შეძლებს თავის დაცვას *Business Judgment Rule*-ზე მითითებით.

6. Business Judgment Rule- როგორც სტანდარტი, თავდაცვითი ღონისძიების ადექვატურობის შეფასებისას

The Business Judgment rule, one of the remarkable institutes of American law was created by courts trying to defend directors' rights when facing an unwanted takeover.[900]

ძირითადად კომპანიის შესყიდვასთან დაკავშირებით, დაუფლების მსურველთა მიერ ხორციელდება სატენდერო შეთავაზება, რაც გულისხმობს კომპანიის საკონტროლო პაკეტის, აქციების შესყიდვას საბაზრო ღირებულებაზე მეტ ფასად. ხოლო კომპანიის მენეჯმენტის მიერ კი ხდება თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება სატენდერო შეთავზების მოგერიების მიზნით. სატენდერო შეთავაზებისგან წარმატებულად თავდაცვის შემდეგ, საკმაოდ ხშირად, აქციონერებს უჩნდებათ პრეტენზია, რომ დირექტორმა თავდაცვითი ღონისძიება გამოიყენა და სატენდერო შეთავაზება მოიგერია მხოლოდ საკუთარი ინტერესების და პოზიციის დასაცავად და არა ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით, საწარმოს საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.[901]

როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში დირექტორებს პასუხისმგებლობისაგან იცავს *Business Judgement Rule,* თუმცა იმის

[900] *Hamilton* ., The law of corporations, Fifth Ed, St. Paul , 2000, 460.

[901] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 522.

გათვალისწინებით, რომ შერწყმა-დაუფლების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობა ძალიან იზრდება, ბოლო დროინდელ სასამართლო გადაწყვეტილებების მიერ დადგენილ იქნა წინასწარი მოთხოვნები, რაც დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს დირექტორატის მიერ, რომელიც თავდაცვით ღონისძიებებს იყენებს სატენდერო შემოთავაზების წინააღმდეგ, რათა ეს უკანასკნელი მოხვდეს *Business Judgement Rule* ინსტიტუტის დაცვის ქვეშ. ***პირველი,*** დირექტორატმა უნდა აჩვენოს, რომ მათ ჰქონდათ საფუძველი გონივრულობის ფარგლებში ეფიქრათ, რომ საფრთხე კომპანიისათვის ნამდვილად არსებობდა და ***მეორე,*** მათ უნდა დაადასტურონ, რომ გამოყენებული თავდაცვითი ღონისძიება გონივრულ შესაბამისობაში იყო კომპანიის ინტერესების წინაშე მდგარ საფრთხესთან.[902]

საწარმოს ხელმძღვანელთა მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი გამოიჩენენ სათანადო მზრუნველობას კომპანიის მიმართ და იმოქმედებენ ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ თავისთავად ცხადია, ისინი არ წარმოადგენენ ბიზნესის წარმატების გარანტიას. უმთავრესად დირექტორის ნიჭზე და მის უნარზე, გამოცდილებასა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული საწარმოს ბედი, რენტაბელური იქნება იგი თუ არა.[903]

Business Judgment Rule თავისი შინაარსით განამტკიცებს დირექტორის (დირექტორატის) უფლებას კეთილსინდისიერად, საწარმოს და აქციონერთა ინტერესების გათვალისწინებით მიიღოს რამოდენიმე შესაძლო გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთი. ამასთან, მას გულწრფელად უნდა სწამდეს, რომ ეს გადაწყვეტილება საწარმოს და აქციონერთა საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება. ანუ *Business Judgment Rule* ადგენს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომლის შიგნითაც დირექტორატს მოქმედების თავისუფლება აქვს. თუკი დირექტორი კეთილსინდისიერია გადაწყვეტილების მიღებისას, მისი პასუხისმგებლობა კომპანიის და აქციონერთა მიმართ არ დადგება, შეცდომისა და წარუმატებელი ბიზნეს გადაწყვეტილების გამო. შესაბამისად, დირექტორატის გადაწყვეტილება აქციონერთა და სხვათა მხრიდან გადახედვას არ ექვემდებარება.[904]

დირექტორატი *Business Judgment Rule*-ის დაცვის ქვეშ მოხვდება, თუკი შერწყმისა და საკონტროლო პაკეტის გასხვისების პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას არსებობდა შემდეგი წინაპირობები:

1. დირექტორატის მიერ გამოყენებულ იქნა ყველა შესაძლო საშუალება ინფორმაციის მოსაპოვებლად.
2. დირექტორს აქვს რაციონალური საფუძველი მიიღოს გადაწყვეტილება.
3. არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი დირექტორის პირად ინტერესსა და კომპანიის ინტერესებს შორის.[905]

---

[902] იხ. ე.წ. უნოკალის წესი, თავი VI, 3.2.;3.2.1.)

[903] *ჭანტურია, ნინოძე,* "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, 115.

[904] *Clarkson , Miller .,Cross*., Bunisess Law, Text and Cases , 12th Ed, 2012, 779.

[905] *Clarkson , Miller,Cross*, Bunisess Law, Text and Cases , 12th Ed, 2012, 779.

Business Judgment Rule (სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება) დირექტორს ანიჭებს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. სასამართლო არ იმსჯელებს იმაზე თუ რამდენად მართებულია სამეწარმეო გადაწყვეტილება, თუკი მისი მიმღები დირექტორის კეთილსინდისიერებასა და გონივრულობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.[906]

მხოლოდ იმიტომ, რომ დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საზიანო აღმოჩნდა საწარმოსათვის, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება, თუ დადასტურდა, რომ დირექტორი კეთილსინდისიერად, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა გადაწყვეტილების მიღებისას. რაც *Business Judgment Rule*-ის ერთ ის ერთი დადებითი მახასიათებელია.

"იმის მტკიცება რომ საწარმოს ზიანი მიადგა მმართველის მიერ, უფლებამოსილების ფარგლებში, კეთილსინდისიერად, საწარმოს მიზნების გათვალისწინებითა და კანონიერად დადებული გარიგების შედეგად, პასუხისმგებლობის საფუძვლად ვერ იქცევა, რამდენად არაგონივრულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს განხორციელებული ინვესტიცია *post factum".* ამერიკული სასამათლო პრაქტიკის მიერ დაუშვებელ სიმკაცრედ იქნა მიჩნეული დირექტორის მიმართ აბსოლუტური შეუმცდარობის მოთხოვნა. [907]

In Revlon, Inc. v MacAndrews & Forbes Holdings, Inc საქმესთან დაკავშირებით, დელავერის უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ დირექტორატი ვერ მიუთითებს *Business Judgment Rule* –ზე, თუკი იგი მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად მოქმედებდა. თუ დირექტორს სურს მოხვდეს *Business Judgment Rule*-ის დაცვის ქვეშ, მან უნდა დაადასტუროს, რომ გამოყენებული თავდაცვითი ღონისძიება, კორპორაციის პოლიტიკისა და ეფექტურობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხის პროპორციული იყო.[908] ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ თუკი კომპანიის გაყიდვა გარდაუვალია და არსებობს რამდენიმე მსურველი შეიძინოს იგი, სამიზნე კომპანიის დირექტორატის როლია "სარფიანი აუქციონი" გამართოს მსურველებს შორის კომპანიის ფასის გაზრდის მიზნით.[909]

კომპანიის საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას დირექტორატი ვალდებულია დაადასტუროს, რომ მისი მოქმედება გონივრული და სამართლიანი იყო როგორც თავად გაყიდვის პროცესის, ასევე ფასთან

---

[906] *იქვე.* 779.

[907] *Gagliardi v. TriFoods Intern., Inc*., 683 A.2d 1049, 1051. (Del. Ch., 1996): "to allege that a corporation hassuffered a loss as a result of a lawful transaction, within the corporation's powers, authorized by a corporatefiduciary acting in a good faith pursuit of corporate purposes, does not state a claim for relief against that fiduciaryno matter how foolish the investment may appear in retrospect"; see also: *Cinerama, Inc. v. Technicolor,*Inc., 1991 WL 111134, at *15 (Del. Ch., 1991). – მითითებულია: *ჯუღელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, თბილისი, 87. მიხედვით.

[908] *Revlon, Inc. v. MacAndrews & Forbes Holdings, Inc., 506 A.2d 173* (Del.,1986) (http://www.law.illinois.edu/aviram/revlon.pdf)

[909] *Zwecker,* The EU Takeover Directive:Eight Years Later, Implementation But Still No Harmonization Amang Member States on Acceptable Takeover Defenses , 2012, 240-241. (http://home.heinonline.org/)

მიმართებაში [910] , ამ შემთხვევაში დირექტორატი შეძლებს *Business Judgment Rule*-ის დაცვის ქვეშ მოხვდეს.

კომპანიათა შერწყმის ტრანზაქციაზე დირექტორის მხრიდან მხარდაჭერა, არ გულისხმობს მის მიერ ერთგულების მოვალეობის დარღვევას, თუკი აქციონერი ვერ შეძლებს დაადასტუროს, რომ დირექტორი, შერწყმის პროცესში მოქმედებდა სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების ფარგლებს მიღმა.[911]

6.1. სრული სამართლიანობის ტესტი The test of entire fairnes

თუკი მოსარჩელე მხარე მოახერხებს გადალახოს *Business Judgment Rule*-ი, რომლის თანახმადაც იგულისხმება, რომ დირექტორი კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ და საკუთარი ვალდებულებების შესაბამისად მოქმედებდა, მტკიცების ტვირთი მოპასუხე დირექტორზე ინაცვლებს და ახლა უკვე ეს უკანასკნელია ვალდებული დაადასტუროს, რომ ქმედება, რომელიც სადაო გახდა სრულიად სამართლიანი, ანუ ყველა კომპონენტში სამართლიანი, იყო საწარმოსა თუ საწარმოს აქციონერთა მიმართ.

თუკი მოპასუხე დირექტორი შეძლებს დაადასტუროს, რომ ქმედება რომელიც გასჩივრებულია სამართლიანი იყო, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას.

დირექტორმა უნდა დაადასტუროს, რომ სამართლიანი იყო როგორც კონკრეტული ტრანზაქციის ფასის განსაზღვრისას, ასევე მოლაპარაკების პროცესშიც. ყოვლისმომცველი სამართლიანობის ტესტი *(entire fairnes test)* სწორედ ამას მოიცავს. [912]*(Fairnes in price and fairnes in dealing)*

---

[910] *Zwecker.*, The EU Takeover Directive:Eight Years Later, Implementation But Still No Harmonization Amang Member States on Acceptable Takeover Defenses , 2012, 241. (http://home.heinonline.org/)

[911] *Delaware Corporation law Annootated,* 2013-2014 Ed,As amended up to and including the 2013 Regular Session of the One Hundred Forty-Seventh General Assably, Lexis, Nexis, Delaware, 2013, P.50

[912] *Kenyon-Slade,* Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004, 213.

VII. კრედიტორთა დაცვა

"როდესაც კომპანია იმყოფება გადახდისუუნარობის ზონაში , დირექტორები არ წარმოადგენენ მხოლოდ აქციონერთა "აგენტებს", არამედ გააჩნიათ ვალდებულება მთლიანად საწარმოს მიმართ. " (Chancellor Allen of The Delaware Court of Chancery)[913]

1. კრედიტორთა სტატუსი

"თუ კომპანია მიიღებს თხოვნას აქციონერთა მხრიდან რაიმე ქმედების განხორციელების შესახებ, დირექტორის ვალდებულებაა გადაწყვიტოს, აქციონერის წინადადებაზე დათანხმება ემსახურება თუ არა კომპანიის საუკეთესო ინტერესებს. კომპანიის ინტერესები კი აქციონერებთან ერთად, შესაძლოა მოიცავდეს კრედიტორთა ინტერესებსაც."[914]

იმ პირობებში, როდესაც საწესდებო კაპიტალი ვერ უზრუნველყოფს კომპანიის კრედიტორთა სრულყოფილ დაცვას, ჩნდება კითხვა, როგორ უნდა მოიქცეს კრედიტორი, რათა მაქსიმუმამდე გაზარდოს განხორციელებული ინვესტიციის დაბრუნების შანსები.

პირველი პასუხია, რომ მან მიმართოს *Due Diligence (DD)*[915] პროცესს. *DD* წარმოადგენს პროცესს, რომლის მეშვეობითაც მყიდველი, მისი პროფესიონალებისა და მრჩევლების საშუალებით, შეისწავლის სამიზნე ბიზნესს, მის აქტივებს და პასივებს, სანამ დადებდეს იურიდიულად მავალდებულებელ ხელშეკრულებას მასთან.[916]

უმრავლეს შემთხვევებში, მყიდველი ქირაობს კომპანიას, რათა მათგან მიიღოს ინსტრუქცია და ინფორმაცია. ეს ფირმა კი მყიდველის ნაცვლად ატარებს *DD* პროცესს. შეიძლება დაქირავებულ იქნეს კომპანია ფინანსური *DD* ან იურიდიული *DD* განსახორციელებლად.[917]

DD სხვა უამრავი ფორმა არსებობს, მაგალითად ასევე გავრცელებულია *Market DD* (ბაზრის კვლევა). ხოლო თუკი მყიდველს სურს სამიზნე კომპანიაში არსებული დირექტორატის შენარჩუნება, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს *Management DD,* რომლის დორსაც, სხვადასხვა მეთოდით ხდება დირექტორთა კვალიფიკაციის და საქმიანობის შეფასება. ინსტიტუციური ინვესტორებისათვის დირექტორატის კვალიფიციურობა და მათი უნარების შესაბამისობა ბიზნესთან, შესაძლოა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყოს გადწყვეტლების მიღების პროცესში.[918]

მხოლოდ *DD* საკმარისი არ არის. კრედიტორი ყოველთვის ფრთხილად უნდა იყოს, ახლოს იცნობდეს მოვალის საქმიანობას, მის

---

[913] *Lord Diplock, case: Lornho Ltd v. Shell Petroleum Co. Ltd* იხ. *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 206.

[914] *Lornho Ltd v. Shell Petroleum Co. Ltd* December 01, 1980,WRL 627 Case Analysis *ხელმისაწვდომია: http://web2.westlaw.com (ბოლოს გამოხმობილია:10.06.2014)*

[915] *Manning , Hanks,*Legal Capital, 4th Ed.Foundation Press, St. Paul, 2013, 97.

[916] *Stilton,* Sale of Shares and Business, Law, Practice and Agreements, 3rd Ed, Sweet&Maxwell, London, 2011, 53.

[917] *Stilton,* Sale of Shares and Business, Law, Practice and Agreements, 3rd Ed, Sweet&Maxwell, London, 2011, 54.

[918] *იქვე.* 55.

პულსზე ედოს ხელი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს საშუალებები ყოველთვის არ მუშაობს და კრედიტორს, იქნება ეს ბანკი თუ სხვა სახის კრედიტორი, უხდება შეჯახება რეალობასთან.[919]

დირექტორთა ვალდებულება, გაითვალისწინონ კრედიტორთა ინტერესები გარკვეული პირობების არსებობისას, დადგენილია არა კანონმდებლის, არამედ დაახლოებით ბოლო 20 წლის სასამართლო პრაქტიკის მიერ. სწორედ ამიტომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უამრავი მოსაზრება და დავა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის წარმომადგენლებს შორის. ისმის კითხვა: საერთოდ არსებობს თუ არა დირექტორთა ვალდებულება კრედიტორთა მიმართ?[920]

დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო კანონმდებლობის თანახმად, დირექტორებს გააჩნიათ ვალდებულება კომპანიის, როგორც მთლიანის მიმართ. რას ნიშნავს ვალდებულება კომპანიის "როგორც მთლიანის მიმართ", განმარტებას საჭიროებს, რაც საკმაოდ რთულია და აღნიშნულთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს.

ტრადიციული განმარტების თანახმად, იგი გულისხმობს ვალდებულებას არსებული და მომავალი აქციონერების მიმართ და არა რომელიმე კონკრეტული აქციოენერის ან აქციონერთა ჯგუფის მიმართ. აღნიშნული განმარტება აქციონერის მიმართ მეგობრულად განწყობილ პოზიციას გამოხატავს (*shareholder theory*), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რომლის თანახმადაც ვალდებულება"კომპანიის როგორც მთლიანის მიმართ" არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ აქციონერის საკუთრების კონტექსტში, ვინაიდან გარკვეული გარემოებების არსებობისას, იგი აქციონერთა გარდა მოიცავს სხვათა, მაგალითად, კრედიტორთა ინტერესებსაც.[921]

კრედიტორთა მიმართ ვალდებულება დირექტორს ძირითადად წარმოეშობა მაშინ, როდესაც:

- კომპანია გადახდისუუნაროა;
- გადახდისუუნარობის პირასაა;
- საეჭვოა კომპანიის გადახდისუნარიანობა;
- არსებობს გადახდისუუნარობის წარმოშობის რისკი ან
- ფინანსურად არასტაბილურია.[922]

კრედიტორთა მიმართ დირექტორის ვალდებულების არსებობასთან დაკავშირებით ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი და ყველაზე ხშირად ციტირებადია. კერძოდ, *Walker v. Wimborne (1976) 137 CRL 1,(1976) 3 ACLR529* საქმეზე ლიკვიდატორის მიერ წარდგენილ იქნა სარჩელი დირქტორთა ჯგუფის მიმართ, რომლებიც ერთობლივად მართავდნენ კომპანიას.

კომპანია *Asiatic Electric Co Pty Ltd (A)* იმყოფებოდა ლიკვიდაციის პროცესში. ხოლო სასარჩელო მოთხოვნა კი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ დირექტორებმა "A"-ს აქტივები გადაიტანეს სხვა კომპანიაში, სადაც

---

[919] *Manning , Hanks,*Legal Capital, 4th Ed.Foundation Press, St. Paul, 2013, 100.

[920] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 153.

[921] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 153-154.

[922] იხ. *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 P.199

ისინი ასევე დირექტორის პოზიციას იკავებდნენ. კომპანათა ჯგუფი, მათ შორის "A", მათ მიერ ერთობლივად იმართებოდა. დირექტორებმა გადაიტანეს კომპანია "A"-დან სხვა მათ მიერ მართულ კომპანიაში აქტივები, "A"-ს კი სანაცვლოდ არაფერი მიუღია. მოგვინებით "A"ვალაუვალი გახდა და ლიკვიდატორი შევიდა, რომელმაც წარადგინა კიდეც სარჩელი დირექტორთა მიმართ. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ განმარტა:

"მოცემულ შემთხვევაში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორები კომპანიის მიმართ საკუთარი მოვალეობის შესრულებისას, ასევე ვალდებულნი არიან მხედველობაში მიიღონ და გაითვალისწინონ აქციონერთა და კრედიტორთა ინტერესები. დირექტორთა მხრიდან კრედიტორთა მიმართ არსებული ვალდებულების ნებისმიერი სახით დარღვევას ექნება უარყოფითი შედეგი, როგორც კომპანიის, ასევე თავად დირექტორთა მიმართაც."[923]

მოსამართლის მიერ დადგენილ იქნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა "A"–ს და მისი კრედიტორების ინტერესების აბსოლუტურ უგულვებელყოფას. შესაბამისად, დირექტორთა მიერ დარღვეულ იყო ფიდუციური მოვალეობა. ამ გადაწვეტილებით სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დირექტორებს გააჩნიათ პოზიტიური ვალდებულება საწარმოს კრედიტორთა მიმართ.[924]

1.1. ნდობის ფონდის დოქტრინა *The Trust Fund Doctrine*

აშშ-ში, ზოგიერთ შტატში, დამკვიდრებულია ე.წ. "ნდობის ფონდის დოქტრინა" *(The Trust Fund Doctrine),* რომელიც სათავეს იღებს *Wood V. Drummer (1824) 30F cas 935* საქმიდან. როდესაც კომპანია გადახდისუუნაროა, მისი აქტივები წარმოადგენენ ე.წ. "*ნდობის ფონდს"* და იგი შენარჩუნებულ უნდა იქნეს კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, რადგანაც მათ გააჩნიათ პირველადი მოთხოვნა აქტივების მიმართ.[925]

დელავერის უზენაესმა სასამართლომ *Bovay v. H M Byllesby &Co (1944) 38A 2d* საქმეზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ:

"გადახდისუუნარობის პირას მყოფი კომპანია, სამოქალქო გარდაცვალების წინაშე დგას, ვინაიდან მისი საკუთრება შესაძლოა ადმინისტრირებულ იქნეს აქტივებში, (კაპიტალში) როგორც კრედიტორთათვის განკუთვნილ "ნდობის ფონდში" "[926].

---

[923] იხ. *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 156.

[924] *იქვე.*

[925] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 170-171. იხ. ასევე *Wood V. Drummer (1824) 30F cas 935*

[926] იხ. *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 171. ასევე, *Bovay v. H M Byllesby &Co (1944) 38A 2d*

აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება იდეას, რომ დირექტორთა და კრედიტორთა შორის არსებობს ფიდუციური ვალდებულება და შესაბამისად ასეთ შემთხვევაში, მათ შორის წარმოიშობა კვაზი-ნდობითი *(quasi-trust)* ურთიერთობა.[927]

უნდა აღინიშნოს, რომ "ნდობის ფონდის დოქტრინა" მრავალგზის იქნა გაკრიტიკებული და იგი აშშ-ში ცალსახად აღიარებულ მოვლენას არ წარმოადგენს.

1.2. დირექტორის მოვალეობა კრედიტორთა მიმართ.

გადახდისუუნარობის ზონაში მყოფი კომპანიის დირექტორს რომ გააჩნია ვალდებულება კრედიტორთა მიმართ, ამას წინამდებარე ნაშრომში განხილული ყველა სამართლებრივი რეჟიმი აღიარებს, თუმცა წრამოადგენს ის დამოიკდებელ ვალდებულებას თუ აქციონერთა და კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულების კონვერტირება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია გადახდისუუნარობის ზონაშია, ან ახლოს არის ამ ზონასთან, კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, ავტორთა და სასამართლო გდაწყვეტილებათა უმრავლესობა ემხრობა იდეას, რომლის თანახმადაც, ასეთ შემთხვევაში დირექტორს კრედიტორთა მიმართ აქვს დამოიკიდებელი, პირდაპირი ვალდებულება.[928]

დირექტორები ვალდებულნი არიან დაიცვან და შეინარჩუნონ კომპანიის აქტივები, როდესაც ეს უკანასკნელი გადახდისუუნარობის პირასაა. შესაძლოა დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად კრედტორთათვის მიყენებული ზიანის გამო, თუკი ადგილი ექნება აქტივების გადატანას კომპანიიდან.[929]

საკორპორაციო კანონმდებლობა უზრუნველყოფს კომპანიის აქციონერთა დაცვას, ხოლო კომპანიასთან დაკავშირებული მესამე პირები კი, ძირითადად, სახელშეკრულებო დაცვის ქვეშ არიან. მიუხედავად ამისა, დადგენილია, რომ როდესაც კომპანია გადახდისუუნარობის პირასაა, დირექტორებს წარმოეშობათ ფიდუციური ვალდებულება კრედიტორთა მიმართ. [930] (აღნიშნული შეიძლება ასევე მოიცავდეს ვალდებულებას ისეთი კრედიტორების მიმართ, როგორებიც არიან დასაქმებულები).

დირექტორის ვალდებულება კრედიტორთა მიმართ, ერთგულების და კეთილსინდისიერების ვალდებულებას მოიცავს.[931]

---

[927] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007, 171.

[928] იხ. *Haworth, Ohlgren,* Director's Liabilities and Corporate Governance in Insolvency and Pre-Insolvency Cases Worldwide, ხელმისაწვდომია: http://www.iiiglobal.org/component/jdownloads/finish/19/319.html (ბოლოს გამოხმობილია: 20:05.2014)

[929] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006 P.104

[930] *იქვე.* 104.

[931] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 179-180.

დირექტორი ვალდებულია გააკეთოს შესაბამისი განცხადება კომპანიის გადახდისუუნარობის შესახებ, როდესაც ამას ადგილი ექნება. შესასბამისად აშშ-ში სასამართლოები მიმართავან ძირითადად ორ ტესტს (ზოგი მათგანი იყენებს ორივეს ერთად, ზოგო მხოლოდ ერთ-ერთს მიიჩნევს საკმარისად) იმის დასადგენად, იყო თუ არა კომპანია გადახდისუუნარო. კერძოდ, ეს არის კომპანიის ბალანსის ტესტი *(Balance-Sheet Test)* და კომპანიაში ნაღდი ფულის არსებობის ტესტი *(Cash-Flaw Test).* დელავერის საკანცლერო სასამართლოს მიერ განმარტებულ იქნა, რომ კომპანია გადახდისუუნაროა, თუკი მას არ შეუძლია (არ ექნება შესაძლებლობა მომავალში) დაფაროს ვადამოსული ვალდებულება ბიზნესის ჩვეულებრივ წარმოების პროცესში, *(Cash-Flaw Test) ან* როდესაც კომპანიის აქტივების გონივრული, რეალისტური საბაზრო ღირებულება მის ვალდებულებებზე ნაკლებია *(Balance-Sheet Test).*[932]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გონივრული იქნება დირექტორის მიერ მოცემული ტესტების საფუძველზე გაკეთდეს განცხადება გადახდისუუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის შესახებ, რათა ამ უკანსკნელმა შეძლოს პასუხისმგებლობის თავიდან არიდება და გამორიცხოს ან მინიმუმადე დაიყვანოს, კრედიტორთა მიერ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა.

გადახდისუუნარობის ზონაში მყოფი კომპანიის დირექტორმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევაში აქციონერები აღარ წარმოადგენენ კომპანიის აქტივის საბოლოო მესაკუთრეებს, არამედ აქტივი ტრანსფორმირდება კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დირექტორები კრედიტორთა ფულს მართავენ და ცხადია გააჩნიათ ვალდებულება მსხვერპლად არ შესწირონ მათი ინტერესები.[933]

როდესაც კომპანია გადახდისუუნარობისა და გაკოტრების პირასაა, დირექტორთა მხრიდან ჩვეულებრივ საქმიანობასთან შედარებით უფრო სარისკო გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში დასაკარგი ბევრი არაფერია.[934] რა თქმა უნდა, არ იგულისხმება აშკარად არაგონივრული გადაწყვეტილებების მიღება. გადაწყვეტილება, ნებისმიერ შემთხვევაში, გონივრული უნდა იყოს.

საწარმოს კრედიტორები არიან ის დაინტერესებული მესამე პირები *(Stakeholders),* რომლებსაც თითქმის ყველა ქვეყნის სამეწარმეო სამართალი იცავს.[935] აღნიშნული ფაქტი განპირობებულია იმით, რომ ყველასათვის, ვისაც კი კომპანიასთან კავშირი აქვს, მომგებიანია კრედიტორთა დაცვა, ისინიც სარგებლობენ კრედიტორთა დაცულობის შედეგად.[936]

ის ფაქტი, რომ კრედიტორები დაცვას საჭიროებენ, იმთავითვე არ ნიშნავს და არ ამართლებს კანონმდებლობის მხრიდან უხეშ ჩარევას ამ

---

[932] *Haworth, Ohlgren,* Director's Liabilities and Corporate Governance in Insolvency and Pre-Insolvency Cases Worldwide, ხელმისაწვდომია: http://www.iiiglobal.org/component/jdownloads/finish/19/319.html (ბოლოს გამოხმობილია: 20:05.2014)

[933] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007, 182.

[934] *იქვე.*183,

[935] *Hertig, Kanda,* Creditor Protection, in : The Anatomy of Corporate Law, Oxford University Press, New York, 2004, 71.

[936] *იქვე.* 71.

პროცესში. ჩარევა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი უზრუნველყოფს კრედიტორთა უკეთეს დაცულობას, ვიდრე ეს შესაძლებელია კრედიტორსა და კომპანიას შორის გაფორმებული კონტრაქტით.[937]

საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ, კრედიტორთა უმრავლესობა საკუთარი ინტერესების დაცვას კონტრაქტის გაფორმებით ცდილობს და ახერხებს კიდეც. ეს ფაქტი კი წარმოშობს ლეგიტიმურ შეკითხვას, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, როდესაც კრედიტორები საკუთარი უფლებების დაცვას ახერხებენ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შედეგად, საჭიროა თუ არა ზედმეტი რეგულაციები კანონმდებლობაში?

მოკლე პასუხი დასმულ შეკითხვზე ის გახლავთ, რომ სამართალი, შესაძლოა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან დასაყრდენს და დამატებით გარანტიას სახელშეკრულებო დაცულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სამართლის მიერ ე.წ. მზა დაცულობის წესების მიწოდებით შესაძლებელია დამატებითი ხარჯების თავიდან აცილება. ასევე მნიშვნელოვანია სამართალი უზრუნველყოფდეს კრედიტორთა დაცულობას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხარეთა შორის აღნიშნული საკითხების შეთანხმება ვერ ხერხდება.[938]

მყარი საკანონმდებლო ბაზის არსებობა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტრანზაქციის მოცულობა იმდენად მცირეა, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს პირადად მოლაპარაკების ხარჯებს. კრედიტორი შესაძლოა "მიამიტი" აღმოჩნდეს კომპანიისათვის სესხის მიცემისას, რაც საბოლოო ჯამში მას დააზარალებს, თუკი იგი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს ინფორმაცია კომპანიის შესახებ, რაც სასარგებლო იქნება *ex ante* ნებისმიერი კრედიტორისათვის.[939]

მსოფლიო დაყოფილია კრედიტორის მიმართ მეგობრულად განწყობილ *(Creditor-Friendly)* და მოვალის მიმართ მეგობრულად განყწობილ *(Debitor-Friendly)* იურისდიქციებად. აშშ ითვლება მოვალეთა მიმართ მეგობრულად განწყობილ იურისდიქციად, მაშინ, როდესაც ინგლისი და გერმანია პირიქით, კრედიტორთა მიმართ მეგობრული იურისდიქციები არიან.[940]

სამი ძირითადი სამართლებრივი სტრატეგია არსებობს, რასაც უნდა ითვალისწინებდეს საკორპორაციო კანონმდებლობა კრედიტორთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ესენია:

1.ინფორმაციის სავალდებულო გახსნილობა *(Madatory disclosure- The entry strategy);*
2. საწესდებო კაპიტალის მარეგულირებელი ნორმები *(Rules governing legal capital and corporate grups);*
3. ფიდუციური ვალდებულებები *(Fiduciary duties- The standarts strategy).*[941]

---

[937] *იქვე.*72.
[938] *Hertig, Kanda,* Creditor Protection, in : The Anatomy of Corporate Law, Oxford University Press, New York, 2004, 72.
[939] *იქვე.*72.
[940] *იქვე.*78.
[941] *Hertig, Kanda,* Creditor Protection, in : The Anatomy of Corporate Law, Oxford University Press, New York, 2004, 79.

კომპანიის კრედიტორთა მიმართ პასუხისმგებელნი შეიძლება იყვნენ მესამე პირებიც. ასეთ მესამე პირებს შესაძლოა წარმოადგენდეს კრედიტორთა ის ჯგუფი, რომლებიც ჩართულნი არიან კომპანიის მართვაში, ე.წ. შიდა კრედიტორები.[942]

ინგლისის კანონმდებლობა *(Insolvency act &213)* ადგენს, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც შეგნებულად მართავს საწარმოს იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეიყვანოს და ზიანი მიაყენოს კრედიტორებს, შესაძლოა პასუხისმგებელი იყოს მათ წინაშე.[943] დირექტორს გააჩნია ვალდებულება გაითვალისწინოს კრედიტორთა, ისევე როგორც აქციონერთა ინტერესები, თუკი არსებობს კომპანიის გაკოტრების საშიშროება.[944]

როდესაც კომპანიის გადახდისუნარიანობა ეჭვის ქვეშ დგას, კრედიტორთა ინტერესების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დაკავშირებული ხდება კომპანიის ინტერესებთან. შესაბამისად, წარმოადგენს კიდეც დირექტორთა ვალდებულების ობიექტს.[945]

GHLM Trading Ltd v. Maroo საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ "დირექტორს გააჩნია ვალდებულება იმოქმედოს კომპანიის საუკეთესო ინტრესების გათვალისწინებით, კეთილსიდისიერად, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება კომპანიის, როგორც მთლიანის, საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება.[946]

საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, როდესაც ეს მნიშვნელოვანია, დირექტორი ვალდებულია გაითვალისწინოს კრედიტორთა, როგორც კლასის, ინტერესები. ხოლო, თუკი იგი პრიორიტეტს მიანიჭებს რომელიმე მათგანს, კრედიტორთა, როგორც კლასის საუკეთესო ინტერესების საზიანოდ, ვალდებულება დარღვეულად ჩაითვლება".[947]

დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე შესაძლოა დადგეს "თაღლითური" *(fraudulent trading)* ან უკანონო (უსამართლო) დამოკიდებულების შემთხვევაში *(wrongful trading).*[948]

Winkworth v. Baron Development Ltd. საქმის განხილვისას ლორდ ტემპლემანის *(Lord Templeman)* მიერ განმარტებულ იქნა, თუ რა სახის მოვალეობა გააჩნია დირექტორს კრედიტორთა მიმართ:

"კომპანიას გააჩნია ვალდებულებანი მისი არსებული და მომავალი კრედიტორების მიმართ. კომპანია არ არის ვალდებული გადაიხადოს ყველა ვალი მაშინვე, როგორც კი ის წარმოიშობა. იგი ასევე არ არის

---

[942] *Hertig, Kanda,* Creditor Protection, in : The Anatomy of Corporate Law, Oxford University Press, New York, 2004, 79.

[943] *იქვე*.94.

[944] *Hollington,* Hollington on Shareholder's Rights, 7th Ed, Sweet & Maxwell, London, 2013, 58.

[945] *Hollington,* Hollington on Shareholder's Rights, 7th Ed, Sweet & Maxwell, London, 2013, 58.

[946] *GHLM Trading Ltd v. Maroo (2012)EWHC 61 (Ch)* at (168) ხელმისაწვდომია: http://www.bailii.org/ew/cases/EWHC/Ch/2012/61.html (ბოლოს გამოხმობილია:08.05.2014)

[947] *GHLM Trading Ltd v. Maroo (2012)EWHC 61 (Ch)* at (168) ხელმისაწვდომია: http://www.bailii.org/ew/cases/EWHC/Ch/2012/61.html (ბოლოს გამოხმობილია:08.05.2014)

[948] http://www.losangelesbusinesslitigationfirm.com/Business-Litigation/Fraud-and-Negligent-Misrepresentation.aspx/ http://thelawdictionary.org/fraudulent-trading/http://www.businessdictionary.com/definition/wrongful-trading.html

ვალდებული თავი აარიდოს ნებისმიერ ისეთ საქმიანობას, რომელიც რისკებს შეიცავს, მაგრამ აღნიშნულის საპირისპიროდ, კომპანიას გააჩნია ვალდებულება შეინარჩუნოს აქტივი, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს ვალდებულებათა დასაფარად.

კომპანიის "სინდისი", ისევე როგორც მისი მართვა, მინდობილია დირექტორებზე. დირექტორებს გააჩნიათ ვალდებულება კომპანიის და კომპანიის კრედიტორთა მიმართ, რომ უზრუნველყოფილი იყოს სათანადო მართვა და რომ კომპანიის ქონება არ იყოს გაფლანგული ან ექსპლოატირებული დირექტორთა პირადი ინტერესების სასარგებლოდ და კრედიტორთა ინტერესების საზიანოდ.[949]"

კრედიტორთა მიმართ დირექტორთა ვალდებულების არსებობა და, ზემოთმოყვანილ შემთხვევებში, მათი პირადი პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობა, წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს კრედიტორთა დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნული ვალდებულების არსებობა ასრულებს როგორც პრევენციულ როლს, ასევე შესაძლებლობას იძლევა კრედიტორთა ინტერესები დაცულ იქნეს სასამართლოს გზით.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ბალანსის შენარჩუნება კრედიტორთა მიმართ დირქტორის პასიხისმგებლობის დადგენისას, სასიცოცხლოდ აუცილებელია. დირექტორები სრული სერიოზულობით უნდა მოეკიდონ საკუთარ პოზიციას და მიიღონ გონივრული და წინდახედული გადაწყვეტილებები. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დირექტორმა შესაძლოა კეთილსიდისერად მოქმედებისას გულწრფელად დაუშვას შეცდომა. ამიტომ ნებისმიერი სახის ვალდებულება, რაც დირექტორებს დაეკისრებათ, რეალისტური უნდა იყოს. როგორც ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მიხაელ კირბი აღნიშნავს:

"დირექტოთა საქმიანობაზე კონტროლის არსებობის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. გამოწვევა, რომელიც კანონმდებლის წინაშე დგას არის ის, რომ შექმნას კონტროლის იმგვარი მექანიზმი და სტანდარტი, რომელიც უსამართლოდ ხელს არ შეუშლის კომპანიას და მის დირექტორებს შეასრულონ ის ეკონომიკური ფუნქცია, რისთვისაც კომპანია იქმნება."[950]

2. კრედიტორთა სტატუსი "მეწარმეთა შესახებ" კანონის თანახმად

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.9 მუხლი არეგულირებს გადახდისუუნარო კომპანიის დირექტორის ვალდებულებას. "თუ საწარმო გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, დირექტორებმა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა (არსებობის შემთხვევაში) ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ საწარმოს გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არა უგვიანეს 3 კვირისა,

[949] *Winkworth v. Baron Development Ltd,* House of Lords, 04 December, 1986 WL408178 ხელმისაწვდომია: http://web2.westlaw.com ბოლოს გამოხმობილია:10.06.2014

[950] Justice Michael Kirby, a Judge of the Australian High Court იხ. *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 385.

უნდა განაცხადონ ამის თაობაზე, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადება ბრალეულ გაჭიანურებად არ მიიჩნევა, თუ ზემოხსენებული პირები ამ განცხადებას “მეწარმეთა შესახებ” კანონის 9.6 მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებით ეპყრობიან”.

მიიჩნევა, რომ კომპანია გადახდისუუნარობის პირასაა, თუკი შესაძლებლობა, რომ კომპანია გადახდისუუნაროა გადაწონის საპირისპირო შედეგის დადგომის შესაძლებლობას.

სამწუხაროდ, საქართველოში არ არის სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. არ არსებობს სასამართლოს გადწყვეტილება და განმარტება, თუ როგორ უნდა დადგინდეს შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, რომ გადახდისუუნარობის დადგომა გარდაუვალად არის მოსალოდნელი.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი არ აღიარებს ე.წ. *Balance Sheet* ტესტს, როგორც გადახდისუუნარობის ინდიკატორს.[951]

კომპანიის კრედიტორები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ კომპანიის მოთხოვნა (წააყენონ მოთხვნა მის ნაცვლად) დირექტორებისა და სამათველყურეო საბჭოს მიმართ, თუკი ვერ მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას კომპანიისაგან.[952]”მეწარმეთა შესახებ” კანონის 9.6. მუხლის მე-2 და მე-3 წინადადებების თანახმად: “თუ დირექტორები არ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად”. შესაბამისად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ქართული კანონმდებლობა კრედიტორს აძლევს დერივაციული სარჩელის აღძვრის შესაძლებელობას გარკვეული წინაპირობების არსებობისას, რაც ცალსახად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, კარგი იქნება თუ მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამის მუხლებში, (იხ. თავი III, ქვეთავი 3.4. დერივაცილი სარჩელი, მუხ. 46.5; 53.5;) გაჩნდება ცალსახა მითითება კრედიტორის მხრიდან დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლებაზე, ისე როგორც ეს მკაფიოდ არის განსაზღვრული წინამდებარე ნაშრომში განხილული ქვეყნების საკორპორაციო სამართლის შესაბამისი ნორმებით.

2.1. კრედიტორთა დაცვა რეორგანიზაციის დროს

კრედიტორთა დაცვა რეორგანიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან ამ შემთხვევაში კრედიტორის სამართლებრივი

---

[951] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 511.

[952] “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხ.9.6, 55.9, 56.4

მდგომარეობა იცვლება. რეორგანიზაციისას თავდაპირველი მოვალე ხშირად უქმდება, შედეგად წარმოშობილ ახალი მოვალის საიმედოობაზე კი კრედიტორს, როგორც წესი, ინფორმაცია არ აქვს. რეორგანიზაციის შემდეგ ქონების გადანაწილების შედეგად შესაძლოა, რომ საწარმოს ქონებრივი მდგომარეობა გაუარესდეს, რაც კრედიტორის დაკმაყოფილების შანსებს საგრძნობლად ამცირებს.[953]

მართალია საწარმოს გარდაქმნის შემთხვევაში მოვალე, როგორც სუბიექტი, არ იცვლება, მაგრამ იცვლება მისი სამართლებრივი ფორმა, რაც შეიძლება კრედიტორებისათვის საფრთხის შემცველი იყოს. [954] სწორედ ამიტომ, მეწარმეთა შესახებ კანონი შეიცავს ნორმებს, რომლებიც საწრმოს რეორგანიზაციის პროცესში კრედიტორთა დაცვას ემსახურება.

საწარმოს რეორგანიზაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად, მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია საწარმოს კრედიტორთა შესახებ. ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს მათი დაკმაყოფილების ვადები. რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ინფორმაცია ასევე უნდა გაეგზავნოს საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს, რომელშიც უნდა მიეთოთოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები.[955]

მეწარმეთა შესახებ კანონი კრედიტორს აძლევს უფლებას, მოითხოვოს ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება, თუკი შეიტყობს, რომ იგეგმება საწარმოს რეორგანიზაცია. თავის მხრივ საწარმოს მმართველი ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ რეორგანიზაციის შესახებ ინოფრმაციის მიწოდება ყველა ცნობილი კრედიტორისათვის.

ეკონომიკურ ურთიერთობებში სტაბილურობის უზრუნველყოფისა და კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით, მეწარემთა შესახებ საქართველოს კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ საწარმო, რომელმაც საწარმო (საწარმოები) მიიერთა, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საწარმო, არის თავდაპირველი საწარმოს/საწარმოების სამართალმემკვიდრე. [956] საწარმოს კრედიტორთა დაცვას ემსახურება მეწარმეთა შესახებ კანონის 14.[4]5. მუხლის ბოლო წინადადება, რომლის თანახმადაც, გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები პასუხს აგებენ სოლიდარულად. რაც შეეხება თავდაპირველი საწარმოს უფლებამონაცვლეს, იგი გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

---

[953] *ჯუღელი , ნადარაია ,* საწარმოთა რეორგანიზაციის ფორმები "მეწარმეთა შესახებ" კანონის მიხედვით, სსიპ, საქართველოს ადვოკათთა ასოციაციის ჟურნალი "პროფესია იურისტი", №2, 2007, 36-56.

[954] *ჯუღელი , ნადარაია ,* საწარმოთა რეორგანიზაციის ფორმები "მეწარმეთა შესახებ" კანონის მიხედვით, სსიპ, საქართველოს ადვოკათთა ასოციაციის ჟურნალი "პროფესია იურისტი", №2, 2007, 36-56.

[955] „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 14.4.

[956] "მეწარემთ შესახებ" საქართველოს კანონი მუხლი 14[4].4, ბოლო წინადადება

VIII. კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

Every company should be headed by an effective board which Is collectively responsible for the long-term success of the company[957].

1. დირექტორის ერთობლივი და პირადი პასუხისმგებლობა

კომპანიისათვის მიყენებული ზიანისათვის დირექტორები სოლდარულად აგებენ პასუხს. ზიანისათვის პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა, თუკი დირექტორთა ქმედება მოწონებულ იქნა აქციონერთა მიერ მიღებული კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე.[958]

დირექტორატი კოლეგიური ორგანოა, ამიტომ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს:

ა) კოლეგიურად ყველას მიერ კანონმდებლობის შესაბამისად მოწვეულ და ჩატარებულ საერთო კრებაზე, ერთხმად ან დამსწრეთა უმრავლესობის მხარდაჭერით.

ბ) წერილობითი ფორმით და მასზე დირექტორები უნდა აწერდნენ ხელს.[959]

დირექტორატის (ბორდის) კოლეგიური თუ ერთობლივი პასუხისმგებლობა წარმოადგენს კორპორაციული მართვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ფაქტს.[960]

დელავერის კანონმდებლობის თანახმად, ბორდი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეუზღუდოს ცალკეულ დირექტორ(ებ)ს უფლება ისაუბროს კომპანიის ბორდის სახელით.[961]

მხოლოდ ბორდია უფლებამოსილი გამოვიდეს კომპანიის სახელით ან მიანიჭოს ვინმეს ეს უფლება.[962]

დელავერის საკორპორაციო კანონის 141 (a) მუხლის თანახმად , თუკი კომპანია განიცდის ზიანს, დირექტორატი არის ის ინსტიტუციური ორგანო, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება დაადგინოს, რა

---

[957] *Financial Reporting Council (2010) Main Principle A. 1, 9* იხ. *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 178.

[958] *Meister, Heidenhain, Rosengarten,* The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 56.

[959] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 109.

[960] *Westmid Packing Services Ltd, Secretary of State for Trade and Industry v.Griffiths (1998) 2 BCLC 646* იხ. *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, P.178

[961] *Delaware Corporation law Annootated,* 2013-2014 Ed,As amended up to and including the 2013 Regular Session of the One Hundred Forty-Seventh General Assably, Lexis, Nexis, Delaware, 2013, P.49. Empire S. Gas.Co. v.Gray, 29 Del.Ch. 95, 46 A.2d 741(1946)

[962] *Delaware Corporation law Annootated,* 2013-2014 Ed,As amended up to and including the 2013 Regular Session of the One Hundred Forty-Seventh General Assably, Lexis, Nexis, Delaware, 2013, P.49. Empire S. Gas.Co. v.Gray, 29 Del.Ch. 95, 46 A.2d 741(1946)

ღონისძიებებს მიმართოს მის აღმოსაფხვრელად. მათ შორის დაიწყოს თუ არა სამართალწარმოება გარკვეულ პირთა მიმართ.[963]

როგორც გერმანული, ასევე ბრიტანული სამართალი იცნობს დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის პრინციპულ შესაძლებლობას დირექტორის მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულების პროცესში დელიქტის[964] ჩადენის შემთხვევაში.[965] როგორც წესი, დირექტორებს არ გააჩნიათ პირადი პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებათა გამო, ვინაიდან კომპანიას დამოუკიდებელ იურიდიულ პირს წარმოადგენს, მაგრამ განსაზღვრული გარემოებების არსებობისას დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს.[966]

კომპანიათა შესახებ აქტის 232 (1) პარაგრაფის თანახმად, ბათილია ნებისმიერი დათქმა, რომელიც დირექტორს ათავისუფლებს კომპანიის მიმართ პასუხისმგებლობისაგან, დაუდევრობის, ვალდებულების შეუსრულებლობის და ნდობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.[967]

თუკი დირექტორი სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მხარესთან და ხელშკერულების დადებისას არ აკეთებს განმარტებას, რომ კომპანიის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, და არც ხელშეკრულებაშია კომპანიის შესახებ ნახსენები, მაშინ ამ მხარეს უფლება აქვს პერსონალურად დირექტორის წინააღმდეგ წარადგინოს სარჩელი, თუკი კომპანია არ შეასრულებს ვალდებულებას.[968]

გერმანიის საკორპორაციო კანონმდებლობის თანახმად, შესაძლოა დადგინდეს დირექტორატის სოლიდარული ერთობლივი პასუხისმგებლობა, როგორც კომპანიის, ასევე მესამე პირთა მიმართ. აღნიშნულის პარალელურად საკუათრი შიდა რეგულირების მიზნით, დრექტორთა შორის შესაძლოა არსებობდეს შეთანხმება ვალდებულებათა განაწილების შესახებ, რომლის შესაბამისადაც, ისინი დამრღვევი დირექტორისაგან მიიღებენ ანაზრაურებას, თუკი მის გამო სოლიდარული პასუხისმგებლობა დადგა.[969]

გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის 93-ე და 116-ე პარაგრაფის საფუძველზე, დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო

---

[963] *Delaware Corporation law Annootated,* 2013-2014 Ed,As amended up to and including the 2013 Regular Session of the One Hundred Forty-Seventh General Assably, Lexis, Nexis, Delaware, 2013, P.49. *South v. Baker*, 62 A.3d 1 (Del.Ch.2012)

[964] ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოყენებული სიტყვები "tort" და"delict" სინონიმებს წარმოადგენენ, ორივე მათგანი გამოხატავს დელიქტს. სიტყვა "tort" გამოიყენება ანგლო-ამერიკულ სამართალში, (აშშ, ბრიტანეთი) ხოლო სიტყვა "delict" რომანული ქვეყნების სამართალში.(მაგ. გერმანია) იხ: http://www.camargueacademy.co.za/introduction-law/faq/what-difference-between-delict-and-tort (ბოლოს გამოხმობილია: 19.05.2014)

[965] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, P.183

[966] *Keay,* Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007 ,5.

[967] *CompaniesAct2006*,Para:233,234,ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :21.05.2014)

[968] *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th adition, Jordan Published Limited, Bristol, 2008, 327.

[969] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006, 290.

ვალდებულია გამოიჩინოს კეთილგონიერი ბიზნესმენის გულმოდგინება და გულისხმიერება, საწარმოს მართვის პროცესში. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა იწვევს ვალდებულების ადრესატთა პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი ქმედება დაფუძნებული იყო აქციონერთა მიერ კანონის შესაბამისდ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.[970]

დირექტორატის პასუხისმგებლობა ასევე დგება, თუკი იგი კანონმდებლობის შესაბამისად არ განაცხადებს კომპანიის გადახდისუუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის შესახებ.[971]

სამი სახის მოთხოვნა არსებობს, რომელიც შეიძლება წაეყენოს პერსონალურად დირექტორს ვალდებულების დარღვევის გამო, ესნია:

ა) სამართლიანი კომპენსაციის მოთხოვნა;
ბ) მიღებული მოგების, სარგებლის დაბრუნების შესახებ მოთხოვნა;
გ) სასამართლო აკრძალვა *(Injuctive Relief).*

ა) სამართლიანი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება შესაძლოა გაუჩნდეს კომპანიას დირექტორის მიმართ უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების, კომპანიის წარმატებისათვის ხელის შეწყობის, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაყვეტილების მიღების ვალდებულებათა დარღვევის გამო.[972]

ბ) მიღებული მოგების (სარგებლის) დაბრუნების მოთხოვნის უფლება კომპანიას წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდების, მესამე პირისაგან რაიმე სახის სარგებელის მიღებაზე უარის თქმის, ტრანზაქციასთან დაკავშირებით პირადი დაინტერესების და კანონმდებლობის შესაბამისად გამჟღავნება-დეკლარირების ვალდებულებათა დარღვევის გამო.[973]

გ) სასამართლო აკრძალვა (Injuctive Relief).[974] სასამართლოს აქვს ფართო უფლებამოსილება აუკრძალოს დირექტორს გარკვეული ქმედების განხორციელება ან საკუთარი აქტივებით სარგებლობა. მას შეუძლია გამოსცეს ბრძანება აკრძალვის შესახებ, როგორც ფინალური, ასევე შუალედური-წინასწარი მოსმენის ეტაპზე.[975]

შუალედური აკრძალვის ყველზე უფრო გავრცელებულ ფორმას

---

[970] *kawamura, Anderson, (Edit) Rodewald, Tielman,* Germany :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 100.

[971] *kawamura, Anderson, (Edit) Rodewald, Tielman ,* Germany :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 100.

[972] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed.,, Oxford University Press, Oxford, 2013, P.428 , დეტალურად. აღნიშნულ ვალდებულებათა შესახებ იხ. თავი IV

[973] *იქვე.* 428 დეტალურად. აღნიშნულ ვალდებულებათა შესახებ იხ. თავი IV

[974] უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი. აღნიშნული ინსტიტუტი საკმაოდ კარგად განვითარებულია საქართველოში და ქართული სასამართლოს მიერ ხშირად ხდება უზრუნველყოფის ისეთი ღინისძიებების გამოყენება როგორიცაა აქტივის დაყადაღება, გასხვისების აკრძალვა და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ამ კონტექსტში შედარებითსამართლებრივი ანალიზის გაკეთება სცდება ნაშრომის მიზნებს დეტალურად ამ საკითხზე არ შევჩერდები. ასეთი ანალიზის გაკეთება, თავისუფლად შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი კვლევის საგანი.

[975] *იქვე.* 437.

წარმოადგენს ბრძანება დირექტორის აქტივის "გაყინვის" (დაყადაღების) შესახებ (*Freezing Order)*. იგი უკრძალვს მოპასუხე დირექტორს ისარგებლოს აქტივით, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის წარმატების შემთხვევაში მოგებული მხარის დასაკმაყოფილებლად.[976]

აღნიშნული ბრძანება სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომში აღსრულების და შესაბამისად ზიანის ანაზღაურების საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ მისი გამოყენება მნიშვნელოვანია ისეთ საქმეებში, სადაც სახეზეა მატერიალური ზიანი ან მოთხოვნილია ზიანის ანაზღაურება მატერიალური ფორმით. სასამართლო გამოსცემს ბრძანებას აქტივის დაყადაღების შესახებ, თუკი მოსარჩელე შეძლებს სარწმუნოდ დაასაბუთოს საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობა და მოგების პერსპექტივა, და თუკი არსებობს საფრთხე, რომ სარჩელის წარმატების შემთხვევაში აქტივი ხელმისაწვდომი აღარ იქნება.[977]

სასამართლო პრაქტიკის მიერ უსამართლობად იქნა მიჩნეული მოპასუხის მთელი აქტივის დაყადაღება. აღნიშნულს საფუძვლად უდევს ის არგუმენტი, რომ მოპასუხე დირექტორს უნდა მიეცეს საშუალება აანაზღაუროს სამართალწარმოებისათვის საჭირო ხარჯები, ამიტომ აქტივის გამოყენება ამ ხარჯების ასანაზღაურებლად დასაშვებია.[978]

ამ მხრივ პრობლემა წარმოიშობა, თუკი მოსარჩელე მოპასუხის აქტივის საკუთრებაზე აცხადებს პრეტენზიას (*Proprietary Claim)*. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს მოპასუხის მიერ აქტივის გამოყენების ნებართვით გამოწვეული უსამართლობა გადაწონის თუ არა უსამართლობას, რომელიც ართმევს მოპასუხეს საშუალებას თავი დაიცვას სასამართლო სამართალწარმოების პროცესში.[979]

თუკი სურს რომ მიიღოს სასამართლოსგან ნებართვა აქტივის სასამართლო ხარჯების დასაფარად გამოყენებაზე, მოპასუხემ სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს, რომ მას სხვაგვარად ხარჯების დაფარვა არ შეუძლია თუ არ გამოიყენებს იმ აქტივს, რომელზეც მოსარჩელე საკუთრების პრეტენზიას აცხადებს.[980]

შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს დირექტორთა მხრიდან ვალდებულების დარღვევას არის: კომპანიის აქტივის სასარგებლოდ გადახდა, დისკვალიფიკაცია გარკვეული პერიოდით, პირადი რეპუტაციის შელახვა-დაზიანება და მათთვის ვინც სისხლის სამართლებრივ დანაშაულს ჩაიდენს უფლებამოსილების განხორციელებისას –ციხე.[981]

დირექტორატის წევრების სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მათ მიერ განხორციელებული კორპორაციული ქმედებების გამო, რაც იმას ნიშნავს, რომ დირექტორს, იურიდიული თვალსაზრისით, არ გააჩნია იმუნიტეტი, რომელიც კომპასნიის მიერ განხორციელებულ ქმედებათა გამო პასუხისმგებლობისგან დაიცავს. შესაბამისად, დირექტორმა, თუ არ ეთანხმება ქმედებას, რომელიც ხორციელდება მისი კოლეგების მიერ,

---

[976] *იქვე.* 438.
[977] *იქვე.* 438.
[978] *იქვე.*438.
[979] *Mortimore, (Edit)* Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed., Oxford University Press, Oxford, 2013, 438-439.
[980] *იქვე.*439.
[981] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 176.

უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე, საკუთარი საწინააღმდეგო პოზიცია ნათლად დააფიქსიროს და ასახოს დირექტორატის გადაწყვეტილებაში, თუკი სურს, რომ შემდგომში ამ ქმედების გამო გამოწვეული სამართლებრივი პასუხისმგებლობა აირიდოს თავიდან. ითვლება, რომ ყველა დირექტორი, რომელიც სხდომას ესწრებოდა დაეთანხმა საკითხს, თუკი არ იქნება გამოყენებული ზემოაღნიშნული ქმდება ამ პრეზუმციის გადასალახად.[982] თუკი დირექტორის მიერ გამოთქმული საწინააღმდეგო პოზიცია დაფიქსირებულია დირექტორატის სხდომის ჩანაწერებში, იმ გადწყვეტილების გამო, რომლის წინააღმდეგიც იყო იგი, პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება.[983]

დელიქტის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა დადგება, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოქმედებდა კომპანიისათვის, კომპანიის საქმიანობის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა კომპანიისა და დირექტორის ერთობლივი პასუხისმგებლობა წარმოიშვას. მხოლოდ დირექტორის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც მის მიერ განხორციელებული ქმედება ასევე საზიანოა თავად კომპანიისათვის და ცდება დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებს.[984]

დირექტორები არ არიან პასუხისმგებელნი ქმედებისათვის რომელის განხორციელებაშიც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ, კერძოდ არ მოუხდენიათ მისი ავტორიზაცია, არ გაუციათ თანხმობა ან არ ხელმძღვანელობდნენ მის განხორციელებას.[985]

გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი უშვებს კომპანიის მიერ დირექტორის მიმართ არსებულ მოთხოვნაზე უარის თქმის შესაძლებლობას, მხოლოდ ამ მოთხოვნის წარმოშობიდან სულ მცირე სამი წლის შემდეგ, აქციონერთა კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ასეთი გადწყვეტილების დაბლოკვა შეუძლია ნებისმიერ აქცონერს ან აქიცნერთა ჯგუფს, რომლებიც ფლობენ კომპანიის ნომინალური კაპიტალის 10 %-ს ან მეტს.[986]

ყველაზე საშინელ მომენტს, ნებისმიერი დირექტორისათვის, წარმოადგენს, როდესაც სასამართლო განხილვის პროცესში, მომსამართლე დაადგენს, რომ იგი ვალდებული იყო xx.yy.zz. თარიღში გამოეტანა დასკვნა, რომ არ არსებობდა გონივრული საფუძველი კომპანიის გადარჩენისა და რომ კომპანიის გადახდისუუნარობის შესახებ მითითებული თარიღისათვის მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ფაქტის მოსმენა დირქტორისათვის მძიმეა იმდენად, რამდენადაც ამ ვალდებულების დარღვევა პირად პასუხისმგებლობას იწვევს და მას მოუწევს აანაზღაუროს ზიანი, რაც გამოიწვია

---

[982] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 434.

[983] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 432.

[984] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 434.

[985] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 434.

[986] *Aktiengesetz* para: 93 (4) ხელმისაწვდომია: http://www.gesetze-im-internet.de/aktg/ (ბოლოს გამოხმობილია: 23.05.2014)

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დაგვიანებამ ან საერთოდ განუცხადებლობამ, თუკი ასეთ განცხადებას საერთოდ არ ჰქონია ადგილი.[987]

როგორ უნდა უზუნველყონ დირექტორებმა, რომ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაცია ჰქონდეთ? სწორედ ამ მიმართულებით აქვთ მათ ვალდებულება, რომ დანერგონ რეპორტინგის ეფექტური სისტემა, ვინაიდან როგორც არაერთხელ აღინიშნა, მათგან არავინ ითხოვს პირადად აკონტროლონ კომპანიის საქმიანობათა ყველა მიმართულება, მათი მოვალეობაა ეფექტური კონტროლის სისტემის შექმნა, რათა არ ჩაიყენონ თავი არაინფორმირებულ მდგომარეობაში.

რაც უფრო მეტია საჭიროება, რომ აქციონერები ენდონ დირექტორებს, მით უფრო მეტ მოთხოვნებს აწესებს კანონმდებელი დირექტორთა ვალდებულებების მიმართ.[988] ვინაიდან ეს ისეთი სახის ნდობაა, როდესაც პირად ინტრესებზე მაღლა კომანიის ინტერესები უნდა იდგეს, მაშინ როცა ადამიანურ ბუნებაში დევს ცდუნება, იმოქმედოს საკუთარი ინტერესებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალიწინებით, დირექტორთა მოვალეობები მოქმედებენ როგორც საყოველთაოდ აღიარებული და ყოვლისმომცველი ნორმები, რათა აღმოფხვრან მორალური დილემა, ადგენენ რა, რომ დირექტორი ვალდებულია მოქმდებდეს საწარმოს, და არა პირადი ინტერესების გათვალისწინებით.[989]

დამკვიდრებული წესის თანახმად, დირექტორები პასუხს არ აგებენ კომპანიასა და მესამე პირს შორის წარმოშობილი ვალდებულებისათვის. თუმცა ამ წესიდან გარკვეული გამონაკლისები არსებობს. კერძოდ, თუკი დირექტორის მოქმედება არწმუნებს მესამე პირს ენდოს მის პერსონალურ კომპეტენტურობას, ამან შეიძლება მესამე პირის მიმართ დირექტორის პერსონალური პასუხისმგებლობა გამოიწვიოს.[990]

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც დირექტორი კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებთან და ბალანსთან დაკავშირებით აკეთებდეს დეკლალირებას. მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტორი არ იყო პირადად პასხისმგებელი, იმის გამო რომ მან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე 2 თვით ადრე დიდი რაოდენობის აქციები შეუკვეთა კომპანიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისათვის კომპანია უკვე ფინანსური პრობლემების წინაშე იდგა. სიტუაცია სამართლებრივი თვალსაზრისით სხვაგვარი იქნებოდა, თუკი დირექტორი მოახდენდა ბიზნეს პარტნიორის არასწორ ინფორმირებას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.[991]

შპს-ს შესახებ კანონი (პარაგრაფი 64) ავალდებულებს დირექტორებს განაცხადონ კომპანიის ვალაუვალობის ან არალიკვიდურობის შესახებ.

---

[987] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 72-73.

[988] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 100.

[989] *Belcher,* Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014, 100.

[990] *Jausas, (Edit) Lachmann,* Germany, in: Company Formation, Globe Business Publishing, London, 2009, 334.

[991] *იქვე*334.

ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორის პირად პასუხისმგებლობას გამოიწვევს.[992]

გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ კრედიტორი უფლებამოსილია წარადგინოს სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ, ვალის მხოლოდ იმ ნაწილის მოთხოვნით, რომელიც წარმოიშვა იმ თარიღის შემდეგ, როდესაც დირექტორი ვალდებული იყო განეცხადებინა კომპანიის გაკოტრების შესახებ. ამ თარიღამდე წარმოშობილი ვალდბეულებანი აღსრულებულ უნდა იქნეს გადახდისუუნარობის საქმის წარმობის ადმინისტრატორის მიერ (გერ.გადახდისუუნარობის შესახებ კანონი, მუხლი 92).[993]

შპს-ს შესახებ გერმანიის კანონის 43(1) მუხლის თანახმად, დირექტორი ვალდებულია გამოიჩინოს გონიერი და წინადახედული ბიზნესმენისათვის დამახასიათებელი ზრუნვა საწარმოს მიმართ. ამ ვალდებულების დარღვევა იწვევს დირექტორის პასუხისმგებლობას. დირექტორის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს კაპიტალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი ნორმების დარღვევით აქციონერთათვის კაპიტალის განაწილების შემთხვევაში. ვალდებულების დარღვევად ითვლება სესხის მიცემა აქციონერისათვის, მაშინ როდესაც კომპანია ფინანსურ კრიზისს განიცდის.[994]

შპს-ს შესახებ გერმანიის კანონის 30-ე მუხლის თანახმად, კომპანიის აქტივი, რომელიც ემსახურება განცხადებული საწესდებო კაპიტალის შენარჩუნებას, არ ექვემდებარება დივიდენდის სახით ან სხვაგვარად, მაგალითად ე.წ. „ფარული დივიდენდის“ *(Hidden Dividends)* სახით განაწილებას. ფარულ დივიდენდად მიიჩნევა აქციონერის მიერ ნებისმიერი სახის აქტივის მიღება, რომელიც არ არის მოხსენიებული როგორც დივიდენდი.[995]

საინტერესოა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც ადგენს, რომ დირექტორები საწარმოსათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად მთელი თავისი ქონებით პირდაპირ და უშუალოდ. [996] ყურადღებას იქცევს და განმარტებას საჭიროებს დირექტორების სოლიდარულად პასუხისმგებლობის საკითხი, კერძოდ გამორიცხავს თუ არა კანონის ნორმის მსგავსი ფორმულირება, ინდივიდუალურად თითოეული დირექტორის პასუხისმგებლობას? ამ ნორმის ფართო განმარტებიდან მომდინარეობს დასკვნა, რომ ქართული სამეწარმეო კანონმდებლობა იძლევა საშუალებას, ინდვიდუალურად დადგეს თითოეული დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი. სხაგვარად კანონის ნორმა თავის მნიშვნელობას დაკარგავდა.

დირექტორატის წევრების პირადი პასუხისმგებლობა მესამე პირთა მიმართ შესაძლოა დადგეს მხოლოდ ქართული კანონმდებლობით კონკრეტულად განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგალითად, დელიქტის გამო წარმოშობილი მოთხოვნის გამო. [997] (სსკ 992-ე მუხლი.)

---

[992] *იქვე*335.

[993] *Jausas, (Edit) Lachmann,* Germany, in: Company Formation, Globe Business Publishing, London, 2009, 335.

[994] *იქვე*335.

[995] *იქვე.*

[996]“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი მე-9 მუხლი, მე -6 პუნქტი, 56-ე მუხლი, მე-4 პუნქტი

[997] *Fleickner, Hopt, (Edit) Chanturia, Jugeli,* Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations

კონტრაქტის დარღვევის ან დელიქტის გამო სასამართლო დაცვის უმთავრესი ფუნქცია შესაძლოა შემდეგნაირად განიმარტოს: კომპენსაცია, რესტიტუცია, დასჯა, პოზიტიურ ვალდებულებათა მყარი შესრულება, გადაცდომის პრევენცია, უფლებათა დეკლარირება.[998]

ზიანის ანაზღაურების მიზანს წარმოადგენს ჩააყენოს მოსარჩელე იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა დელიქტს (ან ხელშეკრულების დარღვევას) ადგილი რომ არ ჰქონოდა (რეალური (საკომპენსაციო ზიანი */Compensatory Damages)*. [999] ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები (408-415) თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტის შედეგად წარმოშობილ ზიანთან მიმართებაში. [1000] აღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტორის მიერ მოვალეობის დარღვევის გამო ზიანის შემთხვევაში, "მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისი ნორმების გარდა, სასამართლოს მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მითითებული ნორმებიც.

კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, თუ რა ვითრებაში მოხდა დირექტორის არჩევა, ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ წარმოადგენს ე.წ. "საპატიო დირექტორს" საწარმოს წინაშე რეალური ვალდებულების გარეშე. ზოგს მცდარი მოსაზრების საფუძველზე სწამს, რომ ვინაიდან ბორდში წარმოადგენს უმცირესობას, მას არ აქვს ვალდებულებები საწარმოს მიმართ და არ იღებს პასუხსმგებლობას ბორდის გადაწყვეტილებებსა და კომპანიაში მიმდინარე პროცესებზე. უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი სახის დარღვევა საწამოს მართვის პროცესში, წარმოადგენს ზრუნვის მოვალეობის დარღვევას. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, დირექტორის პასუხისმგებლობა ამ დარღვევისათვის არ გამოირიცხება.[1001]

ცხადია, დირექტორის მხრიდან ვალდებულების დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც საქართველოში, ასევე ამერიკაში, გერმანიასა თუ ინგლისში. მთავარი განსხვავება ქვეყნებს შორის წარმოიშობა, როდესაც კანონმდებლობა ვერ ქმნის იმგვარ სისტემას, რომელიც თავიდან აირიდებს ვალდებულების არასრულყოფილ შესრულებას ან, სულ მცირე, შეამცირებს მაინც მსგავს ფაქტებს. ცხადია, ამ მხრივ საქართველო უფრო დიდი რისკის ქვეშ დგას, ვიდრე ინგლისი, აშშ და გერმანია. მსგავსი პრობლემის წარმოშობა განსაკუთრებით ნაკლებად არის მოსალოდნელი აშშ- ში (დელავერის შტატი), სადაც სასამართლო პრაქტიკის გავლენა საკორპორაციო სამართალზე განუზომლად დიდია.[1002]

---

in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013, 513.

998 *Burrows, Andrew,* Remedies for Torts and Breach of Contract, 3rd Ed, Oxford University Press, New York,2009, 9.

999 *Burrows,* Remedies for Torts and Breach of Contract, 3rd Ed,, Oxford University Press, New York,2009, 33.

1000 *ჯუღელი, (რედ)* ძლიერიშვილი, ცერცვაძე, რობაქიძე, სვანაძე, ცერცვაძე, ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, "მერიდიანი" თბილისი, 2014, 645. იხ. ასევე: სუს 2011 წლის 6 იანვრის №ას-987-928-2010 და 2011 წლის 24 იანვრის №ას-1076-1008-2010 განჩინება.

1001 *Hamilton* , The Law of Corporations, Fifth Ed, West Group, St. Paul , 2000, 450-451.

1002 *Cox*., How Delaware Law Can Support Better Corporate Governance, (PP.335-350) in: Kieff, Scott. F. Paredes Troy A., (Editors) Perspectives on Corporate Governance, Cambridge University Press, New York, 2010, 339.

უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორთა მოვალეობების საზღვრები და შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ იგი უცვლელი და საერთოა ყველა დირექტორისათვის, პირიქით, აღნიშნული ვალდებულება შესწავლილ და დადგენილ უნდა იქნეს ყოველ კონკრეტულ საქმიდან გამომდინარე, საქმის გარემოებების გათვალისწინებით.[1003]

1.1. შიდა და გარე პასუხისმგებლობა

დირექტორებს გააჩნიათ გარე და შიდა პასუხისმგებლობა. შიდა პასუხისმგებლობა გულისხმობს დირექტორის ვალდებულებას აუნაზღაუროს კომპანიას მიყენებული ზიანი. ეს ის შემთხვევაა როდესაც კომპანიას გააჩნია დირექტორის მიმართ მოთხოვნის უფლება, შესაძლოა სარჩელი წარადგინოს მესამე პირმა, მაგალითად კრედიტორმა, მაგრამ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებული თანხა კომპანიის ხაზინაში უნდა ჩაირიცხოს და მხოლოდ ამ გზის გავლით და რიგითობის დაცვით მიიღებს კრედიტორი დაკმაყოფილებას.[1004]

ხოლო გარე პასუხისმგებლობა კი მაშინ არის სახეზე, როდესაც კომპანიას კი არ გააჩნია მოთხოვნა დირექტორის მიმართ, არამედ მის მიერ ჩადენილი დელიქტის შედეგად, მხარე, რომელიც დელიქტის გამო დაზარალდა, უფლებამოსილია წარადგინოს სარჩელი უშუალოდ დირექტორის მიმართ. საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება ვერ დააბრკოლებს აღნიშნული სარჩელის წარდგენას.[1005]

გარე პასუხისმგებლობის შემთხვევაში, დაზარალებულ კრედიტორს შეუძლია წარუდგინოს სარჩელი კომპანიას როგორც პირველად და მთავარ მოვალეს, ხოლო თუკი კომპანიას არ გააჩნია შესაძლებლობა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, წარადგინოს სარჩელი დირექტორების, როგორც მეორადი დებიტორების წინააღმდეგ.

კრედიტორს შეუძლია წარადგინოს სარჩელი სათითაოდ, ყოველი დირექტორის მიმართ და მოითხოვოს ზიანის სრულად ანაზღაურება, იმის გამო, რომ დირექტორმა დროულად არ განაცხადა გადახდისუუნარობის შესახებ, ხოლო იგი შევიდა საკონტრაქტო ურთიერთობაში კომპანიასთან, რომელიც გადახდისუუნარობასთან ახლოს იყო, რამაც გამოიწვია კიდეც ზიანი.[1006]

შიდა პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, დირექტორმა შესაძლოა მოითხოვოს აქციონერთაგან ან სამეთვალყურეო საბჭოსაგან პრევენციული (გამაფრთხილებელი) ანაზღაურების მიღება. შპს-ს შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია აქციონერთა უბრალო უმრავლესობის თანხმობა, თუკი წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხოლო სს-ა ასეთ თანხმობას წინასწარ ვერ

[1003] *Hollington,* Hollington on Shareholder's Rights, 7th Ed, Sweet & Maxwell, London, 2013, 65.
[1004] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 186.
[1005] *Bachner,* Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009, 186-187.
[1006] *Loos, (Edit)* Germany, in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006 , 289.

გასცემს. თანხმობის გაცემა შესაძლებელია ზიანის მიყენებიდან სულ მცირე სამი წლის გასვლის შემდეგ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აქციათა 10%-ის მფლობელი აქციონერი ან აქციონერთა ჯგუფი არ იქნება წინააღმდეგი.[1007]

დირექტორატის გარე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაუშვებელია, თუმცა აქციონერთა გადწყვეტილების შესაბამისად, შესაძლოა დირექტორი მიჩნეულ იქნეს "უდანაშაულოდ", რაც ცხადია მესამე პირის მოთხოვნაზე გავლენას არ ახდენს.[1008]

1.2. ზიანის ანაზღაურება

დირექტორებს წარმოეშობათ კომპანიისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ძირითადად ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა მათი მხრიდან ვალდებულებათა დარღვევა არაკეთილსინდისიერი ან გაუფრთხილებელი მოქმედება. მათ, როგორც წესი, არ წარმოეშობათ ვალდებულება კომპანიის მიერ განცდილი დანაკარგისათვის, თუკი მოქმედებდნენ სათანადო გულისხმიერებით მიღებული, გონივრული გადაწყვეტილების ფარგლებში.[1009]

გამოიჩინა თუ არა დირექტორმა სათანადო გულისხმიერება და მზრუნველობა, დგინდება იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცეოდა მის ადგილზე მყოფი საღად მოაზროვნე პირი ანალოგიური გარემოებების არსებობისას. თუ მოქმედება ამ სტანდარტში ჯდება, მაშინ ითვლება, რომ გაუფრთხილებლობას ადგილი არ ჰქონია და არც კომპანიის მიერ განცდილი ზიანისათვის დადგება პასუხისმგებლობა.[1010]

ხოლო დირექტორის კეთილსინდისიერების საკითხი კი დგინდება იმის მიხედვით, მოქმედებდა თუ არა იგი იმგვარად, რომ წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი კომპანიის ინტერესებსა და საკუთარ ინტერესებს შორის. ვინაიდან დირექტორს გააჩნია კომპანიის მიმართ ერთგულების მოვალეობა, რომლის თანახმადაც, იგი ვალდებულია საკუთარ ინტერესებზე უფრო ზემოთ დააყენოს კომპანიის ინტერესები.[1011]

ცხადია, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება დირექტორის მიერ. ამისათვის საჭიროა ზიანის ოდენობის დადგენა, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა.

ერთ-ერთი საქმის განხილვისას ინგლისის სასამართლომ აღნიშნა:[1012]

"თუკი ზიანის სახით დირექტორს დაეკისრება იმ მოგების სრულად

[1007] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006, 290.

[1008] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006, 290.

[1009] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 433.

[1010] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 433.

[1011] *Ashcrofr, , Ashcroft, Patterson,.* , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013, 434.

[1012] *იხ. A-G v.Blake (1998) Ch439* ციტირებულია: *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th adition, Jordan Published Limited, Bristol, 2008, P.261 მიხედვით.

გადახდა, რაც მან კონკრეტული ტრანზაქციიდან კომპანიის ხარჯზე მიიღო, ეს შესაძლოა გაცილებით უფრო მომგებიანი იყოს საწარმოსათვის, ვიდრე კომპენსაცია სამართლიანი თანხით, ვინაიდან ხშირად დირექტორის მიერ მიღებული მოგება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე იმ სამართლიანი თანხის ოდენობა, რომლის ანაზღაურებასაც სასამართლო აკისრებს მას."[1013]

აღნიშნული მიდგომა გამოდგება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მოგების დადგენა მარტივია. მაგალითად, ერთ-ერთი კომპანიის დირექტორს დაეკისრა მიღებული საკომისიოსა და ბონუსების სრულად გადახდა კომპანიისათვის, მას შემდეგ რაც დადგინდა, რომ იმ კომპანიისგან, რომელსაც სათევზაო გემის მშენებლობა შეუკვეთა, მიიღო საკომისიო. ხოლო მეორე მხრივ, მშრალი ყინულის მოწოდებაზე ხელშეკრულება გააფორმა, კომპანიასთან, რომლის აქციონერსაც წარმოადგენდა, რისთვისაც მიიღო ბონუსი, რადგანაც, როგორც წესი, კომპანია ბონუსს უხდიდა აქციონერს, რომელიც შეკვეთას მოუტანდა.[1014]

უფლება-მოვალებათა დარღვევის შემთხვევაში, როგორც დირექტორატის, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრს წარმოეშობა ვალდებულება კომპანიის მიმართ, აუნაზღაუროს მის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო მიყენებული ზიანი სრულად. გარდა აღნიშნულისა, შესაძლოა მათი პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს მესამე პირთა მიმართაც, თუკი მესამე პირმა განიცადა პირდაპირი და უშუალო ზიანი დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების გამო.[1015]

დირექტორის მოვალეობებზე საუბრისას, საქართველოს საკორპორაციო სამართალი აღნიშნავს, რომ დირექტორი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად და მაქსიმალური ინფორმაციის ფლობის საფუძველზე იმ რწმენით, რომ მისი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საწარმოსათვის. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დირექტორი ვალდებული იქნება აუნაზღაუროს კომპანიას ზიანი. ასეთ შემთხვევაში დირექტორი პასუხს აგებს სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით.[1016]

თუკი ზიანი დადგა, დირექტორმა უნდა დაადასტუროს, რომ მოქმედებდა მეწარმეთ შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. საწარმოს, თავის მხრივ, უფლება არ აქვს უარი თქვას დირექტორის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მიღებაზე, თუკი ანაზღაურება აუცილებელია კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ კომპანის კრედიტორებს, თუკი კომპანია მათი კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ვერ ახორციელებს.[1017]

[1013] *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th adition, Jordan Published Limited, Bristol, 2008, 261.

[1014] *Boston Deep Sea Fishing and Ice Co.v.Ansell (1889) 39 ChD339* ვუთითებ: *Loose, Griffiths, Impey,* The Company Director, Power, Duties and Liability ,10th adition, Jordan Published Limited, Bristol, 2008, 260. მიხედვით.

[1015] *kawamura, Anderson,(Edit) Rodewald, Tielman,* Germany :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 105.

[1016] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი მე-9 მუხლი, მე-6 პუნქტი.

[1017] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი 56-ე მუხლი, მე-4 პუნქტი.

2. დირექტორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვა

დელავერის შტატის კანონმდებლობა ითვალისწინებს დირექტორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობას, მათ მიერ ზრუნვის, მაგრამ არა ერთგულების, მოვალეობის დარღვევის შედეგად, გამოწვეული ფულადი ზიანის გამო.

წესდებით შესაძლოა დადგენილ იქნეს თანხა, რომლის ფარგლებშიც დირექტორის პასუხისმგებლობა არ დადგება. სააქციო კანონმდებლობით დადგენილი ნორმების უგულვებელყოფა ითვლება საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დარღვევად და ასეთ შემთხვევაში წესდებით პასუხისმგებლობის გამორიცხვა არ დაიშვება.[1018]

დირექტორთა პასუხისმგებლობისაგან დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩევა დელავერის საკორპორაციო კანონმდებლობა. დელავერში რეგისტრირებული კომპანიის წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ დირექტორის უმიზეზოდ გათავისუფლება დაშვებული არ არის, მაშინ როდესაც ინგლისში და გერმანიაში აქციონერთა კრებას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დირექტორი ყოველგვარი მიზეზის არსებობის გარეშე. იგივე წესი მოქმედებს საქართველოშიც.

დირექტორის პასუხისმგებლობისაგან დაცვა პირდაპირპროპორციულად აისახება ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. რაც უფრო დაცულია იგი პასუხისმგებლობისგან, მით უფრო თავდაჯერებულად მოქმედებს და ეძლევა საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზაციის საშუალება, მეტად იჩენს ინიციატივას და იღებს გონივრული რისკის შემცველ გადაწყვეტილებას. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, საბოლოო ჯამში, კომპანიის საქმიანობაზე და შემოსავლიანობაზე აისახება.

კომპანიათა შესახებ აქტის თანახმად, კომპანიის წესდებით შესაძლებელია დადგენილ იქნეს პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან მისგან გათავისუფლება ინტერესთა კონფლიქტის დროს. [1019] წესდება შესაძლოა ითვალისწინებდეს მესამე პირთათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ასეთი ანაზღაურება დაუშვებელია თავად კომპანიის მიმართ პასუხიმგებლბის არსებობისას.[1020] აღნიშნული წესი არ მოქმედებს სისხლის სამართლის საქმის წარმოების შედეგად დირექტორისთვის დაკისრებული ჯარიმის და მარეგულირებელი ორგანოს მიერ მისი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო დადგენილ ჯარიმის შემთხვევაში, თუკი მოთხოვნათა შეუსრულებლობა დირექტორის ბრალით მოხდა.[1021]

დირექტორატის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აქციონერთა კრება უფლებამოსილია გაათავისუფლოს იგი

[1018] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006 P.106

[1019] *CompaniesAct2006*,Para:233,234,ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :21.05.2014)

[1020]*CompaniesAct2006*,Para:232(1,4),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :21.05.2014)

[1021] *CompaniesAct2006*,Para:234(3),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია :21.05.2014)

პასუხისმგებლობისაგან და მოახდინოს მისი გადაწყვეტილების რატიფიკაცია. რატიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია გადახდისუუნარო არაა, ან გონივრულობის ფარგლებში არ არის მოსალოდნელი, რომ გახდება გადახდისუუნარო. დირექტორთა ქმედება ასევე არ ექვემდებარება რატიფიკაციას, თუკი ისინი არღვევენ აქციონერთა უფლებებს ან მათი მოქმედება შეიცავს დელიქტს ან თაღლითობას.[1022]

მიუხედავად იმისა, რომ *Business Judgement Rule* დირქტორის პასუხისმგებლობისგან დაცვის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს, ბიზნესის გლობალიზაციის კვალდაკვალ, დირექტორის ვალდებულებაც იზრდება. შესაბამისად, არსებული რეალობიდან გამომდინარე, მხოლოდ ასეთი დაცვის მექანიზმის არსებობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დირექტორმა დაცულად იგრძნოს თავი, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია წარმატებული საქმიანობისათვის. დირექტორის პროფესიული წარმატება კი კომპანიის წარმატების პირდაპირპროპორციულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დელავერის საკორპორაციო კანონმდებლობის მიერ შექმნილია მექანიზმი, *(Charter Option Statute)* რომელიც დირექტორის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ითვალისწინებს ამ უკანასკნელის მიერ ზრუნვის მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში. [1023] კერძოდ, დირექტორი შესაძლოა გათავისუფლდეს ზრუნვის მოვალეობის გამო გამოწვეული ფულადი ზიანის ანაზღარუებისაგან, თუკი ამას კომპანიის წესდება პირდაპირ ითვალისწინებს. მსგავსი სახის ჩანაწერი წესდებაში მოწონებული და დადასტურებული უნდა იქნეს, როგორ აქციონერთა, ასევე დამოუკიდებელ დირექტორთა, ბორდის მიერაც. კეთილსინდისიერად მოქმედებისა და ერთგულების მოვალეობის დარღვევათა გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაშვებული არ არის [1024]

დელავერის საკორპორაციო სამართლის 102 (b) (7) მუხლის თანახმად, კომპანიის დაფუძნების დოკუმენტი, შესაძლოა, ითვალისწინებდეს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ფულადი ზიანისათვის დირექტორის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას.[1025]

საწარმოს წესდება შესაძლოა ითვალისწინებდეს დირექტორის

[1022] *Loos, (Edit) Dudek,* United Kingdom in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006, 414.

[1023] *Barnes, Dworkin, Richards,* Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 523.

[1024] *იქვე*.523.

[1025] A provision eliminating or limiting the personal liability of a director to the corporation or its stockholders for monetary damages for breach of fiduciary duty as a director, provided that such provision shall not eliminate or limit the liability of a director: (i) For any breach of the director's duty of loyalty to the corporation or its stockholders; (ii) for acts or omissions not in good faith or which involve intentional misconduct or a knowing violation of law; (iii) under § 174 of this title; or (iv) for any transaction from which the director derived an improper personal benefit. No such provision shall eliminate or limit the liability of a director for any act or omission occurring prior to the date when such provision becomes effective. All references in this paragraph to a director shall also be deemed to refer to such other person or persons, if any, who, pursuant to a provision of the certificate of incorporation in accordance with § 141(a) of this title, exercise or perform any of the powers or duties otherwise conferred or imposed upon the board of directors by this title *Delaware General Coporation Law, para..102 (b) (7)* ხელმისაწვდომია: http://delcode.delaware.gov/title8/c001/sc01/index.shtml (ბოლოს გამოხმობილია: 20.06.2014)

პასუხისმგებლობის შეზღუდვას, ზრუნვის, მაგრამ არა ერთგულების, მოვალების დარღვევის შედეგად გამოწვეული ფულადი ზიანის გამო. დირექტორთა პასუსიმგბლბის შეზღუდვა ან მისაგან გათავისუფლება დაუშვებელია:

- უკანონოდ დივიდენდის განაწილების ავტორიზების შემთხვევაში;
- კეთილსიდისიერად მოქმედების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში;
- წინასწარგანზრახულად განხორციელებული არასათანადო საქციელის ჩადენის შემთხვევაში;
- კანონმდებლობის შეგნებულად დარღვევის შემთხვევაში.[1026]

როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, პასუხისმგებლობის შეზღუდვა გარკვეულწილად ლიმიტირებულია. დირექტორი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუკი მის მიერ დარღვეულია ერთგულების ვალდებულება, მიიღო პირადი სარგებლი ან არაკეთილსინდისიერი იყო. უფრო მეტიც, რაც არსებითი მნიშვნელობისაა არის ის, რომ მოცემული ნორმა დირექტორს ათავისუფლებს მხოლოდ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ფულადი პასუხისმგებლობისაგან და არ აუქმებს თავად ვალდებულების დარღვევის ფაქტს. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დირექტორი რჩება არასასურველი რეპუტაციული და ამზრდელობითი ეფექტის ქვეშ, ვალდებულების დარღვევის შესახებ ფაქტის გახმაურების გამო, მიუხედავდ ფულადი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა.[1027]

მოპასუხე დირექტორთა მოთხოვნა, *DGCL* 102 (b) (7) მუხლის საფუძველზე უარი ეთქვა სასამართლოს აქციონერთა სარჩელის განხილვაზე, ვინაიდან კომპანიის წესდება შეიცავდა მულხს დირექტორთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ უარყოფილ იქნება დელავერის სასამრთლოს მიერ, იმ საფუძვლით, რომ წესდებით შესაძლოა შეიზღუდოს დირექტორის ფულადი პასუხისმგებლობა ზრუნვის მოვალეობის დარღვევის გამო. თუმცა, აღნიშნული მუხლი არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ დირექტორს "ეპატიოს" ერთგულების მოვალეობის დარღვევა კომპანიის ან/და აქციონერთა მიმართ.[1028] შესაბამისად, მითითებული ნორმით შესაძლოა გაუქმდეს ან შეიზღუდოს დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა ზრუნვის ვალდებულების დარღვევისათვის, მაგრამ ერთგულების ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაუქმება ან შეზღუდვა დაშვებული არ არის.[1029]

დელავერის საკორპორაციო კანონმდებლობის ეს რეგულაცია 30 შტატის მიერ იქნა გაზიარებული და იმპლემენტირებული, თუმცა

[1026] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006 P.106

[1027] *Moore,* Corporate Governance in The Shadow of the State, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2013, 105.

[1028] *Cal.Pub.Emplees. Ret. Sys v.Coulter, 2002, Del. Ch. LEXIS 144 (Del.Ch. Dec.18, 2002)* იხ. *Wolcott, Jr, Boswell,* Delaware Code Anotated, Michie, Delaware, 2011, 790.

[1029] *Rosser v. New Valley Corp. 2000 Del. Ch. Lexis 115 (Del.Ch. Aug. 15, 2000)* იხ. *Wolcott, Jr, Boswell,* Delaware Code Anotated, Michie, Delaware, 2011, 790.

არსებობს სხვა სახის პასუხისმგებლობის შეზღუდვაც. მაგალითად, ვირჯინიაში მოქმედი რეგულირების თანახამად, მაქსიმალური ფულადი პასუხისმგებლობა, რაც შეიძლება ზრუნვის მოვალეობის დარღვევის გამო დირექტორს მოეთხოვოს კომპანიის მხრიდან, არ უნდა აღემატებოდეს ასი ათას აშშ დოლარს ან მის მიერ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში კომპანიიდან ფულადი სახით მიღებულ ანაზღაურებას. წესდებით შესაძლოა დასახელებული ზღვრული თანხის შემცირება, თუმცა მისი გაზრდა დაუშვებელია.[1030]

ისევე როგორც აშშ-ში, ბრიტანეთსა და გერმანიაში, კომპანიის საქმიანობას ქართული კანონმდებლობის თანახმადაც დირექტორები უძღვებიან. ისინი წარმოადგენენ კომპანიას მესამე პირებთან ურთიერთობაში და ამ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა ეფექტურია მესამე პირებისათვის მხოლოდ მაშინ, თუკი ამის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში.

დირექტორატის ულფლებამოსილებანი და ვალდებულებანი შესაძლებელია წესდებით განისაზღვროს, თუმცა მეწარმეთა შესახებ კანონი, პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას დირექტორატს (სამეთვალყურეო საბჭოს) და საწარმოს შორის ბათილად მიიჩნევს, იმ შემთხვევაში თუ დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ კომპანიისათვის ზიანის ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა არ წყდება თუნდაც რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად.[1031]

აღნიშნული ნორმა პრაქტიკოსი იურისტების მიერ ხშირად განიმარტება იმგვარად, რომ თითქოს მეწარმეთა შესახებ კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს წესდებით ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობას, რაც არ არის სწორი. წესდებით პასუხისმგებლობის შეზღუდვა დასაშვებია, თუკი კომპანიის მიერ ანაზღაურებაზე უარის თქმის შედეგად კომპანიის კრედიტორები არ ზარალდებიან.

2.1. დირექტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა

პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს, რომ კომპანია ყიდულობს სადაზღვეო პაკეტს დირექტორატისათვის და აზღვევს მის პირად ფულად პასუხისმგებლობას. პრაქტიკულად, ყველა ღია საქციო საზოგადოება აშშ-ში იძენს დაზღვევას დირექტორთათვის.[1032]

სადაზღვეო პაკეტი, როგოც წესი, არ ფარავს სისხლისამართლებრივი ნორმების დარღვევის გამო წარმოშობილ და მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაკისრებულ ჯარიმებს.[1033]

აშშ-ის კანონმდებლობის მსგავსად, გერმანიის კანონმდებლობაც

[1030] *იქვე*.523.

[1031] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 9.6

[1032] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006 P.106

[1033] *Loos, (Edit) Dudek,* United Kingdom in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006, 413.

იცნობს დირექტორთა პასუხისმგებლობის დაზღვევას. სადაზღვეო კომპანიები გერმანიაში ამ სერვისს სთავაზობენ 1995 წლიდან. აქაც, როგორც წესი, სადაზღვეო პრემიას კომპანია იხდის დირქტორის სასარგებლოდ. მაგრამ სადაზღვეო თანხის ანაზრაურების მოთხოვნის მიზნით სარჩელის წარდგენის უფლება აქვს დირექტორს, როგორც დაზღვეულ ინდივიდს და არა კომპანიას. უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვეო კომპანიების მიერ თანხის ნებაყოფლობით გდახდის ფაქტები საკმაოდ იშვიათია და შესაბამისად დირექტორებს უწევთ სასამართლო პროცესების წარმოება სადაზღვეო თანხის მისაღებად.[1034]

დაზღვევამ შესაძლოა დაფაროს დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ვალდებულება, რაც მას წარმოეშვა გაუფრთხილებლობით ჩადენილი გადაცდომის გამო. დაზღვევა არ მოქმედებს განზრახ ჩადენილი გადაცდომის გამო წარმოშობილ ზიანთან დაკავშირებით.

დაზღვევა არ ფარავს წარმოშობილ ზიანს ნებისმიერი ოდენობით. არსებობს სადაზღვეო თანხის ზედა ზღვარი, რის შემდეგაც დირექტორი კვლავაც პირადად არის პასუხისმგებელი თანხის ანზღაურებაზე. ზედა ზღვარი ყველა კომპანიაში განსხვავებულია და იგი ძირითადად განისზღვრება კომპანიის სიდიდის მიხედვით.[1035] სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის 93-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის თანახმად, სადაზღვეო თანხა შეზღუდულია და არ უნდა იყოს დირექტორის წლიური ანაზღაურების 150%-ზე მეტი.[1036]

აშშ-ში, კერძოდ კი დელავერის შტატში, დირექტორის მეტი დაცვის გარანტიები არსებობს, ვიდრე გერმანიაში. აშშ-ში დახვეწილია დირექტორის პასუხისმგებლობით დაზღვევის სისტემა (მაგ. აქ დირექტორებს არ უწევთ პირადად ჩაებან პროცესში სადაზღვეო თანხის ასაღებად, ასევე მაღალია სადაზღვეო კომპანიის მიერ თანხის ნებაყოფლობით ანაზღაურების პროცენტული მაჩვენებელი), რაც დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს, ვინაიდან პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებობა დადებითად აისახება დირექტორატის საქმიანობაზე. ამ ორგანოს წარმატებული საქმიანობა კი პირდაპირპროპორციულ კავშირშია, ზოგადად, კომპანიის წარმატებასთან.

[1034] *Loos, (Edit) Winckler, Ripin,* United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006, 290.

[1035] *kawamura, Anderson, (Edit) Rodewald, Tielman,* Germany :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013, 105.

[1036] *Aktiengesetz,* para: 93 (4) ხელმისაწვდომია: http://www.gesetze-im-internet.de/aktg/ (ბოლოს გამოხმობილია: 23.05.2014)

IX. დასკვნა

მეწარმეთა შესახებ კანონი, რომელიც ქართველი და უცხოელი იურისტების აზრით ერთ-ერთ საუკეთესო კანონად ითვლებოდა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, მისი სისტემის, იურიდიული ტექნიკისა და შინაარსის მხრივ,[1037] არასისტემურმა ცვლილებებმა მიიყვანა იმ ბუნდოვან რეგულირებამდე, რაც დღეს არსებობს. შესაბამისად, კვლავაც ინარჩუნებს აქტუალობას პროფესორ ლადო ჭანტურიას მოსაზრება ახალი კანონის შემუშავების აუცილებლობის შესახებ:

"მეწარმეთა კანონში წლების განმავლობაში იმდენი უსისტემო და ძნელად ასახსნელი ცვლილება შევიდა, რომ დიდი ხანია დღის წესრიგში დგას ახალი კანონის შემუშავების აუცილებლობა."[1038]

ახალი კანონის შემუშავება, რომ აუცილებლობას წარმოადგენს სადავო არ არის. მთვარია მისი შემუშავების პროცესში არ იქნეს დაშვებული შეცდომები. მიზანშეწონილია, რომ სასამართო პრაქტიკის გამოყენებით შევიდეს ცვლილებები კანონში, რაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს მის ხარისხს და გამოყენებადობას პრაქტიკული თვალსაზრისით.

ამერიკის საკორპორაციო სამართალში უამრავი პროგრესული ნორმა სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით წარმოიშვა. სამოსამართლო სამართალი უდიდეს როლს ასრულებს, როგორც გერმანიის, ასევე ინგლისის საკორპორაციო კანონმდებლობის განვითარებაში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკას შეუძლია ნორმის ისეთი განმარტება და სრულყოფა, რაც მომავალში თავიდან აგვარიდებს დავებს. ცხადია, რაც უფრო სრულყოფილია კანონი, მით უფრო ნაკლებია დავის წარმოშობის შესაძლებლობა.

სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს.[1039]

როგორც კომპანიის აქციონერებს, ასევე დირექტორებს უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ არსებობს სამართლიანი სასამართლო, რომელიც მიუკერძოებლად და მაღალკვალიფიციურად განიხილავს წარმოშობილ დავას, რაც ნამდვილად გახდება კორპორაციული აქტივიზმისათვის ტონის მიმცემი, ვინაიდან დირექტორი თავს იგრძნობს დაცულად, გულწრფელად და კეთილსინდისიერად, სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების ფარგლებში მიიღოს სარისკო გადაწყვეტილებები. ბიზნესისათვის ცნობილია მარტივი "ფორმულა": "დიდია რისკი, დიდია

[1037] *ლილუაშვილი,* მეწარმეთა რეგისტრაციის არსი და მიზნები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2009, 148.

[1038] *ჭანტურია,* ევროპის კერძო საზოგადოება-სიახლე ევროპის საკორპორაციო სამართალში, სამართლის ჟურნალი, №1, 2009, 41.

[1039] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება.

მოგება, ნაკლებია რისკი, ნაკლებია მოგება". ცხადია რისკი გონივრულობის და რაციონალურობის სტანდარტს უნდა პასუხობდეს.

დირექტორატი გაზრდილი უფლებებით და შესუსტებული კონტროლით საფრთხეს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი კომპანიებისათვის, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ აქ არ არსებობს კორპორაციული მართვის გამოცდილება და ტრადიციები.

მნიშვნელოვანია დირექტორმა იცოდეს თუ რა მოვალეობები გააჩნია კომპანიის მართვის პროცესში. როგორც დელავერის სასამართლომ ერთ-ერთ ცნობილ საქმესთან *Paramount Communications, Inc. v. QVC Network* დაკავშირებით განმარტა, დირექტორატმა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორებიცაა შერწყმა და საკონტროლო პაკეტის გასხვისება, უნდა მიიღოს საკითხის სრულად შესწავლის საფუძველზე, განიხილოს ყველა შესაძლო შემთხვევა და არჩევანი გააკეთოს იმის გათვალისწინებით, თუ რომელი მათგანი იქნება ხელსაყრელი კომპანიისათვის.[1040]

დირექტორატი ვალდებულია სრულად მიაწოდოს აქციონერებს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მიიღოს ყველა თავდაცვითი ზომა, თუკი ეს აუცილებელია კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებებს.[1041]

სამიზნე კომპანიის დირექტორატი ხშირად ეწინააღმდეგება შერწყმის წინადადებას. ერთის მხრივ, დირექტორატს აქვს საკუთარი ინტერესები, შეინარჩუნოს პოზიცია და კონტროლი კომპანიაზე, მეორეს მხრივ მათ აქვთ მოვალეობა კომპანიისა და აქციონერთა მიმართ, იმოქმედონ კეთილსინდისიერად, გულწრფელი რწმენით, რომ კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ.[1042]

ზოგჯერ დირექტორების საწარმოზე ზრუნვა გამოწვეულია მათი პირადი დაინტერესებით, ამ შემთხვევაში აქციონერს (პარტნიორს), რომელსაც შერწყმის შედეგად შეეძლო სარგებელი ენახა, უფლება აქვს წარადგინოს დერივაციული სარჩელი დირექტორათა წინააღმდეგ და ამტკიცოს, რომ თავდაცვითი ღონისძიების გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი და რომ დირექტორებმა დარღვიეს მათზე დაკისრებული მოვალეობები. სასამართლო იყენებს *Business Judgemet Rule*-ს, რათა დაადგინოს, რამდენად გონივრული იყო დირექტორატის მოქმედება.[1043] თუკი დირექტორი მოხვდება *Business Judgemet Rule*-ის დაცვის ქვეშ, მაშინ საქმის წარმოება შეწყდება და იგი პასუხს არ აგებს მხოლოდ იმიტომ, რომ *post factum* გადაწყვეტილება მომგებიანი არ აღმოჩნდა.

თავდაცვითი ღონისძიებების ნაცვლად, ქართული კომპნიის დირექტორატის ერთადერთი საშუალება, წინ აღუდგეს საწარმოს რეორგანიზაციას, არის აქციონერთა დარწმუნება.

აშშ-ში ძალაუფლება დირექტორატის ხელშია. მას შეუძლია

[1040] *Paramount Communications, Inc. v. QVC Network*, 637 A.2d 34,_February 04, 1994 . Supreme Court of Delaware

[1041] *Paramount Communications, Inc. v. QVC Network*, 637 A.2d 34,_February 04, 1994 . Supreme Court of Delaware

[1042] *Clarkson, Miller,Cross,* Bunisess Law, Text and Cases , 12th Ed, 2012, 801-802.

[1043] *იქვე.* 801-802.

გამოიყენოს თავდაცვითი ღონისძიებები საკუთარი შეხედულების შესაბამისად. მთავარია მოქმედებდეს ფიდუციური მოვალეობის ფარგლებში.[1044]

დირექტორს აქვს ვალდებულება, იმოქმედოს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში *(Duty to Act Within Authority).* წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება[1045].

დირექტორებს, კომპანიის მიმართ, გააჩნიათ ერთგულების მოვალეობა *(Duty of Loyalty)* და ზრუნვის მოვალეობა *(Duty of Care),* თითოეული მათგანი ადგენს დირექტირის მოქმედების ზოგად სტანდარტს. [1046]

დირექტორთა მოქმედების სტანდარტი სხვადასხვაა ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე. მაგალითად, შერწყმის დროს დირექტორატის ქმედება ზრუნვისა და ერთგულების უფრო მაღალი სტანდარტის შესატყვისი უნდა იყოს, ვიდრე ჩვეულებრივ ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებისას.

დირექტრთა მსგავსი სახის ვალდებულებებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონიც ითვალისწინებს, თუმცა ქართული კანონმდებლობა დახვეწას და დაზუსტებას საჭიროებს ამ მიმართულებით.

დირექტორატის როლი და შესაბამისად პასუხისმგებლობაც ძალიან დიდია, ამიტომ აუცილებელია საწარმოს მენეჯერის შერჩევისას არჩევანი გაკეთდეს კვალიფიციურ, გამოცდილ და დასახული მიზნების შესრულების უნარის მქონე პირზე და პირადი ნაცნობობით არ იქნეს გადაწყვეტილი ეს საკითხი. "ცუდი" მენეჯერი, ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულირების პირობებში, სრულ კრახამდე მიიყვანს კომპანიას, ხოლო კომპანიის ბედზე დამოკიდებულია არა მხოლოდ მისი უშუალო მესაკუთრის კეთილდღეობა, ასევე იმ ადამიანებისაც, რომლებიც ამ საწარმოში არიან დასაქმებულნი და პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს.

ამ პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილების შეტანა, რომლითაც დირექტორს ექნება საკანონმდებლო დონეზე დადგენილი მოვალეობა, ფლობდეს ცოდნასა და უნარებს, იცნობდეს კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას გარკვეულ დონეზე, რომ შეძლოს ამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობების შესრულება.

მეწარმეთა შესახებ კანონი მართალია იცნობს დირექტორთა პასუხისმგებლობას და მათ გარკვეულ მოვალეობებს აკისრებს კომპანიის მიმართ, მაგრამ იგი ძალიან ზოგადად ეხება ამ საკითხებს. იმ პირობებში, როდესაც სასამართლო პრაქტიკაც არ არსებობს, უამრავი კითხვა ჩნდება, რომლებზეც ცალსახა და ნათელი პასუხის გაცემა ფაქტიურად შეუძლებელია.

პრაქტიკოს იურისტებსა თუ კომპანიის დირქტორებს სიბნელეში უხდებათ გზის გაკვლევა. ასეთი კანონის პირობებში, ძნელია პრაქტიკული რჩევების მიცემა ბიზნესში ჩართული პირებისათვის, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, კანონი ბუნდოვანია და არც სასამართლო

[1044] *Zwecker,* The EU Takeover Directive:Eight Years Later, Implementation But Still No Harmonization Amang Member States on Acceptable Takeover Defenses , 2012, 260 . (http://home.heinonline.org/)

[1045].*Kleinberger ,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd Ed, Aspen Publishers,New York, 123.

[1046] *Palmiter ,* Corporations, 5th Ed, Aspen Publishers, New Yourk , 193.

პრაქტიკა იძლევა პასუხს კანონის ბუნდოვან დანაწესებზე.

ქვეყანაში ბიზნესის განვითარება და ინვესტორთა წახალისება კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით უნდა დაიწყოს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეწარმეთა შესახებ კანონი, ვინაიდან სწორედ მისი რეგულირების სფეროა საწარმოთა შექმნა, მათი მართვა, რეორგანიზაცია, ხელმძღვანელ პირთა უფლებები და მოვალეობები. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები კანონში განსახორციელებელ სასურველ ცვლილებებთან დაკავშირებით.

საკორპორაციო სამართლებრივ ურთიერთობებში სიცხადის შესატანად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე დადგინდეს იმ პირთა წრე, თუ ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს სიტყვა "დირექტორის" ქვეშ და ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა საწარმოს მიმართ ჩადენილ გადაცდომათა გამო. კანონი უნდა უთითებდეს ე.წ. დე ფაქტო და ჩრდილში მდგომი დირექტორების პასუხისმგებლობის შესაძლებლობაზე, რასაც პრევენციული მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან უბიძგებს ისეთ პირებს, რომლებიც დადგენილი წესით არ არიან არჩეულნი დირექტორის პოზიციაზე, თავი შეიკავონ ქმედებისაგან, რომელიც კომპანიისათვის ზიანის მომტანია, რადგან მათთვის ცნობილი იქნება პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობა.

სასურველია კანონში ცალსახად მიეთითოს, რომ კრედიტორებს აქვთ დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლება, თუკი კომპანია გადახდისუუნარობის პირასაა. უნდა განისაზღვროს გადახდისუუნარობის დასადგენად აღიარებს კანონი ბალანსის ტესტს *(Balance-Sheet Test)* თუ კომპანიაში ნაღდი ფულის არსებობის ტესტს *(Cash-Flaw Test).* შესაძლებელია ორივე მათგანის გათვალისწინებაც.

მიზანშეწონილია ნათლად იქნეს ჩამოყალიბებული დირექტორთა ძირითადი მოვალეობები საწარმოს მიმართ. ვინაიდან საქართველოში არ არის მდიდარი სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს მოვალეობათა განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე. მათი განსაზღვრა მნიშნელოვანია პირველ რიგში არა პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით, არამედ კომპანიის ხელმძღვანელ პირთა ინფორმირებულობის მიზნით, რათა დირექტორებისათვის ცნობილი იყოს იმ ძირითადი მოვალეობების შესახებ, რაც კომპანიის მიმართ გააჩნიათ და ასევე თუ რა შედეგები მოყვება მოვალეობათა დარღვევას. ამ შემთხვევაშიც ამოსავალი წერტილი პრევენციაა, ვიდრე ხელმძღვანელ პირთა დასჯა.[1047]

მნიშვნელოვანია კანონში აისახოს დირექტორთა ვალდებულებები კომპანიების შერწყმისა თუ საკონტროლო პაკეტის გასხვისების პროცესში. არსებული რედაქცია ამ პროცესში დირექტორთა მონაწილებას და როლს სათანადოდ არ განსაზღვრავს. საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით ძნელად წარმოსადგენია დირექტორს მიეცეს ისეთი ფართო უფლებამოსილება, როგორც ეს აშშ-ში კერძოდ კი დელავერის შტატშია, თუმცა მიზანშეწონილია მოხდეს უფლება-მოვალებათა დადგენა ინგლისის და გერმანიის კანონმდებლობის მსაგვსად. ასევე მნიშვნელოვანია გაზიარებულ იქნეს

[1047] დაწვრილებით: იხ. თავი IV.

ევროდირექტივის[1048] მიერ დადგენილი ნორმები. შეიძლება ითქვას, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე[1049] ხელმოწერის შემდეგ, ეს საქართველოს ერთგვარ ვალდებულებასაც კი წარმოადგენს.[1050]

წინამდებარე ნაშრომში განხილული ქვეყნების სამართალი ნათელი მაგალითია იმისა, რომ სამართლებრივი სისტემა მორგებული უნდა იყოს კონკრეტულ ქვეყანაში მოქმედ ტრადიციებთან, ხოლო ცვლილებები კანონმდებლობაში უნდა განხორციელდეს აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში. როგორც პროფესორი ბესარიონ ზოიძე აღნიშნავს, სამართლის ნორმის ერთი სამართლის სისტემიდან მეორეში კოპირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ტრანსპლანტის მიმღები სამართლის განვითარებაზე.[1051]

ეს მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოსაზრებაა, ვინაიდან უცხო ქვექნის სამართლიდან კოპირებულ ნორმას დამოუკიდებლად, სამართლის სისტემის სხვა ნორმებთან კავშირის გარეშე, არსებობა არ შეუძლია. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია კანონში ცვლილებების განხორციელებამდე ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნეს შესწავლილი და გათვალისწინებული.

ხელაღებით იმის თქმა, რომ რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობა არის იდეალური, და შესაბამისად უნდა მოხდეს ამ ქვეყანაში არსებული რეგულაციების გადმოღება, მართებული არ არის. ჩამოთვლილ ქვეყანათაგან ყველა მათგანი განვითარებულ და მსოფლიოში მოწინავე სახელმწიფოთა რიცხვს განეკუთვნება, მაშინ როდესაც როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი სამეწარმეო კანონმდებლობის დამოკიდებულება აქციონერთა, მმართველობის ორგანოთა თუ კრედიტორთა მიმართ განსხვავებულია.

მსოფლიოში არსებული სურათი კორპორაციული მართვის სისტემებთან დაკავშირებით აჩვენებს, რომ სახელმწიფოთა მიდგომა საკორპორაციო კანონმდებლობის მიმართ შერბილებულია და სულ უფრო მეტი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს არჩევანის თავისუფლების არსებობას განსხვავებულ მართვის სესტემებს შორის, რაც შედეგია იმის გათვითცნობიერებისა, რომ არ არსებობს ემპირიული მტკიცებულება, თუ კორპორაციული მართვის რომელი სისტემაა უმჯობესი.

[1048] DIRECTIVE 2005/56/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 October 2005 on cross-border mergers of limited liability companies(Text with EEA relevance)

[1049] „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიისგაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.“ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ და ევროკავშირის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას 2014 წლის 27 ივნისს. იხ: http://www.mfa.gov.ge

[1050] დაწვრილებით: იხ. თავი V.

1051 *ზოიძე,* ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში,თბილისი,, 2005, 5.

ქართულ ენაზე

ბურდული,ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010.

ბურდული, ი,. ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2008.

ბურდული,ი., მცირე აქციონერის უფლებათა ბოროტად გამოყენება/ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა "მერიდიანი," 2009.

ბურდული, ი. საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009.

ბარბაქაძე, შ,. სინდისის ფენომენი ძველბერძნულ ლიტერატურაში, ქუთაისი, 2014 (დისერტაცია).

გულაშვილი, ნ. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ. ბურდული, ი. თბილისი, 2011.

ზოიძე, ბ, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში,თბილისი,, 2005.

კერესელიძე, დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009.

კუჭავა, პ, კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში, IFC/Intenacionale Finance Corporation, კორპორატიული მართვა, ყოველკვარტალური ბიულეტენი №12 იანვარი-მარტი, 2008.

ლაზარაშვილი ლ., თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან, პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში 309-342, გამომცემლობა "მერიდიანი," 2009.

ლილუაშვილი, გ, მეწარმეთა რეგისტრაციის არსი და მიზნები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2009.

მაისურაძე, დ., "სამეწარმეო განსჯის წესის" განმარტებისათვის, 108-126, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1-2, 2010.

მახარობლიშვილი, გ.; სამიზნე საზოგადოების შეძენა კაპიტალის ორგანიზაციულ ბაზარზე დაუფლება სატენდერო შეთავაზებით და მისი სახეები, 139-178, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1, 2013.

მახარობლიშვილი, გ; კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში, ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, შედარებითსამართლებრივი ანალიზი, დისერტაცია.

მიგრიაული, რ., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და დასრულება (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან) ყოველკვარტალური ჟურნალი, ნოტარიატი, სანოტარო და კერძო სამართლის მიმოხილვა, პრაქტიკა, თბილისი, 2003.

ქოქრაშვილი, ქ., სამეწარმეო სამართალი, გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2005.

შრამი, ჰანს-იოაჰიმ (Schramm, Hans-Joachim) საზოგადოების ორგანოთა კონტროლი სახელმწიფოს მიერ *(Die Kontrolle der Geselschaftsorgane durch der Staat).* კეთილსინდისერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, სიმპოზიუმის მასალები, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბილისი 2003.

ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გამომცემლობა "სამართალი," 2002.

ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა "სამართალი," თბ., 2006.

ჭანტურია, ლ., ევროპის კერძო საზოგადოება-სიახლე ევროპის საკორპორაციო სამართალში, 36-42, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1, 2009.

ჭანტურია, ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

ჭანტურია, ლ.,(რედ) ზოიძე,ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999.

ჯანჯალია, ბ., IFC/Intenacionale Finance Corporation, კორპორატიული მართვა, ყოველკვარტალური ბიულეტენი, №11 ოქტომბერი -დეკემბერი, 2007.

ჯულელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამომცემლობა „სიესტა," 2010.

ჯულელი, გ, ნადარაია, ლ, საწარმოთა რეორგანიზაციის ფორმები მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით, სსიპ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი პროფესია იურისტი, №2, 2007.

ჯულელი, გ., (რედ) ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ; სახელშეკრულებო სამართალი, "მერიდიანი", თბილისი, 2014.

ჰოპტი, კ., კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და რბილი სამართალი, , სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი №1, 2009 თარგმანი: ბურდული ირაკლი.

უცხოურ ენებზე

Mullerat, Ramon, Rosamund, Thomas, Walsh, Mrk, Lowry, John, Milward-Oliver, Gerald, and others, Corporate Social Responsibility, The Corporate Governance of the 21th Century, Publisher, Kluwer Law International , Hague, 2005.

Kenyon-Slade, Stepnen, Mergers and Takeovers in The US and UK law and practice, oxford university press, New York, 2004.

Siems, M. Mathias , Convergence in Shareholder Law , Cambridge university Press, New York, 2008.

Ferrini ,Guido, ***Hopt, Klaus J. Winter Jaap, Wymeersch Eddy,*** Reforming Company and takeover law in Europ, Oxford University Press, New York, 2004.

Kraakman, Reinier, Davies, Paul, Hansmann, Henry, Hertig, Gerard, Hopt, Klaus, Kanda, Hideki, Rock, ***Edward*** The Anatomy of Corporate Law, Oxford University Press, New York, 2004.

Hu li, Hanson, Findig Sustainable Profitability : The U.S. Financial Services Industry's Pursuet of Corporate Social Responsibility, in : The Corporate Law Review, Val.2, number 1, Standston academic press, South Yarra, Victoria, 2006.

McGreal, Paul, E. Corporate Compliance Survey, in :The Business lawyer, Section of Business Law, American Bar Association, Val:67, Num.1, Chicago, Il,2011/2012.

"***Chip" Saulsbury, IV, Albert, O.*** The Availability of Takeover Defenses and Deal ProtectionDevices for Anglo-American Target Companies , : in Delaware Journal of Corporate Law , Val:37, #1, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2012-13.

Greico, Joseph, H., The Ever-Evolving Poison Pill:The Pill in Asset Protection and Closely-Held Corporation Cases in Delaware Journal of Corporate Law , Val:36, #2, Widener University School of Law, Wilmington, Delaware, 2011,2.

Saenger, Ingo, Conflicts of Interest of Supervisory Board Members in a German Stock Corporation and the Demand for their Independence, in: The Corporate Governance Law Review, vol.1, number 2, Sandstone Academic Press, South Yarra ,Victoria, 2005.

Berg, Werner, Germany (Federal Repablic of Germany) in: Merger Control Worldwide, Second Adition, val. 1, Cambridge University Press , New York, 2012.

Loose, Peter,Griffiths, Michael, Impey, David, The Company Director, Power, Duties and Liability ,10th adition, Jordan Published Limited, Bristol, 2008.

Cheesemen, Henry, R., Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Edition, Pearson Education, New Jersey, 2013.

Girasa, Roy, Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013.

Hollington, Robin, Hollington on Shareholder's Rights, 7th Edition, Sweet & Maxwell, London, 2013.

Louven, Christoph, (Ed.) Mergers & Acquisition in Germany , German law publisher, Stuttgart, 2011.

Hirt, Hans, C.,The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, Peter Lang AG, European Academic Publishers, Bern 2004.

Hopt, Klaus, J, Wymeersch, Eddy (Ed.), Corporate Govrnance in Germany in:Capital Markets and Company Law, Oxford University Press, New Yourk, 2003.

Sheikh, Saleem, A Practical Approach to Corporate Governance, Lexis Nexis Uk, Edinburg, 2003.

Smerdon, Richard, A practical Guide to Corporate Governance, 4th Edition, Sweet&Maxwell, London, 2010.

Grier, Nicholas, UK Company Law, John Wily & Sons Ltd, West Sussex, 1998.

Van Gervan, Dirk, Storm, Paul (Ed), The European Company, Volume II, Cambridge University Press, New York, 2008.

BBachner, Thomas, Creditor Protection in Private Companies, Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, Cambridge University Press, Edinburgh, 2009.

Keay, Andrew, Company Directors' Resposnibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007.

Neville , Sorenson Engsing, Karsten, (Ed) Company Law and SMEs, Thomson Reuters Professional, Copenhagen, 2010.

Loos, Alexander, (Ed) Winckler, Christopher, Ripin, Robert, Dudek, Karla United States of America, United kingdom, Germany in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006..

Adelopo, Ismail, Auditor Independence-Auditing, Corporate Governance and Market Confidence-Corporate Social Responsibility Series, Gower Publisher Limited, Surrey, 2012.

kawamura, Akira, Anderson, Mori (Ed) Rodewald, Jorg, Tielman Jorgen, Emmerich, Adam, Niles, Sabastian, Kenny, Andrew, United States of America, Germany :in Corporate Governance, Jurisdictional Comparisons, Sweet & Maxwell, London 2013.

Mallin, Christine, Corporate Governance, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2007.

Du Plessis, Jean, Hargovan, Anil, Bagaric, Mirko, Principles of Contemporary Corporate Governance, 2nd Edition, Cambridge University Press, New York, 2011.

Du Plessis, Jean J., Grossfeld, Bernhard,Lutterman Claus, Seanger Ingo, Sandrock Otto, Casper Matthias, German Corporate Governance in Intrnational and European Contexr, 2nd Edition, Springer-Verlag, Berlin-Haidelberg, 2012.

Stengel, Arndt, Volhard, Rudider,(Ed) German Limited Liability Company, Wiley&Sons, West Sussex, 1997.

Meister, Bukhardt, Heidenhain, Martin, Rosengarten, Joachim, The German Limited Liability Company, 7th Edition, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010.

Stamp, Mark, Jaggers, Tom, (Ed) Greence, Edward, F, United States, in: International Insider Dealing, City& Financial Publishing, Westmister, 2005.

Filatotchev, Igor, Wright Mike, (Ed) The Life Cycle of Corporate Governance, Corporate Governance in the New Global Economy, MPG Books Ltd, Cornwall, 2005.

Vermeylen, Jerome, Vande Velde, Ivo, (Ed)European Cross-Border Mergers And Reorganizations, Oxford University Press, New York, 2012.

Barnes, James A, Morehead Dworkin, Terry, Richards, Eric, L. Law For Business, 12th Edition, McGraw-Hill Education, New York, 2014.

Stilton, Andrew, Sale of Shares and Business, Law, Practice and Agreements, 3rd Edition, Sweet&Maxwell, London, 2011.

Belcher, Alice, Directors' Decisions and the Law, Routledge, Taylor&Francis Group, London&New York, 2014.

Mantysaari, Petri, Organising the Firm, Theories of Comercial Law, Corporate Governance and Corporate Law, Springer-Verlag, Berlin-Heidelberg, 2012.

Jausas, Agusti, (Ed) Lachmann, Andreas, Germany, in: Company Formation, Globe Business Publishing, London, 2009.

Van Hulle, Karel, Gesell, Harald (Ed) European Corporate Law, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2006.

Reisberg, Arad, Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007.

Jeffrey, S., Morreale, M., Global Climate Change and U.S. Law, 2007.

Berle, Adolf A, Means, Gardiner C, The Modern Corporation and PrivateProperty,NewYork,1932,ხელმისაწვდომია:http://www.unz.org/Pub/BerleAdolf193200001?View=PDF

Mortimore, Simon, (Ed) Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2013.

Hay, Peter, Law of The United States, 3rd Edition, C.H.Beck, Bruylant,Brussels, 2010.

Branson, Duglas, M., Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993.

Bauman, Jeffrey, D., Stevenson, Jr. Russell B., Corporations Law and Policy, Materials and Problems, 8th Edition, West Academic Publishing, St.Paul, 2013.

Eisenberg, Melvin, A, (Ed) Corporatins and Other Business Organizations,2013 Ed, West Academic Publishing, St.Paul, 2013.

Moore, Marc, T. Corporate Governance in The Shadow of the State, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2013.

Ashcrofr, J.D., John D., Ashcroft, J.D. Katherine M, Patterson, J.D.Martha A. , Law for Business, South-Western, Cengage Learning, Ohio, 2013.

Bauman, Jeffrey, D.,(Ed) Corporations and Other Business Associations, Statutes, Rules and Formes, 2011 Edition, West Publishing Co.,Eagan, MN, 2011.

Wolcott, Jr, Daniel, F, Boswell, David, A, Delaware Code Anotated, Michie, Delaware, 2011.

Wolcott, Jr, Daniel, F., Sharp, James, P (Ed) Delaware Rules Annotated, 2014 Edition, Volume 2, Michie, Virginia, 2013.

Bainbridge, Stephen, M., Corporate Law, 2nd Edition, Faundation Press, New York, 2009.

Birkmose, Hanne, S.,Neville, Mette, Sorensen, Karsten, Engsig,(Ed) Boards of Directors in European Companies,Kluver law Internacional, Alphen aan den Rijin, 2013.

Fleickner, Andreas, M, Hopt, Klaus, J. (Ed) Chanturia, Lado, Jugeli, George, Georgia: Coprporate Givernance of Business Corporations in: Comparative Corporate Governance , A Functional and International Analysis, Cambridge University Press, New York, 2013.

Bainbridge, Stephen, M (Edit) Research Handbook on Insaider Traiding, Edward Elgar Publishing Limited,Cheltenham, 2013.

Mullerat, Ramon (Edit)Corporate Social Responsibility, The Corporate Governance of 21st Century, 2nd Edition, Kluwer Law International , Alphen aan den Rijin, 2011.

Bruner, Christopher, M; Corporate Governance in the Common-Law World, Cambridge University Press, New York, 2013.

Talbot, Lorraine, Progressive Corporate Governance for the 21st Century, Routledge Taylor & Francis Group, London&New York, 2013.

Welch E.P., ***Turezyn Andrew J***, Folk on the Delaware General Corporation Law, Fundaments, 2000 edition ”aspen publisher,” 2005.

Smith J. A., Morreale M., Global Climate Change and U.S. Law, edition 2007.

Hamilto R., W. The law of corporations, Fifth Edition, St. Paul , MINN 2000.

Kieff, Scott. F. Paredes Troy A., (Editors) Perspectives on Corporate Governance, Cambridge University Press, New York, 2010.

Drexler, David A. Black, Lewis S. Sparks, Gilchrist, A. Delaware corporation law and practice, ''bender,'' New –York, 2010.

Fleischer, H., The Responsibility of the Management and of the Board and Its Enforcement, in: Reforming Company and takeover law in Europ, Oxford University Press, New York, 2004.

Allen W., Kraakman R., Subramanian G., Commentary and Cases on The Law of Business Organization, Second Edition, Aspen publishers, New-York, 2007.

Kleinberger D. S., Agency, Partnerships and LLCs,Second Edition, Aspen Publishers, New York, 2003.

Kraakman R., Davies P., HansmannH., HertigG., Hopt K., Kanda H., Rock E., The Anatomy of Corporate Law, Oxford University Press, 2003.

Hopt, K, J. Corporate Governance in Europa: neue regelungsaufgaben und Soft Law (in:P Doralt,S.kalss, Hrsg; Corparate Governance, Der Gesellschafter (GesRZ) Sonderheft, Wien (Linde) 2002.

Cox, J. D, , How Delaware Law Can Support Better Corporate Governance, (PP.335-350) in: Kieff, Scott. F. Paredes Troy.A. (Editors) Perspectives on Corporate Governance, Cambridge University Press, New York, 2010.

Mitchel, L., E, The Trouble With Board (PP.17-61) in: Kieff, Scott. F. Paredes Troy.A. (Editors) Perspectives on Corporate Governance, Cambridge University Press, New York, 2010.

Zweigert, K; Kötz, H; Introduction to comparative law, ''Clerendon press'', Oxford, 1998.

Burrows, A., Remedies for Torts and Breach of Contract, 3rd edition, Oxford University Press, New York,2009.

Manning B., Hanks, J.Jr.,Legal Capital, 4th Ed.Foundation Press, St. Paul, 2013.

Pacces, Allesio Rethinking Corporate Governance: The Law and Economics of Control Powers, New York,2012.

სტატიები

Branson, Duglas, M. The rule that is not a rule- The Business Judgement Rule, ხელმისაწვდომია : http://heinonline.org

Boyle A. J., The rule in Foss v. Harbottle, excerpt : Minority Shareholders'Remedies,CambridgeUniversityPress,ხელმისაწვდომია:http://assets.cambridge.org/97805217/91069/excerpt/9780521791069_excerpt.pdf

Haworth , Michael T., Ohlgren Joel R, Director's Liabilities and Corporate Governance in Insolvency and Pre-Insolvency Cases Worldwide, ხელმისაწვდომია:http://www.iiiglobal.org/component/jdownloads/finish/19/319.html

Clarke D. C., Three Concepts of the Independent Directors (PP 73-111) in: Delaware Corporate law Journal, Volume 32, Widener University School ofLaw,2007,http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/decor32&id=1&collection=journals&index=journals/decor

Hanks J. Jr., Evaluating Recent State Legislation on director and Officer Liability Limitation and Indemnification in: Reprinted from The Business Lawyer vol. 43, No.4, August 1988, a Publication of the Section of Business Law (Formerly section Section of Corporation, Banking and Business Law) American Bar Association. Copyright 1988 American Bar Association, 1232.

Hagan, J, J, The Alter-Ago Doctrine Exception in California Corporate Law, ხელმისაწვდომია:http://www.surfsup.net/Downloads/Alter%20Ego%20Piercing%20the%20Corporate%20Veil.pdf

Eisenberg, M, A. The Duty of Good Faith in Corporate Law, 31 Del. J. Corp. L. 1 (2006)

Furlow, C.W. Good Faith , Fiduciary Duties and The Business Judgment Rule in Delaware , Utah law Review, #3, 2009.

ნორმატიული მასალა

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი

"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", საქართველოს კანონი

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი

"საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №50/04 2014 წლის 17 ივნისი ქ.თბილისი

კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის

Delaware Corporation law Annootated, 2013-2014 Ed,As amended up to and including the 2013 Regular Session of the One Hundred Forty-Seventh General Assably, Lexis, Nexis, Delaware, 2013.

Delaware General Corporation Law (DGCL)

Revised Model Business Corporation Act (RMBCA)

The Companies Act 2006

The Takeover Code

Recommendation on the role of (independent) non-executive or supervisory directors, Consultation document of the Services of the Internal Market Directorate General , EurpopeanCommission,Brussels,5May2004

U.S. Sentencing Guidelines Manual

The Cadbury Report on the Financial Aspects of Corporate Governance

The UK Corporate Governance Code, As Amended September 2012

Council Regulation (EC) No2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European Company (SE)

Company Directors Discvalification Act 1986

American Law Institute, Principles of Corporate Governance: Analysis and Recommendations

Directive 2003/6/EC of the European Parliament and of the Council of 28 January 2003 on insider dealing and market manipulation (market abuse)

Directive 2004/25/EC of The Europian Parliament and of the Counsil of 21 April 2004 on takeover bids.

DIRECTIVE 2005/56/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 October 2005 on cross-border mergers of limited liability companies(Text with EEA relevance)

Green Paper The EU Corporate Governance Framework

WBCSD - *World Business Council for Sustainable Development*, Deffinition of corporate social responsibility

German Corporate Governance Code as amended on May 13, 2013 with proposals from the plenary meeting of May 13, 2013

German Takeover Act

Aktiengesetz (AktG)

Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung (GmbHG)

სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2003 წლის 26 ივნისი, საქმე№ას 68-767-03

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2001 წლის 30 მარტი, საქმე №3კ/359-01.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2010 წელი 10 ივნისი, №ას-1234-1493-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2010 წლის 26 მარტი, საქმე № ას-899-1185-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2009 წლის 24 თებერვალი, საქმე №959-1161-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2011 წლის 6 იანვარი, საქმე№ ას-987-928-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2011 წლის 24 იანვარი, საქმე№ №ას-1076-1008-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014 წლის 25 მარტი საქმე № ას-495-471-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2002 წლის 8 ნოემბერი, საქმე № 3კ-1154-02 .

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2015 წლის 6 მაისი საქმე № ას-1307-1245-2014.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2010 წლის 28 ივნისი, საქმე №1/466.

Caremark Intern. Inc. Derivative Litigation 698 A.2d 959Del.Ch.,1996

Air Products and Chemicals Inc v Airgas Inc, C.A. Nos. 5249, 5256 Del. Ch. Feb. 15, 2011

Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co., 493 A.2d 946 (Del. 1985)

Revlon, Inc, v. MacAndrews & Forbes Holdings Inc 506 A.2d 173 (Del.,1986)

Versata Enterprises Inc. v. Selectica, Inc., No. 193, 2010 (Del. Oct. 4, 2010)

Percival v. Wright 1902 WL 12676Chancery Division 23 June 1902 (Approx. 5 pages), Case Analyses : at http://web2.westlaw.com

Ivanhoe Partners v. Newmont Mining Corp., 535 A.2d 1334, 1345 (Del. 1987)

Cede & Co. v. Technicolor, Inc., 634 A.2d 345, 360 (Del. 1994)

Aronson v. Lewis, 473 A.2d 805, 812 (Del. 1984).

Walt Disney Co. Derivative Litigation, 906 A.2d 27, 53 (Del. Ch. 2006).

Dartmouth College v. Woodward 17 U.S. (4 Wheat.) 518 (1819)

GHLM Trading Ltd v. Maroo *(2012)EWHC 61 (Ch)* at (168)

Foss v Harbottle (1843) 67 ER 189

Boston Deep Sea Fishing and Ice Co.v.Ansell (1889) 39 ChD339

Bristol and West Building Society v. Mothew *1996 Ch 1, 18A*

Extrasure Travel insurance Ltd v. Scattergood *(2003) 1 BCLC 598*

Hutton v. West Cork Railway Co (1883) May 29, LR 23 Ch D654

British Midland Tool Ltd v. Midland Internacional (2003) March 26 EWHC 954 (Ch)

Winkworth v. Baron Development Ltd, House of Lords, 04 December, 1986 WL408178

Lornho Ltd v. Shell Petroleum Co. Ltd December 01, 1980,WRL 627 Case Analyses : at http://web2.westlaw.com

Ball v. Eden Project Ltd High Court of Justice Chancery Division 11 April 2001, No. HC0004486, at http://web2.westlaw.com

Coor v. Deeks (1916) 1 AC 554

Regall (Hastings) Ltd c. Gulliver (1941) (1967) 2AC 13n.Hl

Hovenden&Sons v. Milboff (1900) 83 LT 41, 43 CA

Continental Assurance of London plc (CAL))(1997) 1BBCLC 48

Westmid Packing Services Ltd, Secretary of State for Trade and Industry v.Griffiths (1998) 2 BCLC 646

Francis v. United Jersey Bank, 432 A. 2.d 814, 822 (N.J. 1981)

Guth v. Loft, A.2d 503 (Del. ch. 1939)

Wood V. Drummer (1824) 30F cas 935

Cal.Pub.Emplees. Ret. Sys v.Coulter, 2002, Del. Ch. LEXIS 144 (Del.Ch. Dec.18, 2002)

O'Reilly v. Transworld Healthcare, Inc. 745 A. 2d 902 (Del.Ch.1999)

Bovay v. H M Byllesby &Co (1944) 38A 2d

Rosser v. New Valley Corp. 2000 Del. Ch. Lexis 115 (Del.Ch. Aug. 15, 2000)

Arnold v. Society for. Savs. Bancorp, 678 A.2d 533 (Del. 1996)

Gimbel v. Signal Cos, 316 A.2d 599 (Del.ch. 1974)

Brown v. Allen, 344 U.S. 443, 540 (1953)

Brehm v. Eisner, 746 A.2d 244 (Del.2000)

McMullin v. Beran, 765 A. 2d 910 (Del.2000)

Seminaris v. Landa, 662 A.2d 1350, 1354(Del.1995)

Galiardi v. Trifoods Int'l, Inc 683 A.2d 1049,1051-1052 (Del.ch.1996)

SEC v. Texas Gulf Sulphur Co, 401 F.2d 833 US (1968)

Graham v. Allis-Chalmers Mfg. Co. 188 A.2d (Del.1963)

Smith v. Van Gorkom, 488 A.2d (Del.1985)

Rabkin v. Philip A.Hunt Chemical Corp.547 A.2d (Del.ch.1986)

Barnes v. Andrews 298 F.614 (S.D.N.Y. 1924)

Gagliardi v. TriFoods Intern., Inc., 683 A.2d 1049, 1051. (Del. Ch., 1996)

Paramount Communications, Inc. v. QVC Network, 637 A.2d 34, February 04, Delaware. 1994

Fletcher v. Atex, Inc., 68 F. 3d1451 (1995)

Werner v. Miller 831 A.2d. 318, (Del.ch.2003)

South v. Baker, 62 A.3d 1 (Del.Ch.2012)

Stroud v. Grace, *606 A.2d 75, 84 (Del. 1992)*

ინტერნეტ წყაროები

http://www.ussc.gov/Guidelines/2013_Guidelines/Manual_PDF/Chapter_8.pdf

http://www.sec.gov/about.shtml

http://www.thetakeov erpanel.org.uk

http://delcode.delaware.gov

http://www.law.illinois.edu/

http://web2.westlaw.com

http://www.wbcsd.org/work-program/business-role/previous-work/corporate-social-responsibility.aspx

http://publications.europa.eu/index_en.htm

http://www.bailii.org

http://www.gesetze-im-internet.de/aktg/

http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/gmbhg/gesamt.pdf

http://www.jbs.cam.ac.uk/cadbury/report/

https://www.frc.org.uk/Our-Work/Publications/Corporate-Governance/UK-Corporate-Governance-Code-September-2012.pdf

http://www.thyssenkrupp.com/documents/investor/German_Corporate_Governance_Code_May_2013.pdf

http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2001:294:0001:0021:en:PF

http://www.camargueacademy.co.za/introduction-law/faq/what-difference-between-delict-and-tort

http://www.iiiglobal.org/component/jdownloads/finish/19/319.html

http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2005:310:0001:0009:en:PDF

http://www.unz.org/Pub/BerleAdolf193200001?View=PDF

http://www.publications.parliament.uk/pa/ld200506/ldhansrd/vo060206/index/60206-x.htm

http://www.bailii.org/ew/cases/EWCA/Civ/1996/533.html

https://casetext.com/case/gimbel-v-signal-companies-inc-2#.U6g3z42SxAs

http://courts.delaware.gov/chancery/

http://www1.umn.edu/humanrts/links/sullivanprinciples.html

https://www.unglobalcompact.org/abouttheGc/TheTenprinciples/index.ml

http://www.losangelesbusinesslitigationfirm.com/Business-Litigation/Fraud-and-Negligent-Misrepresentation.aspx/

http://thelawdictionary.org/fraudulent-trading/

http://www.businessdictionary.com/definition/wrongful-trading.html

http://www.ifc.org/wps/wcm/connect/corp_ext_content/ifc_external_corporate_site/home

http://www.mfa.gov.ge

ვადასტურებ, რომ ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ დამოუკიდებლად. არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების გარეშე. ჩემთვის ცნობილია იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება და ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს არასწორი მონაცემების წარმოდგენას. კერძოდ, ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის შესაძლებლობას.

ლაშა ცერცვაძე ---  ---